დავით გამეზარდაშვილი

ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან

სახელმწიფო გამომცემლობა
19 თბილისი 53

რედაქტორი ს. ჯილაია

წინასიტყვაობის მაგიერ

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში 50-იანი წლების მწერლობა ნაკლებად შესწავლილ უბანს წარმოადგენს. სახელოვანი ქართველი რომანტიკოსებისა და დიდი ქართველი მესამოციანელების შესწავლისადმი ბუნებრივმა ინტერესმა მკვლევართა ყურადღება ერთგვარად შეასუსტა შედარებით ნაკლები პოეტური ტალანტის მქონე 50-იანი წლების მწერლებისადმი. საკმაო ხნის განმავლობაში აღნიშნული პერიოდის ლიტერატურა საგანგებო შესწავლის საგანი არ გამხდარა.

ლიტერატურის ისტორიის კვლევის დღევანდელი დონე კი მოითხოვს არა მხოლოდ გამორჩენილ კორიფეთა მოღვაწეობის ღრმა ანალიზს, არამედ დაწვრილებით შესწავლას ყველა იმ მწერლისას, რომლის შემოქმედებაში ასახულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ესა თუ ის პერიოდი, ესა თუ ის მხარე.

წინამდებარე წიგნის მიზანია ერთგვარი წვლილი შეიტანოს ქართული კრიტიკული რეალიზმის პირველ წარმომადგენელთა შესწავლის საქმეში. მასში წარმოდგენილია მონოგრაფიული ნარკვევები ქართველი რეალისტი მწერლების—გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ღ. არდაზიანის და დ. ჭონქაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. საჭიროდ ვცანით აგრეთვე, რომ წიგნში შეგვეტანა 50-იანი წლების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა.

წიგნის მოცულობამ გვაიძულა ამოგველო თავები: „რეალიზმი—როგორც ლიტერატურული მიმართულება" და „კრიტიკული რეალიზმი 50-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში და მისი თავისებურებანი". მიუხედავად ამისა, „ნარკვევები..." მაინც საკმაო სურათს იძლევა ქართული კრიტიკული რეალიზმის პირველ პერიოდზე და ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ „თერგდალეულთა" გაბედული გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე მომზადებული იყო წინამორბედთა მიერ.

ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, რომელიც დეკადენტურ რომანტიზმთან ბრძოლაში ყალიბდებოდა, 60-იანი წლებისათვის უკვე თა-

ვისი ისტორია ჰქონდა; მაგრამ მისი განმტკიცება და გაბატონება იღია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლი მწერლების სახელთანაა დაკავშირებული. დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებებზე აღზრდილმა „თერგდალეულებმა“ აშკარა გახადეს დეკადენტური რომანტიზმის უმწეობა და საბოლოოდ დაამკვიდრეს კრიტიკული რეალიზმი ჩვენს ლიტერატურაში.

ქართველ მესამოციანელთა ლიტერატურული შემოქმედება წარმოადგენს კანონზომიერ განვითარებასა და გაგრძელებას ქართული რომანტიზმის პროგრესული ფრთის წარმომადგენელთა და 50-იანი წლების რეალისტი მწერლების მიერ შემუშავებული ჯანსაღი ტრადიციებისას. მაგრამ „თერგდალეულები“ არ ყოფილან პასიური მემკვიდრენი თავიანთი წინაპრებისა. მათ ნიადაგ ხედათ ქართული ლიტერატურის შემდგომი წინსვლისათვის მოემარჯვებინათ გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ესთეტიკური შეხედულებანი. ამიტომაცაა, რომ მათ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში შექმნეს ახალი ეპოქა.

ჩვენს მიზანს შეადგენს ვაჩვენოთ, თუ რა ტრადიციები ჰქონდა კრიტიკულ რეალიზმს ქართულ ლიტერატურაში 60-იანი წლებისათვის, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა სახელოვანი თაობა „თერგდალეულებისა“.

ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ის გენიალური საენათმეცნიერო შრომების სინათლეზე შევეცადეთ პასუხი გაგვეცა ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანისათვის. ვფიქრობთ, რომ სწორი მეთოდოლოგიური მიმართებითა და შედარებით სრულად არის ნაჩვენები კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების პროცესი ქართულ ლიტერატურაში.

ცხადია, წიგნს ექნება ხარვეზებიც, მაგრამ მის გამოსწორებას ავტორი შეძლებს მკითხველთა მართებული შენიშვნების გათვალისწინების საფუძველზე.

ავტორი

1952 წლის მაისი.

საქართველო მე-19 საუკუნის 40—50-იან წლებში

მე-19 საუკუნის 40—50-იანი წლები საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

აღნიშნულ პერიოდში ერთგვარი ცვლილებები იქნა შეტანილი მმართველობის იმ სისტემაში, რომელიც რუსეთთან შეერთების შემდეგ დაწესდა საქართველოში. ამავე დროს, კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობამ საქართველოში დააჩქარა ახალი კლასის—ბურჟუაზიის გაძლიერება; ძველი ფეოდალური მეურნეობა რღვევისა და დაქვეითების გზას დაადგა. უკიდურესობამდე გამწვავდა დამოკიდებულება ყმასა და ბატონს შორის. ბატონყმური ურთიერთობის საშინელი ფორმა თავისი არსებობის დასასრულს უახლოვდებოდა.

ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინეს ქვეყნის კულტურულ ვითარებაზეც. საჭირო გახდა სწავლა-განათლების გაფართოება და კულტურულ დაწესებულებათა დაარსება.

განვითარების ახლებურ გზას დაადგა ქართული ლიტერატურაც. ნაცვლად რომანტიზმისა, რომელიც უკვე კრიზისს განიცდიდა, საფუძველი ეყრება კრიტიკულ რეალიზმს—როგორც ლიტერატურულ მიმართულებას.

40—50-იანი წლები ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღინიშნა როგორც რეალიზმის დამკვიდრების ეპოქა.

რეალიზმი—როგორც მხატვრული ლიტერატურული მეთოდი—ყველა ქვეყნის ლიტერატურაში მომარჯვებულ და დამკვიდრებულ იქნა სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესატყვისად. ამიტომ მისი ბუნებისა და თავისებურების გასაგებად აუცილებელია ამ უკანასკნელთა გათვალისწინება.

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა

მმართველობის სისტემა. რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში შემოღებულ იქნა მმართველობის ახალი სისტემა, რომლის მიხედვით უმაღლესი თანამდებობის პირს წარმოადგენდა მთავარმართებელი, რომელიც, ამავე დროს, მთავარსარდალიც იყო. მთავარმართებელთან ერთად ქვეყნის სათავეში იდგა „საქართველოს მმართველი"—მთავარმართებლის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში. მთავარმართებელს ემორჩილებოდა აგრეთვე „საქართველოს უზენაესი მთავრობა", რომლის შემადგენლობაში შედიოდა 4 ექსპედიცია (აღმასრულებელი, სახაზინო-საფინანსო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის).

სასამართლოებსა და ყველა სხვა დაწესებულებაში მუშაობა წარმოებდა რუსულ ენაზე, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არ იცოდნენ. მმართველობის ახალ სისტემას სამხედრო ხასიათი ჰქონდა. მართვა-გამგეობის ბატონ-პატრონი სამხედრო უწყებები იყო.

საქართველოში შემოღებული მმართველობის სისტემა ხშირ შემთხვევაში უგულველყოფდა ქართველი ხალხის ინტერესებსა და ზნე-ჩვეულებებს, იღებდა სამხედრო ოკუპაციის ხასიათს და მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ადგილობრივ მოსახლეობას. მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეები მოქმედებდნენ თვითნებურად და ძალმომრეობით.

ქართველი მშრომელი ხალხი, ისევე როგორც რუსი მშრომელი გლეხობა, უკიდურესი შევიწროების გამო იძულებული იყო აჯანყებებისათვის მიემართა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან 60-იან წლებამდე გლეხთა აჯანყებებს საქართველოში სისტემატური ხასიათი მიეცა. მათგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: 1804 წლის აჯანყებას მთიულეთში, 1812 წლისას—კახეთში, 1819—20 წლებისას—იმერეთში, 1841 წლისას—გურიაში, 1857 წლისას—სამეგრელოში.

ახალი მმართველობით უკმაყოფილო იყო თავადაზნაურობაც. რომელმაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაჰკარგა პრივილეგიები. მან თავისი უკმაყოფილება 1832 წლის შეთქმულებით გამოხატა.

მეფის რუსეთის მოხელენი, რომლებიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავდნენ, სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდნენ უკმაყოფილო ელემენტებს. ხალხთა უკმაყოფილებისა და დიდი წინააღმდეგობის შედეგად ცარიზმი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა ცვლილება შეეტანა მმართველობის სისტემაში, მაგრამ ძირითადი მიზანი მაინც უცვლელი რჩებოდა: მისთვის საჭირო იყო საქართველოს გადაქცევა მორჩილ კოლონიად და ადგილობრივ მცხოვრებთა რუსიფიკაცია. საქართველოს სამოქალაქო მართვა-გამგეობაში გაბატონებული ბოროტმოქმედებისა და თვითნებობის გასათვალისწინებლად საკმარისია თვით ოფიციალურ მოხელეთა მიწერ-მოწერის გაცნობაც. სენატორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი, რომლებიც რევიზიისათვის იყვნენ საქართველოში ჩამოსულნი, 1830 წელს იუსტიციის მინისტრს ატყობინებდნენ, რომ საქართველოს მართვა-გამგეობაში არსებული დანაშაული აჭარბებდა ყოველგვარ ზომას.

ასეთი მდგომარეობა მეფის მთავრობას აიძულებდა ხოლმე კავკასიაში ეგზავნა სპეციალური კომისიები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ შეესწავლათ შექმნილი ვითარება და შეემუშავებინათ ღონისძიებები ეფექტური რეფორმების გასატარებლად. ერთერთი ასეთი კომისია, სენატორ განის მეთაურობით, 1837 წელსაც გამოიგზავნა.

1838 წელს სენატორმა განმა მთავრობას წარუდგინა კავკასიის ადმინისტრაციული მმართველობის რეფორმის გეგმა, რომლის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ უფრო გაბედულად და სწრაფად მოეხდინათ აღნიშნული მხარის რუსიფიკაცია. 1840 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა განის პროექტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა „დებულება კავკასიის მხარის მართვა-გამგეობისა“. აღნიშნული დებულება მიზნად ისახავდა საქართველოს გადაქცევას მეფის რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად; 1841 წელს საქართველოს ოფიციალურად უწოდეს „საქართველო-იმერეთის გუბერნია“.

ამჯერად კავკასიის მთავარმართებელი თავისი უფლებებით გაუთანაბრდა რუსეთის შიდაგუბერნიების გენერალ-გუბერნატორებს: მეფის კანცელარიასთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება კავკასიის საქმეების საზედამხედველოდ.

სამსახურიდან თანდათან აძევებდნენ ადგილობრივ არასაიმედო ელემენტებს, რომელთა ადგილებს მეფის ერთგული მოხელეები იკავებდნენ. ასეთმა ღონისძიებამ კიდევ უფრო გაზარდა ადგილობრივ მკვიდრთა უკმაყოფილება.

როდესაც თავის ხანმოკლე და უსახელო მოღვაწეობის შემდეგ, 1844 წელს, გენერალი ნეიდგარტი განთავისუფლებულ იქნა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობიდან, იმპერატორმა, ნაცვლად მთავარმართებლობისა, დააწესა კავკასიის სამეფისნაცვლო. მეფისნაცვალს კი მეტი უფლებები ჰქონდა. იგი ემორჩილებოდა უშუალოდ იმპერატორს.

რუსეთის ოფიციალურ წრეებში დიდი ინტერესით მოელოდნენ, თუ ვინ იქნებოდა კანდიდატი კავკასიის მეფისნაცვლის საპატიო თანამდებობაზე. იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა სასურველ კანდიდატად ცნო გამოცდილი და ერთგული მოხელე მ. ს. ვორონცოვი, რომელსაც, 1844 წლის 17 ნოემბერს დაწერილი სპეციალური ბარათით, ატყობინებდა:—„Считаю нужным избрать исполнителем моей непременной воли лицо, облеченное всем моим неограниченным доверием и соединяющим с известными военными доблестями опытность гражданских дел, в сем поручении равномерно важных; зная Ваше всегдашнее пламенное усердие к пользам государства, выбор мой пал на Вас в том убеждении, что Вы, как главнокомандующий войск на Кавказе и наместник мой в сих областях с неограниченным полномочием, проникнутые важностью поручения и моим к Вам доверием, не откажетесь исполнить мое ожидание".

1845 წლის მარტში ვორონცოვი უკვე თბილისს ესტუმრა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მ. ვორონცოვის კავკასიაში დანიშვნით ფაქტიურად დამთავრდა სამხედრო წესებისა და სამხედრო მმართველობის ბატონობა და განმტკიცება დაიწყო სამოქალაქო მმართველობამ.

სამხედრო მმართველობიდან სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლა 40-იანი წლებისათვის უკვე საკმარისად იყო მომზადებული და მომწიფებული. თუ მანამდე მეფის მთავრობა შეშფოთებული იყო ადგილობრივ მცხოვრებთა უკმაყოფილებითა და აღმოსავლეთელი მეზობლების (სპარსეთისა და თურქეთის) მეტოქეობით, 40-იანი წლებისათვის მდგომარეობა სხვაგვარი იყო. აჯანყებათა და შეთქმულების ჩახშობა საქართველოში და სპარსეთ-თურქეთის დამარცხება მეფის რუსეთს შესაძლებლობას აძლევდა მმართველო-

ბის სისტემა სამოქალაქო რელსებზე გადაეყვანა. ამჯერად მეფის რუსეთს აინტერესებდა არა საქართველოს შეერთება, რასაც უკვე მიაღწია, არამედ მისი შემომტკიცება.

ვორონცოვმა, რომელსაც კარგად ესმოდა ცარიზმის ინტერესები კავკასიაში და ითვალისწინებდა თავის წინამორბედთა უხეშ შეცდომებს, ხელი მოჰკიდა მოქნილი და მშვიდობიანი ღონისძიებების გატარებას.

იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებებში ვორონცოვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ფრიად ძნელია გატარება ყოველგვარ ცვლილებათა და ყოველი ახალი წესისა, რომელიც ცვლის საუკუნეებით განმტკიცებულ ჩვეულებებს, მაგრამ ეს ითქმის განსაკუთრებით ამ მხარეზე, და ამიტომ მსგავს შემთხვევაში საჭიროა ფრიად ფრთხილი მოქმედება. იძულებითი ზომები არათუ მოიტანენ სარგებლობას, არამედ შესაძლებელია გამოიღონ ფრიად სახარალო შედეგებიო“.

ვორონცოვმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა მართვა-გამგეობის ადმინისტრაციულ დარგშიც, მაგრამ მისთვის სასურველ შედეგებს იგი აღწევდა არა ამის გამო, არამედ იმ მოქნილი პოლიტიკის წყალობით, რომლის საფუძველზეც ახორციელებდა ადგილობრივ მკვიდრთა გადაბირებას. ვორონცოვი თავისი მიზნისათვის იყენებდა სკოლას, თეატრს, ეკლესიას, ვაჭრობას, პირად ურთიერთობას და სხვა. იგი ყველგან უხსნიდა გზას ადგილობრივ ელემენტს, თუკი მასში ხედავდა ერთგულ მოხელეს. მალე ქართველი თავადაზნაურობა ფართოდ ჩაება სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში. ვორონცოვი ძირითად დასაყრდენ ძალას თვით ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ეძებდა. მისი გადაწყვეტილება, რომ ასეთ დასაყრდენად მაღალი წოდება უნდა გამომდგარიყო, ნაწილობრივ გამართლდა. რიგი უპირატესობისა და უფლებების მინიშნების წყალობით, ვორონცოვმა მოახერხა მაღალი წოდების გარკვეული ნაწილის გადაბირება მეფის რუსეთის მხარეზე.

რუსული ორიენტაციის განმტკიცების მიზნით, ვორონცოვი თბილისში მოსელისთანავე შეუდგა რუსულ კულტურულ დაწესებულებათა დაარსებას, რუსული ენის გავრცელებას, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, ადგილობრივ გავლენიან პირთა დაახლოებას და სხვა.

მართვა-გამგეობის საქმეში თავისებური და უფრო მოქნილი მეთოდების შეტანა არ გამომდინარეობდა დაპყრობილ ხალხებთან დამოკიდებულებაში მომხდარი რაიმე რადიკალური ცვლილებებიდან. იცვლებოდა მხოლოდ მეთოდები, ხერხები, რათა უფრო

ადვილად დაემორჩილებინათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოყვარული ხალხი. „ცარიზმის ნაციონალური პოლი-ტიკა,— როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამხანაგი ლ. ბერია,—ეს იყო დამონებულ ერთა კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის, შეუბრალებელი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პოლიტიკა“[1].

მეფის რუსეთის მმართველობის სისტემის სიტლანქისა და სიმძიმის შესახებ კ. მარქსი შენიშნავდა: „რუსეთის მმართველობის სისტემა ყველგან, სადაც კი ის დაკავშირებულია ფეოდალურ დაწესებულებებთან, განა იგივე არ არის, რაც სამხედრო ოკუპაცია, რომელშიც სამოქალაქო ხელისუფლება და იერარქია ორგანიზებულია სამხედრო საწყისებზე და ხალხს აწევს შესანახად“[2].

კ. მარქსის ეს შეფასება მთელი სისრულით გამოხატავს მეფის რუსეთის მიერ საქართველოში დამკვიდრებული მმართველობის სისტემის ხასიათს.

ფეოდალური წყობილების რღვევა და კაპიტალიზმის განვითარება.

როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რუსეთის მიერ კავკასიის „ეკონომიკური“ დაპყრობა გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა“[3].

მას შემდეგ, რაც მმართველობის თავისი სისტემა დაამკვიდრა საქართველოში, ოვითმპყრობელობამ ხელი მოჰკიდა მის ეკონომიკურ „დაპყრობასაც“. კავკასია და კერძოდ საქართველო მეფის რუსეთს აინტერესებდა არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ როგორც ბაზარი და ნედლეულის წყაროც.

კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობამ ხელი შეუწყო, რათა 40-იანი წლებიდან საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაშიც გარკვეული ცვლილებები მომხდარიყო. ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევის პარალელურად განმტკიცებას იწყებს ბურჟუაზიული ურთიერთობა.

ვორონცოვი, რომლის საქმიანობა მიმართული იყო კაპიტალიზმის განვითარების სასარგებლოდ, ყოველმხრივ უწყობდა ხელს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს, რათა რუსეთის ბურჟუაზიას ბატონობა მოეპოვებინა საქართველოს ბაზარზე. ამ მიზნით მან მოახერხა შეღავათიანი საბაჟო

---

[1] ლ. პ. ბერია. ლენინ—სტალინის დიადი დროშით, 1941 წ., გვ. 5.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., IX, стр. 397.

[3] ვ. ი. ლენინი. ტ. III, გვ. 703.

ტარიფის დაწესება კავკასიაში, ხელი შეუწყო მიმოსვლის განვითარებას მდინარეებსა და ზღვებზე, სახმელეთო გზების გაყვანასა და საეაჭრო მაღაზიების გახსნას. თბილისში თავისუფლად გრძნობდნენ თავს პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ჩამოსული ვაჭრები. იზრდებოდა ადგილობრივ ვაჭართა რიცხვიც, განსაკუთრებით თბილისში მცხოვრებ სომეხთა ხარჯზე.

მიუხედავად იმისა, რომ 30-იან წლებში თბილისში უკვე არსებობდა სხვადასხვა სახის საეაჭრო კომპანია, გაუქმდა შინაგანი ბაჟები და შემოღებულ იქნა ფულადი გადასახადი ნაცვლად ნატურალური ბეგარებისა, რაც ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობას რღვევით ემუქრებოდა, 40—50-იან წლებამდე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება საქართველოში მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

50-იანი წლებისათვის ქალაქის მცხოვრებთა ზრდისა და მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო გახდა მმართველ წრეებს მეტი ეფიქრათ ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გაფართოებაზე. თბილისში უკვე არსდება ძლიერი საეაჭრო კომპანიები, რომლებმაც ხელი მიჰყვეს სხვადასხვა სახის საქონლის მაღაზიების გახსნას.

ვორონცოვმა ხელი შეუწყო ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველთა კომერციული საქმიანობის გაფართოებასაც. თბილისელ მოქალაქეებს მიეცათ შესაფერისი პრივილეგიები, რაც ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას.

ჩქარი ტემპით ვითარდებოდა ფაბრიკების მშენებლობაც. თუ 1835 წლისთვის საქართველოში მხოლოდ აბრეშუმსახვევი ფაბრიკა იყო, 50-იანი წლებისათვის უკვე ათეული ფაბრიკა-ქარხანა მუშაობდა.

ყურადღებას იქცევს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ვაჭრობა-მრეწველობის მესვეურთა შორის მეტად მცირე პროცენტია ქართველები. პროფესორ პ. გუგუშვილის სამართლიანი შენიშვნით „მთელი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში ა/კავკასიაში ვაჭრობის ისტორია არის რუსული და რუსული ორიენტაციის სომხური სავაჭრო კაპიტალისა და ევროპისა (უმთავრესად საფრანგეთის) და აზიის (ირანისა და თურქეთის) საეაჭრო კაპიტალს შორის ა/კავკასიის ბაზრებზე საკონკურენციო ბრძოლის პროცესი“ [1].

---

[1] პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა, 1941 წ., გვ. 12—13.

მაგრამ მთელი ის პროცესი, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოებასთან იყო დაკავშირებული, უშუალო გავლენას ახდენდა ქართველი ხალხის ცხოვრებაზე. „ევროპასთან თავისუფალმა ვაჭრობამ ადგილობრივი მცხოვრებნი გააცნო განათლებას და ისინიც, სტოვებენ რა აღმოსავლურ ცრუმორწმუნოებას, უახლოვდებიან რუსეთის საზოგადოებასო", შენიშნავდა გაზეთი „კავკაზ-ი"[1].

ვაჭრობა-აღებმიცემობის გაფართოების შედეგად თბილისის ბაზარზე შემოსულმა რუსულმა და ევროპულმა საქონელმა გაიტაცა ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც დღითი-დღე იხიბლებოდა ევროპული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი დროსტარებით. ვორონცოვის მოქნილ პოლიტიკას ამ მხრივაც გარკვეული შედეგები მოჰქონდა.

ქართველი თავადაზნაურობის დაახლოებისა და გულისმოგების მიზნით, ვორონცოვმა თავიდანვე დაიწყო მდიდრული წვეულებების, ბალმასკარადებისა და ეტლებით სეირნობის მოწყობა; სპეციალური მოსაწვევი ბარათებით ეპატიჟებოდა გავლენიან ქართველ თავადებს და თვითონაც ხშირი სტუმარი იყო მათი.

ახასიათებს რა აღნიშნულ ეპოქას, მწერალი გ. წერეთელი ამბობს: „ქალები გატაცებულნი იყვნენ ფრანცუზულ შლიაპებით, გულღია მკერდის გამოჩენით და უცხო ენაზე ლაპარაკით, ოჯახებს სტოვებდნენ ბალებში ცეკვის გულისათვის, მოსწონდათ ულვაშგაწკიპინებული გვარდიის ოფიცრები და მათთან კეკლუცობა. კაცები კი გულისძგერით მოელოდნენ პატიჟობის წერილს დიდებულს ბალებში და მასკარადებში, ეძებდნენ შემთხვევას ლაცკნეტი ეთამაშნათ დიდ ჩინიანებთან, თავი გამოეჩინათ და უცხო ენაზე მათთან ლაპარაკით .თავისი ევროპულობა დაემტკიცებინათ... განათლების ნიშნათ იმათ ეცვათ ფრაკი და მუნდირი, თუმცა გული და გონება სწავლა-მეცნიერებით არ ჰქონდათ გაპოხიერებული. მათი ქალები თუმცა განგებ ომებს იხუპუპებდნენ იმგვარად, მარკიზა დე-პომპადურების დროს რომ იცოდნენ და გულგაღეღილნი ჰქროდნენ ვორონცოვის ბრწყინვალე ბალებზე და რაუტებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ მეცნიერებით ხელშეუხებელი გრძნობა და ჰკუა მხოლოდ თვალებში ჩასხდომოდათ და ამის გამო ისინი გარეგანს ბრწყინვალებას ძვირფასის ცხოვრებისას გაეტაცნა. ამისთანა ფუფუნებაში და ძვირად დამჯდარს განცხრომაში ატარებდა დროს ქალი და კაცი"...[2]

---

[1] „Кавказ", 1846 г., № 45.

[2] ჟურნალი „კვალი", 1893 წ., № 2.

დროსტარებითა და ფუქსავატური ცხოვრებით გატაცებამ თავადაზნაურობას მოსთხოვა ფული, რაც აიძულებდა მას მევახშეთაჭარს დაკავშირებოდა, აელო ვალი და უმოწყალოდ ეფლანგა თავისი ქონება, ადგილ-მამული. მიკირტუმ-კარაპეტები და სოლომონ ისაკიჩები ეპატრონებოდნენ ფუქსავატ მემამულეთა სიმდიდრეს, ყოველდღიურად იზრდებოდა პირველდამგროვებელთა ხარბი ქისები.

40—50-იანი წლები საქართველოში ხასიათდება ფეოდალური წყობილების რღვევითა და ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების დაწყებით. კავკასიასა და კერძოდ საქართველოში ფეხს იკიდებს რუსეთის კაპიტალიზმი, რომელიც, ვ. ი. ლენინის თქმით, „კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს—ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“ [1].

ვორონცოვი ცდილობდა შეემსუბუქებინა თავადაზნაურთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ყოველდღიურად უარესდებოდა სავაჭრო ბურჟუაზიის გაძლიერებისა და ევროპული ცხოვრებით გატაცების შედეგად. ამ მიზნით მან დაარსა საადგილმამულო ბანკი („პრიკაზი“), სადაც თავადაზნაურობას შეეძლო დაეგირავებინა მამული და აელო სესხი.

ფუქსავატური ცხოვრებით გატაცებული თავადაზნაურობა, რომელიც ალღოს ვერ უღებდა ბურჟუაზიული ცხოვრების საჭიროებას, სესხს სესხზე იღებდა, ხოლო გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდა; მათი მამულები ვალში იყიდებოდა. ამდენად, „პრიკაზის“ დაარსება კიდევ უფრო სავალალო გამოდგა მაღალი წოდებისათვის, რომელსაც ახალი კლასი — ბურჟუაზია ცხოვრების ასპარეზიდან ერეკებოდა.

მეფის მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებდა, რათა დაეცვა და განემტკიცებინა თავადაზნაურთა უფლებები, „ხელს უწყობდა მათ მასების ექსპლოატაციასა და ძარცვაში და ამით ცდილობდა განემტკიცებინა და შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა საქართველოში“ [2].

ვორონცოვმა, რომელიც მეტად მოხერხებულად ახორციელებდა ცარიზმის პოლიტიკას კავკასიაში, შეძლო მაღალი წოდების ერთი ნაწილის გადაბირება მთავრობის მხარეზე. ამაზე მეტყვე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. ტ. III, გვ. 704.

[2] ლ. პ. ბერია. ლენინ—სტალინის დიადი დროშით, 1941 წ., გვ. 5.

ლებს ქართველ თავადაზნაურთა 1848 წლის 24 აპრილის მიმართვა იმპერატორისადმი[1], სადაც ლაპარაკია იმპერატორისადმი ძათი ერთგულების შესახებ.

ცარიზმი მართლაც უწყობდა ხელს თავადაზნაურთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ ეკონომიკური ცხოვრება, რომელიც ბურჟუაზიული განვითარების სასარგებლოდ იყო მიმართული, არარად ხდიდა ხელშეწყობის შედეგებს. ცხოვრების კანონზომიერი მსვლელობა თავისას აკეთებდა, ინგრეოდა ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობა.

ურთიერთობის გამწვავება ბატონსა და ყმას შორის.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ფეოდალური საქართველოს ძველი მართვა-გამგეობის სისტემა გაუქმდა, მაგრამ ხელუხლებლად იქნა დატოვებული ბატონყმური ურთიერთობა. ქართველი თავადაზნაურობა თავისი უფლებებით თანდათან გაუთანასწორეს რუსეთის მაღალ წოდებას, ჩააბეს სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში, აჯილდოებდნენ ჩინ-მედლებით და სამოქალაქო და სამხედრო სამსახურის წოდება-ხარისხებით. თავადაზნაურობას ჰქონდა დეპუტატთა საკრებულო და ირჩევდა თავის წინამძღოლს, ე. წ. მარშალს; თავადაზნაურთა შვილებისათვის დაარსდა სასწავლებლები და სხვა. არავის ჰქონდა უფლება ჩარეულიყო ბატონისა და ყმის ურთიერთობის მოგვარებაში. მემამულე თავისი ყმების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იყო. 1807 წელს გამოცემული სპეციალური კანონით გლეხებს აეკრძალათ საჩივრის შეტანა თავიანთი მებატონის შესახებ. ყოველი სადავო საკითხი თვით მემამულეს უნდა გადაეწყვიტა. 40-იანი წლებისათვის კი ყმების გაროზგვაც ოფიციალურად დაკანონდა.

მემამულე თავის ყმებს უყურებდა როგორც ნივთს, რომლის გაყიდვის უფლებაც ჰქონდა; გაზეთებისა და სპეციალური განცხადებების საშუალებით არა ერთხელ აუწყებდნენ ხოლმე საზოგადოებას ყმების ოჯახების საჯარო ვაჭრობით გაყიდვას.

ახალი ცხოვრების შედეგად ეკონომიკურად შევიწროებული თავადაზნაურობა თავისი მდგომარეობის გამოსწორებას ყმა-გლეხობის გაძლიერებული ექსპლოატაციით ცდილობდა. გლეხობას თავს დააწვა უამრავი გადასახადი, რომლის გადახდა მას არ შეეძლო.

სოფლებში, სადაც გლეხები ვერ ახერხებდნენ დროზე მოეხადათ ბეგარა მემამულის წინაშე, მეფის მთავრობა აგზავნიდა ეგზე-

---

[1] Акты Кавк. арх. ком., том IX.

კუციებს, რომლებიც მთელი სისასტიკით უსწორდებოდნენ უმწეო გლეხებს.

დიდი ქართველი მოაზროვნე ი. ჭავჭავაძე, რომელმაც თავის სატირაში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ დახატა მაღალი წოდების მთელი ბედოვლათობა 40—50-იან წლებში, ამ წოდებას ასე ალაპარაკებს:

— „მერე, როს ბედოვლათობით
საქმე ხელთ არ მოდიოდა,
რაც რამ გვქონდა სულ გავფლანგეთ,
არაოა შემოგვდიოდა,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ერთმანეთს უსინდისოდ
მამულებს ვეცილებოდით.
მერე, როცა მაგ ცილობით
ეოთმ.ნეთი ჩვენ დავღუპეთ,
ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს
ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჰკვიანურად იმ ცეცხლის წინ
მამულებს ვეცილებოდით.
მერე, როს ხელთ სათბობადაც
ჩვენი სახლი აღარ ვარგდა,
როცა დიდი და პატარა
გაღარიბდა, გაღატაკდა,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— თვით შევსხედით მაღლა თაროს.
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით“.

აქ ყველაფერია ნათქვამი მაღალი წოდების „საქმიანობაზე“ ამ პერიოდში.

40—50-იან წლებში გლეხთა მდგომარეობა მეტისმეტად გაუარესდა. ეროვნული და სოციალური ჩაგვრის სიმძიმე ყოველგვარ ზომას აჭარბებდა. გამწვავდა ურთიერთობა მებატონესა და ყმას შორის. გლეხობის ცდა განთავისუფლებულიყო მებატონის მონობისაგან, როცა ამ უკანასკნელს არავითარი საბუთი არ გააჩნდა მათზე ბატონობისათვის, უშედეგოდ რჩებოდა. 1849 წელს ვორონცოვმა მოახერხა გაეუქმებინა 1836 წელს მიღებული კანონი, რომლის მიხედვით ყმა-გლეხს, რომლის მიმართ მებატონეს არ ჰქონდა თავისი ბატონობის დამტკიცების საბუთი, უფლება ჰქონდა სასამართლოს საშუალებით თავისუფლება ეძია. ნაცვლად ამისა მიღებულ იქნა კანონი, რომლის ძალით ყმა-გლეხს განთავი-

სუფლებისათვის ძიების აღძრა სასამართლოში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ მას ჰქონდა საბუთი იმის შესახებ, რომ იგი ან მისი წინაპრები წინათ თავისუფალნი იყვნენ.

უუფლებობა და არაადამიანური შევიწროება გლეხობას აიძულებდა აჯანყებისათვის მიემართა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილი ჰქონდა გლეხთა მასობრივ გამოსვლებსა და აჯანყებებს. აჯანყებულნი მკაცრად უსწორდებოდნენ თავიანთ მებატონეებს და აჯანყებები კლასობრივი ბრძოლის ხასიათს იღებდა.

ფეოდალურ-პატრიარქალურ მეურნეობასა და ბატონყმურ ინსტიტუტზე დაყრდნობილი მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივი აპარატი 50-იანი წლებისათვის აშკარა ჩამორჩენილობას ამჟღავნებდა. ყირიმის ომში (1853—56 წწ.) მეფის რუსეთის დამარცხებამ უდავო გახადა ქვეყნის სისუსტე, „ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება“ [1].

ფეოდალურ-მემამულური მეურნეობის რღვევამ, ვაჭრობა მრეწველობის განვითარებამ და გლეხთა აჯანყებებმა, რომლებიც თანდათანობით უფრო ფართო ხასიათს იღებდნენ, მთავრობა აიძულა ეფიქრნა გლეხთა ზევიდან განთავისუფლებაზე, რაც განხორციელდა რუსეთში 1861 წელს, საქართველოში—1864 წელს.

კულტურულ-ლიბერალური მარემო

40-იანი წლებისათვის საქართველოში, კერძოდ თბილისში, ბევრი სახელმოხვეჭილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ეწეოდა შემოქმედებითს მუშაობას. მათი ფიქრები და ყურადღება ქართული ეროვნული კულტურის, ლიტერატურის განვითარებისაკენ იყო მიმართული. მაგრამ არ იყო პირობები შემოქმედებითი მუშაობის გაშლისათვის. თბილისში იმ დროს ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი ჟურნალი და გაზეთი, არ არსებობდა თეატრი, ბიბლიოთეკა და სხვა.

ქართველი მოღვაწეები თავიანთი აზრებისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთგაცნობას მხოლოდ სალონებში და მეგობრული შეხვედრების დროს ახერხებდნენ. ცდილობდნენ გამოეცათ ჟურნალი, დაეარსებინათ თეატრი და ბიბლიოთეკა, მაგრამ მეფის რუსეთის ბიუროკრატი მოხელეები შესაძლებლობას არ აძლევდნენ მათ გან-

[1] გ. ი. ლენინი. ტ. XVII, გვ. 127.

ზრახვა საქმედ ექციათ. ქართული საზოგადოებრივი აზრი და შემოქმედებითი ენერგია სალონების კედლებში იყო მომწყვდეული, ეძიებდა ფართო ასპარეზს, საშუალებებს, რომელთა წყალობით იგი მთელი ქართველი ხალხის საკუთრებად იქცეოდა.

მე-19 საუკუნის 40-იანი წლები კულტურული თვითშეგნების ღრმა განცდით ხასიათდება. გარეშე მტერთა თავდასხმისაგან მოსვენებული და ამასთანავე პოლიტიკური ცხოვრების სარბიელს ჩამოცილებული ქართველი ხალხის სულიერი კულტურის მოჭირნახულენი ცდილობდნენ დაეცვათ მდიდარი ტრადიციები და ეპოქის სიმაღლეზე აეყვანათ იგი. ხელოვნებისა და ლიტერატურის სამფლობელოს შეეძლო, ყველაზე მეტად, შეეფარებინა ქართული საზოგადოებრივი აზრი.

ამიტომ იყო, რომ მახვილი პოლიტიკური ალღოს მქონე დიდი ქართველი პოეტი ნ. ბარათაშვილი სიხარულით ეგებებოდა რუსეთიდან საქართველოში მომავალ ქართველ მოღვაწეებს:

> ჟამთ-ვითარებით გარდახვეწილთ შენ შვილთ მიდამო
> მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
> მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული,
> ზედნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.
> და მუნით ჰხიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
> მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად.
> („საფლავი მეფის ირაკლისა")

ასეთივე შეხედულებისა იყო მეორე დიდი ქართველი მწერალი ალ. ჭავჭავაძეც, რომლის თქმით, რუსეთთან მჭიდრო კავშირის შედეგად „განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება" („კავკასია").

„ჟამთ-ვითარებით გარდახვეწილნი" სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავიანთ ეროვნულ ტკივილებსა და იდეალებს მხატვრულ შემოქმედებაში აქსოვენ, ქვეყნის კულტურული განვითარების უზრუნველყოფისათვის ცდილობენ, მასში ხედავენ ძირითად იმედს ეროვნული სახის შესანარჩუნებლად.

სწორედ ამ პერიოდში ჩამოდის თბილისში კავკასიის მეფისნაცვლის საპატიო თანამდებობაზე დანიშნული მ. ვორონცოვი. ცარიზმის ინტერესების განხორციელებისათვის ვორონცოვის მიერ მომარჯვებული მოხერხებული პოლიტიკა და ქართველი ინტელიგენციის მისწრაფება თითქოს ერთმანეთს „შეუთანხმდა", მათ შორის „საერთო" აღმოჩნდა. მღელვარე პოლიტიკური საკითხები-

საგან ქართველ მოღვაწეთა ყურადღების ჩამოცილებისა და მათი გულისმოგების მიზნით ცბიერი მეფისნაცვალი კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას შეუდგა.

1845 წელს თბილისში გაიხსნა რუსული თეატრი, 1850 წელს—ქართული თეატრი, 1851 წელს—იტალიური ოპერა; 1852 წელს გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა „ცისკარმა".

1846 წელს თბილისში დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც იბრძოდნენ დიმ. ყიფიანი, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და სხვები. გაფართოვდა განათლების ქსელიც.

როდესაც ასეთი ღონისძიებების გატარებას ვორონცოვი არათუ ხელს უშლიდა, არამედ მხარდაჭერასაც აძლევდა, მიზნად ჰქონდა არა ქართული ეროვნული კულტურის აყვავება და განვითარება, არამედ ქართველი ხალხის რუსიფიკაცია უფრო მოხერხებული საშუალებებით.

ცხადია, ცარიზმის ერთგული მოხელე—ვორონცოვი, რომელიც ვერ იტანდა რუსული პოეზიის მშვენებას, პოეტური კულტურის მსოფლიო მოვლენას—ა. ს. პუშკინს, არ შეიძლება გულწრფელი მოყვარული ყოფილიყო ქართული მწერლობისა და კულტურის. მისი პიროვნება კარგად გამოკვეთა თვით ა. პუშკინმა, როცა მისი მისამართით თქვა:

Полу-милорд, полу-купец,
Полу-мудрец, полу-невежда,
Полу-подлец, но есть надежда,
Что будет полным наконец.

ქართველ მოღვაწეთა დიდ უმრავლესობას სწორად ესმოდა ვორონცოვის პოლიტიკა და არ ეგებოდა მის ანკესზე. ეს მოღვაწენი მისგან შემხადებულ „შარბათს" შხამს აცლიდნენ, გამოსაფხიზლებელ წვეთებს უმატებდნენ და ისე აწვდიდნენ თანამემამულეთ.

სკოლა, თეატრი, პრესა, რაც ვორონცოვს თავისი მიზნებისთვის უნდოდა გამოეყენებინა, ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა გონივრული მოქმედებით ეროვნული თვითშეგნების ამაღლების, გამოფხიზლებისა და განვითარების რეალურ ძალად იქცა.

სკოლები და სწავლა-განათლების ხარჯი.

კავკასიაში არსებულ სკოლებზე ხელმძღვანელობას რუსეთის განათლების სამინისტრო ხარკოვის სასწავლო ოლქის საშუალებით ახორციელებდა. ასეთი შუა რგოლის არსებობა კიდევ უფრო აუარესებდა კავკასიის სკოლებში სწავლების მდგომარეობას. ამის გამო, 1840 წელს შეიქმნა თანამდებობა კავკასიის სასწავლებელთა ინსპექტორისა.

მეფის მთავრობა, რა თქმა უნდა, დაინტერესებული არ ყოფილა ხალხში სწავლა-განათლების შეტანით. გარკვეულ ღონისძიებებსაც მიმართავდა ხოლმე მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად, მაგრამ სახელმწიფოებრივი აპარატის მოხელეთა, სამხედრო პირთა და სამეურნეო მუშაკთა კადრების აუცილებელი საჭიროება აიძულებდა მას შესაფერი სკოლების დაარსებაზე ეზრუნა.

გვერდს უვლიდა რა სახალხო სკოლების გახსნას, მეფის მთავრობა კავკასიაში საჭიროების მიხედვით აარსებდა სამხედრო და სასულიერო სასწავლებლებს, გიმნაზიებს მაღალი წოდების შვილებისათვის.

გიმნაზიის, სასულიერო სემინარიისა და სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი სწავლის გასაგრძელებლად, მათი „მორჯულების" მიზნით, იგზავნებოდა რუსეთში.

სკოლების წინაშე იდგა ამოცანა: ვაჟები აღეზარდა ერთგულ მოხელეებად, ქალები — ფრანგული ენისა და სალონების ეთიკის მცოდნე დედებად.

გარდა სასულიერო სემინარიისა, სამხედრო სასწავლებლებისა და გიმნაზიისა, 1845 წლისათვის თბილისში არსებობდა ოთხი კერძო პანსიონი. კერძო პანსიონთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა ვორონცოვის დროს, როცა, თბილისის გარდა, კერძო პანსიონები სხვა ქალაქებშიც გაიხსნა.

1840 წელს თბილისის „კეთილშობილ ქალთა პანსიონი" გადაკეთდა „ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად", რომელმაც მუშაობა დაიწყო 1842 წლიდან. 1846 წელს თბილისში, ხოლო 1847 წელს ქუთაისში გაიხსნა „წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები".

1847 წელს თბილისში გაიხსნა აგრეთვე „კავკასიის სამოჯნო სკოლა", რომელიც მიწისმზომელთა თანაშემწეებს ამზადებდა.

ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ სწავლა-განათლების საქმე არცთუ ისე ცუდად მდგარა 40-იანი წლებისათვის, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეთა რიცხვს და მათ ნაციონალურ შემადგენლობას, დავინახავთ, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნილებებს.

„1845 წლის დამლევს ქ. თბილისში 40.000 მცხოვრებზე იყო 1 გიმნაზია (ვაჟებისა), 2 სასულიერო სემინარია (ერთი—მართლმადიდებლური, ერთიც—სომხურ-მონოფიზიტური), 1 ქალთა ინსტიტუტი, 8 დაწყებითი სკოლა (აქ არ შედის კერძო სკოლები და პანსიონები). ამ სასწავლებლებში, სომხური სემინარიის გარდა, სწავლობდა 1.301 მოსწავლე, აქედან 1.235 მამრობითი სქესისა

და 66 დედრობითი სქესისა; ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით: ქართველები—625, სომხები—597, რუსები—143, დანარჩენები—33"[1].

50-იანი წლებისათვის ვორონცოვმა მოინდომა ზოგიერთი ცვლილება შეეტანა განათლების სისტემის საქმეშიც. მან მიზნად დაისახა მიეღწია ერთგვარი დამოუკიდებლობისათვის კავკასიის სასწავლებელთა ხელმძღვანელობის საქმეში და გაეფართოებინა სასწავლებელთა ქსელი, რაც დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული აპარატის გაფართოებასა და მასში ადგილობრივ მკვიდრთა ჩაბმის საჭიროებასთან.

1848 წელს სპეციალურად იქნა შემუშავებული „დებულება კავკასიის სასწავლო ოლქისა და მის ქვემდებარე სასწავლებელთა შესახებ". აღნიშნული დებულების შესაბამისად შექმნილი „კავკასიის სასწავლო ოლქის" უფროსი (ე. წ. მზრუნველი) ფაქტიურად ვორონცოვს ემორჩილებოდა.

ვორონცოვი საჭიროდ თვლიდა ადგილობრივ მცხოვრებთაგან სკოლებში მოემზადებინა მეტი რაოდენობის საშუალო თანრიგის კადრები სამეურნეო, კომერციული, სამხედრო და ადმინისტრაციული სამსახურისათვის. გარკვეულ ნაწილს აგზავნიდა უმაღლეს სასწავლებლებშიც, რათა მათგან მიეღო განათლებული და ერთგული მოხელეები.

ამ დროისათვის სკოლები იხსნება არა მარტო თბილისში, არამედ შორეულ კუთხეებშიც (აფხაზეთში, თიანეთში და სხვ.).

ვაჭართა წოდებისა და დაბალი წრიდან გამოსული ბავშვებისათვის ვორონცოვის შუამდგომლობით გაიხსნა კომერციული გიმნაზია თბილისში. მაგრამ დაბალი წოდების პირთა შვილები მოკლებულნი იყვნენ სერიოზული განათლების მიღების შესაძლებლობას. მათთვის უფრო ხელმისაწვდომი იყო ერთკლასიანი სამრევლო სკოლები, რომლებიც ეკლესია-მონასტრებთან არსებობდნენ და იძლეოდნენ მეტად დაბალ ცოდნას.

სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლობდა მოსწავლეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 50%. ამასთანავე, აღნიშნული სკოლები მისაწვდომი ხდებოდა მხოლოდ ქალაქში მცხოვრები მაღალი წოდების ბავშვებისათვის. 1845 წელს განათლების მინისტრს უვაროვს იმპერატორმა ნიკოლოზ I საგანგებოდ დაავალა: „მოიფიქ-

---

[1] გ. თავზიშვილი. სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1948 წ., II, გვ. 141.

რეთ, არის თუ არა საშუალებები გიმნაზიებში უაზნოთა („Разночинцы") შესვლის გასაძნელებლადო".

ამის გამო იყო, რომ 1846 წლიდან საქართველოს გიმნაზიებში შემოღებულ იქნა სწავლის ქირა, რომელიც შემდეგში თანდათან იზრდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში არ არსებობდა არც ერთი სპეციალური სასწავლებელი პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მეფის მთავრობას აინტერესებდა არა სწავლა-განათლების მაღალ დონეზე აყვანა საქართველოში, არამედ მხოლოდ თავისი მიზნებისათვის საჭირო მოხელეთა აღზრდა.

ოფიციალური სასწავლებლები ვერ აძლევდა მოსწავლე-ახალგაზრდობას საჭირო განათლებას. სკოლებში დანერგილი იყო გაზეპირების მეთოდი,, აკრძალული იყო წიგნების თავისუფალი კითხვა, მოსწავლეებს წასაკითხად ეძლეოდათ მხოლოდ ოფიციალურად მიღებული სახელმძღვანელოები.

მოსწავლეები, რომლებიც ექცეოდნენ პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეების გავლენის ქვეშ, ახერხებდნენ თვითგანვითარების საშუალებით შეევსოთ ცოდნა; ჰქონდათ თავიანთი წრეები და ეწეოდნენ შემოქმედებითს მუშაობას. ასეთ წრეებში ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობა სწავლობდა მშობლიურ ლიტერატურასა და ისტორიას, რაც სასწავლებლებში არ ისწავლებოდა და არც იმდროინდელ პრესაში შეიძლებოდა სათანადოდ.

პრესა.

40 — 50-იანი წლებისათვის ქართულ პრესას არცთუ ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. ქართული პრესის ისტორია მე-19 საუკუნის 20-ანი წლებიდან იწყება.

მიუხედავად იმისა, რომ მე-18 საუკუნის ქართველი მოღვაწენი კარგად იცნობდნენ რუსულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებს, არ ჩანს მათი დაინტერესება ქართულ ენაზე ჟურნალ-გაზეთების გამოცემისათვის. მართალია, ზ. ჭიჭინაძე გვარწმუნებს, რომ „საქართველოში 1787 წ. გაზეთის მსგავსად ფურცლების ბეჭდვა იწყეს, რომელ ფურცლებზედაც მოთავსებული იყო სხვადასხვა აკროსტიხული ლექსები, სიტყვები და მეფეთა ქებანიო"[1], მაგრამ ეს გარემოება, პირველ ყოვლისა, საეჭვოა და თანაც იმის მაჩვენებელი, რომ ნამდვილი გაზეთი არ არსებობდა. ამ მხრივ, უფრო საყურადღებოა ი. ბატონიშვილის მიერ გიორგი მეთორმეტისათვის

[1] ზ. ჭიჭინაძე. ისტორია ქართულის გაზეთების და ჟურნალებისა, 1902 წ.. გვ. 4.

წარმოდგენილი პროექტი ადმინისტრაციული მმართველობის გაუმჯობესების შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: „...იბეჭდებოდეს გაზეთი თვეში ორჯელ, აქედამაც იქნება შემოსავალი და ხალხნიც შეეჩვევიანო“[1], რის განხორციელებაც მათ არ დასცალდათ.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოში მეფის რუსეთის მმართველობა დამკვიდრდა და აუცილებელი გახდა ოფიციალური განკარგულებების გაცნობა ქართველი ხალხისათვის, გაძლიერდა ზრუნვა ქართულ ენაზე ბეჭდვის დასაწყებად.

ოფიციალური მმართველობისათვის აუცილებელი გახდა ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემა, ვინაიდან საჭირო იყო ქართველი ხალხი მისთვის გასაგებ ენაზე გასცნობოდა ოფიციალურ ცნობებს. ამის გამო, მე-19 საუკუნის 20-იანი წლებისათვის უკვე საფუძველი ეყრება ქართულ პერიოდულ გამოცემას.

1818 წლის დასასრულს ქართველ საზოგადოებას ოფიციალურად ეუწყა, რომ „სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის მცხოვრებთა ამის ქვეყნისათა მომავალს მარტის თვის პირველის რიცხვითგან წინდადებულ არს, რომელ გამოიცემოდეს თფილისსა შინა ბუნებითსა ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილნი ფურცელნი, რომელსაცა ეწოდება „საქართველოს გაზეთი“.

ხელისმოწერთა სიმცირემ გაზეთის გამოსვლა რამდენიმე დღით დააბრკოლა. ამგვარად, პირველმა ქართულმა გაზეთმა—„საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით გამოსვლა დაიწყო 1819 წლის 8 (20) მარტს. გაზეთის გამოცემას ხელმძღვანელობდა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბი. გაზეთი ჯერ რუსულ ენაზე დგებოდა, ხოლო შემდეგ ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. „საქართველოს გაზეთი“ იყო ყოველკვირეული ორგანო, გამოდიოდა პარასკევობით. ხელისმოწერი წლიურად იხდიდნენ 2 მანეთს ვერცხლით (რაიონში მცხოვრებნი დამატებით იხდიდნენ ერთ აბაზს).

„საქართველოს გაზეთს“ ჰქონდა ოფიციალური და არაოფიციალური ნაწილი. ოფიციალურ ნაწილში იბეჭდებოდა „უმაღლესი ბრძანებები“, სამხედრო პირთა დაჯილდოებისა და მოძრაობის (დანიშვნა, გადაყენება და სხვა) შესახებ; არაოფიციალურ ნაწილში უმეტესად ქვეყნდებოდა „უცხო ქვეყნის ამბავი“ და „სხვადასხვა ამბავი“, იშვიათად იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებნიც (თარგმნილი), მაგალითად: „იშვიათი ცოლი“, „მოთხრობა ქალის მარიამისა“, „მოხუცი“. მიუხედავად იმისა, რომ რედაქცია სთხოვდა მკითხველებს მიეწოდებინათ ქართულ ენაზე დაწერილი „მოთხრობანი ყურადღებისა ღირსთა საგანთათვის“,—ასეთს გა-

[1] საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერი H—2155.

ზეთში ვერ ვხვდებით. ნაცვლად ამისა იბეჭდება ცნობები ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნების შესახებ, თუ სად შეიძლებოდა შეეძინათ იგი.

„საქართველოს გაზეთის“ დანიშნულება იყო ოფიციალური განკარგულებებისა და სხვადასხვა ცნობების დაყვანა ქართველ მკითხველამდე; იგი ემსახურებოდა მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის განმტკიცების საქმეს საქართველოში.

მას შემდეგ, რაც „ქართული გაზეთის“[1] გამოცემა შეწყდა (1822 წ.), საკმაო დრომ განვლო, სანამ ახალი პერიოდული ორგანო გამოიცემოდა. ეს იყო „ტფილისის უწყებანი“, რომელმაც გამოსვლა დაიწყო 1828 წლის 4(16) ივლისს.

„ტფილისის უწყებანის“ გამოსვლას ხელი შეუწყო 1826—28 წწ. რუსეთ-ირანის ომით შექმნილმა მდგომარეობამ. მმართველი წრეები დარწმუნდნენ, რომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო კავკასიაში, კერძოდ თბილისში, გამოცემულიყო გაზეთი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ გააცნობდა მთავრობის სხვადასხვა ღონისძიებებს და ოფიციალურ ცნობებს.

„ტფილისის უწყებანი“ გამოდიოდა კვირაში ერთხელ, სამშაბათობით. ხელისმოწერის ფასი წლების მიხედვით მერყეობდა 6 მანეთიდან 12 მანეთამდე (ვერცხლით). ქართული გამოცემის ტირაჟი უფრო ნაკლები იყო, ვიდემ რუსულის. ამასთანავე ქართულ ენაზე „ტფილისის უწყებანი“ ყოველთვის ვერ გამოდიოდა სისტემატურად, კერძოდ, 1829—1831 წლებში. 1832 წლიდან „ტფილისის უწყებანი“ კვლავ გამოცოცხლდა და გაუჩნდა დამატებაც— „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელსაც ჟურნალის ფორმა ჰქონდა.

„ტფილისის უწყებანის“ მთავარი რედაქტორი იყო პ. სენკოვსკი, რომელსაც ჰყავდა თანარედაქტორები. კერძოდ, „ტფილისის უწყებანის“ ქართულ გამოცემას ხელმძღვანელობდა ს. დოდაშვილი, რომელიც ცდილობდა ქართული გამოცემა არ ყოფილიყო რუსულის უბრალო თარგმანი. „ტფილისის უწყებანი“ უფრო ფართო პროგრამით გამოდიოდა, ვიდემ „ქართული გაზეთი“. მას მეტი სიცოცხლე ეტყობოდა, მაგრამ არც მასში პოებდა ასახვას ადგილობრივი ხალხის ცხოვრება, მათი მოთხოვნები და საჭიროება. ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეცადა ს. დოდაშვილი,

[1] 1820 წლიდან „საქართველოს გაზეთს“ ეწოდა „ქართული გაზეთი“. სათაურის შეცვლა გამოწვეული იყო რუსული სახელწოდების („Грузинская газета“) უფრო შესატყვისი თარგმანის გამოძებნით.

რომლის რედაქტორობით „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ გახდა პირველი პერიოდული გამოცემა, რომელიც ქართული კულტურის აღმაელობას ემსახურებოდა.

„სალიტერატურონი ნაწილნი“... 1832 წლის იანვარში გამოვიდა. იგი გამოდიოდა თვეში ორჯერ. თითოეული ნომერი შეიცავდა 24 გვერდს და ჰქონდა სხვადასხვა განყოფილება: პროზა, პოეზია, კრიტიკა, ლიტერატურის ისტორია, განცხადებები, ანეგდოტები და სხვ. ასეთივე გამოცემა გამოდიოდა რუსულ ენაზეც.

„სალიტერატურონი ნაწილნი...“ გამოხატავდა 30-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მისწრაფებებს. ჟურნალის სულისჩამდგმელნი იყვნენ ს. დოდაშვილი და მისი ლიტერატურული წრის წევრები, რომლებიც შეთქმულების აქტიური მონაწილენიც იყვნენ. ამიტომაა, რომ ჟურნალში მოთავსებულ მასალებში ადვილად ამოვიკითხავთ შეთქმულთა იდეებს.

ს. დოდაშვილს თავის ჟურნალის ფურცლებზე ბრძოლა უხდებოდა საქართველოს ისტორიის დამმახინჯებელთა წინააღმდეგ. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გაზეთ „Тифлисские Ведомости“-ს 1832 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი გორდეევის სტატია— „საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წესები“.

ს. დოდაშვილს ბრძოლა უხდებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის ღირსების დასაცავადაც. ამის მაჩვენებელია მისი სტატია— „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“, სადაც იგი დაწვრილებით ეხება ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიური მწერლობის განვითარებას.

„სალიტერატურო ნაწილში“ დაიბეჭდა აგრეთვე ს. დოდაშვილის ორიგინალური მოთხრობა „ელენა“ (მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებიდან) და ფრანგულიდან ნათარგმნი მოთხრობა „ჟინევრა“; გიორგი დავითის ძე ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა“; გ. ე. ერისთავის „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსევისასა საქართველოს საზღვართა შორის“; დ. მაჩაბლის ლექსი „თოვლი“; ა. ორბელიანის „მთოვარე“; ს. რაზმაძის მიერ ნათარგმნი პუშკინის ლექსები: „ლხინი“ და „ღიშპანური სიმღერა“.

როგორც ვხედავთ, „სალიტერატურონი ნაწილნი...“ უაღრესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი ჟურნალი იყო, მაგრამ მის მომავალ არსებობას საფრთხე ემუქრებოდა ხელისმომწერთა სიმცირის გამო. ამას ადრევე გრძნობდა ს. დოდაშვილი და ზრუნავდა მეტი ხელისმომწერი ეშოვნა, მაგრამ ამაოდ.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელიც 1832 წლის იანვარში გამოვიდა, დაიხურა იმავე წლის მარტში. გამოცემულ იქნა 5 ნომერი. მიუხედავად ამისა, მან უაღრესად დიდი როლი შეასრულა ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

1832 წლიდან 1838 წლამდე თბილისში არ გამოდიოდა არცერთი პერიოდული გამოცემა, არც რუსულ და არც ქართულ ენებზე. 1838 წელს გამოსვლა დაიწყო ყოველკვირეულმა გაზეთმა „Закавказский Вестник“-მა (გამოდიოდა შაბათობით), რომელშიც იბეჭდებოდა ოფიციალური განკარგულებანი, ინსტრუქციები და ქრონიკები. 1845 წლიდან, იმავე პროგრამით, ქართულ ენაზე გამოსვლას იწყებს „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე პ. იოსელიანი. „Зак. Вестник“-ი შემდეგში შეუერთდა გაზეთ „Кавказ“-ს, რომელიც 1846 წლიდან გამოდიოდა თბილისში. „კავკაზი“ 1850 წლამდე წარმოადგენდა არაოფიციალურ ორგანოს და თავისი პროგრამით იყო პოლიტიკურ-ლიტერატურული შინაარსის, რედაქტორობდა ო. კონსტანტინოვი; 1852 წლამდე გამოდიოდა კვირაში ერთხელ, ხოლო 1852 წლიდან კვირაში ორჯერ. მასაც ჰქონდა თავისი ქართული გამოცემა. „კავკაზი“ ფართო პროგრამით გამოდიოდა და უფრო ამართლებდა გაზეთის დანიშნულებას, ვინემ ყველა მისი წინამორბედნი.

პლ. იოსელიანის მიერ 1839, 1840 და 1841 წლებისათვის გამოცემულ იქნა ქართული კალენდარიც, რომლის გამოშვება შემდეგ შეწყდა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილს გადაუწყვეტია გამოეცა ყოველთვიური პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალი „სინათლე“. მათ, როგორც ჩანს, მიიღეს კიდევაც ნებართვა ჟურნალის გამოცემისათვის და გამოუშვეს სპეციალური „გამოცხადება“, რომლითაც საზოგადოებას განუმარტავდნენ ჟურნალის პროგრამასა და ხელისმოწერის პირობებს.

ლაპარაკია რა ხაზგასმით ქართველი ხალხის დიდ კულტურულ წარსულზე, „გამოცხადებაში“ ნათქვამია: „ჟურნალი, ანუ ყოველთვიური გამოცემა, არს ღონე ჩვენის განვითარებისა, გამდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მიყვანებისა. ამისათვის აწცა სურთ რომელთამე გონიერთა ქართველთა, რათა გა-

მოცეს ესე ვითარი ჟურნალი, რომლისთვისაც განუცხადებენ უპატივცემულესთ სწავლისა და ბუნებითი ენის მოყვარულთა გუამთა, რათამცა ამა წინათ განზრახულებაში იქონიონ თვითეულმან შეძლებისამებრ თვისი მონაწილეობა".

„ჟურნალსა ამას სახელი ეწოდების „სინათლე". გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველიდან მომავლის წლისა. თვეში გამოვა თითო წიგნი, რომელშიც იქნებიან უცხო ენათაგან თარგმნილნი უკეთესნი მუხლნი ყოველთა საგნითათვის, ესე იგი: სამხედროთა და სამოქალაქოთა, ზნეთათვის, ვაჭრობისათვის, წყაროებისათვის გამდიდრებისა. შინაურთა ეკონომიათათვის და მართველობისათვის ყმათა და მამულთა, აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში; აგრეთვე იქნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი, თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდან გამოკრებულნი ნაწყვეტნი და ქართული ლიტერატურა (აღმკობილი პროზა), სტიხნი და ღარმონიათა ნოტნი: სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიოთა საგალობელთა, ვეტოდა სხვადასხვა სწავლათა და ხელოვნებათა. ზეგარდავალით რამოდენიმე ცნობანი ევროპიულთ სხვადასხვა სამეფოთა სამხედროთა ხელოვნებათა და სწავლათა, აგრეთვე ხელოვნებათა სამუსიკოთა, მხატვრობათა, მხაზველობათა და გამოქანდაკებათა და სხვათა" [1].

ჟურნალის პროგრამა, როგორც ვხედავთ, მეტად ფართოა. ცხადია, ჟურნალის ინიციატორებს გაუძნელდებოდათ ასეთი მრავალფეროვანი პროგრამით გამოეცათ ჟურნალი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე პროგრამის სიდიდით გამოწვეულ სიძნელეთა წამოჭრამდე არ მისულა. ჟურნალი არ გამოცემულა ხელისმომწერთა სიმცირის გამო. სხვათა შორის, ხელისმოწერის პირობებიც თავისებურად ჰქონდათ ჟურნალის ინიციატორთ ჩამოყალიბებული. „გამოცხადებაში" ნათქვამია: „ხელისმომწერნი იქნებიან ორგვარნი: წევრნი და შემთხვევითნი, წევრნი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ოთხ. ასამდე — სწავლულნი: მცოდნენი ევროპიულთ ენათა ანუ ბუნებითისა ენისანი, ხოლო შემთხვევითთ ექნებათ ნება რამოდენიცა უნდა იყოს. წევრთა ექნება (უფლება), რათა ჟურნალისტების კანცელარიიდან მოითხოვონ რაოდენიცა ენებოთ ეკზემპლიარი ჟურნალთა... ხოლო ხელისმომწერთა შემთხვევითთა შეუძლიან იყიდონ მხოლოდ წიგნი-ჟურნალი წევრთა ანუ ჟურნალისტთაგანო". ხელისმოწერის ფასი გამოცხადებული იყო 14 მანეთი.

---

[1] ჟურნ. „ცქერალი", 1896 წ., № 35. დედანი დაცულია საქ. სახ. მუზეუმში (sd—724).

ცხადია, იმ დროს ამდენ ხელისმომწერს ვერ იშოვიდნენ და ჟურნალიც არ გამოსულა. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, რომ ინიციატორთა შორის დასახელებულია გიორგი ერისთავი; ყველა დანარჩენთა შესაძლებლობის გათვალისწინება გვარწმუნებს, რომ რედაქტორადაც იგი უნდა ყოფილიყო ნავარაუდევი. აი ინიციატორთა სიაც: „კეთილშობილთ წინამძღოლელი თ. ალ. ერისთავი, პრაპორშჩიკი თ. როსტ. ერისთავი, პრაპ. თ. ივ. ერისთავი, შტაბს კაპიტანი თ. გიორგი ერისთავი, პრაპ. თ. გრიგ. მაჩაბელი, თ. მიხ. მაჩაბელი, ელ. ერისთავი, პოდპორუჩ. თ. დავ. მაჩაბელი, კნეინა ქეთევან მაჩაბელოვისა, გრიგ. ნ. ციციანოვი, თ. ირაკლი ნ. ციციშვილი, თ. დიმ. ბ. ერისთავი, პომოშნიკი ოსეთის ოკრუჟნის ნაჩალნიკისა ზურაბ მორთულაძე, ქარუმ ზ. მაღალაშვილი, ელიზბარ თულაევი, პროვინციალნი სეკრეტარი თ. ი. რატიევი, თავ. დიმიტრი მაღალოვი, აზნ. სოლომონ ფურცელაძე, თ. სვიმონ შალიკოვი, თ. ივანე აბაშიძე, თავ. დიმიტრი აბაშიძე, კეთილშობილი თედორე ქარუმიძე, აზნ. სოლომონ რჩეულოვი, კნეინა თინათინ, ელისაბედ ჯავახოვისა, თავ. გივი ამილახვარი, პრაპ. ლუარსაბ ზედგინიძე“.

„გამოცხადება“ 1841—45 წლებში უნდა იყოს დაწერილი, ამას გვაფიქრებინებს ზოგიერთ ინციატორთა ტიტული. აშკარაა ისიც, რომ „ცისკრის“ დამაარსებლად და რედაქტორად გ. ერისთავი შემთხვევით არ გამოჩენილა.

პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტობას თავის მხრივ უცდია გამოეცა ჟურნალი „არე“. გ. დადიანი თავის ლექსში ამბობს: „არეს ეწოდა აწღა ცისკარიო“, ხოლო „ცისკრის“ რედაქცია შენიშნავს: „პეტერბუგში ჰსურდათ გამოცემა ქართულს ენასა ზედა ჟურნალისა, რომლისთვისაც უნდა ეწოდებინათ „არეო“[1].

შეიძლება ითქვას, რომ ყველა ის პერიოდული გამოცემა, რომელიც ჟურნალ „ცისკარს“ უსწრებდა, „სალიტერატურონი ნაწილნის“ გამოკლებით, „ძირითადად ემსახურებოდა რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ძლევამოსილ ლაშქრობას“[2]. ამიტომ მათი მნიშვნელობა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში უმნიშვნელოა.

* * *

მეგობრების რჩევითა და დაიმედებით, 1851 წლის დასაწყისში გ. ერისთავმა ვორონცოვს სთხოვა ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რათა ნება დაერთო გამოეცა ქართული სალიტერატურო

[1] „ცისკარი“, 1857 წ., № 8.

[2] პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა, 1941 წ., გვ. 108.

ჟურნალი „ცისკარი“, იმავე წლის მარტის თვეში გ. ერისთავმა მიიღო ჟურნალის გამოცემის ნებართვა და გამოაქვეყნა სპეციალური „განცხადება“ ჟურნალის შინაარსისა და ხელისმოწერის პირობების შესახებ. ჟურნალი 1851 წელსვე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ხელისმომწერთა სიმცირის გამო დაიგვიანა.

„ცისკრის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1852 წლის იანვარში.

გ. ერისთავის რედაქტორობით ჟურნალი გამოდიოდა სრული ორი წლის განმავლობაში (1852—1853 წწ.). იგი შედგებოდა ოთხი განყოფილებისაგან: პოეზია, პროზა, სწავლა და ხელოვნება, სოფლური სახლის პატრონობა.

გ. ერისთავის „ცისკარმა“ მკითხველს გააცნო ძველი და თანამედროვე ქართველი მწერლების საუკეთესო თხზულებები, რუსი და ევროპელი მწერლების ნაწარმოებები[1].

1854 წლიდან, ხელისმომწერთა სიმცირის გამო, „ცისკარმა“ გამოსვლა შეწყვიტა.

გ. ერისთავმა თავისი უფლება ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემისათვის ი. კერესელიძეს დაუთმო. ი. კერესელიძემ 1854 წელსვე ითხოვა ნებართვა ჟურნალის გამოსაცემად, მაგრამ მან მოითხოვა არა მარტო ჟურნალის სახელწოდების შეცვლა, არამედ წარადგინა სრულიად ახალი პროგრამაც. მურავიოვის მიერ ჩერნიშოვისადმი გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამია, რომ ვინაიდან ი. კერესელიძემ შესცვალა როგორც სახელწოდება, ისევე პროგრამა ჟურნალისა, ამიტომ ამ ახალ ჟურნალს არავითარი კავშირი აღარ აქვს „ცისკართან“, რომლის გამოცემის უფლება მას გ. ერისთავმა დაუთმოო.

საქმე გართულდა. ი. კერესელიძე დარწმუნდა, რომ საჭირო იყო უკან დახევა. იგი დათანხმდა ჟურნალის ძველი სახელწოდებითა და ძველი პროგრამით გამოცემაზე. ამის შემდეგ, 1855 წლის 30 ნოემბერს, გრაფ ორლოვის უქვეშევრდომილეს მოხსენებას, რომელშიც ლაპარაკი იყო „ცისკრის“ გამოცემის განახლებაზე, იმპერატორმა დააწერა: „Согласенъ“.

ი. კერესელიძეს, ნებართვის მიღების შემდეგ, ერთი წელი დასჭირდა მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად. „ცისკარი“ კვლავ იწყებს გამოსვლას მხოლოდ 1857 წლიდან; ჟურნალი დაიხურა 1875 წელს. ამ ხნის განმავლობაში მას უცვლელად რედაქტორობდა ი. კერესელიძე.

---

[1] დაწვრილებით იხილეთ თავში—„გ. ერისთავი—ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი და რედაქტორი“.

„ცისკარი“ ი. კერესელიძის რედაქტორობით უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე გ. ერისთავის დროს. ეს გასაგებიც არის: ი. კერესელიძის „ცისკარში“ მოღვაწეობა დაიწყეს ქართველმა მესამოციანელებმა, რომლებმაც გამოაცოცხლეს ჟურნალი.

„ცისკარი“ 50-იან წლებში ერთ-ერთი პერიოდული ორგანო იყო, რომელიც ემსახურებოდა ქართული ლიტერატურისა და კულტურის აღმავლობას.

თეატრი

მე-19 საუკუნის 50-იანი წლები საქართველოში აღინიშნა თეატრალური კულტურის აღმავლობითა და გაფართოებით. ამ დროისათვის თბილისში საფუძველი ჩაეყარა რუსულ და ქართულ დრამატიულ თეატრს, ოპერასა და ბალეტს.

განსაკუთრებით დიდი მოვლენა იყო ქართული თეატრის აღდგენა.

ქართული თეატრის ისტორიას, ჩვეულებრივ, იწყებენ 1850 წლის 2 (14) იანვრიდან, როდესაც თბილისის გიმნაზიის შენობაში გ. ერისთავის ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქნა შისივე კომედია „გაყრა“.

ქართული თეატრის ისტორიის დაწყებას 1850 წლის 14 იანვრიდან ერთგვარი გამართლება მართლაც აქვს, ვინაიდან ამ დღიდან საფუძველი ჩაეყარა მუდმივ ქართულ თეატრს და სცენა გახდა არა უბრალო გასართობ სანახაობათა წარმოსადგენ ადგილად, არამედ ქართული სინამდვილის ამსახველ სარკედ. წარმოდგენები იმართება ოფიციალურად და მისაწვდომი ხდება მაყურებელთა ფართო წრისათვის, ე. ი. საფუძველი ჩაეყარა პროფესიულ თეატრს.

მაგრამ ქართულ თეატრს უფრო შორეული ისტორია აქვს. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს არა უძველესი ქართული თეატრი და ხალხური საწყისები ქართული თეატრისა (ადრეული მისტერიები, საკულტო წესმსახურების ამსახველი სანახაობები, სახიობა, ყეენობა, ბერიკაობა და სხვ.), არამედ ნამდვილი თეატრი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომ, საჭიროა მოკლედ მაინც გავითვალისწინოთ ის წინამძღვრები და ტრადიციები, რომლებიც ქართულ დრამატურგიულ მწერლობასა და თეატრს მოეპოვებოდა პროფესიული თეატრის დაარსებამდე[1].

---

[1] აღნიშნული საკითხი დაწვრილებით გვაქვს განხილული წიგნში „გიორგი ერისთავი“, 1949 წ., გვ. 42—102.

მეთვრამეტე საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში თეატრის არსებობის შესახებ ძუნწი ცნობები მოგვეპოვება. არსებული ისტორიული და ლიტერატურული წყაროები გვარწმუნებენ, რომ მანამდე თეატრი იმ გაგებით, როგორც იგი დღეს ჩვენ გვესმის, არც არსებობდა. საფიქრებელია მხოლოდ, რომ არსებობდა ე. წ. წარმართული თეატრი. ამას მოწმობს თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებული მრავალი ტერმინი, რომელიც შემონახულია ძველ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში. მათ შესახებ საგანგებოდ მსჯელობენ აღორძინების ეპოქის მოღვაწეებიც (სულხან ორბელიანი, იოანე, ვახუშტი და დავით ბაგრატიონები და სხვ.) ძველ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საეკლესიო კანონები კრძალავდნენ თეატრს. ცნობილია, რომ ქრისტიანობა უარყოფითად შეხვდა ბერძნულ თეატრს, განდევნა იგი საერო ცხოვრებიდან, ხოლო თვითონ ისარგებლა ამ თეატრის ფორმით და ტაძრის სახით შექმნა ადგილი, საიდანაც თავისი მოძღვრების აგიტაციას ეწეოდა. მაგრამ გადის საუკუნეები და თეატრი კვლავ თავის სიმაღლეზე დგება, საშუალო საუკუნეებრივი დოგმატიზმი უძლური აღმოჩნდა ბოლომდე დატყვევებული ჰყოლოდა თეატრის აღორძინების აზრი.

უძველესი წერილობითი წყაროების, ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით დადასტურებულია, რომ ქართველებს ძველთაგანვე ჰქონდათ მრავალი გასართობი და სანახაობა, რომლებიც იმ დროისათვის თეატრის მაგივრობას ასრულებდა. ასეთი იყო საკულტო-სადღესასწაულო ჩვეულებები, ბერიკაობა, სახიობა, ყეენობა, მუშაითობა, ყაბახი და სხვა[1]. თუ ნაწილი ამ სანახაობებისა უმეტესად საგიმნასტიკო-აკრობატული ხასიათის ვარჯიშობას წარმოადგენდა, სამაგიეროდ ნაწილი უხვად შეიცავდა თეატრალურ დრამატიზმს (ყეენობა, ბერიკაობა)[2].

რა როლი ითამაშა ამ გასართობებმა ახალი ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარების საქმეში? თუ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მათზე, როგორც ისეთ სანახაობებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თეატრის მაგივრობას ეწეოდნენ მეთვრა-

---

[1] იხ. ი. ჯავახიშვილი—„ქართველი ერის ისტორია", წ. 1; მ. აბრამიშვილი—„ძველი ქართული თეატრი", 1925 წ.; კ. კეკელიძე—„ქართული ლიტერატურის ისტორია", 1941 წ., ტ. 11; დ. ჯანელიძე—„ქართული თეატრის ხალხური საწყისები", 1948 წ.; ტრ. რუხაძე — „ძველი ქართული დრამატურგია", 1949 წ.

[2] მთელი რიგი გასართობები აღწერილი აქვს არჩილს თხზულებაში „საქართველოს ხნეობანი" და თეიმურაზ მეორეს—„სარკე თქმულთაში".

მეტე საუკუნემდე, სამაგიეროდ ჩვენი თეატრის ისტორიის შესწავლა გვარწმუნებს, რომ მათ განსაკუთრებული როლი არ შეუსრულებიათ ქართული თეატრის შინაარსობლივი მხარისა და მხატვრული ფორმის ჩამოყალიბების საქმეში. მათი როლი, ამ შემთხვევაში, ძირითადად, ამოიწურება იმით, რომ ხალხს გაუღვიძა საჯარო სანახაობებისა და წარმოდგენების გამართვის მოთხოვნილება.

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ XVIII საუკუნის დასასრულისათვის, როდესაც საფუძველი ეყრება ახალ ქართულ თეატრს. ქართული ლიტერატურული ტრადიცია უაღრესად მდიდარია, ქართველი საზოგადოებრიობა იცნობს რუსულ თეატრსა და დრამატურგიას, ბევრი ქართველი უკვე გამოჩენილი მოღვაწეა ძველი რუსული თეატრისა და სხვა. ამ დროისათვის, რა თქმა უნდა, შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვანი აეღო ამ ძველ გასართობთაგან და თავის შემადგენელ ელემენტად გაეხადა ქართულ თეატრსა და დრამატურგიას. ქართული თეატრი თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მაღალ საფეხურზე იდგა, მისი ბედი ნიჭიერი და მცოდნე ადამიანების ხელში იყო. ჩვენი მოღვაწეები (ვახუშტი, დავით, იოანე, ფარნაოზ ბაგრატიონები, გ. ავალიშვილი, დ. ჩოლოყაშვილი და სხვ.) საფუძვლიანად მსჯელობენ დრამატურგიისა და თეატრის თეორიის საკითხებზე[1].

ქართული თეატრის დაარსებასა და აღორძინებას ნიადაგი მოუმზადა ე. წ. სასკოლო დრამამ, რომელთა წარმოდგენის ფაქტი თელავისა და თბილისის სემინარიებში უეჭველია.

თბილისისა და თელავის სემინარიების სასწავლო პროგრამები შედგენილი იყო რუსეთის სასულიერო აკადემიებისა და სკოლების პროგრამების მიხედვით. პროგრამები ითვალისწინებდა რიტორიკის სწავლებას. რიტორიკის სწავლებაში კი ანტონ კათალიკოსი გარკვეულ ადგილს უთმობდა დრამატიულ ხელოვნებასაც. სასკოლო დრამები ლიტურგიული შინაარსისა იყვნენ და მის წარმოდგენას მხოლოდ გარკვეულ მომენტს უკავშირებდნენ, მაგრამ იგი ხელს უწყობდა ახალგაზრდებში გაზრდილიყო ინტერესი თეატრისადმი. ქართულ სასკოლო დრამებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მაგრამ ვიცით, რომ ასეთები იყო. არის ცნობა, რომ თელავში ეწყობოდა მათი წარმოდგენა, რომელსაც დავით რექტორი ხელმძღვანელობდა. დ. რექტორი, როგორც ჩანს, თვითონაც მონაწილეობდა იმ წარმოდგენებში, რომლებიც 90-იან წლებში იმართებოდა.

---

[1] საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერები S—420, H—216, 2181; „კალმასობა" და სხვა.

სასკოლო დრამების წარმოდგენას მოჰყოლია კომედიებიც. ალ. ორბელიანის ცნობით, „თელავში და თბილისში ქართულ კომედიებსაც თამაშობდნენ მეფის ირაკლის დროში, რომლისაცა გამმართველი იყო გაბრიელ მაიორი“[1].

გაბრიელ მაიორის მიერ გამართული წარმოდგენები ოფიციალურ ხასიათს ატარებდა. ამას მოწმობს საგანგებოდ დაბეჭდილი ბილეთები, რომლებზეც გარკვეული ფასიცაა აღნიშნული. რამდენიმე ასეთ ბილეთს მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებამდე მოუღწევია. იგი ხელთ ჰქონია ალექსანდრე ორბელიანს. ამ ბილეთების შესახებ ნ. ბერძენოვიც წერდა გაზეთ „კავკაზში“ (1858 წ., № 86). ბილეთი დაბეჭდილი ყოფილა პატარა ლურჯ ქაღალდზე, წარწერით: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“.

ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს ალ. ორბელიანის ნათქვამს: „მე ხშირად შემიტყვია დედაჩემისაგან, რომ გაბრიელ მაიორის თამაშობაზე საკმარისად დადიოდა ხალხი. თვით ეს ქალიც დასწრებია წარმოდგენებსო“, და დასძენს: „ასევე უამბნია ხოლმე მეფის ირაკლის თანამედროვე და მისივე ისტორიის აღმწერს ომან მდივანბეგსო“ [2].

რა შინაარსისა იყო ეს პიესები, რომლებიც გაბრიელ მაიორის ხელმძღვანელობით იდგმებოდა, ძნელი გასარკვევია, მაგრამ ის გარემოება, რომ იგი საჯაროდ იმართებოდა და სპეციალური ბილეთებიც იყიდებოდა მასზე დასასწრებად, გვაფიქრებინებს, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ სასულიერო-საეკლესიო დრამებსა და მისტერიებს, მათ საერო და მამხილებელი შინაარსი უნდა ჰქონოდათ. ამ წარმოდგენებმა უსათუოდ შეუწყო ხელი ქართული თეატრის ჩამოყალიბებას მე-18 საუკუნის 90-იან წლებში.

საქართველოს რუსეთთან დაახლოების შემდეგ ქართული ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწეების წინაშე ახალი შესაძლებლობა გადაიშალა. ისინი ახლოს ეცნობიან მოწინავე რუსულ კულტურასა და თავისებურად იყენებენ მას ქართული ეროვნული კულტურის გასამდიდრებლად.

---

[1] ალ. ორბელიანი. ნაწერი.... 1879 წ., გვ. 127—128.

[2] იხ. ჟურნალი „თეატრი“, 1885 წ., № 1.

ცნობილია, რომ ერეკლე II სწავლის მისაღებად რუსეთში გზავნიდა ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ სამშობლოში ბრუნდებოდნენ და იწყებდნენ მოღვაწეობას. ერთ-ერთ ჯგუფში, რომელიც ერეკლეს დროს წავიდა რუსეთში, შედიოდნენ: დავით ბატონიშვილი, დავით ჩოლოყაშვილი, გიორგი ავალიშვილი, იოანე ორბელიანი, ერასტი თურქისტანიშვილი და სხვები.

ისინი რუსეთში გასცნობიან თეატრალურ საქმიანობას და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელი მოუკიდიათ დრამატურგობისა და წარმოდგენების გამართვისათვის. მათი ინიციატივით მეთვრამეტე საუკუნის 90-იან წლებისათვის საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრს.

პირველი ორიგინალური კომედია, რომელიც წარმოუდგენიათ კიდეც, დაუწერია გიორგი ავალიშვილს. კომედია ყოფილა ორმოქმედებიანი და სათაურად ჰქონია „მეფე თეიმურაზი". სამწუხაროდ, აღნიშნულ კომედიას ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი არსებობისა და შინაარსის შესახებ ცნობას გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე [1].

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ორიგინალური პიესები უწერია დავით ბატონიშვილსაც ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას[2].

სამაგიეროდ ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე გადმოკეთებულმა და ნათარგმნმა პიესამ, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნის 90-იან წლებში წარმოუდგენიათ. კერძოდ, გ. ავალიშვილს უთარგმნია ა. პ. სუმაროკოვის კომედიები: „საჩხუბარი" („Вздорщица"), „დედა რაყიფი ქალისა" („Мать—совместница дочери"), „რქისმატარებელი" („Рогоносец") და „უბნობა მკვდართა" („Разговоры мертвых")[3].

აქვს რა მხედველობაში აღნიშნული კომედიები, პროფ. დ. დ. ბლაგოი წერს: „...В течение нескольких месяцев были написаны три последние комедии Суморокова, во главе с „Рогоносцем по воображению", который является едва ли не самой художественно-значительной пьесой всего комедийного творчесства Сумарокова вообще и по существу представляет собой уже бытовую комедию"[4].

---

[1] ზ. ჭიჭინაძე. მოკლე ისტორია ქართული თეატრისა. 1906 წ., გვ. 8.

[2] იხ. ჟურნალი „თეატრი", 1885 წ., № 1.

[3] სახ. მუზეუმი, ხელნაწერი S—11.

[4] Проф. Д. Д. Благой. История русской литературы XVIII века, 1946 г., стр. 167.

თარგმანებში გ. ავალიშვილს შეაქვს კომენტარები და ახალი შენიშვნებიც, რაც მის ნიჭსა და დახელოვნებაზე ლაპარაკობს.

გ. ავალიშვილი ცნობილი იყო როგორც „გადმომღები რუსულითა ქართულად წიგნთა მრავალთა". მისი მთარგმნელობითი მუშაობა მხოლოდ ა. სუმაროკოვის კომედიებით არ ამოიწურება, მას თარგმნილი აქვს სხვა ხასიათის თხზულებებიც.

როგორც პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე აღნიშნავს, „ავალიშვილის თეატრალობა მისი ცხოვრების პირველ პერიოდს ეკუთვნის, შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გულმოდგინედ ემსახურებოდა კლერიკალურ მწერლობას"[1].

დასახელებული კომედიები რომ წარმოდგენილი იყო, ამაში ეპვის შეტანა შეუძლებელია. ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს წარმოდგენის მონაწილეთა გვარებიც, რომლებიც მას ამოუკითხავს ერთ-ერთი პიესის მოქმედ პირთა სიაში. იგი წერს: „წარმოდგენებში მიუღიათ მონაწილეობა შემდეგ პირთა: დავით ბატონიშვილს, ჩოლოყაშვილს, ავალიშვილს, თამაზ ანდრონიკაშვილს, გიორგი მეფის და ირაკლი ბატონიშვილის ქალებს და ავალოვისას. ეს გვარები მე ამოვიკითხე ერთ ზემოხსენებულ პიესის მოქმედთა პირთა სიაშიო"[2].

გ. ავალიშვილს შეგნებული ჰქონდა თეატრის დიდი მნიშვნელობა და ცდილობდა გამოეყენებინა იგი ცხოვრების მახინჯი მხარეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას მოწმობს მის მიერ საგანგებოდ დაწერილი ლექსი, რომელიც წარმოადგენს პიესის ე. წ. ბოლო თქმას, აი ეს ლექსიც:

„მე საბედველნი იჯ ჩემნი დავაშრე წიგნთა წერითა,
ზოგი ჩემთ მოქმედულებზედ, ზოგი სხვით
გადმოწერითა,—
მსმენელთ ვეუბნები, ნუ მკიცხვენ, ამა ლექსისა მღერითა,
არ დამიშლიან მაჩვენონ იგი, თუ ვმსახურე მე რითა!
თუ ხართ ვინმე მოსურნენი თეატრს სმენად, ანუ ცნობად,
შეიმატებთ განდიდებას, ბრძენთა აგებთ თქვენად მკობად,
ეროვნებით უსამართლოდ, ჩემებრ მწერთა ცუდად გმობად,
არ დაიშლით, ჭკავს არ რიდებთ თქვენგან გლახ გულთ ლახვრად სობად!
მერწმუნეთით არ მას ვუბნობ, მქონდეს მეტი მისკენ ერდომა.
მაგრამ მწადის განრინება, კიცხვითა და ქვე-ქვე ძრომა,
ნუ იკადრებთ, გაცხადებით იქონიოთ ჩემზედ წყრომა.
დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს მლიქნელობა, ქვე-ქვე ძრომა[3]",

---

[1] იხ ჟურნალი „დროშა", 1925 წ., № 25, გვ. 28.

[2] ზ. ჭიჭინაძე. მოკლე ისტორია ქართული თეატრისა, 1906 წ., გვ. 7.

[3] იქვე, გვ. 8.

გ. ავალიშვილი ამ ლექსში პირდაპირ ამბობს, რომ მას დიდი შრომა გაუწევია როგორც ორიგინალური პიესების დაწერაზე („ზოგი ჩემთ მოქმედულებზე"), ისე თარგმანებზე („ზოგი სხვით გადმოწერითა"). ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ გ. ავალიშვილი ავტორია ორიგინალური პიესების. იგი, ამასთანავე, პირდაპირ ლაპარაკობს თეატრის არსებობაზე („თუ ხართ ვინმე მოსურნენი თეატრს სმენად, ანუ ცნობად") და იმ დანიშნულებაზე, რასაც იგი თეატრს უსახავს მიზნად (ილაშქრებს „ქვე-ქვე ძრომისა" და „მლიქვნელობის" წინააღმდეგ).

ამგვარად, გ. ავალიშვილი, პირველი ორიგინალური ქართული კომედიების ავტორი და თეატრის ინიციატორი მე-18 ს-ის 90-იან წლებში, ქართულ თეატრს მიზნად უსახავდა გაიძვერობისა და მლიქვნელობის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც იმ დროისათვის დროული და საჭირო იყო. მის მიერ თარგმნილ სუმაროკოვის პიესებში გაკიცხულია სიძუნწე, მლიქვნელობა, მექრთამეობა და მებატონეთა სიმკაცრე. იგი, ამასთანავე, თავის ორიგინალურ კომედიებში, როგორც ეს „მეფე თეიმურაზის" შინაარსის გადმოცემიდან ჩანს, ეროვნულ გრძნობას აღვივებდა და უცხოსადმი ბრმად მიბაძვას ებრძოდა.

გ. ავალიშვილს ქართული თეატრის დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში მხარს უმაგრებდა დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი—„სამეფოს მდივანბეგი" და „დიდად ნიჭებული კაცი სიტყვითა და მწერლობითა".

დ. ჩოლოყაშვილს კარგი განათლება ჰქონდა მიღებული და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის კარზე, თუმცა ვოლტერის მიმდევარი იყო და, როგორც დ. ბატონიშვილი, ისიც ამის გამო გიორგი მეფის საყვედურს იმსახურებდა.

დავითს კარგად სცოდნია რუსული, ფრანგული და აღმოსავლური ენები. როგორც მწერალი ერთსა და იმავე დროს ემსახურებოდა სასულიერო და საერო მწერლობას. მას ეკუთვნის თარგმანი ლომონოსოვის ლექსისა „საწინასწარმეტყველო წიგნი იობისა"[1] და ორიგინალური „ლექსნი რომელნიმე საქებელნი და რომელნიმე სალაღობელნი"[2].

დ. ჩოლოყაშვილი ჩვენთვის საინტერესოა როგორც დრამატურგი, გადმომკეთებელი რასინის ტრაგედიისა — „ეფიღენია".

---

[1] დ. ჩუბინაშვილი. ქრესტომატია, II. 1863 წ.

[2] ა. ცაგარელი. Сведения. III.

„ეფიღენია“ დავითს გადმოუკეთებია ფრანგული ენიდან 1795 წელს „ირაკლი მეორის შესაქცეველად“. ხელნაწერში ვკითხულობთ: „მათის მეფობის დიდებულების, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის შესაქცეველად; ეპოხასა მეფობისა მისისა ნ ბ წელსა, შემდგომად მაცხოვრისა ჩუენისა ჩღუე, თთუ(სა მარტსა გ. თქმული მდივანბეგის თავადის დავით ჩოლოყაშვილისაგან“.

დ. ჩოლოყაშვილის „ეფიღენია“ გადმოკეთებაა და არა უბრალო თარგმანი. მთარგმნელს მასში შეუტანია ქართული სინამდვილე—ირაკლი მეფის მოღვაწეობიდან და საკუთარი რეჟისორული გემოვნების მიხედვით მითითებული აქვს დეკორაციებისა და მუსიკალური აკომპანიმენტის ხასიათზე.

საეჭვო არაა, რომ გ. ჩოლოყაშვილს ექნებოდა სხვა გადმოკეთებული და ორიგინალური პიესებიც, მაგრამ ჩვენთვის ჯერჯერობით დაკარგულია. ამას გვაფიქრებინებს დ. ჩოლოყაშვილის დახელოვნება და თეატრალური გემოვნება, რაც „ეფიღენიის“ თარგმანშია გამომჟღავნებული. არც ისაა საეჭვო, რომ გ. ავალიშვილისა და დ. ჩოლოყაშვილის მიერ დაარსებულ და აღორძინებულ ქართულ თეატრს ბევრი სხვა შემწეც ეყოლებოდა, რომელთა მიერ შესრულებულმა თარგმანებმა და ორიგინალურმა პიესებმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწია. ამ მხრივ საყურადღებოა ზ. ჭიჭინაძის ცნობა: „1830 წელს რომ სოლომონ დოდაევის რედაქტორობით თბილისში სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა გამოცხადდა, მაშინ წარმოედგინა ძველი დრამები დიდ გიორგი ერისთავს და დიმიტრი ბაგრატოვანს. ყველა ეს კომედიები იმ ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყვნენ, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევის გამო 1832 წ. ჟურნალი დაიხურა და ვერც ის პიესები დაბეჭდილა“[1].

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პროფ. ა. ცაგარლის სიტყვებიც: „у меня под руками в настоящее время несколько оригинальных театральных пьес, сюжеты которых взяты из грузинской жизни и истории конца XVIII и начала XIX века, к сожалению, имена авторов и годы их написания не указаны“[2].

ერთი სიტყვით, ქართული თეატრის არსებობა 1790—95 წლებში ფაქტია. ჩვენ ცნობები მოგვეპოვება არა მარტო თეატრის ზოგიერთი ინიციატორისა და დადგმული პიესების შესახებ, არამედ, როგორც უკვე ვნახეთ, წარმოდგენის მონაწილეთა და თეატრის ადგილსამყოფელის შესახებაც.

---

[1] ზ. ჭიჭინაძე. მოკლე ისტორია ქართული თეატრისა, 1906 წ., გვ. 9.

[2] ა. ცაგარელი. Сведения, III.

როგორც ჩანს, წარმოდგენები იმართებოდა სასახლის „პალატაში“. ხშირად კი მესხიშვილების, მელიქიშვილებისა და ორბელიანების ბინებზეც.

თეატრს იმ თავითვე დაუინტერესებია მაყურებელი და დიდი შთაბეჭდილებაც მოუხდენია; „დაუწყიათ თხოვნა, რომ კიდევ „ასახსმენტყველეთო“[1].

ახლადფეხადგმულ ქართულ თეატრს მიუზიდავს შემსრულებელნიც. აქტიორებად გეევლინებიან არა მარტო საერო არისტოკრატიის წარმომადგენელნი, არამედ სასულიერო პირებიც. კერძოდ, პირველ ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობა მიუღიათ სარდალ იოანე ორბელიანის კარის მღვდელს იოსებ ამირიძეს, რომელიც ცნობილია ქეშიშ-დარდიმანდის სახელით, და დავით მესხიშვილს (რექტორს).

ქართულ თეატრს მე-18 ს-ის 90-იან წლებში განვითარების კარგი შესაძლებლობა ჰქონდა. მისი ბედი მაღალი განათლების მქონე ადამიანთა ხელში იყო, თანაც მალე მოიპოვა სიყვარული მაყურებელთა შორის. მაგრამ განვითარების ეს კარგი შესაძლებლობა ქართულ თეატრს მოესპო 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის საშინელი თავდასხმის შედეგად. აღა-მაჰმად-ხანმა თბილისის აოხრებისას, როგორც ჩანს, მოსპო ის „პალატაც“, სადაც წარმოდგენებს მართავდნენ. ამ საშინელი აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ აგრეთვე თეატრალური საქმის ბევრი მოყვარული და მონაწილე.

კრწანისის ომის მძიმე მომენტში, თ. ბატონიშვილის სიტყვით, „მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნენ კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაცა აღირჩიეს წინამძღვრად თჳსად კაცი ვინმე მსახიობი (რომელსა საზანდრად უხმობენ). ესე იყო ერთი წარჩინებულთა საკრავთა და მსახიობთა მეფისათა, მუზიკი და კომედიანტი. და ეს იყო უფროსი მსახიობთა შორის და ცნობილი იყო სამეფოსა შინა. ეს იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსა სახელს სდებდნენ მაჩაბელად. ესე მიუძღვა გუნდსა მას ტფილისელთასა მტერთა მიმართ და ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი, ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შადიანსა. ე. ი. ხმასა მას, რომელსაცა ლხინსა შინა დაუკრაენ, ჟამსა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდან ხმაი ესე განამხიარულებს“. აღნიშნულ რაზმს აღა-მაჰმად-ხანის დროშებამდის მიუღწევია და მათი

[1] ზ. ჭიჭინაძე. მოკლე ისტორია ქართ. თეატრისა, 1906 წ., გვ. 7.

ბრძოლით გაკვირვებულ აღა-მაჰმად-ხანს უთქვამს: „სიყრმითგან ჩემით, ვიდრე აქამომდე დამიყოფიეს ბრძოლასა შინა და არსადა მიხილავს მე წინააღმდეგნი, ვითარ ესე კაცნი ჩემდა მომართ ჰყოფდენ ბრძოლასაო“.

თ. ბატონიშვილის ამ ცნობიდან ვტყობილობთ, რომ ვინმე მაჩაბელა ცნობილი ყოფილა თავისი „კომედიანტობითა“ და „საკრავთა“ ცოდნით; იგი ამასთანავე ყოფილა „უფროსი მსახიობთა შორის“. ამგვარად, იგი რეჟისორის მოვალეობის ამსრულებელიც ყოფილა. საინტერესოა, რომ მემატიანე საგანგებოდ უწოდებს მას არა მარტო „მსახიობს“, არამედ „კომედიანტსაც“. ე. ი. მისთვის ცნობილია ქართველ მსახიობთა შორის სხვადასხვა როლების შემსრულებელი მსახიობები, რითაც ნათელი ხდება, რომ იმდროინდელი ქართული თეატრის რეპერტუარი მხოლოდ კომედიებით არ ამოიწურებოდა.

1795 წლიდან ქართულმა თეატრმა არსებობა შეწყვიტა. თეატრის მოყვარულთაგან ბევრი საშინელი თავდასხმის მსხვერპლი გახდა, ზოგიც თავის განათლებასა და ნიჭს უკვე პოლიტიკურ საქმიანობას ახმარს და ვეღარ იცლის თეატრისათვის. გ. ავალიშვილი, დ. ჩოლოყაშვილი, დ. ბატონიშვილი, მ. ბატონიშვილი და სხვები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარებით არიან გადატვირთულნი.

ამგვარად, ქართული თეატრი დაარსებულ იქნა მე-18 საუკუნის 90-იან წლებში და მისი არსებობის ისტორიაც აქედან უნდა დავიწყოთ. თეატრის დაარსებასა და აღორძინებას ხელი შეუწყო რუსეთსა და საქართველოს, შორის დამყარებულმა ახლო ურთიერთობამ. ქართული თეატრის ინიციატორები იყვნენ რუსეთში სწავლა-განათლება მიღებული ქართველი მოწინავე ინტელიგენტები, რომელთა საქმიანობას ხელს უწყობდა ირაკლი მეორე.

ქართული თეატრის რეპერტუარი საკმარისად მდიდარი ყოფილა ორიგინალური, გადმოკეთებული და ნათარგმნი პიესებით. პიესების უმეტესობა, როგორც ჩანს, კომედიები იყო. გადმოკეთებული და ნათარგმნი პიესების საშუალებით ახლადაღორძინებული ქართული თეატრის სცენაზე რუსი და ფრანგი კლასიცისტი მწერლების შემოქმედებაც იკიდებს ფეხს, მაგრამ იგი თავისებურადაა შელამაზებული და შევსებული ქართული სინამდვილით, თანაც თავისუფალია კლასიცისტური „წესრიგისაგან“.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი მოღვაწეები თეატრალურ საქმიანობას ეწევიან არა მარტო საქართველოში, არამედ

რუსეთშიც. რუსული თეატრის ისტორიაში არა ერთმა ქართველმა მოღვაწემ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი.

ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავი არიან: სილა ნიკოლოზის ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ზანდუკელები, ალექსი დავითის ძე და ალექსანდრე ალექსის ძე ფანჩულიძეები, ხერხეულიძე, გრუზინსკი და სხვა.

რუსული თეატრისა და კულტურის ისტორიკოსები ზოგიერთი მათგანის დამსახურებაზე საგანგებოდაც კი მსჯელობენ [1].

მათი მოღვაწეობის შესწავლა საჭიროა არა მარტო ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის გასათვალისწინებლად, არამედ თვით ქართული თეატრის ისტორიის დასაზუსტებლადაც[1].

არსებული მასალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგმა მათგანმა გავლენა მოახდინა ქართული თეატრის პირველ ინიციატორებზე მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს და ერთგვარი იმპულსი მისცა მათ საქმიანობას თეატრალურ ასპარეზზე. ამ მიმართულებით ყველაზე დიდი როლი ითამაშა სილა ზანდუკელმა (1756—1820), რომელსაც თეატრალური მოღვაწეობა დაუწყია 1876 წელს, მოსკოვში, მედოკსის თეატრში.

1795 წლიდან ქართულმა თეატრმა, მართალია, შეწყვიტა არსებობა, მაგრამ თეატრის მოყვარულ ქართველ ხალხში არ ჩამკვდარა მისდამი ინტერესი და სიყვარული.

კრწანისის ომიდან რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში კვლავ იწყება თეატრალური წარმოდგენების გამართვა. ამჯერად ქართველებთან ერთად რუსი სამხედრო და სამოქალაქო პირებიც მონაწილეობენ. ეს წარმოდგენები, თუმცა, აღარ ატარებდნენ ოფიციალურ ხასიათს, მისაწვდომი ვერ ხდებოდა მაყურებელთა ფართო წრისათვის, მაგრამ მათი სიხშირე და მისდამი გაზრდილი ინტერესი მაჩვენებელი იყო იმის, რომ ნაპერწკლებს ცეცხლი უნდა გაეჩაღებია.

საიმედო ისტორიული წყაროებით ვტყობილობთ, რომ პ. ი. კოვალენსკი საქართველოში ჩამოსვლისთანავე შედგომია შინაური წარმოდგენების გამართვას, რაშიც მისთვის დახმარება აღმოუჩენია

---

[1] იხ. დ. გამეზარდაშვილი. გიორგი ერისთავი (ცხოვრება და მოღვაწეობა). 1949 წ., გვ. 55—67.

ა. მუსინ-პუშკინს, რომელიც იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა. 1803 წლის 10 თებერვალს დაწერილ ერთ თავის მოხსენებაში პ. ი. კოვალენსკი ამბობს: „თბილისში თეატრის დაარსებას საფუძველი ჩაეყარა ჩემი წინადადებით, ჩვენი საერთო შეთანხმებითა და თანაშრომლობით მუსინ-პუშკინთან, სამხედრო გენერალიტეტთან, რუს მოხელეებთან, სამეფო კარის წევრებთან და ზოგიერთ აქაურ თავადაზნაურობის საპატიო წევრებთან“[1].

ეს შინაური წარმოდგენები, რომლებშიც ქართველი ინტელიგენციაც ღებულობდა მონაწილეობას, ეწყობოდა ნებაყოფლობით გაღებული თანხებით. ამ წარმოდგენებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომაც, რომ მასში, როგორც თვით კოვალენსკიც წერს, მონაწილეობას ღებულობდნენ ისეთი მოხელეები, „რომელთაგანაც უმეტესობა ამ საქმეში გაწვრთნილი იყო“.

ბალებისა და შინაური წარმოდგენების გამართვამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ა. პ. ერმოლოვის მთავარმართებლობის დროს (1816—1827). გაზეთი „კავკაზი“ შენიშნავდა, რომ „ალექსი პეტრეს ძე (ერმოლოვი—დ. გ.) მართავდა ბალებს და შინაურ წარმოდგენებსო“ (1846 წ., № 2).

შინაური წარმოდგენების გამართვის ცდებს განსაკუთრებით 30-იან წლებში ჰქონდა ადგილი. ამ დროს თბილისში თავმოყრილი იყო მოწინავე ქართველი და რუსი მოღვაწეები, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ ლიტერატურითა და ხელოვნებით. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ალ. ჭავჭავაძისა და რ. ი. ბაგრატიონის სალონებში.

რ. ი. ბაგრატიონის სალონში დაიარებოდნენ მესანგრე ბატალიონის პრაპორშჩიკი მიხეილ გამაზოვი (სიძე ზ. ავთანდილაშვილისა) და რ. ა. ბაგრატიონი, რომლებიც თეატრალური წარმოდგენების გამართვით ძალზე დაინტერესებულნი იყვნენ.

რომან ალექსანდრეს ძე ბაგრატიონმა და მიხეილ გამაზოვმა მოარჩიეს ძველი და ახალი პიესები, რომელთა წარმოდგენაც ჰქონდათ განზრახული. მათ მოძებნეს რეჟისორიც—ლავროვსკი, რომელმაც თეატრალური საქმის კარგი ცოდნა გამოიჩინა. მან მალე მოიპოვა ავტორიტეტი თეატრის მოყვარულთა შორის და დაარწმუნა ისინი წამოწყებული საქმის წარმატებით დამთავრებაში. მო-

[1] Акты..., ტ. 33. 19.

ძებნეს მუსიკოსებიც. პირველად წარმოადგინეს პ. ა. კარატიგინის „ნაცნობი უცნობები“ („Знакомые незнакомцы“), რომელსაც მოჰყვა სხვებიც.

მიხეილ გამაზოვმა დაწერა ორიგინალური პიესაც—„Грузины 19-го века или удачное сватавство“, რომელიც 1831 წელს წარმოადგინეს.

სცენის მოყვარულთა ჯგუფმა ბოლოს გადაწყვიტა წარმოედგინა ა. ს. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“. მართალია, ბევრმა ამ კომედიის წარმოდგენა შეუძლებლად მიიჩნია, მაგრამ მაინც შეუდგნენ მის მომზადებას. გაუძნელდათ შემსრულებელთა შერჩევა, განსაკუთრებით ქალების, რომლებიც იმ დროს სცენაზე თამაშს გაურბოდნენ. ბევრი მათგანიც კი, რომლებიც უწინ მონაწილეობას იღებდნენ წარმოდგენებში, ქალაქური ჰორების მიზეზით, ჩამოსცილდნენ სცენის მოყვარულთა წრეს.

„ვაი ჭკუისაგან“ წარმოდგენილ იქნა 1832 წლის 21 იანვარს. საღამოს დიდძალი ხალხი დასწრებია, მათ შორის მთავარმართებელი ბარონ როზენი თავისი მეუღლით. წარმოდგენამ ნათელჰყო, რომ რეჟისორ ლავროვსკის კარგი მუშაობა ჩაეტარებია. მაყურებელი აღტაცებაში მოუყვანია ბევრ შემსრულებელსაც.

ს. დოდაშვილმა თავის ჟურნალში („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, № 2) ამ წარმოდგენის შესახებ მოათავსა ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენს ქალაქში წარსულ კვირას იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა, საკვირველად წარმოადგინეს, უკეთესად არ შეიძლებოდა“. „ტფილისის უწყებანში“ დაიბეჭდა რეცენზია, რომელშიც დახასიათებული არის ცალკეული შემსრულებლები. წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღიათ და როლები წარმატებით შეუსრულებიათ სოფიო და მარიამ ივანესასულ ორბელიანებს. რეცენზენტი ყველაზე მეტად ხოტბას ასხამდა რომან ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს, რომელიც სკოლოზუბის როლს ასრულებდა; მისი თქმით, „ასეთი სკოლოზუბი, შეიძლება გაბედულად ითქვას, არც ერთ საჯარო თეატრს არ ჰყოლიაო“.

„ვაი ჭკუისაგან“ იმავე წელს, ნინო ჭავჭავაძის პატივსაცემად, ბეორედ იქნა წარმოდგენილი.

რუსული წარმოდგენების პარალელურად სპექტაკლები დასადგმელად მზადდებოდა ქართულ ენაზეც. თეატრალური საქმით დაინტერესებულნი იყვნენ: გ. ერისთავი, ე. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ე. ერისთავი, ა. ორბელიანი, გ. ავთანდილაშვილი, ი. მუხრანსკი, ნინო ჭავჭავაძე, სოფიო და მარიამ ორბელიანები და სხვ.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეების მიერ, გამოცდების დამთავრების შემდეგ, ეწყობოდა ხოლმე ე. წ. „საჯარო აქტების“ წარმოდგენა, რომელიც შემდეგ სალონებში გადავიდა. ერთი ასეთი „აქტისნაირი წარმოდგენის“ შესახებ ლაპარაკობს დიმ. ყიფიანიც თავის „მემუარებში“[1].

1830 წელს ქართულად უთარგმნიათ პიესა „რკინის მასკა“ და შედგომიან მზადებას მის წარმოსადგენად.

30-იან წლებში შინაური წარმოდგენების ინიციატორად გვევლინება გიორგი ერისთავი, რომელსაც ახლო მეგობრობა ჰქონდა თეატრალური საქმით დაინტერესებულ რუს მოღვაწეებთან, კერძოდ მიხეილ გამაზოვთან. გ. ერისთავს 1831 წელს ცალკეული სცენებიც უთარგმნია მ. გამაზოვის ვოდევილიდან „Грузины 19-го века“. დიმ. ყიფიანი წერს: „მესანგრე ბატალიონის პრაპორშიკმა გამაზოვმა მთხოვა გადამეთარგმნა ქართულ ენაზე მის მიერ შეთხზული ვოდევილი „Грузины 19-го века или удачное сватавство“.

ამ შემთხვევამ მე გამაცნო... გიორგი ერისთავი, რომელიც სთარგმნიდა ლექსებს იმ კომედიიდანო“[2].

ამავე წელს ვახტანგ ორბელიანს რუსული ენიდან უთარგმნია პ. ა. კარატიგინის ვოდევილი „ნაცნობი უცნობები“, რომლის წარმოდგენაც გადაუწყვეტიათ და გულმოდგინედ შედგომიან მზადებას. რეპეტიციები ეწყობოდა თვით ვ. ორბელიანის ბინაზე. პიესაში როლებს ასრულებდნენ: გ. ერისთავი, ვახ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი, ზ. ავთანდილაშვილი, ელ. ერისთავი და სხვები. პიესის წარმოდგენა ნაკარაუდევი ჰქონდათ 1832 წლის ყველიერში. როგორც ჩანს, პიესის დასადგმელად მზადება ფართოდ იყო ცნობილი. ამას მოწმობს დიმ. ბატონიშვილის მიწერილი წერილი თამარ ბატონიშვილისადმი 1832 წლის 20 აგვისტოს. დიმიტრი ბატონიშვილი თამარს სწერს: „რას შვრებიან ჩვენი მახინჯები, ესე იგი ელიზბარი, ვახტანგი, ივანე და სხვანი და წარმოადგინეს თუ არა კომედია, რომელზედაც ასე ბევრს მწერდა ვახტანგი, რომ მათ აქვთ ახალი რამ, რომ თავი გაირთონო“.

ვახ. ორბელიანი, რომელიც პეტერბურგიდან იყო დაბრუნებული, ცდილობდა შეექმნა წრე ქართველ ახალგაზრდობიდან, რომელიც დაინტერესდებოდა ლიტერატურული საქმეებით. იგი თავის ამხანაგებს უკითხავდა და აცნობდა პეტერბურგიდან ჩამოტანილ

---

[1] დ. ყიფიანი. მემუარები, 1930 წ., გვ. 9.

[2] დიმ. ყიფიანი. მემუარები. 1930 წ., გვ. 137.

საინტერესო ლიტერატურას. ზ. ავთანდილაშვილი აბობს: „რადგან თ. ვახტანგ ორბელიანს ვიცნობდი, ამიტომ ზოგჯერ დავიარებოდი ხოლმე მასთან დროს გასატარებლად, სადაც ჩვენ ერთად ხშირად ვკითხულობდით მის მიერ ს. პეტერბურგიდან ჩამოტანილ საუკეთესო ნაწარმოებებს, რომელთა შესახებაც მსჯელობას ვმართავდით ხოლმე. ის ხშირად ჩიოდა ხოლმე, რომ ისეთი ქალაქის შემდეგ როგორიც არის პეტერბურგი, სადაც ადამიანს ადვილად შეუძლიან ყოველგვარი კმაყოფილება მიიღოს, ის ტფილისში მოწყენილობას გრძნობს და ამიტომ სურს გაიჩინოს ახალგაზრდა ნაცნობები... როდესაც ამ წლის დასაწყისში (1832 წ.—დ. გ.) თავად ვახტანგ ორბელიანმა გვთხოვა მე და მასწავლებელ ყიფიანოვს აგვეღო როლები მის მიერ რუსულიდან ქართულად გადათარგმნილი კომედია „Знакомый незнакомец“-იდან, მაშინ ჩვენ ხშირად დავიარებოდით რეპეტიციებზე, რომლებიც შეწყდა იმის გამო, რომ არ აღმოჩნდა თანხა მის დასადგმელადო“[1].

რამდენიმე ხნის შემდეგ შეთქმულნიც დააპატიმრეს და პიესის დადგმა ვერ მოხერხდა.

1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნებისა და შეთქმულთა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში გამწესებისა და გადასახლების შემდეგ, ქართველ მოღვაწეთა ძალები დაიფანტა. რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისში აღარ იგრძნობოდა ლიტერატურისა და თეატრისადმი ის დიდი ინტერესი, რომელიც მანამდე ასე აშკარა იყო.

40-იანი წლებისათვის თბილისი კვლავ გამოცოცხლდა. დაიწყო მსჯელობა და აზრთა ურთიერთ გაცვლა ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე. ალ. ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის სალონებში, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და დიმ. ყიფიანის ბინებზე ლიტერატურული ახალგაზრდობა სისტემატურად იყრიდა თავს და ჰქონდათ გაცხოველებული კამათი; ყველა ცდილობდა თავისი ნიჭით რაიმე ერგო სამშობლოსათვის, გაემდიდრებინა მშობლიური ლიტერატურა. მაგრამ იგრძნობოდა საზოგადოებრივი გასართობის უქონლობა, ხალხს სწყუროდა თეატრი. ნ. ბარათაშვილის პირადი მეგობარი კ. მამაცაშვილი ამბობს: „იმ დროს თბილისში არაფერი საზოგადო გასართობი ადგილი არ გექონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები. ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზედ ყრილობაო“.

---

[1] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ., გვ. 152—153: იხ. აგრეთვე, დ. ყიფიანის „მემუარები“. 1930 წ., გვ. 138.

სათანადო გასართობის უქონლობის გამო საზოგადოება უშინაარსო და იაფფასიანი გასართობებით ირთობდა თავს. ასეთმა გარემოებამ გ. ორბელიანთან მიწერილ წერილში ნ. ბარათაშვილს ათქმევინა: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი პორიანობაა და პირიანობა; ორივე ერთია, მაგრამ პირი ტყუილია ამ ხელად და პორი კი მართალი, — დიდი დაძგერებებია ქალებისა; დიდი აყალმაყალი, დიდი ტირილი; დიდი ღამის თევები, დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრითო“. ნ. ბარათაშვილის ამავე წერილიდან ჩანს, რომ მოწინავე ნაწილი საზოგადოებისა ცდილობდა მიეცა ხალხისათვის თეატრი და მოემზადებია საამისოდ ნიადაგი. იგი წერს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოსთარგმნა „Ромео и Джулиета“, შექსპირის ტრაღედია, და მე ვთარგმნე Юлий Тарентский, ტრაღედია ლეიბევიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირესო“.

მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, განსაკუთრებით 20-იან წლებში, ქართული დრამატურგია გამდიდრდა ბევრი ორიგინალური და თარგმნილი პიესით. ამ მხრივ დიდ ნაყოფიერებას იჩენენ პოლიტიკურ ცხოვრებას უკვე მოწყვეტილი ბატონიშვილები. 1805 წელს მირიან ბატონიშვილმა თარგმნა გერმანელი დრამატურგის ბრაველ პიესა „ტრაღედია ათეისტისა“ (ს—2321). ამავე პერიოდში ითარგმნა სუმაროკოვის — „დიმიტრი თავის თვისა მწოდებელი“ (ს — 5070); უცნობი ავტორის — „ველისარიონი“ (ს—353). მომდევნო წლებში რუსული ენიდან ითარგმნა აგრეთვე ვოლტერის „ალზირა“; ჩვენთვის უცნობი ავტორის — „ედიპი“ (ეს თქმა უნდა, არა ვოლტერის); შემდეგში ითარგმნა ვოლტერის „ალათოკლე“; ვ. ორბელიანმა თარგმნა კარატიგინის „ნაცნობი უცნობები“; „რკინის მასკა“ (ავტორი და მთარგმნელი უცნობია); „სინავ და ტრუვორი“ (თარგმნა პ. ქებაძემ); ალ. ჭავჭავაძემ თარგმნა რასინის „ესთერი“, „ფედრა“, კორნელის — „სინნა“; დ. ფურცელაძემ — ვოლტერის „ზაირა“ („ზაირა“ უთარგმნია ალ. ჭავჭავაძესაც, მაგრამ დაკარგულა); ზუბალაშვილმა — ვოლტერის „ფანტაზმა ანუ მაჰმად წინასწარმეტყველი“ (Н—568).

ამასთანავე იწერებოდა ორიგინალური პიესებიც. ალ. ამილახვარმა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 ს. დასაწყისში დაწერა სკეტჩის მსგავსი დიალოგი „მოქმედება ასტრახანში“, რომლის ქართული დედანი დაკარგულია. გ. ფირალიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველზე დაწერა „ვეფხისტყაოსანი ტრაღედიად

ანუ ინდოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი“ (დაწერილია 1805—1808 წწ.). „ვეფხისტყაოსანი“ შემდეგში დრამად გადააკეთეს ოქრ. ბატონიშვილმა და გ. ერისთავმა. თეიმურაზ ბატონიშვილს 30-იან წლებში დაუწერია „სამსახიობო რაინდისა“.

1839 წელს, თბილისის ცხოვრების სინამდვილიდან აღებულ მასალაზე, გ. ერისთავმა დაწერა „შეშლილი“ და ხელი მოჰკიდა სხვა კომედიების წერას. ალ. ორბელიანმა დაწერა ოთხმოქმედებიანი ისტორიული დრამა „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, რომლის დაწერის შესახებ თვითონ ავტორი შენიშნავს: „ბატონიშვილი დედაჩემი თეკლე, მეფის ირაკლის მეორის ასული რომ გარდაიცვალა 1846-სა წელსა 11-ს მარტსა, მწუხარების გამო დავწერე ეს თხზულება, იმავე ზაფხულს ჩემი მეუღლის ეკატერინეს სოფელ კაზრეის“. მასვე დაუწერია ტრაგედია „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველთა“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 40-იანი წლებისათვის შინაური წარმოდგენები იმართება არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც, და, რაც მთავარია, ამ წარმოდგენების რეპერტუარში ხშირად ორიგინალური პიესებია. ამის მაგალითს წარმოადგენს ოქროპირ წერეთლის კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა“[1], რომელიც თავის სოფელში წარმოუდგენია 1845 წლის 1 აპრილს. კომედიის ხელნაწერში აღნიშნულია: „ქორწილი იმერეთის თავადისა. კომედია ქმნილი აზნაურის ოქროპირის წერეთლისაგან და წარმოდგენილი თავის საკუთარ სოფელში 1-ს აპრილს 1845-სა წელსა“. კომედიის ფაბულა აღებულია იმერეთის თავადთა ცხოვრებიდან. კომედიაში ავტორის მიერ მითითებულია სცენის დეკორაციებზე და მოქმედ პირთა საჭირო მოქმედებაზე, რაც ავტორის საკმაო დახელოვნების მაჩვენებელია. აღნიშნული კომედია და მისი წარმოდგენის ფაქტი გამონაკლისს არ უნდა წარმოადგენდეს იმ დროისათვის. შინაური წარმოდგენები იმართებოდა სამეგრელოსა და გურიის მთავრების სასახლეებშიც.

ამგვარად, 50-იანი წლებისათვის, როდესაც გ. ერისთავის მიერ დაარსებულ იქნა მუდმივი ქართული თეატრი, არა მარტო ნიადაგი იყო მომზადებული თეატრის არსებობისათვის, არამედ ერთგვარი ტრადიციაც გააჩნდა მას.

---

[1] იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერი—H 232.

პირველი საყურადღებო ღონისძიება, რომელიც ვორონცოვმა ჯაატარა, იყო რუსული თეატრის დაარსება თბილისში.

1845 წლის 28 მარტს სამოქალაქო გუბერნატორმა სოტნიკოვმა ვორონცოვს მოხსენება წარუდგინა რუსული თეატრის შესახებ, რომლის დაარსებას მას იგი, ჯერ კიდევ თბილისისაკენ მომავალი, დუშეთის გზაზე დაპირდა. ვორონცოვმა დაამტკიცა მოხსენებითი ბარათით მოთხოვნილი 2.900 მანეთი თეატრის ხარჯებისათვის. საქმის პრაქტიკული მოგვარება დაევალა გ. პ. იაცენკოს, რომელთანაც 1845 წლის 2 აპრილს დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, თუ მის მიერ შედგენილი დასი კარგად იმუშავებდა, სხვებს თბილისში წარმოდგენების გამართვის უფლება არ მიეცემოდა. შედგენილ იქნა თეატრის დირექციაც, რომელშიც შედიოდნენ: ა. ჰავჰავაძე, ს. ხატისოვი, ი. რეუტი, ი. ნორდენსტამი, ს. სოფონოვი, ა. ბორზენკო, ფ. ფელკნერი, დ. სონინი, ს. აბესალომოვი. თეატრის დირექცია მუშაობას შეუდგა 1844 წლის 26 ივნისს.

გ. პ. იაცენკო იმთავითვე შედგომია მსახიობთა შეგროვებას ხარკოვსა, ოდესასა, სიმფეროპოლსა, სტავროპოლსა და სხვა ქალაქებში, მაგრამ თეატრის დირექციას შესრულებულად მაინც არ უცვნია მასთან დადებული ხელშეკრულება და დირექციის წევრს ი. ნორდენსტამს დავალებია დასის შედგენა. მაგრამ გ. იაცენკოს უკვე დახარჯული ჰქონდა მიღებული ფული (2.900 მანეთი), რის გამო დირექციის წევრებს თვითონ შეუგროვებიათ საჭირო თანხა, რომელიც შესაძლებლობისთანავე უკან უნდა დაბრუნებოდათ.

1845 წლის 20 სექტემბერს თეატრმა მუშაობა დაიწყო მანეჟის შენობაში. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ შემოსავალი ვერ ფარავდა გასავალს. ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, თეატრის დირექციამ ვორონცოვის წინაშე დააყენა საკითხი შორეული ადგილებიდან (სტავროპოლი, ხარკოვი, ოდესა) მოწვეული მსახიობების განთავისუფლებისა და ადგილობრივი ძალების გამოყენების შესახებ. ამასთანავე, დასის გაძლიერების მიზნით, დირექცია წინადადებას აყენებდა მოწვეული ყოფილიყო საიმპერატორო თეატრებიდან რამდენიმე მსახიობი.

1846 წლის 8 თებერვალს ვორონცოვმა სპეციალური ბარათი გაუგზავნა საიმპერატორო თეატრების დირექტორს გედეონოვს, რათა თბილისში მოეწვიათ რუსი აქტიორები. იგი გედეონოვს განუმარტავდა, რომ რუსული ენის გასავრცელებლად რუსული თეატ-

რის გაძლიერება თბილისში აუცილებელი იყო. ვორონცოვმა წერილი მისწერა აგრეთვე მოსკოვის მცირე თეატრის ფუძემდებელს, ცნობილ მსახიობს მ. ს. შჩეპკინს, რომელსაც თხოვდა დახმარებას მსახიობთა შერჩევისა და გამოგზავნის საქმეში.

გედეონოვისა და შჩეპკინისაგან ვორონცოვმა დადებითი პასუხი მიიღო. მაგრამ გედეონოვი დამატებით ახსნა-განმარტებას თხოვდა ვორონცოვს, რათა გაეგო, რა გზით უნდა გამოეგზავნა მსახიობები თბილისში და რა ხარჯები იყო ამისათვის საჭირო.

თბილისში ჩამოვიდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის თეატრების ცნობილი მსახიობები (ივანოვი, იაბლოჩკინი, ავენარიუსი, დიმიტრიევი, ბუნდინი და სხვ.), რომლებმაც გააძლიერეს დასი. თეატრში დაიარებოდა დიდძალი ხალხი, რომელიც სიხარულით შეხვდა პირველ წარმოდგენებს, თუმცა იგრძნობოდა გამოცდილი რეჟისორის უყოლობა. საყურადღებოა, რომ თბილისში ჩამოსვლა სურდა მ. ს. შჩეპკინსაც.

ვორონცოვი დაიტერესდა თეატრისათვის შესაფერი შენობის გამონახვითაც. გადაწყდა ახალი შენობის აგება, რომლის მშენებლობა წლობით გაგრძელდა. ვორონცოვი ყურადღებით ეკიდებოდა შენობის მხატვრულ გაფორმებასაც, რისთვისაც შექმნა სპეციალური კომისია და თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას. შენობის მშენებლობა თავის თავზე ჰქონდა აღებული გ. თამამშევს.

1851 წლის 12 აპრილს თეატრმა მუშაობა დაიწყო გ. თამამშევის ახალ შენობაში. ამავე წელს თეატრების დირექტორად დაინიშნა მწერალი ვ. ა. სოლოგუბი, ცნობილი „ტარანტას“ ავტორი.

დიდი მოვლენით აღინიშნა მე-19 საუკუნის 50-იანი წლები ქართული თეატრის ისტორიაშიც.

ხანგრძლივი „შესვენების“ შემდეგ კვლავ აღდგენილ იქნა ქართული თეატრი. ქართული ხალხის, მისი მოწინავე ნაწილის ოცნება პროფესიული თეატრის დაარსების შესახებ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს სინამდვილედ იქცა. 1850 წლის 2 იანვარს, გ. ერისთავის ხელმძღვანელობით, წარმოდგენილ იქნა მისივე კომედია „გაყრა“, რითაც საფუძველი ჩაეყარა მუდმივ ქართულ თეატრს.

ქართულმა თეატრმა გ. ერისთავის ხელმძღვანელობით ხუთი წელი იარსება (1850—54 წწ.) და, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

გ. ერისთავის თეატრმა საფუძველი ჩაუყარა სცენიურ რეალიზმს, შეიმუშავა ქართული სცენიური კულტურა, აღზარდა პირველი თაობა პროფესიონალ-მსახიობებისა და ხელი შეუწყო დრამატურგიული მწერლობის განვითარებას.

1854 წლის ნოემბერში გ. ერისთავმა თეატრის დირექტორობა გადასცა თავის მოწაფეს—ზურაბ ანტონოვს, რომელიც მოულოდნელმა სიკვდილმა უდროოდ მოსწყვიტა საყვარელ საქმეს.

1855 წლიდან ქართულ თეატრს სათავეში ჩაუდგა ივანე კერესელიძე, მაგრამ მეფის რუსეთის მოხელეთა ცინიკური დამოკიდებულებისა და მატერიალური დახმარების მოსპობის შედეგად ქართული თეატრი 1856 წელს დაიხურა. ამ მდგომარეობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ვორონცოვის საქმის გამგრძელებლებმა კვლავ შეცვალეს მოქმედების კურსი.

რუსული და ქართული თეატრების გვერდით, 1851 წელს თბილისში მუშაობა დაიწყო იტალიური ოპერის თეატრმა დირიჟორ ბარბიერის ხელმძღვანელობით. იტალიური ოპერის წარმატება მოლოდინს აჭარბებდა. მან მიიზიდა და გაიტაცა ქართველი და რუსი არისტოკრატიის დიდი ნაწილი. ოპერაში სიარული ერთგვარი ღირსების საქმედ გახდა.

1853 წლიდან თბილისში იდგმება ბალეტიც, რომელმაც, თავის მხრივ, საკუთარი მაყურებელი მოსძებნა.

ამგვარად, მე-19 საუკუნის 50-იანი წლებისათვის თბილისის მოწინავე საზოგადოებრიობას თეატრების საშუალებით საუკეთესო სულიერი საზრდო გაუჩნდა.

თეატრალური კულტურის აღმავლობა, თავის მხრივ, გარკვეულ გავლენას ახდენდა ხელოვნების სხვა დარგებზეც. მან თავისი გამოძახილი პოვა ლიტერატურაშიც.

ლიტერატურა. მე-19 საუკუნის 40—50-იანი წლები ქართული ლიტერატურის ისტორიაში ახალ ეპოქას იწყებს. ესაა პერიოდი, როცა ქართულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის სახით გაბატონებას იწყებს ახალი მხატვრული შემოქმედებითი მეთოდი.

აღნიშნული პერიოდის თავისებურება ქართულ ლიტერატურაში გამოიხატა იმაშიც, რომ პარალელურად საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებასთან: ერთი მხრივ—რომან-

ტიზმთან, რომელსაც ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა ჰქონდა გავლილი და თავის შესაძლებლობას სწურავდა; ხოლო, მეორე მხრივ — კრიტიკულ რეალიზმთან, რომელიც ის-ის იყო ყალიბდებოდა რომანტიზმთან ბრძოლაში.

40-იანი წლების დასასრულს ქართულმა რომანტიზმმა მძიმე დანაკლისი განიცადა: უდროოდ და მოულოდნელად გამოაკლდა რომანტიკოს მწერალთა პლეადას ნ. ბარათაშვილი (1845 წ.) და ალ. ძავჭავაძე (1846 წ.). ამასთანავე, ნიჭიერი რომანტიკოს-პოეტების გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების პოეტურ შთაგონებას სამსახურებრივი მოვალეობა იწირავდა მსხვერპლად.

ქართული რომანტიზმის მეორეხარისხოვან წარმომადგენელთა შემოქმედება, რომელიც ვიწრო სარბიელს ვერ სცილდებოდა, კრიზისს განიცდიდა. მწერალთა ეს ჯგუფი ეპიგონთა არასახარბიელო ბედს ვერ აღწევდა თავს. შედარებით მეტი მოწონება და გამოძახილი პოვა გრიგოლ რჩეულიშვილის რომანტიკულმა პროზამ. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, მისი შემოქმედების ჟანრობრივ ბუნებაში და უფრო მარტივ და სადა სამწერლო ენაში უნდა ვეძიოთ.

ქართული პროზა დიდი ხნის მანძილზე ელოდებოდა თავის მოამაგეს, მკითხველს წუყუროდა პროზაული ნაწარმოებები. გრ. რჩეულიშვილი, ამ მხრივ, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, არსებული ხარვეზის ამოვსებას რომ შეეცადა.

რომანტიზმის რეაქციული ფრთის წარმომადგენლები თავისებური გზით აწარმოებენ ბრძოლას კრიტიკული რეალიზმის წინააღმდეგ. პირველ ყოვლისა, მათ ალმაცერად შეხედეს რეალისტი მწერლების სამწერლო ენას, იგრძნეს გადახვევა ცნობილი სამი სტილის თეორიიდან. ამიტომ, ისინი შეეცადნენ ავტორიტეტთა წყალობით განემტკიცებინათ ძველი ნორმები, მიეღწიათ „საერთო“ შეთანხმებისათვის მართლწერის საქმეში. ამ მოძრაობას სათავეში ედგა ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც მტკიცედ იცავდა სამი სტილის თეორიას.

ცხოვრების სინამდვილე, ცხადია, არ ვითარდებოდა რომანტიკოსთა სასარგებლოდ. ბურჟუაზიული ურთიერთობის გაძლიერება საფუძველს აცლიდა წარსულის მეხოტბეებს.

მკითხველს სურდა თავისი თანამედროვე ცხოვრების ასახვა ეპოვა ლიტერატურაში. ამ ამოცანას კი მხოლოდ კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები პასუხობდნენ.

ამ პერიოდის მწერლობის შესწავლა გვაიძულებს, რომ საზოგადოებრივ ინტერესსა და ყურადღებას, პირველ ყოვლისა, კრი-

ტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა მხატვრული შემოქმედება იმსახურებს; იგი ახდენს ცხოველმყოფელ გავლენას საზოგადოებრივ აზრზე.

ის მწერლებიც კი, რომლებიც რომანტიკოსთა გავლენის ქვეშ იწყებენ სამწერლო მოღვაწეობას, მალე ტოვებენ აღებულ გზას და იმარჯვებენ სინამდვილის ასახვის რეალისტურ მეთოდს. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა ცნობილი მწერალი რაფიელ ერისთავი, რომელიც 40-იანი წლების ბოლოს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე (თუმცა, სრულიად დაუსაბუთებლად, ქართული ლიტერატურის ისტორიაში გ. წერეთლის შემდეგ ისწავლება).

მეტად საყურადღებოა მ. თუმანიშვილის კრიტიკულ-პუბლიცისტური მოღვაწეობაც. იგი საფუძველს უყრის რეალისტურ კრიტიკასა და პუბლიცისტიკას. ამიტომაა, რომ ენამწარე „მოლაყბეს“ მაღალ შეფასებას აძლევს ქართული კრიტიკული რეალიზმის კორიფე ი. ჭავჭავაძე.

მე-19 საუკუნის 40—50-იანი წლები ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღინიშნა კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებით. ამ პერიოდის რეალისტური მწერლობისათვის შეუფერებელია ადრეული რეალიზმის სახელი. ნამდვილად ჩვენ საქმე გვაქვს არა „ადრეულ რეალიზმთან“ (მე-19 საუკუნის 50-იან წლებში რეალიზმის ადრეულობაზე ლაპარაკი მეტად დაგვიანებულია), არამედ კრიტიკულ რეალიზმთან, რომელსაც მიზნად აქვს არსებული სინამდვილის კრიტიკული ასახვა. ამის საუკეთესო მაჩვენებელია გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, ლავრენტი არდაზიანისა და დანიელ ჭონქაძის შემოქმედება.

გიორგი ერისთავი

1. ცხოვრების გზა

ერისთავთა იმ შთამომავლობას, რომელსაც გიორგი ეკუთვნოდა, ქსნის ერისთავებს უწოდებდნენ. ძველი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქსნის საერისთავო დიდ როლს თამაშობდა და ცნობილი იყო თავისი სიძლიერით. ქსნის საერისთავოს რეზიდენცია სოფ. ახალგორში (დღევანდელ ლენინგორში) იყო მოთავსებული. გ. ერისთავის წინაპრებსაც ს. ახალგორში უცხოვრიათ, საიდანაც შემდეგ სოფ. ოძისში გადასახლებულან.

გიორგი დავითის ძე ერისთავი დაიბადა 1813 წელს, სოფელ ოძისში.

გ. ერისთავის დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ დღემდე მცდარი ვერსიაა გავრცელებული.

ი. მეუნარგიადან[1] დაწყებული, ყველა სახელმძღვანელოსა და ქრესტომათიის ავტორი წერს, რომ გ. ერისთავი დაიბადა 1811 წელს, სოფ. ხიდისთავში[2]. გ. ერისთავი კი, როგორც უკვე აღვნიშ-

---

[1] ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები, 1944 წ., გვ. 12. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ი. მეუნარგია გ. ერისთავის ცხოვრების სხვა თარიღების დადგენაშიც ცდება.

[2] ამ მხრივ სამართლიანი მოსაზრება აქვს გამოთქმული პოეტის შვილიშვილს ელისაბედ დავითის ასულ ერისთავს, რომელიც მხოლოდ საფლავის ქვაზე გაკეთებულ წარწერას ეყრდნობა. ელ. ერისთავმა თავისი „მოგონებანი" თვითონ გაგვაცნო, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ელ. ერისთავის მოსაზრებას გ. ერისთავის დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ მხარს უჭერს ს. ცაიშვილიც (იხ. გახ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1947 წ., № 29).

ნეთ, დაბადებულია 1813 წელს. რა საბუთები მოგვეპოება ამ თარიღის დასადგენად?

1. დავით გიორგის ძე ერისთავის მიერ მამის საფლავზე დადგმულ ძეგლს რუსულ და ქართულ ენებზე გაკეთებული აქვს შემდეგი წარწერა: „აქ განისვენებს გვამი გიორგი დავითის ძის ქსნის ერისთავისა გარდაცვალებულისა თ-ს სექტემბერს ჩყჲდ-სა წელსა, ხოლო შობიდან ნა-ის წლისა (ე. ი. 9 სექტემბერს, 51 წლისა.—დ. გ.) ძემან მისმან კ (ნიაზმან) დავით მწუხარებით უქმნა სახსოვარი ესე.

Здесь покоится тело князя Георгия Давыдова сына Эристова, скончавшагося 9 сентября 1864 года на 51 году от рождения.

Скорбящий сын его князь Давид посвящает сей памятник".

ამგვარად, გ. ერისთავი გარდაიცვალა 51 წლის (1864 წლის 9 სექტემბერს), რითაც აშკარა ხდება, რომ დაბადებული ყოფილა 1813 წელს.

აქვე შევნიშნავთ, რომ 1811 წელს დაბადებულა არა გიორგი, არამედ მისი უფროსი ძმა — როსტომი. როსტომის საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: „აქ განისვენებს მტევრი თავადის როსტომ დავითის ძე ერისთავისა, გარდაიცვალა 1847 წლის ოქტომბრის 8-ს, 36 წლისა". ე. ი. როსტომი დაბადებული ყოფილა 1811 წელს.

მხოლოდ ძეგლზე გაკეთებული წარწერა, რა თქმა უნდა, ვერ გადაწყვეტს საკითხს. იშვიათი არაა შემთხვევები, როცა ასეთი წარწერები სტყუიან, მაგრამ საეჭვოა, რომ ორივე ძმის საფლავის ქვებზე შეცდომით იყოს აღნიშნული მათი ხნოვანება!

2. გ. ერისთავი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო და მასზე, როგორც სხვა შეთქმულთა შესახებ, არსებობს საგამომძიებლო კომისიის მასალები. ამ მასალებში ვკითხულობთ: „ელიზბარმა (ერისთავი.—დ. გ.) მოსძებნა მხურვალე მონაწილე ახალგაზრდა გიორგი ერისთავში, 17 წლის პოეტში" [1].

მაშასადამე, ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ გიორგი ერისთავი 17 წლის იყო, როცა შეთქმულებაში ჩააბეს; ხოლო იგი 1830 წელს ჩაება შეთქმულებაში. ამ მასალების მიხედვითაც, გ. ერისთავი დაბადებულია 1813 წელს. ამიტომ არის, რომ საგამომძიებლო კომისიის დასკვნა მას მცირეწლოვნად აცხადებს და სასჯელიც უმსუბუქდება.

---

[1] იხ. Акты..., ტ. VIII, გვ. 411.

საყურადღებოა ისიც, რომ ციხეში მყოფ გ. ერისთავს 1833 წელს სვ. მაჩაბელი უძღვნის ლექსს, რომელშიც ამბობს: „შენ ყრმა, ჰაბუკი, მცირეწლოვანიო“.

3. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორად გ. ერისთავის წარდგენასთან დაკავშირებით, მ. ვორონცოვის მიერ გაგზავნილი სათანადო საბუთების საფუძველზე, 1851 წლის თებერვალში კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩერნიშოვი იმპერატორისადმი წარდგენილ ჭოხსენებაში წერს: „Губернский секретарь князь Эристов обучался в Тифлисском благородном училище, но курса наук не кончил; в 1832 году, за отличие в сражениях с горцами, произведен в прапорщики с состоянием по армии; в 1833 — переведен в Новоингермаландский пехотный полк; в 1841 — по домашним обстоятельствам, уволен от службы штабс-капитаном; в последствии занимал разные должности по уездному управлению за Кавказом, а в 1850 году определен младшим чиновником особых поручений при Наместнике Кавказском. Князю Эристову от роду 37 лет“ [1].

ცხადია, ვორონცოვი ზეპირად და თვითნებურად არ აწვდის ჩერნიშევს ცნობას გ. ერისთავის ხნოვანების შესახებ. მას აქვს სათანადო მასალები თავისი უმცროსი მოხელის შესახებ.

4. ყველაზე საიმედო და ამავე დროს გადამწყვეტიც, ამ შემთხვევაში მაინც, თვით გ. ერისთავის მიერ მოწოდებული ცნობაა, რომლისთვისაც დღემდე ყურადღება არავის მიუქცევია. 1833 წლის 5 თებერვალს თავისი ხელით დაწერილ ჩვენებაში გ. ერისთავი აღნიშნავს: „დაბადებიდან 19 წლისა ვარო“ [2], ე. ი. დაბადებულა 1813 წელს.

იქნებ გ. ერისთავმა საგანგებოდ დაიკლო ხნოვანება, რათა მცირეწლოვანი გამოსულიყო და სასჯელი შემცირებოდა? ასეთი შესაძლებლობა გამორიცხულია, ვინაიდან იგი უკვე ბარონ როზენთან მსახურობდა და მისი დაბადების თარიღი ცნობილი იყო. განა ძიების ორგანო, ისიც ჩეკინის მეთაურობით, საგანგებოდ არ შეამოწმებდა მის ხნოვანებას, როცა მისთვის — როგორც მცირეწლოვანისათვის — შეღავათი უნდა მიეცათ?!

ამგვარად, გ. ერისთავის დაბადების თარიღი სადავო აღარ არის. იგი დაბადებულია 1813 წელს და არა 1811 წელს [3].

---

[1] ЛОЦИД. Фонд „Кавказского комитета“. Дело 1851 года, № 104.

[2] საქ. სსრ ცენტრ. საისტ. არქივი, ლენინგრადის ფონდი, რვ. VI.

[3] ა. გაჩეჩილაძემ გაბეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (1950, №32) გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც კვლავ შეეცადა „დამტკიცებია“, რომ გ. ერის-

რაც შეეხება დაბადების ადგილს, დღემდე ესეც დაუზუსტებელია. სინამდვილეს არ შეეფერება მოსაზრება, რომლის მიხედვით გიორგი სოფ. ხიდისთავში დაიბადა. გიორგის მშობლებს ხიდისთავში არ უცხოვრიათ.

გ. ერისთავი დაიბადა სოფ. ოძისში და არა სოფ. ხიდისთავში, სადაც მუდმივ ცხოვრებას მხოლოდ დაქორწინების შემდეგ იწყებს.

პოეტის მამა—დავით როსტომის ძე ერისთავი იყო ქსნის ერისთავთა უფროსი მემკვიდრე, რომელსაც, ძველი წესის მიხედვით, საერისთავოს გამგეობა ხვდებოდა. დავითი განთქმული იყო პურადობითა და სტუმართმოყვარეობით. უკანასკნელად იგი მსახურობდა სახაზინო ექსპედიციაში, მრჩევლის თანამდებობაზე, გარდაიცვალა ხოლერით 1830 წელს.

დედა მარიამი—ივანე მდივნის ქობულაშვილის ასული, თავის დროისათვის კარგი განათლების მქონე და სათნო ხასიათის ქალი იყო. გიორგის მშობლებს სამი ვაჟი ჰყავდათ: რ ო ს ტ ო მ ი, გ ი ო რ გ ი და ი ვ ა ნ ე (იგივე ოქრო).

როსტომს (1811—1847) ცოლად ჰყავდა თეიმურაზ ამილახვრის ასული — ბაბალე, რომელთანაც შესძენია ერთი ვაჟი. როსტომის გარდაცვალების შემდეგ მისი პატარა ვაჟიც მალე მომკვდარა, ხოლო მეუღლე — ბაბალე საცხოვრებლად გადასულა ძმასთან — ივანე ამილახვართან სამშობლო სოფელ კასპში. გიორგის რძლისათვის მიუცია 15 ათასი მანეთი. სამაგიეროდ ძმის ქონება სოფ. კორინთაში მას დარჩენია. სოფ. კორინთაში გიორგი ზაფხულობით ცხოვრობდა.

უმცროსმა ძმამ—ივანემ კარგი განათლება მიიღო, დაამთავრა თბილისის გიმნაზია, იცოდა რუსული და ფრანგული ენები და მონაწილეობას ღებულობდა მწერლობაშიც. „ცისკარში“ დაიბეჭდა

თავი 1811 წელსაა დაბადებული. მას ამისათვის საკმარისად მიაჩნია ის ფაქტი, რომ გ. ერისთავი 35 წლისადაა დასაბეჭდებული გორის მაზრის თავადთა საგვარეულო სიებში (ცენტრ. საისტ. არქივი. ფონდი—213, საქმე—755), რაც 1846 წელსაა შედგენილი.

საკმარისი იყო ჩვენს მკვლევარს მასში დასახელებულ სხვა პირთა ხნოვანებაც შეემოწმებინა, რომ გაეგო აღნიშნული საბუთის შეტად არასაიმედობა. სიის პირველ ხომერზე დასახელებული ინფატერიის გენერალი გიორგი ესეს ძე ერისთავი 75 წლისადაა აღნიშნული, ე. ი. 1771 წელს უნდა იყოს დაბადებული. სინამდვილეში კი 1759 წელსაა დაბადებული. ასევე „სიხუსტეს“ იჩენს ეს საბუთი სხვების მიმართაც. ამიტომ; მასზე დაყრდნობით ასეთი რაიმეს „მტკიცება“ შეცდომაა. საბუთი პირველ ყოვლისა ღრმა შესწავლას ითხოვს ხოლმე და არა მხოლოდ გადმოწერას.

მისი ორიგინალური ლექსი „იამბიკო“ [1] და ნათარგმნი თხზულებები: ა. ბესტუჟევ-მარლინსკის მოთხრობა „ამალათ-ბეგ“ [2] (თარგმნა გიორგისთან ერთად), ბერნარის—„სიძე ამისთანა უნდა“ [3], მოთხრობა „ქორწილი სახრჩობელაზედ“ (ფრანგულიდან) [4], „ფრანცუზი ხანის არამხანაში“ [5] და სხვა.

* * *

რვა წლამდე გიორგი სოფელში იზრდებოდა კეთილი და განათლებული დედის უშუალო ხელმძღვანელობით. ერთ-ერთი ბიოგრაფის სიტყვით, მომავალ პოეტს დედამ „ჩაუნერგა გულში სამშობლოს სიყვარული, ასწავლა ქართველობა და ქართული ენა“ [6].

სოფლის ცხოვრებას გაცნობილი და შეჩვეული გიორგი 1821 წელს მშობლებმა მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1804 წელს საგანგებოდ იქნა დაარსებული მაღალი წოდების მქონეთა შვილებისათვის. ყოველ არდადეგებს გიორგი სოფელში ატარებდა, სადაც აკვირდებოდა და სწავლობდა სოფლელი ხალხის ცხოვრებას, თანაც ბევრ სასარგებლო ცოდნას იღებდა დედისაგან.

ლექსების წერა გიორგის თორმეტი წლის ასაკში დაუწყია. ი. მეუნარგიას ცნობით, „თორმეტის წლისა იგი უკვე წერდა ლექსებს და უკითხავდა ამხანაგებს, რომელთა შორის ქართული ენის სიყვარული მაშინ ძალიან გაერცელებული იყო“. სამწუხაროდ, პოეტის ადრეულ ნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში გიორგი სწავლობდა 4 წელი, ხოლო შემდეგ მშობლები მას მოსკოვში აგზავნიან. პოეტის ბიოგრაფი ი. მეუნარგია გადმოგვცემს: „ათი წლის გიორგი ჩამოიყვანეს ქალაქში და მიაბარეს კეთილშობილთა სასწავლებელში... კეთილშობილთა სასწავლებელი არ შეუსრულებია პოეტს, როცა გადავიდა მეხუთე კლასში, მისმა ბიძამ, მიტროპოლიტმა ვარლაამმა, რომელიც ცხოვრობდა მოსკოვში, მისწერა მის მშობლებს.

---

[1] „ცისკარი“, 1861 წ., № 1. როგორც ჩანს, აღნიშნული ლექსი გიორგიმ გამოაქვეყნა. ივანე ამ დროს გადასახლებაშია.

[2] „ცისკარი“, 1852 წ., № 4, 5, 6, 7, 8.

[3] „ცისკარი“, 1852 წ., № 9, 12.

„ცისკარი“, 1852 წ., № 10.

[4] „ცისკარი“, 1852 წ., № 11.

[5] ი. ა-სა „გიორგი ერისთავი“, ჟურნალი „ნაკადული“ (მოხრდილთათვის), 1904 წ., № 1.

ვაეგზავნათ მისთვის ერთ-ერთი შვილი. ასეთივე წერილი მოუვიდა დავითის მეორე ძმას, მირმანოზ ერისთავსაც. დავითის შვილებში წილი ხვდა გიორგის, რომელიც მის ბიძაშვილთან, ესტატესთან ერთად გაგზავნეს მოსკოვს 1825 წელს. მოსკოვს ყოვლადსამღვდელო ვარლამმა თავის ახალგაზრდა ნათესავები კერძო პანსიონში მიაბარა.

მაგრამ არც ამ პანსიონის დამთავრება ხვდა ახალგაზრდა გიორგის. შემდეგ ორი წლის სწავლისა, გიორგის გაუხდა ავად მისი ბიძაშვილი და ექიმებმა არჩიეს ავადმყოფის სამშობლოში გაგზავნა. დაშინებულმა ვარლამმა ვერც გიორგის დატოვება გაბედა მოსკოვში და 1828 წელს გიორგი ისევ სამშობლოში გამოისტუმრაო[1].

ი. მეუნარგიას ამ ცნობით გიორგი კეთილშობილთა სასწავლებელში შეუყვანიათ ათი წლის, ე. ი. 1821 წელს (მეუნარგიას შეხედულებით გიორგი 1811 წელსაა დაბადებული), ხოლო 1825 წელს წასულა მოსკოვს, სადაც ორი წელი დაუყვია და 1828 წელს დაბრუნებულა.

ეს ცნობები სავსებით არ შეეფერება სინამდვილეს. აი, რას წერს თვითონ გ. ერისთავი: „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ვსწავლობდი 4 წელი. შემდეგ წავედი მიტროპოლიტ ვარლამთან. იქ ვსწავლობდი 6 თვე და შემდეგ დავბრუნდი საქართველოშიო". და იქვე ამბობს: „მოსკოვში წავედი 1825 წელს და დავბრუნდი 1826 წელსაო"[2].

ამგვარად, გ. ერისთავი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შესულა 1821 წელს, 8 წლის (და არა 10 წლის), აქ უსწავლია 4 წელი და 1825 წელს გაუგზავნიათ მოსკოვში. მოსკოვში დარჩენილა 6 თვე (და არა 2 წელი), რის შემდეგ, 1826 წელს (და არა 1828 წელს), დაბრუნებულა საქართველოში.

რა ნათესაურ დამოკიდებულებაში იყვნენ: გიორგი, მიტროპოლიტი ვარლამი[3] და ესტატე? თუ ი. მეუნარგიას ზემომოყვანილ ცნობას დავეყრდნობით, გიორგის მამა — დავითი, მიტროპოლიტი ვარლამი და ესტატეს მამა — მირმანოზი ძმები იყვნენ, ხოლო ეს-

---

[1] ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები, 11, 1944 წ., გვ. 12.

[2] ცენტრ. საისტ. არქივი. ლენინგრადის ფონდი, რვ VI.

[3] 1811 წელს, როდესაც კათალიკოსი ანტონ II განთავისუფლებულ იქნა საეკლესიო საქმეებისაგან და გაწვეული პეტერბურგში, შემოღებულ იქნა ეგზარხოსობა, ეგზარხოსის თანამდებობაზე ღანიშნულ იქნა ვარლამი, რომელიც საქართველოს საეკზარხოსოს მართავდა 1817 წლის 26 მაისამდე, ხოლო შემდეგ გაწვეულ იქნა პეტერბურგში, სადაც დარჩა 1825 წლის 21 თებერვლამდე. 1825 წლიდან ვარლამი მოსკოვში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1830 წლის 30 დეკემბერს

ტატე და გიორგი ბიძაშვილები, ე. ი. გიორგი და ესტატე ბიძასთან წასულან მოსკოვში. მაგრამ აქ ერთგვარ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. მიტროპოლიტი ვარლამი არის არა გიორგის, არამედ გიორგის მამის — დავითის ბიძა; ხოლო ესტატე არის არა გიორგის, არამედ გიორგის მამის — დავითის ბიძაშვილი, ე. ი. გიორგისათვის ვარლამი არის ბაბუის ძმა, ხოლო ესტატესათვის ღვიძლი ბიძა.

ერთი სიტყვით, ასეთი გენეალოგიური[1] სურათი გვაქვს:

ქსნის ერისთავი იასე

დავითი

როსტომი, ვარლამი (მიტროპოლიტი), მიხეილი, ძირმანობა, სოლომონი

დავითი, შალვა, იასე — ივანე, ესტატე, კონა (იაკობ), მანანა

როსტომი, გიორგი, ივანე

დავითი, კონსტანტინე

რა შთაბეჭდილება დატოვა მოსკოვის ცხოვრებამ გ. ერისთავზე, ან რა გარემოში უხდებოდა მას იქ ყოფნა, ჩვენთვის არაა ცნობილი. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი ბიოგრაფის ცნობა: „ვარლამ მიტროპოლიტმა გიორგი კერძო პანსიონში მიაბარა. იმ დროს ჩვენი ბატონიშვილები მოსკოვსა და პეტერბურგში იყვნენ გადასახლებული. ამათ გარშემო იყრიდა ხოლმე თავს ჩვენი ქართველობა. უმაწვილ კაცებს უცხო ქვეყანაში უფრო უძლიერდებოდათ სამშობლოს სიყვარული. განათლებული ბატონიშვილების ოჯახში გიორგი უფრო განვითარდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის ცოდნაშიო“[2].

ვფიქრობ, აქ ერთგვარი გადაჭარბებაა, მაგრამ გამორიცხული არაა შესაძლებლობა გიორგის მიერ ბატონიშვილთა ოჯახების გაცნობისა. ისიც ცხადია, რომ მოსკოვში მყოფი ბატონიშვილები, თავის მხრივ, დაინტერესდებოდნენ სწავლის მისაღებად მოსკოვში ჩასული ახალგაზრდებით, რომლებიც შემდეგ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

1826 წელს გიორგი ერისთავი უკვე თბილისშია. იგი სწავლას აღარ აგრძელებს, ერთხანს ისვენებს, ხოლო 1827 წელს, როგორც

[1] ქსნის ერისთავთა გენეალოგია, რომელიც თ. ჟორდანიას აქვს მოცემული (იხ ქრონიკები, 11, გვ. 30, 535), ბევრ შეცდომას შეიცავს, განსაკუთრებით ერისთავთა უკანასკნელი თაობების მიმართ.

[2] ი. ა-სა. „გიორგი ერისთავი“, ჟურნალი „ნაკადული“ (მოხრდილთათვის), 1901 წ., № 1.

თვითონ ამბობს, სამსახურს იწყებს სამხედრო გუბერნატორ ნიკოლოზ მარტვიანის ძე სიპიაგინთან [1].

6. სიპიაგინი შესცვალა სტრეკალოვმა, რომელთანაც გ. ერისთავი კვლავ აგრძელებს მუშაობას. იგი სტრეკალოვს ჰხლებია ზაქათალას ბრძოლაშიც. სტრეკალოვის წასვლის შემდეგ გიორგი ერთხანს სამსახურის გარეშეა, ხოლო 1832 წლის უკანასკნელ მეოთხედში სამსახურს იწყებს ბარონ როზენთან და მონაწილეობას იღებს ყაზი-მულას წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში.

გ. ერისთავი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში წერს: „1827 წელს მიღებულ ვიქენი სამსახურში სამხედრო გუბერნატორის სიპიაგინის მიერ საგანგებო დავალებათა მოხელედ, მისი სიკვდილის შემდეგ სტრეკალოვთან, რომელსაც ვახლდი ზაქათალას ბრძოლაში. სტრეკალოვის წასვლის შემდეგ დავრჩი სამსახურის გარეშე, მაგრამ როდესაც ახლანდელი მეხუთე კორპუსის უფროსი გაემგზავრა ჩეჩნელთა და ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად, მეც ვეღებულობდი მასში მონაწილეობას, რისთვისაც მივიღე ჩინი კავალერიის პრაპორშჩიკისაო". ასეთი იყო გ. ერისთავის პირველი ნაბიჯები ცხოვრების პრაქტიკულ სარბიელზე. მაგრამ მხოლოდ პრაქტიკული მოღვაწეობით არ ამოიწურება ახალგაზრდა გ. ერისთავის საქმიანობა ამ პერიოდში.

მოსკოვიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ გიორგი სასწავლებელში აღარ შესულა, მაგრამ ბეჯითად დაეწაფა თვითგანვითარებას. მას შეგნებულად სწამდა, რომ ერის მომავალი განათლების გავრცელებასა და გაუმჯობესებაზე იყო დამოკიდებული. მაღალ წოდებაში გაბატონებული შურიანობისა და უთანხმოების მიზეზსაც უსწავლელობასა და გაუნათლებლობაში ხედავდა. ფილადელფოს კიკნაძესთან საუბარში, 1831 წელს, გიორგი ამბობს: „ვიდრე მთელი ახალგაზრდობა განათლებას არ მიიღებს და არ დამყარდება მათ შორის სიყვარული, იქამდის არავითარი საშუალებით არ შეიძლება ამის (შუღლის. — დ. გ.) მოსპობაო" [2].

გ. ერისთავი ბევრს კითხულობდა და წერდა ლეკსებს; დ. ყიფიანთან ერთად მან დაიწყო ფრანგული ენის შესწავლა. საგანგებოდ

---

[1] ზოგიერთი მკვლევარი ერთგვარ გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ერისთავი 14 წლის ასაკში როგორ მიიღეს სამსახურში. ასეთი შეეთხვევა იმ დროს იშვიათი არაა. მაღალი წოდების ამ ასაკის ახალგაზრდებს იღებდნენ „განსაკუთრებულ დავალებათა უმცროს მოხელედ". „განსაკუთრებული", რა თქმა უნდა, არ ნიშნავს „სამძიმოს", „სერიოზულს". იგი „განსაკუთრებულია" სწორედ თავისებური ხასიათის გამო.

[2] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ., გვ. 247.

სწავლობდა ქართულ ენასაც. „ბავშობიდანვე სურვილი მქონდა კარგად შემესწავლა ქართულიო", — ამბობს თვით გიორგი[1]. იგი აქტიური მონაწილეა ს. დოდაშვილის ლიტერატურული წრის, რომელშიც გაერთიანებული იყო იმ დროის მოწინავე ადამიანები: გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ჩიქოვანი, ფილადელფოს კიკნაძე, ლუკა ისარლიშვილი და სხვები.

აღნიშნული წრის კარგი მუშაობის შედეგი იყო ს. დოდაშვილის მიერ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის" გამოცემაც.

გ. ერისთავის პოემის „ოსური მოთხრობის" ერთი ნაწილი ს. დოდაშვილმა კიდევაც გამოაქვეყნა „ტფილისის უწყებანის" სალიტერატურო ნაწილში (1832 წ., № 2, 3, 4).

ს. დოდაშვილის ლიტერატურულმა წრემ, როგორც ზ. ჰიჰინაძე წერს, ბევრი რამ გააკეთა „ქართველ ერში კარგი წესების შესატანად, ქართული მწერლობის ასაღორძინებლად და მწერლობაში კარგი იდეის შესატანად". ს. დოდაშვილი ახალგაზრდა მოღვაწეებში ზრდიდა სამშობლოს სიყვარულს, უჩვენებდა მათ მომავალი მოღვაწეობის გზას, ურჩევდა ფუქსავატი ცხოვრებისაგან თავის დაღწევას. „ახალგაზრდებო, გაახილეთ თვალები და დაანებეთ არშიყულ ლექსებისა და ბაიათების წერას თავი, ლექსები წერეთ საქართველოს შესახებ, ქართული ერის წარსულზედ, რომ ქართველმა ოდესმე კიდევ დაიბრუნოს დანაკარგიო", ასე მიმართავდა ხოლმე ნიჭიერი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე ს. დოდაშვილი თავისი წრის წევრებს[2].

ამ პერიოდის მწერლობისათვის ერთი თვალის გადაელებაც საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ ს. დოდაშვილის ასეთ რჩევას საგრძნობი შედეგი გამოუღია. ამ დროისათვის ჩვენ მწერლობაში ბატონდება ისტორიული თემატიკა, ძლიერდება ეროვნული მოტივი და ინტერესთა სფეროდან გადის ე. წ. „გარდავალი ხანის" ლირიკა, ვარდ-ბულბულიანური პოეზია.

30-იანი წლების დასაწყისში თბილისში იწყება გაცხოველებული ლიტერატურული მუშაობა. ეს ის დროა, „როცა რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ ჩვენებური ახალგაზრდა ყმაწვილკაცნი, რომელთაც ჩამოიტანეს თან ქართული მწერლობის სიყვარული, საქართველოს ბატონიშვილებისა და მათ გარე'შე პირთაგან შეძენილი პეტერბურგსა და მოსკოვში. ამ ყმაწვილკაცთა ზედ დაერთო-

---

[1] გ. გოხალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ., გვ. 247.

[2] ზ. ჰიჰინაძე. ს. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი, გვ. 11.

ის თაობაც, რომელიც გამოიზარდა კეთილშობილთა სკოლაში, და ცოტ-ცოტათი ტფილისში დაარსდა ქართული მწერლობის მოყვარეთა წრე, საცა დაიბადა შემდეგში ქართული ჟურნალის გამოცემის აზრი. ამათში გიორგი ერისთავს პირველი ადგილი ეპირა" [1].

გ. ერისთავი. ამავე ხანებში, ინტერესს იჩენს თეატრალური საქმისადმი და მონაწილეობს შინაური წარმოდგენების გამართვაში.

* * *

გ. ერისთავს მეტად თავისებურ დროს მოუხდა თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და პოეტური ნიჭის მომწიფება. 30-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ აზრში უთანხმოება სუფევს, დიდ თუ პატარა საზოგადო მოღვაწეს სხვადასხვაგვარად ესმის ცხოვრების მოთხოვნები და საჭიროება; ესაა წლები, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მარცხით დამთავრებული აჯანყებების შემდეგ, არისტოკრატიის მაღალი წრიდან გამოსული ქართველი მოღვაწეები, ბატონიშვილების ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით, ამზადებენ შეთქმულებას საქართველოდან მეფის რუსეთის განსადევნად და სახელმწიფოს სათავეში კვლავ მეფეებისა და თავადაზნაურობის დასაყენებლად [2].

გ. ერისთავი, აღზრდილი დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს სიყვარულის გრძნობით, თავისი პოლიტიკური რწმენით მეფის რუსეთის განდევნის მომხრეთა ბანაკს ეკუთვნოდა.

რიცხვმრავალი ბატონიშვილები, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პეტერბურგსა და მოსკოვში იყვნენ გაგზავნილნი, ცუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ ენახათ მარჯვე მომენტი ძველი მდგომარეობისა და უფლებების აღსადგენად. შეიძლება ითქვას, რომ იდეა საქართველოში შეთქმულების მოწყობისა ჰქონდა ჯერ კიდევ დ. ბატონიშვილს, საქართველოს სამეფო ტახტზე რეგენტის ტიტულით მცირე ხანს ნამყოფს, რომელსაც ადრე გაუფრინდა „სიხარულის ფრინველი". მაგრამ დავითი ვეღარ მოესწრო შეთქმულების მოწყობისათვის ხელსაყრელ დროს; იგი 1819 წელს გარდაიცვალა პეტერბურგში. სამაგიეროდ, შეთქმულების მომზადებისა და მოწყობის საქმეს, როგორც ეს არსებული მასალებიდან ირკვევა, სათავეში ჩაუდგა ფარნაოზ ბატონიშვილი. ფარნაოზის უშუალო დავალებით, შეთქმულებას ამზადებდა დიმიტრი იულონის ძე ბატონიშვილი, სრულიად ახალგაზრდა, რომელსაც, საქართველოს

---

[1] ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები, 11, 1944 წ., გვ. 13.

ი. სტალინი ხახულებანი, ტ. 1, 1947 წ., გვ. 32

შინაური ცხოვრების უცოდინარობის გამო, რა თქმა უნდა, თვითონ არ შეეძლო დამოუკიდებლად მოეკიდა ხელი ასეთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებისათვის.

შეთქმულების მზადების პრაქტიკულ ხელმძღვანელებად მოჩანან დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები, რომლებიც, თავის მხრივ, ფარნაოზთან არიან დაკავშირებული, მაგრამ შეთქმულთ ამის თაობაზე არაფერს ეუბნებიან. თუმცა ზოგიერთმა შეთქმულმა იცის, რომ ისინი (დიმიტრი და ოქროპირი) დადიან და მთელი დღეობით საუბრობენ ფარნაოზთან [1].

ბატონიშვილები ახერხებენ თავიანთი აზრები მოახვიონ თავს პეტერბურგში სწავლის მისაღებად ჩასულ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც, ისედაც მეფის რუსეთით უკმაყოფილო წრიდან არიან გამოსულნი. ესენია: ალექსანდრე, ლუარსაბ და ივანე ჩოლოყაშვილები, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, დიმიტრი, ელიზბარ და ზაქარია ერისთავები, გაბრიელ მამაცაშვილი, ს. რაზმაძე, ს. დოდაშვილი და სხვები, რომლებიც ხშირად იკრიბებიან დიმიტრი ბატონიშვილის ბინაზე და წარმოადგენენ პირველ ბირთვს შეთქმულებისას. ბატონიშვილთა უპირველესი მიზანი იყო მათი მომზადება საქართველოში შეთქმულების შესაქმნელად და გასაფართოებლად. ისინი კიდევაც აღწევენ ამ მიზანს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასახელებული პირები აქტიურად მოქმედებენ და აარსებენ შეთქმულთა წრეს, რომელიც დღითი-დღე იზრდებოდა იმდროინდელი გამოჩენილი მოღვაწეების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ხარჯზე.

გ. ერისთავს, მიუხედავად მცირე ასაკისა, ფხიზელი გონებისა და მახვილი ენის წყალობით ახლო მეგობრობა და მისვლა-მოსვლა ჰქონდა ყველა გამოჩენილ მოღვაწესთან (ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, ვ. ორბელიანი, ს. რაზმაძე, ალ. ორბელიანი და სხვ.); ყველა აფასებდა და ანგარიშს უწევდა მას. დიმ. ყიფიანი იგონებს ერთ-ერთ შეკრებას, 1832 წლის ივნისში, ელ. ერისთავის ბინაზე და ამბობს: „სადილის დროს ლაპარაკობდნენ ქართულად საკმაოდ გაბედულად თავიანთ განზრახვების შესახებ. სტუმრებმა დალიეს შამპანიურით თავისუფლების სადღეგრძელო, შემდეგ ჩამოაგდეს ლაპარაკი ქართლზე და კახეთზე, რომელი მათგანი უფრო დაეხმარება საქმეს. კახელების დამცველი იყო დოდა-

---

[1] იხ. საქ. ცენტ. არქივში დაცული შეთქმულთა მასალები; აგრეთვე პროფ. გ. გოხალიშვილის „1832 წლის შეთქმულება", 1935 წ.

შვილი, ქართლელების კი—ერისთავი 1-ლი (გიორგი დავითის ძე. დ. გ.), რომელიც ოხუნჯობდა და მოსწრებული სიტყვებით სჯაბნიდა პირველსო“ [1].

ოხუნჯობით, ენამახვილობითა და ფხიზელი გონებით გიორგი ცნობილი იყო საერთოდ. გადასახლებაში მიმავალ გიორგის სვ. მაჭაბელი მიმართავს:

შენთვის ეჯ კმარა, რაცა სიმდიდრედ
თან მიგდევეს სრული გონიერება.
იგ გეკმარების სიბრძნის სიმდიდრედ,
თუმცა იხმარე ზომიერება.

ეგ ძაღლი ენა სადაც მიგყვება,
დროს გაატარებ სიხარულითა [2].

სრულებით არაა მოულოდნელი, რომ 1828 წელს, როცა გიორგი უკვე სამხედრო გუბერნატორთან მსახურობდა, სხვებთან ერთად იგიც მიწვეული იყო დიდი რუსი მწერლის ა. გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ქორწილზე, რომელიც მთავარმართებელმა პასკევიჩმა გამართა (პასკევიჩი ნათესავი იყო ა. ს. გრიბოედოვისა).

გ. ერისთავს ამ მიწვევაზეც გამოუჩენია თავისი ხალხისა და მისი წესების სიყვარული. პოეტის ბიოგრაფის ი. მეუნარგიას თქმით: „1828 წელს, როდესაც რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ქალაქში, მაშინდელმა მთავარმართებელმა პასკევიჩმა, რომელიც გრიბოედოვის ნათესავი იყო, ქორწილი თავის სასახლეში გადაიხადა და ამ ქორწილზე მიიწვია საქართველოს ბევრი თავადაზნაური და სხვათა შორის ახალგაზრდა გიორგიც. დანიშნულ დროზე გიორგი ქართული ტანისამოსით მორთული მიეიდა სასახლეში და შეუდგა კიბეს, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი ვაკვირვება... კიბეზე ასვლის დროს კალთაში სწვდა მას პოლიციის ერთი მოხელე და დარბაზში შესვლის ნება არ მისცა ქართული ტანისამოსით. გიორგიმ ითაკილა ამგვარი შეურაცხყოფა და შინ დაბრუნდა. თავმოყვარეობამ ნება არ მისცა მას სხვა ტანისამოსი ჩაეცვა და ისე დასწრებოდა ქორწილსო“ [3].

გიორგი ერისთავს ქართული ტანსაცმლის და ქართველი ჩვევების სიყვარული ბოლომდე გაჰყვა. მაშინაც კი, როცა იგი, როგორც განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე, ვალდებული იყო გაეკეთებინა ფორმა ჩაეცვა, ქართული ტანსაცმლით დაიარებოდა.

---

[1] დიმ. ყიფიანი. მემუარები, 1930 წ., გვ. 141.

[2] იხ. ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“, 1899 წ., XI, გვ. 5—8.

[3] ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები, წ. 11, 1944 წ., გვ. 13.

ცხადია, გ. ერისთავს ვერ მიიზიდავდა და ერთგულს ვერ გახდიდა მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობა. ახალგაზრდა პატრიოტს ყოველდღე ეზრდებოდა სიძულვილი უცხო წესები სადმი და თანდათან მეტ საერთოს ნახულობდა მეფის რუსეთის მოწინააღმდეგე ადამიანებთან. მათაც შეუნიშნავი არ დარჩენიათ ახალგაზრდა, მაგრამ ნიჭიერი და ენამახვილი პოეტის პოლიტიკური სულისკვეთება.

გ. ერისთავი შეთქმულებაში ჩაება ელიზბარ ერისთავმა 1830 წელს, როცა იგი (ელიზბარი) პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნდა.

თავის ერთ-ერთ ჩვენებაში გ. ერისთავი ამბობს: „პირველი შემაცდენელი ჩემი იყო ელიზბარი...რომელ ოდეს გადმოვიდა რა ოუსეთით გავიცანი იგი, ყოვლად უბედურად თავისა ჩემისა, რადგანაც იყო ბიძაშვილი ჩემი; რომელიცა მხედვიდა მე რაოდენსამე თვესა, და უწყოდა მეტყველებითა თვისითა დაბნელება გონებისა ჩემისა. ყოველთვის მეცადინეობდა გამოცდასა ჩემსა, თუ ვითარ ვიყავ მე მიდრეკილ მართებლობისადმი“ [1].

გ. ერისთავი მალე შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა. იგი გაბედულად და ენერგიულად მოქმედებდა შეთქმულთა რიცხვის ზრდისა და მათი ურთიერთ დაახლოებისათვის. კერძოდ, მან მიიღო ფილადელფოს კიკნაძისაგან და გაავრცელა ბიწერ-მოწერისათვის საჭირო საიდუმლო ანბანი და „აკტი გონიური“, რომელიც შეთქმულთა ერთგვარ წესდებას წარმოადგენდა. ფილადელფოს კიკნაძე აჩვენებს, რომ „მან (გიორგი ერისთავმა.— დ. გ.) განაღვიძა ჩემს შორის აზრი, რომ მე აღუთქვი მას შეთხზვად ამისთანა აკტისაო“ [2].

ფილადელფოს კიკნაძე გიორგის გაუცნია 1832 წელს, როცა ბამიდის მეუღლის—კაპიტან ჩოლოყაშვილის ცხედარი გაუცილებია კახეთში და საკმაო ხანს დარჩენილა მამიდასთან. გარდაცვლილი ჩოლოყაშვილის ძმებს, რელიგიური წესების ასასრულებლად, შუა ბთის მონასტრის სხვა ბერებთან ერთად, ფილადელფოს კიკნაძეც ბიყავდათ ხოლმე. გ. ერისთავი, რომელსაც მანამდეც გაეგონა ფილადელფოს კიკნაძის შესახებ, დაახლოებია მას და ერთმანეთში უცვნიათ შეთქმულთა მონაწილე. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ფილადელფოსი გიორგის ეუბნება, რომ მას შედგენილი აქვს განსაკუთრებული ანბანი საიდუმლო მიწერ-მოწერისათვის. ამასთანავე

[1] გ. გოხალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ.. გვ. 241.
[2] იქვე. გვ. 262.

პირდება, რომ შეადგენს გარკვეულ წესდებას, რომლის საშუალებით გაადვილდება შეთქმულებაში ახალ წევრთა ჩაბმა და მათი დაახლოება.

ამის თაობაზე გ. ერისთავი გამოძიებას უჩვენებს: „შარშან აქ გარდაიცვალა ბიძაჩემი კაპიტანი ჩოლოყაევი, მაშინ მე გავაცილე პისი გვამი კახეთში, სადაც დავრჩი მამიდაჩემთან. ექვსი დღის შემდეგ მიცვალებულის წირვა იყო, სადაც მოწვეულნი იყვნენ ყველა თავადაზნაურნი კახეთისა და აგრეთვე სამღვდელოება. შუა მთის ბერებს შორის იყო ერთი ფილადელფოს კიკნაძე, რომელსაც აქებდნენ როგორც ქართული ენის კარგად მცოდნეს. მე ძალიან ვცდილობდი გამეცნო იგი, მით უმეტეს, რომ ბავშობიდანვე სურვილი მქონდა კარგად შემესწავლა ქართული. ხსენებული ბერი იქ სამ დღეს დარჩა და ჩემთან ერთად იყო ერთ ოთახში და სხვადასხვა რამეებზე მელაპარაკებოდა... მესამე დღეს ის წავიდა. ორი კვირის შემდეგ დანიშნული იყო კვლავ მიცვალებულის წირვა და მოწვეული იყვნენ თავადაზნაურნი და სამღვდელოება, სადაც იგიც მოვიდა და ხუთი თუ ექვსი დღე დარჩა... მან მითხრა ბევრი თხზულება მაქვსო და სხვათა შორის თქვა, რომ ერთნაირი ანბანი შეეადგინე, რომლით წერაც ძალიან ადვილია და ჩვენს ხუცურს მიაგავსო, რომელიც მან მე დამიწერა... ამის შემდეგ მითხრა, რომ ერთი საშუალება მოვიგონეო, მე შევთხზავ ერთ რამეს, რომლის საშუალებითაც თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ მეგობრები და მოიპოვოთ მეგობრული სიყვარული. შემდეგ ის წავიდა. ორმოცი დღის შემდეგ ისეთივე წირვა და წესი იყო, ისიც კვლავ მოვიდა და თქვა, რომ მან ის უკვე შეთხზა და როდესაც მე ტფილისში გავემგზავრები, თუ შევივლი მასთან, გადმომცემს მოხსენებულ თხზულებას. მე კახეთში დავრჩი გაზაფხულამდის და მერე გავემგზავრე ტფილისს აბელ ჩოლოყაევთან ერთად. შევიარეთ მონასტერში... მაშინ კიკნაძემ წამიკითხა ხსენებული თხზულება, რომელიც მე ძლიერ მომეწონაო". ფილადელფოსს გიორგისათვის დაუვალებია: „ეს წაუკითხეთ თქვენს მეგობრებს და ვისაც წაუკითხოთ მე მომწერეთ და ისიც შემატყობინეთ, ისინი რას იტყვიანო". გიორგის დავალება შეუსრულებია: „აქ რომ ჩამოვედით, ამბობს იგი, პირველ წაუკითხე ყიფიანოვს და ავთანდილოვს, შემდეგ კი ყველა ჩემს ამხანაგებს. დოდაევმა მთხოვა ის და მას გადავეციო"[1].

---

[1] გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ., გვ. 247-8.

გიორგი ერისთავი მართლაც სწერს ფილადელფოსს წერილს, სადაც დაწვრილებით ატყობინებს, თუ ვის წაუკითხა „აკტი გონიური“ და ვის წაუკითხავს ახლო მომავალში.

დ. ყიფიანი და ზ. ავთანდილაშვილი თავის მხრივ აჩვენებენ, რომ მათ გ. ერისთავმა წაუკითხა „აკტი გონიური“ და ბოითხოვა მათგან „საიდუმლო ძმობის ფიცი იმ აკტის თანახმად“. მაგრამ, როგორც ჩანს, „აკტში“ მტკიცედ ჩამოყალიბებულმა წესებმა და სავალდებულო ფიცმა კვლავ დააფიქრა ისინი, რადგან აშკარად იგრძნეს მძიმე პასუხისმგებლობა. ამის მაჩვენებელია მათი უარი[1].

ამგვარად, შეთქმულთა გარკვეულ ნაწილს პირველად გ. ერისთავმა გააცნო „აკტი გონიური“, რაც მცირე მნიშვნელობის მოვლენა არ ყოფილა მათ საქმიანობაში.

გ. ერისთავმა გაავრცელა აგრეთვე შეთქმულთა შორის საიდუმლო ანბანი. ჩვენამდე მოაღწია ამ ანბანით დაწერილმა გ. ერისთავის წერილებმა, რომლებიც მას ფილადელფოსისათვის გაუგზავნია.

ბუნებრივად ისმის კითხვა: საიდუმლო ანბანისა და „აკტი გონიურის“ შემდგენელი ნამდვილად ფილადელფოს კიკნაძე არის, თუ არა?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელ ბირთვს პეტერბურგსა და მოსკოვში მცხოვრები ბატონიშვილები წარმოადგენდნენ, ხოლო საიდუმლო ანბანი და „აკტი გონიური“ ისეთი მოვლენაა შეთქმულთა მუშაობაში, რომ ძნელი წარმოსადგენია მისი შედგენა და გავრცელება რომელიმე შეთქმულთაგანს, კერძოდ, ფილადელფოსს გაებედა და თავისთავზე აეღო პასუხისმგებლობა, ბატონიშვილების გარეშე. ამასთანავე, როგორც ეს გ. ერისთავისა და ფილადელფოსის ჩვენებებიდან ჩანს, ფილადელფოსს საიდუმლო ანბანისა და „აკტი გონიურის“ შედგენის იდეა გიორგისთან საუბრის დროს შეექმნა და რამდენიმე დღის შემდეგ კიდეც შეასრულა. ეს გარემოება უაღრესად დამაეჭვებელია. აშკარაა, რომ ფილადელფოსს უკვე ჰქონდა საიდუმლო ანბანიც და „აკტი გონიურიც“, მაგრამ, გარკვეული მიზეზის გამო, გიორგის ისე აჩვენებს თავს, რომ თითქოს მაშინ დაებადა აზრი მათი შექმნისა.

რა უნდა იყოს ეს გარკვეული მიზეზი? ვფიქრობთ, რომ საიდუმლო ანბანი და „აკტი გონიურიც“ ფილადელფოსს მიღებული აქვს პეტერბურგიდან და გარკვეულ მომენტს ელებდა შეთქმულთა

[1] დ. ყიფიანი. მემუარები, 1930 წ., გვ. 140.

შორის მის გასავრცელებლად. ეს ამბავი, ჩვენი აზრით, იცოდა ს. დოდაშვილმაც, რომელმაც გ. ერისთავი დააინტერესა ფილადელფოსის პიროვნებით („აქებდნენ (ფილადელფოსს.—დ. გ.) როგორც ქართული ენის კარგად მცოდნეს. მე ძალიან ვცდილობდი გამეცნო იგიო", — ამბობს გიორგი). ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ „აკტი გონიური", რომელიც გიორგიმ ჩამოიტანა და გააცნო რამდენიმე შეთქმულს, სოლომონ დოდაშვილს გამოურთმევია მისთვის („დოდაშვილმა მთხოვა ის და მას გადავეცი", — აჩვენებს გიორგი).

საიდუმლო ანბანისა და „აკტი გონიურის" შედგენასა და გავრცელებაში დიდ როლს უნდა ასრულებდეს იოანე ხელაშვილი, რომელიც, ისევე როგორც ფარნაოზ ბატონიშვილი, ყველაზე ნაკლებად ჩანს შეთქმულთა საქმიანობაში. ი. ხელაშვილი სწორედ ფარნაოზთან უნდა იყოს დაკავშირებული და მასთან ერთად დიმიტრი ბატონიშვილს აძლევდეს მითითებებს. გ. რ. ერისთავი, ლაპარაკობს რა პეტერბურგში დიმ. ბატონიშვილთან მოწყობილ შეკრებებზე, აჩვენებს: „მახსოვს, ერთხელ, აგრეთვე, იყო ბერი იოანე, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდაო" [1]. შეთქმულება რომ არ ცოდნოდა იოანეს, მას არავინ დაასწრებდა ამ შეკრებაზე, ხოლო რომ არაფერს ამბობდა, ეს გარკვეული მიზეზის გამო, მსგავსად ფარნაოზისა მას სხვა ვალი ეკისრა.

ზ. ჭიჭინაძე ამბობს: „ი. ხელაშვილმა თავის ამხანაგთა შორის (პეტერბურგში. — დ. გ.) განიზრახა „ფარული საზოგადოების დაარსება, ამისათვის მან შესაფერი წესდებაც დაწერა [2] და 18 მაისს 1822 წ. ბატონიშვილებსაც გააცნო ეს წესდება. ეს ის წესდებაა, რომელზედაც შემდეგ აღორძინდა „ფარული საზოგადოება" და რომელიც გაცემულ იქნა 1832 წ." [3]. ამასვე იმეორებს იგი შემდეგშიც: „ფარული საზოგადოების" გეგმა დაწერა ივანე ხელაშვილმა... ივანე ხელაშვილმა „ფარული საზოგადოების" გეგმის აღმსრულებელი პირებიც მოსძებნა, ჯერეთ ეს პირები გამოწურთნა თავის იდეიით და მერე მათ გააცნო გეგმა „ფარული საზოგადოებისა". პირველი ასეთი პირი იყო ფილადელფოს კიკნაძე, მეორე სერაფიონ ლეჩხუმელი, სოლ. დოდაშვილი და სხვანიცო" [4].

„აკტი გონიური" რომ ცნობილი იყო პეტერბურგში მყოფი ბატონიშვილებისათვის, ამას ისიც მოწმობს, რომ მათ მიერ საქარ-

---

[1] ცენტრ. საისტ. არქივი, ლენინგრადის ფონდი, რვ. VII, ფ. 1195.

[2] ზ. ჭიჭინაძის ცნობით, იოანეს „აკტი" დაწერილი ჰქონია ჯერ კიდევ 1817 წელს (იხ. გაზ. „ტრიბუნა", № 194)

[3] ზ. ჭიჭინაძე, ფარული საზოგადოების დაარსების მიზეზები, 1919 წ., გვ. 12.

[4] ზ. ჭიჭინაძე. ფარული საზოგადოება, გაზ. „ტრიბუნა", 1922 წ., № 194.

ველოში მოელენილი პირები, რომლებსაც შეთქმულების მოწყობა ჰქონდათ დავალებული, ისეთივე წესით მოქმედებდნენ, როგორც იგი „აქტშია“ მოცემული.

იოანე ხელაშვილი მეტწილად სასულიერო პირების საშუალებით უნდა მოქმედებდეს. როგორც ალ. ორბელიანი აღნიშნავს, თავადაზნაურობასთან ერთად „ბევრი სასულიერო წოდებანიც“ ღებულობდა შეთქმულებაში მონაწილეობას.

ფილადელფოსმა ბოლოს თვითონ აღიარა, რომ მის მიერ მიცემული ჩვენებები „აქტი გონიურის“ შესახებ არ იყო სრული და მართალი. იგი ამბობს, რომ მან მხოლოდ ერთგვარი რედაქცია გაუკეთა „აქტი გონიურა“, რომელიც მისთვის იერომონახ პორფირს მიუცია წასაკითხად და მასაც გადაუწერია. „მე ვიცოდი, რომ დიდხანს არ დაუტევებდა ჩემთან იმას, — ამბობს ფილადელფოსი — მაშინვე მივეც წერას საჩქაროდ, შავად გადავჩხაე ცუდს ნახევს ქაღალდზე. ზოგი რომელიც სულ არ ვარგოდა დავაგდე, ზოგი სიგრძისათვის აღარ დავწერე, ზოგი შესანიშნელად დავნიშნე და ზოგიერთი მუხლი სრულებით დავსწერე, როცა მოვიდა, დედანი მაშინვე მივართვი“ [1]. ფილადელფოსის თქმით, დედანი პორფირს დაუწვავს, რათა შეშინებია არავის გაეგო. ფილადელფოსისვე ჩვენებით, პორფირს მისთვის უამბნია „აქტის“ ისტორია. ამის მიხედვით, „აქტი“ ანტონ პირველისათვის მიუცია პატრს ფილიპეს, შემდეგ იგი ქართველ მეფეთა ოჯახში მოხვედრილა და დავით ბატონიშვილს მისი მიხედვით შეუდგენია „აქტი“, რომლის დახმარებით უცდია ქართველ ფეოდალთა შებრძოლებისა, როდესაც იგი გამეფებას ცდილობდა.

ერთი რამ ცხადია, ფილადელფოსს ხელთ ჰქონდა „აქტი გონიური“, რომელიც დ. ბატონიშვილის ხელიდან მოდიოდა. აშკარაა ისიც, რომ ფილადელფოსმა ერთგვარი რედაქცია გაუკეთა მას და მცირე ცვლილებებიც შეიტანა.

საინტერესოა, საიდან მოხვდა პორფირის ხელში „აქტი“? ფილადელფოსის ჩვენებით, პორფირის მისთვის უთქვამს, რომ „დავით ცარევიჩმა აღსარებაში მითხრა და მომცა შენის ხელით დაწვიო. დარჩა აქამდი, ეგდო ყუთშიო“. რასაკვირველია, დავითს თუ დასაწვავად უნდოდა „აქტი“, მის დაწვას მოახერხებდა. ამ შემთხვევაში ან ფილადელფოსი ტყუის ან პორფირს არ უთქვამს სიმართლე. ისიც ცხადია, რომ პორფირს „აქტი“ შემთხვევით არ მოგონებია და უმიზნოდ არ მიუცია ფილადელფოსისათვის.

---

[1] გ. გოხალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ., გვ. 418.

ფილადელფოსი გამოძიებას უჩვენებს: „არ ვიცი წინ იყო თუ უკანა, ოქროპირ ცარევიჩმა დამიწყო კითხვა ლექსი (სიტყვა.—დ. გ.) გონია რას ნიშნავსო, დიდად ეძებდა გონიური რუსულად როგორ უნდა ითქვასო, მე მგონია გენიჩესკიო, ამისთანა ამ ლექსის გამოძიებაში იყო... არ ვიცი ხომ არ წაეკითხაო“ [1].

აშკარაა, რომ ოქროპირს იგი წაკითხული აქვს და ადვილი შესაძლებელია სულ მის მიერ იყოს ჩამოტანილი და დატოვებული იერომონახ პორფირთან. ოქროპირი ხომ საგანგებოდ ჩამოვიდა ამ დროს თბილისში?!

ვფიქრობთ, რომ ფილადელფოსის უკანასკნელ ჩვენებაში ბევრი სიმართლეა, მაგრამ თავისებურად შენიღბული. იგი დავით ბატონიშვილისა და იერომონახ პორფირს ამეღავნებს მხოლოდ ამ საკმესთან დაკავშირებით. ეს გასაგებიცაა, დავითიც და პორფირიც იმ დროისათვის ორივე გარდაცვლილია.

საერთოდ, საფიქრებელია, რომ დავით ბატონიშვილის ხელში მართლაც იყო „აკტი“, რომელიც მას შესაძლებელია ანტონ კათალიკოსის ხელში ნამყოფი „აკტის“ საფუძველზე ჰქონდა შედგენილი. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელიც საფუძვლიანად იქნა გადამუშავებული, ხოლო გადამმუშავებელი ი. ხელაშვილი იყო. ზ. ჭიჭინაძე ხომ ამბობს, რომ იოანემ 1817 წელს დაწერა „აკტიო“. ამ დროს დავითი ცოცხალი იყო. შესაძლებელია მართალი იყოს ზ. ჭიჭინაძის ის ცნობაც, რომლის მიხედვით იოანემ 1822 წლის 18 მაისს წაუკითხა ბატონიშვილებს „აკტი“ და ამ დღიდან იწყებოდეს აღნიშნული „აკტის“ გამოყენებაზე ფიქრი.

1831—32 წლებში გიორგი ერისთავი შეთქმულების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მონაწილედ მოჩანს. იგი ამ ხანებში სამსახურიდანაც თავისუფალია და მთელ დროს შეთქმულების საქმეებს ანდომებს. 1832 წლის შემოდგომაზე იგი სამსახურს იწყებს ბარონ როზენთან და, როგორც აღვნიშნე, მონაწილეობს ყაზი-ბულას წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. ჩანს, რომ ამ ლაშქრობაშიც შეთქმულთა დავალებით იღებს მონაწილეობას. ამას მოწმობს ფილადელფოსთან მიწერილი მისი წერილი, რომელშიც ეკითხულობთ: „პაბოდში ვაპირებ, ჩვენი საზოგადოების აზრით, რადგანაც ბევრნი თაყადნი მიდიოდნენ, ისინი მეშოვნა ჩვენათ. მაგრამ ისეთები მიდიან პურის ჭამაც კი არ იციან. — მე გუბერნატორთან ვაპირებ შესვლას, კიდეც მიმიღო. ჯერ კი არ ვიცი რა ხელობაში ვიქნებიო“.

---

[1] ზ. გოხალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ., გვ. 419.

როდესაც მთავარმართებელი დაღესტანში იყო სალაშქროდ, კახეთში ლეკები დაესხნენ რუსის ჯარს, თანაც ხმა გავრცელდა, რუსის ჯარის საქმე ცუდად მიდისო. გამბნევებული შეთქმულები ამოძრავდნენ. სოფლიდან თბილისში ჩაჰოდის ელიზბარ ერისთავი. შეთქმულები შეიკრიბნენ აფხაზის ბინაზე და აჯანყების ვადად 20 ნოემბერი დანიშნეს, როცა ნავარაუდევი იყო თავადაზნაურთა კრების მოწვევა; შემდეგ 6 დეკემბრისათვის, ხოლო ბოლოს 20 დეკემბრისათვის გადადვეს, რადგან კრების მოწვევის ვადაც ამგვარად შეიცვალა.

შეთქმულებს შემუშავებული ჰქონდათ აჯანყების მოხდენის გეგმა, რომელსაც „პირველი ღამის განკარგულება“ ეწოდებოდა და შედგენილი იყო დიმიტრი ერისთავის მიერ.

გ. რ. ერისთავს (გუსარად წოდებულს) შეუდგენია პროექტი ძომავალი მართვა-გამგეობისაც. ამ გეგმის მიხედვით, უნდა ყოფილიყო „ორი სამთავრობო ადგილი, ზედა და ქვედა“. ზედა პალატაში პირველი პირი უნდა ყოფილიყო მეფე (ვარაუდობდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს), მეორე—სამხედრო მინისტრი (ალ. ჭავჭავაძე); მესამე—იუსტიციის მინისტრი (მუხრან ბატონი), მეოთხე—ფინანსთა მინისტრი (ფალავანდიშვილი), მეხუთე — განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრი (ჭილაშვილი), მეექვსე — საგარეო საქმეთა მინისტრი (გენერალი ბებუთაშვილი). „ქვედა სამმართველოში უნდა ყოფილიყვნენ ყველა მაზრის დეპუტატები, რომელთაც საჩივრის საქმეები უნდა განეხილათ“.

შეთქმულების მონაწილეთა მიზანი და მომავალ მმართველობის სისტემაზე ფიქრი, რა თქმა უნდა, ერთნაირი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ზოგს სურდა მონარქიული მმართველობა, ზოგს—კონსტიტუციურ-მონარქიული, ზოგსაც — რესპუბლიკური წყობა იტაცებდა. მაგრამ დიდი უმეტესობა ძველი მმართველობის აღდგენაზე ოცნებობდა. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ გამოჩენილი ფილოსოფოსი ს. დოდაშვილი და რამდენიმე სხვა პირი. ამიტომ, შეთქმულებს არ შეეძლოთ ხალხის ფართო მასებს დაკავშირებოდნენ, რაც იმთავითვე განწირულად გვიხატავს მათ საქმეს.

შეთქმულებმა ვერ მოასწრეს აჯანყების მოწყობა. ისინი გაცემულ იქნენ ერთ-ერთი თანამონაწილის — იასე ფალავანდიშვილის მიერ 1832 წლის 9 დეკემბერს (ძვ. სტილით). 10 დეკემბერს მთავარი მონაწილეები უკვე დაპატიმრებულ იქნენ.

ი. მეუნარგიას ცნობით, რასაც სხვებიც იმეორებენ, „10-ს იმავე თვისას (დეკემბერს.— დ. გ.) უმთავრესი მონაწილენი შეთქმისა

და მათ შორის გიორგი ერისთავიც ციხის კედლებს შორის სწუელიდნენ როგორც თავიანთ გამოუცდელობას, ისე მოღალატე ამხანაგს“ [1].

ამგვარად, გ. ერისთავი იმთავითვე დაუპატიმრებიათ, რაც სინაძდვილეს არ შეეფერება. გიორგი გაცილებით გვიან იქნა დაპატიმრებული, რის გამო ხმაც კი დაჰყარეს, რომ ამხანაგები გიორგინ გასცაო. ასეთი ხმის გავრცელებისათვის გიორგის უკმაყოფილებაც კი მოსვლია ბიძასთან — გენერალ-ლეიტენანტ ერისთავთან. გიორგი ერთ თავის ჩვენებაში ამბობს: „როდესაც ელიზბარი და სხვები დააპატიმრეს, მაშინ არ ვიცი ხალხმა საიდამღაც ჩემზე აიღო ეჭვი.. რამოდენიმე დღის შემდეგ ბიძა ჩემმა გენერალ-ლეიტენანტმა თ. ერისთავმა დამიბარა თავისთან და მითხრა: შვილო, მითხარი ხვთის გულისათვის, ყველა შენზე ლაპარაკობს, რომ შენ დააბეზღე და ძლიერ კმაყოფილი ვიქნები, თუ ეს მართალიაო... მეორე დღეს სადილად კორპუსის უფროსთან ვიყავი და სადილის შემდეგ სხვა ოთახში დამიძახა და მეკითხებოდა ელიზბარსა და სხვა ერისთავებზე... კორპუსის უფროსი შეეცადა ეთქმევინებინა ჩემთვის, თუ რა ვიცოდი მათზე, მაგრამ ვერ გამოვიჩინე იმდენი სიბნე, რომ გამეცა; ჩემდა საუბედუროდ, მეგონა მე არ გამცემენ მეთქი... რამდენიმე დღის შემდეგ ვიყავი საღამოზე კორპუსის უფროსთან, რომელმაც ცალკე ოთახში შემიწვია და ყოველნაირად ცდილობდა გამოეტეხე... მეორე დღეს საღამოზე მივედი გენერ. ჭავჭავაძესთან... რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მივედი ჭავჭავაძესთან და მან მითხრა რას ამბობენ დაპატიმრებულებზეო...“

აშკარაა, რომ გიორგი ერისთავი შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ ერთ თვეზე მეტს კიდევ არ იყო დაპატიმრებული.

ამის მაჩვენებელია ისიც, რომ გ. ერისთავის პირველი დაკითხვა 1833 წლის 5 თებერვალს არის მომხდარი.

შეთქმულები მოათავსეს არა ციხეში, არამედ ოფიცერთა პროვოსკის ყაზარმებში, ავლაბარში. ამიტომაც მათი პატიმრობის პერიოდს ყაზარმობას უწოდებენ.

ყაზარმებში მოხვდა იმ დროის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე: ალ. ჭავჭავაძე, ს. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ვახტ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი და სხვები, რომელთა სახელები ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიას ამშვენებენ. არ ცდებოდა შეთქმულების გამომძიებელი კომისია, როდესაც ასკვნიდა: „Действия сии однако и самое общество приняли некоторое направление литературное и по сему, даже

[1] ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები, II. 1944 წ., გვ. 19.

вновь поступившие члены были более звания ученаго, как-то: учителя Автандилов и Кипиани, переводчик Мамацов, а потом и Соломон Размадзе" [1].

სამი თვის განმავლობაში პატიმრები თითო-თითოდ იყვნენ მოთავსებული, ხოლო შემდეგ ორ-ორი და სამ-სამი, ამასთანავე უფლება მიეცათ წიგნების კითხვისა და ოჯახებიდან ტანსაცმლისა და საჭმლის მიღებისა.

საგამომძიებლო კომისიაში შედიოდნენ: გენერალი ვოლხოვსკი, გენერალი ბაიკოვი და პოლკოვნიკი ტრიტილევიჩი. მაგრამ ამ კომისიით არ დაკმაყოფილებულა უმაღლესი ხელისუფლება.

გაეცნენ რა შეთქმულების ამბავს ბარონ როზენის მოხსენების საშუალებით, იმპერატორი და სათანადო მოხელეები ჩაფიქრდნენ. ჯერ კიდევ დავიწუებული არ ჰქონდათ დეკაბრისტთა გამოსვლა, საიმედოდ არ ეჩვენებოდათ პოლონეთიც, სადაც ის-ის იყო ჩაახშვეს აჯანყება, ახლა კვლავ შეთქმულებაზე ესმოდათ. მათი აზრით, საქართველოში ვერ გაბედავდნენ ამას, თუ რომ მათ უცხო სახელმწიფო არ უმაგრებდა ზურგს. როზენს, პირველ ყოვლისა, ავალებდნენ გაერკვია, ჰქონდათ თუ არა შეთქმულთ კავშირი სხვა სახელმწიფოსთან.

იმპერატორი ერთგვარად დააიმედა როზენის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ შეთქმულებაში თავადაზნაურობის მხოლოდ ერთი ნაწილია გარეულიო. ჩერნიშოვი სწერს როზენს: „ხელმწიფე იმპერატორს განსაკუთრებით ესიამოვნა თქვენი დასტური, რომ ქართველი თავადაზნაურობა საზოგადოდ არ ურევია იმ ბოროტგანზრახვაში, რომელმაც ზოგიერთ მის ბოროტმოქმედ წევრთა შორის იჩინა თავიო".

1833 წლის იანვარში თბილისში მოწვეული იყო თავადაზნაურთა კრება. იმპერატორმა, მათი გულის მოსაგებად, კრებაზე სიტყვის წარმოთქმა დაავალა გენერალ მაიორ ჩევკინს (შემდეგში გზათა მინისტრს), რომელიც ფაქტიურად გამოგზავნილი იყო იმისათვის, რომ საგამომძიებლო კომისიისათვის ეხელმძღვანელა.

გენერალმა ჩევკინმა კრებაზე წარმოთქვა უკვე პეტერბურგში მომზადებული (ალბათ შემოწმებულიც) სიტყვა, რომელშიც ერთსა და იმავე დროს იგრძნობა გაიძვერობა, მუქარა და ლაქუციც. თავის სიტყვაში, სხვათა შორის, მან თქვა: „უმოწყალეს ხელმწიფეს ჩვენსას მოხსენდა, რომ რამდენიმე ქართველმა თავადმა და აზნაურმა განიზრახა ბოროტი შეთქმულება მთავრობის წინააღმდეგ. უმაღურებმა არ დააფასეს არც ახლანდელი მდგომარეობა და არც ქვეყ-

[1] Акты..., ტ. VIII, გვ. 402—403.

ნის ნამდვილი სიკეთე... კეთილისმდომელ მთავრობას, რომელსაც არ დაუზოგავს ზრუნვა და მსხვერპლი სხვადასხვა შორეულ მტერთაგან ქვეყნის დასაცავად, ჰსურს იგი დაიცვას ნამდვილი შინაური მტრებისაგანაც, რომელიც თვით მმართველი ძალისათვის უშიშარნი არიან, მაგრამ მათ შეუძლიათ ადგილობრივი არეულობა მოახდინონ და მშვიდობიან მოსახლეობას ზარალი მიაყენონ. ამიტომ, როგორც წინადაც ყოველთვის დაგვიმშვიდებია აჯანყებულნი, ახლაც დავაწყნარებთ და დავამშვიდებთ ბოროტგანმზრახველ შეთქმულებს... შორს არ არის ჟამი მათი გასამართლებისა, ვინაიდან ყველა მონაწილე, განზრახვა და საშუალება შეთქმულებისა ცნობილია. ხოლო მართმსაჯულება თუ აყოვნებს და არ სჯის მათ მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობას ებრალება შეთქმულებაში ძალით ჩაბმულნი; ჰსურს, როგორც მათ, ისე მთავარ ხელმძღვანელებს მისცეს დრო მოფიქრებისა, საშუალება გულწრფელი გამოტეხით დანაშაულის შემსუბუქებისა... დამნაშავენი, რომლებიც დამალავენ დანაშაულს და არ აღიარებენ, მოაკლდებიან მეფის წყალობას და სასჯელს გაიორკეცებენო". ამასთანავე, ჩევკინი მოხერხებულად ჩაურთავს: „მისი გულისათვის სამწუხარო ამბავს მისი უდიდებულესობა მხოლოდ რამდენიმე უგნური პირის საქმედ თვლის და არ შეუცვლია თავისი გრძნობა დანარჩენი ქართველი თავადაზნაურების მიმართო".

ამ სიტყვებიდან კარგად იგრძნობა, რომ ჩევკინი შემთხვევით არაა გამოგზავნილი, მასში შეერთებულია დიპლომატი და მოქნილი გამომძიებელი. მისი სიტყვა იქეთკენაა მიმართული, რომ შეთქმულება დახატოს, როგორც მავნებელი მოვლენა არა რუსეთისათვის, არამედ თვით საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის, ვინაიდან შეთქმულთა დასჯის საჭიროება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებით სურს დაასაბუთოს. მას, როგორც იმპერატორის ერთგულ მოხელეს, აშინებდა არა მარტო შეთქმულების ფაქტი, არამედ შეთქმულთა დასჯის შემთხვევაში მოსალოდნელი უკმაყოფილება და აღშფოთება ქართველი საზოგადოებისა. ამიტომ, შეთქმულთა საქმიანობას ისე ხატავს, რომ უნდა თავადაზნაურებში ჩაჰკლას მათდამი სიმპათიები.

როგორც გამომძიებელი, ჩევკინი მოხერხებულ ხერხს მიმართავს. ერთი მხრივ აცხადებს, რომ ყველაფერი უკვე ნათელია, გამოძიება თითქოს დასრულდა (სინამდვილეში მხოლოდ მაშინ იწყებოდა), მეორე მხრივ, ახსნას აძლევს საქმის დაყოვნებას: გვსურს მოიფიქრონ და აღიარების გზით შეიმსუბუქონ სასჯელიო. ამით იგი აქე-

ხებდა მსმენელთ მიეწვდინათ რჩევა დაპატიმრებული შეთქმულებისათვის, რათა ელიარებინათ ყველაფერი.

ჩევკინი 1833 წლის იანვარში იწყებდა გამოძიებას. მან მკაცრი რეჟიმი შემოიღო შეთქმულთა დაკითხვისას. დიმ. ყიფიანი იგონებს: „ამის (ჩევკინის.—დ. გ.) თავმჯდომარეობით კომისიაში დამყარდა ახალი წესი, რომელიც განსხვავდებოდა წინათ მიღებული ადამიანური, და ასე ვთქვათ, განათლებული მოპყრობისაგან... ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დაამწყვდევდნენ, ცარიელ ხმელ პურზე, ერთი დღით კი არა, მთელი კვირაობით და თვეობითაც“ [1].

გამოძიება დასრულდა 1833 წლის სექტემბერში. იმავე წლის 2 ოქტომბერს მთავარმართებელმა ბარონ როზენმა პეტერბურგში გაგზავნა მიმართვა, რომელსაც თან ერთვოდა საგამომძიებლო კომისიის საანგარიშო და საბოლოო მოხსენება. დამნაშავეები დაყოფილ იქნა ათ თანრიგად. გ. ერისთავი ჩარიცხული იყო დამნაშავეთა მეოთხე თანრიგში, ზ. ავთანდილაშვილთან და დიმ. ყიფიანთან ერთად, მაგრამ იქვე იყო აღნიშნული, რომ იგი მცირეწლოვანია და თანაც გულწრფელად აღიარა ყველაფერი.

როზენმა მიიღო პასუხი სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისაგან, რომელიც ატყობინებდა იმპერატორის აზრს თითოეული შეთქმულის სასჯელის ზომისა და ხასიათის შესახებ. კერძოდ, გ. ერისთავის შესახებ ნათქვამი იყო: „კავალერიის პრაპორშჩიკი თ. გიორგი ერისთავი ახალგაზრდობისა და გულწრფელი აღიარების გამო დანიშნულ იქნას სამსახურში პირველი ფეხოსანთა კორპუსის ერთერთ პოლკშიო“.

1834 წლის 11 იანვარს როზენი აცნობებს ჩერნიშოვს, რომ გ. ერისთავი 9 იანვარს უკვე გაიგზავნა ქ. ვილნოს მე-3 ფეხოსანთა დივიზიის უფროსთან. მისთვის საგანგებოდ გაუყოლებიათ კავკასიის მესანგრეთა ბატალიონის პრაპორშჩიკი ვინმე ოლიშევსკი [2].

1833 წლის 1 სექტემბერს, ქალაქის ციხეში მყოფი გ. ერისთავი ლექსით მიმართავს სვიმონ მაჩაბელს, რომელიც მასთან ერთად იყო ყაზარმაში, მაგრამ გაათავისუფლეს მცირე დანაშაულის გამო. ლექსიდან ჩანს, რომ გიორგიმ უკვე იცის არ ასცდება სამშობლოდან გაძევება, რის გამო სწუხს და სევდას უზიარებს მეგობარ პოეტს [3].

---

[1] დიმ. ყიფიანი. მემუარები, 1930 წ., გვ. 132.

[2] Акты..., ტ. VIII, გვ. 413.

[3] სვიმონ მაჩაბლის რამდენიმე ლექსი დაბეჭდილია. ზოგიც გამოუქვეყნებელია.

მე აწ სოფელი მოყვასთ მაშორებს,
და მიხშავს კლიტით მამულის კარებს,
ველარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით
მისთვის მიბრალე გულით ლმობილით".
„მივალ, გარნაღა სული აქ მრჩების,
მუნ სევდის ჭოხი ობლად დამშთების,
უწყი სოფელი არს სამკვრეტელო,
ყველა გახმების, ვით მწვანე მდელო.

„მოხუცება ბიძამ" სვიმონ მაჩაბელმა „ყრმა ჰაბუკ, მცირეწლოვან" გიორგის უპასუხა ლექსითვე. სვიმონი გიორგის აფრთხილებს „იხმაროს ზომიერება", იყოს თავდაჭერილი ამხანაგებთან, რომლებიც მას მუდამ მრავალი ჰყავს:

შენთან მიმოსვლა მყისვე იწყების
მით გმართებს ქცევა ჰკუით სრულითა-ო.

თანაც ამხნევებს:

ნუ სწუხ სასურვო, აწა შემთხვევას,
დღისით შრომასა და ღამის თევას!
ღმერთი გაღირსებს მსწრაფლ უკმოქცევას,
ურთიერთ შორის ლხინსა, შექცევას.
ზოგნი მილიონს ბარჯენ ამითა
კვეყანა მოვლონ დღისით, ღამითა-ო...

* * *

გადასახლებაში მყოფ გ. ერისთავს სხვადასხვა ადგილას უხდება ყოფნა: ვილნოში, ბელოსტოკში, კოვნოში, რიგაში, ვარშავაში და სხვაგან, იმის მიხედვით, თუ სამხედრო ნაწილი, რომელშიც ის მსახურობდა, სად იმყოფებოდა.

უცხო ქვეყანაში ყოფნას პოეტისათვის ტყუილად არ ჩაუვლია. გარდა იმისა, რომ კარგად შეისწავლა პოლონური ენა, გაიცნო პოლონური ლიტერატურაც; განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა დიდი პოლონელი პოეტის მიცკევიჩის შემოქმედებისადმი და თარგმნა მისი ბევრი ლექსი.

გიორგი ერისთავი, როგორც მისი ლექსებიდანა და სათანადო მასალებიდან ჩანს, ბევრ პოლონელ ოჯახთან იყო დაახლოებული და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული.

1950 წლის იანვარში აკად. ა. შანიძემ ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ ძიდას ბუდრისისაგან და ლიტვის სსრ მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების გამგის ვლადას აბრამოვიჩუსისაგან მიიღო გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის საინტერესო მასალები.

ამ მასალებით ირკვევა, რომ გ. ერისთავს არ შეეძლო ლექციები მოესმინა ვილნიუსის უნივერსიტეტში, როგორც ეს უკანასკნელ დრომდე იყო ცნობილი. ვილნიუსის უნივერსიტეტი, ნიკოლოზ პირველის ბრძანებით, 1834—38 წლებში დახურული ყოფილა მაგრამ ადვილი შესაძლებელია დახურული უნივერსიტეტის შენობაში რომელიმე სასწავლებელი იყო, ან რაიმე ლექციები იკითხებოდა, სადაც ესწრებოდა გ. ერისთავი; ამის გამო მან შვილს—დავით ერისთავს, რომლისაგანაც მოდის ეს ცნობა, უთხრა, რომ ლექციებს ისმენდა ვილნიუსის უნივერსიტეტში. ცხადია, დავით ერისთავი თვითნებურად არ შექმნიდა ამ ცნობას.

ამავე მასალების მიხედვით, გ. ერისთავის რამდენიმე ლექსის ადრესატი როზალია პეტრეს ასული ბიშპინგი ყოფილა, სილამაზითა და სათნო ხასიათით დაჯილდოებული ქალი. როგორც ბევრი იმდროინდელი ქალი, როზალია ყოფილა სენტიმენტალური განწყობილებების მქონე და მწერლობის მოყვარული.

როზალიას მამა—პეტრე ბიშპინგი—ვოლკოვსკის გუბერნიის მარშალი და მსხვილი მემამულე ყოფილა. მათი ოჯახი ზამთრობით ვილნიუსში ცხოვრობდა, ზაფხულობით საკუთარ მამულში — ვოლკოვსკის მაზრაში, სადაც ხშირად მართავდნენ ხოლმე ბალებს, რომლებზეც ესწრებოდა ბევრი სამხედრო პირიც. ერთ-ერთ ასეთ ბალში, 1835 წელს, მონაწილეობა მიუღია „ახალგაზრდა ქართველ თავადს“, რომლის გვარს მემუარისტი არ ასახელებს, მაგრამ, ცხადია, იგი გ. ერისთავია.

როზალიას თავისი სიმღერებით ნაცნობთა დიდი სიყვარული ჰქონია დამსახურებული, მაგრამ მალე დაეცადმყოფებულა. მისი თანამედროვე მწერალი ქალის გიტნერ-პუზინინას გადმოცემით, უკანასკნელად „როზალია ხშირად ავადმყოფობდა, უკვე აღარ გვიმღეროდა თავის მხიარულ სიმღერებს როიალზე... და უარს ამბობდა ვარდებზე, რომელიც მიგვქონდა მისთვის თმაში გასაკეთებლადო“.

როზალია არ აქვეყნებდა თავის ლექსებს, მაგრამ უხვად წყალობდა ალბომს. იგი სხვებისაგანაც ითხოვდა ჩაეწერათ მის ალბომში ლექსები. ამას ადასტურებს თვით გ. ერისთავის ლექსი „როზალია ბიშპინგის ქალს“, რომელსაც ავტორი შენიშვნას უკეთებს: „რომელმაც მთხოვა დაუწერო ქართული ლექსი ალბომში“. ჩანს, რომ პოეტი 1836 წლის დამდეგიდან უკვე მეგობრობს როზალიასთან. ეს მეგობრობა შემდეგში კიდევ უფრო განმტკიცებულა. ამის მაჩვენებელია 1838 წლის 10 ივლისს დაწერილი ლექსი „ნახვამდის“. რომელსაც გაკეთებული აქვს შენიშვნა: „როზალია ბიშპინგს —

პასუხი მისის ლექსებისა, ჟამს მოშორებისასა". როგორც ვხედავთ, როზალიას ლექსები უძღვნია გ. ერისთავისათვის და ჩვენი პოეტიც გულდამწვარი ემშვიდობება:

გვადლობ, რადგანაც მეტყვი ნახვამდის
და ბყოფ გულს ჩემსა ნუგეშ-ცემულად.
მე აღგიარებ, რომ სიკვდილამდის
ჩემთა თვ:ლთაგან განშორებულად
არა იქნები, მით რომე ხატად,
გულსა ჩემსა ხარ ღრმად დანახატად.
მაშ მე არ გეტყვი, რომე გშორდები,
რადგან გულს მარად თან ეყოლები. („ნახვამდის")

ცხადია, როზალია ბიშპინგის ალბომში, რომელიც ამჟამად დაცულია ვარშავის შპეზჰეცკის სახელობის ბიბლიოთეკაში, არის გ. ერისთავის ქართული ლექსები და როზალიას პოეტისადმი დამოკიდებულების გამომხატველი ლექსებიც.

პოლონეთში მყოფ გ. ერისთავს ბედმა არგუნა ერთი მეტად სასიხარულო შემთხვევა, რამაც მთელი გულით გაახარა. შემთხვევა მოხდა ვილნოს მახლობლად, სამხედრო ბანაკში, როცა მის კარავში მივიდა მისივე ბედის თანაზიარი, სახელოვანი პოეტი გრ. ორბელიანი, რომელმაც თავის მხრივ არ იცოდა, თუ ვის ხვდებოდა.

ი. მეუნარგია წერს: „გრიგოლ ორბელიანისაგან შეგვიტყვია: ერთხელ ვილნოში ვიყავი და ნაცნობ პოლკის კომანდირს შევხვდი, რომელმაც ქართველი პრაპორშჩიკის ყოფნა მითხრა მის პოლკშიო. პოლკი თურმე ბანაკად იყო ვილნოს გარეშე გასული, და ცნობის-მოყვარე პოეტი წავიდა ამ უცნობი პრაპორშჩიკის საძებნელად. ბევრი ვეძებე, სთქვა პოეტმა, და ბოლოს ერთი კარავი მიჩვენეს, რომელშიაც უნდა ყოფილიყო ეს პრაპორშჩიკი. შევედი და რა ვნახე? საღამოს პირზედ, დღის მუშაობისაგან დამაშვრალი, წამოწოლილი იყო ლოგინზე გიორგი ერისთავი და ღრმად ეძინაო.

გიორგი!

— გრიგოლ!

გაისმა თურმე ძახილი და ორი მეგობარი გადაეხვივნენ ერთმანეთს" [1].

ამ შეხვედრის შემდეგ, მათ კავშირი აღარ გაუწყვეტიათ, ერთმანეთს უგზავნიან წერილებს და ხვდებიან კიდეც. გ. ერისთავის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „თუ შეგეძლოს გამოდი, დღეს ჩემს მეგობარს ქალები ჰყავს... ქალაქიდან დაპატიჟებული", ხოლო სხვა წერილში სწერს: „რამდენი ხანია ვერა გნახეო"... უცდიათ

[1] ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. II. 1944 წ., გვ. 21.

კიდეც, რომ ერთ ნაწილში მოხვედრილიყვნენ: -- „ვეპ მოიცალე? გამოდი და ერთმანეთს შევეჩიველოთ, ვიღონოთ ამ ჩვენს უკუღმა ძაღლურს ბედზედ.— ალექსანდროვთან იყავი თუ არა? ჰკითხე ჩემის შენთან გადმოყვანისა?" — სწერს ერთ-ერთ წერილში გიორგი გრიგოლს.

წერილებიდან ჩანს, რომ სამშობლოს მოცილებული ორი პოეტი თავიანთ ლექსებსაც უგზავნიან ერთმანეთს და ეცნობიან. „ლექსები გამომიგზავნე ჩემიო",— სწერს გიორგი გრიგოლს; ხოლო ვეორე წერილით ატყობინებს: „რუსულად დავწერე სატირა ყიამათაო აქაურს ბალზედ, რომელიც ჰქონდათ ზასედატელებს в день рождения ისპრავნიკა, პოლკოვნიკს წავაკითხე... მითხრა, მე ისე მეგონა. შენ რუსული წერა სულ არ იციო".

გ. ერისთავი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ესწავლა და შეეძინა რაიმე. იგი ბევრს კითხულობდა და ენების შესწავლით იყო გატაცებული. როგორც აღნიშნული გვაქვს, გიორგი თბილისში დიმ. ყიფიანთან ერთად სწავლობდა ფრანგულ ენას. ჩანს, რომ პოლონეთში ყოფნის დროსაც აგრძელებს ფრანგული ენის შესწავლას. ერთ-ერთ წერილში იგი გრ. ორბელიანს სწერს: „თუ კვარტერმისტრად დავრჩი, ჩემი პლანი ეს არის, რომ ფრანცუზის ოსტატს დავიჭერ... რაკი ფრანციულად დავიწყებ ლაპარაკს, ერი ბიჭო!"

გრ. ორბელიანთან მიწერილი წერილებით ირკვევა, რომ პოლონეთში მყოფი გიორგი ძმას მოუნახულებია. „ჩემი ძმა დავიბარე, აქ მოვაო", — სწერს გიორგი გრიგოლს და თან წინასწარ თხოვს: „შენ რომ ოტპუსკი მოგივიდეს, მომწერე, ან წინათვე ეგება ჩემი ძმა წაიყვანო, უფრო ცოტა დაგეხარჯებათ საშნი იქნებით. სან ცხენში".

რომელ წელს ან რომელი ძმა ჩავიდა გიორგისთან?

წერილს არ აწერია წელი, აღნიშნულია მხოლოდ თვე და რიცხვი: „28 ნოემბერი". მაგრამ წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი დაწერილია 1836 წელს. წერილში გიორგი გრიგოლს ატყობინებს თბილისის ამბებს, რომელიც მას წერილით გაუგია და, სხვათა შორის, სწერს: „ალექსანდრე ჭავჭავაძეს ელიან, მოდისო, თამარ ბატონიშვილიც, დიმიტრი და ვახტანგიცა, მარტო მე და შენ დავრჩით. აი ძმაო. ეს საქმე მიყავ, შენ რომ ოტპუსკი მოგივიდეს მომწერეო"... პირველ ყოვლისა, ალ. ჭავჭავაძეს თბილისში მოელოდნენ 1836 წელს. იგი (ალექსანდრე) ამ დროს პეტერბურგშია, მეფემ გაათავისუფლა გადასახლებიდან (ტამბოვში იყო გადასახლებული) და თავისთან დაიბარა. ალექსანდრე სხვების განთავისუფლებასაც ცდილობდა პეტერბურგში. გრ. ორბელიანი, 1835

წლის 23 მარტს, სალომე ჰავჰავაძეს (ალექსანდრეს მეუღლეს) სწერს: „შევიტყვე კნიაზი (ალექსანდრე. — დ. გ.) ჩემთვის თურმე ჰსცდილობს პეტერბურღში, ღმერთმა მიჰსცეს ნაცვლადი სიკეთისათვის, და მე მადლობის თქმის მეტი რა შემიძლიან სხუა“ [1]; ხოლო 1835 წლის 10 ივნისს იმავე სალომეს გრიგოლი სწერს: „ამას წინათ ენახე ღენერალ ლეიტენანტი ბარონ როზენი, რომელიცა იყო დიეიზიონის კამანდირად საქართველოში... მიამბო თქვენი ანბავი, კნიაზისა (ალექსანდრესი.— დ. გ.), რომელიცა ენახა პეტერბურღში, და ბატონიშვილის თეკლეს მოსვლა საქართველოშიო“ [2].

მეორეც, გ. ერისთავი გრ. ორბელიანს თხოვს შეატყობინოს, როცა მიიღებს შვებულებას. შვებულებას კი გრიგოლ ორბელიანი სწორედ 1836 წლის დამლევს ელოდა, მაგრამ უარი მიიღო. ამის შესახებ 1837 წლის 14 იანვარს გრიგოლი თავის ძმას ზაქარიას სწერს: „არზა ოტპუსკისა დამიბრუნეს ამის მიზეზით, რომ რადგანაც არზაში ვჰსწერიავარ პორუჩიკობით და ეხლა მე ვარ შტაბს-კაპიტანი, ამისათვის უნდა არზა გამოიცვალოსო“ [3].

გრიგოლმა კვლავ შეიტანა თხოვნა შვებულების ნებისაღებად. გიორგი, შემდეგ წერილში, რომელიც 28 იანვრითაა დათარიღებული, გრიგოლს სწერს: „ჩემი ძმა მოვიდა ჩემთან შობას (25 დეკემბერს.— დ. გ.). ძალიან კარგი იქნება, თუ მოხერხდა ერთად თქვენი წასვლაო“. ამგვარად, ეს მეორე წერილი 1837 წლის 28 იანვარსაა დაწერილი. ვინაიდან 1838 წლის იანვარში გრიგოლი უკვე თბილისშია და ასეთი წერილი არ შეეძლო მიეწერა მისთვის.

მაშასადამე, გადასახლებაში მყოფ გიორგის 1836 წლის 25 დეკემბერს (შობა დღეს) სტუმრებია ძმა. მაგრამ რომელი ძმა, როსტომი თუ ივანე? წერილიდან ჩანს, რომ ივანე ჩასულა. გიორგი გრიგოლს სწერს: „მან მე გამაოცა თავისი მოქნილობითო“, „წყეული შეიქნაო“ და სხვა, რომელიც უფროს ძმაზე ნათქვამს არ ჰგავს.

საქ. სახ. მუზეუმში დაცული მარიამ ერისთავის (პოეტის დედის) წერილი თ. ჩოლოყაშვილისადმი (Hd — 4636) საბოლოოდ არკვევს, რომ გიორგისთან ივანე (ოქრო) ჩასულა.

1838 წლის აგვისტოში გიორგიმაც მიიღო უფლება სამშობლოში დაბრუნების. იგი მაშინვე გამოემგზავრა საქართველოში. 25 აგვისტოს იგი უკვე სოფ. არცევშია. ამას მოწმობს მისი ლექსი „თ. სეი-

---

[1] გრ. ორბელიანი. წერილები, ტ. I, ა. გაეწერელიას რედაქციით, 1936 წ., გვ. 33.

[2] იქვე. გვ. 44.

[3] იქვე. გვ. 44.

ვონ ბაჩაბელს", რომელზეც აწერია: „25 აგვისტოს, 1838 წელსა. ა-ცევს".

სამშობლოს ხილვით აღფრთოვანებული პოეტი თავის ძველ მეგობარს — სეიმონ მაჩაბელს კვლავ ლექსით მიმართავს:

ბედმა კვლავ, ძმაო, ხშული გაბჭიღო კარი.
მოვედი. მნახე მე, მოყვასი და შეგობარი.

* * *

დღემდე ცნობილი მასალების მიხედვით დადგენილად მიგვაჩნდა, რომ გ. ერისთავი 1838 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და ამის შემდეგ სამშობლოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

მაგრამ გაკვირვებას იწვევდა ის ფაქტი, რომ 1839 წლის დეკემბრიდან 1842 წლის მაისამდე დაწერილ ლექსებში დაწერის ადგილად მაინც პოლონეთის ქალაქებს უთითებდა. ამ გარემოებამ ჯერ კიდევ ადრე მიიქცია ჩვენი ყურადღება, მაგრამ მაინც საეჭვოდ ვიჩნიეთ მინაწერთა სისწორე[1].

მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს ცენტრ. ისტ. არქივში აღმოჩნდა მეტად საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც ნათელს ჰფენს გ. ერისთავის სამშობლოში დაბრუნების საკითხს და ავსებს პოეტის ბიოგრაფიას[2]. ეს დოკუმენტია მთავარმართებელ გოლოვინის მიმართვა თბილისის სახელოო გუბერნატორისადმი.

მთავარმართებელი გოლოვინი სამხედრო გუბერნატორს ბროიკოს 1838 წლის 18 აგვისტოს სწერს: „Господин Военный Министр уведомил меня за № 3076, что Император Высочайше повелеть соизволил, подпоручика Новоингермаландского пехотного полка князя Эристова уволить в отпуск на один год в Тифлис, для раздела имения с родственниками и устройства домашних дел.

По прикосновенности подпоручика князя Эристова к бывшему в Грузии в 1832 году заговору, за что он и переведен на службу из здешнего в 1-й пехотный корпус — предлагаю Вашему превосходительству, с прибитием сего офицера в Тифлис, распорядиться иметь над ним надзор, и о всяком на случай замеченном неприличном поступке или изъяснении и его сообществе доносить в тот же час мне" [3].

---

[1] იხ. გაზეთი „სახალხო განათლება", 1950 წ., № 81.

[2] დ. გამეზარდაშვილი — „ახალი მასალა გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის", გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი", 1852 წ., № 5.

[3] ს. ც. ი. ა., ფონდი — 1105, საქმე — 266.

სამხედრო გუბერნატორს, თავის მხრივ, ასეთივე შინაარსის ბიმართება გაუგზავნია სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის უფროსისათვის (იხ. იგივე ფონდი).

ამგვარად, საბოლოოდ გარკვეულია, რომ გ. ერისთავი 183Ε წლის აგვისტოში საქართველოში ჩამოდის არა საბოლოო განთავისუფლების შედეგად, არამედ ერთი წლის შვებულებით — ოჯახის გაყოფის საბაბით.

ერთი წლის შემდეგ გ. ერისთავი კვლავ დაბრუნებულა პოლონეთში, სადაც დაუყვია 1842 წლამდე. შილერიდან მის თარგმნილ ლექსს — „განყოფა სოფლისა" — მიწერილი აქვს: „2 მაისს 1842 წელსა. ქ. კოვნას".

როგორც ვხედავთ, 1839 წლის ოქტომბრიდან 1842 წლის მაისამდე გ. ერისთავი კვლავ პოლონეთშია. მის ლექსთა ავტოგრაფებში გაკეთებული მინაწერებიც ზუსტია.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ შვებულებაში მყოფ გ. ერისთავზე დაუწესებიათ მეტად მკაცრი მეთვალყურეობა.

1841 წელს გიორგი გამოდის სამხედრო სამსახურიდან შტაბს-კაპიტანის ჩინით. 1842 წელს (არა უადრეს ივნისისა) საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში და შემდეგში სამსახურს იწყებს გორის სამაზრო მმართველობაში. მას კვლავ აღუდგენია მეგობრობა ნ. ბარათაშვილთან, გრ. ორბელიანთან, მანანა ორბელიანთან და სხვებთან.

„შენ გაზრდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი (გიორგი ერისთავი. — დ. გ.) ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, რა ღმერთი გაგიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისკენათქო. როგორ აღარა აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურს სულსათქო", — სწერდა ნ. ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს 1842 წლის 31 ოქტომბერს.

გიორგი ამ დროს ს. კორინთაში იყო. მის ლექსს — „მე შენ არ გეტრფი" აწერია: „26 ოქტომბერს, 1842 წელსა, ს. კორინთა". ზაფხულობით გიორგი, ჩვეულებრივ, კორინთაში ისვენებდა.

გ. ერისთავს „შეშლილში" ერთ-ერთ მოქმედ პირად (ტატო) გამოყვანილი ჰყავს ნ. ბარათაშვილი.

უდროოდ გარდაცვლილი ნიკოლოზ ბარათაშვილი გიორგი ერისთავმა მწუხარე გრძნობის გამომხატველი ლექსით დაიტირა (იხ. ლექსი „თ. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათოვის გარდაცვალებაზედ").

* * *

1844 წელს გ. ერისთავმა ცოლად შეირთო იაგორ ალიხანოვის ქალი — ელისაბედი და დასახლდა სოფ. ხიდისთავში.

დაქორწინებამდე გ. ერისთავის გულს არა ერთხელ დაუფლებია სიყვარული და მანაც საკმარისი ხარკი გადაუხადა ამ გრძნობას.

ლექსში „თ. სვიმონ მაჩაბელს“, რომელიც დაწერილია 1833 წლის 1 სექტემბერს, პატიმრობისას, გ. ერისთავი მეგობარს მიმართავს:

შენ უწყი რომე ვისთვის ვცხოვრობდი,
შვენების ღმერთად აღვიარებდი
ვიდრე ედის სული ცოცხლად მეჭნების,
მუნემდის ტრფობა არა განჰკრების.

ნუთუ შენ მისი ხილვა შემოგხვდეს
და მჭუნვარებით მომიგონებდეს —
თუ ვარ ცოცხალი შემატყობინე.
და თუ ვარ მკვდარი სულს აგრძნობინე.

სვ. მაჩაბელი, საპასუხო ლექსში, პირდება გიორგის, რომ მოინახულებს მის სატრფოს და გადასცემს ყოველივეს:

მივალ, ვიტირებ, მასაც ვატირებ
და განუცხადებ აზრთა ყოველსა,
ნუ მოჰკლავს გულსა, მისთვის დაგულსა,
ნურც თვალს გიმყოფებს ცრემლით სოველსა.

მაგრამ ჩვენთვის გაურკვეველია, თუ ვინ იყო გიორგი ერისთავის „მშვენების ღმერთი“. 1836 წელს, გადასახლებაში მყოფი პოეტი ლექსში „ყაბახისადმი“ ლაპარაკობს ვიღაც ლეილაზე, რომელსაც თურმე ყაბახის მოედანზე სეირნობის დროს ხედავდა:

შენიდგან ვჰვრეტდი მჯდომარესა სატრფოსა გულის.
სეირნობაში დამათრობდი ლეილას მზერით.

პოეტის ნატვრის საგანია გაეღოს „დახშული კარი მამულისა“ და „თუ მოაჯირით ლეილაც განუღიმებს“, თუნდაც მოკვდეს — აღარ ინაღვლებს.

ვფიქრობთ, რომ ლეილა პოეტის მიერ შერჩეული სახელია მხოლოდ, რომელიმე ნამდვილად არსებული ქალისათვის, რომლის სიყვარული მის გულში მკვეთრად ყოფილა აღბეჭდილი. აქვე შევნიშნავთ, რომ გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში გიორგი ლაპარაკობს ვიღაც კატინკაზე, რომლის შერთვაზეც ოცნებობს. წერილში ვკითხულობთ: „ივანე მუხრანსკის დადიანის ქალი შეურთავს, იმაზედაც ჯავრობენ, ნათესავიაო. ღმერთო, იქნება კატინკა მე მერგოს, მესამე და მეოთხეები ვართ, რო წახვალ, შენ ეგებ

მომიხერხო“ [1], ხოლო მეორე წერილში წერს: „კატინკასი რა ამბავი იცით, რომ წასვიდე ეგება გამიგოო“ [2].

ჩვენი აზრით, ლეილას ნამდვილად კატინკას უწოდებს პოეტი. ამას მოწმობს ლექსის („ყაბახისადმი“) და წერილების დაწერის თარიღთა სიახლოვე. მაგრამ ვინ არის კატინკა? იმ დროს რამდენიმე კატო (ეკატერინე) იყო (ეკატერინე ორბელიანი, ეკ. ბარათაშვილი, ეკ. ჭავჭავაძე, ეკ. ერისთავი), მაგრამ კატინკად (კატინა, კატუა) უმთავრესად ეკატერინე ჭავჭავაძეს იხსენიებდნენ ხოლმე. ბაგრამ გიორგის წერილიდან ჩანს, რომ კატინკა, რომელზეც ის ლაპარაკობს, შორეული, მაგრამ მაინც ნათესავია მისი („მესამე და ბეოთხეები ვართო“).

ადვილი შესაძლებელია, რომ ეკატერინე ჭავჭავაძემ გიორგი ერისთავის გატაცებაც შეიწირა მსხვერპლად. სამართლიანად ამბობს გრ. ორბელიანი სალომე ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ წერილში: „აქამდის ორი ქალი გყუანდა და თითქმის პეტერბურღითგან ისპაანამდის გაგიყებულნი იყვნენ ხალხნი, ახლა ეგ მესამეცო (სოფიოს შესახებ ამბობს.— დ. გ.)“.

მაგრამ ეს კატინკა არის არა ეკ. ჭავჭავაძე, არამედ ეკატერინე ერისთავი, რომლისგანაც მან თანაგრძნობა ვერ მიიღო. ეკატერინესადმია მიძღვნილი ლექსები: „გაქსუებული“. „ე...“, „ე. წ“. და სხე.

გ. ერისთავმა ბოლოს თავი დააღწია უიმედო სიყვარულს და გადაწყვიტა ცოლად შეერთო ბაბალე სამარაგდონის ასული ორბელიანი, რომელიც განათლებული და ლიტერატურის მოყვარული ქალი იყო.

მოღწეული ცნობით [3], გიორგი მასზე „დანიშნულიც ყოფილა“, ბაგრამ „მშობელთა მიზეზით“ მათი დაქორწინება არ მომხდარა. ამავე ცნობის მიხედვით, ამის გამო დაუწერია გიორგი ერისთავს „შეშლილი“.

პოეტის ბიოგრაფი ი. მეუნარგია შენიშნავს: „პირველი მისი ერცელი პოეტური თხზულებაა პოემა „შეშლილი“, რომელშიაც შეუდარებელი სურათებით გამოხატა მან — ეს პოეტების საზოგადო ხვედრია — თავისი არ შეწყნარებული სიყვარული. ერთი თავადიშვილის ქალი მოსწონდა, რომელიც უნდა შეერთო; მაგრამ რალაცა უთანხმოება მოუვიდა მშობლებთან და ქორწილი ჩაიშალაო“ [4].

---

[1] წერილი დაწერილია 1836 წლის 28 ნოემბერს.

[2] წერილი დაწერილი 1837 წლის 29 იანვარს.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ხელნაწ. № 134; იხ. აგრეთვე ნ. ბარათაშვილის „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 111, პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის შენიშვნები.

[4] ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 22.

ბაბალე 1839 წელს ცოლად გაჰყოლია ალექსანდრე საგინაშვილს. გიორგიმ ამავე წელს დაწერა ლექსი „კ. ბაბ. ორბე...“, რომელშიც საყვედურობს ბაბალეს:

შენ ვერა მიხვდი მომღერლის გულსა
და მისსა სულსა აღმაღლებულსა,
შენმი არ არის ციურის ტრფობის
ნაპერწკალიცა მცირედი გრძნობის...

შემდგომ დაწერილ ლექსებშიც („გაქსუებული“, „მე შენ არ გეტრფი“, „მოგონება“, „გულს“ და სხვ.) პოეტი ტრაგიკულად დასრულებულ სიყვარულზე ლაპარაკობს. გ. ერისთავის სატრფიალო ლექსებში, ერთი მხრივ, ისმის საყვედური ქალისადმი, რომელიც მოლალატეა, თავის ოჯახურ მომავალს სიმდიდრეს უკავშირებს (ასეთი საყვედური ბაბალეს მისამართითაა), ხოლო, მეორე მხრივ, პოეტი უჩივის „უპასუხო სიყვარულს“, „გაქსუებული ამაყი სულის“ ქალს, რომელსაც მისი პირველი სიყვარული შეუწირავს (მხედველობაში ჰყავს ეკატერინე ერისთავი).

გიორგი ერისთავი ბოლოს, ყოველგვარი სიყვარულის გარეშე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცოლად ირთავს გორელი ვაჭრის — ალიხანოვის ქალს ელისაბედს.

1847 წლის 28 აგვისტოს გიორგისა და ელისაბედს შეეძინათ ორი ვაჟი — დავითი და კონსტანტინე. ბავშვები ძალიან სუსტები დაბადებულან, რის გამო „სამთლის ბავშვებსაც“ კი ეძახდნენ თურმე. კონსტანტინე მალე გარდაიცვალა, ხოლო დავითი — შემდეგში ცნობილი დრამატურგი, ავტორი „სამშობლოსი“. მშობლების დიდი ყურადღებით იზრდებოდა.

გ. ერისთავი სოფ. ხიდისთავში ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. დრო და დრო თბილისშიც ჩამოდის და მანანა ორბელიანის სალონში დაიარება. მანანას სალონში მოსიარულე ახალგაზრდებისათვის ცნობილი ხდებოდა მისი ყოველი ახალი ნაწარმოები. ეს გარემოება დიდი შედეგის მომტანიც გახდა. მანანამ ვორონცოვს შეატყობინა გიორგის კომედიების შესახებ და სთხოვა ქართული თეატრის დაარსება. ვორონცოვმა, რომლის პოლიტიკური კურსი სწორედ ასეთი საქმეების წამოსაწყებად იყო მიმართული, დაიბარა გ. ერისთავი და დაავალა წარმოსადგენად მოემზადებინა კომედია „გაყრა“. ეს იყო 1849 წელს.

გ. ერისთავი იჩენს დიდ ნიჭსა და მოქნილობას, რის შედეგად 1850 წლის 2 იანვარს (ძველი სტილით) თბილისის გიმნაზიის შენობაში წარმოდგენილ იქნა კომედია „გაყრა“, რითაც საფუძველი ჩაეყარა პროფესიულ ქართულ თეატრს.

გ. ერისთავი 1852 წელს სათავეში ჩაუდგა მეორე დიდ წამოწყებას, დააარსა ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც სრული ორი წელი (1852—53) გამოდიოდა მისი რედაქტორობით.

გ. ერისთავი იყო ნამდვილი წევრი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა („Кавказский отдел Императорского Русского Географического Общества“) და „სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებისა“ [1].

გ. ერისთავს მუშაობა უხდებოდა ქართული ენის ცენზორის თანამდებობაზეც, მაგრამ ზედმეტი გადატვირთვის გამო, იმპერატორისა და მეფისნაცვლისათვის უთხოვნია გაეთავისუფლებინათ ან მოვალეობისაგან (სათანადო თხოვნა მას დაუწერია 1852 წლის 18 და 20 მარტს) [2]. მისი თხოვნა დაუკმაყოფილებიათ და ცენზორის თანამდებობაზე წარუდგენიათ ეფრემ ალექსიევ-მესხიევი, რომლის საგანგებო დახასიათება პლ. იოსელიანს წარუდგენია შჩერბინინისათვის.

გ. ერისთავის მოღვაწეობას 50-იან წლებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მისი ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ უცხოელებისათვის გაცნობის საქმეში.

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ სრული თარგმანი არ არსებობდა არც რუსულ და არც ევროპულ ენებზე. ფრანგულ და რუსულ ენებზე თარგმნილი იყო მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტები.

გ. ერისთავი, რომელიც კარგად ფლობდა პოლონურ ენას, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში მყოფ ბევრ პოლონელ მოღვაწეს დაუმეგობრდა. ამ მეგობრობას ტყუილად არ ჩაუვლია. გიორგის ქართული ლიტერატურითა და საქართველოს ისტორიით დაუინტერესებია ერთ-ერთი პოლონელი ინჟინერი კაზიმირ ლაფჩინსკი, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა. გიორგის, კ. ლაფჩინსკის დახმარებით, პოლონურ ენაზე პროზად უთარგმნია „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად. მათ მთელი ორი წელი დაძაბულად უმუშავნიათ თარგმნაზე, მაგრამ გიორგის კ. ლაფჩინსკისათვის უთხოვნია არ მოეხსენიებინა მისი სახელი, როცა თარგმანს გამოაქვეყნებდა. კ. ლაფჩინსკის გიორგის თხოვნა შეუსრულებია, თუმცა კეთილსინდისიერებას მაინც ვერ ღალატობს და სახელისა და გვარის მოუხსენიებლად ლაპარაკობს „განათლებულ ქართველზედ“, რომელმაც მასთან ერთად ორი წელი

[1] „Кавказский календарь“, 1856 г., стр. 664, 668.

[2] საქ. სსრ. ცენტრ. არქივი, ფ.—30, საქმე—4463.

იმუშავა და „უთარგმნა თავისი საყვარელი ქართველთ პოეტის ქმნილება".

გ. ერისთავის ამ ღვაწლისა და პოლონურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" თარგმნის შესახებ 1870 წლამდე არაფინ იცოდა. ამ წელს ჟურნალ „ცისკრის" მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა ი. კერესელიძის წერილი „ვეფხის-ტყაოსანი". წერილში ი. კერესელიძე მკითხველს განუმარტავს, რომ თურმე არსებულა „ვეფხისტყაოსნის" პროზაული თარგმანი პოლონურ ენაზე, შესრულებული კაზიმირ ლაფჩინსკის მიერ. როგორც ი. კერესელიძე ამბობს, თარგმანისა და მთარგმნელის შესახებ მისთვის ცნობები მიუცია თვალის ექიმს, ეინმე იოსებ ტალკოს, ეროვნებით გერმანელს. ი. ტალკოს ი. კერესელიძისათვის უშოვნია „ვეფხისტყაოსნის" პოლონური თარგმანიც. ი. კერესელიძე ამის შესახებ წერს: „ჩემის თხოვნით მიშოვნა წიგნი თვითან პოლშური, რომლის წინასიტყვაობას აქა ებეჭდავთ, და მითარგმნა რუსულად, საიდანაც გადმოვთარგმნეთ ქართულადო".

წინასიტყვაობაში, რომელიც იქვეა დაბეჭდილი, კ. ლაფჩინსკი წერს: „ქართველებმა ბევრი იციან პოლშაზედ. თვრამეტის საუკუნის დასაწყისში. მეფე ვახტანგმა თავის ხრონიკონში გამოკრიბა ზოგიერთი ცნობები ოთხის პოლშურის ისტორიითაგან; მიცკევიჩის თხზულებითაგან აგრეთვე გადათარგმნილი არის ზოგიერთი ლექსები ქართულს ენაზედ. ვეფხის-ტყაოსანი პირველი ქმნილება არის ქართველების პოეზიაში, რომელსაცა არა სცნობს ჯერ აქამდინ ქვეყანა. აქამდის, როგორც ვიცით, ზოგიერთი ნაწყვეტები გადმოთარგმნილი არის ფრანცუზულის ენაზედ და რუსულს ენაზედ. მე რომ ვთარგმნი ამ პოემას, ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიცა გვმსახურებს დასამეგობრებლად პრომეტეის სამშობლოს ქვეყნისა. ეს აზრი, რომ თვით უპირველესი პოეზია შეიქნა გიორგი ჩვენის მეგობრობისა, იყო ხელმძღვანელი განათლებულის ქართველისა („ამას ამბობს გიორგი ერისთავზედო"—შენიშნავს ი. კერესელიძე). იცის გვარს არ ვახსენებ, ამისათვის რომ თვითონ არ ინება, რომელიცა მთელი ორი წელიწადი მითარგმნიდა თავის საყვარელის ქართველი პოეტის ქმნილებასა. ჩვენი მუშაობა ვეფხის-ტყაოსანზედ, რომელსაცა ვახმარებდით თითქმის შუაღამემდინ, დარჩა პირველ საბასოვრად ტფილისს". წინასიტყვაობის დასასრულ კ. ლაფჩინსკი წერს: „რა ვრჩებით წინასიტყვაობას, ახლა შეუდგებით თვითონ პოემასა. ასე, რა გთარგმნი პოლშურს ენაზედ ჩემო ვეფხის-ტყაოსანო, ჩემო ნუგეშის მცემელო, გაპოლიაკებულო, გამოდი ქვეყანაში! მე დიდათ მსურს, რომ რამდენიმე გული მხურვალე პოლიაკისა შეარყიო და შეაყვარო საქართველოო".

კ. ლაფჩინსკი თავის ვრცელ წინასიტყვაობაში, რომელიც დაწერილია ქართველებისადმი დიდი სიყვარულით, მკითხველს აცნობს საქართველოს ისტორიას, ქართულ ლიტერატურას, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებას.

კ. ლაფჩინსკის პოლონურ ენაზე გამოუცია ქართული ანდაზებიც: ხოლო 1866—67 წლებში ჟურნალ „ტიგოდნიკ ილლიუსტროვანში“ („დასურათებული ყოველკვირეული“) გამოუქვეყნებია თავისი შთაბეჭდილებები, სათაურით „თბილისიდან არარატამდე“. თბილისიდან იგი 1856 წელს ნახჭევანში გადაიყვანეს. 1857 წელს, ავადმყოფობის გამო, ვარშავაში გაემგზავრა. 1867—1881 წლებში მუშაობდა რკინიგზაზე. 1881 წლიდან გადავიდა პენსიაზე და ხელი მოკიდა მეცნიერულ მუშაობას ბოტანიკის დარგში[1].

როდის და სად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ პოლონური თარგმანი? როგორც უკვე ვნახეთ, ი. კერესელიძე არ ასახელებს სათაურსა და გამოცემის ადგილსა და წელს იმ ჟურნალისას, რომელშიც ეს თარგმანი ყოფილა მოთავსებული და რომელიც მისთვის ი. ტალკოს მიუცია. მაგრამ ამ კითხვას ნათელს ჰფენს 1884 წლის 13 და 20 მარტს ქ. თბილისში ნ. ი. გულაკის მიერ წაკითხული ლექციები, რომელიც გამოცემულ იქნა თბილისში იმავე წელს ცალკე წიგნად, სათაურით „О Барсовой коже Руставели“.

ნ. ი. გულაკი თავის შრომაში ამბობს: „К сожалению, никто из русских не вздумал ознакомить русскую публику с этим дивным литературным памятником Грузии. Правда, в сороковых годах появился с Иллюстрации Кукольника опыт поэтического перевода начала этой поэмы, но этот отрывок и остался отрывком, и не нашлось никого, кто бы, по крайней мере в прозе, передал содержание этой поэмы, так прекрасно рисующей нравы, обычай и идеалы древней Грузии. Другой опыт перевода или, скорее, сокращенный, хотя довольно подробный, передачи содержания всей поэмы, я нашел в польском журнале „Biblioteka Warszavka“ (том IV, год 1863). Некто Казимир Лапчинский рассказал там на страницах: 1—38, 250—292, 495—514 все содержание „Барсовой кожи“[2].

მაშასადამე, კ. ლაფჩინსკის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი გამოუქვეყნებია 1863 წელს ჟურნალ „Biblioteka Warszavka“-ში.

---

[1] იხ. დ. გაჩეჩარდაშვილი „გიორგი ერისთავის ბიოგრაფიისათვის“, გაზეთი „სახალხო განათლება“, 1950 წ., № 21.

[2] Н. И. Гулак. О Барсовой коже Руставели, 1884 г., ст. 2.

როდის თარგმნეს გ. ერისთავმა და კ. ლაფჩინსკიმ „ვეფხის-ტყაოსანი“ პოლონურ ენაზე?

ი. კერესელიძე ამბობს: „წიგნში არა სჩანს, თუ რომელს წელი-წადში არის ნათარგმნი და, როგორც ტალკო გვარწმუნებს, ვითომც ეს ეთარგმნოს ამ ორმოცის, თუ ორმოცდახუთის წლის წინეთო“ [1].

ი. ტალკო და ი. კერესელიძე, რა თქმა უნდა, ცდებიან. ეს შეცდომა აშკარა ხდება თვით კ. ლაფჩინსკის წინასიტყვაობის წაკითხვისთანავე. კ. ლაფჩინსკი ამბობს: „გარეთგან შეხედულებით პოემა შემდგარია 1637 ტაეპისაგან (გამოც. ბროსესაგან) ყველა სტრიქონსა აქვს 16 მარცვალი, ხოლო ყველა სტიხი სრულდება ჩინებულის მოწყობითო“ [2].

აქ პირდაპირაა მითითებული „ვეფხისტყაოსნის“ იმ გამოცემაზე, რომელიც ხელთ ჰქონებია გ. ერისთავსა და კ. ლაფჩინსკის. ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა ბროსეს, ფალავან-დიშვილისა და ჩუბინაშვილის რედაქციით (ამაზე მიუთითებს სტროფების მოყვანილი რაოდენობაც).

მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანი“ პოლონურ ენაზე უთარგმნიათ არა უადრეს 1841 წლისა, მაგრამ დაახლოებით მაინც როდის?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში გვეხმარება ზემოთ აღნიშნული ვ. აბრამოვიჩუსის მიერ მოწოდებული მასალა, რომელიც არკვევს კ. ლაფჩინსკის პიროვნებას. კ. ლაფჩინსკი (1823—1892) თბილისში ცხოვრობდა 1847 წლიდან 1856 წლის მაისამდე. ამგვარად, გ. ერის-თავს „ვეფხვისტყაოსნის“ თარგმნა მასთან ერთად თბილისში შეეძ-ლო მხოლოდ 1850—54 წლებში, როცა გიორგი თბილისში იყო. კ. ლაფჩინსკი აღნიშნავს: „შესანიშნავი ნაწარმოები, მეგობრობის საწინდრად რომ გადაგვეჭცია; იყო სახელმძღვანელო აზრი ბრწყინ-ვალე ქართველისა, რომლის გვარი, მისი პირადი თხოვნით, არ მინდა დავასახელო. მაგრამ მე მინდა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იგი წლების განმავლობაში მითარგმნიდა და მიხსნიდა თავის საყვარელ პოეტს, ვინაიდან ქართული ენის შესწავლაში წინ ვერ წავიწიეო“.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსანის“ პოლონურ ენაზე მთარგმნელი გ. ერისთავია; კ. ლაფჩინსკი მხოლოდ დახმარებას უწევს. რატომ არ ამჟღავნებს თავის სახელს? როგორც ვ. აბრამოვიჩუსი აღნიშნავს, კ. ლაფჩინსკი იყო „მეამბოხის შვილი“ და არ უნდოდა აშკარა გაეხადა მასთან მეგობრობის ფაქტი.

---

[1] „ცისკარი“, 1870 წ., № 36, გვ. 259.

[2] იქვე, გვ. 282.

ნაშასადამე, „ვეფხისტყაოსანი“ პოლოხურ ენაზე გ. ერისთავს, კ. ლაფჩინსკის დახმარებით, უთარგმნია 1850—54 წლებში.

ისმის კითხვა: კ. ლაფჩინსკის წინასიტყვაობის ქართულ თარგმანში ი. კერესელიძის მიერ გაკეთებული შენიშვნა გვაძლევს მხოლოდ საფუძველს იმისას, რომ „განათლებულ ქართველად“, რომელსაც კ. ლაფჩინსკი ასახელებს, გ. ერისთავი მივიჩნიოთ, თუ გვაქვს სხვა საბუთიც?

კ. ლაფჩინსკის წინასიტყვაობაზე დაკვირვებაც ეჭვს არ იწვევს, რომ ეს „განათლებული ქართველი“ გ. ერისთავია, მაგრამ მოიპოვება უტყუარი საბუთიც. ეს არის ცნობილი დრამატურგის დავით გიორგის ძე ერისთავის წერილი ერთ-ერთ მეგობრისადმი. წერილში, რომელიც დაწერილია რუსულ ენაზე და დაცულია საქართველოს ბწერალთა მუზეუმში[1], ვკითხულობთ: „ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია დაგისახელოთ პოლონურ ენაზე პროზით თარგმნილი „ვეფხის-ტყაოსანი“. ამასთანავე გირდგენთ სრულ სათაურს პოლონურ ენაზე. ლაფჩინსკის იგი უთარგმნა მამაჩემმა, ცნობილმა ქართველმა პოეტმა და ქართული თეატრის დამფუძნებელმა. განსვენებული მამაჩემი გიორგი დავითის ძე გადასახლებული იყო პოლონეთში... მამაჩემმა მშვენიერად შეისწავლა პოლონური ენა, ისმენდა ლექციებს ვილნოს უნივერსიტეტში, თარგმნიდა ძალიან ბევრს მიცკევიჩიდან ქართულ ენაზე“.

1854 წელს გიორგის მეუღლე ელისაბედი გარდაიცვალა სახსრების შეწვაეე რევმატიზმისაგან. მაშინ გიორგი თბილისში იყო და მეუღლეს ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო. ელისაბედის მთელი მზითვი და ნაქონი ნივთები იმთავითვე შეუგროვებია და წაუღია გიორგის სიდედრს — ხამფერას. ოჯახში დარჩა პატარა დავითი და შინამოსამსახურე. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გიორგის თბილისიდან წასვლისა ესეც იყო, სხვა გზა არ ჰქონდა — ოჯახისათვის უნდა მიეხედა.

ვორონცოვის საქართველოდან წასვლის შემდეგ, მძიმე და ყოველდღიურ წვალებასაც ძალზე მცირე შედეგი მოჰქონდა თეატრისათვის. ბოლოს გამოირკვა, რომ არსებულ პირობებში მუშაობის გაგრძელება გიორგის აღარ შეეძლო, ამას დაემატა ცუდი ოჯახური ნდგომარეობაც. ყოველივე ამან იგი აიძულა, 1854 წლის ბოლოს, სოფ. ხიდისთავში გადასახლებულიყო.

* * *

დედით დაობლებული ბავშვის შესაფერისად მოვლა გიორგის გაუძნელდა. გადაწყვიტა ცოლად შეერთო თავის ბედში მყოფი

[1] საქ. სსრ ბწერალთა სახ. მუზეუმი. დ. გ. ერისთავის არქივი, № 44492.

მართა — დავით თარხან-მოურავის ასული (დავით ბარათაშვილის ქვრივი, რომელსაც ჰყავდა ერთი ვაჟი—სახელად დავითი). დაუწყია ჩართასთან მოლაპარაკება. თვითონ მართა თავის მოგონებაში წერს: „როდესაც გიორგი ერისთავს ცოლი მოუკვდა, ყველამ ასე მითხრა, მაინც ამბობდი, შვილიანი ქმარი უნდა შევირთო, და ეგეც შვილიანი ქვრივი, შეირთე, უარს ნუღარ იტყვიო. მე კი უმედოდ ვპასუხობდი. რად შეირთავს ცოლს? ერთი შვილი ჰყავს, შავა ოდესაში, შვილსაც იქ გაზრდის და თითონაც იქ იცხოვრებს. მეთქი. გავიდა ერთი წელიწადი და გ. ერისთავმა მაშინკლად გამოიგზავნა თავისი ბიძაშვილის ცოლი, ხოლო ჩემი კარგი ნაცნობი ქალი და შემომითვალა: ნება მომეცი ცოლად შეგირთოო. მართა-სათვის ძმებსაც ურჩევიათ გიორგიზე გაყოლა. საქმეც გადაწყვეტილა, მაგრამ გიორგი ცოტა დაფიქრებულა: „რა მომივიდა, იქნებ საცოლეს გერი არ უყვარდეს და ჩემი შვილის საცოდაობაში გავერიო?“. ნაცნობებს დაურწმუნებიათ გიორგი მართას კეთილ ხასიათში და ქორწილიც მაშინვე მომხდარა. ჯვარისწერის მეოთხე დღეს თბილისში წაბოსულან. ახლადდაქორწინებულნი თავის სახლში მიუწვევია გიორგის პირველი ცოლის ძმას — მიხეილ ალიხანოვს და კარგი პატივიც უცია. ეს იყო 1856 წლის თებერვალში. მაისში ს. ოძისში წასულან, ოძისიდან კორინთაშიც გადასულან და აგვისტოს ბოლომდე იქ დარჩენილან. აგვისტოს ბოლოს კვლავ ოძისში ბოსულან, მაგრამ მართა ავად გამხდარა და სოფ. ხიდისთავში დაბრუნებულან.

1857 წლის თებერვალში მათ შეეძინათ ქალი, რომელსაც მარიამი დაარქვეს. ბავშვს დიდხანს არ უცოცხლია, სამწლინახევრის წითელასაგან გარდაიცვალა.

გ. ერისთავს ამ დროს უხდებოდა მთელი მამულების მართვა (როსტომი გარდაცვლილი იყო, ხოლო ივანე გადასახლებული). შემოსავალიც კარგი ჰქონდა, მაგრამ ადრე აღებულ ვალებს უნდებოდა.

1859 წელს გიორგის ქ. გორში სადგურის იჯარა აუღია, რასაც კარგი შემოსავალი მიუცია. მართა იგონებს: „თუმცა ბევრი გვეხარჯებოდა, მაგრამ შემოსავალიც კარგი გვქონდა, მამულის შემოსავალი უნდებოდა „პრიკაზს“ და კერძო ვალებს, ხოლო ჩვენ ვცხოვრობდით სადგურის შემოსავლითო“.

გიორგი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა თავისი ერთადერთი ვაჟის—დავითის აღზრდას, არაფერს არ ზოგავდა, რომ მას კარგი სწავლა მიეღო, დედინაცვალიც მეტად კარგი ხასიათის ქალი გამოდგა და დავითი უდედობას არ გრძნობდა.

დავითი მაშას ჯერ გორში მიუბარებია კერძო მასწავლებლისათვის, შემდეგ იქვე შეუყვანია ახლადდაარსებულ პანსიონში, რომელიც გახსნეს დავითის კერძო მასწავლებლებმა ფიდორემ და ნიკიტინმა. დავითთან ერთად სწავლობდა ელიზბარ ერისთავის ვაჟიც — ვანო, რომელიც შემდეგ მწერლობაშიც ცნობილი გახდა.

1860 წლის 11 სექტემბერს დავითი და ვანო მშობლებმა ოდესაში გააგზავნეს სასწავლებლად. ბავშვები ელიზბარს წაუყვანია. დავითისათვის გიორგის გაუტანებია მოსამსახურეც (ზაქარია რასიტაშვილი). ელიზბარს დავითი და ვანო კნერის პანსიონში მიუბარებია. დავითმა კარგი ნიჭი გამოიჩინა სწავლაში. 1867 წელს იგი შევიდა ნოვოროსიის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. საიდანაც შემდეგ საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე გადადის. ორი წელი დაჰყო დავითმა უნივერსიტეტში, შემდეგ კი პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში გადავიდა. არც აკადემიის დასრულება დასცალდა დავითს, ავად გახდა და სამკურნალოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ, საიდანაც თბილისში ბრუნდება და თავის ნიჭს ახმარს ქართული თეატრისა და დრამატურგიის აღორძინების საქმეს. დავითის სახით გიორგიმ ნიჭიერი მემკვიდრე დასტოვა მის მიერ დაწყებული საქმის ასაღორძინებლად.

დავითს მეუღლედ ჰყავდა ზაქარია სარაჯიშვილის ასული მარიამი, რომელთანაც შეეძინა ერთადერთი ქალი ლიზა (ელისაბედი), რომელიც აჭეამადაც ცოცხალია (იგი ერთ დროს „ნაკადულის" რედაქტორად ითვლებოდა).

1855 წლიდან გ. ერისთავი თითქმის მოსწყდა ქართულ მწერლობასა და თეატრს, რადგან ოჯახური და სამეურნეო საქმეებით გადაიტვირთა.

ერთ დროს ქართული კულტურის მესაქე გ. ერისთავი 60-იანი წლებისათვის ერთგვარ დავიწყებას მიეცა. მაგრამ მისი სახელი კვლავ მოაგონა მკითხველს დიდმა ი. ჭავჭავაძემ, რომელმაც 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბის" მეორე ნომერში პირველად გამოაქვეყნა გ. ერისთავის „შეშლილი", მეხუთე ნომერში — ლექსი „თანამემგზავრი", ხოლო მე-12 ნომერში — გ. ერისთავის მიერ თარგმნილი ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან".

გ. ერისთავი, რომლის ეკონომიური შესაძლებლობა 60-იანი წლებისათვის საკმაოდ გაიზარდა, 1862 წელს ევროპაში მიემგზავრება, ნათესავ ქალ მარიამ ჭავჭავაძესთან ერთად. მოგზაურობაში დაჰყო ოთხი თვე და ძალზე კმაყოფილი დაბრუნდა სამშობლოში.

მან თავისი მოგზაურობა აღწერა დღიურების სახით, რომელიც ცნობილია სათაურით: „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდგან".

გ. ერისთავის „მოგზაურობა...“ არაა სრულად მოღწეული. დღიურები წყდება 1862 წლის 13 აგვისტოს, როცა პოეტი ვენეციაშია, ე. ი. საგრძნობი ნაწილი დაკარგულია.

1864 წლის 9 სექტემბერს (ძველი სტილით) გიორგი ერისთავი სისხლის მოწამლის ნიადაგზე, გარდაიცვალა ქ. გორში.

გ. ერისთავის გარდაცვალების გამო გორში დიდძალი ხალხი ჩაიცვა, მათ შორის პოეტის ყრმობის მეგობარი — გრ. ორბელიანიც. „ორბელიანიც მოვიდა, ორბელიანიცაო, ყვიროდა და ხმაურობდა ხალხი“, — იგონებს მწერალი ს. მგალობლიშვილი.

გ. ერისთავი დასაფლავებულია ს. იკორთაში.

გ. ერისთავის დასაფლავების შესახებ ძუნწი ცნობები არსებობს. „ცისკარმა“ გამოაქვეყნა ი. კერესელიძის მეტად პატარა „ნეკროლოგი“, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენმა ლიტერატურამ სამწუხაროდ დაკარგა ერთი ჩინებული მწერალთაგანი: ამ სექტემბრის თვის 9-ში, გარდაიცვალა ქართლში, თავის მამულში, თავადი გიორგი დავითის ძე ერისთავი ორმოცდა ათის წლისა“, „ეს იყო მიზეზი ქართული თეატრის დაფუძნებისა; ეს იყო მიზეზი, რომ ორის წლის განმავლობაში, მინამ თეატრი გექონდა, ასეთი ვრცელი რეპერტუარი შესდგა ჩვენს სამშობლოს ენაზედ თეატრისათვის. ამან განაღვიძა შრავალი ნიჭი და ააღებინა ბევრს კალამი ხელში. რომელი იქნება ისეთი გრძნობა გაციებული ქართველი, რომელი იქნება ისეთი კაცი, რომელსაც კი ესმის მწიგნობრობის ძალა, დაივიწყოს „გაყრის“ მთხზველი. იმ სამაგალითო კომედიისა, რომელსაცა დიდი გავლენა აქვს და ექნება ჩვენში რამდენიც უნდა წელიწადი გავიდეს“ [1].

დაიბეჭდა აგრეთვე გიორგი დვანაძის ლექსი: „გიორგი ერისთავის გარდაცვალებაზედ“ [2].

თავისი დამაარსებლის მიმართ ჟურნალმა „ცისკარმა“ ვაინც ერთგვარი სიძუნწე გამოიჩინა.

---

[1] „ცისკარი“, 1864 წ., № 9

[2] იქვე.

II. გ. ერისთავის პოეზია

გ. ერისთავი სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე ლექსებით გამოვიდა. მან, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ყოფნისას, თავის ამხანაგთა და ახლომყოფთა წრეში სახელი მოიხვეჭა როგორც ლექსების ავტორმა. როგორც პოეტი, იგი მალე გახდა ცნობილი საზოგადოების უფრო ფართო წრისთვისაც. 1832 წლის შეთქმულთა საქმის გამომკვლევი კომისიის ოფიციალურ მასალებში გ. ერისთავი იხსენიება როგორც „ახალგაზრდა პოეტი".

გ. ერისთავს ლექსების წერა არ მიუტოვებია სიცოცხლის მთელ მანძილზე და საკმარისად მდიდარი პოეტური შემოქმედება დაგვიტოვა. მიუხედავად ამისა, გ. ერისთავი, როგორც პოეტი, ნაკლებ ცნობილია. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, თვით გ. ერისთავი აღმოჩნდა. გ. ერისთავმა — დრამატურგმა დავიწყებას მისცა გ. ერისთავი — პოეტი. ეს, რა თქმა უნდა, გ. ერისთავის დრამატურგიის დიდი მნიშვნელობის მაჩვენებელია. მაგრამ ეს გარემოება უფლებას მაინც არ იძლევა იმისას, რომ განსაკუთრებული ინტერესით არ შევისწავლოთ მისი პოეზიაც და სათანადო შეფასება არ მივცეთ მას.

გ. ერისთავის პოეზია საინტერესოა თავისი თემატიკით, იდეური შინაარსით, მხატვრული ფორმითა და პოეტური ენის თავისებურებით. შეუძლებელია ერთმანეთს დავაშოროთ გ. ერისთავი—პოეტი და გ. ერისთავი — დრამატურგი. მისი პოეზია და დრამატურგია ერთ მჭიდრო კავშირშია და ავტორის შემოქმედებითი ზრდის სრულ სურათს იძლევა. გ. ერისთავის კომედიები როგორც შინაარსით, ასევე მხატვრული ფორმით მისივე პოეზიის წიაღში წარმოიშვა ცხოვრების სინამდვილის უფრო ახლო გაცნობის შედეგად.

სრულიად დაუსაბუთებელია კრიტიკოს კ. აბაშიძის შეხედულება: გ. ერისთავი „ლექსებსაცა წერდა, მაგრამ ეგ ლექსები თითქმის სახსენებელნიც არ არიანო“ [1]; ამიტომ, გაუმართლებელია ამ მცდარი მოსაზრების გაზიარება და ძალაში დატოვება. გ. ერისთავი ქართული ლიტერატურის ისტორიაში გარკვეულ ადგილს დაიკერდა თავისი პოეზიით, თუნდაც იგი ავტორი არ ყოფილიყო გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე კომედიებისა.

გ. ერისთავის ლექსებმა თავისი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში და გარკვეული სიახლე შეიტანა მე-19 ს. პირველი ნახევრის პოეზიაში.

გ. ერისთავის კალმის პირველ ნაყოფს ჩვენამდე არ მოუღწევია. მის ნაწარმოებთაგან ყველაზე ადრეული თარიღით პოემა „ოსური მოთხრობა“ არის ცნობილი. პოემა „ოსური მოთხრობა“ დაწერილია 1832 წლამდე და პირველად გამოქვეყნდა 1832 წელს, „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ მეორე, მესამე და მეოთხე ნომრებში, მაგრამ მისი ბეჭდვა არ დამთავრებულა. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის მეოთხე ნომერში აღნიშნულია: „დასრულება შემდგომს ნომერშიო“, მაგრამ მეხუთე ნომერში პოემის გაგრძელება არ დაბეჭდილა, სოლო შემდეგ ჟურნალიც დაიხურა. „ოსური მოთხრობა“ სრულად დაიბეჭდა 1853 წელს, „ცისკრის“ მეოთხე ნომერში სათაურით: „ზარე და ყანიმათ“.

პოემა „ოსური მოთხრობა“ თავისებური და საინტერესო მოვლენაა გასული საუკუნის 30-იანი წლების ქართულ პოეზიაში. ავტორი იძლევა ცდას ისტორიული წარსულის მომარჯვებით გააშუქოს თანამედროვე ცხოვრების მტკივნეული საკითხები; პოემაში ლაპარაკია წარსულზე, მაგრამ მიზანში თანამედროვეობა და თანამედროვენი არიან. ამ მხრივ გ. ერისთავი წინამორბედია მესამოციანელებისა, რომლებიც არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის განწყობილებებს, ხშირად, წარსულიდან აღებული შესატყვისი მოვლენების გამოყენებით ქმნიდნენ.

ამასთანავე, პოემა „ოსური მოთხრობა“ საყურადღებოა კომპოზიციური თავისებურებით, ენის სისადავითა და პოეტური სინტაქსით. პოემაში არა მარტო პოეტური ლექსიკაა დაახლოებული ხალხურ ენასთან, არამედ თხრობის მსვლელობა, სინტაქსური წყობა წინადადებისა, ძირითადად, სასაუბრო ენაზეა დაფუძნებული, ქართლურ დიალექტს ემყარება.

---

[1] კ. აბაშიძე. ეტიუდები..., ტ. 1, გვ. 127.

„ოსური ამბობრობა“ პოეტმა დაწერა მაშინ, როცა იგი „ფარული საზოგადოების“ აქტიური წევრი იყო. ამიტომაა, რომ პოემაში ამკარად იგრძნობა ის შეხედულებები და იდეები, რომლებიც შეთქმულთ და კერძოდ ჩვენს პოეტს ჰქონდა იმ დროს.

პოემა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია ქართლ-კახეთის ბრძოლა მე-17 საუკუნეში, საქართველოდან შაჰ-აბაზის განსადევნად: აღწერილია ის თავდადება და მხნეობა, რაც ბიძინა ჩოლოყაშვილმა და შალვა და ელიზბარ ერისთავებმა გამოიჩინეს. მეორე ნაწილში ნაჩვენებია, რომ თავდადებულ გმირთა უკეღდით იყვნენ მხდალნი და მოღალატენიც, რომლებიც ვიწრო, პირადული მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ, არცხვენდნენ ჭირ თანამემამულეთ. იმარჯვებს რა ლეგენდას, პოეტი ამასთანავე ეხება გვარებს შორის შექმნილ შუღლსა და ბრძოლას, რომელსაც ორივე გვარის არსებობა დაღუპვამდე მიუყვანია. ყველა ამ საკითხს იმგვარად გადმოსცემს პოეტი, რომ უაღრესად თანამედროვეს ხდის.

პოემა იწყება ქსნის ხეობის მოკლე აღწერით: ქსანი, რომელსაც კავკასიის მთა „ზვავებით შეწევნია“, მოჰქუხს და მოემართება ბაირისაკენ, სადაც „მცხოვრებნიც, რა მზე სრულად გამობრწყინდების, გამოვლენ ბანთა“ და ჰაბუკნი უსმენენ მოხუცს „ამბავსა უცხოს“. პოემაში მოთხრობილი შემდეგი ამბები გადმოცემულია მოხუცის პირით. კახეთს იკლებს შაჰ-აბაზის ჯარი, „ბახტრიონიდან ნუხამდე დადგა თათარი, სრულად აღხოცეს ქრისტიანნი კახეთსა“. ხალხი მძიმე განსაცდელში იყო, იგი ელოდა გმირს და აი გამოჩნდა ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელმაც მიზნად დაისახა თათრების განდევნა. იგი დახმარებას სთხოვს ელიზბარ და შალვა ერისთავებს, ისინიც თავს სდებენ და თათრები „სრულად გასწყვიტეს დედა-წულითა“. გაასწრო მხოლოდ ხანმა. შაჰმა ლუარსაბ მეფეს შემოუთვალა: „წარმომიგზავნე ერისთავნი ხელებშეკრულიო“. მეფემ შეჰყარა დიდებულნი და რჩევა ითხოვა. დაიბარეს ბიძინა ჩოლოყაშვილი და ერისთავები. მათ სიმშვენიერემ კიდევ უფრო დააფიქრა დიდებულნი. მაგრამ თვითონ უთხრეს მეფეს:

— „ნუ სწუხ, მეფეო, ანუ რა გაკვს ღრმად საფიქრელად!
ვართ მზად ქართლისთვის ჩვენ მარადის სისხლ დასაღვრელად.
ეგრე წარვგზავნეთ, ვითა უთქვამს, ხელებშეკრულნი,
ჯამულისათვის როცა ვკვდებით ვართ მოხარულნი.

ხელშეკრული გმირები სპარსეთს გააგზავნეს. მათი დამნახველი ქართველები ტირიან, მაგრამ გმირები მათ ამხნევებენ:

„ჰსჯოპს მეგ ტირილსა, წიხათ ბედვიდეთ.
ამგვარ საქმეზედ ჩვენ მოგებაძვიდეთ,
შესწირეთ თავი შამულსა მსხვერპლად
რომ მტრისაგან დაშთეს უვნებლად.
გიყვარდეთ, ძმანო, თქვენი მამული,
მასზედა გაქვნდეთ სიმტკიცით გული“.

სისხლისმსმელმა შაჰმა, რომელიც გაკვირდა ქართველ გმირთა ხანგრძლივობით, ვერ ხედავდა რა მათ სახეებზე შეძრწუნებას, რისხვა-შეპარით მიმართა მათ. შაჰს სურდა გაეტეხა ქართველ ვაჟკაცთა ნებისყოფა და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ისინი. მაგრამ შეცდა. მათი საქმე და სიტყვა ერთი იყო:

— „ნუ ჰგონებ, მეფევ, შეუშინდეთ შენთა სიტყვათა,
სიყრმით ჩვენიდგან სიყვარული გვაქვს მამულისა,
და გარდავწყვიტეთ მშობელთათვის დაღვრა სისხლისა,
ვით მოითმენდა გული ჩვენი ეს გვარ საქმეთა,
ვხედავდით ცოლშვილთ, საბრალოთა. გყავდათ თქვენ ტყვეთა.
გსურდათ აღხოცა თქვენ სრულებით ჩვენისა ჰსჯულის.
ივერსა შინა გეკონათ ძენი მამულის?
მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა,
თუ ვერ განვდევნით ჩვენის საზღვრით მამულის შტერთა“.

განრისხებულმა სპარსელებმა ჯერ ერისთავებს გააგდებინეს თავები, რათა ბიძინას ნებისყოფა მოეტეხათ, „ეგონათ ამით შეშინდებოდა და ძმათა თვისთა განშორდებოდა“, მაგრამ როცა არც ამ ხერხმა გაუჭრათ:

„ჰყვეს მხნე ბიძინა განშიშვლებული.
ჰქნეს ნაწილ-ნაწილ დაწკლილებული“.

სპარსეთში მიმავალ გმირებს მხლებლები მიჰყვებოდნენ, მაგრამ ბოლოს დნელი სასჯელის შიშმა შეიპყრო ისინი და გამოიპარნენ. მოხუცი მოგვითხრობს:

„როს ერისთავნი სპარსეთ შიგან მეფემ წარგზავნა,
ჩარაშვილი და პაპაჩემი მათ გაატანა,
ამათვე რა სცნეს ერისთავთა სპარსნი დახოცდენ,
გზიდან ორნივე იდუმალად უკანვე იქცენ“.

მაშინ, ამბობს მოხუცი, „პაპის ძმას ჩემსა როინს ჰქონდა მოურაობა“. როინს გამოქცეულებისათვის უკითხავს უკან დაბრუნების მიზეზი, და რა შეუტყვია მათი მხდალობა, შეუძახნია:

„ჰსთქვით, მუხანათნო, რად განშორდით ბატონთა თქვენთა?
ნუღარა იყოს მაშა როინ რა ეს ისმინოს,
რომ შვილიც იყოს თვისის ხელით არ მოაკვდინოს.
როგორ მოშორდით ნეტა მათთა ცხენისა ქვალთა,

> აჯა გოცხვენოდათ ორგულები ესვენეთ ხალხთა!
> მოჰკვდით ორგულბო",—რა ჰსთქვა ესე ხანჯალი გულსა.
> დასცა პირველ ძმას და შემდგომად მას ჩარაშვილსა".

ამის შემდეგ დაწყებულა სისხლის ღვრა როინის გვარსა და ჩარაშვილებს შორის. მათ ერთმანეთი ისე ამოუწყვეტიათ, რომ ჩარაშვილთაგან დარჩენილა მხოლოდ ერთი ბერი, რომელსაც ჰყავს ასული—ზარე; გამწყდარა როინის გვარიც, გვარის უკანასკნელი გამგრძელებელი არის მხოლოდ — ყანიმათი. ყანიმათი გადაწყვეტს მოკლას ჩარაშვილების უკანასკნელი ნაშთი — ბერი. იგი მიდის სისხლის ასაღებად, მაგრამ გზაზე ხვდება ზარეს, რომელიც, შეუტყვია რა ყანიმათის განზრახვა, სევდიანი ხმით მოთქვამდა, „გულით ჰგოდებდა". მათი შეხვედრა სიყვარულის ფიცით მთავრდება. შეყვარებულები ხვდებოდნენ ერთმანეთს, ყანიმათმა ხელი აიღო განზრახვაზე, მაგრამ სატრფოსთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს იგი მტრის ტყვიამ დასცა უსულოდ. ჩანს ბერმა ჩარაშვილმა შეიწირა მისი სიცოცხლე, თუმცა პოემაში არ ჩანს ვინ იყო იგი. ზარე ჭკუიდან იშლება და გულშემზარავად მოთქვამს:

> .მარტოკა წახველ 'იმ გრძელსა გზასა?
> ძალე ეიპოვნი მე შენსა კვალსა.
> არ გიამება რომ ნახავ ზარეს?
> გაბსოვს მიძახდი მე შენსა მთვარეს!"

ზარეც გამოესალმა სიცოცხლეს.
ასეთია პოემის ქარგა.

„ოსური მოთხრობა" ისტორიულ თემაზეა დაწერილი; თუმცა ისტორიულ ამბავს ხშირად ავსებენ პოეტის ფანტაზიით შექმნილი სურათები. პოემის ძირითადი იდეა — პატრიოტიზმია. ავტორის მიზანია გააღვიძოს მკითხველში მამულის სიყვარულის გრძნობა, აღანთოს იგი სამშობლოს თავდადების იდეით. ჩვენ საგანგებოდ გავუსვით ხაზი პოემიდან იმ ადგილებს, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებიან პოეტის თანამედროვეობას, წარმოადგენენ აშკარა მოწოდებას სამშობლოს განთავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ახალგაზრდა პოეტი — გ. ერისთავი თემის შერჩევის მშვენიერ ნიჭს იჩენს, როცა პოემის ფაბულას იღებს ქართველი ხალხის ცხოვრების იმ მწარე დღეებიდან, როცა მას ბრძოლა უხდებოდა შაჰ-აბაზის ურდოებისაგან სამშობლოს გასათავისუფლებლად. აღნიშნული თემა კელავ იქნა დამუშავებული ა. წერეთლის, ა. ფურცელაძისა და ვაჟა-ფშაველას მიერ. აკაკის „ბაში-აჩუკი" ა. ფურ-

ცელაძის „თამარ ლაზნელი“ და ვაჟას „ბახტრიონი“ ჩვენი ისტორიის იმავე მონაკვეთს ეხებიან, რომელსაც გ. ერისთავის „ოსური მოთხრობა“. ეს ფაქტიც ბევრის მთქმელია.

„ოსურ მოთხრობაში“ შეთქმულთა იდეებია ჩაქსოვილი. პოემაში არა ერთი ადგილია ისეთი, რომელიც გვაგონებს შეთქმულთა სიტყვებს, წარმოთქმულს მათვე შეკრებებზე. პოემის ცალკეული ადგილები („შესწირეთ თავი მამულსა მსხვერპლად“, „მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა, თუ ვერ განვდევნით ჩვენის საზღვრით მამულის მტერთა“, „ვართ მზად ქართლისთვის ჩვენ მარადის სისხლდასაღვრელად“ და სხვ.) უშუალოდ გამოხატავენ შეთქმულთა განწყობილებებს. ეს. გარემოება შეუნიშნავი არ დარჩენიათ შეთქმულების მონაწილეებსაც. დ. ყიფიანი იგონებს ერთ-ერთ შეკრებას 1832 წლის ივნისში, ელიზბარ ერისთავის ბინაზე, როცა ს. რაზმაძე, ელ. ერისთავი და სხვები საგანგებოდ ეკითხებიან ს. დოდაშვილს, თუ როგორ გაბედა „ოსური მოთხრობის“ დაბეჭდვა. როგორც დ. ყიფიანი გადმოგვცემს, შეთქმულთა თხოვნით, ამავე შეკრებაზე გ. ერისთავს ზეპირად უთქვამს „ერთი ადგილი დოდაშვილის მიერ გამოცემულ ჟურნალში მოთავსებულ თავისი „ოსური მოთხრობიდან“, რომელზედაც ლაპარაკობდნენ და რომელიც ნათქვამი იყო საკმაოდ მაგრათ“ [1].

ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებით, „ოსური მოთხრობის“ მეორე ნაწილი სიყვარულის საკითხისადმია მიძღვნილი. ასეთი მოსაზრება არ შეეფერება სინამდვილეს. მართალია, პოემის მეორე ნაწილში აღწერილია ზარესა და ყანიმათის სიყვარულის ტრაგიკული ისტორია, მაგრამ იგი მოშველებულია ძირითადი თემის გასაშუქებლად და დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე არ არის პოემაში.

პოემის მეორე ნაწილში, როგორც უკვე ვნახეთ, პოეტის მიზანია გვაჩვენოს, რომ თავდადებული გმირები: ბიძინა, შალვა და ელიზბარი მარტონი არ არიან, მათი მოსპობით არ ინგრევა გმირთა საბუდარი; ამის მაჩვენებელია როინის პიროვნება. როინი პატრიოტია, მას არ შეუძლია დამშვიდებით შეხვდეს სამშობლოს მოღალატეს, მხდალს, ძმათა შემრცხვენს. ასეთს „თუნდაც შვილი იყოს თვისის ხელით მოაკვდინებს“. იგი იმ დედის ძუძუთია გაზრდილი, რომელმა დედამაც შემდეგში ალ. ყაზბეგის ხევისბერი გოჩა დაავაჟკაცა. როინმა საკუთარი ხელით განგმირა მხდალი მოღალატენი, მათ შორის საკუთარი ძმაც. რო-

[1] დ. ყიფიანი. მემუარები, 1930 წ., გვ. 141.

ნის ასეთ მოქმედებას, რაც სამშობლოს სიყვარულის გრძნობითაა ნაკარნახები, გვარებს შორის შუღლი და სისხლისღვრა მოჰყვა. ასეთი სურათების მოცემით გ. ერისთავი დასცინის ფეოდალური საქართველოს პარტიკულარიზმს, დანაწილებასა და ურთიერთშორის მტრობას. ცნობილია, რომ პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებს საგანგებო ღონისძიებების გატარება დასჭირდათ, რათა შეთქმულების ზოგიერთ მონაწილეთა შორის არსებული დავა, რაც ძველიდანვე მოდიოდა, შეენელებინათ. პოემა ამ მხრივაც ეხმაურება პოეტის თანამედროვეობას.

პოემაში პოეტს საკმაოდ აქვს წარმოდგენილი ბუნების სურათები და სიყვარულის გრძნობა. აღსანიშნავია, რომ ბუნების სურათების რეალისტური გადმოცემის მხრივ „ოსური მოთხრობა“ ერთ-ერთი პირველთაგანია. ბუნების მშვენიერება პოეტს მოშველებული აქვს პოემის მაგისტრალური ხაზის გამოსაკვეთად, ცალკეული კვანძების შესაქმნელად და გასახსნელად. ბუნება პოეტისათვის დამოუკიდებლად არსებული რეალობაა, რომლის წიაღშიც ადამიანი კეთილსაც ჩადის და ბოროტსაც, სიყვარულსაც ხვდება და სიძულვილსაც, მაგრამ ბუნება ყველაფერს ერთიანი გამომეტყველებით უცქერის.

გ. ერისთავი სიყვარულში ხედავს ძლიერ ძალას, რომელიც იმონებს ყველას („ვინ არ ემონვის მითხარით ქალთ მშვენებასა?“) და ლახავს ყოველგვარ ზღუდეს, რომელიც კი ეღობება მას; სიყვარულს შეუძლია ერთმანეთს შეამტკიცოს მოსისხლე გვარები. იგი ხოტბას ასხამს გულწრფელობასა და პირდაპირობას სიყვარულში, სიყვარულის გარეშე არ სწამს ადამიანის ცხოვრება. გ. ერისთავის შემოქმედებაში მოცემულია მძაფრი სიყვარულით შეპყრობილ ქალთა სახეები. სიყვარულით შეშლილი ქალი პირველად „ოსურ მოთხრობაში“ აისახა:

მაშ ეს ვინ არის თმა გარდაშლილი,
საბრალო ზარე არის შეშლილი?

შეიძლება ითქვას, რომ პოემა „ოსური მოთხრობა“ რეალისტური ნაწარმოებია. მართალია, მასში ვხვდებით რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელ განწყობილებებსა და პოეტურ საღებავებს, მაგრამ ეს არაა მისთვის ძირითადი. იგი არის ქართული რეალისტური ეპოსის ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც არცთუ ისე სუსტი წინამორბედია ეროვნულ მოტივზე დაწერილი შემდეგი

პერიოდის ეპიკური თხზულებებისა („ბედი ქართლისა", „დიმიტრი თავდადებული", „თორნიკე ერისთავი", „ბახტრიონი" და სხვ.).

პოემა „ოსურ მოთხრობაში" დასმულ ზოგიერთ საკითხს გ. ერისთავი შემდეგში კიდევ უფრო დაწვრილებით ეხება თავის ლექსებში.

* * *

გ. ერისთავის ნაწარმოებთაგან, რომლებიც დაწერილია 1832 წლამდე, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ „ოსურმა მოთხრობამ", მაგრამ ამ პოემითაც შეიძლება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ პოეტის პირველი პერიოდის შემოქმედების შესახებ. აშკარაა, რომ თავის ადრეულ ნაწერებში გ. ერისთავი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ჰქადაგებდა, მტრულად იყო განწყობილი მეფის ოუსეთის ბიუროკრატიული მმართველობისადმი და ოცნებობდა სამშობლოს განთავისუფლებაზე.

ლიტერატურული მიმართულების თვალსაზრისით გ. ერისთავი თავიდანვე რეალიზმის პრინციპებისაკენ იხრება, თუმცა საკმაო ხარკს უხდის რომანტიზმსაც.

1832 წლის შეთქმულების ტრაგიკულმა დასასრულმა ახალგაზრდა პოეტის ოცნებას ფრთები შეაკვეცა, ნაცვლად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და სამშობლოს განთავისუფლებისა, შეთქმულნი და მათ შორის გ. ერისთავიც, ციხის კედლებში მოემწყვდნენ. მათ რამდენიმე წლით აეკრძალათ სამშობლოში დაბრუნება და რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში გაამწესეს. ცხოვრების მკაცრმა დღეებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა გ. ერისთავის პოეზიაშიც. 1833—38 წლებში დაწერილ ლექსებში პოეტი, უმთავრესად, გადმოგვცემს იმ სევდა-მწუხარებას, რომელიც მას პატიმრობასა და გადასახლებაში ყოფნისას დაუფლებია. გ. ერისთავის ამ პერიოდის ლექსები პესიმისტური განწყობილებითაა დამძიმებული; მაგრამ ეს პესიმიზმი არაა ღრმა და უსასოო. ლექსში „თ. სვიმონ მაჩაბელს", რომელიც დაწერილია 1833 წლის 1 სექტემბერს, „ქალაქის ციხეში ყამსა პატიმრობისასა", პოეტი სწუხს სამშობლოსა და თანამემამულეთაგან მოცილების გამო:

მე აწ სოფელი მოყვასთ მაშორებს,
და მიხშავს კლიტით მამულის კარებს.
ვეღარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით,
მისთვის მიბრალეთ გულით ლმობილით
მივალ, გარნაღა სული აქ მრჩების,
მუნ სევდის ჭოხი ობლად დაშთების.

პოეტის თქმით, „სოფელი არს სამშვრეტელი“, სადაც „ყველა გახმების, ვით მწვანე მდელო“; მაგრამ მას არ შეუძლია ხელაღებით უარჰყოს ეს „სოფელი“, სადაც „მშვენების ღმერთი“ ეგულება.

უცხო მხარეში გადახვეწილ პოეტს კიდევ უფრო ძლიერად ეუფლება სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. მისი ოცნება ლამაზ საქართველოს, საყვარელ თბილისს და იქ მყოფ მეგობრებს დასტრიალებს. ამ ოცნებებში მთელი სისრულით წარმოადგენს მხიარულად გატარებულ დღეებს, „როს გული მისი არ სცნობდა ჰმუნვას“. პოეტის მოგონებებში ცოცხლდებიან: მტკვარი — საქართველოს თავგადასავლის ეს უტყვი მოწმე და ყაბახი — ქართველ ვაჟკაცთა საასპარეზო ადგილი.

ლექსები—„მტკვრისადმი“ და „ყაბახისადმი“, რომლებიც 1836 წლის იანვარში დაუწერია პოეტს, მაღალმხატვრული ღირსების მქონენი არიან და წარმოადგენენ მშვენიერი მოგონებების რომანტიკული გადმოცემის საუკეთესო ნიმუშებს. მტკვარი პოეტისათვის არის სამშობლოსა და მხიარული ახალგაზრდობის სიმბოლო.

მტკვარო, მდინარევ ჩემი მაშულის!
სად ხარ! რომელსა ხშირად შეგსჭამდი?
. . . . . .
მიყვარდა შენის კიდიდგან მხერა,
აღმოვიდოდის შენზედა მზე რა.
შენი ზვირთების მჩქეფრი ქუხილი,
ხან მრისხანება და ხან ჩურჩული. („მტკვრისადმი“)

უცხოობაში მყოფი პოეტი დიდი გრძნობით იგონებს ყაბახსაც, სადაც არა ერთხელ გაუქარვებია თავისი სევდა, არა ერთხელ გაუზიარებია მისთვის, ვით მეგობრისათვის, გულის ხვაშიადი და მის სახეზე ამოუკითხავს ივერიის დიდი წარსული.

ოდეს რაზედნე, ან რისთვისმე, რა ვეჰმუნვარებდი,
შენზედ სეირნით მყის კაეშანს განვიქაოებდი!
ვით გრძნობის სარკე, ამაო სოფელს დამანახვებდი,
ვითა მეგობარს, ხვაშიადს გულის—შენ გარწმუნებდი!

შენსა პირზედა ვკითხულობდი დროთა ძველთ წარსულთ.
შენზედ ჰსწერია ძოთხრობანი გმირთა ქიდებულთ,
შენ მთამბერვიდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას
და ჩანგზედ დაკვრით დავიწყებდი მამულის მკობას.

მითხარ, ხომ ჩემებრ შენცა დროით არ იქმენ ცვლილი?
კვალად ჰაბუკნი შენზედ ჰუნეთ ხომ ახტუნებენ?
(„ყაბახისადმი“)

უცხო მხარეში პოეტი გულთბილად მიუღიათ, „ბედით ჰპოვნილნი ახალნი მეგობარნი“ იწვევენ მას თავისთან, სთხოვენ შესვას ღვი-

ნო—ნიშნად მეგობრობისა, შენიშნოს ქალები, რომლებიც მას სიმპათიურად უცქერიან და განიქარვოს ჰმუნვა მათი ზეციური მშვენიერებით, ალერსით, სამოთხებრივი ტკბილი ღიმილით. მაგრამ სამშობლოს მოცილებულ პოეტს არაფერი არ იტაცებს და ეერავინ ვერ იზიდავს.

სიღრმითა გულით გრძნობიულით ვარ მადლობელი
ჩემის ესრეთის ალერსითა მიღებისათვის.—
მაგრამ არ ძალმიძს დავივიწყო ბზარე მშობელი
და სიხარულად მიმაჩნია ვიტირო მის თვის.

სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩვილი,
სად სიჭაბუკის განვატარე დღენი ნეტარნი,
სადა მსუროდა მომეწყვიტა ტრფობის ყვავილი,
გლახ ამ მხარისთვის მეფრქვევიან ცრემლნი მდუღარნი.
(„უცხო ქვეყნის კაცს“)

იყო დრო, როცა პოეტი ჩანგზე „ტკბილად დამღეროდა“, არ ცნობდა „ჰმუნვათ და დღეთ ამა მწარეთ“, „მუზნიც პარნასით მიიწვევდნენ“, მაგრამ ცვლილების მოყვარულმა სოფელმა არ დააცალა შეესვა სიტკბოება ტრფობის ფიალით.

როს ამა სოფელს მე სიტკბოება
მსურდა შემესვა ტრფობის ფიალით,
ვერ ვასწარ ბაგით მაზედ წაფება,
ვითა განმიქრა უხილავ ძალით.

ვით მოჩვენება გრძნეულებისა,
ვითა ოცნება, ვითა სიზმარი,
დრონი განცხრომის, ნეტარებისა
განმიქრენ, ვითა ღამის ლამპარი.
(„როზალია ბიშპინგის ქალს“)

მწუხარე პოეტის გული გაუტაცნია მხოლოდ ვინმე მაიორ ა. მიცკევიჩის ლექსებს, რომლითაც გრძნობა დაუყუჩებია. პოეტის თქმით, მეტად სასიამოვნოა მგოსნისათვის ის საღამო „რა ჰპოებს კაცსა ერთისა გრძნობით, ერთის ოცნებით, ერთისა ცნობით“. იგი მეგობარ პოეტს მოუწოდებს, სანამ „გულის საათის ჯაჭვი“ არ გაწყვეტია, იმხიარულოს, მგრძნობიარე გულში შობილი აზრი „ზარდოს ალერსით“ („მაიორ ა. მიცკევიჩს, პოეტს“).

საკუთარი თავგადასავლის გათვალისწინებას პოეტი ხშირად იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ვიდრე დრო შესაძლებლობას აძლევს, ადამიანმა უნდა იმხიარულოს და გაერთოს: „დასტკბი, დაითვერ ყვავილთა სუნით, ვიდრე იხილავ სოფელსა სურვითო“,—მიმართავს იგი თავისუფლებაში მყოფს (იხ. „ჩემს ძმას ივანეს“). ასეთი განწყობილებები არა ერთხელ ამოგვიკითხავს ჩვენი რომანტიკოსების:

გრ. ორბელიანის („ანტონს"), ნ. ბარათაშვილის („ჩემს მეგობართ") და სხვათა შემოქმედებაშიც.

უცხოობაში მყოფ პოეტს სევდა-მწუხარებას უორკეცებს სულიერი მეგობრის — სატრფოს მოცილება, მისი უნახაობა. ჯერ კიდევ ლექსში „თ. სვიმონ მაჩაბელს" პოეტი მეგობარს სთხოვდა ნოენახა მისი სატრფო და შეეტყობინებინა „ჰმუნვარებით იგონებს", თუ არა; თავის მხრივ ძლიერი სიყვარული მიჰქონდა უცხოეთში: „ვიდრემდის სული ცოცხლად მექნების, მუნემდის ტრფობა არა გაჰქრებისო". მართლაც, ლექსებში: „მტკვრისადმი" და „ყაბახისადმი" პოეტი დიდი სიყვარულით ლაპარაკობს თავის სატრფო ქალზე, რომელსაც ლეილას უწოდებს (ვფიქრობთ პირობითად). პოეტი ნატრობს კვლავ იხილოს მტკვარი, მისი ანკარა სახე, რომელშიც კვლავ „დაიხატება ლეილას ჩრდილი"; იგი იგონებს იმ ბედნიერ დღეებს, როცა ყაბახის მოედანზე მოსეირნე „თვრებოდა ლეილას ზეცრით". პოეტის გულს აღელვებს ფიქრი: „ლეილას თვალნი ნეტარ თუ ვის აწ ეძიებენ?", მისი ოცნებაა კიდევ იხილოს ყაბახი და თუ „მოაჯირით ლეილამაც გაუღიმა", დეე მოკვდეს, აღარ ინანებს.

პოეტი უცხოეთშიც შეხვედრია ნაზი გრძნობითა და სილამაზით დაჯილდოებულ ქალებს, რომელთა თვალებზე სიბრალულის ცრემლები დაუნახავს და მით „სუბუქ ქმნია ტვირთი გულისა", „ჰმუნვარე განქარვებია" („როზალია ბიშპინგის ქალს"), მაგრამ მათ არ ძალუძთ დაავიწყონ პოეტს ლეილა. სამშობლოსაკენ მომავალი პოეტის გულის ძაფების დაჭერა მათ ძალას აღემატება, თუმცა მათი სახეები პოეტის გულს „ღრმად დაბატვია".

სატრფოვ! უწყოდე, რომ ჩემი გული
არს შენთვის ტახტად გამზადებული
და სულსა ჩემსა შევჰმნი ედემად;
შენთვის დავსდგები მუნ ჯარის მცველად.
(„ნახვამდის")

გადასახლებაში დაწერილ ლექსთაგან მოხდენილი პოეტური გააზრებითა და მხატვრული გამართულობით გამოირჩევა „თეოდოსია მირეცკას", რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად უნდა ჩაითვალოს იმდროინდელ ქართულ პოეზიაში. ლექსში პოეტს ფსიქოლოგიური დაკვირვებით აქვს წარმოდგენილი განცდები ახალგაზრდა ქალისა, რომელიც სიყვარულის პირველ გრძნობას ერთგვარ გაურკვევლობაში ჩაუყენებია და ნაადრევად უჩივის ტანჯვას. აი ეს ლექსიც:

მითხარ, ტურფავ, რად უჩივი, რადა ჰყვედრი სიყვარულსა?
ნუ არწმუნებ, ნუ აშინებ, ამგვარ აზრით ჩემსა გულსა,

ჯერ შენ აგრე ყმაწვილი ხარ, არა მჯერა შენი გული
უდროოდა ვითომ იყოს ტრფობისაგან დაჩაგრული:
სიჭაბუკე შენი მთვარეს ჯერეთ ახალს ემსგავსების.
სიტურფე და ელვარება ყოველს ქამსა ემატების.
გრწმენის ჩემი, მაისა სხივიც მაშინ ბნელად გეჩვენების.
თუ გულშია ტრფობის ალი, მცირეც არის, არ გვეთების.
თუ შენ სხვათა ცრემლთა ჰვრეტა აგრე მეტად შეგაწუხებს.
თუ სხვათ ჰმუნავ ანუ ჰირი ეგდენ ცრემლსა გაფრქვევინებს.
მაშა რისთვის ეგ მაღალი, ეგ უმანკო შენი სული
არა ეძებს, რომ იპოვოს მისი მსგავსი ჩვილი გული?!
მაგრამ დღეს კი გამოვიცან შენი ეგრე ქმუნვარება.
გულს სურს ტრფობა და ეშინის,—ეს არს მისი მღელვარება.
გული შენი არის ჯერეთ გაუშლელი ტურფა ვარდი,
ელის მას ქამს, ვდეს მზისა მას დახედავს შარავანდი.
მოვა ქამი, შენც გეწვევა ტრფიალისა მშვენი თვალი,
აღარ ჰყვედრი სიყვარულსა, რომ აღგეგზნის ტრფობის ალი.
(„ოეოდოსია მირეცკას")

ხანგრძლივი მწუხარებისა და წვალების შემდეგ, პოეტს „ბედმან კვალად" განუღიმა და „განუღო კარი მამულისა". იგი დიდი აღტაცებით დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ცხოვრებამ კვლავ მოუწამლა სიხარული. მან ორჯერ განიცადა მძიმე მარცხი სიყვარულში. სხვას გაჰყვა მისი საყვარელი კატინკა, რომლისადმიცაა მიძღვნილი ლექსები: „ე . . .", „ე . . .წ . . ." და სხვა. გაუთხოვდა, „მშობელთა მიზეზით", ბარბალე ორბელიანიც, რომელზეც პოეტი დანიშნული იყო. ბარბალესადმია მიძღვნილი ლექსები: „კ. ბ. ო", „გაქსუებული", „ფიქრი ყმაწვილის ქალისა" და სხვ. პოეტის გატაცება შეიწირა სოფიო ერისთავმაც, რამაც ლექსში „კნიაჟნა სოფ... ერის..." ჰპოვა გამოხატვა.

სიყვარულის ისრით დაკოდილი პოეტი თავის სატრფოს საყვედურობს, რომ „ვერა მიხვდა მომღერლის გულსა და მისსა სულსა აღმაღლებულსა", რომ მასში არ აღმოჩხდა „ციური ტრფობის ნაპერწკალიცა მცირედი გრძნობის". იგი სატრფოს მოაგონებს, რომ „უსიყვარულოდ ვერ ამაღლდება" და ტრფიალების სანაცვლოს სიმდიდრეში ვერ პოვებს :

ვნახავ მალიად, თუ ვარ ცოცხალი,
ვითა ოქროთი განგიძღეს თვალი,
ქალი თუ არ ჰგრძნობს ტრფიალებასა,
მაშა რას ჰპოებს სხვა ღირსებასა? („კ. ბ. ო")

პოეტის შეხედულებით, საბრალოა იგი, ვისი გულიც „ტრფობისათვის გაციებულია", ვინც „სულით გაქსუებულა" და გულით დამსგავსებია იმ ტაძარს, სადაც კაცი ვერ ბედავს შესვლას, „რათა

აღანთოს ლამპარი და მისსა საკურთხეველში დასთხიოს ცრემლი მდუღარი“ („გაქსუებული“). მაგრამ პოეტს მეტად ებრალვის ის, „ვინც იყო ერთ გზის ტრფიალი, ვის შეეცვალა სამსალად ტრფობისა სავსე ფიალა“ და „ვინაც დახივა ბედის რეული..., ვინც იყო ერთ გზის მოტყუებული“. სიყვარულის მახვილ ისარს თვით ჩვენი მგოსნის გულიც დაუჭრია, ლხენის დღეები მხოლოდ მოგონებად დარჩენია და სევდიანი კითხულობს:

სადღა არს ტრფობა? სად არს ბედი, სად არს იმედი?
გულო, სად იყავ. სად დაები და სად მიხვედი?
(„მოგონება“)

პოეტი ცდილობს ძალღონე მოიკრიბოს, გულგრილად უცქიროს სინაზდვილეს, სურს შეიშროს „ცრემლი ვნებათაგან თვალთა ნადენნი“ და გული ყინულად აქციოს (იხ. „ე...“), მაგრამ მაინც სწუხს სატრფოს მოცილებას, აწუხებს მისი უცხო მხარეს წასვლა („...წ...“).

რომანტიკოსი პოეტისათვის დამახასიათებელი პოეტური ხერხებითა და განწყობილებით გადმოგვცემს გ. ერისთავი გულისა და გონების ჭიდილს. გული, — გრძნობა პოეტს სიყვარულისაკენ, სიამოვნებისაკენ უბიძგებს, მაგრამ ციცი გონება ცდილობს დაიმორჩილოს იგი.

საბრალო გულო, რად მღელვარებ ტრფობისა ვნებით,
სულს რათ უშფოთებ, დაუტევე, ჰყავ განსვენებით,
რად არა უსმენ შენსა მრჩეველს ციკსა გონებას?
ნუ ელი ტრფობას, მისთა ბაგეთ ზე დაკონებას.
სულო, ნუ უსმენ, შემიდარია საწყალი გული,
ბევრჯერ შეშლილა, ვნებათაგან არს დაჩაგრული. („გულს“)

გრძნობისა და გონების დაპირისპირება გ. ერისთავის პოეზიაში არა გვაქვს მოცემული მკაცრ რომანტიკულ სახეებში; მას სანტიმენტალური სისუსტე ატყვია და უკიდურესობამდე არაა განვითარებული.

გ. ერისთავის სატრფიალო ლექსებს შორის, თავისი მაღალი მხატვრული ღირსებით, განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ლექსი „ლეკურის თამაშობაზე“, რომელიც მიძღვნილია ლეკურის განთქმული შემსრულებლის დარია სულხანის-ასულ ბეგთაბეგიშვილისადმი. აღნიშნული ლექსი ხელიდან ხელში გადადიოდა და ბევრმა ზეპირად იცოდა. ეკატერინე ჭავჭავაძე, რომელმაც იცოდა ამ ლექსის არსებობა და ალბათ ხშირადაც წაეკითხა, 1877 წლის 8 მარტს თავის ერთ-ერთ ახლო ნაცნობს სწერდა: „თუ ჩემი სიყვარული გაქვს უთუოდ უნდა მიშოვო გიორგი ერისთავის დაწერილი ლეკურის თამაშობაზედ ბეგთაბეგოვის ქალისა. ნამდვილი მისი

შეთხზული ლექსიდან გადმომიწერე, რომელსაც დიდად დამავალებო". როგორც ჩანს, ლექსი ისე იყო გაერცელებული ხალხში, რომ ეკატერინე საგანგებოდ ითხოვს „ნამდეილი მისი (გ. ერისთავის.—დ. გ.) შეთხზული ლექსიდან" გადმოეწერათ.

ლექსის მთავარი ღირსება ისაა, რომ მშვენიერი შესატყვისი რიტმითაა გადმოცემული ის განცდები, რომელიც ლეკურის კარგი შემსრულებლის ცქერის დროს შეექმნება ადამიანს. ლექსის თითქმის ყოველი სტროფი სახეს ქმნის და თვალწინ გვიდგება მშვენიერი მოცეკვავე ქალი.

—ეს ვინ მოფრინავს? ფერია თუ ცითა ნავარდობს.
მეჯლისი ნახა და იამა, ჰხვარობს და მარდობს!
ერთი შეხედეთ, ვით ყარყატი ყელ მოღერებით.
მოსცურავს ეგრე მშვენიერად და ნარნარებით.
უყურეთ ფეხთა თვალ ვერ ჰსწრებით როგორა ხმარობს,
ჰაერთა ზვირთთა თვისის ფრთებით, ვითა განაპობს?
ხედავთ მაგ ტანსა, გულ წამტანსა, ნორჩსა, მხედველსა;
შეხედეთ თმათა ხშირთა შავთა,—შვენობენ წელსა,
მკლავს მე ხელების, ხესთა ფრთების უცხოდ ხმარება.
აგრე მოჰფრინავს. თითქო მიწას არ ეკარება!
ვიშ მაგ სახესა, სინაზესა, სულის სარკესა!
მაგ ნაზ ტუჩებზედ ეგ ღიმილი ვინ დაგიწერა?
ხედავთ, კაცები, წყეულები, ტაშსა ჰკვებიან.
როგორ ცელქობენ, აშიკობენ, ეკონებიან?
აი თვალები, მაშვენები ლამაზის სახის,
სავსე ცეცხლითა და ელვითა, სადგურნი ეშხის.
მოდით მჰვრეტელნო, ტაშის მკვრელნო, უთხრათ მადლობა:
დავლოცოთ მაგის ცხოვრება და ყმაწვილ-ქალობა.

მოყვანილი ლექსის ავტორს უფლება აქვს ნიჭიერ პოეტთა გვერდით იხსენებოდეს.

* * *

გ. ერისთავი არ ყოფილა მარტო საკუთარ ბედზე მომჩივანი და სატრფოთა სილამაზის მომღერალი. იგი, როგორც პოეტი, დაჯილდოებულია ცხოვრების სინამდვილის შეცნობის უნარით. მას ემარჯვება საყურადღებო მომენტების დაჭერა. მისი პოეზია სოციალური შინაარსითაა გამდიდრებული და რეალიზმისათვის სწმენდს გზას.

გ. ერისთავი მოღვაწეობდა იმ დროს, როცა ქართველი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები ხდებოდა; როცა ახალი ცხოვრება, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა

ახლებურ ეთიკას ითხოვდა. ამ გარდამავალ პერიოდში ყველას როდი აღმოაჩნდა ძალა ეროვნულ ტრადიციებზე დარჩენილიყო და ახალი წესები და ახალი ჩვევები გონივრულად მიეღო. საზოგადოების ერთმა ნაწილმა, რომელიც მიჩვეული იყო ფუქსავატურ, ბოლ ცხოვრებას, ალღო ვერ აუღო ახალ, ბურჟუაზიულ ეტიკეტზე დამყარებულ ჩვევებს. მან სცადა თავისი შერყეული ეკონომიური მდგომარეობა ბოლი გზით გამოესწორებინა. ამ გარემოებამ მას დააკარგვინა ეროვნული იერი, ძირს დასცა მისი ზნეობრივი ღირსება. გარკვეული ნაწილისათვის. სიყვარული იქცა საანგარიშოს რგოლად, რომელიც მეტი შეძლებისა და ჩინის მქონე მოხელეს უფრო ადვილად შეეძლო თავის ანგარიშში შეეტანა. დედები ქალს ათხოვებდნენ არა სიყვარულით. არა გასათხოვარის მომავალი ბედის განსჯვრეტით, არამედ ანგარიშით, ე. ი ბინის მიხედვით, თუ რომელი საქმრო უფრო გამოჩენილი ჩინოვნიკი, გაქნილი და ყალბისჩამდენი მოხელე იყო, რათა მეტი შემოსავალი გაჩენოდა ოჯახს. საზოგადოების ერთი ნაწილის ასეთი გადაგვარება, პირველმა გ. ერისთავმა შენიშნა, მანაც აღარ დააყოვნა და სატირა მოიმარჯვა.

გ. ერისთავს თავიდანვე დაჰყვა იუმორული ნიჭი, მას ეხერხებოდა მოხდენილი გაკილვა და სატირული ისრის ტყორცნა. გადასახლებაში მყოფი, გრ. ორბელიანს სწერდა, რომ „რუსულათ დავწერე სატირა ყიამათათ აქაურს ბალზედო“. ჩვენამდე ამ რუსულ სატირას არ მოუღწევია, მაგრამ ვიცნობთ გ. ერისთავის სხვა სატირებს: „დედა და ქალი“ („ნუ მიკერავ, დედილო, წითელ კაბასა“), „დედა და ქალი“ („მოდი აქ დაჯექ...“), „ფიქრი ყმაწვილი ქალისა“ და „ერთი კაცი წვა სნეული“, რომლებშიც პოეტი იუმორით შეზავებული სატირით თავს ესხმის მაღალი წრის ქალთა იმ ნაწილს, რომელმაც სიყვარულის გრძნობა სიმდიდრეზე გასცვალა, თავბრუ დაეხვა ევროპული ბალებითა და „ვეჩერებით“, „კალიასკით ვიზიტობითა“ და ჩინ მედალთა ცქერით. ერთი მხრივ, თვითონ გასათხოვარი ქალები ცდილობენ გაჰყვნენ ცოლად „იარანალებს“, „პოლკოვნიკ — გლუხარიჩებს“, „ტიმოთ ფედოროვიჩებს“, რომლებთაც ჩინ-მედლები აქვთ, ბალებს მართაენ და „ფაიტონით“ დასეირნობენ. ხოლო, მეორე მხრივ—დედებს სურთ თავიანთი ქალები მოდაში მყოფ მოხელეებს გაატანონ, რათა გაიჩინონ კარგი შემოსავლის წყარო, შეეძლოთ მუქთად ცხოვრება. ამის გამო, ისინი არ არჩევენ მოხუცსა და ახალგაზრდას, უწესოსა და წესიერს.

ზოგიერთი დედა გაკვირვებულია, თუ რატომ სწუნობენ მათი ქალები „დიდ იარანალებს“, რომელნიც, მართალია. ძალზე მოხუცნი არიან, მაგრამ ჩინ-მედლები აქვთ.

დედა: უიმე! თქვენ გენაცვალეთ, ხედავთ სულელსა,
ქმრად იწუნებს ტუტუცი დიდ იარანალსა.
ვარსკვლავი აქვს გულხედა, ყელზედ ჯვარები.
ქალი: არ შევირთავ, დაუდგეს იმას თვალები!
დედა: რას მიჰქარავ, დაჩუმდი, მაგას ნუ სჩმახავ,
გაიწყვიტე ხმა, თორემ კარგა მიგჯოხავ...
ქალი: ვაი, ვაი! ნუ მამკლავ, ნუ მცემ, დედილო.
დედა: ჰსთქვი, შეირთავ თუ არა,შე დაწყევლილო!
ქალი: იყოს შეხი ნებაი, მაგრამ მოვკვდები!
დედა: არ მოჰკვდები... საწოლში რო გაგორდები,
მაშინ ჰსცნობ, არს ტკბილი ქმარისა ყოლა.
ხვევნა, კოცნა, ალერსი, ახლოს მიწოლა...
ქალი: მაგას ვსტირი დედილო, რომ ფასი ვიცი.
არ მინდოდა შემერთო ბებერი კაცი!

(„დედა და ქალი“)

სატირაში მკაცრად არის გაკიცხული სიმდიდრით გაგიჟებული დედები და უნებისყოფო ქალები, რომლებიც მალე ხდებიან ბრიყვი დედების მორჩილნი. მეორე სატირაშიც, რომელსაც სათაურად კვლავ „დედა და ქალი“ აქვს, გ. ერისთავი იძლევა მსგავს სურათს, ხატავს მსგავს სახეებს. გახარებული დედა, რომელსაც თავისი ქალის საქმროდ მოხუცი, მაგრამ მდიდარი პოლკოვნიკი უშოვნია, აღფრთოვანებული მიმართავს ქალს, რომ გამონახა კარგი საქმრო. „მდიდარი, დიდი კაცი“, მართალია, ჯერ პოლკოვნიკია, „მაგრამ იარანალობს“, შეუძლია „ფერშანგის მაღაზიაში ბილეთების ყიდვა“. და „გოსტინაში მოსკოვის სანთლის ანთება“.

დედა: თითონ შენ გააკეთებ ვეჩერებსა და ბალებს,
ერთი სიტყვით, სიშურით მტერს დაუყენებ თვალებს,
ნეტა ოდის იქნება კალასკით ვვიზიტობდეთ,
ფერშანგის მაღაზინში ბილეთებს ვყიდულობდეთ.

ქალი: არა, გენაცვა, დედავ, მე ის არ მინდა ჭკარად,
არის ყრუ და მოხუცი და ცუდათ შენის თვალად:
მალე დაემართება ფეხებში პოდაგრები,
მაშ რათ მინდა იმისი სიდიდე, ანუ ფული?
კბილთა სიმყრალისაგან მყისვე გაშცივა სული!

უნებისყოფო ქალი, მაინც დედას დამორჩილდა; მაგრამ გადის ხუთი თვე და მათი საქმე ჰორის საგანი გახდა, ქალები ერთმანეთს

ეკითხებიან: „არ იცი, ჩემო რძალო, გლუხარიჩს რა უქნია? გუშინ ვაჯავრებული, სიდედრი გაუგდია!“ ივი არავის ებრალება ამისათვის, დასცინიან კიდევაც:

ყრუანჩელას მიუგდო კალასკისათვის ქალი,
მაგისთანა საქმისთვის არ არის შესაბრალი.

ბევრი გასათხოვარი ქალისათვის საოცნებო გამხდარა ისეთი ოჯახები, რომლებსაც შეუძლიათ ცხოვრება „რუსულ გვარად“, აქვთ ეტლი და აწყობენ მდიდრულ ბალებს. ისინი ადვილად ივიწყებენ იმ სატრფოებს, რომლებიც ამ მხრივ არ გამოირჩევიან.

მართალი მითხრა დედამ, რათ მინდა ბეგლარ ქმარად:
იმას არ შეუძლიან ცხოვრება რუსულ ვგარად!
მე შევირთავ ისეთ ქმარს იყოს ჯერ მაიორი.
ლამაზი და მდიდარი, არ ჰყვანდეს თანასწორი
თვეში ორჯერ მდიდრულსა ვაკეთებდე ბალებსა,
მერე ბუთშაბათობით ვპატიჟობდე ქალებსა;
დილით ფაიტონითა ყოველთვის ვგზულაობდე.
საღამოს კავალრებით უნდა ვკავალკაობდე.

(„ფიქრი ყმაწვილი ქალისა“)

პოეტის საძართლიანი თქმით, ასეთი მისწრაფების ქალებს არ ეოელით კარგი ცხოვრება, მათი ბედნიერება მათივე წინდაუხედაობის მსხვერპლი ხდება. პოეტი თავისი სატირის დასასრულს გვაცნობს, რომ „გავიდა სამი წელი, ერთხელ კახეთს მივედი... აკი იმ ქალსა შევხვდი, საყდრიდან მოვიდოდა, იყო ჩადრ წამოსხპული... წინ ქმარი მიუძღოდა პაპიჭ-ჭოშებიანი, მაღალი ვით აქლემი“.

ბულმა ვერ მომისვენა, უკან მივყე სახლამდის,
სანამ სულ არ გავსინჯე, არ წამოველ მანამდის.
გოსტინა დავინახე, იყო გაულესელი,
ფანჯარას ფარდის წილად ეფარა სამოსელი.

ბალებითა და სეირნობით გატაცებული ქალები, რომლებიც ფუქსავატ ცხოვრებას შეტრფოდნენ, ცხადია, ქმრების ერთგულნიც ვერ იქნებოდნენ. მათი ცხოვრება და მოქმედება ყოველმხრივ ყალბი და მოჩვენებითი იყო. პოეტიც მკაცრად ამხილებს მორალდაკარგულ ქალებს, რომლებიც ქმრებს თვალებს უხვევენ, თავს ერთგულად აჩვენებენ და თანაც ღალატობენ. სატირაში „ერთი კაცი წვა სნეული...“ პოეტს აღწერილი ჰყავს ქალი, რომელიც ავადმყოფ ქმარს დასტიროდა, „ზედ აკვდებოდა“, მომაკვდავი ქმარი კი დაინტერესებული იყო გაეგო მართლა აკოცა მის ცოლს „ფილიპემ სეირნობაში“ თუ არა? ქმარი სთხოვს ცოლს, ნუ ჩააყოლებს დარ-

დად ამ ამბავს და უთხრას სწორი, მაგრამ ცოლმა მიუგო წუწუნით: „მე სწორეთ გაგიტყდებოდი, თუ რომ ვიცოდე, რომ ეხლა უთუოდ შენ მოჰკვდებოდიო“.

თავის სატირების საგნად გ. ერისთავმა აიღო ქალაქის მაღალი საზოგადოების ქალთა ერთი ნაწილის ზნეობრივ-მორალური გადაგვარება, რაც შედეგი იყო ბურჟუაზიული ცხოვრების დამკვიდრებისა ჩვენში. გ. ერისთავის მახვილმა თვალმა შენიშნა, რომ დაცემის გზაზე დამდგარი ფეოდალური არისტოკრატია ზნეობრივადაც გადაგვარდა. პოეტის მიზანია გაკიცხვის გზით გამოასწოროს ეს ნაკლი.

გ. ერისთავის სატირების ფორმა მეტად საყურადღებოა. იგი მიმართავს დიალოგებს, იძლევა ცალკეული სცენების სრულ სურათს. ეჭვს გარეშეა, რომ პოეტი პირველად თავისი სატირებით მოემზადა გამხდარიყო კომედიოგრაფი, ავტორი სატირული კომედიისა „შეშლილი“, რომელიც ქრონოლოგიურად მოსდევს მის სატირებს და შინაარსითაც მათ გაღრმავებას წარმოადგენს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სატირას „ფიქრი ყმაწვილი ქალისა“, რომელშიც ნახსენებია პირველად ბეგლარი, როგორც დაწუნებული საქმრო, ხელნაწერში აქვს წარწერა: „ბ. ო.-ზედ“, ე. ი. ბარბალე ორბელიანზედ. ხოლო ამავე დროს ვიცით, რომ „შეშლილი“ პოეტმა დაწერა ბარბალე ორბელიანთან ტრაგიკულად დამთავრებული რომანის გამო. ამით აშკარა ხდება, რომ ბეგლარი, რომელიც პოეტს ხშირად გამოჰყავს თავის ნაწერებში, ავტორის თავისებური ორეულია და მისი სახის შექმნისას საკუთარი თავგადასავლით სარგებლობს. როგორც შინაარსით, ისე სახეებით და ენობრივად გ. ერისთავის კომედიები ბუნებრივი გაგრძელებაა მისივე სატირების; პირველ ყოვლისა კი „შეშლილი“, რომელშიც პირდაპირაა გადატანილი პოეტის მიერ ადრე დაწერილი სატირების ნაწყვეტები.

ი. ჭავჭავაძის თქმით, გ. ერისთავის, როგორც პოეტის, ერთ-ერთი დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან „ჩვენს პოეზიას ჩაუშატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლმე იმას, ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი აფრთხილებს“. დიდი სატირიკოსის—ილიას მიერ გ. ერისთავის ასეთი შეფასება მეტად საგულისხმოა.

* * *

გ. ერისთავმა თავის პოეზიაში გარკვეული ადგილი დაუთმო ეროვნულ მოტივს. ჩვენ უკვე ვიცით პოეტის ეროვნული იდეალე-

პის შესახებ 1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნებამდე. გადასახლებაში ყოფნის დროს გ. ერისთავი კიდევ მეტი სიყვარულით იგონებს თავის სამშობლოს — მის მთებსა და ველებს, თავის თანამემამულეთ. მაგრამ იგი ამ დროისათვის აღარაა მებრძოლი ტემპერამენტით ანთებული, ძველებურად ველარ და აღარ ამბობს: „მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა, თუ ვერ განვდევნით. ჩვენის საზღვრით, მამულის მტერთაო“. მან იცის უკვე, რომ მის დიდ წინაპართა — ელიზბარისა და შალვას — მსგავსი თავგანწირვა არ უშველის საქმეს. პოეტი დარწმუნდა, რომ მეფის რუსეთის განდევნა საქართველოდან შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამ ორ ქვეყანას შორის მტკიცე კავშირი ისტორიულმა აუცილებლობამ განსაზღვრა. ამიტომ იგი კმაყოფილდება მხოლოდ მოგონებებით თავისი მამულის შესახებ („მტკვრისადმი“, „ყაბახისადმი“ და სხვ.).

ორმოციანი წლებიდან გ. ერისთავს ეტყობა სრული შეგუება ერეკლე მეორის პოლიტიკურ კურსთან. იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთთან მჭიდრო კავშირი საჭირო და აუცილებელია ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობისათვის, მუსულმანური აგრესორი ქვეყნების ასალაგმად. ლექსში „კავკაზი და უცნობი“, რომელიც დაწერილია 1854 წლის იანვარში და რომელიც ეხმაურება რუსეთ-თურქეთის ომს, პოეტი გარკვევით მიუთითებს იმ სასარგებლო შედეგზე, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა. ლექსი მეტად საყურადღებო შინაარსისაა: „დიდი რუსეთის სკიპტრისაგან დამშვიდებული“ მყუდროდ წევს „ბერი კავკაზი“, მაგრამ მას ვიღაც „უეცარი ხმით“ აღვიძებს და ეუბნება: „მოხუცო გმირო, გაგაგონებ ცუდ რასმე ამბებს. მოდის ლაშქარი, შენი შეპყრობა უნდა ოსმალებსო“. და თან უმატებს, რომ საფიქრალი ისაა, რომ „მათა ჰყვანან დასავლეთიდან ძლიერი შემწე“.

და იცი ვინა? განათლებულნი ბრეტონელნი და ფრანცუზები...
მათ თუმე გაწრთვნეს ევროპულად თურქისტანები.

მოხუცი გმირი-კავკასი მღიმარედ მიუგებს: „ჰაბუკობის დროს ჩემს მცირე ქართლით მთელს აზიას პასუხს უგებდი, რაც რომ დაებერდი საფარველად უფალმა მომცა უკვე რუსეთი, და ახლა არ მეშინიან „თუნდა მოვიდეს სრულად ხმელეთიო“.

ბევრჯერ მინახავს აქ ოსმალოს ბუღა-ფაშები
და დამიმარხამს მე იმათი ურიცხვი მკვდრები,
დამინგრევია მე სტამბოლი და თვით მისრეთი.
ხელში მჭერია ერთიანათ არტაანეთი.

კავკასს ოდნავადაც არ აღელვებს თურქთა ევროპული გაწრთვნა. იცის, რომ მათი ეს გაწრთვნა ნიშნავს „ორი თუ სამი სიტყვის

ფრანციცულად თქმას“ და „ღორის სტუდენის ანგლიელების სნობს-ურა ჯამას, შარბათების წილ, შამპანსკეების სტაქნებითა სმას“, იგი მოამბეს გაკვირვებული მიმართავს, თუ რად შეწუხებულა ამისთვის, და ამბობს:

ვერას მაოცებს ანგლო-ფრანცუზი, მათთან ხვანთქარი,
მობრძანდენ, ნახონ ჩვენი რუსეთის გმირი ლაშქარი.
ამ ჩემს ათქმას ხედავ? როგორც ეგენი არის მაჯარი,
ეგრეთვე თითო რუსეთისა არის სარდალი.

იგი მოაგონებს ფრანგებს 1812 წლის „რუსთ მასპინძლობას“. როცა ზურგზე „ხიშტებითა სიასუმბურის ქურქი მოასხეს, ბერეზინის წყლით, შამპანსკის წილ, დიდი ღვარდია რიგზე დაათვრეს“ და „ამ პატივით პარიჟამდე სულ ურა ძახეს“.

დადგნენ თავისთვის, გაუგონონ მოხუცის სიტყვებს.
ნუ გამოსცდიან, გამოცდილსა, რუსების ხიშტებს,
თორემ დაჰფანტვენ ბრიტანლების დიდსა შიტინღებს.

და თუ არ სჯერათ, ეუბნება კავკასი მოამბეს, მობრძანდნენ და ჰკითხონ „ვატერლოის ჯაბუკთ, ის უფრო კარგად პასუხსა უგებსო“.

ლექსში „კავკაზი და უცნობი“ პოეტი არა მარტო იმაზე მიუთითებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთს საქართველოსათვის, არამედ შეგნებულად სწვამს რუსეთის უპირატესობა ევროპის ქვეყნებთან. აღნიშნული ლექსი ამჟამადაც ცხოველმყოფელობას ინარჩუნებს, ამაშია მისი სიძლიერეც.

მაგრამ შეცდომას დავუშვებთ, თუ ვიტყვით, რომ გ. ერისთავი ყოველმხრივ კმაყოფილი იყო, თუნდაც 50-იან წლებში, მეფის რუსეთის პოლიტიკით. მართალია, გ. ერისთავი დარწმუნდა, რომ საქართველოს სხვა უკეთესი გზა არ გააჩნდა, თუ არა რუსეთთან შეერთება, ითვალისწინებდა და აფასებდა იმ დადებით როლს, რომელიც ამ შეერთებამ ითამაშა ქართველი ერის ცხოვრებაში, მაგრამ მის უარყოფით მხარეებსაც ამჩნევდა. პირველ ყოვლისა, გ. ერისთავი მწვავედ განიცდიდა ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის სიტლანქეს, რომელიც იძულებული იყო თვითონაც აეტანა. ამასთანავე, ფხიზელი ხედვის პოეტი ადვილად ამჩნევდა იმ უარყოფით გავლენას, რომელსაც მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე ახდენდა. ამიტომ იყო, რომ პოეტი მიმართავდა სატირას, ჰკიცხავდა გადაგვარების გზაზე მდგომთ, შურიანობასა და მორალურ სიმდაბლეს; სატირით უმასპინძლდებოდა ჩამორჩენილსა და დრომოჭმულს, მიუთითებდა ახალი ცხოვრების მოთხოვნებზე.

გ. ერისთავის გულის სიღრმეში დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს იდეალი მუდამ გაუქრობელ ნაპერწკლად ენთო. ამიტომაა, რომ სევდა-მწუხარება მისი გრძნობა-ფიქრების განუყრელი თანამგზავრია. ამას ადასტურებს მისი ლექსი „ახალ წელიწადს", რომელიც 1854 წლის იანვარში დაუწერია პოეტს. მისი თქმით, ახალი წელი „მრავალთა გულებს აშფოთებს", „დიდსა, პატარას, ღარიბს, მდიდარსა ყველას იშედი უღიმდებიან... სულ წინ გარბიან, ოცნებითა, უკან არასდროს არ მოიხედვენ, ზოგი ხარისხსა, ზოგი ფულებსა, ყველანი უკვე ფიქრითა ხატვენ", მაგრამ მას მაინც არ ახარებს ახალი წელი.

— მაგრამ, ახალო წელიწადო, მე კი ვერაფერს ვერას მომიკლევ,
რადგანაც კეთილს ამა სოფელს ნამდვილათ ვიცი მე ვერას მოცემ,
ვერც სიხარულსა, ვერც მამულსა, ვეღარც დამკვნარ გულს ნუგეშს ვერა სცემ".

რით უნდა აიხსნას პოეტის ასეთი სევდა და უიმედობა, თუ არა სამშობლო ქვეყნის არასასურველი მდგომარეობით?

ეროვნულ მოტივზე დაწერილ ლექსთაგან, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლექსი „თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ", რომლითაც პოეტმა გამოხატა თავისი ღრმა მწუხარება დიდი პოეტისა და საუკეთესო მეგობრის გარდაცვალების გამო.

— რათ მიგვეფარე? ცას შევსცქერი, რა დღე ბნელდების.
უყურებ, ტატო რომელ ვარსკვლავად გამობრწყინდების...
— ვგონებ, ჰმუნვითა ქვე დამხერი ჩვენსა ცხოვრებას.
ჰხედავ რა შენ ძმათ და მათ შორის შურსა, მტერობას.

გ. ერისთავის ეროვნული კონცეფცია არ განსხვავდება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის შეხედულებებისაგან. თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში იგი იბრძვის მეფის რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო მეორე პირიოდში რწმუნდება საქართველოს რუსეთთან შეერთების აუცილებლობაში, მაღალ შეფასებას აძლევს ამ დიდ ცვლილების პროგრესულ შედეგებს, ცდილობს რაც შეიძლება მეტად გამოიყენოს ეს შედეგები მშობლიური ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური აღმავლობისათვის; ამასთანავე ებრძვის უარყოფითი გავლენის შედეგებს, იცავს ეროვნული მეობის სიწმინდეს და იმედით ინახავს თავისუფალი საქართველოს იდეას.

* * *

გ. ერისთავი იყო მეტად ნაყოფიერი მთარგმნელიც. მის მიერ ოცზე მეტმა თარგმნილმა ლექსმა მოაღწია ჩვენამდე. მან ლექსების თარგმნა დაიწყო პოლონეთში ყოფნის დროს და ამის საბაბი გახდა ადამ მიცკევიჩის (1798—1855) შემოქმედება, რომელმაც მეტად გაიტაცა ჩვენი პოეტი. ადამ მიცკევიჩიდან გ. ერისთავს თარგმნილი აქვს: „ბაღჩასარაია", „არამხანის საფლავი", „აიუდაღი", „პილიგრიმი", „პატოცკის საფლავზედ" და „აკერმანის მინდორი"[1]. ა. მიცკევიჩის თარგმანებიდან გადმოთარგმნა მან აგრეთვე შილერის „ხელთათმანი" („ხელჯავი") და „განყოფა სოფლისა". გადასახლებაში ყოფნისას (1838 წ.) თარგმნა პუშკინის ლექსიც „მარი". ყველა დასახელებული ლექსი შინაარსით პასუხობს პოეტის იმ განწყობილებებს, რომლებიც მას ამ პერიოდის ორიგინალურ ლექსებში აქვს გადმოცემული.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც, სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე, გ. ერისთავს არ შეუწყვეტია მთარგმნელობითი მუშაობა. მან თარგმნა პეტრარკას (1304—1374) „კურთხევა"; ვ. ჰიუგოს— „ერთი მინუტის სიჭაბუკე", „ერთ ქალს", „ო, ნუ კიცხავთ", „სიმღერა"; ლერმონტოვის — „И скучно и грустно"; ბერანჟეს (1780—1857) — „დიდი კაცის გაცნობა"; რიუკერტის (1788—1868)— „კარებთან"; რუსული ენიდან აქვს აგრეთვე ნათარგმნი „შექმნა სეკრეტარისა" და „№-ს" („ვით ქარს შემოდგომისა").

გ. ერისთავის თარგმანები ავსებს მის ორიგინალურ შემოქმედებას. მას შემთხვევით არ აქვს ნათარგმნი არც ერთი ლექსი, ყველა მათგანი გამოხატავს პოეტის განწყობილებებს გარკვეულ მომენტში და შესატყვისი მოეძებნება მის პოეზიაში. მაგალითად. 1839 წელს, როდესაც პოეტი გატაცებული იყო ბარბალე ორბელიანის სიყვარულით, თარგმნის პეტრარკას „კურთხევას", რომელიც კარგად გამოხატავს პოეტის მაშინდელ განცდებს. გ. ერის-

---

[1] როგორც ჩანს, თავისი შინაარსის გამო გ. ერისთავი უფრო მეტად ა. მიცკევიჩის „ყირიმის სონეტებით" იყო გატაცებული. ეს გატაცება მას ბოლომდე შერჩენია. თავის „მოგზაურობაში", აღწერს რა 1862 წლ. 27 ივნისის მგზავრობას, წერს: „ქალები, მრავალნი კაცნი კაიუტში ჩავიდნენ, მე დავრჩი მარტო და კაპიტანი პალუბაზედ, უშიშრად ვფიქრობდი. მომაგონდა მიცკევიჩის სონეტი, რომელიც ზღვისა ზვირთთა ადარებს პოეტს. ეუბნება აიუდაღის კლდეზედ დაყრდნობილს: „ჭაბუკო მომღერალო, შენ ემზგავსები ზღვისა ზვირთთა, რომელნიცა შეეხეთქებიან კლდეთა, და გაძოაქვთ სხვადასხვა ძვიოფასნი ნივთნი და დაუტეხებენ კიდესა, აგრეთვე ამღელვარებული მივარდები შენსა ჩანგსა და განაფრქვევ მარგალიტებ მწყობრთა ლექსთა კაცთათვის".

თავის ოროგინალურ სატირებს ავსებენ თავიანთი შინაარსით ბერანჟეს „დიდი კაცის გაცნობა“ და რუსული ენიდან გადმოთარგმნილი სატირა „შექმნა სეკრეტრისა“. სატირაში—„დიდი კაცის გაცნობა“ გამოყვანილია გონებაჩლუნგი ქმარი, რომელიც თავისი მეუღლის საყვარლის დამატება გამხდარა, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად გრძნობს იმით, რომ „ცოლის წყალობით“ გაცნობია ბრწყინვალე გრაფს, რომელიც მის სახლში შინაურივით დაიარება და მისი შემწეობით „მინისტრის ბალშიც“ მოხვედრილა. მაღალ წრესთან ახლოს ყოფნით დაბრმავებული ვერ ხედავს, რომ პატივს კი არ სცემენ მას, არამედ არაფრად აგდებენ. მას უხარია, რომ გრაფი დღისით მას „პრაფერანსს ეთამაშება“, ხოლო ღამით მის ცოლს „გვერდით მოუჯდება“ და ქმარს კი გასეირნებას ურჩევს:

რა საღამოთი შინ მოპახელებს,
სიცილით მეტყვის, დამიჭერს ხელებს:
„შინ ჯდომა გაწყენს, გასეირნება,
კარგი დარია, გაგულავება,
დიახ კარგია... აგერ ჩაბრძანდით
ჩემს კარეტაში, ისე წაბრძანდით“.

ბეც ქმარს ისიც ახარებს, რომ გრაფმა შესთავაზა ნათლობა და მის ვაჟს „სამჯერ აკრცა“. კმაყოფილია ასეთი ცხოვრებით და გაიძახის: „აი ნამდვილი ბედნიერებაო“. თუ აღნიშნულ სატირაში გაკიცხულია ბეცი ქმარი და ცბიერი ცოლი, რომელთაც გრაფის სიმდიდრე და დიდკაცობა აბრმავებთ, სატირაში „შექმნა სეკრეტრისა“—ავტორი თავს ესხმის მოხელეებს. მასში მოცემულია „სეკრეტარის“ წარმოშობის „ისტორია“: ჯოჯოხეთში მყოფი სატანა გადაწყვეტს ღმერთს შეეცილოს და შექმნას „ადამიანი“. იგი ამზადებს წამლებს, „გამოწურა ბალახები: სიგიჟისა და სიშურისა, აკლებისა, სიცრუისა, კაცთა კვლისა და ქრთამისა, შეაზავა ლენცოფასთან ნაწვეთალი კალამისა“; შემდეგ გააკეთა ტალახისაგან კაცის გვამი, რომელსაც „პირში ჩაუბერა, ერთი კარგა ჩააფურთხა“ და „განცხოველდა თიხის კაცი“.

— უთხრა: ჩემო ქმნილებაო, მსგავსი შენი არსით არის,
რადგან არ გაქვს შენ წოდება, მოდი იყავ სეკრეტარი.

მაგრამ „სეკრეტარმა“ თავის შემქმნელ სატანას გაჩენისათვის სთხოვა ქრთამი, რამაც გააბრაზა სატანა, რომელმაც „სეკრეტარს“ „ჰკრა პანღური ეშმაკური, ჩვენს ქვეყანას ამოაგდო“. ასე სასტიკად არის გამათრახებული „აბრუნდების“ მოყვარული მოხელეები ჩვენი პოეტის მიერ გაზდმოკეთებულ სატირაში.

მეტად საყურადღებო ფაქტია გ. ერისთავის მიერ თარგმნა რიუკერტის ლექსისა „კარებთან“ და ვ. ჰიუგოს—„ო, ნუ კიცხავთ“. აღ-

მიშნული ლექსები პოეტმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ბოლო წლებში თარგმნა. მათში ნაჩვენებია მდიდართა სიძუნწე, ურეუბრალებლობა, სიმდიდრე, როგორც წყარო ბოროტებისა, მდიდრები, როგორც მიზეზნი ღარიბთა გაუბედურებისა და სხვა. ჰიუგოს ლექსში „ო, ნუ კიცხავთ“ ლაპარაკია იმაზე, რომ, როცა ხედავთ „ქალსა უკვე დაცემულსა“, ნუ კიცხავთ მას, ვინაიდან არ იცით, რამ აიძულა იგი დადგომოდა ასეთ ცხოვრებას; ვინ იცის, რამდენ დღეს იარა მან უჭმელ-უსმელი? „შენი ბრალია მდიდარო და შენი ოქროებისაო“, — დაასკვნის პოეტი. რიუკერტის ლექსში „კარებთან“ ღარიბი ამბობს:

მე მდიდრის კართან მივედი, ეგებ საუნჯე მოეცა,
დიდებასა ერეკდი კარებსა, ფანჯრით ფეთ გროში დამეცა,—
მივედ სასახლეს, სადაცა დიდება განისვენებდა.
მაგრამ საბრალოს, მითხარით, მე იქ ვიღა ვემიშვებდა.

ცხადია, გ. ერისთავი, რომელმაც თავის კომედიებში ბატონყმობის მახინჯ მხარეებს სატირის ისარი სტყორცნა და პრაქტიკულადაც მის წინააღმდეგ გაილაშქრა (ადრევე გაათავისუფლა თავისი ყმა-გლეხები), ლოგიკურად მივიდა ასეთი შინაარსის ლექსების თარგმნამდე. გ. ერისთავს ნათარგმნი აქვს აგრეთვე პროზაული თხზულებებიც (ნ. ზოტოვის — „კალიოსტრო ღერცოლ რიშელიესთან“ და სხვ.).

გ. ერისთავის თარგმანები გვეხმარებიან მისი ორიგინალური შემოქმედების შესწავლაში.

* * *

მე-19 საუკუნის გამოჩენილ მწერალთაგან გ. ერისთავი ერთი პირველთაგანი გამოვიდა სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე. 30-იანი წლებისათვის მას, როგორც ახალგაზრდა პოეტს, უკვე ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. გ. ერისთავის პოეზია იქმნებოდა იმ დროს, როცა პოეტური მოღვაწეობა უხდებოდათ ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, ნ. ბარათაშვილს, ვ. ორბელიანს და სხვა გამოჩენილ პოეტებს, რომლებმაც ქართული რომანტიკული სკოლა შექმნეს.

გ. ერისთავი თავიდანვე სხვა მიმართულების პოეტი იყო, ვინემ მისი თანამედროვენი, და გარკვეულად განსხვავდებოდა მათგან, თუმცა იგი ვერ აცდა და შეუძლებელიც იყო აცდენოდა რომანტიზმის გავლენას. მაშინ როცა პოეტის ახალგაზრდული ოცნება საპატიმროს კედლებში მოექცა და იმედდაკარგული პოეტი გადასახლებაში გაგზავნეს, ცხადია, მის პოეზიაშიც რომანტიზმის ელემენტებმა წამოიწიეს წინა რიგზე. ჩვენ გავეცანით იმ შინაარსობლივ ცვლილებებს, რომლებიც გ. ერისთავის პოეზიაში შეინიშნება პოე-

ტის მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში, მაგრამ ეს ცვლილებები და თავისებურება თავის გამოხატულებას ჰპოებს მისი ლექსის მხატვრულ ფორმაშიც.

პირველ ყოვლისა, გ. ერისთავი თავისი თანამედროვე პოეტებისაგან განსხვავდება სამწერლო ენით. მისი ენა ახლოს დგას ხალხურ. სასაუბრო ენასთან და ძირითადად თავისუფალია იმ არქაისტული ფორმებისა და ფორმათა წარმოებისაგან, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ქართველი რომანტიკოსების ლექსებში. შეხედულება, რომ გ. ერისთავმა თავისი კომედიებით დაბადა ახალი ქართული ენა, ერთგვარ დამატებას მოითხოვს. კერძოდ, ახალ ქართულ სამწერლო ენას გ. ერისთავმა დიდი სამსახური გაუწია თავისი პოეზიითაც, რომელიც თავისუფალია იმ ჟარგონისაგან, რომელიც იძულებული იყო გამოეყენებინა კომედიებში. გ. ერისთავი არა მარტო კომედიების ენით განსხვავდება თანამედროვეთაგან, არამედ ლექსების ენითაც. ლექსები: „ჩემს ძმას ივანეს", „დედა და ქალი", „ნახვამდის", „თეოდოსია მირეცკას". „წიგნი მიწერილი მეგობართან", „დედა და ქალი", („მოდი აქ დაჯექ..."), „ფიქრი ყმაწვილი ქალისა" და სხვები, რომლებიც კომედიებზე ადრე არიან დაწერილნი, თავისი ენით უახლოვდებიან ჩვენი მესამოციანელი მწერლების ენას. ის მცირე არქაული ფორმები, რომლითაც გ. ერისთავმა ხარკი მისცა რომანტიკოსთა სამწერლო ენას, მოიპოვებიან იმ ლექსებში, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ვილაპარაკოთ რომანტიზმზე გ. ერისთავის შემოქმედებაში. მთლიანად არქაულია გ. ერისთავის ადრინდელი წერილების ენა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება „ოსური მოთხრობის" ენისაგან.

გ. ერისთავის ლექსების ენა შემუშავებულია ქართლურ დიალექტზე დაყრდნობით, სასაუბრო ენის უშუალო გამოყენებით. მისი ლექსი მჭიდრო კავშირშია ხალხურ შემოქმედებასთან; ამაზე მიგვითითებს ხალხური შემოქმედების ის ნიშნებიც, რომლებიც უცვლელად აქვს პოეტს საჭირო შემთხვევებში გამოყენებული.

გ. ერისთავი მისი თანამედროვე პოეტებისაგან გარკვეულად განსხვავდება პოეტური ენითაც. მის ლექსებში ვერ ვიპოვით მეტაფორებისა და ეპითეტების იმ სიუხვეს, რითაც მდიდარია რომანტიკოსთა პოეზია. გ. ერისთავის ლექსებისათვის დამახასიათებელია აღწერითი მხარე,—სახეების შექმნა მოვლენის ნიშანდობლივი თვისებების უშუალო აღწერით. ამიტომაა, რომ მისი ლექსები, უმეტესად, სიუჟეტური არიან და პოეტის განწყობილებებს პირდაპირ კი არ გადმოსცემენ, არამედ იუმორისა და სატირის საფარქვეშ მალავენ.

გადასახლების პერიოდში დაწერილი ლექსები ერთგვარ თავისებურებას ამ მხრივაც ამჟღავნებენ. თვით სათაურებიც ამ თავისებურებაზე მიგვითითებს. ყველა მათგანი მიმართვითი, ეპისტოლარული ფორმით არის დაწერილი: „მტკვრისადმი“, „ყაბახისადმი“, „თ. სვიმონ მაჩაბელს“, „პელაგია არციმოვიჩის ქალს“, „მაიორ ანტონ მიცკევიჩს, პოეტს“, „როზალია ბიშპინგის ქალს“ და სხვა, რაც რომანტიკული პოეზიისათვის არის დამახასიათებელი.

არა მარტო ენის, პოეტური სემანტიკისა და სინტაქსის, პოეტური ბგერწერისა და კომპოზიციის მხრივ, არამედ ლექსის ვერსიფიკაციით, რიტმითა და რითმითაც გარკვეულად განსხვავდება გ. ერისთავის პოეზია რომანტიკოსთა შემოქმედებისაგან.

გ. ერისთავის პოეტური სმენა ნაკლებ მუსიკალურია, უფრო სწორად, სათანადო ანგარიშს ვერ უწევს ლექსის მხატვრული მხარის დამუშავებას, მაგრამ ერთგვარი ცვლილებები მაინც შეაქვს ლექსის სტროფულ არქიტექტონიკაში, მეტრიკაში. იგი იყენებს 10, 12, 13, 14, 15, 16, 18, 19 და 20-მარცვლიან სალექსო ზომას; უმეტესად ჰარბობს 14 და 10-მარცვლიანი სალექსო ზომა.

თავისებურია გ. ერისთავის ლექსის რითმაც. შერითმულ მარცვალთა რაოდენობის მხრივ მის ლექსებში ჭარბობს დაქტილური და ქალური რითმა, გვაქვს მდიდარი რითმაც, მცირე გამონაკლისს წარმოადგენს ვაჟური რითმა. ადგილმდებარეობის მიხედვით გვაქვს პარალელური, ჯვარედინი და წყობილი რითმა, მაგრამ არც ესაა ყოველთვის დაცული და გარკვეულ კანონზომიერებაზე დამყარებული.

გ. ერისთავის ლექსის მხატვრული მხარე საინტერესო და ანგარიშგასაწევია, იგი საგანგებო შესწავლას საჭიროებს[1].

[1] აქვე შევიშნავთ, რომ გ. ერისთავის ლექსები თითქმის ყველა გამოცემაში დამახინჯებულია.

III. გ. ერისთავის დრამატურგია

გ. ერისთავის მხატვრული შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს დრამატურგიული თხზულებები წარმოადგენს. ამიტომაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში გ. ერისთავი, უპირველეს ყოვლისა, შესწავლილი და დაფასებულია, როგორც პირველი დიდი კომედიოგრაფი. მას „ქართული კომედიის ადამსაც“ უწოდებენ. შესაძლებელია ასეთი შეფასება დღეისათვის მოძველებულიც იყოს, ვინაიდან ვიცით, რომ კომედიები ქართულ ენაზე გ. ერისთავამდეც უწერიათ, მაგრამ ისტორიამ მხოლოდ გ. ერისთავს არგუნა წილად გამხდარიყო ქართული დრამატურგიის გზის მაჩვენებელი.

გ. ერისთავმა გასული საუკუნის 40-იან წლებში თავისი კომედიებით მოამზადა ნიადაგი და შექმნა საზოგადოებრივი აზრი პროფესიული ქართული თეატრის დაარსებისათვის. ხოლო 50-ან წლებში, როცა მისი ოცნება განხორციელდა—ქართული თეატრი დაარსდა, ორიგინალური და გადმოკეთებული პიესების შექმნის შესაძლებელი გახადა თეატრს ჰქონებოდა საკმაოდ მდიდარი რეპერტუარი.

გ. ერისთავი, როგორც კომედიოგრაფი, დიდი და საინტერესო მოვლენაა ქართული დრამატურგიის ისტორიაში არა მარტო იმიტომ, რომ მას ეკუთვნის ბევრი და მეტად საყურადღებო კომედია, არამედ იმიტომაც, რომ მან შექმნა თავისი სკოლა დრამატურგებისა, აღზარდა და დაავაჟკაცა თეატრის მაცოცხლებელი ძალები.

გ. ერისთავის სკოლას ეკუთვნიან: ზ. ანტონოვი, გ. ჯაფარიძე, გ. მეიფარიანი, გ. დვანაძე, ს. კასრაძე, ი. კერესელიძე და სხვები, რომელთაც, თავის დროზე, დიდი შრომა გასწიეს ქართული თეატრის რეპერტუარის გასამდიდრებლად. აღსანიშნავია, რომ გ. ერის-

თავისა და მისი სკოლის დრამატურგთა გავლენა მეტ-ნაკლებად განიცადა შემდეგი დროის თითქმის ყველა ქართველმა დრამატურგმა. კიდევ მეტი, მათი გავლენა შეიძლება ვეძიოთ ქართული ლიტერატურის გარეთაც.

გ. ერისთავის დრამატურგია საინტერესოა როგორც იდეური შინაარსითა და მიმართულებით, ასევე ჟანრობრივ-მხატვრულ თვალსაზრისითაც.

გ. ერისთავმა ქართულ ლიტერატურაში მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას და ამასთან ერთად სათავე დაუდო ახალ ლიტერატურულ მიმართულებას—კრიტიკულ რეალიზმს.

I

დრამატურგიული ჟანრის ნაწარმოები მწერლისაგან მოითხოვს დიდ ნიჭსა და ხელოვნებას. დრამატურგი თვითონ კი არ მოგვითხრობს გმირებისა და მოვლენების შესახებ, არამედ უშუალოდ გვაჩვენებს მათ მოქმედებაში სცენაზე გამოყვანის საშუალებით: იგი წინასწარ ითვალისწინებს გმირთა ხასიათებისა და მოქმედების თვალნათლივ ჩვენებას, ითვალისწინებს მის სცენიურ განსახიერებას. ამიტომ, ნაცვლად იმ დახასიათებისა, რომელსაც ეპიკურ თხზულებებში მიმართავს მწერალი გმირთა და მოქმედების ხასიათის დასახატავად, დრამატურგი მიუთითებს, თუ როგორი უნდა იყოს გმირების მიმიკა ამა თუ იმ მომენტში, როგორი უნდა იყოს სცენა, რას უნდა ასახავდეს იგი და სხვა, ე. ი. იძლევა რეპლიკებს, რომლებიც მონოლოგებსა და დიალოგებში გადმოცემულ აზრს სიცოცხლესა და სინამდვილის სახეს აძლევს.

დრამატურგი სცენის დახმარებით პირდაპირ გვიჩვენებს თავის გმირებს; ჩვენ გვესმის არა მარტოოდენ მათი დახასიათება და მათი თავგადასავლის შესახებ, არამედ მაო ვუსმენთ უშუალოდ, ვხედავთ და ვაკვირდებით მოქმედებაში. დრამატურგიული თხზულების თავისებურება და ბუნება მწერლისაგან მოითხოვს მეტ სიახლოვეს სინამდვილესთან და მოქმედების სრული დამაჯერებლობით განვითარებას, ვინემ ყველა სხვა ჟანრის თხზულება. საკმარისია ერთი ყალბი მიზანსცენაც, რომ მაყურებლის შთაბეჭდილება შეიცვალოს. პიესამ დაკარგოს დამაჯერებლობა. არაბუნებრივი და სინამდვილესთან დაშორებული სახე არსად ისე აშკარად არ გვეცემა თვალში, როგორც პიესაში, რომელიც სცენაზე სახიერდება და მრავალი განმსჯელის თვალს იპყრობს.

დრამატურგიული თხზულების შეფასება შეუძლებელია მისი სცენიური ღირსებებისაგან მოწყვეტილად. პიესა, რომელიც სცენისათვისაა განკუთვნილი, მკვლევარის მიერ გააზრებული უნდა იქნას

სცენიურ სახეშიც; მის მხატვრულ ღირსებაზე მსჯელობა ნიშნავს მსჯელობას მის სცენიურ გამართულობაზეც. „დრამა ცოცხლობს მხოლოდ სცენაზე, მის გარეშე იგი არის, როგორც სული უსხეულოდ“,—ამბობს გოგოლი. შესაძლებელია ვთქვათ, რომ დრამატურგიული ნაწარმოები ორი სახისაა: ერთი—რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სცენისათვის, მეორე—წასაკითხად. უკანასკნელი მწერლისაგან არ მოითხოვს არც სცენის ცოდნას და არც მოქმედებათა თანმიმდევრობის თავისებურ დაცვას, საგანგებოდ არ საჭიროებს არც წინააღმდეგობათა სიმძაფრეს და რემარკებს.

დრამატურგიისა და თეატრის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. დრამატურგს, როდესაც პიესას წერს, ხშირად მხედველობაში აქვს არა მარტო ის თეატრი, სადაც შეესაძლოა წარმოადგინონ მისი პიესა, არამედ თვალწინ ჰყავს ის მსახიობებიც, რომლებმაც უნდა განახორციელონ როლები. სამართლიანად შენიშნავდა გოეთე: „შექსპირი საეჭვოა ფიქრობდა, როდესაც წერდა, რომ მისი პიესები დაიბეჭდებოდნენ... მის თვალწინ იყო სცენა და ის ხედავდა, როგორ მიდიოდა და სახიერდებოდა მისი პიესები, როგორ ჩქარა ითვისებდნენ მაყურებელთა თვალები“. ამდენად, თეატრის მაღალ საფეხურზე დგომა ხელს უწყობს და თავისებურად წარმართავს დრამატურგიასაც. სამაგიეროდ, ნიჭიერი დრამატურგი ქმნის ისეთ სცენებს, ხატავს ისეთ გმირებს, რომელთა განსახიერება თეატრს ახალ მხატვრულ ძიებასა და შემოქმედებითი ძალების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას სთხოვს. დიდი დრამატურგი რეჟისორისა და მსახიობის ულმობელი მწვრთნელია, ხოლო ხელოვანი მსახიობი—დრამატურგისათვის გზის მაჩვენებელია პიესის სცენიურად გამოკვეთაში. ამიტომ, დრამატურგიული მწერლობის შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ შესაფერი ეპოქის თეატრალური ხელოვნებაც. ცნობილია, მაგალითად, რომ დრამატურგიაში სამი ერთიანობის კანონის (ადგილის, დროის, მოქმედების) დამკვიდრება ძველი ბერძნული თეატრის შესაძლებლობასთან იყო დაკავშირებული.

დრამატურგიულ მწერლობას საფუძველი ჩაეყარა ძველ საბერძნეთში. კერძოდ, ტრაგედიისა და კომედიის სამშობლო საბერძნეთია. ტრაგედია და კომედია თავისი წარმოშობით დაკავშირებულია რელიგიურ, საკულტო დღესასწაულებთან. ძველი ბერძნული სიმღერები და ცეკვები, რომლებიც ეწყობოდა ნაყოფიერების ღმერთის — დიონისეს პატივსაცემად, სრულდებოდა დიონისესადმი შეწირული, უკვე ცეცხლმოდებული თხის გარშემო; ხალხი მღეროდა თქმულებას დიონისეს შესახებ — ტრაგედიას, ე. ი. თხის სიმღერას

(τραγος — თხა, ωιδη — სიმღერა). დიონისეს დღესასწაულები გაზაფხულსა და შემოდგომაზე ეწყობოდა. დღესასწაულებზე უჩვენებდნენ, თუ როგორ იტანჯებოდა დიონისე ტიტანებისაგან თავი რომ გადაერჩინა, გუნდი მღეროდა სამგლოვიარო დითირამბებს, რომლებშიც მოცემული იყო ვედრება დაღუპული დიონისეს კვლავ გაცოცხლებისათვის. შემდეგში გუნდს დაემატა მსახიობი და ბოლოს მსახიობები. დიონისეს ტრაგიკული თავგადასავლის ჩვენებასთან ერთად თანდათან დაიწყო სხვა „გმირთა“ ცხოვრების ტრაგიკული მომენტების წარმოდგენაც და საფუძველი ჩაეყარა ძველ ტრაგედიას. ტრაგედია წარმოიშვა ჯერ კიდევ VI — V საუკუნეებში ჩ. წელთაღრიცხვამდე.

ძველი ბერძნული ტრაგედიის კლასიკური ნიმუშები შექმნეს ესქილემ, სოფოკლემ და ევრიპიდემ. ტრაგედია, როგორც დრამატული ჟანრი, თანდათან ვითარდებოდა; ტრაგედიის გმირთა ბუნება, მათი ბრძოლის მიზანი და ბრძოლის ობიექტი დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ესქილეს (526 — 456) ტრაგედიებში ჩვენს წინაშე დგანან ბედისწერით ტრაგიზმში ჩავარდნილი ადამიანები, რომლებიც ამაოდ ცდილობენ გაექცნენ საკუთარ ბედს. ევრიპიდე (480 — 406), ესქილესაგან განსხვავებით, მთავარ ყურადღებას აქცევს არა ბედისწერის ძალას, არამედ თვით გმირთა შინაგან განცდებს; მისი გმირები ზეციდან მიწაზე ეშვებიან და ბრძოლას უმართავენ თემის დრომოჭმულ მორალს. ტრაგედიამ თანდათან მოიშორა რელიგიური სამოსი და მიწიერი ცხოვრების სინამდვილის გამოხატვა იწყო. ვინაიდან ძველი ბერძნული თეატრი მოკლებული იყო შესაძლებლობას, დეკორაციის სიმარტივის გამო, წარმოედგინა სხვადასხვა ადგილას მოქმედი მოქმედება, დრამატურგები იძულებულნი იყვნენ დაეცვათ ადგილის ერთიანობა. ამ უკანასკნელმა მოითხოვა დროის ერთიანობა, ხოლო ორივე მათ — მოქმედების ერთიანობა. ასე გაბატონდა დრამატურგიაში ის სამი ერთიანობის კანონი, რომელიც შემდეგში კლასიცისტებმა პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანეს. მაგრამ დიდმა შექსპირმა დრამატურგია, კერძოდ ტრაგედია, გაათავისუფლა იმ შეზღუდვისაგან, რომელიც ბერძნული ტრაგედიის გავლენით კიდევ ცოცხლობდა. ახალ ტრაგედიებში, ნაცვლად ბედისწერისა, გმირთა გონებრივი სიმახვილე სწყვეტს საკითხს; ნაცვლად ღმერთებისა და მეფეებისა, ქმედებენ ჩვეულებრივი ადამიანები, დავიწყებას მიეცა სამი ერთიანობის კანონი, ტრაგედიაში შეიჭრა კომიკური ელემენტები, რაც დაუშვებლად მიაჩნდათ კლასიცისტებს, თავისი დანიშნულება დაკარგა გუნდმაც.

ტრაგედია არის დრამატურგიული ჟანრის ისეთი სახე, რომელიც გვიხატავს სახიფათო და მძიმე დაბრკოლებებთან დიადი ჩიზნებისათვის მებრძოლ ადამიანთა ბრძოლას, რაც, უმეტესად. გმირთა დაღუპვით მთავრდება და მაყურებელში შიშსა და თანაგრძნობას იწვევს. ამიტომ იყო, რომ არისტოტელემ ტრაგედიას უწოდა „შიშისა და სიბრალულის გამომწვევ მოქმედებათა მიბაძვა".

კომედიის წარმოშობაც დიონისეს დღესასწაულთანაა დაკავშირებული. საკულტო დღესასწაულებზე, გარკვეული ცერემონიალის შესრულების შემდეგ, იმართებოდა სახალხო ზეიმი (კარნავალი), რომელშიც ყველა იღებდა მონაწილეობას. მოსეირნე ხალხი ჰღეროდა, ცეკვავდა და გართობის მიზნით სასაცილო პირთ ბაძავდნენ ლაპარაკს, თუ სხეულის მოძრაობას. ასეთი ცალკეული სცენების ჰარბად გამოყენებით შემდეგში შეიქმნა კომედია (κῶμος — კარნავალი, ᾠδή — სიმღერა).

კომედია დრამატურგიული ჟანრის ისეთი სახეა, რომელიც გვიხატავს ადამიანებს, რომლებიც უმნიშვნელო და შეუფერებელი მიზნებისათვის ბრძოლას აწარმოებენ მცირე დაბრკოლებებთან. ხოლო მათ გადაულახველ და დიდ მოვლენად ეჩვენებათ, რაც მაყურებელში სიცილს იწვევს. კომედიის გმირები, მეტ წილად, დაბალი, პირადული მიზნებით გამსჭვალულნი არიან. მათი მოქმედება, ნაცვლად შიშისა და თანაგრძნობისა, მაყურებელში იწვევს დაცინვას. კომედია მოქმედ გმირთა მოქმედების უაზრობის გამომჟღავნებით ან წინააღმდეგობის მოსპობით მთავრდება. მაგრამ კომედია, როგორც ტრაგედია, დროთა განმავლობაში სახეს იცვლიდა და ვითარდებოდა. კერძოდ, ახალ კომედიებში ხშირად ვხვდებით ტრაგიკულ ელემენტსაც, რაც უცხო და მიუღებელი იყო ძველი კომედიისათვის.

კომედიის სიუჟეტი სასაცილო მოქმედებათა გარკვეული წესით დაკავშირებას წარმოადგენს. მაგრამ კომედიის საგანი ყოველთვის სასაცილო არ შეიძლება იყოს.

კომედიაში დახატული გმირის მოქმედებით გამოწვეულ სიცილს უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა. სასაცილო უნდა გამომდინარეობდეს გმირის არსებითი მხარის ჩამორჩენილობიდან, სასაცილო თვით გმირის არსებაში უნდა იყოს ჩაქსოვილი და არა შეთხვევით მოქმედებაზე დამყარებული.

სასაცილო, კომიკური, რასაც კომედია ხდის თავის საგნად, უმეტესად საზოგადოებრივი განვითარების დონეს ჩამორჩენილი

მოვლენაა. ის, რაც ერთ დროს სიცილს არ იწვევდა და ჩვეულებრივად მიაჩნდა საზოგადოებას, განვითარების გარკვეულ საფეხურზე სასაცილოდ იქცევა. კ. მარქსი შენიშნავს: „ისტორია მოქმედებს საფუძვლიანად და მრავალ ფაზისს გაივლის, როდესაც მას საფლავში მიაქვს ცხოვრების მოძველებული ფორმა. უკანასკნელი ფაზა მსოფლიო ისტორიული ფორმისა არის მისი კომედია. საბერძნეთის ღმერთებს, რომელნიც ერთხელ უკვე ტრაგიკულად სასიკვდილოდ დაიჭრნენ ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეში“, კვლავ მოუხდათ კომიკური სიკვდილი ლუკიანის „საუბრებში“. რატომ მოძრაობს ისტორია ასე? იმიტომ რომ კაცობრიობა სიცილით დაშორდეს წარსულს“ [1].

იმ კომედიებმა დაიმსახურეს მოწონება და გაუძლეს დროთა მსვლელობას, რომლებშიც მოხერხებულად აისახა საზოგადოების ჩამორჩენილი ნაწილის ფსიქოლოგია, გონებრივი სიღატაკე, დაბნეულობა.

კომედიის ავტორები ისე გვიხატავენ გმირთა ხასიათებს, მოქმედებას, რომ თანმიმდევრულ წინააღმდეგობაშია ჩვენი მოლოდინი და კომედიაში ასახული სინამდვილე; მოველით ერთს და ვღებულობთ მეორეს, სრულიად საწინააღმდეგოს, ამასთანავე შეუფერებელს.

კომედიის გმირთა მოქმედება, მათი ბრძოლა „წინააღმდეგობათა“ გადასალახავად მაყურებელში ვერ იწვევს თანაგრძნობას და არ ბადებს შიშს, ვინაიდან მის წინაშე დაბალი, პირადი მიზნებით გატაცებული და ჩამორჩენილი ადამიანებია, რომლებიც როგორც გონებით, ისე გრძნობით, ზნე-ჩვეულებით არ შეეფერებიან საზოგადოებრივი განვითარების არსებულ დონეს.

ძველი ბერძნული კომედიის განმარტება კარგად აქვს მოცემული არისტოტელეს, რომელიც ამბობს: „კომედია არის ასახვა მდარე ადამიანებისა, მაგრამ არა მთელი მათი სიავის მიხედვით, არამედ სასაცილო მხარეების მიხედვით: სასაცილო კი არის სამარცხვინოს ნაწილი. სასაცილოა რაიმე შეცდომა ან სამარცხვინო საქმე, რომელიც ტანჯვასა და ზიანს არ შეიცავს; ასეთია, მაგალითად, კომიკური ნიღაბი, რომელიც არის რაღაც სამარცხვინო და დაღრანჯული. მაგრამ ტანჯვას არ გამოხატავს“ [2].

რა თქმა უნდა, ახალ კომედიებში გარკვეული სიახლე შეინიშნება. კერძოდ, მდარე ადამიანთა გვერდით გამოყვანილია საზოგადო-

---

[1] Маркс и Энгельс. Сочинения, т. 1, გვ. 403.

[2] არისტოტელე. პოეტიკა, 1944 წ., გვ. 12.

ებრივი განვითარების არსებული დონისათვის სრულიად შესაფერი ადამიანებიც. მეტწილად კი კომედიებში ჩამორჩენილ ადამიანთა ცხოვრება და მოქმედებაა მოცემული. ასეთ კომედიებში დადებითი გმირის როლს ასრულებს სიცილი. გოგოლმა, რომელსაც „რევიზორის“ გამო უსაყვედურეს, რომ არც ერთი დადებითი გმირი არ გყავს კომედიაშიო, კრიტიკოსებს უპასუხა, რომ ასეთი კეთილშობილი გმირი, „მოქმედი მთელი ნაწარმოების გასწვრივ, არის სიცილი, რომელიც ადამიანს მისთვის აქვს, რომ დასცინოს ყოველივეს, რაც არცხვენს ადამიანის ნამდვილ სილამაზესო“. კომედიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ფართო მასების წინაშე სიცილის ბახვილი იარაღით მარჯვედ ურტყამს მას, რაც მოძველებული, ჩამორჩენილი, მიუღებელი და შეუფერებელია. კომედია აშელავნებს სასაცილო ადამიანების შინაგან სიცარიელეს, რაც ზოგჯერ თავს იჩენს საუბარში (დიალოგის კომიზმი), ზოგჯერ მოქმედებაში (მოქმედების კომიზმი), ზოგჯერ მდგომარეობაში (ინტრიგის კომიზმი).

კომედიის სახეობათაგან უფრო გავრცელებულია საყოფაცხოვრებო, სოციალურ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ანუ ხასიათის კომედია. მაგრამ კომედიის კლასიფიკაციის ვერც ერთი ცდა ვერ იძლევა დამაჯერებელ გამიჯვნას. შეუძლებელია კომედიის რომელიმე სახეობა წმინდა სახით მოგვევლინოს. ხშირად, ერთი და იგივე კომედია, სხვადასხვა მკვლევარის მიერ სხვადასხვა სახეობასაა მიკუთვნებული, რაც ასეთი კლასიფიკაციის პირობითობაზე ლაპარაკობს. კლასიფიკაციის საფუძვლად მწერლის ძირითად მიზანს იღებენ. მაგალითად, საყოფაცხოვრებო ანუ ზნეჩვეულების კომედიაში უმთავრესად ადამიანის ყოფა-ცხოვრების უარყოფითი მხარეებისადმი დაცინვაა გამოხატული; სოციალურ-პოლიტიკურ კომედიაში მწერალი დასცინის საზოგადოებრივი ურთიერთობისა და პოლიტიკური წყობის დროძმულობასა და უვარგისობას; ხასიათის კომედიაში — დაცინვა მიმართულია გმირის სულიერი, ფსიქიური თვისებებისადმი (სიძუნწე, ვერაგობა, სიმხდალე და სხვა). მაგრამ, ვიმეორებთ, წმინდა სახით კომედიის არც ერთი ამ სახეობათაგანი არ შეიძლება შეგვხვდეს, ამიტომაც კლასიფიკაცია ჯეტად პირობითია.

კომედია შესწავლილი უნდა იქნეს საზოგადოებრივი განვითარების ისტორიულ ასპექტში, მისი ფორმისა და შინაარსის ღირსება უნდა აიხსნას ეპოქის მოთხოვნილებათა შესატყვისობით.

კომედიას თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ საბერძნეთში წარმოიშვა. როგორც არისტოტელე ამბობს, „კომედიის შემთხზველი პოეტები იხსენიებიან

მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც კომედიას ჰქონდა უკვე რაღაც გარკვეული ფორმები. ის კი უცნობია, თუ ვინ შემოიღო ან ნიღბები, ან პროლოგი, ან მსახიობთა სრული რიცხვი და სხვა ასეთები" [1]. პირველი გამოჩენილი კომედიოგრაფი ძველ საბერძნეთში იყო არისტოფანე (450 — 385 ჩ. წ. ა), რომელიც თავის კომედიებში დასცინის ვაჭართა წრეს და გვეელინება მიწისმფლობელთა ინტერესების დამცველად.

ბერძნული კომედიის განვითარების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს მენანდრეს (343 — 222 ჩ. წ. ა.) შემოქმედება, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია საყოფაცხოვრებო საკითხებზე.

ბერძნული კომედიის კანონიერი შვილი იყო რომაული კომედიის თეატრიც. რომაელი კომედიოგრაფები განიცდიდნენ ბერძნული კომედიის დიდ გაელენას. რომაულმა კომედიამ განვითარების ზენიტს მიაღწია პლავტისა და ტერენციუსის შემოქმედებაში (მეორე საუკუნეში ჩ. წ. ა.). რომის იმპერიის დაცემის შემდეგ დაიკარგა ბერძნული კომედიის ტრადიცია და დავიწყებას მიეცა თვით სიტყვა „კომედიაც". კომედიას უწოდებდნენ ყველა ნაწარმოებს, რომელთაც მხიარული დასასრული ჰქონდა. ამიტომაა, რომ დანტეს პოემასაც „ღვთაებრივი კომედია" ეწოდება.

პლავტის კომედიების გავლენით, მე-16 საუკუნის დასაწყისში, კომედიებს წერს იტალიელი დრამატურგი არისტო, რომლის შემდეგ გზა ეხსნება უფრო ორიგინალურად გააზრებულ კომედიებს, უკვე თავს აღწევენ ბერძენ და რომაელ კომედიოგრაფთა გავლენას. იქმნება ე. წ. ლიტერატურული და „ნიღბების" კომედია. აღორძინების ეპოქის იტალიურმა კომედიამ, თავის მხრივ, გარკვეული გავლენა მოახდინა ევროპის სხვა ქვეყნების დრამატურგებზე და შეიქმნა კომედიის თეატრები ესპანეთში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან. მაგრამ ყოველ ცალკეულ ქვეყანაში კომედია და კომედიის თეატრი საზრდოობდა ნაციონალური ცხოვრების თავისებურებითა და საჭიროებით. კერძოდ, ესპანური კომედიის განვითარებაში შესამჩნევი როლი ითამაშა დაბალი სოციალური ფენის საყოფაცხოვრებო ზნეჩვეულებების გამომხატველმა სცენებმა (pasos) ე. წ. კომიკურმა ფოლკლორმა, რომელიც უხვად გამოიყენეს ცნობილმა ესპანელმა კომედიოგრაფებმა — ტორრეს ნაარომ და ლოპე დე-რუერამ.

რენესანსის ეპოქაში ესპანური კომედიის საუკეთესო ნიმუშები შექმნეს ლოპე დე-ვეგამ (1562—1635), ტირსო დე-მოლინამ (1571—1648) და კალდერონმა (1601—1681).

---

[1] არისტოტელე. პოეტიკა, 1944 წ., გვ. 12.

იტალიური კომედიის გავლენა შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც განიცადეს აღორძინების ეპოქის ინგლისელმა დრამატურგებმა (ნ. იუდოლი და სხვ.). მაგრამ ინგლისურმა კომედიამ მალე იიღო წმინდა ეროვნული ხასიათი შექსპირის წინამორბედთა (კიდი, გრინი და მარლო) შემოქმედებაში.

აღორძინების პერიოდის კომედიამ თავისი გავლენა მოახდინა მე-17 საუკუნის საფრანგეთის კომედიოგრაფებზე და კომედიის თეატრზეც. ამ დროის ფრანგმა კომედიოგრაფებმა, რომლებიც ესპანელი კომედიოგრაფების ერთგვარ გავლენას განიცდიდნენ. თავიანთ კომედიებს ეროვნული შინაარსი მისცეს ხალხური შემოქმედების (ფარსების) გამოყენებით. შემდეგში ბუალომ კომედიის სფეროდ დააკანონა ქალაქი, მაგრამ არა სასახლე. ფრანგმა კლასიცისტებმა ანტიკური სამყაროს დრამატურგთაგან მეტწილად მენანდრისა და ტერენციუსის სკოლა მიიღეს. ფრანგული კლასიცისტური კომედიის მამამთავარი იყო მოლიერი (1622 — 1673), ოომელიც თავის კომედიებში, დასცინოდა რა ფეოდალურ-მემამულურ ყოფას, მორალს, დასცინოდა აგრეთვე ბურჟუაზიის სიძუნწესა და შეზღუდულობას. ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკა შემდეგ კიდევ უფრო მკვეთრად მოგვცა თავის კომედიებში ლესაჟმა, მან შექმნა ე. წ. მხიარული კომედია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ: დიუფრენი, რენიარი, დანკური და სხვები; წარმოიშვა აგრეთვე „ცრემლიანი კომედია" (ლაშოსე და სხვ.).

კომედიამ თავისი განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია და ორიგინალური სახე მიიღო რუს კომედიოგრაფთა შემოქმედებაში. რუსი კომედიოგრაფები, გამოირჩევიან რა რეალისტური ხედვით, თავიანთი კომედიების საგნად იღებენ თანამედროვე ცხოვრების განვითარებისათვის შეუფერებელ და ხელშემშლელ მოვლენებს, სიცილის ბასრი იარაღით უმასპინძლდებიან ძველი რუსეთის სამარცხვინო და ჩამორჩენილ მხარეებს. მათ დიდი როლი შეასრულეს რუსული რეალიზმის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეშიც. რუსული კომედიოგრაფია ამაყობს ისეთი დიდი წარმომადგენლებით, როგორიცაა: სუმაროკოვი, ლუკინი, პლავილშჩიკოვი, კაპნისტი, ფონვიზინი, კრილოვი, გრიბოედოვი, გოგოლი, ოსტროვსკი, გორკი, ჩეხოვი და სხვები. რუსმა კომედიოგრაფებმა განსაკუთრებით განავითარეს ე. წ. სატირული კომედია, რომელიც მეტად ასრულებს თავის ღანიშნულებას ცხოვრების ჩამორჩენილ და მოძველებულ ფორმებთან ბრძოლის საქმეში.

რუსი დრამატურგების მაღალმა ნიჭმა და მხატვრულმა ალღომ უზრუნველყო რუსული თეატრის შეუდარებელი განვითარებაც.

რუსული თეატრისა და რუს დრამატურგთა შემოქმედების ახლოს გაცნობამ გარკვეული როლი შეასრულა ქართული თეატრისა და დრამატურგიის პირველი წარმომადგენლების დახელოვნებაშიც. ქართული თეატრის პირველი ინიციატორები და დრამატურგები (გ. ავალიშვილი, დ. ჩოლოყაშვილი, დ. ბატონიშვილი) და მათი ღირსეული მემკვიდრე — გ. ერისთავი, რუსული თეატრისა და რუს დრამატურგთა შემოქმედების მაღალ ტრადიციებზე აღიზარდნენ და შექმნეს წმინდა ეროვნული თეატრი და ორიგინალური დრამატურგიული მწერლობა.

ქართული კომედიოგრაფიის პირველი დიდი წარმომადგენლის — გ. ერისთავის მასწავლებლები იყვნენ: გრიბოედოვი, გოგოლი და პუშკინი. მაგრამ გ. ერისთავი არის უაღრესად ეროვნული მწერალი, რომელმაც თავის კომედიებში ორიგინალურად გაიაზრა მისი თანამედროვე ცხოვრების ჩამორჩენილობა და მოგვცა მისი მკაცრი კრიტიკა.

2

გ. ერისთავი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ოცნებობდა დრამატურგიული ჟანრის თხზულებების შექმნაზე. მას, როგორც კომედიოგრაფს, ადრევე ჰქონია საკუთარი ცდები. ამას მოწმობს პოეტის ბიოგრაფის ი. მეუნარგიას ცნობა: „იმ დროს, როდესაც გრიბოედოვი ქალაქში იყო, გ. ერისთავი წარუდგინეს იმას, როგორც კომედიის მწერალი და შესანიშნავმა კაცმა განზრახვა უქო ჩვენს პოეტსო“ [1]. ეჭვი არაა, რომ ა. გრიბოედოვის რჩევამ და მისმა ცნობილმა კომედიამ — „ვაი ჭკუისაგან“ დიდი და გარკვეული როლი ითამაშა გ. ერისთავის კომედიოგრაფად ჩამოყალიბებაში.

გ. ერისთავის ორიგინალურ დრამატურგიას კომედიები წარმოადგენენ. მისი დაინტერესება კომედიებით შემთხვევითი არ იყო და არც მხოლოდ მწერლის ბუნებით ნაკარნახები. გასული საუკუნის 40—50-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება დრამატურგს, უფრო მეტად, კომედიისათვის შესაფერ მასალას აძლევდა. ეს იყო გარდამავალი ხანა, როცა ფეოდალური არისტოკრატია თანდათანობით კარგავდა ეკონომიკურ უპირატესობას. ფეოდალურ-პატრიარქალური მეურნეობა სწრაფად ინგრეოდა საეპარო კაპიტალის შემოჭრასთან დაკავშირებით. ფული გახდა ყოვლის შემძლე ძალა, ხოლო ფულის პატრონი ბურჟუა, ვაჭარი — პირველი კაცი; მართალია, ეს უკანასკნელი წარმოშობით არ ეკუთვ-

[1] ი. მეუნარგია ქართველი მწერლები, 1944 წ., გვ. 59.

ნოდა კეთილშობილთა წოდებას, რაც ერთგვარად აწუხებდა კიდევაც, მაგრამ იგი ჰფლობდა ყველაზე მოქნილ იარაღს — ფულს.

ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების მახარობლები — ვაჭრები გრძნობენ თავიან უპირატესობას და მოხერხებულადაც იყენებენ მას; იციან, რომ ცხოვრება მათ სასარგებლოდ მოქმედებს, რომ, დღეს იქნება თუ ხვალ — თავადაზნაურთა მთელი აქლა-დიდება მათ ხელში გადაინაცვლებს; ალღოს უღებენ მაღალი წოდების ფუქსავატურ ცხოვრებას, დღითი დღე გაზრდილ „ვექსილებს" აჩეჩებენ ხელში „კეთილშობილთა მოდგმას", რომლისადმი პატივისცემას მხოლოდ გარეგნული ქცევით გამოხატავენ, ხოლო გულში იცინიან — უწოდებენ „გიე ვრაცუებს". მათ აწუხებთ მხოლოდ ის, რომ არ არიან „ბლაღაროდნები", რომ გუშინდელ ქუჩის ბიჭებს მოკრძალებით არ ეპყრობიან. ცდილობენ ამ უპირატესობაშიც მონაწილე გაუხდნენ მაღალი წრის წარმომადგენლებს, ადვილად ახერხებენ მათთან დამოყვრება-დანათესავებას, რითაც მათ შორის არსებულ მიჯნას თანდათანობით ძალას უკარგავენ. მაგრამ ახლადფეხადგმულ ბურჟუაზიას ჯერ არ აქვს საკუთარი ცხოვრების ეთიკეტი, ვერ იყენებს ფულს მთელი თავისი დანიშნულებით. ფული მისთვის ჯერ კიდევ მხოლოდ განძია, ფეტიშია, — რომელსაც მონურად სცემს თაყვანს; იგი მოქნილი და ნიჭიერია, როგორც დაგროვებელი, მაგრამ სრულიად გამოუცდელი და უცოდინარი, როგორც მომხმარებელი. ფულის ყველა ფუნქცია და, რაც მთავარია, მიმოქცევა, მისთვის ჯერ კიდევ უცხოა. სამაგიეროდ მას აქვს გამძლეობისა და ცხოვრების სიმწარის ატანის დიდი უნარი; მშიერ-მწყურვალი კაპიკს კაპიკზე ამატებს, ზანდუკებს ოქროებით ავსებს. დაგროვილი ფულის ცქერაა მისთვის ყველაზე დიდი ნეტარება. იგი ხდება საარაკო ძუნწი.

ვითარდებოდა რა კაპიტალისტური ურთიერთობა და ცხოვრების ასპარეზს ფულის პატრონი — ბურჟუა ეუფლებოდა, პარალელურად ინგრეოდა ძველი პატრიარქალური სამყარო, ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობა. მთელი ეს პროცესი საგრძნობი სისწრაფით მიმდინარეობდა.

ქართველი მაღალი წოდება, რომელმაც, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად პოლიტიკური პრივილეგიებიც დაკარგა, მე-19 საუკუნის 40-იანი წლებისათვის ეკონომიკურ უპირატესობასაც თანდათანობით „უთმობს" ბურჟუაზიას. ახალი ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნებს ნატურალური მეურნეობა ვეღარ პასუხობს. ბატონყმურ ინსტიტუტზე დამყარებული

თავადაზნაურთა ცხოვრება დღითი-დღე სასაცილო და უბადრუკი ხდება.

ფუქსავატობასა და სიზარმაცეს მიჩვეული თავადაზნაურობა სრულიად უიარაღო აღმოჩნდა ცხოვრების დაბრკოლებებთან საბრძოლველად. მას არც შესაფერი სწავლა-განათლება გააჩნია, არც ძველებური შემოსავალი, არც შრომის უნარი და ნებისყოფა ბრძოლისათვის. ეკონომიკურად უსახსრო და განათლების არ მქონე, იგი ალღოს ვერ უღებს ახალ ცხოვრებას, ვერ ერკვევა მის მოთხოვნებში; თუ რამ შერჩენია, ისიც მოვალე ვაჭრებს მიაქვთ. ძმა აღარ ინდობს ძმას, დედა—შვილს, მეზობელი—მეზობელს. ჰათ იციან, რომ ფულია საჭირო, მაგრამ შრომა ეთაკილებათ, ვალებში ეფლობიან და მამულს ჰკარგავენ.

ეკონომიკურმა სივიწროვემ და ფუქსავატურმა ცხოვრებამ სასაცილო გახადა თავადაზნაურთა ზნეობრივ-მორალური მხარეც. მათ ხელობად გახდა მტრობა, ქიშპობა, ჭორიკანობა, დაუნდობლობა. დედები თავიანთი ქალებისათვის საქმროებად ეძებენ „იარაღნალებსა“ და გაქნილ მოხელეებს, რომლებიც არაფერს დაგიდევდნენ ოღონდ ფული ეშოვნათ. პატიოსანი და პატივსაცემი მათ თვალში არიან არა ისინი, ვინც ტყუილს არ კადრულობს, სხვის წაგლეჯას არ ცდილობს, არამედ ისინი, რომლებიც არაფერს მოერიდებიან. ოღონდ შეინარჩუნონ რაიმე და სხვას ავნონ. რა თქმა უნდა, ასეთ იოლ გზას არ შეეძლო მათთვის ხანგრძლივი გამარჯვება მოეტანა, ამიტომ გამოსავალი სხვაგან უნდა ეპოვნათ. ბევრმა ეს გამოსავალი სწავლა-განათლების მიღებაში დაინახა და რუსეთისაკენ გაეშურა. მათ მართლაც მიიღეს განათლება, გაეცვნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგს, მაგრამ იმის გამო, რომ ცხოვრებას არ იცნობდნენ და შრომაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მაინც ვერ გამოიყენეს მიღებული ცოდნა. ერთმანეთს ვერ დაუკავშირეს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ცხოვრების საჭიროება. განათლების მიღებამ მათში აამაღლა ზნეობრივ-მორალურ მხარე, მაგრამ ცხოვრების უცოდინარობამ მათი „განათლებული კეთილშობილება“ სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა და მათ ფანტაზიას ჟანგიანი მაკრატლით შეაპრა ფრთები. ერთი სიტყვით, მე-19 საუკუნის 40—50-იან წლებში აშკარა გახდა, რომ ფეოდალურმა არისტოკრატიამ დაჰკარგა თავისი ისტორიული ფუნქცია, სოციალური მეობა და ჭრთ დროს ყველაზე მაღალი წოდება — სასაცილო გახდა.

ამ სოციალური ძვრების ხანაში, როცა ერთი საზოგადოებრივი კლასი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის, ხოლო მეორე — პირველის ნანგრევებზე სახლდება და ძლიერდება, იცვლება

ცხოვრება სხვა სოციალური ფენებისაც. მსახურები და მოხელეები უალრესად ცბიერნი და მოხერხებულნი ხდებიან. ყველა მათგანი ცდილობს მეტი ისარგებლოს ამ ორი სამყაროს გაყრით.

მთელი ეს სოციალურ-საზოგადოებრივი ხასიათის ცვლილებები პირველად გ. ერისთავის კომედიებში აისახა.

გ. ერისთავი იძლევა თავის თანამედროვე ცხოვრების ნამდვილ სურათს. მის კომედიებში მთელი სისრულით წარმოგვიდგნენ: თავადაზნაურთა ძველი და ახალი თაობა, ვაჭართა კლასი, ბიუროკრატი მოხელენი და გაქნილი მსახურნი, რომელთა ნაწილი მებატონის სასახლის გარშემო ფუსფუსებს, ხოლო ნაწილი ფულიანი ბატონის — ვაჭრის სახლში დაძერება.

* * *

გ. ერისთავის პირველი კომედია, რომელიც იმთავითვე დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა, „შეშლილი" იყო. „შეშლილში" ასახულია მწერლის თანამედროვე ქალთა საზოგადოების მეშჩანური ნაწილის ცხოვრება, მათი ჩამორჩენილობა და გადაგვარება. მეშჩან ქალთა ამ წრეს გ. ერისთავმა დაუპირისპირა ახალგაზრდა ქალი ტასო და რუსეთში სწავლა-განათლება მიღებული ბეგლარი, რომელიც პოეტური ნიჭითაა დაჯილდოებული. ერთი სიტყვით, „შეშლილში" დაპირისპირებულია „დედები" და „შვილები".

ქართველი ქალი, ქართველი დედა ისტორიულად ცნობილი იყო თავისი კეთილშობილებით, ოჯახის სიყვარულითა და პატიოსნებით. ამიტომ ჩვენი კომედიოგრაფი იუმორის ბასრი იარაღით უმასპინძლდება მათ, ვინც არცხვენს ქართველი დედის, ქართველი ქალის სახელს.

ბეგლარს უყვარს ტასო. ტასოც თავის მხრივ შეყვარებულია ბეგლარზე. თავდაპირველად სასიდედრო — ანახანუმი და მისი რძლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ბეგლარით, როგორც „უცხო საქმროთი". მაგრამ ბეგლარი ანახანუმს მოსწონდა არა იმიტომ, რომ იგი იყო მაღალი ბუნებისა და პოეტური ნიჭით დაჯილდოებული, არამედ იმიტომ, რომ იმედი ჰქონდა, როგორც ნასწავლი კაცი, არზების წერას მიჰყოფდა ხელს და სასამართლოში საქმეებს მოიგებდა. ასეთმა ანგარიშმა ანახანუმს არ გაუმართლა. ბეგლარმა უარი თქვა არზების წერაზე, არც სასამართლოში გაეგზავნა, არც ის იკადრა, რომ „ატკაზი" ეთქვა დალალის ვალზე; არზის ქაღალდზე, ნაცვლად საჩივრისა, ლექსები დაწერა. ანახანუმისათვის გაუგებარია ბეგლარის ასეთი მოქმედება. იგი დარწმუნებულია, რომ ბეგ-

ლარი სტყუის მასთან, „არ იცის ოჯახის მოვლა". ოჯახის მოვლა ანახანუმისათვის ნიშნავს იმას, რომ ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინო მამულების შესანარჩუნებლად. იგი გაკვირვებული მიმართავს თავის მეგობარ ქალებს:

კარგი შვილია, ამბობს ქვეყანა!..
არხა მივეცი მე დასაწერი,
თითქო არისო მოშურნე მტერი,
არხის ქაღალდზე რა დაეწერა?
ვიღაცას ქალზედ ეთქვა სიმღერა.
რამდენიც უთხარ არზების წერა
თავი მოიკლა არ დაიჯერა.
მმართებს დალალის თუმანი ათი,
ჩემგან უკიოავს მცირე ბარათი,
ეუთხარ, პრისტავთან დაჰსწერე არზი,
არა მმართებსთქო, ჰქმენი ატკახი!
ამ ჩემ ჭკვიანურ რჩევა სიტყვაზე
უნდა გენახათ იმის სიბრაზე:
ფი!.. ფუი!.. ჰფუ!.. რას არ ამბობდა,
პოდლობაო, ილანძღებოდა.

დიახ, ანახანუმი თავის რჩევას ჭკვიანურს უწოდებს! მოსალოდნელი იყო მისი „კეთილისმსურველი" რძლები სხვაგვარ აზრს გამოსთქვამდნენ, მაგრამ არა, ანახანუმი მარტო არ ყოფილა, მის სიტყვებს გაკვირვებული ნინო დაუმატებს: „მაშ სულ დაგლუპავს, ნეტა რასა ჰგავს! ეტყობა, თავში ჭკუას ვერა ჰსცნობს, იმიტომ ჯავრობს და ვითომ ჩესტნობსო". იგივე ნინო დამწუხრებულ ანახანუმს „გამოსავალს" უჩვენებს, ურჩევს მოაცილოს ტასო ბეგლარს. ანახანუმს ნინოს რჩევა მოსწონს, მაგრამ წუხს შემდეგ ვის მისცეს: „მერე ვის მივცე, არავინ არი, მე მინდა იყოს ცოტა ძლიდარი..." ამჯერად ანასტასია აძლევს დარიგებას: „მაშ რუსს მიეცი ჩვენ გლუხარიჩსა, იმ პოლკოვნიკსა თეოდორიჩსა". მაგრამ მას უფრო მოსწონს ნინოს რჩევა: — ტასო მიათხოვოს ბეგლარის ამხანაგს — ვახტანგს. მალე საქმესაც შეუდგება და ვახტანგს შუამავლად იორამ მღვდელი გაუგზავნა, ხოლო ბეგლარს, ბიჭის ხელით, უკან დაუბრუნა ბარგი — „ოთხი წიგნი და ერთი ფარდაგი". მაგრამ იშედმა არ გაუმართლა ანახანუმსა და ნის „მოკეთეებს", იორამ მღვდელი ვახტანგიდან უარით დაბრუნდა. შეურაცხყოფილებმა ახლა ვახტანგის ლანძღვას მიჰყვეს ხელი. ნინო, რომელმაც ურჩია ანახანუმს ვახტანგისათვის მიეცა ტასო, უარის შეტყობის შემდეგ ამბობს:

ერთი დაკარგე ბეთლიკის მსგავსი.
იმისთანები გიშოვნო ასი!

შემდეგ თვით ანახანუმმა გამოარჩია სასიძო — ფრიდონი, რომელიც „მაიორია, მერე დრაგუნი“.

ბეგლარის უნახაობითა და დედის უხეშობით შეწუხებული ტასო იწვის სიყვარულის კოცონზე. მან არ იცის როგორ მოიქცეს; სიზმარში, თუ ცხადში ბეგლარის სახე უდგას წინ, მის ლექსებს იცეორებს, მასთან შეხვედრებს იგონებს, დაკარგული აქვს ძილი და მოსვენება. ასეთი ძლიერი სიყვარული მეშჩანი ქალებისათვის უცხო და გაუგებარია. ამიტომ მათ შეშლილად გამოაცხადეს საბრალო ტასო. ტასოს „შეშლილობა“ ძლიერ სიყვარულში მდგომარეობს, იგი შეშლილია მართლაცდა შეშლილებისათვის და არა ნამდვილად. მწერალმაც ირონიის გასაძლიერებლად თავის კომედიას „შეშლილი“ უწოდა, რითაც მკითხველისა და მაყურებლის ყურადღება მეტად გაამახვილა აუტანელ ფაქტზე.

ტასოზე არა ნაკლებ იტანჯება ბეგლარი, რომელსაც ჰგონია, რომ ტასომ დაივიწყა იგი. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, მაღლობზე, კაკლის ქვეშ დამჯდარი ბეგლარი, სიყვარულის ნესტრით დაკოდილი, ტკბება ბუნების მშვენიერებით. მას მოსწონს და იზიდავს ბუნების სიდიადე და მარადიულობა: ზამთრის მიერ განძარცვული ბუნება გაზაფხულზე კვლავ მწვანით იმოსება, ფრინველებიც ილხენენ „თავისებრი სტვენით“; „ბუნება სულ ჰაბუკდება“. სამაგიეროდ, პოეტი ხედავს, რომ „გვირგვინი ღვთისა ქმნილების“—ადამიანი ყოველ დღე ბერდება, დღე აკლდება და „არ აქვს უფლება განცხოველების“. მეოცნებე პოეტს ადამიანის რაობის საკითხზე დაფიქრება სანუგეშოს ვერაფერს აძლევს. იგი რწმუნდება ადამიანის სისუსტეში, მის უცილობელ წარმავლობაში. მას სურს მოწყდეს ამ ქვეყანას, მოაცილოს ფეხები მიწის ქერქს და აფრინდეს მაღლა, „რომ ვერ ხედავდეს ქვეყანას დაბლა“, სურს ქვეყნის უსაზღვროებაში მოძებნოს უკეთესი სამყოფელი. მაგრამ ოცნებასაც მიჯნა აქვს, პოეტი რწმუნდება თავის სისუსტეში და გაკვირვებულია მხოლოდ იმით, თუ რატომღა იბადება ადამიანი, როცა მისი სიკვდილი აუცილებელია.

გარნაღა ვაი! ბე ღვთისა ქმნილი,
ვარ ამა მიწას მაგრა მიკრული!
ვკვირობ რად მომცა, გონება, ნება,
თუ რომ სიკვდილით სრულ დასრულდება!
ჩვენი იმედი და ჩვენი ბედი,
ასე სიზმარებრ თუმცა განკრება,
სიცოცხლის სიმი უცრად ჰწყდება,
კაცი ამისთვის რად იბადება?

მეოცნებე ბეგლარს, რომელიც ასე უკმაყოფილოა ადამიანის ბედით, ბიჭი მიუტანს „ტასოსაგან“ გამოგზავნილ წერილს. აღელვებული ბეგლარი წყეველის და კიცხავს მთელ ქალთა სქესს, ნატრობს იყოს „სამუმის ჭარი“, „ჯალათი მახინჯებისა“, რომ ჯეროვნად შეძლოს მათი დასჯა, მაგრამ იგი დაფიქრდება და თავისთავს ეკითხება — ვინ მოგცა უფლება „დასთურგნო ქალი... მშვენიერება?“ მას უფლებას არ აძლევს მორალი იყოს შურისმძიებელი. იგი რწმუნდება, რომ მისი პიროვნება გაუგებარია საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელთანაც მას ურთიერთობა აქვს; სწუხს, რომ ვერ ასცდა იმ მკაცრ ბედს, რომელმაც დატანჯა ბევრი სხვა ცნობილი ადამიანიც:

ლიტონი კაცი როგორ მიხვდება,
რომ ჩემი გული არს დაკუწული
და მისგან შევკვნე ტრფობის ანბანი,
არავის ესმის ამის საგანი!

და თქვენცა, ერნო, მომღერალთ მტერნო, სავსენო შურით,
თქვენ არ იყავით, დასცინოდით დიდ ბაირონსა?
თქვენ აიძულეთ, განაშორეთ მშობლის სირონსა!

ტოკუატო ტასი?..
ვერ სცანით ფასი;
უწოდეთ მტერი,
ჭკვენით პყრობილი,
მის მღერა ტკბილი,
ვერ მოიგონეთ!

თქვენშიც არ იყო კამოენსი მოკვდა მშიერი?
თქვენ არ სდევნიდით დიდსა დანტეს, იყავით მტერი?
და ოვიდია რომისაგან რისთვის განაძეთ?
იქნებ მეც ისე მომიძულოთ, არვის დაგნანდეთ!“

გ. ერისათვი „შეშლილში“ ეხება პოეტის დანიშნულებასა და მის ხვედრს. მისი შეხედულებით, პოეტს არ მოელის ბედნიერება, კინაიდან იგი ხშირად გაუგებარია საზოგადოებისათვის. ამ აზრს გამოსთქვამს არა მარტო ბეგლარი, არამედ ბეგლარის მეგობარი — ვახტანგიც. ვახტანგი, რომელსაც იორამ მღვდელი წინადადებას მისცემს შეირთოს მისი მეგობრის საცოლე ტასო, მოწყენილი და ოცნებას მიცემული ამბობს:

ჩემო პოეტო, რა შეიმატო,
მაგ მაღალ ნიჭით ვის აგრძნობინებ.
შეატყობინებ
ტკბილ ჩანგის ყღერით
შენს ნიჭსა გულის?
მაღალი სულის სად ჰპოებ პასუხს?

მისი თქმით, პოეტთა ცხოვრების შესწავლა იმას გვიჩვენებს, რომ ისინი ბედნიერ ვარსკვლავზე არ იბადებიან, „მათი ცხოვრება კაცთ ეკვირვება“.

ბეგლარის საცოლეს — ტასოს, რომელიც გამოსულია მეშჩანთა წრიდან, შეუგნია თავისუფალი და წრფელი სიყვარულის აუცილებლობა. იცის, რომ ქალი უნდა თხოვდებოდეს არა სხვების მორიგებით, არამედ ნამდვილი სიყვარულის მიხედვით. მას არ უნდა ბეგლარის გარდა სხვა საქმრო. იგი თავის მეგობარ ქალს ურჩევს, როცა აღეგზნება „გულს ტრფობის ცეცხლი“, არ გაანელოს; მას არწმუნებს, რომ მხოლოდ გრძნობით ვაჭრობაა სირცხვილი და არა სიყვარული.

მაგრამ უფრთხილდი ამ გარყვნილ სოფელს,
არ ავაჭრინო შენც შენსა მშობელს!
არ გყიდონ, ვითა ნივთი, ანუ ბაზრისა ჩითი.
ვინც გითხრას, ტრფობა არის სირცხვილი,
ის არს სულელი და ცუდად ზრდილი.

ტასოს თქმით, რა უნდა იყოს ცხოვრება იმ ქალის, „რომელსაც საქმრო არ ეყვარება“, მისი სიცოცხლე „უდროოთ დაჭკნება“, მაგრამ ეს არ იციან მშობლებმა.

ეს არ უწყიან ჩვენთა მშობელთა,
არ ვებრალებით მათ უგრძნობელთა!
რა თითონ კაცსა მოიწონებენ,
ჩვენც გვეყვარება ასე ჰგონებენ.

საბრალო ტასო, რომელიც ჰკუაღატაკმა და გრძნობადაცლილმა ქალებმა შეშლილად გამოაცხადეს, ასეთ გაბედულ და მაღალ აზრებს გამოსთქვამს სიყვარულის შესახებ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ნორმალურ საზოგადოებაში ტასო ერთ-ერთი მისაბაძი ქალი იქნებოდა, მაგრამ რა უნდა ჰქნას იქ, სადაც იძულებულია თქვას: „შენმა გაზრდამა, არ ვარ შემცდარი“, მაგრამ „შენ ჯერ ხშული გაქვს გრძნობისა კარიო“. ტასო შეშლილია მათთვის, რომლებისთვისაც გაუგებარია სიყვარული და საქმროებს მიყვებიან უფროსების განკარგულებით, სიყვარულის გარეშე. ანახანუმის რძალი ქეკელა თავმომწონედ ამბობს:

ჩვენცა ვყოფილვართ ყმაწვილ ქალები,
ჩვენცა გვქონია კარგი თვალები.
მაგრამ ჩვენ გულსა არა ვკითხავდით,
საქმით ვინ გვიდა, ვისთვის ვოხრავდით.
გათხოვებასა მაშინა ვ'ნობდით,
როცა საყდარში ქმარს წავყვებოდით.
ვისაც როგორსა ბედი მოგვცემდა,
ისთვის ჩვენ მხოლოდ გული გვიცემდა.

აშკარაა, თუ როგორ წინააღმდეგობაშია ტასოსა და კეკელას შეხედულებები სიყვარულზე, როგორ მკაცრად დაუპირისპირდა პიროვნება (ტასო) იმ საზოგადოებას, რომელსაც თვითონ ეკუთვნის წარმოშობით.

გ. ერისთავი გვიჩვენებს, თუ როგორ მკურნალობენ ტასოსებრ „შეშლილებს“: გადაწყვეტენ ბეგლარის სიყვარულით სიმშვიდე დაკარგულ ტასოს შერთონ ელენეს შვილი, რომელიც არის „უცხო სახისა, აქვს მერე ჯვარი კაპიტანისა“. დაინიშნა ქორწინების დღეც. მაგრამ კომედიის დასასრულს, ლოტოს მოთამაშე ქალები, რომელთაგან ბევრი მონაწილეობას ღებულობდა ტასოს „გაბედნიერებაში“, შეიტყობენ, რომ ტასო მტკვარში გადაევარდნილა და თავი დაუხრჩვია. საოცარი სიმახვილით აქვს აღწერილი გ. ერისთავს აღნიშნული სცენა. ჰორების მოსმენას მიჩვეული ქალები არ წყვეტენ თამაშს, თანაც მოსმენილით ერთობიან. ამბის მომტან ყმაწვილს ნინო მიმართავს:

რათ გამიხეთქე, გენაცვა, გული
მე სამგან მქონდა ანბო დასმული!

ყ მ ა წ ვ ი ლ ი (გაჯავრებული)

დღეს ითამაშეთ, ნუ დაიჯერებთ:
ცრემლი მხათა გაქვთ, ხვალაც იტირებთ.

მ ე ლ ა ნ ი ა

ფეთდესეტ ოსემ.. თუ მართალია...
მაგრამ დედაზედ სამართალია.
ვოსემ დესეტ სემ... ყური არ უგდო,
საბრალო ქალი ყმაწვილს მიუგდო.
შესტ დესეტ დევეტ... მე რა გავიგე...

ნ ი ნ ო

უკაცრავად ვარ, აი მოვიგე.

ამგვარად, გ. ერისთავმა „შეშლილში“, ანახანუმისა და მისი რძლების სახით, დაგვიხატა მაღალი წოდების მეშჩანური ნაწილი. რომელსაც დაუკარგავს ადამიანური მორალი. ამ ადამიანთა მთელი ცხოვრება და მოქმედება მხოლოდ სიცილს იწვევს და სიცილთან ერთად ზიზღსაც. ამაშია გ. ერისთავის იუმორის სიძლიერე და სატირული ბუნება.

ტასოსა და ბეგლარის სახით მეშჩანთა საზოგადოებას უპირისპირდებიან ზნეობითა და განათლებით მაღალ საფეხურზე მყოფი ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ მგრძნობიარე გული და შემოქმედი გონება, მაგრამ ყოველივე ეს ღირსება ნაკლები ნებისყოფის

მჭონე პიროვნებებშია მოთავსებული. მათ არ შესწევთ უნარი თანმიმდევრული ბრძოლა გამოუცხადონ ჩამორჩენილობასა და ზნეობრივ დაცემულობას. მათ თითქოს საკუთარი თავის დასასჯელად აქვთ მაღალი ადამიანური ღირსებები. შედარებით მეტი უნარის მქონეა ტასო, რომელმაც თავისი თავის დასჯით მკაცრი პროტესტი გამოხატა დრომოჭმულ შეხედულებათა წინააღმდეგ, მაგრამ ეს შედარებით იოლი და ნაკლები შედეგის მომტანი გზა იყო. კიდევ უფრო სუსტი და მეოცნებეა ბეგლარი, რომელსაც, სხვა ვდგომარეობაში, კელაე ვხედავთ კომედია „დავაში“.

3

სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან დაკავშირებით ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევა და თავადაზნაურთა დაცემა-გადაგვარება მშვენივრადაა მოცემული გ. ერისთავის კომედიებში: „დავა“ (1840 წ.), „გაყრა“ (1849 წ.), „ძუნწი“ (1850 წ.).

გ. ერისთავმა, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, ასახა ეკონომიკურად დაცემის გზაზე დამდგარი მაღალი წოდების ბედოვლათობა, გონებრივი სიღატაკე და ზნეობრივი შეზღუდულობა. მან პირველმა შეამჩნია, რომ მე-19 საუკუნის 40-იანი წლებისათვის ქართველმა თავადაზნაურობამ დაჰკარგა ცხოვრების უნარი, ალღო ვეღ აუღო ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ავადმყოფურად ჩაეჭიდა ძველ პატრიარქალურ სამყაროს და ამაოდ ცდილობს მის შენარჩუნებას.

გ. ერისთავის რეალისტურმა ალღომ განსჭვრიტა, რომ ჩამორჩენილ ნატურალურ მეურნეობასა და მის მოტრფიალეთა „ბრწყინვალებაზე“ ლაპარაკი თავისთავად ჩამორჩენილობას ნიშნავდა. მის თანამედროვე მოღვაწეთაგან განსხვავებით, გ. ერისთავმა თვალი გაუსწორა სინამდვილეს, დარწმუნდა, რომ წარსულზე ტირილი, წინაპართა აჩრდილების წინაშე ქედის მოხრა არაფერს იძლეოდა; დრომოჭმულსა და ჩამორჩენილს შეღამაზება კი არ დაუწყო, არამედ ნამდვილი სახელი უწოდა და რეალისტურ სახეებში ასახა მთელი მისი ავლადიდება.

ეკონომიკური სივიწროვის საფუძველზე თავადაზნაურთა ბანაკში წარმოიშვა განხეთქილება, უთანხმოება და შური. მაღალი წოდების წარმომადგენლები უფრო იოლად ახერხებდნენ ერთმანეთის დაღუპვას, ვინემ ნამდვილ მტერთან შებრძოლებას. ქართველი თავადაზნაურობა მეტად მთვლემარე მდგომარეობაში შეხვდა ბურჟუაზიული ურთიერთობის გარიჟრაჟს. პრიმიტულად მოწყობილი

მეურნეობა და განათლების უქონლობა საშუალებას არ აძლევდა მას ახალი ვითარების მიხედვით მოეწყო თავისი ცხოვრება.

გ. ერისთავი გვიჩვენებს, რომ თავადაზნაურთა ძველი თაობის ერთი ნაწილი, რომლისთვისაც გაუგებარია ახალი ეკონომიკური პროცესი, ხედავს რა მდგომარეობის გაუარესებას, ყოველ ღონეს ხმარობს ხელიდან არ გაუშვას მამული; არ ერიდება სიცრუეს, წაგლეჯას, ოღონდ ხელთ იგდოს რაიმე. ამ გაბოროტებული და დაბნეული წოდების წარმომადგენლები ცდილობენ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის გამოიყენონ ბიუროკრატიული აპარატის გაიძვერა და გაქნილი მოხელეებიც, რათა ერთმა მეორის ხარჯზე გაიუმჯობესოს მდგომარეობა. ცბიერი მოხელეები ამ ბედოვლათ თავადაზნაურებში მსუქან და ადვილად საკრეჭ ცხვრებს ხედავენ. ისინი ქრთამს იღებენ მოდავე თავადებისაგან, ხოლო ეს უკანასკნელნი იძულებულნი არიან ვალი აიღონ ვაჭრებისაგან და ებმებიან მათ ქსელში. ავადმყოფურ პატივმოყვარეობასა და მტრობას მეტი სისწრაფით მიჰყავს ისინი ისტორიის დაღმართისაკენ. ასეთებია ამირინდო და ონოფრე („დავა"). ეს ორი სვიადი თავადი სიმდიდრეს უანგარიშოდ ხარჯავენ მექრთამე მოხელეებთან — „სუდის პერევოდჩიკებთან" და „ზასედატელებთან", ერთი უმნიშვნელო ადგილის — ჩალიანის დასანარჩუნებლად.

ამ ვაჟბატონებმა იციან, რომ დავაში მეტი ოქრო მიუდით, ვინემ ეს სადავო ადგილი ღირს, მაგრამ არც ერთი არ თმობს. ეს უნდათ სასამართლოს მოხელეებსაც. ისინი ერთსა და იმავე დროს ორივესაგან იღებენ ქრთამებს და ხან ერთს, ხან მეორეს აკუთვნებენ ჩალიანს, რათა დავა არ დასრულდეს.

ამირინდო ხედავს, რომ სტრაპიჩი — ხარიტონ ფილიპიჩ ეზიატკინი „ჰსწორეთ აუვსებელი ხაროა...", არზის მწერალი — რაფიელ არზამანოვი და „პერევოდჩიკი სუდისა" — სარქის ბუღდანიჩ კუმუხტოვი გაუმაძღარნი და ცბიერნი არიან. მაგრამ თავს მაინც არ ანებებს საჩივარს. თავის მოურავს იგი ამაყად ეუბნება: „მამა ჩემი არ წამიწყდება, მეც დავიღუპები და იმათაც დავღუპავ... ონოფრემ მაჯობოს, ბარემ ეს ულვაში დამპარსოთ". ავადმყოფური თავმოყვარეობის წყალობით, ამირინდოს ოჯახში ყველაზე საპატიო სტუმრად „პრაენიკი" გამხდარა. საკმარისია გაიგოს მისი მობრძანება, რომ ეს „პატივცემული" თავადი ჯარასავით დატრიალდეს, „მუნდირი, წაღები, სარტყელი" სასწრაფოდ მოითხოვოს, რათა კარგად ეჩვენოს. არ ჯერდება ბოზბაშს, ჩიხირთმას, მწვადებს და მოურავს ავალებს სწრაფად მოუმზადონ: „რამე შემწვარი, ჩახოხბილი, ქათმები... ფლავი ბატკნითა, ლულა ქაბაბი, აფხაზური",

ოანაც ბიჭს ეძახის: „მემარნეს უთხარ, სამოციანი მოხადოს, წმინდათ ამოიღოს, შენ იასაულებს და ყაზახებს კარგად დახედი, ვინძლო კარგათ დაათვრო“.

რისთვისაა ყოველივე ეს? იმისათვის, რომ ონოფრეს აჯობოს სასამართლოში და ჩალიანი მას დარჩეს. მთელ თავის ბედნიერებას იმაში ხედავს, რომ სასამართლოში გაიმარჯვოს და სასამართლოს მოხელეები თავის მხარეზე ჰყავდეს. იგი ოცნებობს, თუ როდის დაბრუნდება პეტერბურგიდან მისი ნასწავლი შვილი, რომელიც პოეტი ყოფილა, რომ არზები დაუწეროს. მან არ იცის, რას ნიშნავს პოეტობა, მაგრამ ფიქრობს, ბევრი კანონების ცოდნას უნდა გულისხმობდეს. თავის მოურავს ეს ჩლუნგი არსება ასე მიმართავს: „სოროზან ჰა, პოეტიო, რა სტატის ახალი ჩინი იქნება, მე მგონია ბევრი ზაკონები ეცოდინება, ჰა...“

ამირინდომ იცის, რომ „კალამი ხმალი გახდა“ — „ერთ ასოს დაბღაჯვენ და დარჩი მშიერი“. ამიტომ შვილი მეტად ვერაფრით გაახარებს, თუ არა არზების წერით. მაგრამ აქაც უღალატა ბედმა ამირინდოს. მის მიერ მიცემულ არზის ქაღალდზე ბეგლარმა ლექსი დაწერა. იგი კვლავ ცბიერი სარჩისასა და რაფიელის ხელში დარჩა. ისინიც კარგად პარსავენ ამ „მსუქან ცხვარს“ და თითო „ტოჩკასა და ზაპეტაიაში“ თითო ოქროს ართმევენ. ამირინდომ არ იცის რას ნიშნავს „ტოჩკა და ზაპეტაია“, — მას ჰგონია ესაა მთელი ზაკონები; სარჩისაც განუმარტავს: „ტოჩკა და ზაპეტაია არის მნიშვნელობა, აზრთა სჯულებთა და ზაკონთა, კაეშირ-მოთხრობანი, თუ ვითარ შეიტყო საქმენი...“

ამირინდოს ორეულია მისი მოდაეე ონოფრეც, რომელსაც „ქალაქის სასამართლოს ფულები“ გამოლევია, მაგრამ თავს მაინც არ ანებებს საჩივარს. იგი გამწარებული დარდობს ჩალიანზე: შვილს— მიხეილს ნაღელიანად ეუბნება: „წამართო, წამართო! რა ექნა, ერთი სისხლს მაინც მოვახდენ და...“ მას ადარდებს არა ჩალიანი, არამედ ის, რომ ამირინდომ აჯობა. როდესაც გაიგებს, რომ სადავო ადგილებს „სახელმწიფოდ დასდებენო“, სიამოვნებით იტყვის: „რა მენაღვლება,... დეე დასდვან, ჩემ მოსისხლეს ხომ არ დარჩება...“

ძველი თაობის მეორე ნაწილს დავისა და მოქმედების უნარიც არა აქვს, მისთვის წარმოუდგენელია პატრიარქალური ოჯახის დარღვევა და შეცვლა. იგი გრძნობს ახალი ცხოვრების დაწოლას. აღსასრულის მოახლოებას, მაგრამ არ იცის რა გზას ეწიოს. მას არ შესწევს უნარი საკუთარ ეზოს გარეთ გავიდეს და რაიმე საშუალებას მიმართოს, უიმედოდ მწუხარებს თავის სავალალო მდგომარეო-

ბაზე და საკუთარ სახლში, ძმებთან იჩენს მხოლოდ „ვაჟკაცობას“. ტიპიური სახე ასეთი ჩამორჩენილი და გაუნათლებელი თავადისა გ. ერისთავმა დაგვიხატა ანდუყაფარ დიდებულიძის სახით („გაყრა“).

ანდუყაფარის მთელი ტრაგედია იმაშია, რომ გაყრას უპირებს „თერგდალეული ძამია“ — რუსეთში სწავლამიღებული ივანე; მას აწუხებს იმის შეგნება, რომ არ შესწევს ძალა ხელი ააღებინოს ივანეს თავის გადაწყვეტილებაზე. მამაპაპეული ოჯახის გაყოფა-დანაწილება ანდუყაფარს მეტად სამარცხვინოდ ეჩვენება, განადგურების და დაცემის სიმბოლოდ ეხატება. ამიტომაა, რომ უიმედოდ მოთქვამს:

ჰეი ოჯახო, კარგო ოჯახო,
შემდგომ გაყრისა ვის დავენახო!
ახ, ველარ დავცემ კარავსა მკაში,
უნდა ვიმალო მე მამითადში!

გაყრის შემდეგ იგი ველარ ნახავს „სამასი ნამგლის ტრიალსა“. „ზვარიც უნდა გაუყონ“; ესეც არაფერი, მაგრამ „თერგდალეული ძამია“ „ზვარში აპირებს ვაზების დაჭრას და ვაზების წილ თუთების ჩაყრას“. ყოველივე ამის ნახვას ანდუყაფარს ურჩევნია „სასაფლაოზე ეხლავე წაიღონ“.

არც მოურავის — ბარამის რჩევა მოსდის ანდუყაფარს ჯუაში. ბარამის რჩევით, საკმარისია ანდუყაფარმა გლეხებიდან აკრიფოს ოთხასიოდე თუმანი, რომ ამ ფულით მოისყიდოს სასამართლო და გაყრაზე უარი უთხრან ივანეს. მაგრამ ანდუყაფარი გრძნობს, რომ დღეს თუ არა, ხვალ ივანე მაინც თავისას გააკეთებს. „ვთქვათ, ორი წელიწადი არ გაგეყარეს, — ეუბნება ბარამს ანდუყაფარი, — მერე ხომ უნდა გაგვყარონ“. აი საკუთარი სისუსტის შეგრძნობის მაგალითი.

ანდუყაფარს აკვირვებს ივანეს ქცევა და გეგმები: „არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში, იწამლებიან თუ რა არის. ბიჭო, საკურველია, მოზდოკს მეც ვიყავ, მაგრამ კი არ გავგიჟებულვარო“.

ამ „სახელოვან მოგზაურს“, რომელსაც მოზდოკამდე მიუღწევია, იმის შეგნება არა აქვს, რომ რამდენიმე ცალი მინა და ერთი მუთაქა იმად არა ღირს, რომ ძმა მოსაკლავად გაიმეტო. იგი ცხადაა პავლე მოჰკლას ერთი მუთაქისათვის, ხოლო მინებს ფეხით ამტვრევს, ძმებმა რომ არ ისარგებლონ. ამასთანავე, იგი ახერხებს მთელი ვალები გადასახდელად დააკისროს ივანეს, რომელიც შედარებით გულუბრყვილობას იჩენს გაყრის დროს. გმირთა ასეთი წვრილმანი მოქმედების ჩვენებით მწერალი დიდ სოციალურ მოვლენებში ახედვებს მკითხველს.

ძველი თაობის პლეადას ავსებს პავლე დიდებულიძე. პავლეს სახით გ. ერისთავმა შექმნა მეტად ცოცხალი სახე ფუქსავატი თავადისა, რომელიც ანგარიშს არ უწევს არც თავის მდგომარეობასა და არც საერთო სიტუაციას. მას ჰგონია, რომ ყოველთვის ისე იცხოვრებს, როგორც ცხოვრობს, სადარდებელი სხვა არაფერი აქვს, თუ არა მწევარ-მეძებრები, რომელთა დანახვა მთელ საცხოვრებელს ურჩევნია.

პავლემ არ იცის ოჯახის მოვლა და არც რაიმე ფიქრი აწუხებს. იგი არის ტიპი ფუქსავატი თავადისა, რომელიც პირადი სიამოვნებისათვის ცხოვრობს მხოლოდ. გონებრივად გამოფიტულ პავლეს ოჯახის მოვლა ენაგარეცხილი და მოხერხებული ცოლისათვის (მაკრინესათვის) მიუნდვია, თვითონ სანადიროდ დაიარება ქორ-მეძებრებით. პავლე ამაყობს თავისი ცოლის ცბიერებითა და ენაგაწვრთნილობით: „აი დედაკაცი! აი ჭკვიანი! შენკი გეთაყვანე მაგ თვალებში!.. ჯან, დედაკაცო, აკი ვთქვი, ევაზედ ჭკვიანი არის ჩემი მაკრინე მეთქი, ვაი არა აქვს შენს პავლესა“... ამბობს გახარებული პავლე, როცა შეიტყობს, რომ „სუდის სეკრეტარს“ — რამაზს ატყუებს მაკრინე, როცა ქალის (ნინოს) მიცემას პირდება, რათა მისი მხარე დაიჭიროს გაყრისას. პავლეს ბედოვლათობა იცის მაკრინემ, ამიტომაც აფრთხილებს მას, რომ, როცა რამაზთან ნინოზე საუბარი ჩამოვარდეს, თვითონ ნურაფერს ეტყვის: „შენ შენებურათ ეთხარ, ჩემმა მაკრინემ იცისთქო“. როგორც ჩანს, პავლე არაერთხელ ამოფარებია მაკრინეს „ავტორიტეტს“. პავლეს უყვარს თავისი ცოლის „ღირსებებზე“ ლაპარაკი. იგი არწმუნებს რამაზს, რომ „ჩემ მაკრინეს სატანაც ვერას დასტყუებს... ვითომ ენაზედ ჭალი მოედება თუ... ესე დაუკრავს, როგორც ჩონგურიო“. დარწმუნებულია, რომ თამარ დედოფლის დროს რომ ეცხოვრა მაკრინეს „ვეზიროზას მისცემდნენ“, ვინაიდან „რაც უნდა ჭკვიანი კაცი იყოს, პამპულათ გახდისო“.

პავლე გაყრაში სულაც არ მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ რა ქნას, ეშინია მაკრინესი, რომელიც გარედან ეძახის: „არ დაანებო, თორემ ლეჩაქს დაგხურამ, კაცი არ ხარ?“. ცოლის მიერ წაქეზებული პავლეც აქტივობს და მუთაქას ებღაუჭება, ყველაფერში წაწილს მოითხოვს, თუმცა არც თვითონ იცის რა ნაწილზე ლაპარაკობს, თვალი სულ გარეთ აქვს, სადაც მეძებრები ეგულება; ასან-აღას ნაჩუქარი მეძებარი ხალია და მაჭუტაძის გამოგზავნილი ქორი აგონდება მუდამ.

პავლე ყველაზე უფრო დასრულებული და ცოცხალი სახეა იმ თავადთაგან, რომლებიც გ. ერისთავს გამოყვანილი ჰყავს თავის

კომედიებში. მოხერხებულადაა დაჭერილი აგრეთვე სატანად გამხდარი კნეინის ტიპი — მაკრინეს სახით. ის სულ რამდენჯერმე გამოჩნდება სცენაზე, მაგრამ არ შეიძლება დაგვავიწყდეს მისი გაიძვერა და ცბიერი სახე. პავლეს მისამართით წამოსროლილი მისი რეპლიკები სრულ წარმოდგენას გვაძლევენ გაღარიბებულ და ენაგარეცხილ კნეინაზე.

ფუქსავატობითა და გონების „სიმდიდრით“ პავლეს ჩამოგავს იმერელი აზნაური ლომინ გოდაბრელიძეც („დავა“). ლომინი ქარაფშუტა და უვიცია. მას თბილისი უნახავს და გაოცებულია ქალაქური ცხოვრებით, ყველაფერი უცნაურად და გრანდიოზულად მოსჩვენებია. ეს ბრიყვი აზნაური იმისთვის წვალობს და ხარჯავს ფულს, რომ მეოთხე ცოლის შერთვის უფლება მიიღოს სასამართლოდან. პირველ ცოლს ახალგაზრდობაშივე გაყრია, რის გამო ლომინი მას ანგარიშში არ თვლის, მეორე — როსკიპობისათვის გაუშვია და არც იგი შეჰყავს სათვალავში. ამიტომ, თავის ანგარიშით, იგი მეოთხე ცოლს კი არ ირთავს, არამედ მეორეს.

ლომინის სახით გ. ერისთავმა, წარმოგვიდგინა „შემოდგომის აზნაურების“ წინამორბედი, რომელიც შემდეგ ზ. ანტონოვმა გამოიყვანა თავის კომედიებში.

გ. ერისთავმა თანამედროვეთ უჩვენა, რომ თავადაზნაურთა ძველი თაობა დაცემის გზაზეა დამდგარი, მისი სასიცოცხლო ძალები ამოწურულია, უნარი აღარ შესწევს ალღო აუღოს გარემო სინამდვილეს და თავისი ცხოვრება ბურჟუაზიული ურთიერთობის შესაბამისად წარმართოს.

როგორიღაა ახალი თაობა, შვილები?

როგორც უკვე გავეცანით კომედია „შეშლილში“, ახალი თაობა, ბეგლარისა და ტასოს სახით, მაღლა დგას „დედებზე“, უფრო მაღალ მორალურ ღირსებას ამჟღავნებს, მაგრამ მაინც არ შესწევს მას უნარი ცხოვრების სადავე აიღოს ხელში და იბრძოლოს ზნეობრივი გადაგვარების წინააღმდეგ.

„დავაში“ ახალი თაობა წარმოდგენილია ბეგლარის, მიხეილისა და ნინოს სახით. ბეგლარი („დავა“) ჩვენს მიერ „შეშლილში“ გაცნობილი პოეტის — ბეგლარის განმეორებაა, მისი ორეულია, მაგრამ მცირედ შეცვლილ ვითარებაში მოხვედრილი.

პეტერბურგიდან სოფელში დაბრუნებული ბეგლარი („დავა“) თავის თავს „ახალშობილს“ ადარებს და წუხს, ვაითუ ვერ შეძლოს „უსვას ნიჩაბი სუსტისა მკლავით“ და ვერ გაუძლოს „ზღვის მღელვარებას“. იგი თავიდანვე სკეპტიკურად არის განწყობილი საკუთარი მომავლისადმი:

იქნება ბედმან, თვალით ვერ მხედმან
უდროთ მოსთვალოს ჩემი ცხოვრება?
იქნება ერთა, გონების მტერთა.
მოსწამლონ ჩემი ნიჭიერება?

არც მისი ძველი ამხანაგი — მიხეილი უწინასწარმეტყველებს უკეთესს. მიხეილი ადრევე გრძნობს, რომ ბეგლარის პოეტურ ბუნებას მოსწამლავენ: „შენ ხომ პოეზიაზე ხელს არ აიღებ, პოეტებს დიდ ქვეყანაშიაც სულელს ეძახიან, შენ აქა დაღუპილი ხარ, მესტვირეს დაგიძახებენო“.

მიხეილი თითქოს უფრო პრაქტიკული ადამიანია, წინდახედული, მაგრამ მისი „წინდახედულება“ იმაში მდგომარეობს, რომ ჩამორჩენილსა და დრომოჭმულს უფრო ეგუება, უფრო გულგრილად შეუძლია უცქიროს გარემოს. მას სამხედრო სამსახური აურჩევია, რადგან მისი თქმით, მეტ-მხიარულებასა და უდარდელობას გრძნობდა იქ კაცი. ბეგლარის შენიშვნის გამო, რომ მიხეილი იმდენად უდარდელია, რომ დროს იგი დააბერებს და არა დრო მას, მიხეილი ამბობს: „რა ეშმაკისათვის მინდა სიბერე, შენ მებრალები, რომ დაგაბერებენ, იცი რას გეუბნები, ღმერთს გეფიცები, მოდი კარგს ვირჩევ, ჩვენ პოლკში შემოდი. Там тебя полюбят, там будет весело, некогда будет думать. თორემ, აი რა მოგივა: ღმერთს გეფიცები, მასხარად აგიგდებენ“.

ბეგლარს იმის იმედი აქვს, რომ „სამასხაროს არასა იქმს“, მაგრამ ჩვენი კომედიოგრაფი მკითხველსა და მაყურებელს აგრძნობინებს, რომ არ კმარა იყო ბუნებით კეთილი, ნიჭით დაჯილდოებული, და არც ის, რომ „სამასხარაო არა ქნა რა“; საჭიროა მტკიცე ნებისყოფა, მოქმედებისა და ბრძოლის უნარი. ეს უკანასკნელი თვისება კი გ. ერისთავის ახალგაზრდებს აკლიათ.

ბეგლარი და მიხეილი სისულელედ თვლიან მშობლების ერთმანეთთან მტრობას, მაგრამ მთელი სიღრმით ვერ წვდებიან ამ მტრობის სოციალურ ძირებს. ბეგლარის სიტყვით, მათი ასეთი მტრობის მიზეზი გაუნათლებლობაა. დარწმუნებულია, რომ ახალი თაობის წარმომადგენლებს შორის ასეთი რამ არ განმეორდება: „ვგონებ დამერწმუნებით, ამბობს ბეგლარი, მე და მიხეილს არ მოგვივა ჩხუბი და არც საჩივარი ერთმანეთზედო“. ბეგლარი, რა თქმა უნდა, ცდება. ბოლოდ გაუნათლებლობა არ იყო მიზეზი ძველ თაობაში გაბატონებული მტრობისა, ეს მხოლოდ ერთი მომენტი შეიძლება ყოფილიყო, მთავარი მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაში, ბატონყმური ინსტიტუტის რღვევაში მდგომარეობდა.

განათლებული, მაგრამ ცხოვრების უცოდინარი და უნებისყოფო შვილები (ბეგლარი, მიხეილი) მალე ექცევიან მამების ბრმა მორჩილებაში. მათ, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, სასამართლოს უვიც მოხელეებთან ქრთამები მიაქვთ და ერთმანეთს თავაზიანად უთმობენ რიგს მის გადასაცემად. აი, სად გაჭმეხლაენდა მათი სისუსტე, უხერხემლობა და, თუ გნებავთ, ქარაფშუტობაც; იციან, რომ სისულელეს ჩადიან, იციან, რომ ორივე ერთსა და იმავე საქმისათვის იხდიან ქრთამს და შედეგიც არ აწუხებთ, მაგრამ მაინც ასრულებენ მშობლების დავალებას.

ნინო („დავა") იგივე ტასოა („შეშლილი"), მხოლოდ უფრო ბედნიერ ატმოსფეროში მოხვედრილი. მას სწავლა-განათლება აქვს მიღებული, ინსტიტუტი დაუმთავრებია, არ მოწონს მშობლების შურიანობა და მთელი არსებით გატაცებულია ბეგლარის სიყვარულით. ნინო, მსგავსად ტასოსი, თავისუფალ და ბუნებრივ სიყვარულს სცემს თაყვანს. ამის გამო არც მას მოელოდა ტასოზე უკეთესი ბედი, მშობლებმა ოთახშიც დაამწყვდიეს იგი და ბეგლარსაც უარი შეუთვალეს, მაგრამ მას უკვე აღმოუჩნდა მხარდამჭერი. ნინო, ტასოსაგან განსხვავებით, მარტო აღარ არის ძველი შეხედულების მქონე ოჯახში, მის გრძნობასა და შეხედულებას იცავს ძმა — მიხეილი, რომლის წყალობითაც ნინო და ბეგლარი დაქორწინდებიან, ხოლო ერთმანეთის მოსისხლე ამირინდო და ონოფრე შერიგდებიან.

ამირინდომ, რომელიც ოჯახს დაღუპულად თვლიდა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ბეგლარს არზების წერა არ შეეძლო, ბოლოს ხედავს, რომ ბეგლარს არზის წერა კარგად სცოდნია, მაგრამ არ კადრულობს ყოველგვარი არზის წერას. ერთი სიტყვით, ახალგაზრდებს „მამათა" ცხოვრებაში შეაქვთ განათლება და მეტი სინათლე, რის შედეგად მათ შორის ისპობა დავა და მტრობა. ნასიამოვნები მწერალიც სარჩისას პირით ამბობს:

თუ ასე ყველა ქართველნი,
როგორც ესენი, შერიგდებიან,
მაშინა ჩვენი სომეხნი
შიმშილით ამოსწყდებიან.

მიუხედავად ამისა, „შეშლილი" და „დავა" აშკარად გვარწმუნებენ, რომ ახალი თაობის წარმომადგენლები მოუმზადებელნი არიან ახალი ცხოვრებისათვის. მეტ დროს ოცნებას ანდომებენ, ვინემ საქმეს. საკმარისია მცირე დაბრკოლება და წინააღმდეგობა გადაეღობოთ, რომ ისინი დაიბნენ ან დათმობაზე წავიდნენ.

ახალი თაობის უსუსურობა და მისი მოუმზადებლობა პრაქტიკული ცხოვრებისათვის მეტი სიცხადით „გაყრაში“ გვიჩვენა ავტორმა. ივანე („გაყრა“) უფრო კომიკური სახეა, ვინემ ბეგლარები, მიხეილ. ტასო ან ნინო („შეშლილი“, „დავა“). ეს გასაგებიც არის. „შეშლილსა“ და „დავაში“ გამოყვანილი ახალგაზრდები უპირისპირდებიან თაეისსავე წოდების ძველ თაობას, რომელსაც დაკარგული აქვს ცხოვრების უნარი; ხოლო „გაყრაში“ ივანეს ბრძოლა უხდება არა მარტო ძველ თაობასთან, არამედ ახალი კლასის — ბურჟუაზიის წარმომადგენელთანაც. ივანეს ოცნება არა მარტო გაკვირვებასა და ბწუხარებას იწვევს (ანდუყაფარი), არამედ ირონიულ სიცილსაც (მიკირტუმ გასპარიჩი). ივანე ადვილად ახერხებს ძველ თაობასთან გაყრას, მაგრამ საკუთარ ფეხზე დადგომისათვის საჭირო ძალა და უნარი არ გააჩნია. დაცემის გზაზე დამდგარ ფეოდალურ არისტოკრატიას ვერ შველის ვერც ახალი თაობა, ვერც რუსეთში სწავლამიღებული „შვილები“, რომელთაც გ. ერისთავმა პირველმა უწოდა „თერგდალეულები“ და „რუსეთუბეები“ („გაყრა“).

ივანე ოცნებობს ცხოვრების ახლებურად მოწყობაზე, ლაპარაკობს „აგრონომიაზე“, „ირიგაციაზე“ და „გუანოს გაკეთებაზე“; ხედავს, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ სასმელად იყოს ღვინო. საჭიროა ფულსაც იძლეოდეს, რომ არ ეხვეწებოდე „კაკოვო ნიბუდ მიკირტუმ გასპარიჩს“. მაგრამ რა გზით? ივანე თავის ცოდნას ვერ უფარდებს ცხოვრების ნამდვილ მოთხოვნებს. მას სურს ზვარში ვაზი აჩეხოს და მის ნაცვლად თუთა დარგოს, ბილიკები გააუქმოს ბაღში და რუსული გზები გააკეთოს სასეირნოდ. მოაწყოს „ბესედკები“ და სხვა. მას ბრმად გადმოაქეს თავის სამშობლოში რუსეთსა და პოლონეთში ნახული და გაგონილი, რაც ანდუყაფარის სამართლიან გაკვირვებას იწვევს.

ივანეს ყოველი გეგმა ფულს საჭიროებს, ფულის შოვნის თავი კი მას არ აქვს. ივანეს არც მიკირტუმივით მომჭირნეობა შეუძლია. არც რამაზივით ქრთამების აღება და „აბრუნდების“ კეთება. იგი თვითონ აცხადებს: „მე სამსახურის თავი არა მაქვს“, „მე მინდა ვიხაზეინო“, მაგრამ „ხაზეინობას“ ივანე ვერ ახერხებს, ვინაიდან ძველი სიმდიდრე — მამული ხელიდან ეცლება, ხოლო ფულის შოვნა არ შეუძლია. მშვენიერი სურათია „გაყრის“ მესამე მოქმედებაში, როცა მწერალი ერთმანეთს ახვედრებს ძმებთან გაყრილ მეოცნებე ივანეს და გაქნილ მევახშეს — მიკირტუმ გასპარიჩს:

ი ვ ა ნ ე — ია რახდელუ პოლე ნა სეზ.
მ ი კ ი რ ტ უ მ — მაგითი ფული ვერ გასცვმ.
ი ვ ა ნ ე — აჭ მოშივა მე კაპუსტა.

მიკირტუმ — ა ვ კარმანე ბუდით პუსტა.
ივანე — ტუტ მადია სატი ტავა[1].
მიკირტუმ — ჯიბიდან ფულები გავა.
ივანე — აქ ბესედკა გაკეთდება.
მიკირტუმ — უფულოთ კი არ იქნება.
ივანე — ეს ლაბირინტათ უცხოა.
მიკირტუმ — კიდევ გითხრამ გიჟ ვრაცუა! (მიკირტუმ მივა, დაადებს ნელა ხელს მხარზედ, სუყველა კარგად ფიქრობ, კნიაზ! მ.გრამ ფული, სულ ფული... ფული...
ივანე — (ჩუმათ) მ.ივიდა სატანა, მოსწამლა ჩემი ფანტაზია ..

დიახ, ეს სატანა იყო ახალი ცხოვრება, რომელიც მეოცნებე არისტოკრატის ფანტაზიას სწამლავდა და არარაობად ხდიდა. მეოცნებე და თავმომწონე ივანე, რომლის შეხედულებით „საქართველოში სიყვარულის მაგალითი არა ყოფილა! რამანიც არ დაიწერება!... რამან ბეზ ლიუბვი ეტო უეასნო...“ და დასცინის ქართველ ქალებს, უცებ წამოეგება მიკირტუმის მიერ დაგებულ ოქროს ანკესზე. ყოველგვარი გაცნობისა და სიყვარულის გარეშე, ფულის გულისათვის ცოლად ირთავს მიკირტუმის ქალს — შუშანას. დამცინავ ივანეს თვითონ დასცინა ცხოვრებამ. მეოცნებე თავადი, რომელიც მეურნეობის ევროპულ ყაიდაზე მოწყობასა და ყმებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარებაზე ფიქრობდა, მევახშის სიძე ხდება და მორცხვად ისმენს სიდედრის — თათელას დალოცვას: „ღმერთმა აღას შნო მოგცეს, ყაირათი და ჭკუა, აღასავით მომგები გქნას, შვილო, თუ ღირსი ვარ“.

აი, ჩვენი განათლებული არისტოკრატის ბედი. მას მიკირტუმების შნოსა და ნიჭს უსურვებენ და ისიც იძულებულია მოკრძალებით მოისმინოს.

მიდის რა ცხოვრების სარბიელიდან ანახანუმი („შეშლილი“), ანდუყაფარი, პავლე („გაყრა“), ონოფრე და ამირინდო („დავა“), მათ ადგილს იპერს არა ბეკლარი, ტასო („შეშლილი“), მიხეილი, ნინო, ბეგლარი („დავა“) ან ივანე („გაყრა“), არამედ მიკირტუმ გასპარიჩი. თავადაზნაურთა წოდების როგორც ძველი, ისე ახალი თაობა უმწეოა ბურჟუაზიასთან ბრძოლაში; ძველ ნატურალურ მეურნეობას ოქროს კერპები ანგრევენ.

გ. ერისთავი, როგორც ლიბერალური თავადაზნაურობის წარმომადგენელი, ადვილად ვერ ეგუება მაღალი წოდების დაღუპვას. კომედია „ძუნწში“ იგი შეეცადა ეჩვენებინა ფეოდალური არისტოკ-

[1] „მადია სატი ტავა“ ლათინური სახელია აფრიკაში გავრცელებული ერთერთი მცენარისა, რომლისგანაც ზეთს აპხადებენ.

რატიის სიცოცხლის უნარიანობა და მისი ზნეობრივი უპირატესობა სავაპრო ბურჟუაზიასთან შედარებით.

არჩილი („ძუნწი") არ ჰგავს არც ბეგლარს, არც მიხეილსა და ივანეს. მას თავის ცხოვრება ისე მოუწყვია, რომ არ აკლია „პური, ღვინო, ძროხა, ქათამი". ამიტომ იგი არც ხდება ფულის მონად. მას აწუხებს მხოლოდ სატრფო ქალის — ხამფერას სიყვარული და თუ აქაც გაიმარჯვებს, ბედნიერი იქნება ყოველმხრივ. „შენ არ იცი, საყვარელო ხამფერი, — მიმართავს არჩილი ხამფერას, — რა სიამოვნება არის სოფელში მუშაობა! განშორებული ამ ხმიანს ქვეყანას, მე ვარ ყოველისფრით ბედნიერი. მხოლოდ აკლია ჩემს გულს შენი სიყვარული! და თუ შენი სიყვარულით აღივსება ჩემი გული, მე ვიქნებოდი ერთი ბედნიერთაგანი ყმაწვილს კაცებში". არჩილი, მოცილებული „ხმიანს ქვეყანას" — უფრო სწორად ბურჟუაზიულ ქალაქს, თავს ბედნიერად გრძნობს სოფელში, სადაც მეურნეობა, ჩანს, ურიგოდ არ აქვს მოწყობილი; შეუძლია სხვასაც დაეხმაროს პურით.

არჩილს ვერც სიყვარული აჩოქებს ვაჭრის წინაშე. მართალია, მას წინ ეღობება სასიმამრო, სომეხი ვაჭარი კარაპეტა, რომელსაც ქართველი თავადი ჰირიქით ეჯავრება, მაგრამ არჩილი გრძნობს თავის ძალას. იგი თავდაპირველად თავაზიანად ესაუბრება კარაპეტას და სთხოვს ქალს, მაგრამ როდესაც მისგან დაცინვის მეტს ვერაფერს მოისმენს, მაშინ ეტყვის: „მშვიდობით, მაგრამ ეს იცოდე, შენს ქალს ვერაფინ წამართმევსო". ხამფერასთან საუბრის დროს არჩილი ამბობს: „მამაშენი რომ არ იყოს, მოვკლავდი ჭეშმარიტადო". არჩილი, როგორც ვხედავთ, არ ჰგავს არც ბეგლარს („შეშლილი", „დავა") და არც ივანეს („გაყრა"). მას ეკონომიკური მდგომარეობაც მოუგვარებია და საღი მოქალაქეობრიობაც შერჩენია. იგი მტკიცე ნებისყოფის მქონე არისტოკრატია, რომელსაც ვერ აშინებს კარაპეტები და არ ხიბლავს ოქროები. არჩილი ხამფერას ირთავს არა ფულისათვის, არამედ ნამდვილი სიყვარულით. ამიტომაც, იგი აღწევს მიზანს. არჩილი „ყოველმხრივ" მაღლა დგას კარაპეტასთან შედარებით.

არჩილი ალექსანდრე რაინდიძის ერთგვარი წინამორბედია. ბევრი რამაა მათში საერთო.

არჩილი მაინც რომანტიკული პიროვნებაა, რომელსაც სწორად არ აქვს გათვალისწინებული ახალი ცხოვრების თავისებურება. იგი ხოტბას ასხამს მისი პაპის — ავთანდილის ჟანგიან ხმალს, რომლითაც „ავთანდილ გმირმა აჯარცხა სპარსნი" და სურს თვითონ აიღოს ახლა იგი ხელში და „ლეკთა და სპარსთა" დასჭრას თავები.

არჩილი გვეელინება დაგვიანებულ „რაინდად“, რომელსაც ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ კარაპეტას სიტყვებით დასცინა: „ხედამთ ჟანგიან რკინაზედ რასა ბოდამს!.. ჩემი ოქროებს თვალი არ უყურაო“.

გ. ერისთავი, რომელმაც არჩილის სახით კარაპეტას დაუპირისპირა საკმაო შეძლებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე ახალგაზრდა არისტოკრატი, სინამდვილეს მაინც არ ღალატობს და მის მოქმედებას საფუძვლიანი დაცინვის საგნად ხდის.

ამგვარად, გ. ერისთავმა დღის სინათლეზე გამოიტანა მაღალი წოდების ჩამორჩენილობა, ფუჭსავატობა, სისუსტე და უპერსპექტივობა. მან, როგორც მხატვარმა, შექმნა ცოცხალი სახეები დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობისა. მაგრამ მისი, როგორც მოაზროვნის, დამსახურება კიდევ უფრო დიდია. იგი უფრო ღრმად იხედება მოვლენათა სიღრმეში. მოხდენილი წიაღსვლებით (რასაც გმირთა რეპლიკების საშუალებით აღწევს) გასაგებს ხდის, თუ რაში და სად უნდა ვეძიოთ მთელი უბედურების მიზეზი.

თავადაზნაურთა ძველი თაობა გონებაგამოფიტული და გულღვარძლიანია, ალღოს ვერ უღებს ახალ ცხოვრებას და ცხოველური სიჯიუტით ეჭიდება ყოველივე ძველს, დრომოჭმულს. ახალი თაობა ზნეობრივად უფრო მაღლა დგას, გრძნობს უფროსი თაობის სიმახინჯეს, არ მოსწონს მისი მოქმედება, მაგრამ თვითონაც არ შესწევს ცხოვრების გარდაქმნის უნარი, მეოცნებე და უხერხემლოა. ბეგლარები და ივანეები უმწეონი არიან აღადგინონ ანდუყაფარების, პაულეების, ამირინდოებისა და ონოფრეების ბედოვლათობით დაცემული მეურნეობა.

სენტიმენტალური განწყობილების ფრანტები მანამ ტიტინებენ, სანამ ჯიბეში კიდევ აქვთ შემორჩენილი, მაგრამ მალე ჰყრიან ფარხმალს. ბეგლარი („შეშლილი“, „დავა“) კეთილი, მაგრამ ასაკში შესული „ბავშვია“, მის გონებრივ სიმწიფეს ჯერ კიდევ ბევრი აკლია. ის არ იბნევა სალონში, ფორტეპიანოსთან, მაგრამ უსუსურია ცხოვრებაში. მას ერთი სიტყვაც არ წამოცდება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროს, რის გაკეთებას აპირებს. მისი მოქმედება იმის მაჩვენებელია, რომ ვარაუდობს ცხოვრების წყარო მღვრიე უნდა ჰქონდეს, დილით გვიან გაახილოს ხოლმე თვალი და უცქიროს მოწმენდილ ცას, რათა დრო და დრო სატრფოს სილამაზე შეამკოს.

არა ნაკლებ „საბრალოა“ ივანეც („გაყრა“), მას რაღაც უნახავს, რაღაც უსწავლია, მაგრამ თვითონაც ვერ აგიხსნით რა ნახა, რა

ისწავლა და რის გაკეთებას აპირებს. მოსაწონი გულწრფელობით აცხადებს, რომ „მე მინდა ვიხაზეინო; მე სამსახურის თავი არა მაქვსო". მაშ რით აპირებს ცხოვრებას? რა გზით უნდა გამოასწოროს ძმების ბედოვლათობა, რასაც იგი სამართლიანად დასცინის? რაზე ამყარებს იმედებს? მოუსმინოთ თვით ივანეს:

> დაა! სასიამოვნო არის ყავდეს მებატონეს ერთგული მსახური და ყმები. გოსპოდი! მოშეც შეძლება, რომ ყმებმა ისე შემიყვაროონ, როგორც გაბრიელჰა. კაკაია პოეზია, ბიტ დობრიმ, ხოტ ი ბედნიმ პომეშჩიკომ! დაგლოცვენ შენი ყმანი... მეც ვეცდები... თუმცა ჩემმა ძმებმა იმაშენიკეს... ნო ბოღ ს ნიმი! კაი მამულები მეოგო.

აი, ჩვენი განათლებული ფრანტების იდეალი. მთელ იმედებს კვლავ ბატონყმურ ურთიერთობაზე ამყარებენ. ამიტომაა, რომ მათ გ. ერისთავი არ ინდობს და მკაცრად უმასპინძლდება.

გ. ერისთავის კომედიების იდეური აზრი შემდეგია: უნდა მოისპოს ბატონყმური ინსტიტუტი, რომელიც არის წყარო ყოველგვარი ჩამორჩენილობისა და უბედურებისა. მებატონეთა უზრუნველმა ცხოვრებამ გადააგვარა ანდუყაფარი, პავლე, ამირინდო და ონოფრე, ხოლო ბეგლარები და ივანეები მეოცნებე, ფუქსავატ და ზედმეტ ადამიანებად აქცია.

მებატონეთა ვერაგობას და მათ „საგმირო საქმეებს" გ. ერისთავი მოხერხებულად ამჟღავნებს თავის კომედიებში. ამ მხრივ განსაკუთრებით „გაყრა" არის საინტერესო. როდესაც ანდუყაფარი ცდილობს ქალაქში მის მიერ ნაყიდი შუშები მიისაკუთროს, პავლე მაშინვე შეუტევს: „რო იყიდე, შენი პენციიდან მიე თუ? კახიშვილი რომ აიკლე, იმითი არ წახვედ ქალაქსა, შე გაუმაძღარო?" ამავე კომედიაში ვხედავთ, რომ კახიშვილი გამონაკლისი არ ყოფილა, გლეხების აკლება მებატონისაგან ჩვეულებრივ მოვლენადაა გამხდარი. ამას მოწმობს ყარდაშვერდის დიალოგი გაბრიელთან. ყარდაშვერდი გაბრიელს არიგებს თავის ბატონს მოურავობა სთხოვოს. რატომ? ვინაიდან „ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისია (მოურავის. — დ. გ.), ერთი სიტყვით, ბატონის მონახევრე არის". ყარდაშვერდი შემთხვევით არ მსჯელობს ასე. იგი უშუალო მოწმეა ასეთი საქმეებისა. ასეთივე გამოცდილება აქვს ანდუყაფარის მოურავს ბარამსაც, რომელიც „გამოსავალს" უჩვენებს ხოლმე თავის ბატონს.

არათუ აკლება, ყმების „ტორღით" გაყიდვაც არაა იშვიათი. მებატონეთა მადაგახსნილობის წყალობით ყმები „ტორღით", როგორც ნივთები ისე იყიდებიან.

მიკირტუმ — დიახ, კნიაზჯან, ფული. ეს სოფელმა სულ ფული. ფული. სხვა ყველამ ტყვილია; შენი ხაზაინ-მაზაინობას ფული უნდა...

ივანე — ტაკ ჩტო, ბანკიდან ავიღებ, ეხლა ხომ ბანკი გვაქვს!

მიკირტუმ — ოჰ, კნიაზჯან, ბანკი! ჩემმა მხეჭ, მანამ აიღებ ჭლექი მოგივა.. ვა, დავიდარაბას გახდიან, თუ ვინ მოგცა ყმა, რა ყმებია, გვირჩენეო... ვსთქვათ რომ აიღე, ასტროჩით რომ იქ, ერთ ნიმუტში ტრანქ, ჩაქუჩი დაჰკრამენ, ყმა ტორგში იქმონენ...

მოყვანილი დიალოგი ბევრის მთქმელია. პირველ ყოვლისა, ხაზი ვქვს გასმული იმ გარემოებას, რომ ივანეს ოცნება — იყოს „დობრი პომე'შჩიკი" უსაფუძვლოა და განუხორციელებელი. ცხოვრება ფულს ითხოვს და მემამულეს აიძულებს ბანკში დააგირავოს მამული, რაც, საბოლოოდ, ყმების „ტორღით" გაყიდვით მთავრდება. სისულელეა ოცნება მებატონისა და ყმების საუკეთესო ურთიერთობაზე, ასეთ დამოკიდებულებას გამორიცხავს ბატონყმური ინსტიტუტი.

აი, სადაა გ. ერისთავის როგორც რეალისტი მხატვრისა და მოაზროვნის სიძლიერე. მან, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, მზის სინათლეზე გამოიტანა ბატონყმური ურთიერთობის სისაძაგლე და აშკარა გახადა, რომ. სანამ ბატონყმური დამოკიდებულება არსებობს, შეუძლებელია ყმები ბედნიერნი იყვნენ. ისეთი „დობრი პომეშჩიკებიც", როგორადაც ივანეს მოაქვს თავი, ყმებს საბოლოოდ „ტორღის" საგნად ხდიან. პარაზიტულმა, უდარდელმა ცხოვრებამ მებატონეები გადააგვარა და ადამიანური სახე დაუკარგა.

საგულისხმო და ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ გ. ერისთავმა ლიბერალურად მოაზროვნე ახალი თაობა არა ნაკლებ გაამათრახა, ვინემ ძველი თაობა და აჩვენა მისი აშკარა უპერსპექტივობა. ამის მიზეზია ის, რომ ეს თაობაც ბატონყმურ ურთიერთობაზე ამყარებს იმედს, „ხაზეინობა" იტაცებს და არა შრომა. ამიტომ მას ვერც ბანკი იხსნის და ვერც მარტოოდენ ლაპარაკი უკეთეს ცხოვრებაზე.

გ. ერისთავს, როგორც მებატონეს, თვითონ მიუცია მაგალითი სხვებისათვის. ჯერ კიდევ ადრე გაუთავისუფლებია თავისი ყმები. ამას ადასტურებს მისი თეატრის მსახიობი და შემდეგში მოურავი გ. დვანაძე თავის ავტობიოგრაფიულ პოემაში („სიყმაწვილითგან ჩემი ცხოვრება") და მწერალი ს. მგალობლიშვილი, რომელიც გ. ერისთავის გარდაცვალების გამო გორში ჩამოსულ გლეხებთან შეხვედრის შესახებ წერს: „მახსოვს, სოფლიდან ჩამოსული გლეხები ტიროდნენ, დედაკაცები ხომ სულ იხოცებოდნენ ტირილითა. თურმე პოეტის ნაყმევები იყვნენ, რომელსაც ისინი ბატონყმობის

გადაეარდნამდე გაეთავისუფლებინა. შევიტყვეთ ისიც, რომ პირველი პიონერი ბატონყმობის გადავარდნისა ჩვენში იგი იყო; მეზობელი თავადები, სახლიკაცები წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ პოეტსა"[1].

ამავე საკითხის გამო აკაკი წერეთელი წერს: „ბატონყმობის გაყრაზედ მოსწრაფებულმა ხმებმა სადღესასწაულოდ გამოიხმო ახალგაზრდობა და ყველა მოწინავე პირები, მაგრამ თ. გ. ერისთავი კი თითქოს მონაწილეობას არ იღებდა ამ სიხარულში, როგორღაც დაღონებულად იყო და ეს, ცოტა არ იყოს რომ, გასაკვირველათ მიიჩნიეს ზოგიერთებმა. მაგრამ ნამდვილი მიზეზი კი სხვა იყო: პოეტს უნდოდა ენახა ბატონყმობის გაყრა ისე, რომ შემდეგისათვის საჭირბოროტო და საჩხიკინო აღარა დარჩენილიყო რა, და რადგანაც წინა ნიშნები სულ სხვას უქადდენ, ის თავისებურის სიცილით ნაღვლიანად ამბობდა ხოლმე: „ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთს ადგილას კი აღრჩობსო" და ეს ნაღველი საფლავში თან ჩაიტანა" [2].

4

ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის ცხოვრების სურათები პირველად გ. ერისთავმა მოგვცა თავის კომედიებში („გაყრა", „ძუნწი", „წარსული დროების სურათები").

გ. ერისთავის კომედიებში გამოყვანილი ვაჭრები: მიკირტუჭ ტრდატოვი („გაყრა"), კარაპეტა დაბაღოვი („ძუნწი"), ივანე და გაბრიელ მინასოვები, ჯიმშერ აკუნიანცი („წარსული დროების სურათები"), — გასული საუკუნის 50-იანი წლების ვაჭართა კლასის ტიპიური წარმომადგენლებია. მათ შორის არის მსგავსება და განსხვავებაც, რაც მათი ცხოვრების ქრონოლოგიური სიახლოვით არის განპირობებული.

ცნობილია, რომ საავაჭრო ბურჟუაზია განვითარების პირველ ეტაპზე „მორცხვად" და „თავაზიანად" მოქმედებს. მას ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული თავისი კლასობრივი უპირატესობა ფეოდალურ არისტოკრატიასთან შედარებით; ანგარიშს უწევს ამ უკანასკნელის პრივილეგიებს და ცდილობს ეკონომიკურ სიძლიერესთან ერთად მაღალი წოდების უფლებებიც მოიპოვოს.

ბურჟუაზიული ურთიერთობის ღვიძლი შვილები — ვაჭრები ცხოვრების ასპარეზზე ცარიელი ჯიბით გამოდიან, სამაგიეროდ მათ აქვთ ცხოვრების ალღო და მოქმედების უნარი. ისინი იტანენ

[1] ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი, 1939 წ., გვ. 41.

[2] „თ. გიორგი დავითის-ძის ერისთავის თხზულება", 1884 წ., გვ X—XI.

შიმშილსა და სიცივეს, დაცინვასა და წყრომას, რათა კაპიკი კაპიკს მიუმატონ და „ოქროს ტახტი“ უფრო ძლიერი გახადონ. იციან, რომ მათი მხსნელი მხოლოდ ფულია, ფულის საშუალებით შეუძლიათ გამოჰყონ თავი საზოგადოებაში და ადვილად აღარ დაეჩაგვრინონ სხვას. ისე დიდია მათი სიყვარული ფულისადმი და თანაც ისე დაბალი მათი ცოდნა ფულის უკეთესი მოხმარებისა, რომ ხდებიან საკუთარი „ზანდუკების“ მონები. სავახშო კაპიტალის წარმომადგენელთა სულში სიძუნწე და სიცივეა დაბუდებული. ფულის დაგროვების პროცესში მათ არც ცოლი, არც შვილი და არც საკუთარი თავი არ ახსოვთ. მაგრამ გადის დრო და მდგომარეობა იცვლება. გამდიდრებული ვაჭრები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, აღარ არგიათ ვიწრო ნაჭუჭში ყოფნა და თავის მოჩვენება ღარიბებად. პირიქით, ცდილობენ მეტი სახელი და გასაჭანი მოიპოვონ, „ბლაღაროდნი“ გახდნენ და ერთმანეთის ქონება შთანთქან, კონკურენტი გააკოტრონ. მათ ოჯახურ ცხოვრებაში ფეხს იკიდებს ბურჟუაზიული ზნედაცემულობა და მტრობა.

სავაჭრო ბურჟუაზიის ცხოვრების მთელი ეს მხარე საკმარისი სისრულით აქვს მოცემული გ. ერისთავს ზემოთ დასახელებულ კომედიებში. მწერალმა ვაჭარი პირველად „გაყრაში“ გამოიყვანა. მიკირტუმ ტრდატოვი მოხერხებული და გაიძვერა მევახშეა. იგი შემძვრალა დიდებულიძეთა ოჯახში და არა მარტო მათ ქონებას ეპატრონება, არამედ ახერხებს თავისი მიზნების სასარგებლოდ ამოქმედოს ამ ოჯახის მესვეურები.

მიკირტუმმა იცის, რომ ყველაზე ძლიერი ძალა ფულია, უფულოდ ახლა ვერავინ ვერაფერს გახდება: „ეს სოფელმა სულ ფული, ფული. სხვა ყველამ ტყუილია“, ამბობს იგი. თან არც იმას მალავს, რომ ბევრ უსინდისობასაც ჩადის ფულისათვის:

კტუ ნა სვეტე ჩესნა ბუდით,
ბუდიტ ნასიტ ხლება გუდით.

ასეთია მიკირტუმის „მოძღვრება“, რომელსაც კარგად იყენებს პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მან მოახერხა, რომ დიდებულიძეთა ოჯახის ვალი ივანეს რგებოდა „ნაწილში“, რითაც აიძულა ივანე შეერთო მისი ქალი — შუშანა. მართალია, მიკირტუმს არ მოსწონს ჯიბეცარიელი „ფრანტი“, მაგრამ უნდა თავისი ქალი კნეინა გახადოს: „ჩემი შუშანი კნეინა დაუძახონ: კნეინო, კნეინო! ბაზარშიაც დიდი რამე იქნება, დიდებულიძიანთ ხნამე“. თვითონაც „კომისიაში ოქმი შეუტანია“, რათა კნიაზი გახდეს; დიდებულიძეებთან დამოყვრება ამიტომაც ჭირდება.

კარაპეტა დაბაღოვი („ძუნწი") თავისი ძლიერების შეგნებაში უფრო წინაა წასული, ვინემ მიკირტუმ ტრდატოვი. კარაპეტა წინააღმდეგია თავისი ქალი მისცეს ქართველ თავადს, იგი ხელს უშლის ხამფერასა და არჩილის დაქორწინებას. კარაპეტას თვალში დიდი და კარგი კაცია ის, ვისაც ფული აქვს და ვინაც ფულის ყადრი იცის; ხოლო ქართველი, მისი თქმით, „ფულის მტერია, ნიმუტი ფული არ დააყენებს ჯიბეში, როგორც ნიორი ისე აუყროლდება და ისე გადაყრის". იგი ნატრობს ისეთ სასიძოს, რომელიც „გინდა ქვრივიც იყოს, ფულის ყაირათი იცოდეს".

კარაპეტა სიძუნწის განსახიერებაა. იგი წინააღმდეგია იმისა, რომ ოჯახში ნახშირი დასწკას ვინმემ, ყველას „არწმუნებს", რომ სიცივე უხდება ადამიანს, ლოყებს ვარდივით აწითლებსო. მის ოჯახში, ათი წელია, თბილი საპამანდი არავის უპამია. ბნელში ყოფნა „ურჩევნია" სანთლების დაწვას, თავის თავსაც კი არწმუნებს, რომ „ვახშაჰი მოდნა აღარ არიო". იგი უარს ეუბნება სასიძოს — არჩილს პურის გამოგზავნაზე, თუმცა ეს უკანასკნელი უფასოდ პირდება მას. და ეს იმიტომ, რომ ეშინია პურს ბევრი მჭამელი არ გამოუჩნდესო, არც ნაჩუქარი შეშა უნდა, რადგან მის დაჭრასა და დანთებას ხარჯი მოსდევსო.

კარაპეტას თვალში არაფერი არ ფასობს, რასაც შეუძლია თუნდაც ოდნავი ხარჯი გამოიწვიოს. მისთვის ძვირფასია მხოლოდ ოქრო და ვერცხლი, რომელსაც როგორც განძს ისე ინახავს და მასთან ალერსით ტკბება.

კარაპეტა უარს ეუბნება ერთ-ერთ თავადის მსახურს დამბაჩის დაგირავებაზე, ვინაიდან დამბაჩა რკინაა, რაც იაფად ფასობს, ხოლო მას განძის გარდა არაფერი აინტერესებს.

კარაპეტა — ეს ვერცხლი აჰყარე, აქ იქნება ასი მისხალი; ხუთი მანეთი მოგცე ერთი კვირა ვადით, ეს რკინა უკან წაიღე.

მსახური — ვაი, შენ ჩემო თავო, ფასი ამ რკინას აქვს.

კარაპეტა — რკინის ფასი ფუთი რვა აბაზია, ეს ერთი გირვანქაც არ არის.

კარაპეტას ისიც აწუხებს, რომ მის მიერ მიცემული ფული შეიძლება ადვილად დახარჯოს ვინმემ. იგი საგანგებოდ ეკითხება მასთან მისულ თავადის მსახურს, რათ უნდა თავადს ეს ფული. ხოლო როცა გაიგებს, რომ ეს ფული მწევარ ძაღლში უნდა მისცეს თავადმა, დამწუხრებული და აღელვებული ამბობს: „ვაი, ჩემი ფული ძაღლში მისცეს? ვა, ნამუსი არ არის? ის ღვთისაგან გაჩენილი კეთილი, ჩვენი სოფლის ნუგბარი, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი

ლაზათი, ჩვენი სიცოცხლე, ფული, ძაღლში მისცეს! ღმერთს ქართველისათვის ფულში წილი არ მიუცია — როგორც მიეა, ისე გავა. ფული იშოვა ქართველმა, თითქო ეკალი შეერჩო ფეხში, ამოიძრობს და გადაბაგდებს".

მომჭირნე დამგროვებელმა კარაპეტამ, რომლის პარკები ისე იზრდება, „როგორც მელქუას მუცელი", ჯერ კიდევ არ იცის ფულის ნამდვილი დანიშნულება. იგი თავისი სიმდიდრის ბრმა მონაა, მარტვილობს მხოლოდ იმიტომ, რომ ფული დააგროვოს. საიქიოშიც ფულს ელოდება. მისი აზრით, „თქმა არ უნდა, რომ სამოთხეშიც ფულები იქნება". სიკვდილი აწუხებს იმიტომ, რომ ფულის ბედი ადარდებს. მაგრამ აქაც ნახა „გამოსავალი": როცა ექიმი ეტყვის სიკვდილი მოახლოებულიაო, გადაწყვეტილი აქვს გაადნოს თავისი ოქრო და დალიოს, რათა „ვერავინ წაიღოს". აი, განძთა ტიპიური დამგროვებელი, რომელსაც მ ა რ ქ ს ი „საცველი ღირებულების მარტვილს" უწოდებს.

კარაპეტა გრძნობს, რომ დიდი ჭონების პატრონია, იცის, რომ შეუძლია ხვალვე გახდეს „პაჩოტნი ღრაჟდანინ, ბლუღოროდნიც... დვარაზა ბლუღოროდნიცა", მაგრამ ამისათვის ფული უნდა დახარჯოს. ფულის დახარჯვა კი წარმოუდგენელ დანაშაულად მიაჩნია: „თუ თქვენ ერთი ერთმანეთს მოგაკლოთ, ღორი გავხდეო," — ეფიცება კარაპეტა ფულს. იგი იმით კმაყოფილდება, რომ იცის აქვს „ოქროს ტახტი" და შეუძლია „სოფელი თავდაყირა" გადააბრუნოს. იგი ვერ იტანს იმ ვაჭრებს, რომლებიც ფულს ხარჯავენ: „უფულო კაცისათვის არ არის ქვეყანა გაჩენილიო". ამიტომაა, რომ ფულის ზანდუკთან მისვლას ისე მოელის, „როგორც ყმაწვილი შეყვარებული ელის საყვარელს გაგიჟებული"; მისთვის ფულია მუსიკაც, ცოლიც და შვილიც. მაგრამ მას აშინებს თავისი სიმდიდრე, რომელიც სიხარულთან ერთად დიდ სულიერ ტანჯვასაც აყენებს. წუხს, არავინ გაიგოს, რომ ფული აქვს; დარდობს, არავინ მოპაროს ეს ერთადერთი იმედი.

„ოქროს ტახტზე" მჯდომი კარაპეტა შიმშილობს, სიცივესა და სიშიშვლეში ამოდის სული, ოჯახიც ცუდ ყოფაში ჰყავს. ასეთია გ. ერისთავის ძუნწი ვაჭარი, რომელიც განძთა დამგროვებლად მოვლენია ცხოვრებას.

ცხადია, კარაპეტები დიდხანს ვერ დარჩებიან მარტვილებად. ცხოვრებამ მათ მოსთხოვა და ასწავლა ფულის მოხმარება. ვაჭართა ოჯახებში ფეხს იკიდებს მდიდრული ცხოვრებისა და დროს ტარების სურვილი. ამ მხრივ მათ ცოლებს ეკუთვნით პირველობა.

ცოლები აიძულებენ ქმრებს მდიდრული ტანსაცმელი შეუძინონ. მოდის მიხედვით ჩაცმაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.

მამების „ყაირათი“ აღარც შვილებს აქვთ. ისინიც გატაცებულნი არიან ბალებითა და ჩაცმა-დახურვით. ივანეს („გაყრა“) თქმით:

ჩვენი ვაჭრის შვილები
შეიქნეხ ჩინოვნიკები,
მამის მოგებულ ფულებსა
ჰფანტვენ, ვითა ჩალა-ბზესა.
ვაჭრობას არ კადრულობენ,
ბლოტის ფერჩატკით ფრანტობენ,
თავის ოჯახს კი ამხობენ.

ვაჭართა ოჯახებში ფეხს იკიდებს ბურჟუაზიულ ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ზნედაცემულობა, ეჭვიანობა, ღალატი. ფული არათუ ხელს უწყობს მათი ოჯახური ცხოვრების მოგვარებას, არამედ კიდევ უფრო აუარესებს და სასაცილოს ხდის მას. ივან მინასოვის მეუღლე ხამფერვან („წარსული დროების სურათები“) შეწუხებულია არა უფულობით, არა რაიმე ჩასაცმელის უქონლობით, არამედ „გულის მოუსვენრობით“. იგი თავის ქმარში ვერ პოულობს მეგობარს; ალერსს მოკლებული, დიდ სულიერ ტკივილს განიცდის. მისი თქმით, „სიმდიდრემაც ტყუილი ყოფილა. თვალიც მალე გაძღება... მაგრამ ეს გული რათ ოხრამს? ტყუილია, თუ გული მოსვენებული არ არის, სულ ფუჭ! ვერც ოქრო, ვერც თვალი, ვერც მარგალიტი ვერ გაამრთელებს, ვერ გაამსებს გულის სურვილსა“. მისი ქმარი „ფულებსაც ასე ფანტავს ხანა, როგორც ქართველი თავადი“, მაგრამ ხამფერას ნაცვლად, სხვა ქალების გულს ახარებს, სხვასთან ატარებს დროს.

ხამფერას ბედშია აგრეთვე მისი რძალი — შუშანა და მდიდარი ვაჭრის ჯიმშერ აკუნიანცის ცოლი მარეხაც („წარსული დროების სურათები“), რომელიც თავის გულისწუხილს ყველას უზიარებს:

შ უ შ ა ნ ა — ვა! განა შენც ქმარ უჩივი?

მ ა რ ე ხ — ბას, არ ვიჩივლო! ის გაუმაძღარმა ღორმა, გეთაყვა, ჩემი სარეცხით გამდიდრდა ის ოჭყაბაზი, კაცი გავხადე და იახე ეხლა ჩემთან ჯდომასაც არ კადრულობს.

ხ ა მ ფ ე რ — აბა მაოთალი ყოფილა! ნეტა თავადის ცოლებს, მიტომ უყვართ ქმრები, რომ ჯიბეში დიდი მარხვა უძევთ? ძაშ! რომ მოვა ცოლს უალერსებს. ჩვენი ქმრები ასე შემოვლენ ჩვენთან, თითქოს სულთანი იყონ! ყველა გაქცთო, რაღა გინდათო! თავზე დაიყარონ ოქროები.

მ ა რ ე ხ — აი საწ-მლავათ გადაეჭცეთ ჩვენს ქმრებსა

ბურჟუაზიული ამორალიზმი საზიზღარს ხდის ვაჭართა ცხოვრებას, უთანხმოებას ბადებს ცოლ-ქმარს შორის. ივანე და გაბრიელ

მინასოვები, ჯიმშერ აკუნიანცი და სხვები („წარსული დროების სურათები“) პოლონელ, ფრანგ და გერმანელ ქალებთან ატარებენ დროს, ხოლო მათი ცოლები ეჭვისაგან ლამის გაგიჟდნენ, თავს უბედურად სთვლიან და ქმრებთან დაუსრულებელ ჩხუბში არიან. ზოგიერთი მათგანი, ქმრის შურით შეპყრობილი, სამაგიეროს გადახდაზეც ოცნებობს (შუშანა — „წარსული დროების სურათები“).

უსიამოვნება და შურიანობა სუფევს ვაჭართა მთელ ცხოვრებაში. ისინი უკვე არათუ მალავენ თავიანთ ქონებას, არამედ ცდილობენ რაც შეიძლება მეტად გამოაჩინონ; დიდ „იარანალებსა“ და ჩინოვნიკებს ქრთამით იმადლიერებენ, რათა ერთმანეთს უფრო გაბედულად გამოსჭრან ყელი. მათი ასეთი მოქმედება იმდენად აუტანელი გამხდარა, რომ ზოგიერთი ვაჭრის ცოლი სინდისის ქეჯნასაც კი გრძნობს. გაბრიელ მინასოვის ცოლი შუშანა თავის რძალს ხამფერას ეუბნება: „ვინც დიდი იარანალი, ვინც დიდი ჩინოვნიკი მუქთათ ხეთქეხ. ღარიბი ხალხზე ერთი ათათ ჰყიდიან! რამდენი წყეველა და ქოლეა არის ჩვენ თავზეო“.

ასეთი გაიძვერა, ძუნწი და ზნედაცემულნი არიან გ. ერისთავის ვაჭრები, რომლებიც ცხოვრების სარბიელს ეპატრონებიან.

5

გ. ერისთავმა გაბედულად და მკაცრად ამხილა მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეები, რომლებიც მოხერხებულად სარგებლობდნენ ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკით. ცნობილია, რომ ქართველი ხალხი მეტად შეწუხებული იყო დაწესებულებებში მათთვის გაუგებარი რუსული ენის გაბატონებით. კიდევ უფრო მძიმე იყო მათთვის სხვადასხვა ჯურის გაიძვერა მოხელეებთან კანონისა და სამართლის ძებნა. საქმე კი ისე იყო მოწყობილი, რომ ყოველი საქმის მოსაგვარებლად სასამართლოში მისვლა სჭირდებოდათ. ქართველ ხალხს არაფერი ესმოდა მოხელეების, ხოლო ამ უკანასკნელთ ქართველი ხალხის. „საქმის გამოსასწორებლად“ გამოჩნდნენ თარჯიმნები. ამ უკანასკნელთ მხოლოდ რამდენიმე რუსული სიტყვის თქმა შეეძლოთ, მაგრამ მეტად გაიძვერა და მოხერხებულნი იყვნენ. საქმისა და ენის უცოდინარობა მათ ხელს არ უშლიდათ უნამუსოდ აეღოთ ქრთამები და ეკეთებინათ „აბრუნდები“.

გ. ერისთავმა დიდი დამაჯერებლობითა და სიცხადით გვაჩვენა ამ მოხელეთა უმსგავსი მოქმედება, შექმნა ცოცხალი სახეები მექრთამე მოხელეებისა. ისინი სარგებლობენ თავადაზნაურობის დაბნეულობით, ჩამორჩენილობითა და ურთიერთშორის გაჩაღებული

პტრობით. წინასწარ იციან, რამდენი საქმე აქვთ გასარჩევი სასამართლოში და რამდენი შემოსავალი ექნებათ მათ („დავა“). მათ იმდენად შეუწუხებიათ ხალხი, რომ ბევრი ოცნებობს ნახლოლოდ ისეთ შვილებსა და სასიძოებზე, რომლებსაც არზების წერა ეცოდინებათ და სასამართლოში შეძლებენ საქმეების მოგვარებას („შეშლილი“, „დავა“, „გაყრა“). მართალია, გ. ერისთავი გვიჩვენებს მხოლოდ მას, თუ როგორ მოხერხებულად აძრობენ ტყავს მოხელეები თავადაზნაურობას, მაგრამ გასაგები ხდება ისიც, თუ რა დღეში იქნებოდა ღარიბი ხალხი.

მოხელეთა თავგასულობა გ. ერისთავმა უფრო სრულად „დავაში“ გვიჩვენა. შეიძლება ითქვას, რომ „დავის“ მთავარი იდეური აზრი ამ მოხელეთა უმსგავსი მოქმედების ჩვენებაში მდგომარეობს. შემთხვევითი როდია, რომ პიესის სრული სათაური „დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია“ არის.

ძნელი სათქმელია ვინ უფრო თავხედი, გაიძვერა და ამასთანავე უვიცი არის: არზის მწერალი — რაფიელ არზამანოვი, სუდის პერევოდჩიკი — სარქის კუმუხტოვი, სტრაპიჩი — ხარიტონ ვზიატკინი, თუ ზასედატელი — ფილიპე („დავა“).

სარქის კუმუხტოვი და რაფიელ არზამანოვი სარგებლობენ ამირინდოს უცოდინარობით და არწმუნებენ მას, რომ არზაში, რომელიც მისთვის სხვას დაუწერია, შეცდომებია: აკლია „ტოჩკა და ზაპეტაია“, ურომლისოდ საქმე დაღუპულია. თანაც ისე რთულ საქმედ სახავენ „ტოჩკა და ზაპეტაიას“ ჩამატებას, რომ თითოეულში თითო ოქროს იღებენ. თარჯიმანი სარქის კუმუხტოვი, რომელმაც რუსული ენა არ იცის და მეტად უვიციცაა, ირონიულად დასცინის ქართველებს. ქართველი თავადი, მისი თქმით, მსუქანი ცხვარია, რომელიც უნდა გაიკრიჭოს. სტრაპიჩი — ხარიტონ ფილიპიჩი აღფრთოვანებულია სარქისას გაიძვერობითა და მოხერხებით, უწოდებს მას გამოცდილ ჩობანს, თანაც აგრძნობინებს, რომ საჭიროა მეტად იზრუნოს მისთვის. თავის მხრივ პირდება, რომ არაფერს მოერიდება: „Я знаю и абрунди, и даврунди, и цабрунди“, — ამბობს ხარიტონ ფილიპიჩი. იგი იმდენადაა გადაგვარებული, რომ ერთსა და იმავე დროს იღებს ქრთამს ბეგლარისა და მიხეილისაგან, რომლებიც მოდავე მამებს გამოუგზავნიათ მასთან. ბეგლარი წუხს, ვაითუ რაიმე ისტორია მოჰყვეს ორივე რომ ვაძლევთ ქრთამსო, მაგრამ მიხეილი სამართლიანად არწმუნებს: „Пустяки“, შენგანაც აიღებს, ჩემგანაც, მაგრამ ცალ-ცალკე უნდა მივცეთო“.

უკიცი მოხელე ხარიტონ ფილიპიჩი, რომელსაც ბაირონი და შილერი არც კი გაუგონია, თავისთავზე მეტად დიდი შეხედულებისაა. მისი თქმით, მის კეთილშობილებასა. და ნიჭს უნდა მიეწეროს, რომ აქ ძლებს: „Дас, все отказываются здесь служить. а по мне кто умеет сделать абрунди, тому везде тепло. Главное, не нужно многого. Я человек не прихотливый. Я ничего не требую. Коли дадут сами за каждое дело по десяти червонцев, и довольно. У нас в суде дел гражданских 1.500, уголовных 150, вот вам и капиталец, а другие наши братья кричат — уезд неурожайный. Что-же делать? Не везде Нуха, Карабах и Ганджа. Там батюшка Калифорния!“

როგორც ჩანს, კიდევ უარესი ქედგომარეობა ყოფილა ნუხაში, განჯაში და სხვაგან.

მეფის მოხელეთა „საქმიანობა“ კარგად იყო ცნობილი ხალხში. იცოდნენ მათი ხასიათი და მისწრაფება, ამიტომ ზოგჯერ ცდილობენ კიდეც გაიძვერა მოხელე მოატყუონ. მაკრინემ („გაყრა“) მოხერხებულობით აჯობა რამაზს, რომელიც თავის სასარგებლოდ გამოიყენა მაკრინემ იმის წყალობით, რომ განგებ აგრძნობინა მას ქალს (ნინოს) მოგათხოვებო.

გ. ერისთავს შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ ვაჭრებიც გაბმულნი არიან მექრთამე მოხელეთა ქსელში. ამ მდგომარეობამდე ისინი მიუყვანია ურთიერთშორის გაჩაღებულ მტრობას. გაბრიელ და ივანე მინასოვები („წარსული დროების სურათები“) სისტემატიურად უგზავნიან ძღვენს მაღალი თანამდებობის პირებს. მათ მოსყიდული ჰყავთ რუსი მოხელეები, „ქართველებიც ვინც დიდია, სულ მათ ჯიბეზე ჰკიდია“. მაგრამ ვაჭრები, ამ შეჯხვევაში, მაინც მეტ წინდახედულებას იჩენენ, ვინემ თავადაზნაურობა. პირველ ყოვლისა, მათ იციან ვინ უფრო საჭიროა, თანაც მაშინ აგებენ ხაფანგს, როცა ჯერ კიდევ ადრეა. ამიტომ, მათი ქრთამი უფრო ძღვენის სახეს ღებულობს. ესეც ვაჭრული მოხერხებულობის ნიმუშია.

„წარსული დროების სურათებში“ გ. ერისთავი მკაცრად ამხილებს ბიუროკრატ მოხელეთა „საქმიანობას“ და ცენზურის „ობიექტურობას“.

გ. ერისთავის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ბიუროკრატი მოხელეები მან დაგვიხატა არა იზოლირებულად, განსაკუთრებული შემთხვევის გამო გადაგვარებულ ადამიანებად, არამედ როგორც იმდროინდელი სახელმწიფოებრივი აპარატის დამა-

ასიათებელ წარმომადგენლებად. მკითხველის თუ მაყურებლის ირონიულ სიცილში, რასაც ამ მოხელეთა „საქმიანობა“ იწვევს, იგრძნობა ზიზღი გადაგვარებული სახელმწიფო სისტემისადმი.

* * *

ძველ კომედიებში მთავარი როლები, ჩვეულებრივ, გაქნილ და მოხერხებულ მსახურებს ეკუთვნოდათ. გ. ერისთავი ამ მხრივ ერთგვარ ზომიერებას იცავს, მაგრამ მაინც გარკვეულ ინტერესს იჩენს მსახურთა სახეების შესაქმნელად. გ. ერისთავს კომედიებში მსახურები გამოჰყავს სხვადასხვა მიზნით. მათი საშუალებით ზოგჯერ კომედიის იდეური შინაარსის გამოკვეთას აღწევს, ხოლო ზოგჯერ კომედიის კომპოზიციური სიმტკიცისათვის სჭირდება; უფრო იშვიათად თვით მათი პიროვნული რაობითაა დაინტერესებული.

გ. ერისთავის კომედიებში მრავლადაა გამოყვანილი ბატონის სასახლესა და კარ-მიდამოში მოფუსფუსე მოურავები, გამდელები, მოახლე ქალები და მოსამსახურე ბიჭები. მათ შორის დიდი მსგავსებაა, მაგრამ გარკვეული განსხვავებაც შეინიშნება. მეტწილად ისინი თავიანთ ბატონებს ჰგვანან ხასიათით. ასე რომ, ძალაუნებურად მოგაგონდებათ ქართული ანდაზა: „ხარს რომ ხართან დააბამ, ან ფერს იცვლის ან ზნესაო“. დააკვირდით მარქიტას, თინათინს, სვიმონას („შეშლილი“), სოროზანს, ლომისეულს, მოწყალისეულს, აბრამს, ბერუას, ნენეს („დავა“), ბარამს, გაბრიელს, ყარდაშერდს („გაყრა“) და თქვენ ადვილად დარწმუნდებით ნათქვამში.

მსახურნი „მტკივნეულად“ განიცდიან თავიანთ მებატონეთა გასაჭირს, ცდილობენ შეუმსუბუქონ მათ ცხოვრების სიმძიმე. ასეთებია სოროზან, ლომისეული, მოწყალისეული („დავა“), ბარამი („გაყრა“). სოროზანი ამირინდოს ერთგული მოურავი და ნაზირია, რომელიც მეტად შეუწუხებია მის ბატონსა და ონოფრეს შორის გაუთავებელ დავას, ცდილობს გამოსავალი ნახოს და რჩევა-დარიგებასაც თავაზობს ამირინდოს. მსგავსი სახეა ბარამი („გაყრა“), რომელიც ცდილობს ანდუყაფარისათვის. მაგრამ ბარამი უფრო მოხერხებული და შორსმჭვრეტელია, ვინემ სოროზან, მას უფრო ძნელად ავიწყდება თავისი თავი.

სოროზანი და ბარამი ახალი ცხოვრების მეტ ცოდნას იჩენენ, ვინემ მათი ბატონები — ამირინდო და ანდუყაფარი. მათ მეტად აქვთ შეგნებული ფულის ძალა და საჭიროება. ძმებთან გაყრის მოლოდინით შეწუხებულ ანდუყაფარს ბარამი ურჩევს შეაწეროს

გლეხებს ოთხასიოდე თუმანი და ფულის საშუალებით თავიდან აიცილოს გაყრა. მან იცის, რომ მექრთამე მოხელეების მოყიდვა ადვილია.

ასის თუმნითა, აბა რას ბრძანებ.
სუდსა, პალატას ხელით ვაქანებ.
ჩვენ სუდიასა — ა, იმ კუკნასა,
სულ ვათამაშებ ლეკურ ბუქნასა,
და სეკრეტარსა მე ოც თუმნათა
გნებავთ გაგიხდით მაიმუნათა.

ასეთივე აზრისაა ფულის შესახებ სოროზანიც. სოროზანი ურჩევს ამირინდოს, რომ „პატარა ჩააყლაპოს სტრაფჩისაც“. იგი დითირამბს უმღერის ფულს, უწოდებს მას „სოფლის ბომანს“. მისი თქმით, „თუ ფული გაქვს, მომკი, რაც არ გითესია“, „ნიჟი, სახელი. დიდება ფულთან სუყველა ფუჭია, უგნურიც განდიდდება, თუ ოქროთი სავსე აქვს მუჭი“.

თავიანთი ბატონებისა და ქალბატონების მსგავსად, ძველი შეხედულებებით არიან შეპყრობილნი ლომისეული და მოწყალისეული. მათ ქალ-ვაჟს შორის სიყვარული უბედურებად მიაჩნიათ, ერთმანეთზე ძვირის თქმასა და ლანძღვას არ ერიდებიან, ვერ ეგუებიან ახალგაზრდა არისტოკრატების თავისუფალ ცხოვრებას. სამაგიეროდ, სულ სხვაგვარად ფიქრობენ აბრამა, ნენე („დავა“), გაბრიელი („გაყრა“). აბრამა და ნენე, როგორც მათი ბატონი და ქალბატონი, შეყვარებულნი არიან; ოცნებობენ თავიანთ ბედნიერებაზე და ხელს უწყობენ თავიანთ ბატონსა და ქალბატონს მიაღწიონ მიზანს. მაგრამ ნენე, თუ უფრო მისთვის თანაუგრძნობს ნინოს, რომ იცის ნინო შემდეგ ნენესაც არ დაივიწყებს და აბრამს მიათხოვებს, სამაგიეროდ გაბრიელი („გაყრა“) უფრო წრფელი და ერთგულია თავისი ბატონის. გაბრიელი ივანესთან ერთად იყო რუსეთსა და პოლონეთში, ამიტომ სხვაგვარად უყურებს ცხოვრებას; თავისი ბატონის მსგავსად აღარ მოსწონს მყაცრი ბატონყმური ცხოვრება. მას გულით უყვარს ყარდაშვერდი (ნინოს გოგო), მაგრამ იძულებულია დათმოს იგი, ვინაიდან მათი შეხედულებები მომავალი ცხოვრების შესახებ განსხვავდებიან. ყარდაშვერდი, რომელიც ძველი შეხედულების მქონე მებატონესთანაა აღზრდილი, ურჩევს გაბრიელს მოურაობა სთხოვოს ბატონს იმ მიზნით, რომ, როცა გლეხებს აიკლებენ, ნახევარი ქონება მისი იქნება. გაბრიელი აღელვებულია ყარდაშვერდის ასეთი რჩევით, რის გამო იგი უფრო ადვილად თმობს მის სიყვარულს, ვინემ ერთგულებას თავის ბატონისადმი.

საერთოდ, გ. ერისთავის კომედიებში გამოყვანილი მსახურები მებატონეთა „ერთგულნი“ არიან, და ეს იმიტომ, რომ ადვილად ახერხებენ ბედოვლათ მებატონეებთან რაიმეს გამორჩენასა და სიზარმაცეს.

სულ სხვაგვარი დამოკიდებულებაა ვაჭრებსა და მათ მოჯამაგირეებს შორის. მოჯამაგირე ბიჭები და გოგოები უკმაყოფილონი არიან თავიანთი პატრონებით, უჩივიან მათ სიძუნწეს და არაადამიანურ მოქმედებას. პატრონის შემყურენი, თითონაც უფრო თაღლითნი და ცბიერნი არიან, თანაც მეტად ბრიყვნი და უვიცნი; მათში არაა დარბაისლობის ნიშანწყალიც კი. ყველანი დიდკაცობაზე და გამდიდრებაზე ოცნებობენ, გუბერნატორობა და „იარანლობა“ ელანდებათ. ზოგიერთი მათგანი ნატრულობს მებატონესთან სამსახურს (ივანიკა — „ძუნწი“). გამონაკლისს წარმოადგენს მონავარდისა („ძუნწი“), რომელიც დაინტერესებულია ხამფერას ბედნიერებით, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თვით ხამფერაა კეთილშობილი ხასიათის და ზრუნავს თავის მოსამსახურე გოგოზე.

6

გ. ერისთავმა, თავისი რეალისტური დრამატურგიით დაიწყო სრულიად ახალი ეპოქა ქართულ ლიტერატურაში. გაბატონებულ ლიტერატურულ მიმართულებას — რომანტიზმს, რომლის ავტორიტეტს იცავდნენ ისეთი ნიჭიერი შემოქმედნი, როგორიც იყვნენ ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გ. ერისთავმა დაუპირისპირა კრიტიკული რეალიზმი.

გ. ერისთავი ახალი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურისათვის. მისი შემოქმედების თემა, იდეა, მხატვრული ხერხები და, რაც მთავარია, შემოქმედებითი მეთოდი უცხო იყო წინა პერიოდის ქართული მწერლობისათვის. საოცარი პროგრესულობით წარიმართა, საერთოდ, გ. ერისთავის შემოქმედებითი გზა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას იგი ვერ აცდა გაბატონებული ლიტერატურული მიმდინარეობის — რომანტიზმის გავლენას, მაგრამ ამ პერიოდის ნაწარმოებშიც გამოვლინდა პოეტის რეალისტური ხედვა, გარემო სინამდვილის შესწავლისა და მისი ობიექტური ასახვის სურვილი.

გ. ერისთავი—მოაზროვნე და გ. ერისთავი—მხატვარი ერთდროულად ჩამოყალიბდა. ახალი თემა და ახალი იდეური ხედვა მწერალს ყოველთვის შესატყვისი პოეტური ხერხებით აქვს გადმოცემული; რეალიზმის გამარჯვება მის შემოქმედებაში სატირებმა გვამცნო.

გ. ერისთავის სატირულ ნაწარმოებთა შინაარსი და მხატვრული ფორმა მომავალი დრამატურგის მიმართულებას ამჟღავნებდა.

თავისი მხატვრული მეთოდის შესაფერისად გ. ერისთავმა დრამატურგიული ჟანრი აირჩია. ასეთი არჩევანი კი მისი პოეტური ორიენტაციის სიმახვილეზე მიუთითებს.

როგორც დრამატურგი, გ. ერისთავი კომედიოგრაფია. მისი ორიგინალური პიესები („შეშლილი", „დავა", „გაყრა", „ძუნწი", „წარსული დროების სურათები"), რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, კომედიებია.

გ. ერისთავის კომედიები შინაარსობლივი თვალსაზრისით, ძირითადად, სოციალური და სოციალურ-პოლიტიკური კომედიებია. მათი დაცინვის საგანია არა ცალკეულ გმირთა ცხოვრების უმსგავსოება, მიუღებელი ზნე-ჩვეულებანი და სხვა, არამედ, უმთავრესად, ის საზოგადოებრივი ურთიერთობა და ცხოვრების ის სინამდვილე, რომლის კანონიერ შვილებსაც ეს გმირები წარმოადგენენ.

ამიტომ, გ. ერისთავის კომედიათა მიჩნევა ყოფაცხოვრების ანუ ზნე-ჩვეულების კომედიებად არ გამოხატავს სინამდვილის არსს. ვიმეორებთ, გ. ერისთავი დასცინის არა გმირთა ზნე-ჩვეულებებს, უფრო სწორად, არა მარტო მას, არამედ, ძირითადად, იმ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომლის წარმომადგენლებიც ეს გმირებია. ესაა სწორედ ამ კომედიათა მთავარი ღირსება, რომელიც მათ ავტორს კრიტიკული რეალიზმის ჭეშმარიტ წარმომადგენლად ხდის.

გ. ერისთავს — როგორც კომედიოგრაფს — ქართულ მწერლობაში მეტად სუსტი ტრადიცია დახვდა. მისი მასწავლებლები და გზის მაჩვენებლები, უმთავრესად, ცნობილი რუსი დრამატურგები (გრიბოედოვი, პუშკინი, გოგოლი), იყვნენ. მისივე კომედიებიდან ჩანს, რომ ის კარგად იცნობდა ევროპელ დრამატურგებსაც. ცხადია, პოლონეთსა და რუსეთში ყოფნისას გ. ერისთავს ბევრი შემთხვევა ექნებოდა სცენაზეც ენახა მათი ნაწარმოებნი. ლექსი „წიგნი მიწერილი მეგობართან", რომელიც დაწერილია 1838 წელს ქ. ვარშავაში, ადასტურებს, რომ მას ახლო ნაცნობობა ჰქონდა პოლონელ მსახიობებთანაც.

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გ. ერისთავი თავისუფალია მიბაძვებისაგან. იგი არის უაღრესად ორიგინალური და ეროვნული ბუნების დრამატურგი. ესაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც იმისა, რომ იგი ქმნის ჭეშმარიტად ახალ ეტაპს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გ. ერისთავის კომედიათა მხატვრული მხარე, სცენური ღირსებები თანამედროვე დრამატურგიული ტექნიკის სიმაღლიდან რომ შევაფასოთ, ცხადია, მასში ბევრ სუსტ ადგილს ვიპოვით, მაგრამ შეფასების ეს გზა ისტორიული მოვლენის ჭეშმარიტი გაგებისათვის, თავისთავად, სუსტი და მცდარი იქნება.

გ. ერისთავი იცნობს თეატრს და სცენის თავისებურებას. ეს აშკარად ეტყობა მისი კომედიების კომპოზიციურ მხარეს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „შეშლილი“, რომელიც განკუთვნილია უფრო წასაკითხად, ვინემ სცენისათვის. ეს გარემოება მხედველობიდან არ ეპარება თვით ავტორსაც, რომელიც თავის ამ ნაწარმოებს „კომედია-პოემას“ უწოდებს. „შეშლილს“ ავტორი ჰყოფს არა მოქმედებებად, არამედ ნაწილებად.

მიუხედავად იმისა, რომ „შეშლილში“ ავტორს მითითებული აქვს რემარკები, რაც მისი სცენაზე წარმოდგენის ვარაუდს გვიჩვენებს, მაინც ზედმეტად მიგვაჩნია მისი როგორც დრამატურგიული თხზულების კომპოზიციურ თავისებურებებზე და სცენურ გამართულობაზე ვიმსჯელოთ. მით უმეტეს, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, „შეშლილი“ თავიდანვე არც იყო იმ სახის, როგორადაც დღეს მას ვიცნობთ. პირველი ნაწილი (სულ ორი ნაწილისაგან შედგება) შემდეგში დაემატა.

გ. ერისთავი კომედიებს ჰყოფს მხოლოდ მოქმედებებად. გამონაკლისს წარმოადგენს „წარსული დროების სურათები“ (ერთმოქმედებიანი), რომელიც დაყოფილია ხუთ სურათად, მაგრამ მისი პიესების ზოგიერთი მოქმედება უფრო სურათსა ჰგავს და არა მოქმედებას.

გ. ერისთავი ეკუთვნის იმ დრამატურგთა რიცხვს, რომლებიც გმირთა ხასიათებს მოქმედებათა მსვლელობაში თანდათანობით კი არ გვაცნობენ, არამედ თავიდანვე სრული სახით იძლევიან. ამიტომ არის, რომ პიესათა ექსპოზიციური ნაწილი გ. ერისთავთან შემოკლებულია, პირველ სურათებშივე აშკარა ხდება რასთან და ვისთან გვაქვს საქმე. მოქმედი გმირები თავიანთ თავს და ერთმანეთს დასაწყისშივე ისე „ახასიათებენ“, რომ პიესის მთელ მანძილზე მათ შესახებ შეხედულება თითქმის არ გვეცვლება.

გ. ერისთავი თავიდანვე გვაცნობს იმ მდგომარეობასა და გარემოს, რომელიც სრულად კვეთს გმირთა ხასიათებსა და მისწრაფებებს, ე. ი. ქმნის დრამატულ კვანძს. სამაგიეროდ, უფრო დიდ დროს უთმობს დრამატულ კოლიზიას,—გმირთა ინტერესების შეჯახებისა და კონფლიქტის ჩვენებას.

აღნიშნული გარემოება იმდენად ნათელი და აშკარაა, რომ ხედვეტი იქნებოდა სათანადო მაგალითებზე მიგვეთითებინა.

გ. ერისთავი საგანგებოდ ერიდება ისეთი სცენების ჩართვას, რომლებიც უშუალო კავშირში არ არიან ძირითად თემასთან, მაგისტრალურ ხაზთან და არ ემსახურებიან დრამატული კოლიზიის განვითარებას. პარალელურ სცენებს, რომლებიც მინიმუმამდე აქვს შემცირებული, მთავარი მოქმედების გამოსაკვეთად და გასამდიდრებლად იყენებს. მოქმედების ერთიანობის დაცვას დრამატურგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება. პარალელურ სცენებში, ხშირად მთავარი გმირებიც გამოჰყავს, რითაც მათ დამატებით „გამოცდას“ ახდენს.

ინტერესები, რომელთა მისაღწევად მოქმედებენ გ. ერისთავის კომედიების გმირები, სოციალურ ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი, მაგრამ ისინი მოკლებულნი არიან საზოგადოებრივ ყურადღებას. ამიტომაა, რომ ასეთი ინტერესებით გატაცებულ გმირთა შეუფერებელ მოქმედებას მაყურებელში მხოლოდ სიცილის გამოწვევა შეუძლია. ერთი შემთხვევაც არაა ისეთი, რომ მაყურებელი თუ მკითხველი თანაგრძნობითა და სიმპათიით იყოს განწყობილი გმირის მოქმედებისადმი. გამონაკლისს წარმოადგენს „შეშლილი“, რომელიც შეიცავს ტრაგიკულ ელემენტს. ჩვენ გვაღელვებს ტასოს ბედი, თანავუგრძნობთ მას და გვაწუხებს მისი უსამართლოდ დაღუპვა. „შეშლილში“ სატირულ სიცილს ხშირად ცვლის სიბრალულის გრძნობა (ტასოსადმი) და აშკარა პროტესტი (ანახანუმისა და მისი რძლებისადმი).

კონფლიქტი გ. ერისთავის კომედიებში სწრაფად, მაგრამ „უმტკივნეულოდ“ მიემართება კულმინაციური წერტილისაკენ. კონფლიქტის მსვლელობა მაყურებელში იწვევს თანამიმდევრულ სიცილს და ირონიას.

კულმინაციური წერტილის სიმძიმეს უფრო მეტად „შეშლილში“ ვგრძნობთ. ეს გასაგებიცაა: კონფლიქტის განვითარება კულმინაციური წერტილისაკენ დადებითი გმირის მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე ხდება.

კვანძების გახსნას ავტორი მარტივად და ყველასათვის გასაგებ ფორმებში ახდენს; კომედიის დედააზრი ადვილად დადის მაყურებლამდე, თანაც კომიზმი არასოდეს არ სუსტდება.

კვანძის გახსნა გ. ერისთავის კომედიებში ფაქტიურად ნიშნავს წინააღმდეგობის შენელებას, კონფლიქტის მოსპობას. გამონაკლისს წარმოადგენს „შეშლილი“ და „წარსული დროების სურათები“, სადაც კვანძის გახსნით კონფლიქტი კვლავ ღრმავდება, ყოველ

შემთხვევაში, იგულისხმება, რომ უნდა გაღრმავდეს („წარსული დროების სურათები"). მაგრამ კონფლიქტის მოსპობა გმირებს შორის სრულიად არ გულისხმობს „კონფლიქტის" მოსპობას გმირებსა და მაყურებელთა (თუ მკითხველთა) შორის. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ღრმავდება და ირონიულ სიცილს კიდევ მეტი საფუძველი ეძლევა. აქ ვლინდება მწერლის იდეოლოგიაც. იგი თავის გმირებთან შეურიგებელ წინააღმდეგობაშია. დრამატურგი დაინტერესებულია არა მარტო გმირთა გაკიცხვით, არამედ იმ სინამდვილის მოსპობით, რაც ხელს უწყობს ასეთ გმირთა წარმოშობასა და გამრავლებას.

გ. ერისთავი ხშირად მიმართავს ე. წ. ბოლოთქმას, რომელიც მაყურებლისადმი მიმართულ ერთგვარ მოწოდებას წარმოადგენს („დავა", „გაყრა", „ძუნწი"). ეს მოწოდება ზოგჯერ თვით პიესის იდეური აზრიდან გამომდინარეობს („დავა", „გაყრა"), ზოგჯერ მაყურებელთან უბრალო გამოსიტყვებას წარმოადგენს ხოლო და მიზნად აქვს მაყურებელს სიცილით დაშორდეს („ძუნწი").

როგორც ვხედავთ, გ. ერისთავი კომედიებს არ ტვირთავს ხელოვნურად შექმნილი სასაცილო სცენებით, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი ძირითად ხაზთან; მისი კომედიები თავისუფალნი არიან დრამატული ხლართებისაგან: დასაწყისშივე ნათელი ხდება, თუ რას ეხება მოქმედება, ხოლო ყოველი მომდევნო სურათი მთავარი კვანძის განვითარებასა და გახსნას ემსახურება.

წინააღმდეგობათა ხასიათი და კონფლიქტის დაძაბულობა გ. ერისთავის კომედიებში არაა მძიმე და რთული, მაგრამ ინტერესი მოქმედების შემდეგი განვითარებისადმი მაინც არ სუსტდება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ძირითადი და პარალელური ხაზების შერწყმის ტექნიკა და ექსპოზიციური ნაწილითვე მაყურებლის საგანგებო დაინტერესება.

გ. ერისთავმა იცის, რომ დრამატურგი ძნელად გამოისყიდის პირველ მოქმედებაში დაშვებულ ხარვეზს. ამიტომ, საგანგებო ყურადღებას აქცევს პირველ სცენებს და იმთავითვე დაინტერესებულს ხდის მაყურებელს გმირთა მომავალი ბედით.

გ. ერისთავი თავისი გმირების უმოქმედობას მოქმედებაში გვიხატავს. მათზე წარმოდგენა გვექმნება არა სხვების დახასიათებით, არამედ მათივე მოქმედების წყალობით. ჩვენ ვერ დავრწმუნდებოდით ივანეს ანდუყაფარისეულ დახასიათებაში, რომ თვით ივანე არ

დახმარებოდა მას და მისივე საშუალებით არ გავცნობოდით მის „გრანდიოზულ სამეურნეო გეგმებს“. სხვის მიერ მოწოდებული ვერავითარი დახასიათება ვერ წარმოგვიდგენდა პავლეს ისე გამოკვეთილად, როგორც ის პატარა სცენა, როცა მაჭუტაძის ნაჩუქარი ქორის გაფრენით შეწუხებული პავლე, განაჩენის კითხვისას, საშინლად შეიკივლებს: „გამიშვით... რა დროს გაყრა არისო“.

გმირთა მოქმედებას დრამატურგები გვაცნობენ სიტყვა-მოქმედებით და ქცევა-მოქმედებით. გ. ერისთავს ემარჯვება ორივე ამ ხერხის მოხდენილი შეხამება. ამის საუკეთესო მაჩვენებელია, განსაკუთრებით, „გაყრა“ და „ძუნწი“.

კომედიებს და მით უმეტეს სოციალურ კომედიებს არ შეფერის გრძელი მონოლოგები და გაზვიადებული დიალოგები. ამ გარემოებას მშვენივრად ითვალისწინებს გ. ერისთავი, რომელიც გაურბის ისეთ მონოლოგებს, რომელთაც მხოლოდ სცენური ეფექტი აქვს მიზნად. ამ მხრივ მხოლოდ „შეშლილი“ და „დავა“ ვერაა დაზღვეული. ბეგლარის მონოლოგები, რაც ორივე პიესაში უცვლელად მეორდება, პიესის საერთო მსვლელობაზე არ ახდენს კარგ გავლენას. სხვა ხასიათისაა კარაპეტას („ძუნწი“) ვრცელი მონოლოგი, რომელიც გამდიდრებულია ქცევა-მოქმედებით და მჭიდრო კავშირშია პიესის საერთო მსვლელობასთან.

საერთოდ, გ. ერისთავი იცავს ლაკონურობას. მისი გმირები, თავიანთი მოკლე რეპლიკებით, მარჯვედ ურტყამენ მიზანში, ამჟღავნებენ თავიანთ თავს და მოწინააღმდეგესაც.

გ. ერისთავი იყენებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ დიალოგს. პირველს უმთავრესად კვანძის გასანასკვად და კონფლიქტის გასაღრმავებლად მიმართავს, ხოლო მეორეს—კომიზმის უშუალო წყაროდ იშველიებს.

გ. ერისთავი სიტყვა-მოქმედებას ნაკლებად ტვირთავს ლირიკული ელემენტით, რომელსაც სიცოცხლე შეაქვს დრამასა და ტრაგედიაში, მაგრამ კომედიაში იშვიათად თუ ახდენს დადებით გავლენას, ვინაიდან ასუსტებს კომიკურ სიტუაციას. გ. ერისთავიც ამ ხერხს მხოლოდ იქ იყენებს, სადაც ტრაგიკულ სცენებს უშვებს („შეშლილი“, „დავა“).

სამაგიეროდ, გ. ერისთავი ხშირად მიმართავს ეპიკურ ელემენტს (წერილები, განაჩენი, განცხადებები, განკარგულება, შეტყობინება მესამე პირის საშუალებით და სხვა), განსაკუთრებით მესამე პირის საშუალებით ამბავის მოტანას სცენაზე. ეს ხერხი ზოგჯერ კომიზმის წყაროდ აქვს გამოყენებული, ხოლო უფრო ხში-

რად — სიტუაციის შესაცვლელად, რაც სურათების მაგივრობას სწევს. უკანასკნელ შემთხვევაში უფრო მეტად მსახურთა რეპლიკებს იყენებს.

ეპიკური ელემენტი პიესაში, საერთოდ, სიტუაციის შეცვლას ემსახურება და მისი მოხდენილი მომარჯვება ხელს უწყობს მოქმედების დინამიურობას და კონფლიქტის დაძაბვას.

გ. ერისთავი არ გაურბის არც ე. წ. დისკუსია-არგუმენტაციას. ამის მაჩვენებელია „გაყრის“ მესამე მოქმედების პირველი და მეორე გამოსვლა, „დავის“ პირველი მოქმედების მეთორმეტე გამოსვლა, „ძუნწის“ მეორე მოქმედების მეორე გამოსვლა და სხვა.

მაგრამ დისკუსია-არგუმენტაცია მეტად მოკლედ არის წარმოდგენილი გ. ერისთავის პიესებში. ეს გასაგებიცაა: იგი კომედიებს წერს და არა დრამებს ან ტრაგედიებს, სადაც მეტი ლოგიკური მოტივაციაა საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ერისთავის კომედიებში გმირთა ხასიათები, უმთავრესად, მზამზარეულად არიან მოცემული, სპექტაკლის მთელ მსვლელობას მაყურებელი დიდი ინტერესით ეკიდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე მივუთითეთ, ძირითადი და პარალელური სცენების მოხდენილი დაკავშირებაა, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ არის გადამწყვეტი.

მთავარი კომპოზიციურ-სცენური ხერხი, რითაც გ. ერისთავი მაყურებლის ყურადღებას იმორჩილებს, ესაა პერიპეტიების დროული და მოხდენილი გამოყენება.

პერიპეტია გულისხმობს გმირის მოქმედებაში, ცხოვრებაში, საქმიანობაში უეცარ ცვლილებას, რაც იძლევა საწინააღმდეგო სურათს იმისას, რაც მოსალოდნელი იყო.

ასეთი მოულოდნელი ცვლილებები ზოგჯერ თვით გმირის აქტიური, შემტევითი მოქმედების შედეგია, ხოლო ზოგჯერ მოულოდნელია როგორც მაყურებლისათვის, ასევე გმირისათვის. უეცარი ცვლილება, მოულოდნელი მაყურებლისათვის, ხშირად მოულოდნელი არაა გმირისათვის, იგი მას ამზადებდა, მაგრამ ხშირად მისთვისაც მოულოდნელია.

გ. ერისთავის კომედიებში პერიპეტიის გამოყენების ორივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მოვიგონოთ „დავის“ პირველი მოქმედების მერვე გამოსვლა: ბერუა ამირინდოს შეატყობინებს, რომ დროშკით ვილაც მოდისო. ამირინდო დარწმუნებულია, რომ ეს პრავნიკია თავისი ამალით და განკარგულებას იძლევა სხვადასხვაგვარი საჭმელები მოამზადონ და „სამოციანი მოხადონ“, რათა ყველანი რიგიანად დაათრონ. თანაც მუნდირს იცვამს და შესახვედრად

ემზადება. მაგრამ... პრავნიკის მაგივრად აღმოჩნდება მისი შვილი — ბეგლარი.

ასევე მოულოდნელია ამირინდოსათვის, სოროზანისათვის და სარქისასათვის ბეგლარის მიერ ღერბიან ქაღალდზე არზის ნაცვლად ლექსის დაწერა (მესამე მოქმედების პირველი სურათი).

ასეთი მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება როგორც „დავადან," ასევე „გაყრადან" და „ძუნწიდან". მაგრამ ამჯერად შევჩერდეთ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც უეცარი ცვლილება მდგომარეობაში თვით გმირის აქტიურ მოქმედებას შეაქვს. მოვიგონოთ „ძუნწის" მეორე მოქმედება (მეორე გამოსვლა). არჩილი საკმარისი დისკუსიის შემდეგ კარაპეტას ეუბნება: „მშვიდობით, მაგრამ ეს იცოდე, შენს ქალს ვერავინ წამართმევს". არჩილი სხვადასხვა ხერხს მიმართავს გამარჯვების მისაღწევად, რაც შეასრულა კიდეც ოქროების ნაცვლად კარაპეტას ზანდუკში კენჭები დახვდა. კარაპეტამ ცოტა აკლდა ჭკუა დაკარგა, მაგრამ არჩილი პირდება კენჭებს კვლავ ოქროდ უქცევს, თუ ქალს მისცემს. კმაყოფილი კარაპეტა, რომელმაც თავისი ოქროები კვლავ ნახა, სიამოვნებით აძლევს ქალს არჩილს.

მსგავსი მაგალითები გვაქვს „გაყრაშიც". მხედველობაში გვაქვს მაკრინეს მოქმედება გაყრის დროს და მიკირტუმას ოინები ძმების გაყრის შემდეგ, რითაც მან ივანე სიძედ გაიხადა.

პერიპეტიები ქმნიან ახალ სიტუაციებს, ცვლიან მოქმედების მიმართულებას და საინტერესოს ხდიან პიესის მსელელობას. მაგრამ პერიპეტიებით გამოწვეული შედეგები მოითხოვენ სცენურ დაძლევას, გადასვლების გაკეთებას, მოქმედების დაძაბულობის შესუსტების თავიდან აცილებას.

ამიტომ, დრამატურგი, რომელიც იყენებს პერიპეტიებს, კარგად უნდა ფლობდეს ე. წ. ποιησις-ის სცენის ტექნიკას. ე. ი. „კატასტროფის" შემდეგი სიტუაციის გადმოცემის ხერხებს. ასეთი საშუალებები კი მრავალგვარია, რომელთა შერჩევაზე ბევრადაა დამოკიდებული მოქმედების დინამიურობა.

გ. ერისთავი ასეთ შემთხვევაში ლირიკულ და ეპიკურ ელემენტებს მამართავს, მოქმედებას „აჩერებს", ანდა „ტრაგიკულს" კომიკურად აქცევს.

ონოფრეს ბიჭი ბერუა ბეგლარს მოულოდნელად ნინოს წერილს გადასცემს („დავის" მესამე მოქმედება). ბეგლარი წერილში კითხულობს: „კვლავ აღარ გაბედოთ ამგვარი მოწერა და გთხოვთ აღარც ჩვენ სახლში გაიაროთ. ნინა".

აღელვებული ბეგლარი ყველას დაითხოვს და გულხელდაკრეფილი წარმოთქვამს საკმაოდ გრძელ მონოლოგს ქალის ბოროტების შესახებ და გამოთქვამს თავის გულისწყრომას ცხოვრების მიმართ.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია კარაპეტა („ძუნწი"), როცა თავის ოქროებს ველარ ხედავს და თავს არწმუნებს, რომ ყველაფერი სიზმარია. ამჯერად დრამატურგი კარაპეტას ტრაგედიას კომიზმის წყაროდ იყენებს. მის ტანჯვას ოდნავადაც არ იზიარებს მაყურებელი.

პერიპეტიები და παδος-ის სცენები მოითხოვენ ფსიქოლოგიურ და ლოგიკურ მოტივაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებას ეკარგება ბუნებრიობა და დამაჯერებლობა. მოულოდნელობა არ უნდა უდრიდეს შეუსაბამოს, დაუჯერებელს, შეუძლებელს.

გ. ერისთავის, როგორც დრამატურგის, სიძლიერე ამ მიმართულებითაც აშკარაა. იგი არის თავისი დროის მეტად წინდახედული ხელოვანი, რომელიც ერთი თვალით სცენას უცქერის, მეორეთი — მაყურებელს. არაბუნებრივი, არადამაჯერებელი, ფსიქოლოგიურად და ლოგიკურად გაუმართლებელი არაფერი არაა გ. ერისთავის დრამატურგიაში. ეს არაა მცირე მნიშვნელობის ფაქტი. მასზე უფრო დიდი მხატვრული შესაძლებლობის მქონე ბევრი დრამატურგის მიმართაც გაძნელდება ასეთი პრინციპული მოსაზრების წამოყენება.

გ. ერისთავი შეუმჩნეველად და თანდათანობით ამზადებს ყოველ შემდგომ სურათს. ეს მზადება ზოგჯერ ლოგიკური მოტივაციის ხარჯზეა, ზოგჯერ ფსიქოლოგიური განწყობის შექმნას ემყარება. მისი გმირის არც ქცევა და არც სიტყვა არ იკარგება უმიზნოდ, ადრე თუ გვიან ჩვენ ვხედავთ მის მიზანშეწონილობას (რა თქმა უნდა, სცენური თვალსაზრისით).

ასეთი თანმიმდევრობის და სიზუსტის დაცვას გ. ერისთავი იმის წყალობით აღწევს, რომ გმირთა ხასიათებს პიესის დასაწყისშივე ჰკვეთს. როგორც მწერლისათვის, ასევე მაყურებლისათვის აშკარაა რასთან და ვისთან აქვს საქმე. მთავარი მაინც ისაა, რომ მწერალი მიყვება სინამდვილეს, სცენაზე გამოაქვს არა შემთხვევით მოფიქრებული და შეთხზული, არამედ მრავალჯერ ნახული და გააზრებული.

გ. ერისთავის კომედიათა გმირები არ არიან შემთხვევით ურთიერთს შეხვედრილნი. ისინი ერთი ნაკვეთის სხვადასხვა წერტილები არიან, რომელთა ერთობლიობა გარკვეული სოციალური ყოფის სურათს იძლევა. ისინი მთელი თავიანთი ცხოვრებითა და მოქმე-

დებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მათ შორის ურთიერთობის დასამყარებლად საჭირო არაა გამოგონილი ინტრიგები.

გ. ერისთავის კომედიები ამ მხრივ სოციალური კომედიის გოგოლისეულ განსაზღვრას პასუხობენ. გოგოლის შეხედულებით, სოციალური კომედია, პირველ ყოვლისა, არის კომედია ტრადიციული სასიყვარულო ინტრიგის გარეშე; ესაა კომედია, რომელიც „...Должна вязаться сама собою, всей своею массою, в один большой узел. Завязка должна обнимать все лица, а не одно или два,—коснуться того, что волнует, более или менее, всех действующих. Тут всякий герой: течение и ход пьесы производит потрясение всей машины".

ამიტომაა, რომ გ. ერისთავის კომედიებში კომიზმი მოულოდნელ შემთხვევათა შედეგი კი არაა, არამედ გმირთა ხასიათებიდან და მთლიანი მოქმედებიდან გამომდინარეობს. სასაცილოა არა მხოლოდ ცალკეულ გმირთა ესა თუ ის მოქმედება, არამედ მთელი ის სინამდვილე, რომელსაც ავტორი ამ გმირების საშუალებით წარმოგვიდგენს.

კომიზმის წყაროდ გ. ერისთავის კომედიებში გვევლინება მაღალი წოდების კონსერვატიზმი, ჩამორჩენილობა, გონების სიჩლუნგე, ფუქსავატობა; ვაჭართა სიძუნწე, გაიძვერობა, ზნეობრივი სივიწროვე, უხეირო მეტყველებაა; მოხელეთა თავგასულობა, მოვალეობის ბოროტად გამოყენება; მსახურთა უვიცობა, გაიძვერობა და ბრიყვული მიზნები.

გ. ერისთავის კომიზმი თავს დასტრიალებს არა გამოგონილ ამბებს, არამედ ყველას თვალწინ აღმართულ სიმახინჯეს, რომელიც კრიტიკული თვალით ჯერ კიდევ არავის შეუფასებია. ამაშია მისი სიძლიერე და ცხოველმყოფელობა. მაყურებელში სიცილს იწვევს უფრო მეტად ის, რომ მის თვალწინ ცოცხლდება ჩამორჩენილი ცხოვრების სინამდვილე, რომელსაც აქამდე საგანგებოდ არ დაკვირვებია, თუმცა ადვილად აგონდება, რომ ხშირად ყოფილა მსგავსი სურათის მოწმე.

გ. ერისთავი კომიზმს აღწევს მთელი ბუნებრიობით, იყენებს ყველა საშუალებას, რათა სწორად გადმოსცეს კომიზმის საგანი. მთავარი ხერხი, რითაც გ. ერისთავი სიცილს ძალდაუტანებლად იწვევს, არის ჩამორჩენილი და შეუფერებელი ცხოვრების სინამდვილის მოხერხებული კუთხით ჩვენება.

გ. ერისთავის კომედიებში არის სცენები, რომლებიც იწვევენ ე. წ. „გულუბრყვილო კომიზმს", „სიტუაციურ კომიზმს" და სხვა,

საგრამ, ძირითადი, როგორც აღვნიშნეთ, ისაა, რომ სასაცილოა თვით წარმოდგენილი სინამდვილე, გმირთა მთელი მოქმედება.

გ. ერისთავი—როგორც რეალისტი კომედიოგრაფი—არასოდეს არ ღალატობს სინამდვილეს, მისი გმირები უშუალოდ ცხოვრების სინამდვილიდანაა აღებული, მათ ყველაფერი თავისი და „საკუთარი" აქვთ, მათ შორის მეტყველებაც.

გ. ერისთავი მოხთენილად იყენებს ენას, როგორც გმირის სახის შექმნისათვის საუკეთესო საშუალებას და როგორც წყაროს კომიზმისას; პერსონაჟთა ენა მომარჯვებული აქვს მხატვრული მიზნის მისაღწევად.

გ. ერისთავის სამწერლო ენა თავიდანვე განსხვავდებოდა მის თანამედროვე რომანტიკოსთა ენისაგან. მეტად თუ ნაკლებად მის ლექსებში ჩანს სამწერლო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების მიდრეკილება. ეს ამოცანა მწერალმა გარკვეულად გადაჭრა თავის ორიგინალურ და თარგმნილ სატირებში.

კრიტიკული რეალიზმის პრინციპების განმტკიცება გ. ერისთავის შემოქმედებაში მწერლის წინაშე მოთხოვნას აყენებდა ხელი აეღო ძველ, მწიგნობრულ, არქაულ ენაზე და ჭარბად დასესხებოდა ხალხურ მეტყველებას. ის, ვინც რეალიზმის პრინციპების ჭეშმარიტი დამცველი და გამტარებელია, გვერდს ვერ აუვლის თავის თანამედროვეთა მეტყველებას, ხალხურ ენას; მის წინაშე მთელი სერიოზულობით დგას ხალხისათვის გასაგები ენით წერის საკითხი.

ბუნებრივია, გ. ერისთავს, რომელიც საფუძველს უყრიდა კრიტიკულ რეალიზმს, უნდა ეზრუნა ხალხისათვის გასაგები სამწერლო ენის შესაქმნელადაც.

გ. ერისთავის კომედიების ენამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება. ცნობილი მოღვაწე და მოაზროვნე პლ. იოსელიანი, რომელმაც „გაყრის" პირველი გამოცემისათვის (1850 წ.) დაწერა წინასიტყვაობა, საგანგებოდ აღნიშნავდა: „... მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხუათა, არა იყო ჩვეულებითისა საუბრისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირუელისა ქართულ ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათუის. სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთივე მიიღო ღირსება, რომლისთვისცა ეკვირვებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინს, პლავტსა, ტერენციოსს, ჴენანდრსა და სხვათა.

მაქვს იმედი, რომ ესრეთსა ჩემგანს ახლისა გვარისა მწერლობისა მოწონება, არ ვინ მიიღებს პირმოთნეობით თქმულად და თვითეული კეთილ-განმზრახი ქართველი სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხვანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა".

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანმა გ. ერისთავის ენა შეაფასა, როგორც ენა „ახალისა გვარისა მწერლობისათვის". ხოლო ეს „ახალი გვარი" იყო კომედია. იგი სხვებსაც მოუწოდებს მიჰყვნენ გ. ერისთავის მაგალითს, დასწერონ კომედიები.

პლ. იოსელიანმა ისიც სამართლიანად შენიშნა, რომ გ. ერისთავის კომედიების ენა სასაუბრო, ხალხურ მეტყველებას ემყარებოდა.

პლ. იოსელიანის მოწოდებამ ააღელვა ალ. ორბელიანი, რომელიც თავგამოდებით „ამტკიცებს", რომ გ. ერისთავის გმირები ლაპარაკობენ ისე, როგორც ლაპარაკობენ ჩვეულებრივ ხალხში, „მაშასადამე, გ. ერისთავს სხვა ქართული არა დაუბადებიარა მწერლობისათვის, ის ქართული იმათი (გმირების. — დ. გ.) საკუთარი ყოფილაო" [1].

ალ. ორბელიანი ვერ მიხვდა, რომ სიახლე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხური ენა შეეიდა მწერლობაში. უფრო სწორად, მან გ. ერისთავის ენა იმით დაიწუნა, რომ იგი ხალხურ მეტყველებას ემყარებოდა.

როგორ უნდა შეეფასოთ გ. ერისთავის ენა?

გ. ერისთავის კომედიების ენა არ შეიძლება მიეიჩნიოთ ახალ სალიტერატურო ენად, რომლის საბოლოო ჩამოყალიბება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და მათი თანამებრძოლების სახელებთანაა დაკავშირებული. მაგრამ იგი არის გარკვეული ეტაპი ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლის გზაზე; მან შელახა არქაული სამწერლო ენის ავტორიტეტი.

გ. ერისთავის კომედიების ენის ნაკლი მდგომარეობს დიალექტიზმებისა და ჟარგონების ჭარბ გამოყენებაში. მას არა ჰყავს ისეთი პერსონაჟი, რომლის მეტყველება, თვით მწერლის შეხედულებითაც, გამართული და გამართლებული იყოს. იგი არც ამ მხრივ გვაძლევს დადებით გმირს. მაგრამ გ. ერისთავის დამსახურება ისაა, რომ იგი ერთნაირი შეუბრალებლობით დასცინის როგორც არქაული ენით მეტყველთ, ასევე „ჩარჩული ჟარგონით", დიალექტიზმე-

[1] ალ. ორბელიანი. „რამდენიმე სიტყვა „გაყრის" კომედიაზედ", „ცისკარი". 1857 წ., № 9.

პითა და ბარბარიზმებით დამძიმებული ენით მოსაუბრეებს. ეს უკანასკნელნი კი არცთუ იშვიათი საპოვნი იყვნენ იმ დროს.

გ. ერისთავის იდეალია შექმნა სასაუბრო ენაზე დაყრდნობილი ქართული სალიტერატურო ენისა, რომელიც თავისუფალი იქნება როგორც არქაული ფორმებისაგან, ასევე ჟარგონებისა და დიალექტიზმებისაგან. მისი ასეთი იდეალი გამომდინარეობს იმ კომიზმიდან, რომელსაც იწვევს პერსონაჟთა დამახინჯებული მეტყველება.

ვიმეორებთ, პრაქტიკულად გ. ერისთავს არ განუხორციელებია თავისი ენობრივი იდეალები. ამ საქმეში მას იქნებ ხელს უშლიდა თავისი შემოქმედების ჟანრობრივი ბუნება და მხატვრული მეთოდი. იგი ყელაფერში და ყოველთვის უარყოფის გზით მიდის იდეალისაკენ, რომელიც მკითხველში იქმნება კრიტიკულად ასახული სინამდვილის გავლენით.

ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ „Язык художественной литературы свободнее, чем общенародный, общенациональный язык, там, где это оправдано идейным замыслом писателя и композицией произведения, может обращаться к архивному фонду старинной речи, к народно-областным говорам, к языку литературных памятников, но он не может значительно отступать от структуры, от его грамматического строя и основного словарного фонда, иначе он перестанет быть общепонятным".

... Немотивированное перемещение выражения из одного стиля языка в другой—функционально далекий—воспринимается как резкий диссонанс или как **средство комизма**"[1] (ხაზი ჩვენია.—დ. გ.).

გ. ერისთავი კომედიების ავტორია. იგი, როგორც დრამატურგი, მოკლებულია საშუალებას თვითონ აღწეროს და დაახასიათოს გმირები. მან თავის გმირებზე წარმოდგენა უნდა შეგვიქმნას თვით გმირების მოქმედებით. ამიტომ გმირებს ის უნარჩუნებს თავიანთ თვისებებს, ხასიათს, მათ შორის ენასაც. უკანასკნელს იგი იყენებს პერსონაჟების გამოკვეთის საშუალებად, რაც ამავე დროს კომიზმის საუკეთესო წყაროდაც ხდება.

გ. ერისთავი ითვალისწინებს, რომ გმირის მეტყველებაში, ისახება მისი სოციალური ბუნება, გონებრივი დონე და სულიერი

---

[1] Акад. В. В. Виноградов—„Насущные задачи советского литературоведения", см. сборник статей—„Вопросы литературоведения в свете трудов И. В. Сталина по языкознанию", 1951 г., стр. 10—11.

ლირსებები. ამიტომ მას არ უნდა ხელიდან გაუშვას მხატერული მიზნის მიღწევისათვის ეს საუკეთესო საშუალება. მისი კომედიების თემა, იდეა, კომპოზიცია და ენა ერთი მთავარი მიზნისაკენ არის მიმართული.

გ. ერისთავის კომედიათა გმირები მეტყველებენ იმავე ენით, რომელი ენითაც მეტყველებდნენ მათი პროტოტიპები. ავტორი გვაგრძნობინებს, თუ როგორ აფუჭებენ ქართულ ენას „რუსეთუმეები" და ბურჟუაზიის ნაშიერნი, რომელნიც, ფულის გარდა, სხვაზე არაფერზე ფიქრობენ. იგი თავისას მიუგებს აგრეთვე დიალექტებზე მეტყველ პერსონაჟებს და „დარბაისლური" ქართულით მოსაუბრე თავადებს, რომლებიც განუწყვეტლივ მამის სულს ფიცულობენ.

გ. ერისთავი მკაცრია არა მარტო მათდამი, ვინც უხეშად ექცევა ქართული ენის ლექსიკურ მარაგსა და გრამატიკულ წყობას, არამედ მათ მიმართაც, რომლებიც თავსა და ბოლოს ვერ პოულობენ ლაპარაკში. იაია ჰიორელის სახით გ. ერისთავმა დაგვიხატა გლახა ჭრიაშვილის წინამორბედი.

ეხება რა მარქსის სტატიას „წმინდა მაქსი", ამხანაგი ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, რომ „მარქსს უნდოდა მხოლოდ ეთქვა, რომ ბურჟუებმა ერთიანი ეროვნული ენა წაბილწეს თავიანთი ჩარჩული ლექსიკონით, რომ ბურჟუებს, მაშასადამე, აქვთ თავიანთი ჩარჩული ჟარგონი"[1].

გ. ერისთავმა თავისი კომედიების ენითაც ყურადღება გაამახვილა იმ სოციალურ ძვრებზე, რასაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 40—50-იან წლებში.

ქართული ენის წაბილწვა „ჩარჩული ლექსიკონით", „ჩარჩული ჟარგონით" კარგადაა ნაჩვენები გ. ერისთავის კომედიებში. ამ კომედიათა გმირების მეტყველება არის იმის მაგალითი, რომლის შესახებაც ამხანაგი ი. ბ. სტალინი გვასწავლის: „...ცალკეული სოციალური ჯგუფები, კლასები სრულიადაც არ არიან გულგრილნი ენისადმი. ისინი ცდილობენ გამოიყენონ ენა თავისი ინტერესებისათვის, თავს მოახვიონ მას თავისი განსაკუთრებული ლექსიკონი, თავისი განსაკუთრებული ტერმინები, თავისი განსაკუთრებული გამოთქმები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან შეძლებული

---

[1] ი. სტალინი. მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში. 1950 წ., გვ. 14.

კლასების ზედაფენები, რომლებიც მოსწყდნენ ხალხს და სძულთ იგი: თავადაზნაურული არისტოკრატია, ბურჟუაზიის ზედაფენები“ [1].

გვინდა რა შევაფასოთ გ. ერისთავის კომედიების ენის როლი ჩვენი სამწერლო ენის განვითარების საქმეში, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიგონოთ ნ. ლ. ბროდსკის სიტყვები სუმაროკოვის შესახებ: „В установлении принципа характерности и народности языка русской комедии роль Сумарокова бесспорна: ему приходилось первому создать комическую прозу и он наметил эту дорогу, по которой шли русские комические писатели от Фонвизина до Островского“ [2].

ეს სიტყვები კიდევ მეტი უფლებით შეიძლება გავიმეოროთ გ. ერისთავის მიმართ. გ. ერისთავმა შექმნა როგორც პროზაული, ასევე ლექსური ფორმა ქართული კომედიოგრაფიისათვის, რისთვისაც ფართოდ გამოიყენა ხალხური თქმები და ხალხური მეტყველების ფორმები. მან გაამარტივა ორთოგრაფია და გრამატიკული ფორმები, გაამდიდრა ლექსიკა.

გ. ერისთავის ენის შესწავლისადმი მიძღვნილი ერთადერთი გამოკვლევის ავტორი დოც. კ. გიგინეიშვილი შენიშნავს: „გ. ერისთავის კომედიებში საკმაოდ ფართოდ არის გამოყენებული სასაუბრო ენის ელემენტები, რაც, ერთი მხრით, დასტურდება ბგერით ცვლილებათა მრავალფეროვნებით... ხოლო, მეორე მხრით, რიგი მორფოლოგიური მოვლენებით...

ყველაზე მეტი გასაქანი ხალხურ მეტყველებას ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში აქვს, სადაც გადაშლილია ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი, ხასიათები და მისწრაფებანი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელ მოქმედ პირთა“ [3].

ჩვენ ვილაპარაკეთ გ. ერისთავის კომედიათა კომპოზიციურ თავისებურებაზე და მოკლედ დავახასიათეთ ე. წ. სიტყვა-მოქმედება, მაგრამ არაფერი გვითქვამს ქცევა-მოქმედების შესახებ, რომელსაც ჩვენი დრამატურგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მთელი ყურადღებით ეკიდება.

---

[1] ი. სტალინი. მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, 1950 წ., გვ. 12.

[2] Н. Л. Бродский. „История стиля русской комедии XVIII века“, журн. „Искусство“. 1923 г., № 1, стр. 183

[3] კ. გიგინეიშვილი—„გ. ერისთავის კომედიების ენა“. იხ რუსთაველის სახელობის ბათუმის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1950 წ. აღნიშნული შრომის ღირსებას ერთვალად ამცირებს ის გარემოება, რომ ავტორს ხელნაწერებზე არ უმუშავია. ამასთანავე მეთოდოლოგიურ შეცდომასაც უშვებს: ივიწყებს, რომ თარგმნილი კომედიის ენა სხვაგვარ შესწავლას ითხოვს, ორიგინალურისა—სხვაგვარს.

გ. ერისთავი საგანგებოდ არჩევს კომედიათა სათაურებს, რითაც ადვილად ვღებულობთ პიესის თემას. გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს გმირთა სახელებსა და გვარებსაც. ზოგჯერ იყენებს მეტყველ გვარებს (არზამანოვი, ვზიატკინი). როგორც პროფ. შ. რადიანი შენიშნავს: „პერსონაჟების გვარი ნასესხებია მათივე თვისებებიდან". მაგრამ პიესის მსვლელობაში პერსონაჟთა გვარები თითქოს არასოდეს იხსენიება; მხოლოდ სახელებით ან სახელითა და მამის სახელით (რუსულ ენაზე დაწერილ დიალოგებში) მიმართავენ ერთმანეთს გმირები. მოქმედ გმირთა სიაში ავტორი დაწვრილებით მიუთითებს აგრეთვე გმირთა ვინაობაზე, რაც საშუალებას აძლევს შემსრულებელს მართებულად და ადვილად გაიაზროს თავისი როლი, შექმნას დამაჯერებელი სახე.

გ. ერისთავი მისაბაძ პუნქტუალობას იჩენს რემარკების მითითებისას, რაც ამჟღავნებს, რომ იგი ფლობს სცენის ტექნიკასა და რეჟისორულ ხელოვნებას. მაგრამ მან ისიც იცის, რომ ერთი და იგივე პიესის წარმოდგენა სხვადასხვაგვარად შეიძლება. სპექტაკლის გაფორმება (დეკორაცია) და გმირთა მორთულობა (გრიმი), ძირითადად რეჟისორული გემოვნების საქმეა, ამიტომ ამ უკანასკნელ მომენტზე გაკვრით ან სულ არ მიუთითებს. იგი მხოლოდ საერთო ვითარებაზე უჩვენებს (სად ხდება მოქმედება—სოფლად თუ ქალაქად და რა ვითარებაში).

სამაგიეროდ, ყოველთვის აღნიშნავს გმირის ქცევის ხასიათს სცენაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გ. ერისთავი — მოაზროვნე, და გ. ერისთავი — მხატვარი-ხელოვანი ერთმანეთს ავსებენ და ერთ საფეხურზე დგანან. მისი დრამატურგიის როგორც შინაარსობლივი, ასევე მხატვრული მხარე სათანადო სიმაღლეზეა და ურთიერთის შესატყვისია; იდეური შინაარსისა და მხატვრული ფორმის ურთიერთობის საკითხი გ. ერისთავის მიერ წარმატებით იქნა გადაწყვეტილი.

გ. ერისთავი არის ქართული რეალისტური კომედიოგრაფიის ფუძემდებელი, სოციალური კომედიების ავტორი, დრამატურგიული ხელოვნების ეროვნული ტრადიციების შემქმნელი.

7

გ. ერისთავი დიდი ეროვნული და ორიგინალური მწერალია. მისი თხზულებები უშუალოდ ეხებიან მე-19 საუკუნის 40—50-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას და წარმოადგენენ მისი უარყოფითი მხარეების კრიტიკულად ასახვის ნიმუშებს.

გ. ერისთავს თითქმის ერთსა და იმავე დროს უხდებოდა ზრუნვა რეპერტუარის შექმნისათვის და სათანადო დადგმების მოსამზადებლად. იგი ნაყოფიერად მუშაობდა როგორც ორიგინალური დრამატურგიის გასამდიდრებლად, ასევე გადმოკეთებულ და თარგმნილ პიესათა გასამრავლებლად.

გ. ერისთავმა ქართული თეატრის რეპერტუარს შესძინა ორიგინალური პიესები: 1. „შეშლილი“, 2. „დავა“. 3. „გაყრა“, 4. „ძუნწი“, 5. „წარსული დროების სურათები“, 6. „Искатель первобытных красот, или ученый дурак“ (რუსულ ენაზე); მანვე თარგმნა და გადმოაკეთა რუსული ენიდან: 1. „უჩინმაჩინის ქუდი“, 2. „კომისარი შტატგარეშე ქალაქისა“, 3. „ყვარყვარე ათაბაგი“, 4. „თილისმის ხანი“, 5. „ბებიას თუთიყუში“, 6. „ვაი ჭკუისაგან“, 7. „დაგეროტიპი“.

დასადგენია პიესების: „სიმონ სულგრძელი“ და „კარაპეტა ქვევრში“ ორიგინალობის საკითხი.

გ. ერისთავს დრამად გადაუკეთებია აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“. აღნიშნული დრამის ხელნაწერები დაცულია საქ. სახ. თეატრალურ (142/3) და ლიტერატურულ მუზეუმებში (482/4).

გ. ერისთავის ორიგინალური პიესები, შეიძლება ითქვას, თავისუფალი არიან ყოველგვარი გავლენისაგან. ეს გარემოება საგანგებო აღნიშვნის ღირსია იმდენად, რამდენადაც გ. ერისთავს დამოუკიდებლად უხდებოდა ქართული რეალისტური დრამატურგიისათვის საფუძვლის ჩაყრა. ეს პიესები გვარწმუნებენ, რომ მათი ავტორი კარგად იცნობს გრიბოედოვის, პუშკინის და გოგოლის დრამატურგიას, ბევრ რამეს სწავლობს მათგან, მაგრამ პირველ ყოვლისა იმას, რომ მწერალი თავისი თანამედროვე ცხოვრების პირუთვნელი მხატვარია, რომელსაც მოეთხოვება დიდი ეროვნული ბუნება და დამოუკიდებლობა.

გ. ერისთავი თავისი რუსი მასწავლებლების ღირსეული მოწაფეა, მაგრამ „მოწაფეობა“ ვლინდება მისი პიესების საერთო ხასიათში და არა კონკრეტულად ხელშესახებ ფაქტებში.

გ. ერისთავის პიესებს საინტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვთ. მათი წყაროა მწერლის მიერ უშუალოდ შესწავლილი და განცდილი სინამდვილე. ბევრ მათგანს ავტორის ბიოგრაფიული ელემენტებიც თავისებურად შეუხორცებია.

გ. ერისთავის პირველი დრამატურგიული ცდა იყო „შეშლილი“. „შეშლილი“ მას დაუწერია 1839 წელს. „შეშლილის“ დაწერის საბაბი, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, გახდა პოეტის მიერ განცდილი მარცხი სიყვარულ'ში. მას, ქალის მშობლების მიზეზით,

გაუთხოვდა თავისი დანიშნული ბაბალე ორბელიანი, რამაც პოეტის მუზას ირონიით შეზავებული მწუხარების გამომხატველი ლექსები მოსტაცა. მასზე ადრე პოეტის გული დაკოდა აგრეთვე ეკატერინე ერისთავმა, რომლის მისამართითაა დაწერილი ლექსი „გაქსუებული“. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ლექსი მწერალმა უცვლელად გამოიყენა „შეშლილში“. ტასო ეჭიმს უმღერის ბეგლარის მიერ მასზე დაწერილ სიმღერას: „მებრალვის, ვწუხვარ, რა ვნახამ ჭაბუკსა ქალსა ორგულსა“... („გაქსუებული“).

ბეგლარის სახის შექმნისას მწერალმა თავისი თავგადასავალი გამოიყენა; ბეგლარის პროტოტიპი თვით გ. ერისთავია. ასევე, პიესაში გამოყვანილი „ტატო“ (ზოგიერთი ხელნაწერების მიხედვით „ერთი ყმაწვილი“), რომელიც ლოტოს მოთამაშე ქალებს ტასოს დაღუპვას ატყობინებს, ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილია. ეს გარემოება ჯერ კიდევ გიორგი თუმანიშვილმა აღნიშნა[1].

საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ: „შეშლილის“ ხელნაწერების შესწავლა და ერთმანეთთან შეჯერება გვარწმუნებს, რომ იგი პირველად არ იყო იმ სახით დაწერილი, როგორც ჩვენ მას დღეს ვიცნობთ. კერძოდ, პირველად მწერალს დაუწერია დღეს ჩვენთვის ცნობილი მეორე ნაწილი, ხოლო პირველი ნაწილი შემდეგ დაუმატებია.

„შეშლილის“ ადრეულ ხელნაწერებში არაა პირველი ნაწილი. თეატრალურ მუზეუმში დაცულია ორი ხელნაწერი. მათგან ერთი გადაწერილია იოსებ მოსეს ძე ჩიკვაიძის მიერ, ხოლო მეორე — ივანე ბროძელოვის მიერ. პირველ ხელნაწერზე (10811/3) მიწერილია: „დასრულდა გლუხარიჩისაგან თქმული; მე იოსებ მოსეს ძემ ჩიკვაიძემ გარდმოვწერე წიგნი ესე ჩემი ნათლულის ნიკოლოზ ქოქრაშვილის ასულის ქეთევანისათვის... დაიწერა წიგნი ესე ჩყნბ-ს წელსა (1847 წ.) მაისის კდ-ს (24-ს) რიცხვსა“.

ხელნაწერს აქვს, აგრეთვე, მინაწერები: 1. „ვისაც გიყვარდეთ სამება, ისმინეთ ეს მოხსენება: ითხოვოთ, არ წაახდინოთ, ამისთვის რა დაგვაკლდება“, 2. „ვინც ითხოვოთ, პატრონს მალე მოუტანეთ, რომ კიდევ ბევრჯერ ითხოვოთ“.

აღნიშნული ხელნაწერი წარმოადგენს „შეშლილის“ დღევანდელ მეორე ნაწილს. თანაც ჩანს, რომ გადამწერს შემთხვევით როდი „გამოუტოვებია“ პირველი ნაწილი. მით უმეტეს, რომ, როგორც მინაწე-

[1] Г. Туманов. Характеристики и воспоминания, 1913 г., I.

რიდან ჩანს, „შეშლილი“ ხელიდან ხელში გადადიოდა, ძალზე ბევრი მკითხველი ჰყოლია. მოვიგონოთ პ. უმიკაშვილის სიტყვებიც: „გიორგი ერისთავის სახელი წინათ (თეატრის დაარსებამდე— დ. გ.) მჭონდა გაგონილი, ხელნაწერი მისი „შეშლილი“ აქა-იქ იპოვებოდა და გადაწერილი ჰქონდა დეიდა ჩემსაც. ჩემს ნათესავებში თითქმის ზეპირად იტყოდნენ ხოლმე ზოგ ადგილებსო“ [1].

ჩვენს შეხედულებას კიდევ უფრო უეჭველს ხდის მეორე ხელნაწერი (10811/3), რომელიც თეატრალური მუზეუმისათვის გადაუცია 1947 წელს ელენე სტანისლავის ასულ ციციშვილ-ლუკაშვილისას. ხელნაწერი სრული, კარგად შენახული და ლამაზად გადაწერილია, მაგრამ შეიცავს კვლავ მეორე ნაწილს. აღნიშნული ხელნაწერი ერთ-ერთი უძველესთაგანია[2]. იგი გადაწერილია „ჩყმა (1841) წელსა, ოქტომბრის ზ (7) დღესა ივანე ბროძელოვისაგან“. ასეთივე სურათს იძლევა სხვა ადრეული ხელნაწერებიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ გ. ერისთავმა 1839 წელს დაწერა „შეშლილის“ მეორე ნაწილი, შემდეგში კი დაუმატა პირველი ნაწილი. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ „შეშლილის“ მეორე ნაწილში მწერალი იყენებს თავის ადრეულ ლექსებს. ხოლო პირველ ნაწილში მეორდება ადგილები „დავადან“. კერძოდ, „შეშლილის“ პირველ ნაწილში თითქმის უცვლელად მეორდება „დავის“ მეორე მოქმედების I, VI და VIII სურათები (გამოსვლა), მესამე მოქმედების IV, VI, X, XI და XII სურათები, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სურათებზე, საიდანაც აღებულია ცალკეული ადგილები.

როგორც ვიცით, „შეშლილის“ შემდეგ გ. ერისთავმა „დავა“ დაწერა. ავტოგრაფში აღნიშნულია, რომ კომედია დაწერილია „ჩყმ (1840) წელსა.“

„შეშლილის“ პირველი ნაწილი „დავის“ შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ანიტომაა, რომ ხელნაწერები, რომლებიც პირველი ვარიანტიდან მომდინარეობს, არ იცნობს აღნიშნულ ნაწილს.

საბოლოო რედაქციით „შეშლილი“ მხოლოდ 1863 წელს გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (№ 2).

„შეშლილის“ ორიგინალობის საკითხი ეკვს ქვეშ არავის დაუყენებია, მაგრამ დოც. ა. გაჩეჩილაძემ, რომელიც საგანგებოდ მსჯელობს გ. ერისთავის კომედიათა წყაროების შესახებ, იგი მოაქცია გ. ერისთავის ორიგინალურ პიესათა იმ რიცხვში, „რომლებიც

[1] გახ. „ივერია“, 1899 წ., № 209.

[2] ამ ხელნაწერში ნაცვლად „ერთი ყმაწვილისა“ დასახელებულია პირდაპირ „ტატო“.

გავლენით ხასიათდებიან"[1]. „შეშლილს", — წერს ა. გაჩეჩილაძე, — ემჩნევა გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან" გავლენა... ჩაცკისა და ტასოს თითქმის ერთი და იგივე ბრალდება აქვს წაყენებული. ისინი აღიარებულნი არიან „ურჯულოებად" და „ეოლტერიანელებად", „გ. ერისთავის „შეშლილი" და გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" იდეურადაც ერთმანეთს ენათესავება. ბეგლარი და ტასო, ისე როგორც ჩაცკი, ვერ ეგუებიან მაშინდელი მეშჩანური საზოგადოების უვარგის პირობებს. ბეგლარს ახასიათებს მისწრაფება მაშინდელი უვარგისი საზოგადოებრივი ცხოვრების დატოვებისაკენ"[2]. მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ „თავის მხრივ, როგორც აღნიშნავენ, გრიბოედოვის კომედიას „ვაი ჭკუისაგან" ახასიათებს მოლიერის „მიზანტროპის" გავლენაო"[3].

თავისი შეხედულების დასამტკიცებლად ა. გაჩეჩილაძის მიერ მოყვანილ მაგალითებს ობიექტურად მხოლოდ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ „შეშლილი" არაა გავლენით შექმნილი ნაწარმოები. „შეშლილის" იდეური ნათესაობა გრიბოედოვის კომედიასთან ან მოლიერის „მიზანტროპთანაც" იმას მოწმობს, რომ ცხოვრების სინამდვილის მსგავს პირობებს შეუძლია მსგავსი ასახვანი პოვონ სხვადასხვა მწერალთა ნაწარმოებებში.

ამასთანავე, ის საბუთები, რის მიხედვითაც მკვლევარი „შეშლილზე" გრიბოედოვის კომედიის გავლენას „ადასტურებს", მეტი უფლებით შეიძლება მივუყენოთ „დავას", რომელიც, მისი თქმით, ეკუთვნის ნაწარმოებთა იმ ჯგუფს, რომელიც „სხვა მწერლის შემოქმედების გავლენის გარეშე დგას". კერძოდ, ბეგლარის სიტყვები: „აღვფრინდე მაღლა და კვალად მაღლა..." რომელსაც ადარებს ჩაცკის სიტყვებს: „შორს მოსკოვიდან...", „შეშლილში" გადმოტანილია „დავადან". უფრო მეტიც, „დავაში" მიხეილი ბეგლარს ეუბნება: „სწორედ ფამუსოვი ხართო..."

ცხადია, ასეთი მსგავსება გავლენით არ შეიძლება აიხსნას. გავლენას არ გულისხმობს არც ის, რომ კომედიის „ვაი ჭკუისაგან" გმირს (ფამუსოვს) იხსენიებს „დავაში" მწერალი. ასეთი შემთხვევები სხვა რაიმეს მოწმობენ, მაგრამ არა გავლენას.

კომედია „დავას" თავისი ისტორია აქვს. გ. ერისთავის პირველი სრული დრამატურგიული თხზულება „დავა" არის. იგი, როგორც აღვნიშნეთ, 1840 წელსაა დაწერილი, ხოლო თეატრში პირველად 1850 წლის 3 (15) მაისს წარმოადგინეს.

[1] ა. გაჩეჩილაძე. გიორგი ერისთავის დრამატურგია, 1945 წ., გვ. 88

[2] იქვე, გვ. 99—100.

[3] იქვე, გვ. 101.

60-იანი წლებისათვის „დავის“ ხელნაწერები, როგორც ჩანს, ძნელად მისაწვდომი ყოფილა, ხოლო ბეჭდური გამოცემა არ არსებობდა. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ გ. ერისთავის თხზულებათა პირველმა გამომცემელმა ალექსანდრე ერისთავმა, მიუხედავად იმისა, რომ „დროების“ საშუალებით მიმართა მკითხველებს[1], „დავის“ ხელნაწერი ვერ აღმოაჩინა და ვერ შეიტანა თავის 1867 წლის გამოცემაში.

„დავა“ პირველად 1871 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ (№ 5, 6) და ცალკე წიგნადაც გამოიცა იმავე წელს. შემდეგ იგი შევიდა გ. ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემაში, სადაც საგანგებო შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ეს კომედია პირველათ „კრებულში“ დაიბეჭდა და პირველ გამოცემაში არ იყო მოქცეული.

თ. გ. ერისთავის ქაღალდებში „დავის“ დედანი მთლად არ აღმოჩნდა. ზოგიერთი შუა სცენები, ზოგი იმ პირთა სიტყვით შევადგინეთ, რომელთაც პირველად ეთამაშნათ ამ კომედიაში და ზოგიერთი რუსულის ლიბრეტოდგან, რომელიც მშვენიერად არის შედგენილი დ. ი. ყიფიანისაგან. მაგალითებრ მეშვიდე გამოსვლა მეოთხე მოქმედებისა ზეპირათ არის დაწერილი იმ პირის სიტყვებით, ვისაც პირველად „დავაში“ იმერლის როლი (იგულისხმება რევაზ ერისთავი.—დ. გ.) უთამაშნია; მეხუთე მოქმედება, მეცხრე გამოსვლიდამ მეთექვსმეტემდის, არის შედგენილი რუსულის ლიბრეტოდგან... ვინ იცის, იქნება შუა სცენებიც შესცვალა შემდეგში ავტორმა, რადგანაც ის დედანი, რომლიდგანაც ეს კომედია გადმოვიღეთ შავად იყო დაწერილი...“ [2].

„დავის“ ავტოგრაფი უფრო გვიან აღმოჩნდა. იგი საფუძვლად დაედო გ. ერისთავის თხზულებათა 1937 წლის გამოცემაში მოთავსებულ „დავის“ ტექსტს.

როგორც ჟურნალ „კრებულის“ რედაქციის მიერ გაკეთებული შენიშვნიდან (1871 წ., № 5) ჩანს, გ. ერისთავს ყველა თავის თხზულებაზე მეტად „დავა“ ჰყვარებია. ეს გარემოება გაკვირვებას არ იწვევს. პირველ ყოვლისა, „დავა“ არის ავტორის პირველი სრული და ყოველმხრივ გამართული კომედია. ამასთანავე, „დავაში“, უფრო ხშირად ვინემ სხვა კომედიებში, მოხდენილადაა გამათრახებული ბიუროკრატიული აპარატის მექრთამე მოხელეები. ამავე კომედიაში ავტორმა მთელი სისრულით გამოიყვანა ბეგლარი, რომლის სახის შექმნისათვის თავისი თავგადასავალი გამოიყენა.

---

[1] გახეთი „დროება“, 1867 წ., № 22.

[2] „თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება“, 1884 წ., გვ. 173.

„დავის“ საშუალებით გ. ერისთავმა მზის სინათლეზე გამოიტანა მე-18 საუკუნის 40-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბიუროკრატიული მართვა-გამგეობის ჩამორჩენილობა და უმსგავსობა. „დავის“ გმირები უშუალოდ ცხოვრების სინამდვილიდან არიან აღებულნი. მასში არაფერია უცხო და აშკარა ფანტაზიის ნაყოფი. ცხადია, ძნელი არაა ამირინდოსა და ონოფრეს პროტოტიპთა მოძებნა გ. ერისთავის თანამედროვეთა შორის. რაც შეეხება ბიუროკრატ მოხელეთა წარმომადგენლებს, მათი სახეების სინამდვილეს მოწმობს თვით ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ამ პიესის წარმოდგენამ იმდროინდელ მოხელეთა შორის. ა. ა. ხარიტონოვი თავის ერთ-ერთ მოგონებაში წერს: „В первой пьесе („დავაში“. —დ. გ.), разыгранной в зале Тифлисской гимназии, две роли оставлены были для русских: чиновник-взяточник и пьяный слуга. Никто из русских не аплодировал, кроме самого князя Воронцова и Сафонова. Щербинин, игравший чиновника, был в отчаяний: когда ему предложили принять участие в спектакле, он не знал, что за роль, а потом не мог уже от нея отделаться. Перед выступлением на сцену, он говорил, что идет на посрамление. Между тем, автор этой нелепейшей по содержанию пьесы... князь Г. Д. Эристов, нигде прежде не служивший, назначен был прямо чиновником особых поручений при наместнике, что не помешало ему ходить по-прежнему в чухе. Много было об этом разговоров, и все сожалели об упадке престижа, которым пользовался до того времени наш наместник не только в крае, но и в целой России. Мы поэтому были отчасти довольны, когда он в половине мая выехал из Тифлиса внутрь края“ [1].

გასაგებია, თუ როგორ გაუმწარებია „დავას“ საქართველოში მყოფი ბიუროკრატი-მოხელეები, როცა 34 წლის შემდეგაც ასეთი ბოღმით ლაპარაკობენ.

გამოთქმულია შეხედულება[2], რომ ლიზა („ვაი ჭკუისაგან“) ცხადლივ მეორდება „დავაში“, ნინოს მოახლე ნენეს სახით. ასევე, ოსიპის („რევიზორი“) განმეორებად მიაჩნიათ აბრამი („დავა“). მაგრამ აღნიშნული გმირები ისეთი მესამეხარისხოვანი პირები

---

[1] А. Л. Харитонов—„Служба при князе Воронцове“, См. „Русская старина“, 1884 г., Апрель, стр. 137—133.

[2] მ. ხანდუკელი. ახალი ქართული ლიტერატურა, 1939 წ., გვ. 94.

არიან პიესაში, რომ მათ შესაქმნელად საჭირო არ იყო გრიბოედოვი და გოგოლი. ასეთივე გმირები ხშირად გვხვდებიან გ. ერისთავის სხვა კომედიებში და საერთოდ იმდროინდელ კომედიებშიც.

„დავის“ დაწერიდან რამდენიმე წლის შემდეგ გ. ერისთავმა დაწერა კომედია „გაყრა“, რომლის ხელნაწერი არ შენახულა, მაგრამ სამაგიეროდ გვაქვს 1850 წელს გამოცემული ნაბეჭდი ტექსტი.

შესაძლებელია თუ არა „გაყრის“ დაწერის ზუსტი თარიღის დადგენა? როგორც აღვნიშნეთ, კომედიის ავტოგრაფი არ შენახულა: არც რაიმე სხვა ცნობა არ მოიპოვება ამ თარიღის დასადგენად. გამოთქმულია შეხედულება, რომ კომედია „გაყრა“ დაიწერა იმავე ხანებში, როცა „დავა“[1]. ასეთი მცდარი მოსაზრება ეყრდნობა. ალექსანდრე ესტატეს ძე ერისთავის მოგონებას: „კომედია „გაყრა“ იყო დაუბეჭდველი და წარმოუდგენელი ვორონცოვის მოსვლამდეო“[2].

ჩვენი შეხედულებით, „გაყრა“ დაწერილია 1849 წელს. ვფიქრობთ, მისმა დაწერამ (რომელიც წაკითხულ იქნა მანანა ორბელიანის სალონში) ხელი შეუწყო იმას, რომ ქართველ ინტელიგენციას მტკიცედ მოეთხოვა ქართული თეატრის დაარსება.

აღნიშნული თარიღის (1849 წ.) სინამდვილეზე ლაპარაკობს თვით კომედიის ერთ-ერთი ადგილი, სადაც ვკითხულობთ: „რ ა მ ა ზ — (დაიწყებს კითხვას) — ჩვენდა მოცემულისა თავადთა: ანდუყაფარ, პავლე და ივანე დიდებულიძეთაგან განვჩხრიკეთ ყოველნი მათნი დავანი გარეშენი, აგრეთვე ვალნი მათნი, სადაცა აღმოჩნდა, რომელ ვალი არის აღებული თავადი ანდუყაფარ დიდებულიძისაგან ორმოცდახუთი თუმანი 1825 წელსა მიკირტუნ გასპარიჩი ტრდატოვისაგან, ჟამსა თავადის ივანე დიდებულიძის პეტერბურგში გაგზავნისათვის, რომელიც ეს ვალი შემდგარა თამასუქის გამოცვლით ოთხას ოცი თუმანი 1842 წლამდე. აგრეთვე დიდებულიძეს აუღია სამოცი თუმანი ჟამსა თავადის ივანეს ვარშავაში წასვლისა, ესე იგი 1849 წელსა და შემდგარა 120 თუმანი...“

მოყვანილი ციტატის უკანასკნელი წინადადება, ვფიქრობთ, დამახინჯებულია გამოცემებში და გარკვეულ რედაქციას საჭიროებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ 1849 წელია აქ დასახელებული, გვირკვევს კომედიის დაწერის თარიღს.

---

[1] გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ., № 1.

[2] გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1848 წ., № 48.

„გაყრას“ გ. ერისთავმა საფუძვლად დაუდო რეალური სინამდვილე. ამას მოწმობენ ის მოგონება გადმოცემანი, რომლებიც ამ კომედიას ეხებიან. ცნობილი მოღვაწე გ. თუმანიშვილი გადმოგვცემს, რომ „ძველ კაცებს კარგად ახსოვთ ჯერ კიდევ, რომ ერისთავის ტიპები აღებულია ადგილობრივ ცხოვრებიდან. „გაყრაში“ ავტორმა გამოიყვანა თავისი თავი და თავისი ნათესავები და ნაცნობები. მათი გვარი ზოგიერთს კიდევ ახსოვს“[1].

ხოლო გ. ერისთავის თხზულებათა 1936 წლის გამოცემაში მოთავსებულ შენიშვნების ავტორს მოჰყავს ასეთი ამონაწერი მწერლის ერთერთი თანამედროვის მოგონებიდან: „ამ დროებაში საქართველოში იყო დიდი დავა და ჩხუბი გაყრაზე. მეტადრე აქედან შეადგინა გიორგიმ... კომედია „გაყრა“ და ხელნაწერი იკითხებოდა ყოველს პატიოსანს სახლში, რომელიც თვის ნამდვილის გამოხატვით ხასიათისა და მოქმედნი პირნი იყვნენ ნამდვილი გადაღებული დღიურის ცხოვრებისაგან. უმეტეს კომედია ესე იყო სასიამოვნო ოდესცა თვით მთხზველი წაიკითხავდა, ნამდვილის წარმოდგენით მასში აღწერილ მოქმედ პირთა“ [2].

„გაყრის“ ორიგინალობის საკითხი საეჭვოდ არასოდეს გამხდარა, მაგრამ გარკვეული შეცდომა ამ კომედიის დაწერის შესახებ გამოთქმულ შეხედულებაში დაუშვა ცნობილმა პოეტმა აკ. წერეთელმა.

აკ. წერეთელმა გამოთქვა შეხედულება, რომ „გაყრა“ შეიქმნა ა. პისემსკის პიესის („Раздел“) გავლენითო [3]. თითქოს, პისემსკის კომედია დ. ყიფიანმა გააცნო გ. ერისთავს და მანაც სულ მალე დაწერა „გაყრაო“. ეს ორი კომედია მართლაც ძალიან გვანან ერთმანეთს და, ერთი შეხედვით, საეჭვო არაფერი იყო. მაგრამ მალე გამოირკვა აკ. წერეთლის ცნობის უსაფუძვლობა.

აკ. წერეთლის გადმოცემის საპასუხოდ გ. თუმანიშვილმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც წერდა: „... გამოვძებნე პისემსკის პიესა „Раздел“ და გადავიკითხე. მაშინ დავრწმუნდი, რომ ზემოაყვანილ მოთხრობაში (ლაპარაკობს აკ. წერეთლის ცნობაზე.—დ. გ.) გ. ერისთავის მიერ „გაყრის“ დაწერის შესახებ ჩვენი ისტორიკოსი ცდება. ჯერ ერთი ეს, რომ გ. ერისთავის პიესა პირველად წარმოდგენილი იყო 1850 წ. ჩანს დაწერილია ან ამ წელს, ან უფრო ადრე. პისემსკის კომედია „Раздел“ კი დაბეჭდილია „სოვრემენიკში“ 1853 წ., ე. ი. სამი წლის შემდეგ. მაშასადამე, შეუძლებელია, რომ დიმიტრი ყიფიანს და ერისთავს წაეკითხათ ჟურნალი

[1] გახეთი „თემი“, 1912 წ., № 58.

[2] გიორგი ერისთავი. თხზულებანი, 1936 წ., გვ. 404.

[3] გახეთი „თემი“, 1912 წელი, № 55.

1849 ან 1850 წელს, რომ პისემსკიმ თავის პიესა დაბეჭდა მხოლოდ 1853 წ. ამას გვიმტკიცებენ ზელინსკის და ვეტრინსკის წერილები. პირველი დაბეჭდილია პისემსკის თხზულების კრებულში (იხ. ჟურნალი „ნივას“ გამოცემა), მეორე იგიეეს გვატყობინებს პისემსკის ბიოგრაფიაში, რომელიც დაბეჭდილია ოვსიანკო-კულიკოვისაგან შედგენილ „XIX საუკუნის რუსული მწერლობის ისტორიაში“... ამას გარდა სიუეეტი პისემსკის პიესისა ძლიერ ცოტად მოგვაგონებს გ. ერისთავის „გაყრას“. მართალია, ორივე პიესაში მებატონეების გაყრა სასაცილოდ არის გამოყვანილი, მაგრამ სარჩული სხვადასხვა არის“ [1].

გ. თუმანიშვილის შეხედულება ყოველმხრივ საფუძვლიანი და დამაჯერებელია, ვინაიდან იგი ემყარება საკმაოდ გამოცდილი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის მიერ ჩატარებულ საგანგებო დაკვირვებასა და შედარებას. აღნიშნული შეხედულების საფუძვლიანობაში დავრწმუნდით ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობითაც.

საყურადღებოა, რომ გ. ერისთავის თხზულებანის 1936 წლის გამოცემის შენიშვნებში საკითხი დაყენებულია მეორე კუთხით: „ვინ იცის იქნებ რუსი მწერლის პისემსკის „Раздел“-ის შექმნაში გ. ერისთავის რუსულად თარგმნილმა „Раздел“-მა მოახდინა გავლენაო?!“ [2].

ა. გაჩეჩილაძე შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ა. პისემსკიზე უეჭველი გავლენა მოახდინა გ. ერისთავის „გაყრამ“ [3]. თავისი შეხედულების გასამტკიცებლად იგი მიუთითებს რიგ მსგავსებებზე, რომელთაც ჩვენი მხრით კიდევ შეგვიძლია დავუმატოთ სხვა მაგალითებიც, მაგრამ ის მაინც არ იკმარებს ასეთი დებულების გასაზიარებლად. ვფიქრობთ, ჰეშმარიტებასთან უფრო ახლოსაა გ. თუმანიშვილი, რომლის თქმით: „სიუეეტი პისემსკის პიესის ძლიერ ცოტად მოგვაგონებს გ. ერისთავის „გაყრას“. მართალია, ორივე პიესაში მებატონეების გაყრა სასაცილოდ არის გამოყვანილი, მაგრამ სარჩული სხვადასხვა არის“. სხვათა შორის, ა. გაჩეჩილაძე საყვედურობს გ. თუმანიშვილს, რატომ ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეჭვარებინა პისემსკიზე გ. ერისთავის გავლენაო, მაგრამ მას არ მოჰყავს გ. თუმანიშვილის აღნიშნული დებულება, რომელიც გვიჩვენებს,რომ მისი ავტორი სხვაგვარი შეხედულებისაა და არათუ „ვერ მივიდა“, არამედ არ მივიდა სრულიად შეგნებულად.

---

[1] გაზეთი „თემი“, 1912 წ., № 58.

[2] გიორგი ერისთავი. თხზულებანი, 1936 წ., გვ. 404.

[3] ა. გაჩეჩილაძე. გიორგი ერისთავის დრამატურგია. 1945წ., გვ. 137—141.

შედარებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა „ძუნწის“ ორიგინალობის საკითხი. არ დარჩენილა არც ერთი მწერალი, რომელსაც სიძუნწეზე რაიმე დაუწერია, რომლის გავლენა თავზე არ მოეხვიათ გ. ერისთავისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ თეორიის ავტორებსაც ერევათ, თუ ვისი გავლენა აღიარონ: პლავტის. მოლიერის, პუშკინის თუ სხვების. ცხადია, არსებობს გარკვეული მსგავსება პლავტის „ქილას“, მოლიერის „ძუნწს“, პუშკინის „ძუნწ რაინდსა“ და გ. ერისთავის „ძუნწს“ შორის, მაგრამ ამ მსგავსების დაყვანა გავლენამდე უსაფუძვლო და მცდარია. კერძოდ, მსგავსებაა ამ ნაწარმოებთა იდეურ შინაარსსა და სიუჟეტურ ქარგას შორის, მაგრამ „მასალა“ (და თვით პერსონაჟები) თავისი ქვეყნის ცხოვრების სინამდვილიდან აქვთ აღებული. ამიტომაც, ეს ნაწარმოებები გვიხატავენ ავტორების თანამედროვე და გარემო სინამდვილეს.

გ. ერისთავის „ძუნწი“ არის საქართველოს ცხოვრების სინამდვილიდან აღებული სურათი, რომელიც მოხდენილად წარმოგვიდგენს გასული საუკუნის 50-იანი წლების პირველდამგროვებელი ვაჭრების ფსიქოლოგიასა და მათი განვითარების იმდროინდელ დონეს. იგი იმდენად და ისევე ორიგინალურია, როგორც მოლიერის „ძუნწი“, ან პუშკინის „ძუნწი რაინდი“.

პლავტის — ევკლიონსა, მოლიერის — ჰარპაგონსა, პუშკინის — ბარონსა და გ. ერისთავის — კარაპეტას შორის არის იმდენი მსგავსება, რამდენიც მოსალოდნელია ყოფილიყო ძუნწ ვაჭრებს შორის საერთოდ, მაგრამ არის ისეთი განსხვავებაც, რომელიც მათში ასევე უნდა ყოფილიყო მათი გარემო ცხოვრების განსხვავებულობისა და თავისებურების გამო. ამ უკანასკნელის ჭეშმარიტი ასახვა და გამოვლენა აძლევს ამ ნაწარმოებთ უდავოდ ორიგინალურ ბუნებას და საფუძველს აცლის გავლენის დაუსაბუთებელ თეორიას.

ასეთ შემთხვევაში არ კმარა ვილაპარაკოთ გმირთა მხოლოდ მსგავსებაზე (მსგავსება ძუნწ ვაჭრებს შორის ცხადია იქნება). მკვლევრის ყურადღება უფრო მეტად განსხვავებებმა უნდა მიიპყროს, ვინაიდან ამ უკანასკნელის ჭეშმარიტ გამოვლენაში გამოჩნდება მწერლის ორიგინალობა და მხატვრული ოსტატობაც. ხოლო ვინ იტყვის, რომ კარაპეტა დაბალეოვი უფრო მეტად ჰგავს იტალიელ ევკლიონებს, ფრანგ ჰარპაგონებს ან რუს ბარონებს, ვინემ იმდროინდელ თბილისელ სომეხ ვაჭრებს? ანდა, არჩილი განა ქართველი თავადის დამაჯერებელი სახე არაა? და თუ საკითხი ეხება თემატიკურ ნათესაობასა და მხატვრული ხერხების მსგავსებას, მაშინ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არის რიგი თემები,

რომლებმაც მწერლობაში საყოველთაო ხასიათი მიიღეს და მსგავსი მხატვრული დამუშავებაც პოვეს.

„ძუნწი“ დაიწერა 1850 წელს და პირველად წარმოადგინეს 1851 წლის იანვარში, თეატრის ახალ შენობაში.

„წარსული დროების სურათები“ (ანუ „თევზის კანტორა“) დრამატურგს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაუწერია (1863—1864 წწ.).

ასეთია მოკლედ შემოქმედებითი ისტორია გ. ერისთავის იმ ორიგინალური პიესებისა, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს.

მაგრამ გ. ერისთავის სახელთან დაკავშირებულია სხვა პიესებიც, რომელთა ორიგინალობის საკითხზე დღემდე აზრთა სხვადასხვაობა წარმოებს. ამიტომ, მათ შესახებ გარკვეული კვლევა-ძიების ჩატარება მოგვიხდა, რის შედეგადაც ბევრი რამ უკვე აშკარა გახდა.

ჯერ კიდევ ი. მეუნარგიამ აღნიშნა, რომ „თილისმის ხანი“ გადმოკეთებულია რუსულიდანო[1], მაგრამ არ ასახელებს წყაროს. ამიტომ, ზოგიერთი მკვლევარის მიერ შემდეგ იგი ორიგინალურ თხზულებად იქნა აღიარებული. „თილისმის ხანის“ ლიტერატურული წყაროების დადგენასა და მისი ორიგინალობის გარკვევას უკანასკნელ დროს ა. გაჩეჩილაძე შეეცადა.

ა. გაჩეჩილაძის თქმით, „თილისმის ხანის“ „მსგავს პიესას რუსეთის დრამატურგია არ იცნობს“[2]. სამაგიეროდ, მას მიაჩნია, რომ არსებობს გარკვეული მსგავსება და ნათესაობა „თილისმის ხანსა“, კალდერონის „ცხოვრება სიზმარია“ და შექსპირის „პირველეულის მოთვინიერების“ პროლოგს შორის. მათი გაცნობა, მისი შეხედულებით, გ. ერისთავს შეეძლო პოლონეთსა და რუსეთში ყოფნის დროს. საბოლოოდ იგი აყენებს კითხვას: „საიდან მოდის ამ პიესების ეს საერთო ჩონჩხი? სად არის მათი საერთო წყარო? ასეთ წყაროდ შექსპირის და კალდერონისათვის, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მსოფლიოში ცნობილი ზღაპრების კრებული „ათას ერთი ღამე“ იყო. ამ კრებულში, მრავალ დაკვირვებულად და ოსტატურად შედგენილ მშვენიერ ზღაპრებს შორის მოთავსებულია „ხალიფა ერთი საათით“, რომლის ზეგავლენით ევროპაში შეიქმნა მთელი რიგი ნაწარმოებები.

გ. ერისთავის კომედია „თილისმის ხანი“ შექმნილია ამ ზღაპრის უშუალო ზეგავლენით. ხოლო თუ „თილისმის ხანს“ და შექს-

---

[1] ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები, 1944 წ., II, გვ. 64.

[2] ა. გაჩეჩილაძე. გიორგი ერისთავის დრამატურგია, 1945 წ., გვ. 103.

პირის, აგრეთვე კალდერონის აღნიშნულ დრამატულ ნაწარმოებებს საერთო რამე აქვთ, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი წყარო ერთი და იგივეა"[1].

ხოლო საბოლოოდ დაასკვნის: „გ. ერისთავის კომედია „თილისმის ხანი" რუსულიდან კი არ არის გადმოკეთებული, როგორც ამას დღემდე ფიქრობდნენ, არამედ „ათას ერთი ღამის" ზღაპრის ზეგავლენით არის შექმნილიო"[2].

ამჟამად საკითხი გარკვეული არის. დადასტურდა, რომ მართალი იყო ი. მეუნარგია და ყველა ის, ვინც „თილისმის ხანს" რუსული ენიდან გადმოკეთებულ კომედიად თვლიდა. აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ სტუდენტმა ვ. ვახანიამ (ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა) გადაჭრა საბოლოოდ ჩვენი ხელმძღვანელობით დაწერილ ნაშრომში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა სტუდენტთა შრომებში[3].

„თილისმის ხანი" წარმოადგენს ნ. ი. კულიკოვის მიერ გერმანული ენიდან გადმოკეთებული კომედიის („Заколдованный принц, или переселение душ") თარგმან-გადმოკეთებას.

ნ. ი. კულიკოვის აღნიშნული გადმოკეთებული პიესა 1845 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში. მისი ერთ-ერთი ხელნაწერი, რომელსაც აზის 1846—47 წწ. თბილისის რუსული თეატრის ბეჭედი, დაცულია თეატრალურ მუზეუმში[4]. ხელნაწერს გარეკანზე აწერია: „Заколдованный принц, или переселение душ". Комедия-водевиль в трех действиях, переделанная с немецкого Н. И. Куликовым".

ჩვენ ხელთ გვქონდა აღნიშნული ეგზემპლარი და მოვახდინეთ მისი შედარება „თილისმის ხანთან". გამოირკვა: გ. ერისთავს შეუცვლია სათაური, მოქმედ გმირთა სახელები და შეუმცირებია რამდენიმე სურათი და ზოგიერთი დიალოგი. საერთოდ კი ის მიყვება დასახელებულ პიესას. სანიმუშოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ადგილს (პირველი მოქმედების მეორე გამოსვლიდან).

Явление 2-ое	გამოსვლა მეორე
Принц и фон-Лаубе (входят).	აბდულ-რახმან-ხანი და მაჰმად-ალი ხანი — ეს სახლი ხარაზის უნდა იყოს; როგორც ჩანს, ამისი პატრონი მდიდარი (არ) უნდა იყოს.
Принц—Квартира сапожника (осматривают), жилец повидимому не богат.	

[1] ა. გაჩეჩილაძე. გიორგი ერისთავის დრამატურგია, 1945 წ., გვ. 104.

[2] იქვე, გვ. 104.

[3] ვ. ვახანია. „ივანე კერესელიძის ცხოვრება და თეატრალური მოღვაწეობა". იხ. თ ს. უ. სტუდენტთა შრომები, ტ. III, გვ. 166—167.

[4] საქ. სახ. თეატრალური მუზეუმის ხელნაწერი П—2439.

Лабе— Дворь по закерта... в квартире никого, какая неосторожность!

Принц—Кажется тут и украсть нечего.

Лабе—А что вы скажете, Ваше высочество, если нас застанут!

Принц—Закажем пару сапогов.

Лабе—Однакож осмелюсь заметить Ваше свет...

Принц—Ну, полноте... Я вижу вам не правится, что я, как Гаруп-Аль-Рашид прогуливаю в моем владении инкогнито!

Лабе—Нет... я боюсь только неприятной встречи с каким-нибудь мужиком...

Принц—Пустое. Обращайтесь со всеми ласково, вежливо, и с вами тоже будут обращаться также. Впрочем, я рад иметь какое-нибудь развлечение. Эта перемена в жизни меня веселит и занимает меня... право, наскучила придворная болтовня и лесть: „Ваше светлость! благоволение, светлейший принц! как приказать...“

(გრძელდება დიალოგიც და სურათიც)

ვეზირი—კარი არის დაუკეტელი, ოთახში არავინ არის, როგორი დაუდევრობაა.

ხანი—მოსაპარავიც არა არის რა.

ვეზირი—რას ბრძანებთ!.. მაშინ, ჩვენ რომ აქ მოგვასწრონ?

ხანი—წაღები შევაკერვინოთ.

ვეზირი—მაგრამ გაებედამ, თქვენო მაღალ ხარისხოვნებავ...

ხანი—კმარა. მე ვხედავ, რომ თქვენ არ მოგწონთ, რომ როგორც გარუნალ რაშიდი დავდივარ ჩემს სახანოში დაფარულის სახით.

ვეზირი—მე მეშინიან, რომ უკადრისს შეთმხვევას არას შევხვდეთ გლეხთაგან.

ხანი—არაფერია. ყველასთან ალერსიანად იყავით, ისინიც ალერსიანად მოგექცევიან. ამასთანავე ესეც ხომ იცით, რომ რა მოუთმენელად მოველი ჩემი საცოლის მოსვლას. ამაღამ მე ძილი არ მომივა, მანამ რით გავატაროთ დრო, არაფერი შეკეთება არა არის რა.

ასეთი დამთხვევა გვაქვს ამ პიესებს შორის საერთოდ.

აღნიშნული პიესიდან თითქმის უცვლელად იღებს გ. ერისთავი აგრეთვე რემარკებს.

სადაურ არაფერია. გ. ერისთავის „თილისმის ხანი“ წარმოადგენს თარგმან-გადმოკეთებას ნ. კულიკოვის მიერ გერმანული ენიდან გადმოკეთებული კომედია-ოდევილისას („Заколдованный принц...“). აღნიშნული პიესა 1847 წლის 30 იანვარს წარმოუდგენიათ თბილისის რუსულ თეატრში (სადაც გ. ერისთავი, ჩანს, გაეცნო მას). ამას მოწმობს გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული განცხადება („Кавказ“, 1847 г., № 5).

ჩვენ თავის დროზე[1] საჭიროდ არ ჩავთვალეთ მოგვეტანა სათანადო ადგილები შედარებისათვის, მაგრამ კვლავ გამოითქვა საწი-

[1] დ. გამეზარდაშვილი. გიორგი ერისთავი (ცხოვრება და მოღვაწეობა), 1949 წ., გვ. 195.

ნააღმდეგო შეხედულება. პროფ. შ. რადიანი წერს: „უკანასკნელ დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ „თილისმის ხანი“ წარმოადგენს რუსი დრამატურგის ნ. კულიკოვის მიერ გერმანულიდან გადმოკეთებული კომედია-ვოდევილის „Заколдованный принц, или переселение душ“ თავისუფალ თარგმანსო...

ამ ნაწარმოებთა შეჯერებით გამოირკვა, რომ გ. ერისთავს მნიშვნელოვნად შეუცვლია აღნიშნული კომედია (სათაური, მოქმედ პირთა სახელები და მრავალი სურათი). ასე რომ, არ იქნება შეცდომა „თილისმის ხანი“ მაინც გ. ერისთავის ორიგინალურ ნაწარმოებად ჩაითვალოსო“ [1].

ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას აღნიშნული პიესების შედარება, როგორც ვნახეთ, არ იძლევა.

სხვათა შორის, ი. კერესელიძე, თავის მეტად უსაფუძვლო წერილში „ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“ [2] წერს, რომ „თილისმის ხანი“ გ. ერისთავმა ჩემგან მიითვისაო. ი. კერესელიძეს მართლაც აქვს პიესა „მოჯადოებული პრინცი“, რომელიც მან „ცისკარში“ გამოაქვეყნა. აღნიშნული პიესა წარმოადგენს ნ. კულიკოვის პიესის („Заколдованный принц...“) სიტყვა-სიტყვით თარგმანს, იმ დროს როცა გ. ერისთავი გარკვეულად ამცირებს სურათებსა და დიალოგებს, სცვლის სათაურსა და გმირთა სახელებს. ისინი მართლაც ერთი წყაროდან მოდიან, მაგრამ სხვადასხვაგვარი სახით. ცხადია, კერესელიძეს შეცდომაში შეეყვანართ, როცა გ. ერისთავს ცილს სწამებს. ამასთანავე, თვითონ არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ მისი „მოჯადოებული პრინცი“ თარგმანია.

სინამდვილეს არ შეეფერება ა. გაჩეჩილაძის შეხედულება, რომ „ი. კერესელიძემ 1868 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდა „თილისმის ხანის“ მიბაძვით დაწერილი კომედია „მოჯადოებული პრინცი“ [3]. აქ არავითარ მიბაძვასთან არ გვაქვს საქმე. ჩვენ წინაა მხოლოდ ორი სხვადასხვაგვარი თარგმანი ერთი და იგივე პიესისა [4].

მეტად სხვაგვარად წარმოგვიდგა „ყვარყვარე ათაბაგის“ ორიგინალობის საკითხიც.

ჯერ კიდევ 1870 წელს, გაზეთ „დროებაში“ (№ 40) პ. უმიკაშვილი აღნიშნავდა, რომ „ყვარყვარე ათაბაგის“ ავტორად ალ. ორბელიანი დეკანოზ ეფრემ ალექსიევ-მესხიევს ცნობდა და არა გ. ერისთავსო. ასეთივე ვერსია, უფრო ეჭვქვეშ, გაიმეორა ვ. გუ-

[1] გიორგი ერისთაული. პიესები, 1950 წ., გვ. 393—394.

[2] გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 17.

[3] ა. გაჩეჩილაძე. გიორგი ერისთავის დრამატურგია, 1945 წელი, გვ. 107.

[4] გ. ერისთავს ძველი „კატალოგები“ მიაწერს აგრეთვე ორმოქმედებიან პიესას „თილისმით მოარშიყე“, რომელიც მას არ ეკუთვნის.

ნიამაც („საქ. კალენდარი", 1895 წ., გვ. 288), ხოლო 1922 წელს გაზეთ „ტრიბუნაში" ზ. ჭიჭინაძე დანამდვილებით ირწმუნებოდა, რომ „ყვარყვარე ათაბაგი" ეკუთვნის ეფრემ ალექსიევ-მესხიევს, რომელმაც გ. ერისთავს თხოვა დაებეჭდა მისი დრამა „ცისკარში" ავტორის სახელის აღუნიშვნელად, ხოლო გ. ერისთავმა თავისი გვარი მოაწერაო.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ცნობილი ისტორია მეორდება. ჩანს, ეფრემ ალექსიევ-მესხიევსაც უთარგმნია ეს პიესა, მაგრამ მას გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგთან" კავშირი არა აქვს. სხვა თუ არაფერი, ალექსიევ-მესხიევი ცენზორი იყო და მისი ნებართვის გარეშე „ცისკარ'ში" არაფრის დაბეჭდვა არ შეიძლებოდა. მაშ რატომ დართო მან ნება გ. ერისთავს „ყვარყვარე ათაბაგი" თავისი სახელით გამოექვეყნებინა ჯერ ჟურნალში და შემდეგ ცალკე წიგნადაც?

ი. მეუნარგიას არქივში (ზუგდიდში) ნაპოვნია რვეული, რომელშიც წერია: „ყვარყვარე ათაბაგი", როგორც ალ. ორბელიანისაგან გაუგონია პ. უმიკაშვილს, ეკუთვნის მღ. ეფრემ ალექსიევს, რომელიც ერთ დროს ქართული ენის ცენზორათ იყო. მღვდელს იმ პირობით მიეცა, რომ არავის შეეტყო ავტორის სახელი. გ. ერისთავს „ცისკარში" თავის სახელით დაებეჭდა; ამაზე ავტორი გულნაკლულად იყო. „ყვარყვარე ათაბაგის" სიუჟეტი აღებულია ბოკაჩიოს მოთხრობიდან (ბატიუშკოვის თხზულებანი ნახე)" [1].

აღნიშნული ცნობა უნდა ემყარებოდეს 1870 წელს გაზეთ „დროებაში" (№ 32) გამოქვეყნებულ ცნობას, სადაც ნათქვამია: „ყვარყვარე ათაბაგის" სიუჟეტი უეჭველად უნდა იყოს აღებული ბოკაჩიოს მოთხრობიდან (ბატიუშკოვის თხზულებებში ნახე)".

ვიმეორებთ, ვერსია გ. ერისთავის მიერ ეფრემ ალექსიევ-მესხიევისაგან „ყვარყვარე ათაბაგის" მითვისების შესახებ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და მსჯელობის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია. ჩვენთვის საინტერესოა საკითხი „ყვარყვარე ათაბაგის" „გრიზელდადან" მომდინარეობის შესახებ.

ბოკაჩიოს „გრიზელდა", რომელიც წარმოადგენს მეათე დღის უკანასკნელ მოთხრობას, მართლაც აქვს ნათარგმნი კ. ნ. ბატიუშკოვს, რომელმაც იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოაქვეყნა; ხოლო შემდეგ მისი თხზულებანის 1850 წლის გამოცემაში შევიდა (ნაწილი 1, გვ. 272—289).

[1] გ. ერისთავი. თხზულებანი, 1936 წ., გვ. 408.

„გრიზელდას“ შესახებ, 1817 წლის მარტში, ბატიუშკოვი ნ. ი. გნედიჩს სწერდა: „Ergo, посылаю тебе милую Гризельду и милую Моровую Заразу из Бокачию. И то и другое можешь поместить между прозою или в конце, если печатание кончилось. Что нужды? сказка интересна: она и отрывок о заразе Caro d'orera итальянской литературы. Перечитай их с кем-нибудь знающим язык итальянский и что хочешь поправь. Но я, вопреки Олину, переводил не очень рабски и не очень вольно...“ [1].

ცხადია, გ. ერისთავს შეეძლო გაეცნო ბოკაჩიოს „გრიზელდას“ ბატიუშკოვის მიერ შესრულებული თარგმანი, მაგრამ მათმა შედარებამ დაგვარწმუნა, რომ „გრიზელდა“ არაა „ყვარყვარე ათაბაგის“ პირდაპირი და უშუალო წყარო.

მართალია, მათ შორის არის ფაბულარული მსგავსება, მაგრამ არის საგრძნობი და მეტად მნიშვნელოვანი განსხვავებაც. საერთოა ის, რომ ყვარყვარესაც და მარკიზ გვალტიერ სალუცკისაც დაბალი წრიდან გამოსული, ღარიბი ქალები შეურთავთ ცოლად. ამასთანავე, ერთიც და მეორეც ახდენენ თავიანთი ცოლების მკაცრ გამოცდას ერთგულებაში, მაგრამ ყოველივე ეს ხდება სხვადასხვაგვარ ვითარებაში, სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა საშუალებით. ერთმანეთს არ ემთხვევა ამბის განვითარებაში მონაწილე პერსონაჟებიც. „ყვარყვარე ათაბაგის“ იდეური შინაარსი უფრო ფართოა, ხოლო სიუჟეტური ხლართები გაცილებით რთული, ვიდრე ეს „გრიზელდაში“ გვაქვს.

ჩვენი ყურადღება ბუნებრივად მიიქცია გ. ერისთავის თხზულებანის 1884 წლის გამოცემაში გაკეთებულმა მითითებამ იმის შესახებ, რომ „ყვარყვარე ათაბაგი“ „გადაკეთებულია პალმის ტრაღედიიდგანო“ [2]. მაგრამ არსებობდა ამ შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრებაც. კერძოდ, პროფ. მ. ზანდუკელს აღნიშნული აქვს: „დრამა „ყვარყვარე ათაბაგი“ გადმოკეთებულია ჰოლლის (და არა ჰალმის, როგორც ეს ჩვენ კრიტიკაშია ცნობილი) ნაწარმოებიდან. ჰოლლი წარმომადგენელია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისის მწერლობისა“ [3]; „ჰალმი“ კორექტურული შეცდომის შედეგად მიღებულ მოვლენად მიიჩნია მკვლევარმა.

[1] „Сочинения К. Н. Батюшкова“, изд. П. Н. Батюшковым, 1886, т. III, стр. 420.

[2] „თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება“, 1884 წ., გვ. 369.

[3] მ. ზანდუკელი. ახალი ქართული ლიტერატურა, 1939 წ., ტ. II, გვ. 91.

სინამდვილეში, ლიტერატურის ისტორია კარგად იცნობს ჰალმს. ჰალმი (Halm) არის ლიტერატურული ფსევდონიმი დრამატურგ ელიგი-ფრანც მიუნხ-ბელლინჰაუზენის (Münch-Bellinghausen).

ელიგი-ფრანც მიუნხ-ბელლინჰაუზენი იყო ავსტრიელი დრამატურგი, დაიბადა 1806 წელს ქ. კრაკოვში. მისი დრამატურგიული შემოქმედება ჩამოყალიბდა ფრანც გრილპარცერის გავლენის ქვეშ. როგორც დრამატურგმა, მან პირველად ხელი მოკიდა ესპანური დრამების გადმოკეთებას, ხოლო 1837 წელს დრამად გადააკეთა ბოკაჩიოს „გრიზელდა“ („Griseldis“), რომელმაც დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. მას აქვს სხვა დრამებიც, კერძოდ — „უდაბნოს შვილი“, რომელიც ასევე დიდი ინტერესით იდგმებოდა.

ჰალმი თავის დრამებს გერმანულ ენაზე ლექსად წერდა. მისი დრამები გამოირჩევა ფსიქოლოგიზმითა და ეფექტური სცენებით, მაგრამ ეტყობა გადაჭარბებული ხელოვნურობა. გაცილებით უფრო მაღალმხატვრულ დონეზე დგას მისი მოთხრობები. ჰალმი გარდაიცვალა 1871 წელს.

ჰალმის „გრიზელდა“ მალე ითარგმნა რუსულ ენაზეც; მაგრამ რუსულ თარგმანში დიალოგები პროზად არის ნათარგმნი. იგი წარმატებით იდგმებოდა რუსულ სცენებზე. წარმოუდგენიათ თბილისის რუსულ თეატრშიც.

„გრიზელდას“ ორი ეგზემპლარი (ხელნაწერი), რომლებიც თბილისის რუსული თეატრის დირექციას ჰქონია და ტექსტს ატყვია რეჟისორის ხელი, დაცულია თეატრალურ მუზეუმში (Г1—732 და 733).

ჩვენ საგანგებოდ შევადარეთ „ყვარყვარე ათაბაგი“ ჰალმის „გრიზელდას“ და გამოვთქვით შეხედულება, რომ „იგი არაა თარგმანი, მაგრამ წარმოადგენს კი ერთგვარ ბაძვას“ [1]. მაგრამ ჩვენ მაშინ არ ვიცნობდით „გრიზელდას“ რუსულ თარგმანს, ამიტომ წინანდელ დასკვნაზე ამჟამად ხელს ვიღებთ. როგორც აღვნიშნეთ, ჰალმის „გრიზელდა“ ლექსად არის დაწერილი, ამასთანავე უფრო სრული მოცულობისაა, რამაც შეცდომაში შეგვიყვანა.

ამჟამად ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ „ყვარყვარე ათაბაგი“ და ჰალმის „გრიზელდას“ რუსული თარგმანი, კერძოდ, ის ეგზემპლარი, რომელიც თბილისის რუსულ თეატრს გამოუყენებია და რეჟისორის მიერ ფანქრით შეცვლილა ცალკეული დიალოგები. შედარებამ ნათელჰყო, რომ „ყვარყვარე ათაბაგი,“ წარმოადგენს ჰალმის „გრიზელდას“ რუსული თარგმანის თარგმან-გადმოკეთებას.

---

[1] დ. გამეზარდაშვილი. გიორგი ერისთავი (ცხოვრება და მოღვაწეობა), 1949 წ., გვ. 194.

გ. ერისთავს შეუცვლია მხოლოდ სათაური, გმირთა სახელები და ზოგიერთი დიალოგის წყობა.

პერსონაჟთა შესატყვისობა ასეთია: რუსუდანი — ჟინევრა, ელენე — მერცია, ორტელი — ლანსელოტ, სიდონია — ელეონორა, შანშე — გოდვინ, ყვარყვარე — გრაფი პერსივალი, მართა — გრიზელდა, მარიამ — ორიანა, ივანე — რონალდ, ბერიკ — ცედრიკ, ვარამი — კანუტი, ს. თმოგველი — ტირსტან (ტირსტანის მონოლოგების ნაწილი მიწერილი აქვს ვარამსაც).

საყურადღებოა, რომ თბილისის რუსული თეატრის რეჟისორის მიერ გადახაზული ადგილები გ. ერისთავსაც გამოუტოვებია, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას ხელთ ჰქონდა სწორედ აღნიშნული ეგზემპლარი.

ასეთივე ისტორია მეორდება „უჩინმაჩინის ქუდის“ მიმართაც. იგი წარმოადგენს ნ. ვ. ლეონტიევის (1739—1824) ერთმოქმედებიანი ვოდევილის („Шапка невидимка“) თარგმან-გადმოკეთებას. მისი ორიგინალურ ნაწარმოებად მიჩნევა, როგორც ამას ბევრი მკვლევარი ჩადის, შეუძლებელია.

გ. ერისთავის თარგმნის მეთოდი უსათუოდ თავისებურია. პირველ ყოვლისა, სათარგმნად ის არჩევს ისეთ პიესებს, რომლებიც თავისი შინაარსით უდგება მწერლის თანამედროვე ცხოვრებას. ამასთანავე, ცვლის გმირთა სახელებს, რათა დაუკარგოს უცხო ელფერი, და ამცირებს სურათებსა და მონოლოგებს იმის მიხედვით, როგორც უფრო შესატყვისი იქნება მისი თეატრის შესაძლებლობისათვის. ასეთი პრაქტიკა საერთოდ დაკანონდა მის სკოლაში (ზ. ანტონოვი, მეიფარიანი, დვანაძე, ჯაფარიძე და სხვა).

საყურადღებოა, რომ თარგმნილ-გადმოკეთებული პიესების („თილისმის ხანი“, „ყვარყვარე ათაბაგი“, „უჩინმაჩინის ქუდი“) ენა გარკვეულად განსხვავდება მისი ორიგინალური კომედიების ენისაგან. ორიგინალურ კომედიებში გმირები ლაპარაკობენ „საკუთარი“ ენით, ხოლო თარგმნილ პიესებში — ყველა ერთნაირი ენით (ავტორისეულ ენით). ეს გარემოებაც მშვენივრად მიუთითებს იმაზე, თუ რომელი კომედიაა ორიგინალური და რომელი თარგმნილი.

ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა დაგვედგინა გ. ერისთავის სახელით ცნობილი, მაგრამ ამჟამად უკვე დაკარგულ ზოგიერთ პიესათა ლიტერატურული წყაროებიც.

გ. ერისთავს უთარგმნია, მაგალითად, ვოდევილი „ბებიას თუთიყუშები“. აღნიშნული პიესის შესახებ ა. გაჩეჩილაძე შენიშნავს: „1846 წელს თბილისში რუსულ თეატრში დაიდგა გრიბოე-

დოვის „ვაი ჭკუისაგან“ და ახალგაზრდა ნ. ნეკრასოვის ვოდევილი „ბებიას თუთიყუში“. ზოგიერთი ამ უკანასკნელ პიესას გ. ერისთავს მიაწერს. სინამდვილეში ეს პიესა ეკუთვნის ნ. ნეკრასოვს (მაშინ წერდა პერეპელსკის ფსევდონიმით) და გ. ერისთავმა თარგმნა იგი ქართული თეატრისათვის“ [1].

„ბებიას თუთიყუშები“ („Бабушкины попуги“) მართლაც წარმოადგინეს თბილისის რუსულ თეატრში 1846 წლის 8 ოქტომბერს. მაგრამ ეს პიესა ეკუთვნის არა ნ. ნეკრასოვს, არამედ ნიკოლოზ ივანეს ძე ხმელნიცკის.

გაზეთ „კავკაზის“ 1846 წლის 39-ე ნომერში მოთავსებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ 8 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნება ხმელნიცკის „ბებიას თუთიყუშები“, ერთმოქმედებიანი ვოდევილი.

ნ. ი. ხმელნიცკი (1781—1845) სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 1811 წელს. ამ წელს მან თარგმნა მე-18 საუკუნის ფრანგი დრამატურგის ბელლუას ტრაგედია („Зельмиры“). ხოლო პირველი მისი პიესა, რომელიც სცენაზე წარმოადგინეს (1817 წ.), წარმოადგენდა ბუასსის პიესის გადმოკეთებას („Говорун“). მისი თხზულებათა პირველი კრებული (ორ ნაწილად) გამოცემულია 1829-30 წწ., სათაურით: „Театр Н. И. Хмельницкого“. მის მიერ ფრანგული ენიდან გადმოკეთებული ვოდევილი „ბებიას თუთიყუშები“ დაიდგა 1819 წლის 28 ივლისს და მაყურებელზე დასტოვა კარგი შთაბეჭდილება.

ნ. ი. ხმელნიცკის პუშკინი თვლიდა თავის საყვარელ პოეტად. თავის ძმისადმი მიწერილ წერილში (1825 წელს) ა. პუშკინი წერდა: „Хмельницкий моя старинная любовница. Я к нему имею такую слабость, ч о готов поместить в честь его целый куплет в 1-ую песнь Онегина“.

ნ. ნეკრასოვმა გადააკეთა ნ. ხმელნიცკის „ბებიას თუთიყუშები“. გადაკეთება, ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ ქალი პერსონაჟები შესცვალა მამაკაცებით, მამაკაცები—ქალებით, პიესასაც სათაურად ნაცვლად „Бабушкины попуги“-სა მისცა „Дедушкины попуги“.

ნ. ნეკრასოვის „ბაბუას თუთიყუშები“ (და არა „ბებიას თუთიყუშები“) პირველად დაიდგა 1841 წლის 1 დეკემბერს, ალექსანდრეს

---

[1] ა. გაჩეჩილაძე. „გ. ერისთავი—ქართული თეატრის აღდგენის ინიციატორი და ხელმძღვანელი“, გაზეთი „ქართული თეატრი“ (ქართული თეატრის 100 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის ერთდროული გაზეთი), 30 ოქტომბერი, 1950 წ.

თეატრში. აღნიშნული პიესა პირველად გამოქვეყნდა მხოლოდ 1950 წელს (იხ. Н. А. Некрасов. Полное собрание сочинений и писем, т. IV).

ცხადია, გ. ერისთავმა თარგმნა ნ. ხმელნიცკის „ბებიას თუთიყუშები“ და არა ნ. ნეკრასოვის „ბაბუას თუთიყუშები“, რომელიც უკანასკნელ დრომდე გამოქვეყნებულიც არ ყოფილა.

ზოგიერთი წყარო გ. ერისთავს მიაწერს პიესას „დაგეროტიპი...“ აღნიშნული პიესა გ. ერისთავს, როგორც ჩანს, უთარგმნია რუსული ენიდან. კერძოდ, ეს ერთმოქმედებიანი ვოდევილი („Дагеротип, или знакомые все лица“) ეკუთვნის ვ. პ. სოლოგუბსა და კარატიგინს.

საყურადღებოა, რომ საკმარისად საიმედო წყარო გ. ერისთავს მიაწერს ორიგინალურ კომედიას „Искатель первобытной красоты“. „აქტებში“ მითითებულია, რომ „Из № 7 газеты„ Кавказ“ 1853 года узнаем, что в бенефис актера Маркса была дана оригинальная комедия кн. Эристова: „Искатель первобытной красоты“, первое действие которой происходит в Мингрелии, 2-е близ Арарата и 3-е в Баку; неизвестно, однако-же, представлялась-ли эта пьеса на грузинском языке или на русском“ [1].

ასე გვეხატება ჩვენ გ. ერისთავის დრამატურგიის შემოქმედებითი ისტორია ზოგადად.

---

[1] Акты..., т. XI, стр. 919.

IV. გ. ერისთავი და ქართული თეატრი

გ. ერისთავმა თავისი კომედიებით მოამზადა საფუძველი ქართული თეატრის აღდგენისათვის. საჭირო იყო მხოლოდ ქართველ ინტელიგენციას შესაფერი ნებართვა მიეღო მეფის მთავრობისაგან.

რუსული თეატრის დაარსებამ და ვორონცოვის დაინტერესებამ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით იმედი გაუღვიძა ქართული სცენის მოყვარულთ. მათ იგრძნეს, რომ ყველაზე კარგი მომენტი ქართული თეატრისა და ჟურნალის დაარსებისათვის უკვე დადგა; გადაწყვიტეს ესარგებლათ ვორონცოვის ქართველ ოჯახებთან ახლო ურთიერთობითა და მისი საერთო პოლიტიკით.

ცხადია, მცდარია ის შეხედულება, რომელიც ქართული პროფესიული თეატრის დაარსების ინიციატორად მეფისნაცვალ ვორონცოვს თვლიდა. ასეთი მოსაზრება ერთგვარი გაუგებრობის შედეგია.

თეატრის დაარსებას ქართველი მოღვაწეები ყოველთვის ცდილობდნენ, მაგრამ საამისო შესაძლებლობა მათ არ ეძლეოდათ მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობისაგან. მაგრამ წინამორბედთა უხეშმა შეცდომებმა და საკუთარმა გამოცდილებამ ვორონცოვი დაარწმუნა, რომ უმჯობესი იყო ქართველი ხალხის ყურადღება მშვიდობიანი საქმეებისაკენ მიემართა და კულტურულ ღონისძიებების გატარება დაეწყო. ამ შემთხვევაში იგი, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობდა არა ნაციონალური კულტურის ინტერესებით, არამედ კოლონიზატორული მიზნებით. იგი არაფერს ზოგავდა იმისათვის, რომ ქართველი არისტოკრატიის გული მოეგო.

ყოველ ორშაბათობით მის სასახლეში თავს იყრიდა რჩეულთა წრე, რომელსაც უმასპინძლდებოდა მდიდრული სადილებითა და შესანიშნავი ბალებით. იგი სპეციალურ მოსაწვევ ბილეთებსაც კი-

უგზავნიდა წარჩინებულთ. ასეთი ბარათი მას რამდენჯერმე გაუგზავნია თვით გიორგი ერისთავისთვისაც. აი ერთი მათგანი:

„Его Сиятельству князю Георгию
Давидовичу Эристову с супругою
Князь и княгиня Воронцовы

Покорнейше просят Вас пожаловать к нам на бал в воскресенье 18 февраля, в 7 часов".

მ. ვორონცოვი თვითონაც დაიარებოდა სტუმრად ქართველ არისტოკრატთა ოჯახებში. კერძოდ, იგი არცთუ იშვიათი სტუმარი იყო მანანა ორბელიანისა. ამიტომ იყო, რომ ქართველი ინტელიგენციის არჩევანი მანანა ორბელიანზე შეჩერდა. მას უნდა ეთხოვნა ვორონცოვისათვის ქართული თეატრისა და ჟურნალის დაარსება, მას უნდა წარედგინა მისთვის გიორგი ერისთავი, რომელიც ადრეე ჰყავდათ გამიზნული ამ საქმეებისათვის.

მანანას სალონის ხშირი სტუმარი ლ. ისარლიშვილი თავის მოგონებაში წერს: „მანანა ორბელიანის სალონში იყო რაც ცისკრის გამოცემას და თეატრს მიეცა დასაწყისი... ვორონცოვი მანანასთან ხშირად დადიოდა. აქ შეიტყო გიორგი ერისთავზე, მოიწონა, შემწეობა მისცა ჟურნალის გამოცემისათვის, თეატრისათვის".

ერთ-ერთ სხვა მოგონებაში ვკითხულობთ: „მონათესავე ქალთ გიორგი ერისთავისა, რომელთაც ჰქონდათ „გაყრის" კომედია, მოახსენეს [1] ვორონცოვს ქება, ამაზე დიდათ ისურვა კნიაზმა ნამესტნიკმა მისი სცენაზე წარმოდგენაო".

გ. ერისთავი, როგორც ჩანს, იმდროინდელ ინტელიგენციას უცვნია ყველაზე შესაფერ კანდიდატად, რომელსაც სხვებზე უკეთ შეეძლო თეატრისა და ჟურნალის ხელმძღვანელობა; მათ დიდი ხნით ადრე იცოდნენ გიორგის თეატრალური ნიჭის შესახებ. ერთი მისი თანამედროვეს თქმით, „პატარაობიდანვე გიორგის საშინელი ნიჭი ჰქონდა კომიკისა, ისე რომ თუ ვისმე შენიშნავდა სასაცილოს, იმავე წუთში წარმოადგენდა არამც ხმის მიბაძვით ანუ მიმოხვრით, არამედ სახისა". როგორც ვიცით, გიორგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 30-იან წლებში გამართულ შინაურ წარმოდგენებსა და ლიტერატურულ შეკრებებში. იგი თავის იუმორისტულ და სატირულ ნიჭს იყენებდა გადასახლების პერიოდშიც. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გიორგიმ სახელი მოიხვეჭა როგორც სატირული ლექსებისა და კომედიების მწერალმა. ამ დროისათვის გიორგის უკვე დაწერილი ჰქონდა „შეშლილი" (1839 წ.), „დავა" (1840 წ.),

[1] მანანა ორბელიანი იყო ასული მირმანოზ ერისთავისა.

„გაყრა“ (1849 წ.) და სხვ. ამიტომ ბუნებრივია, რომ მეგობრებმა გადაწყვიტეს თეატრის ხელმძღვანელად გიორგი ერისთავი წარედგინათ ვორონცოვისათვის და არა სხვა.

იმ დროს, როდესაც ვორონცოვს ქართული თეატრისა და ჟურნალის დაარსება სთხოვეს და გიორგი ერისთავიც დაუხასიათეს როგორც შესაფერი კანდიდატი ამ წამოწყებათა სახელმძღვანელოდ, თვითონ გიორგი სოფ. ხიდისთავში იყო. ვორონცოვს, რომელსაც სიამოვნებით მოუსმენია თხოვნა თეატრის დაარსების შესახებ და დახასიათება ქართული კომედიების ავტორისა, მაშინვე უთქვამს პირადად მისთვის წარედგინათ გ. ერისთავი თავისი კომედიით.

ვორონცოვს დიდი ინტერესით მიუღია გიორგი ერისთავი, რომელსაც მისთვის წარუდგენია „გაყრა“ (ხელნაწერი). „სანამ მე რუსულ ენაზე გადამითარგმნიდნენ ამ კომედიას, უთქვამს ვორონცოვს გიორგისათვის, შეუდექით და უთხარით ყველა სცენის მოყვარულ ქართველს, რომ ისწავლონ როლი და თქვენი ხელმძღვანელობით წარმოადგინეთ თქვენი კომედია თბილისის გიმნაზიის სცენაზე. მაშინ ჩვენ ვნახავთ, როგორია თქვენი ნაწარმოები და როგორი სცენიური ნიჭი აღმოაჩნდებათ ქართველებსო“[1]. ვორონცოვის დაინტერესება ქართული თეატრით გასაგებია. პირველ ყოვლისა, რუსული თეატრი, რომელიც ენის უცოდინარობის გამო მიუწვდომელი იყო ფართო წრისათვის, ნაკლებ ამართლებდა მიზანს, რომელსაც ვორონცოვი თეატრს უსახავდა, მეორეც—ვორონცოვს შესაძლებლობა ეძლეოდა ქართველი მოწინავე საზოგადოების გული მოეგო, ეჩვენებინა მისთვის თავისი ზრუნვა.

თბილისის გიმნაზიის დარბაზი შესანიშნავად იყო გაფორმებული მხატვარ გრ. გაგარინის მიერ. აქ ყოველ კვირაში იმართებოდა წარმოდგენები ღარიბთა სასარგებლოდ. წარმოდგენებში მონაწილეობას ღებულობდნენ ვორონცოვთან ახლოს მყოფი პირები (დონდუკოვ-კორსაკოვი, გალიცინი, გაგარინი და სხვ.).

გ. ერისთავი მაშინვე დიდი სიყვარულით შედგომია საქმეს. „მისი სამარადისო ნატვრა სრულდებოდა, ქართული თეატრი არსდებოდა და „გაყრა“ უნდა დადგმულიყო მის კურთხევაზე, მის საძირკვლის ჩაყრაზე“[2]. გიორგის, პირველ ყოლისა, მსახიობთა შეგროვება დაუწყია. მას ბევრი ხვეწნა არ დაჭირვებია, ყველა სიამოვნებით დათანხმებულა, ვინაიდან იცოდნენ ქართული თეატრის ბედი

[1] „Театр в Тифлисе“..., 1888 წ., გვ. 125. „გაყრა“ რუსულად თარგმნა დ. ყიფიანმა და მანვე წაუკითხა ვორონცოვს, რომლის განკარგულებითაც დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1850 წელს.

[2] ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები, 1944 წ., II, გვ. 25.

ამ პირველ წარმოდგენას უნდა გადაეწყვიტა. როლების შესრულება იკისრეს ისეთმა პირებმა, რომლებსაც მსახიობობა მიზნად სრულებით არ ჰქონდათ, მაგრამ სურდათ სხვებისათვის მაგალითი ეჩვენებინათ და თეატრის დაარსების საქმეც მოეგვარებინათ. მეგობართა წრე თუ ასეთი კარგი გრძნობით განეწყო გ. ერისთავს, სამაგიეროდ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც სცადეს ხელი შეეშალათ მისთვის და ძირშივე მოესპოთ სურვილი ქართული თეატრის დაარსებისა. თეატრის მოწინააღმდეგეთა ამ ჯგუფში, პირველ ყოვლისა, იყვნენ: პლ. იოსელიანი, რევაზ ერისთავი და მარიამ ბატონიშვილი, რომლებიც სხვადასხვა ჰორებს ავრცელებდნენ სცენის მოყვარულთა დასაშინებლად.

გ. წერეთელი 1893 წელს ჟურნალ „კვალში“ წერდა: „ვინ წარმოიდგენდა იმ გაჭირვებას და დაბრკოლებას, რაც გ. ერისთავს აუტანია იმ დროებაში ქართული სცენის დაარსებისათვის. ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ ძველი ჩვეულებისა და დარბაისლობის სული ტრიალებდა საქართველოში. თუმცა ის ქანცგამოლეული იყო, მაგრამ მრისხანე აჩრდილი წარსულისა, ბატონიშვილის მარიამის შუღლიანი სახით წარმომდგარი, მაინც არ აძლევდა მოსვენებას ახალ თავ-მოხდილს და შლაპებდახურულს კნეინებსა და კნიაჟნებს: ერთი ბატონიშვილის მარიამის სიტყვა მათთვის შიშის ძგერის ამტეხი იყო“. „თითო-ოროლა კაცი, რომელიც იმ დროს მეცნიერის სახელს ატარებდა და თავის თავს ფილოსოფოსს უწოდებდა, ზურგს უკან და პირშიც ძრახავდა ჩვენს დრამატურგსა (გ. ერისთავს.—დ. გ.)... აი, ასეთ მოწინააღმდეგეებთაგან და სხვადასხვა წრის წარმომადგენლებისაგან შეადგინა გ. ერისთავმა პირველი თავისი სათეატრო დასი და, რა საკვირველია, ყველასთან უნდა გაეწია ბრძოლა და ეტვირთა ბრძოლის შედეგი, უსიამოვნება და მწუხარება. მაგალითად, პ. ი. იოსელიანი, რომელსაც იმ დროს დიდი ფილოსოფოსის სახელი ჰქონდა გავარდნილი, გამხნევების მაგიერად გ. ერისთავს პირში ლანძღავდა უშვერი შენიშვნებით: დიდი თავხედობა არისო თეატრის გამართვა, ღონე არ გვაქვსო, თეატრის საშუალებით „მეძავკუროობა“ გაგვიჩნდებაო, გონივრობა მოითხოვს ქართული თეატრის განხორციელებას თავი დავანებოთო და სხვა.

მეორე მხრით თ. რ. ე.[1] (რევაზ ერისთავი.—დ. გ.) ყოველ ღონისძიებას ხმარობს, დაწყებული საქმე ჩაშალოს, ჰკრებს ქუჩის

[1] სხვათა შორის, ინიციალი „თ. რ. ე.“ ზოგიერთმა მკვლევარმა შეცდომით გაიგო და ჩირქი მოსცხო სახელოვან პოეტს რაფიელ ერისთავს. იხ. ი. ფერაძე „გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი“, 1919 წ., გვ. 22.

ხმებს და იგონებს: ხალხში ხმა გავარდნილაო, კომედიანჩიკები ჩამოსულან და ჯამბაზობას მართავენო. ერთი მხრით ესა და მეორე მხრით ბატონიშვილის მარიამის მუქარა ძალიან აფრთხობდა და აშინებდა მაშინდელს დიდკაცის ქალებსო".

გ. ერისთავისათვის დიდი დახმარება აღმოუჩენია ქეთევან ერისთავ-ორბელიანისას, რომელსაც თავისი მეგობარი ქალები ჩაუბამს წარმოდგენის მზადებაში. „კნ. ქეთევანმა, შენიშნავს გ. წერეთელი, მტკიცე ხასიათი გამოიჩინა, ის ჭარ შეუშინდა არც რ-ს ხრიკებს, არც ბატონიშვილის მუქარას. თანაუგრძნობდა თავის ნათესავების ნიშს, წინდაწინვე გულში ისახავდა, რა დიდი საქმეც იქნებოდა მომავალში ქართული თეატრის დაარსება და, აი, ამ ქალმა მოიმხრო სხვა წარჩინებულის გვარის ქალებიცა, როგორც მაგალითად ბაბალე ანდრეევსკისა, ან. ობლოჟიოსი (ორბელიანი. — დ. გ.), კნ. ან. გაგარინისა (ორბელიანი. — დ. გ.). მეორე მხრით მისი თანამედროვე ამხანაგებიც შეურყეველი ბურჯები გახდენ გ. ერისთავის საქმის დასამთავრებლად" [1].

გ. ერისთავს მხარში ამოუდგნენ მისი მეგობრები და მახლობლები, დაიწყო რეპეტიციები ქეთევან ერისთავ-ორბელიანის ბინაზე. „რეპეტიციებს ძალიან დიდხანს თურმე არ მოუნდენ, როგორც მოყვარეთა წესია, რადგანაც ყველამ ზეპირად იცოდა პიესა. გიორგი ერისთავი (ავტორი) თითონ რეჟისორობდა და ერთ როლსაც (მიკირტუმ გასპარიჩს.—დ. გ.) თამაშობდა... ამბობენ უკანასკნელი გენერალური რეპეტიცია თვით ვარანცოვთან თურმე იყო. წინადაც მთავარ-მართებელი დროგამოშვებით ესწრებოდა რეპეტიციებს და ახალისებდა მოთამაშეთა" [2].

წარმოდგენის წინ ვორონცოვს ვ. ბებუთოვისათვის მიუნდვია პიესის ცენზორობა. ბებუთოვისათვის პიესა თვით გ. ერისთავს წაუკითხავს და „ბებუთოვი სიცილით აღარ იყო თურმე". ამის შემდეგ მას ვორონცოვისათვის მოუხსენებია, რომ პიესაში არაფერია ისეთი, რომელმაც მისი წარმოდგენა დააბრკოლოსო.

ვოვიდა დრო პიესის წარმოდგენისა. ხალხს აფიშით ეცნობა:

თბილისის გიმნაზიის ზალაში
ქალაქის ღარიბ ხალხისათვის
ორშაბათს 2-ს იანვარს 1850 წელსა

---

[1] გ. წერეთელი. „ორმოცდასამი წელი ქართულის თეატრისა", ჟურნალი „ქვალი", 1893 წ., № 2.

[2] გაზეთი „ივერია", 1893 წ., № 1.

წარმოდგენილი იქნება

I

მიხაილ და ქრისტინე

(ფრანციცულად)

ითამაშებენ: თ. დუნდუკოვი-კარსაკოვი, ბარონესს მეინდორფ, მინჩაკი და ბაშმაკოვი

შემდეგ წარმოდგენილი იქნება პირველჯერ ქართულად

II

გაყრა

კამედია სამ მოქმედებად. თხზ. თ. ერისთავისა

მოქმედნი პირნი:

თავადი ანდუყაფარ . . . . . თ. ილ. ორბელიანი.
პავლე, ძმა მისი . . . . . თ. ოქ. ერისთავი.
ოვანე . . . . . დ. ი. ყიფიანი.
კნეინა მაკრინე . . . . . ბ. გ. ანდრეევსკისა.
კნიაჟნა ნინო . . . . . კ. ნ. ორბელიანისა.
მიკირტუმ გასპარიჩ . . . . . თ. გ. ერისთავი.
თათელა, ცოლი მისი . . . . . კნ. ქ. ორბელიანისა.
შუშანა, ქალი მათი . . . . . კნ. ან. ორბელიანისა.
თავადი რამაზ, სეკრეტარი . . . . . გ. ო. შანშიევი.
თავადი ბარძიმ . . . . . თ. ა. ერისთავი.
ბარამ, მოურავი . . . . . თ. ნ. ერისთავი.
გაბრიელ . . . . . მ. გ. ჭილაევი.
იმერელი . . . . . თ. გრ. ერისთავი.
ყარდაშეერდი . . . . . კნ. მ. ერისთავისა.

წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარდა. გიმნაზიის პატარა დარბაზს გაუჭირდა მაყურებელთა დატევა. წარმოდგენას თავისი მეუღლით დაესწრო ეორონცოვი, რომელიც, მსახიობთა თამაშით აღფრთოვანებული, სხვა მაყურებლებთან ერთად გაცხარებულ ტაშს უკრავდა. განსაკუთრებული მოწონება დაუმსახურებია გიორგი ერისთავს, როგორც ავტორსა და მსახიობს. მას დიდი ოსტატობით შეუსრულებია მიკირტუმ გასპარიჩის როლი. პეტრე უმიკაშვილი იგონებს: „ქართული თეატრის ამბავი გავიგონე პირველად „გაყრის“ წარმოდგენის შემდეგ ჩვენს ნათესავებში. ბევრს ეხსომება ლეიპციგში ნასწავლი დოქტორი ზაქარია ზუბალაშვილი. აი, ეს დოქტორი სხვა სტუმრებს შორის დასწრებოდა თავისი ცოლით (დედის ჩემის დეიდაშვილით) პირველ ქართულ წარმოდგენას გიმნაზიის დარბაზში.

ცოლი ლაპარაკობდა წარმოდგენის მეორე და მესამე დღეს, რა რიგად თამაშობდა გიორგი ერისთავი ვაჭრის როლს და ხალხი რა რიგად იყო აღტაცებული. ძალიან ბევრს იცინოდა გიორგი

ერისთავის იმ სიტყვებზედ, როდესაც პიესის ბოლოს ახალ დანიშნულებს ლოცავს: „ემე იყოს თქვენ თავზედაო“ [1]. წარმოდგენის მონაწილის ქეთევან ორბელიანის თქმით, „კვირეებმა და თითქმის თვეებმა გაიარა პირველი წარმოდგენის შემდეგ და ლხინი გაუთავებელი იყო“ [2]. ჰ. უმიკაშვილის გადმოცემით, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ იმავე წელს დაბეჭდილ პიესას („გაყრა“), „ერთმანეთს უგზავნიდნენ და ზეპირად სწავლობდნენ ნაწყვეტ ადგილებსა!“ [3].

პიესის წარმატებით წარმოდგენის შესახებ ილია ორბელიანმა, რომელიც „გაყრაში“ ანდუყაფარის როლს ასრულებდა, წერილით აცნობა თემირხანშურაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს. თავის მხრივ გრიგოლი, 1850 წლის 25 იანვარს, ილიას სწერდა: „...მწერ თეატრში თამაშობასა. სწორედ გითხრა, ძალიან ვნანობ, რომ ეგ პირველი ქართული კამედია ვერა ვნახე. ჩემო ილიკო, გთხოვ გამომიგზავნო ეგ კამედია, რომელიც არ წამიკითხავს. ქეთევანის ქება შევიტყვე და არ მიკვირს... აფიშა ჩემთვის გამოეგზავნა მთავარმართებელსა, რომლისთვისაცა ამასთანავე ვწერ მადლობასა“ [4].

როგორც ვხედავთ, ვორონცოვს აფიშაც კი გაუგზავნია გრ. ორბელიანისათვის; მისი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ქართველი მოლვაწისათვის ესიამოვნებინა.

1850 წლის 2(14) იანვარი გახდა ქართული რეალისტური თეატრის საფუძვლის ჩაყრის დღედ. „გაყრის“ წარმატებით წარმოდგენამ როგორც მაყურებელი, ისე მონაწილენი და ინიციატორები დაარწმუნა, რომ ქართული პროფესიული თეატრის დაარსებისათვის ნიადაგი მზად იყო, ხოლო თეატრი — აუცილებელი.

„გაყრის“ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა არა მარტო ქართველ მაყურებელზე, არამედ მათზეც, ვინც არ იცოდა ქართული ენა.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ცნობილი რუსი პოეტის იაკობ პოლონსკის წერილები გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“, რომლის რედაქციაშიც მუშაობდა იგი იმ დროს.

ი. პოლონსკის თქმით, „1850 წლის 2 იანვარი საქართველოს განათლების ისტორიაში ჩაიწერა როგორც ღირსშესანიშნავი დღე. ამ დღეს, შეიძლება ითქვას, დაიბადა ჭეშმარიტი ქართული ლიტერატურა. გიმნაზიის დარბაზში ქართველი მაღალი საზოგადოების

---

[1] გაზეთი „ივერია“, 1899 წ., № 209.

[2] გაზეთი „ივერია“, 1893 წ. № 1.

[3] მ. პეტრიძე „შეგრთებული შრომა“, ჟურნალი „კრებული“. 1873 წ., № 8—9.

[4] გრ. ორბელიანი. „წერილები“, ტ. I, აკ. გაწერელიას რედაქციით, 1936 წ.

კეთილშობილმა პირებმა... პირველად წარმოადგინეს ქართულ ენაზე ქართული ნაციონალური კომედია „გაყრა“. პიესა იმდენად კარგია, ისე გააკვირვა ყველა მან თავის უბრალოებით, თავის ორიგინალობით და თავის ღრმა იუმორით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უბრალო შექებით დავკმაყოფილდეთ, არამედ მოვალენი ვართ მივცეთ ჩვენს მკითხველებს, რამდენადაც შესაძლებელია ამ პოეტური ქმნილების დაწვრილებითი გარჩევა და მისი თარგმანიც კი ვაჩუქოთ. პიესის ავტორი თავადი გიორგი ერისთავი, როგორც პოეტი. დიდი ხანია ცნობილია საქართველოში, მაგრამ არც ერთს ჩვენგანს, რუსს, არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ იგი ასეთი კომიკი იქნებოდა. კომედიის შესრულება, რომელშიც თვით პოეტი იღებდა მონაწილეობას... ყოველნაირ შექებაზე მაღლა იდგა. როლების საუკეთესო ცოდნა, კოსტიუმები, თამაში — ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა მრავალრიცხოვანი მაყურებლები. ერთი სიტყვით, პიესა რომ გაგეგოთ და ქართველებივით მოხიბლულიყავით ამისათვის საჭირო არ იყო ქართული ენის ცოდნაო“ [1].

„გაყრის“ რუსული თარგმანიც (შესრულებული დ. ყიფიანის მიერ) მალე გამოვიდა. ი. პოლონსკიმ შეასრულა თავისი დაპირება და მისცა მკითხველს მისი მოკლე გარჩევა. ამჯერად ი. პოლონსკი წერდა: „როცა კომედია „გაყრა“ პირველად ვნახე სცენაზე... თუმცა ქართული ენის არაფერი მესმოდა, მაგრამ პიესის შინაარსი მაინც გავიგე და არ შემეძლო არ მეცინა... უნებლიედ გამოვიტანე დასკვნა, რომ კომედია ისე მსუბუქად არის დაწერილი, რომ ადვილად ითამაშება, მოქმედნი პირნი სინამდვილესთან ისე სიმართლით დგანან, რომ მათთვის მიბაძვა ძლიერ ადვილია, განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომელნიც ამათ მსგავს ტიპებს შორის გაიზარდნენ.

პიესა ყველას მოეწონა, და რაც ყველაზე უფრო სახარბიელოა, მისი წარმატება კი არ განისაზღვრა მხოლოდ თეატრის კედლებით, რომლებიც ტაშის გრიალით და ამსრულებელთა სცენაზე გამოძახილით ირყეოდა, არამედ პიესა წარმოდგენის შემდეგ, მეორე დღესვე იქცა სახალხოდ. ბაზარში იმეორებდნენ კომედიიდან ამოღებულ მთელს ფრაზებს, და ისეთ სახლებშიც, სადაც შეიძლება არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა არის თეატრი, თავად ერისთავის სახელი შეიქნა ცნობილი და კომედია იქცა ხანგრძლივი მსჯელობის საგნად. რომელი მწერალი, რომელი კომიკი არ ინატრებდა ამას?“ [2].

---

[1] გაზეთი „Закавказский Вестник“, 1850 г., № 2.

[2] იქვე, 1850 წ., № 22.

ი. პოლონსკიმ 1851 წელს დაწერა ლექსიც „თბილისის თეატრის გახსნის გამო“.

„გაყრის“ პირველ წარმოდგენებს მაღალი შეფასება მისცა გაზეთ „კავკაზ“-ის რეცენზენტმაც, რომელიც აღნიშნავდა: „Не знающим грузинского языка трудно судить о литературном достоинстве этого произведения; но как сценическое — оно имеет много эффекта и даже движеня и, как можно судить по безпрерывным аплодисментам и общему смеху — исполнено юмора и сарказмов. Содержание пьесы и ее подробности понятны становятся даже тем, которые ни слова не знают по-грузински, посредством удивительной мимики, натуральной игры и дикции; одним словом, Раздел был так разыгран, как только могли бы это исполнить самые опытные, самые талантливые артисты. И это тоже свидетельствует о достоинстве пьесы—все сцены и характеры до того верны своей природе, что не требовали глубокого изучения; а мастерски к ролям подобранные исполнители представляли каждый, свойственный ему тип. Этим только, можно и об'яснить эту удивительную игру особ, никогда не бывавших на сцене. Автор пьесы был вместе с тем исполнителем самой трудной роли“ [1].

როგორც ვხედავთ, „გაყრამ“ როგორც თავისი ლიტერატურული ღირსებით, ასევე დადგმის მაღალი ხელოვნებით, მეტად დიდი შთაბეჭდილება დატოვა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ თავიანთ აღტაცებას ასე დაბეჯითებით გამოთქვამენ მოწინავე რუსი ლიტერატორებიც, რომლებსაც შედარებით ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ (ენის უცოდინარობის გამო) ჩაწვდომოდნენ პიესის მთელ ღირსებას.

წარმატებით წახალისებული გ. ერისთავი მაშინვე შეუდგა მზადებას მეორე კომედიის („დავა“) წარმოსადგენად. რეპეტიციები კიდევ მეტი ინტერესით მიმდინარეობდა, ხალხიც უფრო სიხარულით მოელოდა მომავალ წარმოდგენას. ქედი მოიხარეს ქართული თეატრის მოწინააღმდეგეებმაც, რომლებმაც თავიანთი დანაშაულის გამოსყიდვა წარმოდგენაში უშუალო მონაწილეობის მიღებით სცადეს; „დავაში“ ონოფრეს როლს ასრულებდა პლატონ იოსელიანი, ხოლო ლომინ გოდაბრელიძისას — რევაზ ერისთავი.

„დავა“ წარმოდგენილ იქნა 1850 წლის 3 (15) მაისს, მანეჟის თეატრში. პიესაში მონაწილე მსახიობთაგან 12 პირველად ღებულობდა მონაწილეობას, ხოლო 8—უკვე მეორე პიესაში გამოდიოდა

[1] გაზეთი „Кавказ“, 1850 г., № 5.

სცენაზე. მაგრამ ყოველი მათგანი სცენის უბრალო მოყვარული იყო და არა მსახიობის პროფესიით დაინტერესებული. „დავის“ წარმოდგენაც წარმატებით ჩატარდა. გ. ერისთავმა, სარქის ბუღდანიჩის როლში, კვლავ დიდი მოწონება დაიმსახურა.

გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „3 мая в Тифлисском театре, в пользу бедных, благородными любителями сценического искусства, была исполнена новая комедия князя Эристова „Тяжба“... Это был один из самых веселых вечеров, проведенных нами в Тифлисе“ [1].

ვორონცოვი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საჭირო იყო ქართული თეატრის დაარსება და მუდმივი დასის შედგენა. მან გიორგი ერისთავი თავის ამალაში დანიშნა საგანგებო დავალებათა უმცროსი მოხელედ და დაავალა ქართული თეატრისათვის მუდმივი დასის შედგენა. „მაგრამ სად უნდა ეშოვა, შენიშნავს ი. მეუნარგია, მომავალი თეატრის დირექტორს ქართული სცენისათვის საჭირო აქტიორები და ნამეტნავად აქტრისები? მაშინ ჯერ კიდევ დაკეტილებში ისხდნენ ჩვენი ქალები და ვინ იქნებოდა ისეთი გულადი, რომელიც თავის ასულის მიცემას გაბედავდა თეატრში და მამა-პაპურ ღეჩაქს აქტრისის წოდებაზე გასცვლიდა? “

გიორგის გადაუწყვეტია სოფლისათვის მიემართა და თავის ნაცნობთა წრეში მოეძებნა მომავალი მსახიობები. მას, ვორონცოვის განკარგულებით, მსახიობებზე მისაცემად მიუღია 2.000 მანეთი და გამგზავრებულა გორში. გიორგის ზოგი ჯამაგირით დაუინტერესებია, ზოგიც თბილისში ცხოვრებითა და ვორონცოვის ყურადღებით. მას მალე მოუგროვებია მსურველები, რომელთა შორის იყვნენ, ქალები: საყაძე, ტატიშვილი, ანტონოვა, ლაფერაშვილი; ვაჟები: დვანაძე, ტატიშვილი, რჩეულიშვილი, კორძაია, ელიოზიშვილი, კიკნაძე. რეპეტიციებს გიორგი ჯერ სოფელში ატარებდა, ხოლო შემდეგ თბილისში ჩამოიყვანა აქტიორები და ბევრი მათგანი საკუთარ ბინაში დააყენა, ვინაიდან „ეშინოდა გული არავის შეეცვალა“. თბილისში ყოველდღიურად ტარდებოდა რეპეტიციები, რასაც ზოგჯერ თვით ვორონცოვიც ესწრებოდა.

ი. კერესელიძე თავის მოგონებაში წერს: „აქტიორები და აქტრისები პოეტის სახლში ვიყავით შეყრილნი ერთს შემოდგომის ნასადილევზე და „ძუნწსა“ ვსწავლობდით, რომელიც ის-ის იყო დაეწერა ავტორს: ცოტა ცხელი დღე იყო და გიორგი შინაურულად იყო მორთული, ახალუხით და ჩუსტებით. უცებ ფეხის ხმა

[1] გაზეთი „Кавказ“. 1850 г., № 36.

შემოგვესმა კიბიდან, გავიხედეთ ფანჯარაში და რა ვნახეთ? ჩერქეზულ ნაბადში გახვეული, გრძელი ჯოხით, ამოდიოდა ბალკონზე ვორონცოვი. „ნამესტნიკი მოდის, კნიაზო, ნამესტნიკი, ჩასჩურჩულეს გიორგის აქტიორებმა... ერთი თვალის დახამხამებაზე პოეტი წალოში გადავარდა და კარები მიიხურა. ერთი კი წაგვჩურჩულა: უთხარით შინ არ არისო. ამის თქმა იყო და ვორონცოვის ზალაში შემოსვლა. როცა ერისთავი იკითხა, მე მოვახსენე მისი შინ არ ყოფნა".

1850 წელს თბილისში ჩამოვიდა მთავარი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, რომელსაც ვორონცოვმა პირადად წარუდგინა გიორგი ერისთავი და გააცნო მისი დამსახურება. „როდესაც განსვენებული იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩამობრძანდა ქალაქში, მემკვიდრეობის დროს, 1850 წელს, იგონებს ი. კერესელიძე, გიორგი ძლიერ ავად იყო. ვორონცოვი დიდად შეწუხებული იყო ამ ავადმყოფობით; მან დაიბარა დოქტორი პელეცკი და უბრძანა: ეცადე ქართველების პოეტი მალე მოარჩინო ცესარევიჩს უნდა წარუდგინოო. გიორგი მართლაც მალე მორჩა. როდესაც შეძლო გარეთ გამოსვლა, მას მოუვიდა ბრძანება ვორონცოვის ამალასთან ერთად დიდუბეს წასულიყო, როდესაც მემკვიდრეს უნდა დაეხედა ჯარები. გათავდა თუ არა „რაზვოდი", ვორონცოვმა დაუჭირა ხელი გიორგის, მიიყვანა ცესარევიჩთან და მოახსენა: „Рекомендую, Ваше высочество, грузинского Мольера"... მემკვიდრემ ჩამოართვა ხელი ერისთავს და ღიმილით უთხრა: „ძლიერ მიხარის, რომ ქართველებსაც ჰყოლიათ თავიანთი მოლიერიო".

გ. ერისთავის დასმა წარმოსადგენად მოამზადა „გაყრა" და რუსულიდან გადმოკეთებული პიესა „ბებიას თუთიყუშები" („Бабушкины попуги"). ვორონცოვს წარუდგინეს ანგარიში საჭირო ხარჯებისათვის, რაც აღწევდა 404 მ. 50 კაპიკს. აღნიშნული თანხა მიეცა გ. ერისთავს, მაგრამ ვორონცოვის განკარგულებით იგი არ შედიოდა იმ 4.000 მანეთში, რომელიც წლიურად ეძლეოდა ქართულ დასს.

1851 წლის 1(13) იანვარს მანეჟის თეატრში წარმოდგენილ იქნა „გაყრა", რომელსაც უამრავი მაყურებელი დაესწრო, მათ შორის ვორონცოვი მეუღლითურთ. ვორონცოვს იმდენად მოეწონა წარმოდგენა, რომ ყოველი შესვენების დროს თავის ლოჟაში იბარებდა მსახიობებს და მადლობას უცხადებდა. გაზეთ „კავკაზის" რეცენზენტი წერდა: „თბილისის (მანეჟის) თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნა თავ. ერისთავის კომედია „გაყრა"... ამ კომედიის დადგმას თბილისის თეატრში აქვს თავისი განსაკუთრებული მნიშ-

ვნელობა. ასრულებდნენ ქართველი მსახიობები, ასრულებდნენ ქართულ ენაზე, ასრულებდნენ პიესას, რომელიც ქართველის მიერ იყო დაწერილი“ [1].

1851 წლის 18 (30) იანვარს წარმოდგენილ იქნა „ძუნწი“, 4 თებერვალს—„კომისარი შტატგარეშე ქალაქისა“, 17 თებერვალს—„ბებიას თუთიყუშები („Бабушкины попуган“), 22 აპრილს სოლოგუბისა და კარატიგინის პიესა („Дагеротип или знакомые все лица“), გადმოკეთებული გ. ერისთავის მიერ. 1850—51 წლის სეზონი ქართულმა თეატრმა კარგად ჩაატარა.

გ. ერისთავის დასს მალე შეემატა ნიჭიერი დრამატურგები და მსახიობები: ი. კერესელიძე, ზ. ანტონოვი, ა. მეიფარიანი, გ. ჯაფარიძე და სხვები. გიორგი ერისთავიც სიხარულით ღებულობდა ყოველ ახალ თანამშრომელს. ქართული დასი საკმარისად გაძლიერდა, გამდიდრდა თეატრის რეპერტუარიც ორიგინალური პიესების ხარჯზე. ი. კერესელიძე თავის მოგონებაში წერს: „მე რომ შევიტყე ქართული ტრუპის დაარსება, ავიღე ჩემგან ნათარგმნი პიესა „მოჯადოებული თავადი“ (ეს ის პიესაა, რომლითაც დაიწყო რუსული წარმოდგენები ტფილისში) და წაუღე პოეტს. მე მანამდის არ მენახა გიორგი ერისთავი და პირველსავე ნახვით ისე შემაყვარა თავი, რომ არაფერს დაეიშურებდი მისთვის. მიმიღო დიდი ალერსით და ღიმილით მადლობა მითხრა პიესისათვის და მთხოვა მივშველებოდი პიესის წერაში თუ სხვა თეატრის საქმეში“.

რამდენიმე ხნის შემდეგ, გ. ერისთავმა ი. კერესელიძე თავის თანაშემწედ დანიშნა სარეჟისორო ნაწილში. ი. კერესელიძე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მას თბილისიდან ხანგრძლივი ვადით წასვლა უხდებოდა ხოლმე, მაინც ნაყოფიერი მუშაკი აღმოჩნდა ქართული თეატრისათვის. მან თეატრის რეპერტუარს შემატა რუსულიდან გადმოკეთებული და ორიგინალური პიესები, რომლებიც იმ დროს წარმოუდგენიათ.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო თეატრისათვის ზურაბ ანტონოვი, რომელიც, როგორც მსახიობი და დრამატურგი, გ. ერისთავის სკოლას ეკუთვნის. გ. ერისთავი ზურაბ ანტონოვს უსწორებდა პიესებს, უთითებდა გადმოსაკეთებლად ვარგისს პიესებზე, აძლევდა ცალკეულ სიუჟეტებს პიესებისათვის და სხვა. მაგრამ ზ. ანტონოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი თავისი მასწავლებლის ბრმა გავლენაში არ მოქცეულა, მან თავის პიესებში ბევრ ახალ მოვლენას მიაქცია ყურადღება და ქართული დრამატურგია

[1] „Кавказ“, 1851., № 1.

გაამდიდრა მეტწილად დაბალი წრის ხალხის ცხოვრების ამსახველი პიესებით. მან ქართული თეატრის რეპერტუარს შესძინა ისეთი პიესები, როგორიცაა: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „ქმარი ხუთის ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“, „ქოროღლი“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქორწილი ხევსურთა“, „ტიევით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და სხვ.; გ. ჯაფარიძემ — „მაიკო“, „იჭვიანი ქმარი“; გ. დვანაძემ — „სახლი კუკიაში“; ა. მეიფარიანმა — „ქმრები გავაბით მახეში“.

ამგვარად, ქართულ თეატრს, სულ მცირე ხნის შემდეგ, უკვე ჰქონდა საკუთარი რეპერტუარი, ჰყავდა საკმაოდ დახელოვნებულ მსახიობთაგან შემდგარი დასი, ჰქონდა ბინა და ღებულობდა თანხებს საპირო ხარჯებისათვის. ამას უნდა დაემატოს ვორონცოვის განსაკუთრებული ყურადღებაც, რომლის წყალობით გ. ერისთავი ახერხებდა მისი დასის წინაშე აღმართული დაბრკოლებების დაძლევას.

არსებული წესის მიხედვით, თეატრს უფლება ეძლეოდა წარმოედგინა პიესა მას შემდეგ, როცა მას განიხილავდნენ იმპერატორის კანცელარიის III განყოფილებაში, რაც მოითხოვდა დიდ დროს და პიესის დაუყოვნებლივ თარგმნას. მაგრამ ვორონცოვმა მოახერხა გკერდი აევლო ცენზურული ბიუროკრატიზმისათვის და ქართული პიესების ცენზორობა დაავალა პლატონ იოსელიანს, რომელიც იმ დროს რედაქტორობდა გაზეთ „კავკასიის მხარეთა უწყებანს“.

1851—52 წლის სეზონს ქართული თეატრი მომზადებული შეხვდა. გ. ერისთავის კომედიებთან ერთად დაიწყო წარმოდგენა ზ. ანტონოვის და სხვათა კომედიებისა. 1851 წლის განმავლობაში ნაჩვენები იქნა 22 წარმოდგენა.

იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში ვორონცოვი ქართული თეატრის შესახებ წერდა: „1850 წლის დასაწყისში თბილისის მაღალი საზოგადოების პირებმა პირველად სცადეს ქართულ ენაზე წარმოდგენის გამართვა. ცდა სრული წარმატებით დამთავრდა და აჩვენა, რომ შესაძლებელია სისტემატურად ეწყობოდეს ქართული სპექტაკლები... და მე თავს უფლებას ვაძლევ ვიფიქრო, რომ თქვენი იმპერატორული უდიდესებულება კეთილისურვებს დარწმუნდეს, რომ ასეთ ღონისძიებას შეიძლება ჰქონდეს ყველაზე უფრო სასარგებლო გავლენა მეცნიერებისა და გემოვნების განვითარებაზე, ხასიათის ჩამოყალიბებასა და ადგილობრივ მცხოვრებთა რუსებთან დაახლოებაზეო“ [1].

---

[1] Акты..., ტ. X. §3, 881.

ვორონცოვი თავის მოხსენებაში მოხერხებულად მიუთითებს ქართული თეატრით დაინტერესების მიზეზზე, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ იგი მოითხოვდა ქართული თეატრის არსებობის გაგრძელებას, თუმცა თეატრის გასავალი აღემატებოდა შემოსავალს.

მ. თუმანიშვილმა და ვ. სოლოგუბმა სპეციალური წერილები უძღვნეს გაზეთ „კავკაზში“ ქართული წარმოდგენების განხილვას. მ. თუმანიშვილი წერდა: „თავადი ერისთავი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, პოეტია, თუმცა ამასთანავე ერთად დაჯილდოებულია დიდი კომიკური ნიჭით, ერთი უნდა შებრძოლებოდა დრამატული ცხოვრების სიბნელესა და სიცარიელეს საქართველოში და უნდა გაეძლო ამ გამოცდისათვის. თუ როგორ შეძლო მან ამ საგმირო საქმის შესრულება — ამას ჩვენ მისი პირველი მიღწევებით ვხედავთ. იგი კიდევ ბევრს გვპირდება და ეჭვს არ იწვევს, რომ შეასრულებს. მსახიობ ვაჟების — ჯაფარიძის, დვანაძის, კორძაიასა და მსახიობ ქალის ტატიშვილის სახით მას ჰყავს უაღრესად მოხდენილი შემსრულებელნი სცენური ხელოვნებისა; ხოლო მსახიობ ანტონოვის სახით კი — ნიჭიერი და გულმოდგინე დრამატურგი. ყველა იგინი ერისთავის მიერ არიან აღზრდილი; ეჭვი არაა რომ იგი მათ კიდევ მეტად გაწვრთნის, უჩვენებს მათ შეცდომებს და მის გამოსწორების საშუალებებს“. ეხებოდა რა თეატრის რეპერტუარს, მ. თუმანიშვილი ამბობდა: „თავისთავად იგულისხმება, რომ რეპერტუარი არის ყველაფრის საფუძველი, მისი საშუალებით მყარდება კავშირი თეატრსა და საზოგადოებას შორისო“.

რეცენზენტის თქმით, ბუნებრივი და დროული იყო ქართული თეატრის რეპერტუარის შევსება ძირითადად კომედიებით, მაგრამ აფრთხილებდა თეატრს მინიმუმამდე შეემცირებინა ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესების წარმოდგენა. იგი მოითხოვდა ადგილობრივი ცხოვრების სინამდვილის ამსახველი პიესების მეტი რაოდენობით წარმოდგენას. ამიტომ იგი იწონებდა გ. ერისთავის კომედიებს: „კომედია „დავაში“ ჩვენს წინაშე ისახება ნამდვილი მდგომარეობა ქართველ მემამულეთა მთელი ყოფა-ცხოვრებისა, მთელი თავისი მისწრაფებებითა და ინტერესებით, ჟინიანობითა და რწმენით. აქ, რამდენი პირიცაა — იმდენი პოემაა, რამდენიმე თავისა და სიმღერებისაგან შემდგარი. გმირთა გრძელ რიგში, რომელიც აქაა წარმოდგენილი სინამდვილის სინათლეზე, ნამდვილი ენითა და ქცევით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი მკვეთრად გამოხატული პორტრეტი, ორი ბედნიერი შემთხვევა, რომელიც ჩართულია პიესაში; ესაა იაია—ნაღელიანი ნიმუში იმ დრომოჭმული

ქართველი მოხუცებისა, რომლებიც მწუხარებით უყურებენ ახალი ცხოვრების ორომტრიალს, და ლომინ გოდაბრელიძე,—ტიპი იმერელი თავადისა, ცოცხალი—მუდამ მოძრავი არსება... თანამედროვე ტიპთა ასეთსავე ცოცხალ სურათს წარმოადგენს სომეხი კარაპეტა, კომედია „ძუნწში“ [1].

1852—53 წლის სეზონში ქართული თეატრი კვლავ ძველ პირობებში დარჩა: მსახიობებს წლიურად ეძლეოდათ 4.000 მანეთი, დამატებით ეძლეოდათ აგრეთვე ხარჯები ტრანსპორტისათვის, ხელმძღვანელობა კვლავ გ. ერისთავს ჰქონდა დაკისრებული, წარმოდგენები იმართებოდა თამამშევის ახალ შენობაში. მიუხედავად ამისა, ქართული თეატრის მდგომარეობა აღნიშნულ სეზონში გაცილებით მძიმე იყო. თუ აქამდე მას კონკურენციის გაწევა უხდებოდა მხოლოდ რუსულ თეატრთან და მაყურებელს იზიდავდა იმის გამოც, რომ ბევრმა რუსული ენა არ იცოდა, 1851 წლის შემოდგომაზე თბილისში დაარსდა იტალიური ოპერა, რომელმაც ბევრი მაყურებელი მიიზიდა.

თბილისის თეატრების დირექციამ, რომელსაც ვ. ა. სოლოგუბი განაგებდა, ვორონცოვს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც თხოვდა გარკვეულ თანხას საოპერო დასის მოსაწვევად და საჭირო ინსტრუმენტებისა და დეკორაციების შესაძენად. ვორონცოვმა თხოვნა დააკმაყოფილა. 1851 წლის ზაფხულში თბილისში უკვე ჩამოვიდა იტალიელ მომღერალთა ჯგუფი ბარბიერის ხელმძღვანელობით. 1851 წლის 19 ოქტომბერს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა ოფიციალური განცხადებაც: „თბილისის თეატრის დირექციას, როგელმაც მიმდინარე სეზონში მოიწვია იტალიური ოპერის დასი ბ-ნ ბარბიერის ხელმძღვანელობით, აქვს პატივი გამოაცხადოს, რომ მომავალ ნოემბრის 9 რიცხვიდან გაიხსნება აბონემენტი იტალიური ოპერის წარმოდგენებზე ახალი თეატრის შენობაში...“

1851 წლის 1 (13) ნოემბერს, თამამშევის ახალ შენობაში წარმოდგენილ იქნა ოპერა „Лючиа ди Ламермоор“, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ოპერის დასმა ისეთი წარმატებით დაასრულა 1851—52 წლის სეზონი, რომ ვორონცოვმა საგრძნობი თანხები გამოჰყო დამატებით, რათა იტალიიდან კიდევ ჩამოეყვანათ სოლისტები და შეეძინათ საჭირო კოსტუმები.

1852—53 წლის სეზონს ოპერა იწყებდა 18 ნოემბერს, მაგრამ უკვე დიდი ხნით ადრე იყო გაყიდული ყველა აბონემენტი და ეს იმ დროს, როცა რუსულ და ქართულ წარმოდგენებს მაყურებელი

---

[1] „Кавказ“, 1851 წ., № 10.

ნაკლებად ესწრებოდა. ქართული თეატრისადმი უყურადღებობას, პირველ ყოვლისა, მაღალი წოდების წარმომადგენლები იჩენდნენ. მათ მეტად ესახელებოდათ რუსულ თეატრსა და იტალიურ ოპერაში სიარული; ამით მათ თავიანთი „განსწავლულობის“ ჩვენება უნდოდათ, ზოგიც წინააღმდეგი იყო საერთოდ ქართული თეატრისა. მათი ასეთი მოქმედება საგანგებო დაგმობის საგანიც კი გახდა. 1853 წელს ქართულ ენაზე გამოცემულ ა. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ ბოლოსიტყვაობაში გ. წინამძღვრიშვილი წერს: „მრავალთა ქართველთა კაცთა და დედაკაცთა ჰგონიათ, რომ თეატრი მხოლოდ რყვნის ხალხთა და ამის გამო არა თუ თვითონ არ იარებიან თეატრში, თვით თავიანთ შვილებსაც კი უშლიან სიარულს. ზემოთაც მოგახსენეთ და ეხლაც განგიმეორებთ, რომ კომედია იმისთვის იწერება, რომ პუბლიკამ ნახოს თავისი თვალით ის წუნი, ის ნაკლებულება, რომელსაც ყველა თვითონ ვერა ხედავს. კომედია თეატრში წარმოდგენის დროს გვიჩვენებს საზოგადოების რომელსამე პირთა ნაკლებულობასა და წუნსა ისეთ რიგათ, რომ თვითონ პუბლიკას შესძულდება ხოლმე იმ წუნის მქონე, უწინ კი არას დადევდა“. როგორც „კავკაზის“ რეცენზენტი შენიშნავდა, თბილისელთა ყურადღება მთლიანად ოპერამ მიიპყრო, ყველა მღეროდა და იმეორებდა ცალკეულ არიებს, რომლებიც მათ ოპერაში მოესმინათ, ყველა ოპერის აბონემენტის შოვნით იყო გატაცებული.

1853 წლიდან თბილისში იდგმება აგრეთვე ბალეტი, რომელმაც თავისი მაყურებელი პოვა.

მიუხედავად ამისა, 1852—53 წლის სეზონი ქართულმა თეატრმა კარგად დაასრულა. მან მაყურებელს უჩვენა: სკრიბის „ფაშას თეთრი დათვი“ („Белый медведь паши“); ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქოროღლი“, „ხევსურთა ქორწილი“ და გ. ერისთავის ორიგინალური და გადმოკეთებული კომედიები.

ბევრი ახალი დადგმა განახორციელა ქართულმა თეატრმა 1852—53 წლის სეზონშიც, მაგრამ ამჯერად მას მეტად გაუჭირდა სეზონის დამთავრება. თეატრების ახალი დირექტორი—ბოგდანოვი კარგი ფასალით არ უყურებდა ქართულ თეატრს. ქართული წარმოდგენები ინიშნებოდა იტალიური ოპერის შემდეგ ან წინ, განსაკუთრებული დღე მას არ ეძლეოდა. ამის გამო მაყურებელი, განსაკუთრებით ქართული ენის არამცოდნე, ან დაგვიანებით მიდიოდა თეატრში (თუ ქართული წარმოდგენა პირველად იყო დანიშნული), ან ბოლომდე არ რჩებოდა (როცა ქართული წარმოდგენა შემდეგ იყო დანიშნული), მაგრამ ასეთი მაყურებელი ადგილს მაინც „იკავებდა“, რადგან ბილეთი აღებული ჰქონდა. ასე რომ, ქართ-

ველ მსახიობებს თამაში უხდებოდათ ნახევრად ცარიელი დარბაზის წინაშე, რაც მათზე, ცხადია, მოქმედებდა. ასეთმა მდგომარეობამ ქართული თეატრისადმი მტრულად განწყობილ რეცენზენტებს შესაძლებლობა მისცა გაზეთის ფურცლებზე ემტკიცებინათ სისუსტე ქართული პიესებისა და წარმოდგენებისა, რაც სრულიად არ შეეფერებოდა საქმის ნამდვილ ვითარებას.

1854 წლის 17 თებერვალს თბილისის თეატრების დირექციამ ვორონცოვს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ხაზგასმული იყო ქართული თეატრის მიერ გამოწვეული ხარჯების სიმძიმე და მეფისნაცვალს ურჩევდა უარი ეთქვა ქართული თეატრის არსებობაზე. გ. ერისთავს დიდი დავა და კამათი ჰქონდა თეატრის დირექციასთან, კერძოდ ბოგდანოვთან. ამის გამო იყო, რომ მას აბეზღებდნენ კიდეც.

გაეცნო რა თბილისის თეატრების დირექციის ამ მოხსენებას, ვორონცოვმა კვლავ ძალაში დატოვა ქართულ თეატრთან დადებული პირობები. მან, თბილისიდან წასვლის წინ, გასცა განკარგულება, რათა დეფიციტის დასაფარავად საჭირო თანხა გაეცათ და ქართული თეატრის მსახიობებისათვის წლიური ჯამაგირი (4.000 მან.) წინასწარ მიეცათ. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი დახმარება, რომელსაც ქართული თეატრი იღებდა. ვორონცოვის წასვლის შემდეგ გ. ერისთავის დასი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1854 წლის 9(21) სექტემბერს გ. ერისთავმა განცხადებით მიმართა თბილისის თეატრის დირექტორს: „მსახიობებმა იმ დასისა, რომელიც მე მყავს ჩაბარებული, არა ერთხელ მომმართეს თხოვნით შუამდგომლობისათვის, რათა ჯამაგირი თავის დროზე მისცემოდათ, როგორც ეს ნაბრძანები იყო მეფისნაცვლის (ვორონცოვის) მიერ. მაგრამ მე მათ ვამშვიდებდი ხოლმე და დირექციის ცნობამდე არ მიმქონდა ეს ამბავი. ბოლოს, ვერ მიიღეს რა ჯამაგირი 1 ივნისიდან დღემდე, ჩემი სახლიდან აღარ გამოდიან და მთხოვენ დავაკმაყოფილო ხელფასით. ამის გამო, უმორჩილესად ვთხოვ ხსენებულ დირექციას მომცეს მათი კუთვნილი ჯამაგირი 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე. ამასთანავე ერთად ვთხოვ მაცნობოს მიეცემათ თუ არა მათ მომავალში თავის დროზე ხელფასი, რის გარეშეც მათ ჩემთან დარჩენა არა სურთო“.

აღნიშნული განცხადების შესახებ ბოგდანოვმა განმარტება მისცა მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს — შჩერბინინს, თუ საიდან უნდა დაეფარათ ქართული თეატრისათვის მისაცემი ხელფასი, თანაც აფრთხილებდა, რომ მან არ იცის მომავალში რით

უნდა დააკმაყოფილოს ქართული თეატრი, როცა მისგან მცირე შემოსავალია. ამიტომ, პირდაპირ უყენებდა კითხვას — დაითხოვოს ქართული დასი, თუ კვლავ ფიქრობენ მისცენ დახმარებაო.

ყოველივე ეს მოახსენა რა შჩერბინინმა მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელს გენერალ რეადს, უკანასკნელმა დაავალა ბოგდანოვს გაეცა ქართული დასის კუთვნილი ხელფასი და არ დაეშვათ მისი დათხოვნა მომავალშიც, ვინაიდან ასეთი იყო სურვილი ვორონცოვისა.

ბოგდანოვი მაინც ავიწროებდა ქართულ თეატრს. მან გ. ერისთავს არ მისცა დარჩენილი 300 მანეთი, რომელიც მას ერგებოდა კოსტუმებისათვის. ამის გამო გ. ერისთავმა 1854 წლის 6(18) ოქტომბერს კვლავ მიმართა გენერალ რეადს და მიაღწია მიელო იგი.

1854—55 წლის სეზონს ქართული თეატრი მეტად ცუდ პირობებში შეუდგა, მას არათუ ეხმარებოდა ვინმე, არამედ ცდილობდნენ მოესპოთ იგი. 1854 წლის 14(26) ოქტომბერს ქართულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ზ. ანტონოვის „ქოროღლი“. როგორც გაზეთი „კავკაზი“ წერდა, წარმოდგენის დროს პარტერში 20-მდე მაყურებელი იყო, მაშინ როცა უკანა ადგილებზე ტევა არ იყო და კმაყოფილი მაყურებელი გაცხარებულ ტაშსაც უკრავდა. წარმოდგენამ ნათელი გახადა თეატრების დირექციის „უურადღებაც“ ქართული თეატრისადმი. ყველა გაკვირვებული დარჩა იმ დეკორაციებით, რომელიც გამოყენებული იყო „ქოროღლისათვის“. იმის გამო, რომ ქართულ თეატრს საჭირო სახსრები არ გააჩნდა, „ქოროღლის“ წარმოდგენას ოპერა „რიგოლეტოს“ დეკორაციები „ამშვენებდა“; თურქეთის ფაშას ოთახი იყო—ჰერცოგის სასახლის ზალა, ოპერა „რიგოლეტოდან“. ასევე შესატყვისი იყო კოსტუმებიც.

გ. ერისთავი დაიჟანცა, მისთვის აუტანელი გახდა სისტემატურად უსიამოვნო მდგომარეობაში ყოფნა, ოჯახური მდგომარეობაც გაუუარესდა, რის გამო თეატრის დირექტორობა ზ. ანტონოვს დაუთმო, ხოლო თვითონ სოფელ ხიდისთავში გადასახლდა. ეს მოხდა 1854 წლის ნოემბერში.

ხალხისა და პრესის უკმაყოფილებისა და მოთხოვნის შედეგად, გადაწყდა ქართული პიესების ცალკე წარმოდგენა და ბილეთებზე ფასების დაკლება. დაკლებული ფასებით ბილეთების გაყიდვა დაიწყო 1854 წლის 22 დეკემბრიდან, როცა წარმოდგენილი იყო გ. ერისთავის „გაყრა“. წარმოდგენას უამრავი ხალხი დაესწრო, რამაც ნათელი გახადა, რომ ხალხის დაბალი წრე დაინტერესებული

იყო თეატრით, მაგრამ მას შესაძლებლობა არ ჰქონდა ბილეთები მაღალ ფასებში შეეძინა.

თეატრის გამოცოცხლებასა და მსახიობთა კარგ თამაშს ვრცელი წერილი უძღვნა ი. ევლახოვმა („Кавказ", 1855 წ., № 2.).

1854 წლის დეკემბერში ქართულმა თეატრმა განიცადა უდიდესი დანაკლისი: გარდაიცვალა ზურაბ ანტონოვი, რომელიც შესცვალა ი. კერესელიძემ. ქართული თეატრის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, დაეს იმ დროს, როცა მსახიობთა კოლექტივი შედარებით გამოწრთობილი და გამოცდილების მქონე იყო; როცა, ადმინისტრაციის მხარდაჭერის შემთხვევაში, მას შეეძლო განეხორციელებინა ყოველი პიესის დადგმა. შემთხვევითი არ იყო, რომ 1855 წელს გაზეთ „კავკაზის" მერვე ნომერში რეცენზენტი წერდა: „ქართველი აქტიორები, ქალებიცა და კაცებიც, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებენ... აბრამიძე, დვანაძე, ჯაფარიძე,—არ ვიცით, რომელ მათგანს შევასხათ მეტი ქება; პირველი უბადლოა ვაჭარ-მევახშეთა როლებში; დვანაძე — საუკეთესო წარმომდგენია სოფლური ჩვეულებისაგან თავდაუღწეველი მემამულეების როლების; ჯაფარიძე— მიჯნურის როლების პირველი მოხერხებული შემსრულებელია; ტატიშვილი—საუკეთესოა ჩინის მქონეთა და კეთილშობილი მამების როლებში; ელიოზიშვილი—მდაბიოთა როლებში, ზენგლოვი — ჯერ კიდევ ბავშვია, იმედს კი იძლევა.

მსახიობ ქალებში პირველობა მიეკუთვნება ტატიშვილს, შემდეგ აბრამიძეს... მათ შეუძლიათ წარმოადგინონ რომელიც გინდათ პიესა".

1855 წლისთვის ქართულ თეატრს რეპერტუარში ჰქონდა 30-მდე პიესა, რომელთა უმეტესობა ორიგინალური იყო.

1855—56 წლის სეზონისათვის ცენზურას დასამტკიცებლად წარედგინა 27 პიესა, რომელთაგან გ. ერისთავს ეკუთვნოდა: „უჩინმაჩინის ქუდი", „თილისმის ხანი", „ძუნწი", „შტატგარეშე ქალაქის კომისარი", „ქარაპეტა ჭურში", „ყვარყვარე ათაბაგი"; ზ. ანტონოვს—„ორი მდგმური ერთ ეზოში", „მინდა კნეინა ვიყო", „ქმარი ხუთი ცოლისა", „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!", „ხევსურთა ქორწილი", „მზის დაბნელება", „ტივით მოგზაურობა", „ქოროღლი", „ძალად ექიმი", „ერთგული ქმარი"; გ. ჯაფარიძეს — „რად მინდა პატიოსნება", „ბაბუა და შვილიშვილები", „მაიკო", „ომი თათრებთან"; ი. კერესელიძეს—„ აქტიორი", „მარჩიელობა თბილისში", „სადგურის დარაჯი", „დაღესტნის ტყვეები"; ა. მეიფარიანს — „ჩვენი ქმრები ხაფანგში"; აბაშიძეს—„რას უზამენ მატოს"; დ. ყიფიანს — „ბაბალეს თითისტარი". მაგრამ დ. ყი-

ფიანს, რომელიც იმ დროს მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა, თავისი პიესისათვის ხაზი გადაუსვამს და ასეთი წარწერა გაუკეთებია: „... Это мой труд и я никому не давал права распоряжаться им без моего ведома. Свое беру себе; останется за тем 26“.

საყურადღებოა, რომ ამ პიესათა შორის დასახელებული არაა გ. ერისთავის „დავა“, „გაყრა“ და „წარსული დროების სურათები“. ჩანს მათი წარმოდგენა აღარ სიამოვნებდა ბიუროკრატ მოხელეებს, რომლებმაც თავიანთი თავიც იცნეს მათში. არა ზუსტადაა მითითებული ავტორებზეც.

აგრეთვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ პიესათა უმრავლესობა თარგმანს ან გადმოკეთებას წარმოადგენს. ჩვენ არ შევეხებით გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის პიესებს, რომელთა წყაროების შესახებ თავის ადგილზე გვაქვს მსჯელობა, მაგრამ მივუთითებთ სხვათა ზოგიერთი პიესის წყაროზე.

კერძოდ, გ. ჯაფარიძის „ბაბუა და შვილიშვილები“ თარგმნილია რუსული ენიდან. აღნიშნული პიესა („Дедушка и внучек“), ორ მოქმედებიანი ვოდევილი, წარმოდგენილი იყო თბილისის რუსულ თეატრში ჯერ კიდევ 1846 წლის 29 სექტემბერს. ასევე, თარგმანს წარმოადგენს „მაიკო“. „მაიკოს“ ავტორია ნ. ვ. ბეკლემიშევი (1817—1866); ხოლო „იქვიანი ქმარი“ არის თარგმანი ვ. სტრომილოვის პიესისა—„Ревнивый муж“.

ი. კერესელიძის „აქტიორი“ წარმოადგენს ი. პერეპელსკის (ნ. ნეკრასოვი) ვოდევილის („Актер“) თარგმანს. პიესას თავის დროზე კარგი შეფასება მისცა ბ. ბელინსკიმ; ის გამოქვეყნდა 1841 წელს და წარმატებით იდგმებოდა. „სადგურის დარაჯი“ არის თარგმანი პიესისა—„Станционный смотритель“, რომელიც ა. პუშკინის ნაწარმოების მიხედვით დრამად გადააკეთა ნ. ი. კულიკოვმა (1815—1891). სხვათა შორის, გადამკეთებლის ვინაობას გვერდს უვლის ს. ნ. დურილინი, თუმცა თავის წიგნში „Пушкин на сцене“, რომელიც 1951 წელს გამოსცა, საგანგებოდ სწავლობს ასეთ საკითხს.

ა. მეიფარიანის „ჩვენი ქმრები ხაფანგში“ თარგმნილია ს. შუხმინის ერთმოქმედებიანი ვოდევილის—„Мужья в западне“.

დ. ყიფიანის „ბაბალეს თითისტარი“ („Веретено Варвары“) გადმოკეთებულია ფრანგულიდან. აღნიშნული პიესა ეკუთვნის ალფრედ მიუსეს.

თარგმნილია ბევრი სხვა პიესაც, რომელთა შესახებ ამჯერად არ შევჩერდებით.

1854—55 წლის სეზონის დასასრულს დაემთხვა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის გარდაცვალება, რის გამო გლოვა გამოაცხადეს და თეატრებს 6 თვით მუშაობა შეაწყვეტინეს. მაგრამ ეს „შესვენება“ არ გამოდგა დროებითი ქართული თეატრისათვის. 1855 წლის 18(30) აპრილს ბოგდანოვმა აცნობა ქართულ დასს, რომ იგი დათხოვნილია. დათხოვნილ იქნა იტალიური ოპერის დასიც; შემცირდა რუსული თეატრის მსახიობთა კოლექტივიც. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უცხოეთიდან ჩამოსული მსახიობები, რომელთაც შესაძლებლობა არ ჰქონდათ უკან დაბრუნებულიყვნენ. ზოგიერთმა მათგანმა, რომელმაც გენერალ მურავიოვის განკარგულებით მიიღო გზის ხარჯი, მოახერხა სამშობლოში დაბრუნება, ზოგიერთი კი იძულებული გახდა მიემართა სხვადასხვაგვარი საშუალებისათვის,—გახსნეს სახელოსნოები და სავაჭროები; ოპერის ცნობილი მომღერალი ვილა იძულებული გახდა ქუდების სამკერვალო გაეხსნა.

ქართველი მსახიობები კიდევ არ კარგავდნენ იმედს. 1855 წლის 2(14) სექტემბერს, მსახიობებმა: ჯაბრამიძემ, ლაფერაშვილმა, უზნაძემ, ივანიძემ, ელიოზიშვილმა და სხვებმა ბებუთოვს მიმართეს განცხადებით, რომელშიც განუმარტავდნენ თავიანთი გამოუვალი მდგომარეობის შესახებ. მოაგონებდნენ, რომ მსახიობობა მათ დაიწყეს მეფის ნაცვლის — ვორონცოვის დაპირებით და ანგარიში არ გაუწიეს არავითარ სიძნელეს, მაგრამ ამჟამად სრულიად უმართებულოდ იქნენ დათხოვნილი. ითხოვდნენ ნება დაერთოთ მათთვის კვირაში ერთხელ გაემართათ წარმოდგენა, რომლის ნებას რუსული თეატრის დირექცია არ აძლევდა მათ.

განცხადებაზე ქართველმა მსახიობებმა უარყოფითი პასუხი მიიღეს. მაშინ, 1855 წლის 31 დეკემბერს (ახალი სტილით 1856 წლის 12 იანვარს), ი. კერესელიძემ თვითონ მიმართა ბებუთოვს განცხადებით. განცხადებაში იგი აღნიშნავდა, რომ ქართული დასი წარმოდგენებს გამართავს დაქირავებულ დარბაზში, ვართანოვის შენობაში, მაგრამ დეკორაციებისა და სხვა საჭირო საშუალებების უქონლობის გამო ძნელდება დადგმების განხორციელებაო. იგი ითხოვდა დახმარებას თამამშევის თეატრში წარმოდგენების გამართვისათვის. პასუხად განცხადებისა ი. კერესელიძეს გამოუცხადეს: „Так как просьба его написана на простой бумаге и в оной не обозначено имя сочинителя и переписчика,... оставлена без последствий“.

ი. კერესელიძე სხვა ახალ დაბრკოლებასაც წააწყდა. თუ მანამდე ქართული პიესების ცენზორად პ. იოსელიანი ითვლებოდა და

პიესების თარგმნა თავიდან აცილებული იყო, ახლა უკვე მოსთხოვეს, რომ საერთო წესს დამორჩილებოდა. პიესები მე-3 განყოფილებაში უნდა განხილულიყო. მსახიობებმა: ტატიშვილმა, ლაფერაშვილმა, ელიოზიშვილმა, კიკნაძემ და ზენგლოვმა 1856 წლის 2(14) თებერვალს კვლავ გაუგზავნეს მოხსენებითი ბარათი გენერალ მურავიოვს. ისინი მოკლედ მოაგონებდნენ მას ქართული თეატრის თავგადასავალს და კვლავ სთხოვდნენ მიეცათ ნება კვირაში ერთხელ წარმოდგენების გამართვისა რუსული თეატრის შენობაში. თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

1856 წლის 7(19) ივნისს ი. კერესელიძემ და ნ. ყანჩელმა კვლავ მიმართეს მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორს თხოვნით და ცდილობდნენ მიზნისთვის მიეღწიათ, მაგრამ ამაოდ. ქართულმა თეატრმა არსებობა შეწყვიტა.

საყურადღებოა, რომ გ. ერისთავი თბილისიდან წასვლის შემდეგაც ყურადღებას არ აკლებდა თავის დაარსებულ თეატრს. დრო და დრო თბილისში ჩამოდიოდა და ამხნევებდა მრავალ დაბრკოლებებთან მებრძოლი თეატრის კოლექტივს.

გ. ერისთავის საქმის გამგრძელებელი ი. კერესელიძე თავის მოგონებაში ამბობს: „ბოლოს, როგორც იცით ჩვენი საზოგადოების საქმე, თანაგრძნობაც ცოტა გვქონდა. ხშირად, როდესაც გიორგი ერისთავი ქალაქში ჩამოვიდოდა, დადიოდა თეატრში და გვაქეზებდა, მაგრამ ამით რა იქნებოდა: ვალი თავისას თხოულობდა, სახლის ქირა თავს დაგვაწყდა, საჩივარი აგვიტეხეს. ლოჟები, სკამები, დეკორაციები დაგვიყიდეს ნახევარ ფასად და ჩემი ტრუპპა დარჩა ცარიელი. რო არა დაგვრჩა რა ტრუპპა დაიშალა, ზოგი სად წავიდა და ზოგი სად. მე დავრჩი ვალში ჩაფლული. გიმნაზიაში ვმსახურობდი და ჩემი ჯამაგირი სამი წლის განმავლობაში სულ მოვალეებს მიჰქონდათო“.

ასე უსამართლოდ იქნა მოსპობილი მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობისაგან გ. ერისთავის მიერ დაარსებული და ავტორიტეტმოპოვებული ქართული თეატრი, როცა მას შეეძლო უკეთესი დადგმების განხორციელება. მართალია, წარმოდგენები შემდეგაც იმართებოდა, მაგრამ იშვიათად და არაოფიციალურად, სანამ, 1879 წელს, კვლავ არ განახლდა მუდმივი ქართული თეატრი.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე წელს არსებობდა გ. ერისთავის მიერ დაარსებული თეატრი, მან მაინც დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრალური ხელოვნებისა და საერთოდ

ჩვენი კულტურის განვითარებაში. ეს თეატრი დაარსებიდანვე მაღალი თეატრალური ხელოვნების მოთხოვნის სიმაღლეზე იდგა; მსახიობთა კოლექტივი შედგენილი იყო საქმის ნაკლებ მცოდნე, მაგრამ დაინტერესებული ადამიანებისაგან, რომლებიც, გამოცდილი ხელმძღვანელის გ. ერისთავის დაუღალავი მუშაობის წყალობით, მალე გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები და როლების კარგი შესრულებით აღფრთოვანებას იწვევდნენ მაყურებელში.

გ. ერისთავი მაღალი გემოვნების მქონე რეჟისორი იყო, თანაც ეხერხებოდა ადვილად მოენახა და შეექმნა მსახიობში როლის შესასრულებლად საჭირო თვისებები. იგი გრძნობდა, რომ თეატრალური საქმის მომავალი დიდად იყო დამოკიდებული მასზე და მის თეატრზე; გრძნობდა, რომ ქართული თეატრალური ხელოვნების შემდგომი აღმავლობა მას შეეძლო დაეჩქარებია და შეეფერხებია კიდეც. ამიტომ იყო, რომ იგი არ ზოგავდა ენერგიასა და ცოდნას. როგორც თეატრის ხელმძღვანელი, მსახიობებს უჩვენებდა მაღალ მოქალაქეობრივ თვისებებს, რაც აახლოებდა მას მათთან.

ი. კერესელიძე იგონებს, თუ როგორი სიყვარულით მიიღო იგი გ. ერისთავმა და როგორი დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე; „მზად ვიყავი ყველაფერი გამეკეთებია მისთვისო“,—შენიშნავს ი. კერესელიძე. ხოლო დრამატურგისა და მსახიობის გ. დვანაძის თქმით, „ვერა მამა ვერ იზამდა, რაც მან მასზედ ღვაწლი სთესა“. ზ. ანტონოვი, მეიფარიანი, გ. ჯაფარიძე და სხვები ხომ გ. ერისთავის მიერ გამოყვანილი და აღზრდილი არიან სამოღვაწეო ასპარეზზე. ის დიდი შეფასება, რომელიც თეატრის მცოდნე რეცენზენტების მიერ ეძლეოდათ ქართული თეატრის მსახიობებს, გ. ერისთავის რეჟისორულ ნიჭზე და მონდომებულ მუშაობაზე ლაპარაკობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. თუმანიშვილის, როგორც თეატრალური კრიტიკოსის, როლი ქართული თეატრის განვითარების საქმეში. იგი იყო ქართული თეატრის ერთგული დამცველი და პირუთვნელი კრიტიკოსი. პოეზიაში რომანტიკოსი, მ. თუმანიშვილი იბრძოდი ქართულ თეატრში რეალიზმის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. მისი საყურადღებო შენიშვნები თავის შედეგს იღებდა, მას ანგარიშს უწევდა გ. ერისთავი.

გ. ერისთავი პირადი მაგალითი იყო მსახიობთათვის. მან სახელი მოიხვეჭა როგორც ნიჭიერმა აქტიორმა. მის მიერ განსახიერებული სომხის ვაჭრის როლები დიდხანს იყო მისაბაძი სხვებისათვის.

გ. ერისთავი მსახიობთაგან მოითხოვდა, რომ ყოფილიყვნენ ნამდვილი ქართველი მსახიობები, მორიდებოდნენ მიბაძვას. მისაბაძ

მაგალითად მსახიობებს იგი თვით ცხოვრების სინამდვილის დამახასიათებელ სახეებს უსახავდა. როგორც პიესა, ისევე მისი წარმოდგენა გიორგი ერისთავს რეალისტურ ფერებში ეხატებოდა. ამიტომაც მიაღწია მან დიდ გამარჯვებას.

სამწუხაროდ, გ. ერისთავს არ დაუტოვებია კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, რომლებიც გაგვიადვილებდნენ მისი შეხედულების გათვალისწინებას თეატრის შესახებ. მაგრამ მისი დრამატურგიული თხზულებები და მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული დადგმები, რომელთა შესახებ იმდროინდელ რუსულ გაზეთებში საკმაოდ ვრცელი კრიტიკული გარჩევები მოიპოვება, საშუალებას გვაძლევენ გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ გ. ერისთავის შეხედულებებზე ამ დარგში.

გ. ერისთავის თეატრი იყო ნამდვილი რეალისტური თეატრი, რომელიც მოურიდებლად ამხილებდა ჩამორჩენილ და უსამართლობით აღსავსე ცხოვრებას. იგი იბრძოდა დრომოჭმული სოციალური ურთიერთობისა და ბიუროკრატიული მმართველობის თავგასულობის წინააღმდეგ. თეატრის სცენაზე გ. ერისთავმა სატირული იუმორის ცეცხლში გაატარა გონებაჩლუნგი და ფუქსავატი თავადები, ძუნწი და უზნეო ვაჭრები, უვიცი და მექრთამე მოხელეები.

გერცენი შენიშნავდა, რომ გოგოლი, ძირითადად, ორ მტერს ხედავდა: ჩინოვნიკსა და მემამულეს, რომელთაგან პირველს „რევიზორით“ მიუზღო, მეორეს—„მკვდარი სულებით“. გ. ერისთავი ჩინოვნიკებთან და მემამულეებთან ერთად თავს ესხმის სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლებსაც. იგი მკაცრად ილაშქრებს ყოველი ბოროტების წინააღმდეგ და ამ მიზნისათვის თეატრს მიმართავს.

ამ მხრივ მატად საინტერესოა გ. ერისთავის უცნობი პიესის ნაწყვეტი, რომელიც დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში. როგორც ჩანს, გ. ერისთავს დაუწერია პიესა, რომელშიც აუწერია თავისი თავგადასავალი თეატრის დაარსებისათვის ბრძოლაში. მწერალს თავისი თავი პიესაში უშუალოდ გამოყავს (თავისი გვარითა და სახელით). პიესაში გ. ერისთავი ამბობს: „ოხ! თეატრი, თეატრი, ეს არის პირველი კაცის და ქვეყნის გამაბედნიერებელი და დამადგინებელი“.

მისთვის თეატრი დიდთა მფიქვრელთ შემოუღიათ,
სიმართლის თქმა ხალხთა შორის მათ დაუდგიათ,
რომლით კაცისთვის შეცდომის ფარდა თვალთ აუხდიათ,
თუმც ახიაში ეს დიდი ახრი ჯერეც კიდევ ვერ გაუგიათ.

თეატრი კაცსა არაოდეს არ მოსწყინდება,
რადგან ცხოვრება დღეობითი მუნ წარმოსდგება,
თანაც მნახველი დროს ატარებს [და თანავე] სახიერდება,
ხედავს რა ბოროტს თვითეულად და მით ნათლდება.

გ. ერისთავი გარკვეულად მიუთითებს თეატრის დიდ დანიშნულებაზე: სიმართლის თქმა, „კაცისათვის შეცდომის ფარდის თვალთ ახდა", ყოველდღიური ცხოვრების წარმოდგენა, რათა გაუადვილდეს მაყურებელს ბოროტის გამოცნობა,—აი რას ემსახურება, მისი შეხედულებით, თეატრი; თანაც, თეატრში ადამიანი ისვენებს, დროს ატარებს.

ქართული თეატრის დაარსებით ნასიამოვნები მწერალი პიესაში ამბობს:

ახლა ქართველნო, გავიხაროთ, სულ გაგვითენდა,
ის დაკარგული ძველი ვარსკვლავი აღმოგვიცენდა.

ძველად დაკარგულ და ამჟამად აღმოცენებულ ვარსკვლავში გ. ერისთავი თეატრს გულისხმობს და ამჯერადაც იგი არ ღალატობს ისტორიულ სინამდვილეს.

აქტიორთა ძალების შეგროვების საქმეში გადალახული სიძნელეების შესახებ მწერალი თავის თაეს ასე ალაპარაკებს: „ჰო, ეს ზოგიერთი აქტიორები და აქტრისები ვიშოვე, ზოგი კიდეც ივარგებს მგონი, მაგრამ რა ვიცი, ერთი ჟინი მოუვათ ქართული და საქმე საქმეზე რომ იქნება მიმდგარი, მოგიშლიან... ერთი იმისთანა არავინ არის, ამისთანა საქმეში შემეწიოს, ყველას როგორ აუვიდე, პიესები დავწერო, ვასწავლო არამც თუ რიგი წარმოდგენისა, არამედ კითხვა ზოგმა თითებზე ჩათვლით ძლივს იცის..." [1].

აქ არაფერია გადაჭარბებული. მან თეატრალური საქმის უცოდინარ ადამიანთაგან შემდეგში ცნობილი მსახიობები აღზარდა, თანაც საჭირო რეპერტუარი შექმნა და მათი წარმოდგენა უზრუნველყო.

გ. ერისთავი არასოდეს არ ივიწყებდა, რომ ახალგაზრდა და გამოუცდელ მსახიობებს არა მარტო სწორი აქტიორული აღზრდა ესაჭიროებოდათ, არამედ მაღალი ზნეობრივი და მორალური თვისებებით გამდიდრებაც. იგი, ამ მხრივ, უსაზღვროდ მკაცრი იყო; თავზე დასტრიალებდა თავის დასს და არავის აპატიებდა რაიმე შეუფერებელი საქმის ჩადენას. გ. დვანაძე, დღემდე გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიულ პოემაში „სიყმაწვილიდგან ჩემი ცხოვრე-

[1] აღნიშნული ნაწყვეტი გამოაქვეყნა ლ. ბარნაველმა. იხ. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951., № 30.

ბა“, რომელიც ბევრ საინტერესო მასალას იძლევა ამ მიმართულებით გ. ერისთავის შესასწავლად, ამბობს:

—„ერთბელ საქმე წავახდინეთ, ის სიმთვრალით დაგვემართა,
ის დღე თქვენს მტერს დაემართოს, ერისთავმა ჩვენ დაგვმართა“.

—„ექვსნი ვიდექით ერთადა, სულ ქვეიფის მოყვარულნი
დღე და ღამ ლოთობისაგან ვიყავით გადარეულნი.
ერთს ღამეს ვაბშმად ვისხედით, ვიქმენით ღვინით ძლეულნი,
ჩხუბი მოგვიხდა, ვებრძოდით ერთმანეთს გაფიცხებულნი“.

—„ეს გაიგო ერისთავმა, კბილებიდან ცეცხლი ყარა,
გაცასწყრა და გაგულისდა, ახლოს აღარ მიგვიკარა“.

გ. ერისთავისათვის მათ მოციქული გაუგზავნიათ და შეუთვლიათ: „ფიცს მოგცემთ აღარ გავბედოთ, სიბრიყვე ჩვენ ამისთანაო“. გიორგის დაუბარებია დანაშაულის ჩამდენნი: „დაგვიბარა, შევვარცხვინა, ერთობ ცუდად დაგვაცხუნაო“. გ. დევნაძეს სხვა დანაშაულიც ჩაუდენია. იგი ერთ-ერთ მსახიობ ქალს დაპირებია, ხოლო შემდეგ უარი უთქვამს ცოლად შერთვაზე. გიორგის, შეუტყვია რა ეს, დევნაძისათვის მიუგზავნია ჯაფარიძე და შეუთვლია: „როგორ, შენ და მე ეს მიყო, შენ ქალები შემირცხვინო, მე ცოცხალი რაღად ვიყო?“

თეატრს მოვშლი აღარ მინდა, ახლოს ნუღარ მომიდგები!
მე სიკეთეს გიშვრებოდი, შენ მოსისხლე მტრად მადგები.
დავინახავ ჩემს უკეთესს, ვისაც შენ სხვას მიუდგები;
რადგან მე ვერ გამიტანე, სხვასთან უფრო ვერ დადგები-ო.

გიორგის მკაცრი ხასიათი იცოდა დევნაძემ. მას ან თეატრი უნდა დაეტოვებინა, ან ქალისთვის მიცემული სიტყვა უნდა შეესრულებინა. მასაც გიორგისათვის შეუთვლია:

მე ცოლის შერთვა არ მსურდა, რამდენჯერ გითხარ უარი,
რადგან მიწყრები შევირთავ, ის ცოლი იყოს, მე ჭკარი.

მოსწონებოდა ეს სიტყვა, მაგრამ კი არ დაეჯერა,
დამიბარა, მიმიყვანა, ფიცით გული შეიჯერა,
. . . . . .
იმავ ღამეს კურთხევითა მოვახდინეთ ჯვარის წერა.

თავისი მასწავლებლისა და ხელმძღვანელის გარდაცვალებით დამწუხრებული მსახიობი და პოეტი გ. დევნაძე დიდი სიყვარულით ამბობს: „ვაიმე ჩემის დამკარგავი, მე რაღათ ვარ სულდგმულიო“. მოტანილი ამონაწერები, ვფიქრობთ, ნათლად წარმოგვიდგენს გ. ერისთავს, როგორც მაღალი ზნეობის მქონე მოქალაქესა და დიდი

პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებულ საზოგადო მოღვაწეს. შემთხვევითი არ იყო, რომ იგი თავის კომედიებშიც დიდ ყურადღებას აქცევდა საზოგადოების ზნეობრივ-მორალური მხარის ამაღლებას და თავისი იუმორით თავს ესხმოდა გადაგვარებულსა და დაქვეითებულს. თავის კომედიებს გიორგი ჩუბინაშვილი აბოლოვებდა სიტყვებით:

მე დავსწერე იმაზედა, ვინც ხნეობით არის მრუდი,
ჩვენც ვეცადნეთ და განვედევნოთ, რაცა არის ჩვენში ცუდი.

ამ სიტყვებს თვითონ პოეტი წარმოსთქვამდა ხოლმე სცენიდან, წარმოდგენის დასასრულს.

გ. ერისთავის სტიქია იყო ახალგაზრდა, ნიჭიერი ძალების მოძებნა და მათთვის გზის მიცემა, მათი აღზრდა და დაწინაურება. მან კარგად იცოდა ისიც, რომ თეატრის კოლექტივში, თუ გაბატონებული არაა დისციპლინა, თუ ყველა თავის მხრივ უფროსად თვლის თავს, საქმეს წარმატება არ მოელის. ამ მიმართულებითაც იგი თავის სიმაღლეზე იდგა.

გ. ერისთავის ერთი უდიდესი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ მან გასული საუკუნის 50-იან წლებში შეძლო საქმედ ექცია ქართველი ხალხის დიდი ხნის სურვილი — დაარსებულიყო ქართული პროფესიული თეატრი. მან ხორცი შეასხა ამ სურვილს ისე წარმატებით, რომ მისი თეატრის სტილი დიდხანს ახდენდა გავლენას ქართული თეატრის შემდგომ განვითარებაზე.

გ. ერისთავის თეატრალური მოღვაწეობის გასათვალისწინებლად საკმარისია ისიც, რომ მის მიერ დაარსებული თეატრის სცენიდან, მისივე პიესების წარმოდგენით, საზოგადოებამ პირველად იგრძნო კრიტიკული რეალიზმის ძალა.

კრიტიკული რეალიზმი ქართულ ლიტერატურაში დრამატურგიული მწერლობისა და თეატრის სცენის საშუალებით მოგვევლინა.

გ. ერისთავის თავდადებული შრომა ქართული თეატრის დაარსებისა და გაძლიერებისათვის გახდა მაგალითი შემდეგი დროის მოღვაწეებისათვის. საყურადღებოა, რომ 90-იან წლებში, როცა ქართული თეატრის გამგეობის თავმჯდომარეს გ. მ. თუმანიშვილს და მდივანს პ. უმიკაშვილს საგანგებო მსჯელობა ჰქონიათ, თუ როგორ გამოესწორებინათ თეატრის საქმე, რა პიესა შეერჩიათ, რომ მეტი მაყურებელი მიეზიდათ, პ. უმიკაშვილს გადაუწყვეტია თვითონ დაეწერა პიესა, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა ერთ-ერთი

მომენტი ქართული თეატრის დაარსების ისტორიიდან. მას პიესის თემად აუღია „გ. ერისთავის პიესის „გაყრის“ პირველი რეპეტიცია, მომხდარი მაშინდელი გიმნაზიის დარბაზში, სადაც უნდა დასწრებოდა თ. მ. ს. ვორონცოვი“ [1].

პ. უმიკაშვილისათვის ცნობები მიუცია ქეთევან ორბელიანს — „გაყრის“ პირველი წარმოდგენის უშუალო მონაწილეს, რომელიც ამ დროს ცოცხალი იყო. შეიტყო რა პიესის შინაარსი, „იმ საღამოს დიდძალი ხალხი მოაწყდა ქართულ თეატრს... ფასიც არავის ენანებოდა, თუნდ ერთი ორათაც გადიხდიდნენ, ოღონდ ადგილი ეშოვნათ. ყველას სურდა ენახა ის ისტორიული მომენტი ქართული თეატრის დაარსებისა, რომელიც მთლად კულტურული მოძრაობით იყო გამოწვეული“ [2].

ჩვენი კულტურის აღმავლობისათვის გ. ერისთავის ბეჯითმა შრომამ და პატრიოტულმა თავდადებამ საპატიო ადგილი იპოვა ქართველი ხალხის გულში.

---

[1] მაზაკველი. „ჩვენი სახიობა“, „კვალი“, 1898 წ., № 2.

[2] იქვე.

V. ზ. ერისთავი — ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი

ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში გიორგი ერისთავის სახელი მაინც უკვდავი და დიდი იქნებოდა, თუნდაც მისი ღვაწლი მწერლობითა და ქართული მუდმივი თეატრის დაარსებით ამოწურულიყო. მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გახდა სხვა დიდი კულტურული წამოწყების ინიციატორი და სულისჩამდგმელიც. მან დაარსა „ცისკარი“ — პირველი „სიტყვიერებითი ჟურნალი“ საქართველოში.

გ. ერისთავის „ცისკარს“ მეტად ღარიბი და უფერული ტრადიციები დახვდა. მის წინამორბედს მხოლოდ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ წარმოადგენდა; ისიც მეტად უდროოდ განშორებული თავის სარბიელს. სხვა გამოცემათაგან სასარგებლოს ვერაფერს გადმოიღებდა.

„ცისკრის“ დაარსება და მისი რედაქტორობა პატრიოტული გრძნობით შთაგონებული მწერლის სამოღვაწეო პროგრამის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მას კარგად ესმოდა სალიტერატურო ჟურნალის მნიშვნელობა საერთოდ და კერძოდ იმ ეპოქისათვის, როცა მას მოღვაწეობა უხდებოდა.

მას შემდეგ, რაც ქართული თეატრი დააარსა და საყოველთაო ავტორიტეტი მოიპოვა, გ. ერისთავმა გადაწყვიტა გამოეცა ჟურნალი ქართულ ენაზე. ამ მძიმე მოვალეობას მას აკისრებდა ქართული ცხოვრების საჭიროება და გულშემატკივარი ქართველი მოღვაწეები, რომლებსაც საგანგებოდ მოულაპარაკნიათ ჟურნალის სახელწოდებისა და პროგრამის შესახებ.

მ. ვორონცოვს სიამოვნებით მიუღია თხოვნა ქართული ჟურნალის გამოცემის შესახებ და მაშინვე მიუმართავს საჭირო ზომებისათვის. ზ. ჭიჭინაძე წერს: „ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემის შესახებ აი

რა მიამბო ვახ. ორბელიანმა: „ვორონცოვმა ირწმუნა ჩვენი მუდარება, უმაღლეს მთავრობასთან მეცადინეობა დაიწყო, 1851 წლის ბოლოს გ. ერისთავმა უკვე „ცისკრის“ გამოცემის ნებართვა მიიღო. ამისათვის მას ვორონცოვისაგან საბეჭდი სტამბაც ეჩუქა და წელიწადში 500 მან. დახმარებაც დაენიშნაო“ [1].

გ. ერისთავმა მ. ვორონცოვს ოფიციალურად მიმართა განცხადებით და სთხოვა ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რათა ნება დართოდა გამოეცა ქართული სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“. რამდენიმე დღის შემდეგ, 1851 წლის 12 თებერვალს, მ. ვორონცოვმა ა. ი. ჩერნიშევს წერილი გაუგზავნა და სთხოვა თავისთავზე აეღო იმპერატორთან შუამდგომლობა „ცისკრის“ გამოცემის შესახებ. წერილში ნათქვამია: „თავადმა ერისთავმა, რომელიც ჩემთან მუშაობს საგანგებო დავალებათა მოხელედ, გამოსთქვა სურვილი თბილისში გამოსცეს ქართულ ენაზე ლიტერატურული ჟურნალი წმ. ნინოს (სახელობის) სასწავლებლის სასარგებლოდ, სახელწოდებით „ცისკარი“, სადაც ფიქრობს მოათავსოს მხოლოდ ქართული. რუსული და უცხოური სიტყვიერება, აგრეთვე ცნობები სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და მხატვრობის შესახებ. თავად ერისთავის ეს მოსაწონი წინადადება მე მით უფრო სიამოვნებით მიეღე, რომ საქართველოში აქამდე არ გამოდიოდა არც ერთი პერიოდული გამოცემა ქართულ ენაზე... თავად ერისთავის ნიჭმა ქართული ლიტერატურის ასპარეზზე სახელი გაითქვა აქაურ მხარეში მშვენიერი დრამატული პიესებითა და კომედიებით, რომლებიც მან პირველმა დადგა სცენაზე და საამისოდ შექმნა ქართული თეატრალური დასი“.

ა. ჩერნიშევმა, მ. ვორონცოვის ბარათის მიღებისთანავე, იმპერატორს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც თავის მხრივ იმეორებდა მ. ვორონცოვის სიტყვებს ქართულ ენაზე ჟურნალის საჭიროებისა და გ. ერისთავის პიროვნების შესახებ. ამასთან, ჩერნიშევმა მოხსენებითს ბარათს დაურთო საგანგებო ცნობები, რომელთაგან ერთი გ. ერისთავის მოქალაქეობრივი სახის მოკლე დახასიათებას წარმოადგენდა. ცნობაში ნათქვამია: „გუბერნიის მდივანი თავადი ერისთავი სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, მაგრამ სწავლების კურსი არ დაუსრულებია. 1832 წელს, მთიელებთან ბრძოლაში წარჩინებისათვის, მიეცა პრაპორშჩიკობა. 1833 წელს — გადაყვანილ იქნა ნოვოინგერმანლანდის ფეხოსანთა

[1] ზ. ჭიჭინაძე. ისტორია ქართულის გაზეთებისა და ჟურნალებისა, 1902 წ., გვ. 27.

პოლკში; 1841 წელს, შინაური მდგომარეობის გამო, განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან შტაბსკაპიტნის ჩინით; ამის შემდეგ ეპირა სხვადასხვა თანამდებობა სამაზრო მმართველობაში კავკასიაში, ხოლო 1850 წელს დანიშნულ იქნა საგანგებო დავალებათა მოხელედ — მეფისნაცვალთან კავკასიაში. თავად ერისთავი 37 წლისაა".

იმპერატორმა, რომელიც საგანგებო ნდობით ეპყრობოდა მ. ვორონცოვის შუამდგომლობებს, მაშინვე დააკმაყოფილა თხოვნა. ამასთანავე, გააფრთხილა ჩერნიშევი ჟურნალი გამოსულიყო საერთო ცენზურული წესდების საფუძველზე და მასში არ დაბეჭდილიყო პოლიტიკური შინაარსის სტატიები.

1851 წლის 1 მარტს ა. ჩერნიშევი მ. ვორონცოვს სწერდა: „მისმა უდიდებულესობამ კეთილინება გამოეთქვა უმაღლესი თანხმობა თავად ერისთავის მიერ აღნიშნული ჟურნალის გამოცემაზე იმ პირობით, რომ ეს ჟურნალი გამოდიოდეს საერთო დებულების საფუძველზე, გადასინჯულ და დაშვებულ იყოს დასაბეჭდად კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ, რათა არაფერი დაიბეჭდოს საწინააღმდეგო იმ წესებისა, რომლებიც დადგენილი იყო როგორც ცენზურის საერთო წესდებაში, ისევე კერძო განკარგულებებში, რომლებიც გაგზავნილია იმპერიის პერიოდულ გამოცემათა ცენზურის ხელმძღვანელობისადმი; და რომ მასში მოთავსებული არ იქნება არავითარი პოლიტიკური სტატიები, განცხადებები და მსჯელობანი. ამაზე მეთვალყურეობას მისი უდიდებულესობა ანდობს კავკასიის საცენზურო კომიტეტის უშუალო პასუხისმგებლობას და იმ ცენზორს, რომელსაც განსაკუთრებით მიენდობა განხილვა იმ სტატიებისა, რომლებიც განკუთვნილი იქნებიან ჟურ. „ცისკარში" დასაბეჭდად".

მიიღო რა „ცისკრის" გამოცემის ნებართვა, გ. ერისთავმა საგანგებო ფურცელზე დაბეჭდა „განცხადება" რუსულ და ქართულ ენებზე. „განცხადებაში" ვკითხულობთ: „ამა ჩყნა (1851) წლისათვის, თანახმად უმაღლესის ნებისა იქმნება გამოცემული სასარგებლოდ წმინდა ნინას ზავედენიისა, ქართულ ენაზედ სიტყვიერებითი ჟურნალი „ცისკარი" ყოველს თვეში თითოს წიგნათ, რომელსა შინაცა იქნების შესულ: ქართული სიტყვიერება, თარგმანი, სწავლა, ხელოვნება და სახლის პატრონობა, ფასი წელიწადში ჯ (5) მანეთი, ხოლო გაგზავნით ხ (6) მანეთი თეთრი ფული. მსურველთა ამა ჟურნალისა ძალუძსთ მიიქცნენ თავიანთის თხოვნითა დროზედ ამა-ჟურნალის რედაქციაში, თფილისს სახლსა შინა ნინას ზავედენიისასა კუკიაში, რათა რედაქციამ ძალიდვას დაბეჭდვა მისი საჭი-

როს რიცხვით ეკზემპლიართა, ამასთანავე რედაქციას აქვს პატივი დაუმატოს, რომელ მსურველთა ამ ჟურნალში სტატიის დაბეჭდვისა, ძალუძსთ გამოგზავნონ ესე ვითარი აბა რედაქციაში“ [1]. პარალელურად დაბეჭდილია რუსული ტექსტიც. „განცხადებას“ ხელს აწერს:

„Редактор К(нязь) Эристов“.

განცხადების ფურცლის მეორე გვერდზე გაკეთებულია სპეციალური სვეტები ხელისმოწერთა ვინაობის შესახებ; განცხადება დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზშიც“.

როგორც განცხადებიდან ჩანს, „ცისკარი“ 1851 წელსვე უნდა გამოსულიყო, მაგრამ მისმა გამოსვლამ საკმარისად დაიგვიანა. „ცისკრის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1852 წლის იანვარში. ასეთი დაგვიანების მიზეზი იყო ხელისმომწერთა სიმცირე, რამაც გ. ერისთავი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ მას მ. ვორონცოვი წამოეშველა. ვორონცოვმა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლისათვის (რომელიც მისი მეუღლის მფარველობის ქვეშ იყო) გამოსწერა ასი ცალი ჟურნალი, რამაც რედაქციას 500 მანეთი შემოსავალი მისცა წლიურად. ეს იყო ერთგვარი სუბსიდია, რომელმაც უზრუნველჰყო ჟურნალის წესიერად გამოსვლა მთელი ორი წლის მანძილზე.

„ცისკარზე“ ხელისმოწერის ფასი, როგორც „განცხადებაშიცაა“ აღნიშნული, იყო 5 მანეთი, ხოლო გაგზავნით—6 მანეთი. ჟურნალს ჰქონდა ოთხი ძირითადი განყოფილება: პოეზია, პროზა, სწავლა და ხელოვნება, სოფლური სახლის პატრონობა.

„ცისკრის“ პირველი ნომერი დაიბეჭდა პატკანოვის სტამბაში, ხოლო შემდეგი ნომრები (2, 3, 4, 5, 6)—კავკასიის „ნამესტნიკის“ კანცელარიის სტამბაში. საკუთარი სტამბის უქონლობა „ცისკრის“ გამოცემას აძნელებდა, მაგრამ ვორონცოვმა გ. ერისთავს აჩუქა საბეჭდი მანქანა და გიორგიმაც თავისი სტამბა გამართა. მეშვიდე ნომერი უკვე დაიბეჭდა „საბეჭდსა შინა გ. ერისთავისა“. ამის შემდეგ „ცისკარი“ გ. ერისთავის სტამბაში იბეჭდებოდა, თუმცა იყო შემთხვევები (ტექნიკური მიზეზების გამო), როცა „ცისკარი“ კვლავ „ნამესტნიკის“ კანცელარიის სტამბაში იბეჭდებოდა (1853 წლის 1, 2, 5 ნომრები).

„ცისკარს“ ჯერ ყაითმაზოვი (პირველ ოთხ ნომერს), ხოლო შემდეგ მღვდ. ა. მესხიევი ცენზორობდა. ჟურნალის ყოველ ნომერს, ყდის მეორე მხარეზე, ზოგჯერ რუსულად, ზოგჯერ ქართულად,

[1] „განცხადების“ ერთი ეგზემპლარი ინახება სტალინის სახელობის თ. ს. უ. ბიბლიოთეკაში.

წარწერილი ჰქონდა ცენზორის ვიზა: „დაბეჭდვის ნება აქუს ამ სახით, რომელ შემდეგ დაბეჭდვისა წარმოდგენილ იყოს ცენზურის კომიტეტში დაწესებული რიცხვი ეკზემპლიართა...“

გ. ერისთავის რედაქტორობით „ცისკარი“ გამოდიოდა სრული ორი წელი (1852—1853 წწ.) და გამოცემულ იქნა 24 ნომერი. 1854 წლიდან „ცისკარი“ აღარ გამოსულა. 1853 წლის მეთორმეტე ნომერში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ჟურნალის გამოცემა შეწყვეტილი იქნებოდა. ჩანს, რომ რედაქცია ფიქრობდა კვლავ გაეგრძელებინა ჟურნალის გამოცემა, მაგრამ ხელისმომწერთა საჭირო რიცხვი ვერ შეაგროვა. ამ გარემოებას თან დაერთო სხვა მიზეზებიც: ეორონცოვის თბილისიდან წასვლა და ყირიმის ომი. ამასთან, გ. ერისთავს „ცისკრის“ გამოცემის განგრძობა აღარ შეეძლო თუნდაც იმიტომ, რომ მას მხარში აღარავინ უდგა; „ცისკარი“ შინაარსეულად გაღარიბდა, არავინ აწვდიდა მასალას, ან თუ აწვდიდა ვინმე, ისიც გამოუსადეგი იყო. ამიტომ იყო, რომ გ. ერისთავი იძულებული გახდა 1853 წლის „ცისკრის“ მეხუთე და მეექვსე ნომრებში მოეთავსებია მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის მიერ ფრანგული ენიდან გადმოთარგმნილი კორნელის ტრაგედია „სინნა“: ხოლო მეშვიდე, მერვე და მეცხრე ნომრებში — ს. ალექსიევ-მესხიევის მიერ რუსული ენიდან გადმოთარგმნილი „საფია, რომანი უფლისა როეე დებოვოარისა“.

ასეთ პირობებში გ. ერისთავს ჟურნალის გამოცემის განგრძობა აღარ შეეძლო. ისიც ბედს დამორჩილდა, თუმცა სჯეროდა, რომ მის წამოწყებულ საქმეს მემკვიდრე აღმოუჩნდებოდა. იგონებს რა გ. ერისთავის დამსახურებას, ლ. არდაზიანი შენიშნავს: „უალაგო არ იქნება ესთქვათ: რა გრძნობით უყურებდით ერისთავს, რომელმანცა დააფუძნა „ცისკარი“, აღადგინა დაცემული ქართული ენა, მრავალი კეთილი შესძინა საქართველოს და უფრო მეტს შესძინებდა, უკეთუ ჩვენ გარდაგვეხადა მადლობა დამფუძნებლისათვის. რა მაგდენი სინდისი არის ჩვენში. ნაცვლად მადლობისა ხშირად დამღერება ისმოდა ისეთ კაცზედ, რომლისაც ტალანტი და შრომა ღირსი არის შენიშვნისა და რომლის წყალობითაც ახლაც გამოდის ჟურნალი. გ. ერისთავი რომ არ ყოფილიყო, აქამდინაც დაძინებული ვიქნებოდით. რა ნახა ქართველმან პოეტმან, რომ ვეღარ გააწყო თავისი გრძნობა ჩვენზედ, ამოოხვრით დაანება თავი ჟურნალს. და სთქვა: როგორც გიწირავთ, ისე სწირეთო“ [1]. ამასვე აღნიშნავს ე. თუმანიშვილიც გაზეთ „კავკაზში“.

---

[1] „ცისკარი“, 1857 წ., № 12, გვ. 59—60.

გ. ერისთავმა თავისი უფლება ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემაზე ი. კერესელიძეს დაუთმო.

* * *

გ. ერისთავის „ცისკარს“ თავიდანვე დაჰყვა მანკი, რომლის გამოსწორება რედაქტორს არ შეეძლო. „ცისკრის“ გამოცემის ნებართვაში, რომელიც გ. ერისთავმა მიიღო, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ჟურნალში არ უნდა დაბეჭდილიყო პოლიტიკური შინაარსის სტატიები და წერილები. ამ გარემოებამ იმთავითვე განსაზღვრა ჟურნალის ბედი. აშკარა იყო, რომ „ცისკარი“ მოწყვეტილი იქნებოდა თანამედროვე ცხოვრებას და ამდენად ჟურნალის ძირითად დანიშნულებასაც. შესაძლებელია დაიბადოს კითხვა: შეეძლო თუ არა რედაქტორს აღნიშნული შეზღუდვა პოლიტიკური შინაარსის მქონე მხატვრულ ნაწარმოებთა ბეჭდვით დაეძლია? რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელი იყო, თუ რომ ფართო მნიშვნელობით არ ყოფილიყო ნათქვამი „პოლიტიკური შინაარსის სტატიების“ ბეჭდვის დაუშვებლობაზე.

„ცისკარს“ გამოსვლა მოუხდა ცენზურის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, ამიტომ მას სხვა გზა არ ჰქონდა, თუ არა დამსგავსებოდა ალმანახს.

გ. ერისთავმა, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა ცარისტული რეჟიმის სიმკაცრე და კარგად იცოდა აგრეთვე როგორი თვალითაც უყურებდნენ „ცისკარს“ მეფის რუსეთის მოხელეები, თავის ჟურნალს მიზნად დაუსახა ქართული მწერლობის გამოცოცხლება, ქართველ მწერალთა საუკეთესო ქმნილებათა გატანა ხალხში და მათი პოპულარიზაცია. იგი იძულებული იყო „ცისკრის“ ფურცლები აევსო ძველ და გარდაცვლილ მწერალთა თხზულებებით. თანამედროვეთაგან მის ჟურნალს მხოლოდ გ. ორბელიანის ლექსები ამშვენებდნენ, ისიც ძველად დაწერილნი, დანარჩენთაგან მეორეხარისხოვანი პოეტის უკეთეს სახელს ვერავინ იმსახურებდა.

თვითონ გ. ერისთავი კარგად გრძნობდა, რომ საჭირო იყო თავისი თანამედროვე მწერლები შემოეკრიბა ჟურნალის გარშემო. იგი საგანგებოდ მადლობასაც კი უცხადებდა ჟურნალის ფურცლებზე მათ, ვინც თავიანთი კალმის ნამოღვაწარს მიაწვდიდა ჟურნალს და სთხოვდა მომავალშიც არ მოეკლოთ ყურადღება „ცისკრისათვის“. 1852 წელს, „ცისკრის“ მეოთხე ნომერში, დაიბეჭდა დ. მაჩაბლის ლექსი „ვარდი“, რის გამო რედაქცია აცხადებს: „რედაქცია ამ ჟურნალისა განუცხადებს გულითად მადლობას თავადს დავით ბარძიმის ძეს მაჩაბელს, რომელმანც განაშვენა ჩვენი ჟურნალი

ესე ცისკარი, მართლა განცისკროვანებულისა და ბრწყინვალისა ლექსებით, კუალად იმედულობს რომელ სიყვარულისათვის მშობლიურის ენისა, წარმოგზავნის თვისთა შრომათაო".

„ცისკარში" იბეჭდებოდა ახალ მწერალთა ნაწერებიც, მაგრამ მხატვრულად ისე სუსტნი, რომ მათ არ შეეძლოთ მეტოქეობა გაეწიათ ძველ და წინა თაობის მწერალთა შემოქმედებისათვის. ამიტომ, გ. ერისთავის „ცისკრის" მთავარი დამსახურებაც ამ უკანასკნელთა შემოქმედების გამომზეურება არის. ძველ მწერალთა თ.ხზულებების ბეჭდვა არ შეიძლება ჟურნალს ჩამორჩენად ჩაეთვალოს, ვინაიდან მათ ფართო მკითხველი არ იცნობდა და ამდენად ახალი იყო მისთვის. გ. ერისთავი თავიდან შეიძლება არც ფიქრობდა ძველების წინაშე დათმობაზე წასულიყო, ამიტომაც პირველი ნომერი მთლიანად თავისი ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებებით შეავსო, მაგრამ სხვები არც შემდეგ წამოეშველენ. სხვა გზა არ იყო, მანაც თავის წინამორბედთ მიმართა.

გ. ერისთავის „ცისკრის" მნიშვნელობის გათვალისწინებისას საჭიროა მოვიგონოთ, რომ ამ ჟურნალის ფურცლებზე პირველად დაიბეჭდა: თეიმურაზ პირველის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, დიმ. ბაგრატიონის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის და სხვათა მრავალი თხზულებანი, რომელთაგან ბევრი უცნობი იქნებოდა ჩვენთვის დღესაც, თუ რომ „ცისკრის" ფურცლებს არ შემოენახა.

„ცისკარმა" მკითხველს გააცნო რუსი და ევროპელი მწერლების ბევრი საყურადღებო ნაწარმოებიც. მის ფურცლებზე დაიბეჭდა პუშკინის, მარლინსკის, მიცკევიჩის, ჰიუგოს, კორნელის. შილერის, ბერნაბისა და სხვათა ნაწარმოებნი, რომელთა უმეტესობა მეტად საინტერესოა. მთარგმნელთა შორის ყველაზე ნაყოფიერი თვითონ რედაქტორი — გ. ერისთავი იყო.

მართალია, გ. ერისთავის „ცისკარს" არ ჰქონია გარკვეული მიმართულება. უკეთ. მისი მიმართულება იყო ყოველი სახის ქართული თხზულებების გამომზეურება, მაგრამ მაშინ სხვაგვარად შეუძლებელი იყო და შეიძლება უმართებულოც. იგი იყო ერთადერთი და პირველი ჟურნალი, რომლის დანიშნულებას ქართული მწერლობის განვითარება და გამოცოცხლება წარმოადგენდა; მისი პირველი მოვალეობა იყო ეჩვენებინა რა გვქონდა, რათა უფრო ცხადი გაეხადა, თუ მომავალში რა გვჭირდებოდა.

გ. ერისთავის „ცისკარმა" გაამართლა თავისი სახელი. მან, როგორც ნამდვილმა ცისკარმა, საკმარისად გაანათა და სიტყვა-

კაზმული მწერლობის უკვდავი ნიმუშები ადვილად მისაწვდომი გახადა. მან 50-იანი წლების მოღვაწეებს აგრძნობინა, რომ ქართველ ხალხს ჰქონდა დიდი ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც ნიჭიერ გამგრძელებლებს ელოდებოდა.

გ. ერისთავის „ცისკრის“ დღევანდელ მკითხველს, პირველი შეხედვით, გააკვირვებს გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლექსების გვერდით ბეჭდვა ისეთი წერილებისა, როგორიცაა: „დამარილება ხორცთა“, „ბატი ძმრით“, „წამხდარი ღვინის გაკეთება“, „მურაბის გაკეთება“ და სხვა, მაგრამ გაკვირვებას საფუძველი მოესპობა, როცა ამის მიზეზი გათვალისწინებული იქნება. სამწუხაროდ, ბევრი მათგანისათვის, ვისთვისაც ადვილი მისაწვდომი იყო „ცისკარი“ და რომელთათვისაც ანგარიში უნდა გაეწია რედაქტორს, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლექსებზე მეტად ასეთი შინაარსის წერილები უფრო საინტერესო იყო, ამიტომ უფრო აწერდა ჟურნალზე ხელს. თორემ, განა გ. ერისთავს ძალიან სიამოვნებდა ასეთი სტატიების წერა? ყველა ეს წერილი ხომ გ. ერისთავის დაწერილია?

„ცისკრის“ ტექნიკური მხარე არაა უნაკლო. ჟურნალში უამრავი კორექტურული და ენობრივი შეცდომებია, წარმოდგენილ პროდუქციას დახვეწილობა და გაშალაშინება აკლია, მასალის შერჩევა და დალაგება გარკვეულ წესს არ მისდევს. ერთი სიტყვით, სიცოცხლე და ხალისი აკლია ჟურნალს, მაგრამ მეტს რას ვითხოვთ იმ რედაქტორისაგან, რომელიც ამავე დროს წარმოდგენებს მართავდა, რეპეტიციებით დაქანცული იყო და თანაც მთავარმართებლის კანცელარიაში გრძელი არზები დაჰქონდა, რათა მსახიობთა კუთვნილი ხელფასი მიეღო.

„ცისკარმა“ მართლადაც ცისკრის როლი შეასრულა. მას არ შეეძლო მთლიანად გაეფანტა ბინდი და მზის სხივთა სიძლიერით გაენათებია. მისი ვალი იყო წყვდიადის სიმშვიდე დაერღვია, მაღალი ადგილები გაენათებია და ხანმოკლე კაშკაშის შემდეგ მიმაღულიყო, რათა უფრო ძლიერი მნათობისათვის მიეცა გზა. მართალია, ამ მნათობმა დაიგვიანა, მაგრამ 1857 წელს ი. კერესელიძის „ცისკრის“, ხოლო 1863 წელს ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის“ სახით ძლიერად გამოანათა და მეტი შუქი გადმოაფრქვია.

ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებით გ. ერისთავმა კიდევ მეტად უკვდავჰყო თავისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე.

VI. გ. ერისთავის აღგილი ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში

გ. ერისთავი მრავალმხრივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწე იყო. მისი შემოქმედებითი ნიჭი წვდებოდა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს. იგი იყო პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, ქართული პროფესიული თეატრის ფუძემდებელი და დირექტორი, რეჟისორი და მსახიობი, პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალის („ცისკრის“) დამაარსებელი და რედაქტორი.

გ. ერისთავი იყო არა მარტო მრავალმხრივი მოღვაწე, არამედ ნიჭიერი შემოქმედი, პატრიოტი, მახვილი მხატვრული ალღოს მქონე და ფართო საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი და გამომხატველი მწერალი.

სამწერლო ასპარეზზე გ. ერისთავი გამოვიდა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, როცა ქართველი ინტელიგენციის პოლიტიკურ ორიენტაციაში ჯერ კიდევ გაურკვევლობა სუფევდა; როცა კიდევ არ იყო დაყუჩებული ის გულისტკივილი, რაც მაღალი წოდების წარმომადგენლებში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად, პრივილეგიური უფლებების დაკარგვამ გამოიწვია; ხოლო მთელი ქართველი ერი მძიმედ განიცდიდა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას.

მე-19 საუკუნის 30-იანი წლები ესაა პერიოდი, როცა ქართველი ინტელიგენციის მსოფლმხედველობაში თავისებურად გადაინასკვა წოდებრივი და საერთო ეროვნული ინტერესები. ჩვენი მოღვაწეთა პროგრესულობაც ამ პერიოდში სწორედ იმან გადაწყვიტა, თუ რომელი მათგანი გახდა ამოსავალ და ძირითად ფაქტორად: წოდებრივი თუ ეროვნული.

წინააღმდეგობით აღსავსე საზოგადოებრივი ცხოვრება გ. ერისთავის მსოფლმხედველობაშიც თავისებურად გადატყდა; შეჭმნა

მასშიც გარკვეული წინააღმდეგობანი, რაც, პირველ ყოვლისა, მის მხატვრულ შემოქმედებაში გამოვლინდა.

ამ გარემოებას ხელს უწყობდა იმდროინდელი ლიტერატურული ატმოსფეროც. გაბატონებული ლიტერატურული მიმართულების — რომანტიზმის წარმომადგენელი მწერლები გამოსულნი იყვნენ მაღალი წრიდან, რომელთანაც დაკავშირებული აღმოჩნდნენ ძთელი თავიანთი მსოფლმხედველობით.

ასეთ ისტორიულ და ლიტერატურულ გარემოში ხდებოდა გ. ერისთავის — მხატვრის და გ. ერისთავის — მოაზროვნის ჩამოყალიბება. ცხადია, იგი ადვილად ვერ დაძლევდა გაბატონებულ საზოგადოებრივ აზრსა და ლიტერატურულ ტრადიციებს.

შემოქმედების პირველ პერიოდში (1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნებამდე) გ. ერისთავი მეფის რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა; ოცნებობდა ძველი საქართველოს აღდგენაზე და პრაქტიკული თუ პოეტური მოღვაწეობით შეთქმულთა იდეების დამცველი და გამტარებელი იყო.

შეთქმულების გამომჟღავნებისა და შეთქმულთა დასჯის შემდეგ გ. ერისთავის შემოქმედებაში ძლიერდება პესიმიზმი, მწუხარება სამშობლოდან მოცილების გამო. მისი პოეტური შთაგონება და გააზრება რომანტიზმის ჩვენთვის ცნობილი გზით მიემართება. მაგრამ მას აშკარად ემჩნევა, რომ მისი პოეტური ტალანტი არაა გამიზნული რომანტიკული სევდიანობისა და ილუზიური ოცნებისათვის. გარკვევით შეინიშნება, რომ ახალგაზრდა შემოქმედი არ იზღუდება სუბიექტური განცდებით, არ გაურბის ცხოვრების სინამდვილეს და არ იცქირება რომანტიკოსთა სანუგეშო ირეალური სამყაროსაკენ.

ფართო ეროვნული ინტერესებისადმი დამორჩილება და ჯანსაღი ძოქალაქეობრივი დანიშნულების მაღლა დაყენება, ხალხისა და ხალხურისადმი სიყვარული ახალგაზრდა პოეტმა ჯერ კიდევ თავის პირველ სერიოზულ მხატვრულ ქმნილებაში (პოემა „ოსური მოთხრობა“) გამოავლინა. „ოსურმა მოთხრობამ“ ყურადღება მიიქცია თავისი იდეური შინაარსითა და, შედარებით, ენის სისადავით. მართალია, მასში შეთქმულთა იდეებია ჩაქსოვილი, მაგრამ ამ იდეებს დაკარგული აქვთ თავისი შეზღუდულობა და აშკარა რეაქციული ხასიათი. მასში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები ვლინდება, ცხოვრების სინამდვილის რეალისტური ასახვა მჟღავნდება.

თავისი პოეტური მოწოდება გ. ერისთავს თავიდანვე რეალიზმის პოზიციებისაკენ ეწეოდა. ამ გარემოებამ უთუოდ ხელი შეუწყო

იმას, რომ იგი მალე სძლევს პესიმისტურ განწყობილებებს, ალღოს უღებს ისტორიული აუცილებლობით გამართლებულ პოლიტიკურ ძდგომარეობას და სამშობლოს უკეთესი მომავლისა და ღირსებისათვის იბრძვის არა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის გზიდან ავლით, არამედ—პირიქით. მართალია, მას არასოდეს გაჰქრობია დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს სიყვარული და იდეა, არ შეგუებია ის მეფის რუსეთის მიერ საქართველოს კოლონიურ-ეროვნულ ჩაგვრას, მაგრამ მეფის რუსეთის იმპერიაში მან დაინახა და იპოვა მეორე რუსეთი — სამშობლო გმირი - დეკაბრისტებისა, გრიბოედოვისა, პუშკინისა, გოგოლისა და ბელინსკისა. მან გაიცნო და შეისწავლა რუს და პოლონელ პროგრესულად მოაზროვნე მწერალთა შემოქმედება, რომელშიც პოვა საერთო და სასარგებლო.

გ. ერისთავის პოეზია, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იქმნებოდა, არის ანაბეჭდი ცხოვრების იმ სინამდვილისა, რომლის უშუალო მოწმეც ჩვენი პოეტი იყო, ის გამოხატავს იმ იდეურ ზრდას, რასაც იგი განიცდიდა. და თუ მხატვრული ღირსებით ეს პოეზია ვერ იმსახურებს მაღალ შეფასებას, სამაგიეროდ იდეური აზრის მნიშვნელობითა და თემატიკის თავისებურებით მის ავტორს მაინც საპატიო ადგილს თავაზობს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ნიჭიერ პოეტთა შორის.

გ. ერისთავი თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ერთი მხრივ, მეფის რუსეთის გონებაჩლუნგ და თავხედ მოხელეებს ამათრახებს, ხოლო, მეორე მხრივ — სატირის ქარცეცხლში ატარებს ქართველი მაღალი წოდების ჩამორჩენილობასა და ბედოვლათობას, ვაჭართა კლასის ზნეობრივ სივიწროვესა და მორალურ სიდაბლეს.

ცხოვრების სინამდვილის უშუალო გაცნობამ, დიდმა გამოცდილებამ და მახვილმა პოეტურმა ალღომ გ. ერისთავს გაუადვილა ცხოვრების ჩამორჩენილობასთან და ბოროტებასთან ბრძოლა, კომედიისა და სატირის ობიექტთა მოხდენილად ასახვა.

გ. ერისთავმა, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, რეალისტურ ფერებში აგვისახა მაღალი წოდების დაკნინება, ბატონყმური ინსტიტუტის სისაძაგლე და ვაჭართა კლასის გამოჩენა ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გასული საუკუნის 40—50-იან წლებში, როცა დრომოჭმულ პატრიარქალურ-ფეოდალურ მეურნეობას სასიკვდილო განაჩენით ემუქრებოდა განვითარების გზაზე დამდგარი ბურჟუაზიული ურთიერთობა.

გ. ერისთავი ქართულ ლიტერატურას მოევლინა როგორც ნიჭიერი დრამატურგი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კრიტიკულ რეალიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმართულებას.

მართალია, გ. ერისთავამდეც გვაქვს დრამატურგიული მწერლობის ნიმუშები, კერძოდ კომედიები, მაგრამ მათ ვერ შექმნეს ჩვენს ლიტერატურაში ტრადიცია, ქართული ეროვნული დრამატურგია, რომელსაც შეძლებიყო სწორად აესახა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება და შეექმნა მტკიცე საფუძველი დრამატურგიული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ დიდი როლის შესრულება წილად ხვდა მხოლოდ გ. ერისთავს და მის კომედიებს.

გ. ერისთავი არის ქართული ეროვნული კომედიოგრაფიის ფუძემდებელი, ჭეშმარიტად რეალისტური კომედიების პირველი ავტორი. ხოლო კომედია, როგორც ბ. ბელინსკი ამბობს, არის „Цвет цивилизации, плод развивавшейся общественности“ [1].

გ. ერისთავი, როგორც დრამატურგი, არ გაჰყვა იმდროისათვის გაბატონებულ ტრადიციას — ვოდევილებისა და მელოდრამების შექმნის გზას. ცხოვრებაში გაბატონებულ ბოროტებასთან საბრძოლველად მან სოციალური კომედია აირჩია. მისი სიცილი არაა ცრემლიანი, ნაძალადევი და ხელოვნური.

ბ. ბელინსკის თქმით, „Основание смешного есть несообразность, противоречие идеи с формою или формы с идеею“ [2]. გ. ერისთავის კომედიები აღნიშნული შეხედულების მხატვრული დასაბუთებაა.

გ. ერისთავის რეალიზმის ცხოველმყოფელობა მდგომარეობს სინამდვილის შეულამაზებლად, შეუფერავად ასახვაში. იგი მკაცრი უარმყოფელია (რამდენადაც ეს კომედიაშია შესაძლებელი) ყოველგვარი ბოროტებისა, რომელიც აფერხებს საზოგადოებრივ განვითარებას და ამახინჯებს ადამიანთა სულიერ და გონებრივ სამყაროს.

გ. ერისთავის კომედიათა ძირითად ღირსებას შეადგენს ის ობიექტური აზრი, რომელიც მის მკითხველს თუ მაყურებელს ექმნება ბატონყმური ურთიერთობისა და ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის შესახებ.

---

[1] В. Белинский. Полное собрание сочинений. под ред. Венгерова, т. VIII, стр. 407.

[2] В. Белинский. Полное собрание сочинений. под ред. Венгерова, т. 11, стр. 471.

გ. ერისთავმა, როგორც რეალისტმა, კარგად გვიჩვენა ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ადამიანის სულიერ და ზნეობრივ სამყაროსა და იმ გარემოს შორის, რომელშიც მას უხდება ცხოვრება, გვიჩვენა ისიც, რომ, იცვლება რა ეს გარემო, იცვლება ადამიანის სულიერი და მორალური მხარეც.

გ. ერისთავი უშუალოდ ცხოვრების სინამდვილიდან იღებს თავის გმირებს. მართალია, მათგან დიდ უმეტესობას არა აქვს ბიოგრაფია, როგორც ეს ჩვენ გვესმის მხატვრული ნაწარმოების გმირთა მიმართ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მათი ტიპიური სახეები ამის გარეშეც არ იწვევს გაკვირვებას.

გოგოლის მსგავსად, გ. ერისთავი არ იძლევა არც იდეალურ გმირს და არც მისთვის იდეალური ცხოვრების სურათს. იგი ჩვენს ფანტაზიას მიაპყრობს არა იდეალის ხატვას და მასზე ოცნებას, არამედ მწარედ გვაფიქრებს არსებულ უმსგავსოებაზე, განგვაწყობს მტრულად მის წინააღმდეგ. ასეთი გზა კი უფრო სწორად და საიმედოდ მიმართავდა მკითხველს იდეალურისაკენ იმ დროს, ვინემ არარსებული, სინამდვილეს დაშორებული სურათების ხატვა, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მწერალი არ ფიქრობდა უკეთეს მომავალზე და არ ოცნებობდა მასზე.

წერილში „Русская литература в 1842 году" ბ. ბელინსკი წერდა: „...Теперь под „идеалом" разумеют не преувеличение, не ложь, не ребяческую фантазию, а факт действительности, такой, как она есть; но факт, не списанный с действительности, а проведенный через фантазию поэта, озаренный светом общего (а не исключительного, частного и случайного) значения, возведенный в перл создания, и потому более похожий на самого себя, более верный самому себе, нежели самая рабская копия с действительности верна своему оригиналу"[1].

ბ. ბელინსკის ეს ღრმა და ისტორიული ხედვა კარგად გვიხსნის გ. ერისთავის რეალიზმის ბუნებას და მისი თავისებურების მიზეზებს.

გ. ერისთავი უდაოდ მტკიცედ მივიდა სინამდვილესთან, მაგრამ საჭირო იყო ასევე სიმტკიცით მისვლა ხალხთან (ამ სიტყვის ფართო გაგებით), რაც მისმა პოეტურმა მისიამ ვერ შეასრულა, თუმცა ერთგვარი ცდა ამ მიმართულებითაც გვაქვს. ეს ამოცანა მასზე

[1] В. Белинский. Полное собрание сочинений, под ред. Венгерова, т. VIII, стр. 14

უკეთ მისმა მოწაფემ ზ. ანტონოვმა გადაწყვიტა, ხოლო შემდეგ დ. ჭონქაძემ, რომლის დამსახურება ამ ხარვეზის ამოვსებაშიც მდგომარეობს.

გ. ერისთავმა, როგორც რეალისტმა, სატირასაც მიმართა. მკაცრად ამხილა გადაგვარების გზაზე დამდგარი თანამედროვენი. მან, როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს, „ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან“. სატირული მწერლობა კი, ნ. ჩერნიშევსკის სამართლიანი თქმით, „Всегда составляло самую живую, или лучше сказать, единственную живую сторону нашей литературы“[1].

გ. ერისთავის დიდი დამსახურება, როგორც კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მარტო რეალიზმისათვის შესაფერი თემატიკა და მოვლენების იდეური შეფასება მოგვცა, არამედ შექმნა შესატყვისი მხატვრული ქსოვილიც; ნაწარმოებთა შინაარსი და ფორმა წარმოადგინა მთლიანობაში და ჭეშმარიტი რეალისტისათვის შესაფერი სახით.

გ. ერისთავი იყო ნაყოფიერი მთარგმნელი და გადმომკეთებელი. მან ქართველ მკითხველს ვრცლად გააცნო სახელოვანი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის პოეზია, რუსეთისა და ევროპის გამოჩენილ მწერალთა (გრიბოედოვის, ლერმონტოვის, მარლინსკის, კ. პავლოვას, პეტრარკას, ჰიუგოს, ბერანჟეს, რიუკერტის და სხვ.) საყურადღებო თხზულებანი.

მის მიერ თარგმნილმა და გადმოკეთებულმა პიესებმაც საგრძობლად გაამრავალფეროვნა მისივე დაარსებული თეატრის რეპერტუარი.

გ. ერისთავმა ახალგაზრდობაშივე გამოამჟღავნა მიდრეკილება და სიყვარული თეატრალური საქმისადმი; უშუალო მონაწილეობას იღებდა შინაური წარმოდგენების გამართვაში და ცდილობდა დრამატურგიული თხზულების შექმნას. ამ მიმართულებით, იგი წაახალისა დიდმა რუსმა დრამატურგმა ა. გრიბოედოვმა. ცდები წარმატებით დამთავრდა. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ რეალისტურ დრამატურგიულ მწერლობას, რითაც მან ნიადაგი მოამზადა ქართული პროფესიული თეატრისათვის.

გ. ერისთავი არის ქართული პროფესიული თეატრის ფუძემდებელი და პირველი დირექტორი. მისმა თანამედროვე მოღვაწეებმა იგი სცნეს თეატრის ხელმძღვანელის ყველაზე ღირსეულ კანდიდატად. მანაც სასახელოდ გაამართლა ხალხის იმედი: მტკიცე

[1] Н. Чернышевский. Избр. соч., под ред. Луначарского, т. V, стр. 17.

საფუძველი ჩაუყარა თეატრს, მოძებნა, აღზარდა და დაავაჟკაცა მსახიობთა და დრამატურგთა კოლექტივი. მან გააქარწყლა მეფის რუსეთის მოხელეთა იმედები. მისი პატრიოტული და ენერგიული საქმიანობის შედეგად, ქართული თეატრი ასცდა იმ მცდარ, ანტიპატრიოტულ გზას, რომელსაც მეფის რუსეთის ბიუროკრატი მოხელეები თავაზობდნენ მას.

ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკიდან გამომდინარე, მეფის რუსეთის მმართველი წრეები, მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, ცდილობდნენ კულტურულ ღონისძიებათა საფარქვეშ გაეკეთებინათ ის, რის გაკეთებაც მათ ვერ შეძლეს იარაღით. როდესაც ქართული თეატრის დაარსებაზე თანხმდებოდნენ, ვარაუდობდნენ, ისე წარემართათ მისი საქმიანობა, რომ მას შეესუსტებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეა ქართველ ხალხში. მაგრამ ქართულმა თეატრმა, გ. ერისთავის ხელმძღვანელობით, შეასრულა თავისი ჰეშმარიტი დანიშნულება და გააკეთა დიდი ეროვნული საქმე.

გ. ერისთავის დრამატურგიული თხზულებები და მის მიერ საფუძველჩაყრილი თეატრი გახდა მისაბაძი და გზის მაჩვენებელი შემდეგი დროის მოღვაწეებისათვის. როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს, გ. ერისთავის ერთ-ერთი დიდი ღვაწლი ჩვენი კულტურის ისტორიაში იმაში მდგომარეობს, რომ მან „შეჰქმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინა. ამით მარტო სიყვარულის და ტრფიალების მორევში მოარული ჩვენი გული და მარტო განლტოლვილ ფიქრებში წარსული ჩვენი გონება ჩვენს ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა“.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გ. ერისთავის დრამატურგია და მისი თეატრის სტილი გახდა გზის მანათობელი მთელ მეცხრამეტე საუკუნეში და შემდეგაც. ამ საკითხის ნათელსაყოფად საჭირო არაა მსჯელობის გაგრძელება, ვინაიდან მის შესახებ გარკვევით ლაპარაკობს ის საზეიმო ადრესი, რომელიც 1900 წლის 2 იანვარს, ქართული თეატრის 50 წლის თავზე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით, თვით ღვაწლმოსილმა დიდმა ილიამ წაიკითხა. ადრესში ნათქვამია: „ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც პირველად აიხადა ფარდა ქართული სცენისა და სცენაზე გამოჩნდა ქართული ცხოვრება ქართველი მწერლისაგან აღწერილი და ქართველ მსახიობთაგან დასურათებული. ეს დღე სადღესასწაულოა არა თუ ქართულს დრამატიულის ხელოვნებისათვის, არამედ მთელი ქართულის ლიტერატურისათვის. ამ დღეს ქართველ მოლიერის ნიჭის ნაწარმოები ნახა

ქართველმა საზოგადოებამ... ეს ის კომედია „გაყრა" გახლდათ, რომლის ავტორმა თავ. გიორგი ერისთავმა დაიწყო ქართველ საზოგადოების ტკივილთა და ნაკლოვანებათა გამოქვეყნება და ამ გამოქვეყნებით ქართულის საზოგადოების ზნეობრივად აღზრდა და გაწვრთნა. ამ დღედგან ქართულ ლიტერატურას კარი გაეხსნა სცენისათვის და ნება მიეცა სცენიდგან საზოგადოებისათვის ქადაგება-მოძღვრება ამა თუ იმ სახით, და მას შემდეგ ამ აზრს მისდევდა ჩვენი დრამატიული მწერლობა — ანტონოვი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რ. და დ. ერისთავი, ა. ყაზბეგი, ა. ცაგარელი, კ. მესხი, ვ. გუნია და სხვ. ამავე დღეს ჩაიდგა საძირკველი ქართულის დრამატიული ხელოვნებისა და ქართველ მსახიობთა მუდმივი წრე მიუცილებელ საჭიროებად შეიქმნაო" [1].

გ. ერისთავმა არა მარტო დრამატურგიული მწერლობის განვითარებისათვის შექმნა პირობები, არამედ საერთოდ ქართული მწერლობისათვის. მან დაარსა პირველი სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი", რომელსაც ორი წლის მანძილზე რედაქტორობდა, სანამ არსებობის ობიექტური შესაძლებლობა ჰქონდა ჟურნალს.

გ. ერისთავის „ცისკარმა" დიდი როლი შეასრულა ქართული მწერლობის გამომზეურების და განვითარების საქმეში. მან „აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა" (ილია).

ცხადია, ამის შემდეგ გადაჭარბებულად აღარ გვეჩვენება პროფ. ალ. ხახანაშვილის სიტყვები, ნათქვამი გ. ერისთავზე: „ჩვენში იშვიათია სხვა მეორე ადამიანი, რომლის მოღვაწეობა ყოფილიყოს ასე ნაყოფიერი, ასეთი ფართო და ღრმა თავისი შედეგებითო" [2].

ასევე მართებულია პროფ. ალ. ცაგარლის შეხედულება, რომ „ჩვენი ლიტერატურის (ლაპარაკია მე-19 ს-ის 40—50-იანი წლების ლიტერატურაზე. — დ. გ.) მეორე პერიოდის დროშის მატარებელი და ბელადი არის გიორგი ერისთავიო"...[3]

მართლაც, გ. ერისთავმა თავისი პოეტური ხედვის ჰორიზონტი გაწმინდა რომანტიკული ღრუბლებისაგან და თანამედროვე ცხოვრების სინამდვილეს მიაპყრო გონების სხივი. მან შექმნა თავისი სკოლა, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში სათავე დაუდვა კრი-

---

[1] გახეთი „ივერია", 1900 წ., 4 იანვარი.

[2] ა. ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწ. II, გვ. 47.

[3] გახეთი „დროება", 1870 წელი, № 41.

ტიკულ რეალიზმს, რომელიც ყალიბდებოდა რომანტიზმთან ბრძოლაში და საბოლოოდ გაბატონდა 60-იან წლებში.

მე-19 საუკუნის 40—50-იან წლებში გ. ერისთავი იყო ყველაზე უფრო ნაყოფიერი და ალღოს მქონე ენთუზიასტი მოღვაწე, რომლის ნიჭმა და თავდადებამ დიდი შედეგი გამოიღო ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის მრავალ სფეროში. იგი იყო იმდროინდელი პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენელი, თავისი დროის ილია ჭავჭავაძე.

ზურაბ ანტონოვი

I. ცხოვრების გზა

ქართული თეატრალური ხელოვნებისა და დრამატურგიული მწერლობის განვითარების საქმეში საპატიო ადგილი უჭირავს გასული საუკუნის 50-იანი წლების მოღვაწეს ზურაბ ანტონოვს.

ზ. ანტონოვი, როგორც დრამატურგი, გ. ერისთავის სკოლას ეკუთვნის. თავის მასწავლებელთან ერთად იგი გვევლინება რეალისტური მიმართულების დამწყებად ქართულ ლიტერატურაში. მისი ორიგინალური პიესები დღემდე ქართული თეატრების რეპერტუარშია. ასეთი ხანგრძლივი ინტერესი ზ. ანტონოვის კომედიებმა სინამდვილის რეალისტური ასახვის წყალობით შეინარჩუნეს.

ზ. ანტონოვი მეტად ნაყოფიერი დრამატურგი იყო. მან ახლად-ფეხადგმული ქართული დრამატურგიული მწერლობის საგანძურს თექვსმეტამდე ორიგინალური და გადმოკეთებული პიესა შემატა. და ეს მაშინ, როცა სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე მას მხოლოდ ოთხი წლის მანძილზე ვხედავთ.

ხანმოკლე და მძიმე იყო ნიჭიერი დრამატურგის ცხოვრება. სამწუხაროა ისიც, რომ ჩვენამდე მოღწეული ძუნწი ბიოგრაფიული ცნობები სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის მწერლის ხანმოკლე ცხოვრების შესახებ. შემონახული რამდენიმე ბიოგრაფიული დეტალი არათუ ავსებენ, არამედ საეჭვოდ ხდიან ერთმა-

ნეთს. ზ. ანტონოვის მოქალაქეობრივი პროფილი ბურუსითაა მოსილი. მისი უდროო და არაადამიანური სიკვდილიც საიდუმლოებითაა მოცული. ძუნწ და წინააღმდეგობებით სავსე ბიოგრაფიულ ცნობებში გარკვევა სიფრთხილესა და ჯანსაღ გააზრებას მოითხოვს მკვლევართაგან.

* * *

ზურაბ ანტონოვი დაიბადა 1820 წლის 9 (21)[1] თებერვალს, ქ. გორში. ზურაბის მამა—ნაზარ ანტონოვი წერილი ვაჭარი იყო.

ამგვარად, ზ. ანტონოვი პირველი „რაზნოჩინელი" მწერალია ქართულ ლიტერატურაში.

ზურაბის მშობლებს ოთხი შვილი ჰყავდათ: სამი ვაჟი (ზურაბი, ნიკოლოზი, გრიგოლი) და ერთი ქალი. უფროსი შვილი—ზურაბი იყო.

ექვსი წლის ზურაბი წერა-კითხვის სასწავლებლად მამას ერთი გორელი მღვდლისათვის მიუბარებია. ერთი წლის განმავლობაში ზურაბს ისე კარგად შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა, რომ მღვდელი გაოცებაში მოსულა. მას ზურაბის შესახებ უთქვამს: „ამისთანა გონების და ამისთანა ნიჭიერი ყმაწვილი ჯერ ჩემს თვალს არ უნახავსო; ეს უნდა სხვა რაღაც გამოვიდესო".

ერთი წლის შემდეგ, შვიდი წლის ზურაბი გორის სამაზრო სასწავლებელში შეუყვანიათ. აქაც საუკეთესო ნიჭი და სწავლისადმი სიყვარული გამოუჩენია პატარა ზურაბს. ექვსი თვის განმავლობაში მთელი პირველი კლასის პროგრამა ისე კარგად დაუძლევია, რომ გადაუყვანიათ მეორე კლასში, რომელიც კვლავ ექვს თვეში დაუსრულებია და მესამე კლასში გადაყვანა გადაუწყვეტიათ, მაგრამ მშობლებმა სწავლა აღარ გააგრძელებინეს. მისი სასკოლო განათლების მიღება ორი კლასით დასრულდა, და ეს ორი კლასიც ერთ წელში დაამთავრა!

სწავლის გაგრძელებაში ზურაბს ხელი „შეუშალა" თავისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა! ნიჭიერი ბავშვით კმაყოფილ გორის სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველს—სარაჯიშვილს ზურაბის მამისათვის უთხოვნია: „შენს შვილს აქვს კარგი ნათელი გონება და აქვს კარგი ნიჭი; ნუ დაუხშობ ამაოდ ამისთანა გონებასა, ნუ გახდები იმისი მოვალე; გაგზავნე ეს ყმაწვილი უმაღლეს სასწავლებელში და ეს საჩვენებელი რამ კაცი გამოვაო"[2].

---

[1] აღ. თუთაევის ცნობით 20 თებერვალს. იხ. მისი წერილი—„დრამატურგი ზურაბ ნაზარის-ძე ანტონოვი", ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება" 1910 წ., № 12.

[2] გრ. ანტონოვი—„ზურაბ ანტონოვი და მისნი თხზულებანი". იხ. „თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა", 1876 წ., გვ. 11.

აღმზრდელის მიერ შვილის ასეთ დახასიათებას არათუ აღფრთოვანებაში მოუყვანია მამა, არამედ გაუჯავრებია კიდეც, შეშინებია, ბავშვს სადღაც გამიგზავნიანო. „გიჟები ხომ არა. ხართ თქვენა? სად უნდა გავგზავნო; გინდათ თქვენ შვილი დამაკარგვინოთ. მე ხომ ჩემი შვილის მტერი არა ვარო“,—უპასუხნია მას სარაჯიშვილისათვის. მართლაც, მტერსაც არ შეეძლო უფრო ცუდი რამ გაეკეთებინა ზურაბისათვის; მამამ იგი სწავლას მოწყვიტა.

ზურაბი მეტად აუღელვებია მამის ასეთ გადაწყვეტილებას. ათი წლის განმავლობაში მუშაობა არსად დაუწყია. მისი ერთადერთი საქმე წიგნების კითხვა ყოფილა. სწავლამოწყურებული და ნიჭიერი ზურაბი თვითგანვითარებით იძენდა ცოდნას, ბეჯითად კითხულობდა ნაბეჭდ და ხელნაწერ წიგნებს, თანაც ხატვაში ვარჯიშობდა.

ამავე წლებში დაუწყია ზურაბს ლექსების წერა. სამწუხაროდ, მისი ლექსები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მის პიესებში ჩართული ლექსები მოწმობენ, რომ მათი ავტორი არც პოეტურ ნიჭს იყო მოკლებული.

თვრამეტი წლის ზურაბი გორის სამაზრო სამმართველოში იწყებს მუშაობას. მისი ენერგია და ნიჭი ოთხი წლის განმავლობაში მწერლის უსიამოვნო მოვალეობის შესრულებას ემსახურებოდა, რამაც მას მხოლოდ ის მისცა, რომ „რაც ქაღალდები გადაწერა თითონ და ან სხვა ქაღალდები წაეკითხა, სულ ზეპირად ახსოვდა ის ქაღალდებიცა და იმ ქაღალდების ძალაც. იმ ოთხს წელიწადში კანონები „მამაო ჩვენოსავით“ გაიზეპირა და ყველა საქმესაც ისეთ რიგად ჩახვდა, როგორათაც ათი ან თხუთმეტის წლის ნამსახური კაცი“[1].

ზ. ანტონოვი ოთხი წლის მანძილზე არ მოაცილეს მდივნის თანამდებობას, თუმცა იგი ბეჯით და კარგ შემსრულებლად ითვლებოდა. მისი ძმის გადმოცემით, „არ გაუშვეს ის წინა. ჰხედავდა იმისთანებს აძლევდნენ მომეტებულს ადგილს, რომლებზედაც თითონ უკეთესად ესმოდა ყოველი საქმე. ამის გამო გული მოუვიდა და თავი დაანება სამსახურსა“[2].

სამსახურიდან გამოსვლა ზურაბს მამის გარდაცვალებამაც გადააწყვეტინა. იგი, თავის ძმასთან (ნიკოლოზთან) ერთად, მამის მიერ

---

[1] გრ. ანტონოვი—„ზურაბ ანტონოვი და მისნი თხზულებანი“. იხ. „თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა“. 1876 წ.. გვ. IV.

[2] იქვე, გვ. IV.

დატოვებულ სავაჭროში იწყებს მუშაობას, თანაც, როგორც კანონებისა და რუსული და ქართული ენების მცოდნე, ნაცნობებისათვის არზების წერით ერთობოდა. მამისაგან დატოვებული მცირე ქონება ზურაბმა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკის შესაქმნელად გამოიყენა და „ამოიყარა ჯავრი წიგნებისა“.

ზურაბს და მის ძმას ვაჭრობაში მოგება ვერ უნახავთ, ხოლო მოვალე მირონ ამიროვის სახით სამუდამო და საზიზღარი მტერი გაუჩნდათ. ამიროვისაგან აღებულ ვალს ორი ათას მანეთამდე მიუღწევია, რასაც საბოლოოდ გაუკრტრებია ძმები. ამიროვი არ ისვენებდა, სასამართლოში დაიარებოდა, უნდოდა ანტონოვებისათვის წაერთმია ერთადერთი შემოსავლის წყარო—ხიდისთავის მამული. ეს დავა ისე გამწვავებულა, რომ ზურაბს ერთ დღეს ნიჩბის ტარით უცემია მევახშე ამიროვი, რომელმაც გაიძვერობით ხელში ჩაიგდო დიდი მამულები გორში. მ. ამიროვი იყო სამაზრო სასამართლოს პროკურორად ნამყოფი, „განთქმული იყო გორში, როგორც მოდავე, მექრთამე, ქვრივ-ობოლთა მჩაგვრელი, შარიანი, მძლავრი და უპატიოსნო ქცევისა; გარეგან შეხედულებითაც უცნაური სანახავი, ესხა პლაშჩი და დიდ კიზიროკიანი ფურაჟკა. კანონიერი ცოლშვილი გორში ჰყავდა და უკანონო ქალაქშია; წვრილი და მომცრო ტანისა იყო“ [1].

ზურაბ ანტონოვი ვერ იტანდა მ. ამიროვის გაიძვერობასა და ბოროტებას. მას გადაუწყვეტია შური ეძია და გაემწარებინა ყველასათვის საძულველი მევახშე. როგორც მისი ბიოგრაფი გადმოგვცემს, მან „შეჰყარა გორელები, თითონ გაუძღვა წინ ნიჩბით და სადგურიდან დაწყებული სანამ კარალეთის საზღვრამდე მივიდოდნენ, გათხარეს ათი საფლავი და თითოეულს თავში ჯვარი დაუსვეს წარწერით. პირველი საფლავის ჯვარზე ეწერა: მირონ ამიროვის, მეორეზე მისი ცოლის სახელი და გვარი, მესამეზე შვილის და ამ რიგად დამარხეს ამიროვები“ [2].

ამ შემთხვევის სინამდვილეს ადასტურებს ს. მგალობლიშვილის მხატვრული ნარკვევიც—„ორი თვე სოფლად“, რომელშიც მოცემულია დიალოგი ავტორსა და მის გორელ ნაცნობს შორის:

---

[1] იხ. „თბილისის უწყებანი ზ. ნ. ანტონოვისა“, 1876 წ., გვ. VIII—IX.

[2] აღ. თუთაევი—„დრამატურგი ზურაბ ნაზარის-ძე ანტონოვი“, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 12.

„ამბობენ, გორს მამულები არა აქვსო, რომ აქაური ნახირი გავიდეს საძოვარზეო. მე მახსოვს, რომ ამას მშვენიერი ადგილები ჰქონდა?

— ჰქონდა, მაგრამ ერთმა კაცმა ჩაიგდო ხელში. მ. ამიროვი მთელი კარალეთის ჭალას, ეხლა კი მინდორს, სოფ. კარალეთის მიდგმამდე, დაეპატრონა. მოიყვანა მიწის მზომავი (землемер) და თავის სახელზე შემოამიჯვნინა. გაიგო ხალხმა ბოლოს, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ საქმეს ვეღარა უშველა-რა. ერთ დღეს შეიყარა მთელი ხალხი, გავიდა წართმეულ ალაგზე, შინდორზე და ცოცხალს მ. ა-ს საქოლავი აუგესო“[1].

ამ ამბავმა ისედაც ბოროტი ამიროვი მთლად გააცოფა; სულ იმას ცდილობდა, რომ ზ. ანტონოვი როგორმე თავიდან მოეცილებინა, მაგრამ ზურაბიც ფხიზლობდა, სასამართლოში თუ გარეთ ყოჩაღად უხვდებოდა და არაფერს უთმობდა. გაუთავებელმა დავამ ბოლოს ისე გააღარიბა, რომ შემწეობას თხოულობდა ნაცნობებს. ასე უფერულად ეცლებოდა დღეები ხელიდან შემდეგში სახელმოხვეჭილ დრამატურგს, რომელსაც თურმე ხანგრძლივი სიცოცხლეც არ ელოდა.

ზ. ანტონოვის ცხოვრებაში სასიხარულო ცვლილება შეიტანა გ. ერისთავის მიერ ქართული პროფესიული თეატრის დაარსებამ.

გ. ერისთავის თეატრის დასის წევრთა დიდი უმრავლესობა გორელები იყვნენ, ზურაბის ახლო ნაცნობები. 1851 წლის დამდეგს ზურაბი თბილისში ჩამოვიდა და ნაცნობი მსახიობების წყალობით თეატრში დაიარებოდა, ეცნობოდა მის მუშაობას და მსახიობთა საქმიანობას. მისი მეგობრისა და კოლეგის ი. ქერესელიძის გადმოცემით, „ისე დაშინაურებული იყო ტრუპასთან, რომ რომელს ოთახშიც ქალები ირთვებოდნენ, იმ ოთახში თავისუფლად შედიოდა და გამოდიოდა, ზოგჯერ სამსახურსაც უწევდა და, თუ ვისმე რამ დასჭირდებოდა, წავიდოდა და მოუტანდა“[2].

ზ. ანტონოვს გ. ერისთავისათვის უთხოვნია ჩაერიცხა დასში. გ. ერისთავს მისი თხოვნა დაუკმაყოფილებია, მიუღია დასში და 15 მანეთი ხელფასი დაუნიშნავს. სადებიუტოდ მიუცია მიკირტუმ გასპარიჩის როლი („გაყრა“), რომელსაც თვით გ. ერისთავი წარმატებით ასრულებდა. ზ. ანტონოვს, როგორც ჩანს, დიდი ნიჭი ვერ გამოუჩენია როლების შესრულებაში, მაგრამ არც ისაა

[1] ს. მგალობლიშვილი—„ორი თვე სოფლად“, გაზეთი „დროება“, 1884 წ., № 130.

[2] ივ. ქერესელიძე—„ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“, გაზეთი „ივერია“, 1873 წ., № 17.

მართალი, რომ ამის შემდეგ, თითქოს, გ. ერისთავი მას აღარ უშვებდა სცენაზე და ამიტომაც დრამატურგობას მოჰკიდა ხელი. უტყუარი ცნობები მოწმობენ, რომ იგი სცენაზე შემდეგშიც გამოდიოდა და ასრულებდა მინას შაჰყულოვისა („მე მინდა კნეინა გავხდე") და გალუსტ თანდოევის („განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!") როლებს.

ზ. ანტონოვს მალე დრამატურგობისთვისაც მოუკიდნია ხელი. 1851 წლის დასაწყისში მას დაუწერია და გ. ერისთავისათვის დასადგმელად წარუდგენია „მე მინდა კნეინა გავხდე", რომელიც თეატრს მალე მოუმზადებია და იმავე წლის 10 (22) მაისს კიდეც დაუდგამს. მთავარ როლს (მინას შაჰყულოვს) ასრულებდა თვითონ ავტორი, რომელსაც არანაკლებ აინტერესებდა დრამატურგის სახელის მოხვეჭა, ვინემ მისი კომედიის გმირს (ბაბალეს) კნეინობა. ავტორი უფრო უკეთესი ბედის ალმოჩნდა, ვინემ მისი გმირი. პიესა მაყურებელმა გულთბილად მიიღო და მისი ავტორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. გ. ერისთავისადმი მეტად ტენდენციურად განწყობილი ი. კერესელიძე ზ. ანტონოვის ამ პირველი წარმატების შესახებ გადმოგვცემს: როდესაც ზ. ანტონოვი თეატრის დასში მიიღო, გ. ერისთავმა მას „საცდელად მისცა პირველად სომხის როლი „გაყრაში". ის ვერ გამოდგა ღირს აქტიორათ და ისე წაახდინა ის როლი, რომ სრულებით გააფუჭა წარმოდგენა. ერისთავმა დაუნიშნა 15 მანეთი ჯამაგირი, მაგრამ ამ პირველი წარმოდგენის შემდეგ, თუმცა მოინდომა ანტონოვის დათხოვნა, მაგრამ ეევდრებოდა, არ დაეთხოვნა, რადგანაც მშიერი მოკვდებოდა, და სთხოვდა, თუმცა სომხის როლს ვერა თამაშობდა, სააშიკო როლს უკეთ ვითამაშებო. მაგრამ, ვერც აქ გამოაჩნდა ნიჭი. მეტი გზა აღარ იყო და ერთს დღეს გამოუცხადა ერისთავმა, რომ დღეიდგან დათხოვნილი ხარო. ამისი თქმა იყო და ანტონოვმა თავის დაგლეჯილის ნაცრის ფერის პალტოს ჯიბითგან ამოიღო ერთი რაღაც რვეული. ამას გადმოუკეთებია კომედია ორის კვირის განმავლობაში—„ქმრები გავაბათ მახეში". მეორე კვირას რო წარმოადგინეს თეატრში, ხალხმა ძრიელ მოიწონა, შექმნეს ტაშის კვრა და გამოიწვიეს სცენაზე ანტონოვი, რომელიც თავის დაგლეჯილის ტანსაცმელით გამოვარდა და თავს უკრავდა მაყურებელს. ეს ერისთავმა ძრიელ იწყინა, თუ როგორ გაბედა სახალხო სცენაზედ გასვლა ამ ტანსაცმელით და ერისთავის ნებადაურთველადო"[1].

[1] ი. კერესელიძე—„ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი", გაზეთი „ივერია". 1893 წ., № 17.

მოყვანილ ცნობაში ყველაფერი მცდარადაა გადმოცემული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზ. ანტონოვი 1852 წელსაც გამოდის სცენაზე და, რაც მთავარია, იგი ასრულებს კვლავ სომეხი ვაჭრის როლებს. ის, რომ თითქოს გ. ერისთავმა ზ. ანტონოვი, როგორც მსახიობი, დაითხოვა, არ შეეფერება სინამდვილეს. ი. კერესელიძე ნაცვლად კომედიისა „მე მინდა კნეინა გავხდე" მცდარად ასახელებს კომედიას „ქმრები გავაბათ მახეში", რომელიც გადმოკეთებულია მეიფარიანის მიერ. არც ისაა მართალი თითქოს ზ. ანტონოვი სპექტაკლის დასასრულს, ხალხის მოთხოვნის გამო, სცენაზე გამოვარდა დაგლეჯილი ტანსაცმლით, რამაც გ. ერისთავი გააჯავრა. ი. კერესელიძეს ავიწყდება, რომ ზ. ანტონოვი თვითონ თამაშობდა ამ პიესაში მინას შაჰყულოვის როლს და წარმოდგენაც მისი სიტყვებით მთავრდებოდა. ასე რომ, იგი სცენაზე იმ ტანსაცმლით იყო, რომელიც მის როლს შეეფერებოდა. არც „გამოვარდნა" ჭირდებოდა, რადგან უკანასკნელი სიტყვები სწორედ მისი იყო.

პირველი წარმატების შემდეგ ზ. ანტონოვი ნაყოფიერად მოღვაწეობს დრამატურგიული მწერლობის ასპარეზზე და გ. ერისთავთან ხელიხელჩაკიდებული იღწვის ქართული თეატრის აღმავლობისათვის. მისი ორიგინალური და გადმოკეთებული პიესები, გ. ერისთავის პიესებთან ერთად, გახდა ქართული თეატრის რეპერტუარის დასაყრდენი. მკითხველთა თუ მაყურებელთა თვალში ზ. ანტონოვის ავტორიტეტი დამსახურებულად გაიზარდა.

როცა ხუთი წლის დაძაბული და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, 1854 წლის ნოემბერში, გ. ერისთავი იძულებული გახდა თეატრი დაეტოვებია, მისი ადგილი ზ. ანტონოვმა დაიჭირა. მაგრამ უცნაურმა და უდროო სიკვდილმა არ დააცალა თავისი ნიჭი სრულად გამოევლინებია, შემოქმედებით სიმწიფეში შესული და კარგი გამოცდილების მქონე დრამატურგი, 1854 წლის დეკემბერში სიცოცხლეს გამოესალმა.

თეატრის დირექტორის თანამდებობა ზ. ანტონოვს სულ რამდენიმე დღე ეჭირა. მისი გარდაცვალების შემდეგ თეატრის ხელმძღვანელობა ი. კერესელიძემ იკისრა, მაგრამ ქართულ თეატრს დიდხანს აღარ უარსებნია.

ზ. ანტონოვის გარდაცვალების შესახებ დღემდე არსებობს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერსია და მათი ერთმანეთთან შეჯერება არავის უცდია. ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია მათი გაცნობა და დაწვრილებითი ანალიზი.

ი. კერესელიძის გადმოცემით, ზ. ანტონოვს უკანასკნელად დაუწერია „შესანიშნავი კომედია, რომელსაც ერქვა „ცრუპენტელა“; როდესაც წაგვიკითხა, ძრიელ მოგვეწონა და, ჩემის აზრით, ისა სჯობდა ყოველის იმის დაწერილებს... იმ დროს ტფილისის გუბერნატორად იყო ივან მალხაზიჩ ანდრონიკოვი, ახალციხეში რომ გაიმარჯვა და ოსმალეთის ჯარი გარეკა. ერთ დღეს ავიდა ანტონოვი ივან მალხაზიჩთან და ეხვეწა, ერთი კამედია მაქვს, ახლახან დაწერილი, სახსარი არა მაქვს დაბეჭდო და ათი თუმნით ხელი გამიმართეო. იმან ვექსილი ჩამოართვა და ათი თუმანი ასესხა ამ კამედიის დასაბეჭდავად. წარმოიდგინეთ იმისი უბედურება! უბეში უძევს ეს ფული და მიდის სიხარულით საპერის ქუჩაზედ, იმ სიამოკნებით, რომ იმისი კამედია დაიბეჭდება. ამ დროს ერთი სახლითგან გამოუვარდება ერთი დიდი ქოფაკი ძაღლი, წაიგდებს ქვეშ, ჰფლეთავს და ჰგლეჯავს შეუბრალებლად; და ეხვევა ხალხიც. ამ წევა-გლეჯაში და არეულობაში ის ფულიც დაეკარგება და დესეტნიკები ცოცხალ-მკვდარს მიიყვანენ თავის ნაგრად დაკეტილს ოთახში, რომელიცა დაჭირავებული აქვს მთაწმინდაში, ერთს მიყრუებულს და მივარდნილს ქუჩაში. შეიყვანენ ანტონოვს ოთახში... მიაწვენენ ქვეშაგებში. მიანებებენ თავს და წავლენ თავის გზაზე. იქა წევს ზურაბ ანტონოვი, მშიერი, მწყურვალი, მარტოდ-მარტო. არსით ნუგეში, არსით პატრონი! ერთი ძმა ჰყვანდა, ისიც სადღაცა დგას გორისკენ მოჯამაგირედ ლუკმა პურისათვის.

ორი კვირის შემდეგ შევიტყვე ის ანბავი და მაშინვე გავეშურე სანახავათ, ვფიქრობდი შემწეობას მივცემდი რასმე, თანა მყვანდა მისი ამხანაგები აქტიორები: ტატიევი, კორძაია, ელიოზოვი და ნატიევი. მივახლოვდით თუ არა სადგომს, შემოგვესმა გულსაკლავი, საზარელი ხმა. კარები იყო გარეთგან კლიტით დაკეტილი. ჯაშუშად პოლიციას დაეყენებია დესეტნიკი, რომელიცა არავის უშვებდა ახლოს. თურმე ნუ იტყვით ის ძაღლი, რომელმაც დაგლიჯა, ყოფილიყო ცოფიანი. მორევია ცოფი საწყალს ანტონოვს, უყვირის, წივის, დორბლები მოსდის პირითგან, თხოულობს წყალს, იხვეწება თოფი მესროლეთო. ამ ოთახსა ჰქონდა მეორეთგან ერთი ფანჯარა, რკინის ბადის მქონებელი. გულმა აღარ გამიძლო, მიველ და შევხედე. იხვეწება, იმუდარება: ბატონო ივან ივანიჩ! ბატონებო იოსებ (ელიოზოვი იყო), გიორგი (ტატიევი), თქვენი პირიმეთ, თოფი მესროლეთ, მომკალით, ან წყალი მასვით, წყალი ღვთის გული-

სათვის! თქვენი ჭირიმეთ!“... რომ მოიქანცება დავარდება მიწაზედ და ასე. ამ ტანჯვაში ვნახეთ საცოდავი ზურაბ ანტონოვი. მეორე დღეს მივედით კიდევ ეს ოთხივე, ვნახეთ გადაცვლილიყო“[1]. (ხაზი ყველგან ჩვენია.—დ. გ.).

მეორე ბიოგრაფის აღ. თუთაევის თქმით: „ბოლოს ანტონოვმა დაწერა პიესა „კიზიროკი“, რომელშიაც უმთავრეს მოქმედ პირად გამოიყვანა ამიროვი. ამან სულ უფრო გაამწვავა მათი დამოკიდებულება...

ვერაგმა კაცმა თავისი ბნელი განზრახვა შეასრულა და ანტონოვი დაატუსაღებინა.

ანტონოვი, ისედაც დასუსტებული, ხუთი დღე ჰყავდათ დამწყვდეული მეხუთე საბოქაულოს ნაწილის სარდაფში. განთავისუფლების მეორე დღეს ის მიიცვალა. ამბობენ, ვითომ ანტონოვი ცოფით მოკვდაო. ეს ხმა გაავრცელეს „ამიროვისტებმა“, ამასვე იმეორებდნენ ზოგიერთი ჩვენი გულუბრყვილო პუბლიცისტები, რომელთაც დასაბუთებულ სინამდვილედ მიიღეს ის, რაც მოჩვენილი იყო არამზადების მიერ.

მართალია, ძაღლმა დაკბინა, მაგრამ ის ცოფიანი არ ყოფილა, ამას ამბობს თვით დრამატურგის ძმა, რომელიც ცოცხალი მოწმე იყო ამ შემთხვევისა.

ანტონოვი მოკლა ძაღლის ნაკბენმა კი არა, არამედ მირონ ამიროვის ცოფმა“[2] (ხაზი ყველგან ჩვენია.—დ. გ.).

როგორც ვხედავთ, მოყვანილი ცნობები ერთმანეთს ბევრ რამეში ეწინააღმდეგება. მაგრამ ამ წინააღმდეგობათა გახსნამდე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ივ. კერესელიძის ვრცელი წერილი—„ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“, საიდანაც მოგვყავს მისი შეხედულება ზ. ანტონოვის გარდაცვალების შესახებ, უამრავ შეცდომებს შეიცავს საერთოდ. ამ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ პ. უმიკაშვილმა, რომელიც საგანგებოდ დაწერილ წერილში შენიშნავს: „აიღეთ ანტონოვის და გიორგი ერისთავის თხზულებათა წინასიტყვაობანი და მათთან განსვენებულის კერესელიძის წერილი

---

[1] ივ. კერესელიძე—„ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“, გაზეთი „ივერია“, 1893 წ., № 17.

[2] აღ. თუთაევი—„დრამატურგი ზურაბ ნახარის-ძე ანტონოვი“, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. 1910 წ., № 12.

შეამოწმეთ. გაგაკვირვებთ უბრალო ფაქტების შედარებაც კი, როგორც, მაგალითად, პირველი წარმოდგენა გაყრისა. ყველამ იცის ეს წარმოდგენა 1850 წ. იყო და არა 1849 წ., ყველამ იცის, რომ ტფილისის საოლქო (ოკრუჟნოი) სასამართლო 1868 წელს გაიხსნა და წინად ამისთანა სასამართლო არ იყო; კერესელიძის წერილში კი 1850 წლებში ანტონოვს იქ პროცესი ჰქონია... პირველი პიესა ანტონოვისა იყო „მე მინდა კნეინა გავხდე“, კერესელიძეს კი მოხსენებული აქვს „ქმრები გაეაბათ მახეში“, პიესა მეიფარიანისა, დაბეჭდილი და ცნობილი საკუთარის ავტორის ხელით... ქართულს თეატრს ეძლეოდა ხაზინიდან ნამდვილი ცნობით 400 თუმანი; კერესელიძე ხუთასს ამბობს. ანტონოვის უკანასკნელ დაკარგულ პიესას ეწოდება—„კიზიროკი“, იგი „ცრუპენტელას“ უწოდებს. თავის პიესის სახელსაც კი განსვენებული სხვადასხვა სახელით იხსენიებს“[1]...

ი. კერესელიძეს აღნიშნულ წერილში სხვა შეცდომები და წინააღმდეგობებიც აქვს, რაც არ ეფარდება თვით მის სხვა წერილებში გამოთქმულ აზრებს, მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს—გასაზიარებელია თუ არა მისი ცნობა ზ. ანტონოვის გარდაცვალების შესახებ.

ი. კერესელიძის ცნობით:

1. ზ. ანტონოვი ძაღლმა ისე დაგლიჯა და დაფლითა, რომ ცოცხალ-მკვდარი მიიყვანეს სახლში;

2. ზ. ანტონოვი ბინაში მარტო ცხოვრობდა, არავინ ჰყავდა მომვლელი;

3. ზ. ანტონოვს ერთი ძმა ჰყავდა, „ისიც სადღაცა დგას გორისკენ მოჯამაგირედ“;

4. ზ. ანტონოვი ძაღლის დაკბენიდან ორი კვირის შემდეგ გარდაცვლილა;

5. ზ. ანტონოვის უკანასკნელ კომედიას „ცრუ-პენტელა“ ეწოდებოდა;

6. ზ. ანტონოვი, როგორც გაცოფებული, ყვიროდა, წიოდა. დორბლები მოსდიოდა, ოთახში ბორგავდა და სხვ.

ი. კერესელიძის პირველი ხუთი ცნობა უდაოდ მცდარია. ჩვენ სარწმუნო ცნობა გვაქვს იმის შესახებ, რომ ძაღლს ანტონოვი არათუ დაუფლეთავს და დაუგლეჯია, არამედ მხოლოდ ხელზე უკბენია. არც ისაა მართალი, რომ ზურაბი მარტო ცხოვრობდა.

---

[1] პ. უმიკაშვილი—„ანტონოვის და ერისთავის ურთიერთობის შესახებ“, „ჟვალი“, 1893 წ., № 9.

ბინაში და მისი ერთადერთი ძმა სადღაც გორისაკენ იყო მოჯამაგირედ. ზ. ანტონოვს, როგორც აღვნიშნეთ, ორი ძმა ჰყავდა (ნიკოლოზი და გრიგოლი). ხოლო ერთი მათგანი (გრიგოლი—ზურაბის ბიოგრაფიის ავტორი) იმ დროს ზურაბთან ცხოვრობდა. ამასთანავე, ანტონოვი ცუდად გახდა არა ძაღლის დაკბენიდან ორი კვირის შემდეგ, არამედ—ორმოცდა მეოთხე დღეს. ხოლო მისი უკანასკნელი კომედია იყო არა „ცრუ-პენტელა“, არამედ „კიზიროკი“ (თუ „გოროდნიჩის კიზიროკი“), რომლის მთავარ გმირად გამოყვანილი ჰყავდა მ. ამიროვი, რომელიც „დიდ კიზიროკიან ფურაცკას“ ატარებდა[1].

რაც შეეხება მეექვსე ცნობას, რომელიც ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესოა, ისიც არ შეეფერება სინამდვილეს. მოუსმინოთ ზურაბის ძმას გრიგოლ ანტონოვს, რომელიც, იმ დროს ჩვიდმეტი წლისა, ზურაბთან ერთად ცხოვრობდა: „1854-სა წელსა, — წერს გრ. ანტონოვი,—ერთს საღამოს მამაჟალიყო სახლში, ქუჩაში ძაღლი მიჰპარვოდა, მივარდნოდა უცებ და ხელზედ ეკბინა. ნაკბენი მესამეს დღემდის მოურჩა, მაგრამ სთქვა, ის ძაღლი იქნება ცოფიანი ყოფილიყოო, ქართველებმა ცოფის წამალი იციანო. წავიდა გააკეთებინა, მოიტანა, უნდა დაელია; მაგრამ რომელ სახლთანაც ძაღლს ეკბინა, იმ სახლის პატრონს ეთქვა, ის ძაღლი ცოფიანი არ არისო და ძაღლი კიდეც ეჩვენებინათ. ამის გამო აღარ დალია წამალი.

ერთ საღამოს საათის ორზედ ღამისა ქრისტეშობის 9-სა ანუ 13-ს უცებ დამიძახა: მიშველეო!

მე იმ დროს ჩვიდმეტის წლისა იმასთან ვიყავი და არცარა ვიცოდი რა, რითი მეშველა. გავიქეცით მაშინვე, იქ ახლოს ერთი ქართველი აქტიორი იდგა ტატიევი; გავაღვიძე ჩამოვიყვანე საშველათა. ჩამოვიდა, ერთი შეხედა კი ფანჯრიდგანა. დაინახა რომ ზურაბი იწვა კრავოტზედ და იხვეწებოდა, მიშველეთო! ამ ჩემმა ტატიევმა, შველის მიცემის მაგივრად, წავიდა პოლიცია ამოიყვანა იქ, შეატყობინა: ანტონოვი გაცოფიანდაო.

როდესაც პოლიცია მოვიდა, შეხედეს ფანჯრიდან; ნახეს, რომ კაცი წევს კრაოტზედა, თავი ვერ აუღია. იმათ კარები და ფანჯრები დაუკეტეს, კარში არ გამოვარდესო და მეც გამომაგდეს ოთახიდგან გარეთა. იქიდგან ჩემი ძმა იხვეწებოდა: მიშველეთ!

---

[1] ი. კერესელიძე ჩანს სათაურს („ცრუ-პენტელა“) კომედიის საერთო შინაარსიდან აკეთებს. სხვათა შორის, ზოგიერთ მკვლევარს „ცრუ-პენტელა“ და „კიზიროკი“ სხვად-სხვა პიესებად აქვს მიჩნეული, რაც შეცდომაა.

რათა მკლავთ, რას ხედავთ ჩემშიო? მაგრამ პოლიციამ არაფერი ყურადღება არა მიიღო რა. ამისთანა მდგომარეობაში იყო საწყალი, ვიდრე დღის საათის სამამდის, მე გულდამწვარი ხან კარებს და ხან ფანჯარას ვეძგერე. მაგრამ ორიოდე კარგებიც მომცხეს და გამომაგდეს. არ მიმიშვეს ახლოს.

მერმე გაეგო გენერალ რეადს ეს ამბავი, მაშინვე გამოეგზავნა კაცი... წაიყვანეთ გოშპიტალშიო... გამოიყვანეს, ჩასვეს დროშკაში და წაიყვანეს გოშპიტალში... გარდაიცვალა საღამოს ექვს საათზედა იმავე ღამეს 9-ს ანუ 13 ქრისტეშობისთვეს. ეს რიცხვი კარგად არ მახსოვს.

იტყვიან, ცოფიანის ძაღლისაგან ნაკბენმა კაცმა თუ წამალი არ დალია, ის კაცი გაცოფიანდება ანუ მეშვიდე დღეს ანუ მეხუთმეტეს დღესა და თუ არა, მეორმოცე დღეს უეჭველადაო. ამასთანავე იმ შემთხვევის დროს ისეთ რიგად გაგიჟდება, რასაც მოასწრობს, სულ დაგლეჯსო: ტანისამოსს სულ ზედ შემოიგლეჯსო და, თუ კაცი მივიდა ახლოს, იმასაც არ დააყრის კეთილსაო. აღარასფრის გრძნობა აღარ ექმნებაო; მაგრამ ზურაბს ამ გვარი შემთხვევები არასფერი არა ჰქონდა რა.

როდესაც ძაღლმა უკბინა, იმ დღიდან ორმოცდამეოთხეს დღეს შეემთხვა ამას ისა და იმ შემთხვევის დროს ისევე იმ სრულის გონებით იყო, ისევ იმ თავის ლაპარაკით, როგორც ყოფილა წინათ ვიდრე გარდაცვალებამდის. იმას ცოფიანი კაცის ნიშანი არასფერი არა ეტყობოდა რა. ის ფეხზედაც ვერ დამდგარიყო. კრავოტზე იწვა არაქათი არა ჰქონდა, არამც თუ ევნო ვისთვისმე რამეო"[1].

ი. კერესელიძის გადმოცემის მცდარობა აშკარაა. არავითარი წივილ-კივილი, არავითარი ბოდვა და დორბლი ზ. ანტონოვს არა ჰქონია; არც აზრი და გრძნობა დაუკარგავს, არც დაგლეჯილი ყოფილა ძაღლისაგან და, მით უმეტეს, არც ორი კვირა მწოლიარე. ეს რომ ასე ყოფილიყო, მას ვეღარც დანიშნავდნენ თეატრის დირექტორის თანამდებობაზე, რასაც, როგორც ვიცით, ერთი კვირის განმავლობაში ასრულებდა. ზ. ანტონოვი ძაღლმა დაკბინა ჯერ კიდევ ნოემბრის თვეში, როცა თეატრის დირექტორად გ. ერისთავი იყო. მას თეატრთან კავშირი არ გაუწყვეტია და სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე დირექტორის თანამდებობაზეც დაინიშნა.

---

[1] გრ. ანტონოვი—„ზურაბ ანტონოვი და მისნი თხზულებანი". იხ. „თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა", 1876 წ., გვ. V—VIII.

ჩვენ მიერ მოყვანილი ვრცელი ამონაწერები და მათი ერთმანეთთან შეჯერება აშკარას ხდის, რომ ზ. ანტონოვი ცოფიან ძაღლს არ დაუკბენია და მით უმეტეს ცოფისაგან არ გარდაცვლილა. საიმედოდ და სარწმუნოდ მიგვაჩნია აღ. თუთაევის ცნობა, რომ ზ. ანტონოვი მ. ამიროვმა იმსხვერპლა.

ბოროტ და თავმოყვარე ამიროვს, რომელიც შურისძიებით იყო განწყობილი ზურაბისადმი, ცხადია, კომედია „კიზიროკის" დაწერის ფაქტი კიდევ მეტად ააღელვებდა და არაფერს დაზოგავდა მოესპო კომედიაც და მისი ავტორიც. როგორც ჩანს, მ. ამიროვმა თავისი ზრახვები პოლიციის მოსყიდვითა და დახმარებით შეისრულა. მართალია, ძმის მიერ შედგენილ ბიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ პოლიციას ზ. ანტონოვი დაკავებული ჰყავდა სიკვდილის წინა დღეებში (შეიძლება ეს საძრახისადაც კი მიიჩნია), მაგრამ ეს კიდევ არ გამორიცხავს ამის შესაძლებლობას. ამ ბიოგრაფიას ბევრი სხვა დეტალებიც აკლია. ხოლო მეტად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ აღ. თუთაევი მიუთითებს იმ ადგილსაც კი, სადაც ზ. ანტონოვი ჰყავდათ დამწყვდეული (მეხუთე საბოქაულოს ნაწილის სარდაფში). ასევე საყურადღებოა ის, რომ, აღ. თუთაევის ცნობით, პატიმრობიდან განთავისუფლებული ზ. ანტონოვი მეორე დღესვე გარდაიცვალა, ე. ი. იმავე ღამეს გახდა ავად. ამას დაეუმატოთ ძმის—გრ. ანტონოვის სიტყვებიც: „ამ ჩემმა ტატიევმა, შველის მიცემის მაგიერად, წავიდა პოლიცია ამოიყვანაო". როგორც ვნახეთ, ზ. ანტონოვის სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობა საჭიროს არ ხდიდა ღამის 3—4 საათზე პოლიცია მოეხმო ვისმეს. ამ სურათში წინასწარ გაანგარიშებული და მოწყობილი ავანტიურის სახე მოჩანს.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ზ. ანტონოვის გოსპიტალში წაყვანისთანავე პოლიციელებმა, როგორც მისი ძმა გადმოგვცემს, „წაიღეს იმისი ბიბლიოთეკა და იმასთან მისი ხელთნაწერი პიესები... აგრეთვე ერთი ახალი პიესა დასწერა ბოლოს ჟამში, ისევე შავად იყო, ჯერ თეთრადაც არ იყო გადაწერილი და ძრიელ კარგიც რამ იყო. თითონ მითხრა, რაც პიესები დამიწერია, ამისთანა პიესა არც ერთი არ არისო, ყველა ჩემ დაწერილს პიესებს ესა სჯობიანო (ივარაუდება „კიზიროკი". ხაზი ყველგან ჩვენია.—დ. გ.). სულ ხუთი დღის გათავებული ჰქონდა ის პიესა თავის სიკვდილის წინათა.

ის ნივთებიც, ის წიგნებიც, ის პიესებიც სულ ერთიანად დაიკარგა პოლიციაშიო"[1].

ეტყობა პოლიცია საგანგებოდ იყო დაინტერესებული მოესპო ზ. ანტონოვის „სულ ხუთი დღის გათავებული" კომედია „კიზიროკი", რომლის დამთავრებისა და მისი ავტორის დაპატიმრების დრო, აღ. თუთაევის ცნობით, ერთმანეთს ემთხვევა.

როგორც აღვნიშნეთ, „კიზიროკის" დაწერამ მეტად აღაშფოთა გ. ამიროვი და სასწრაფო ზომაც მიუღია როგორც პიესის, ასევე მისი ავტორის მოსასპობად. მდიდარ და ფულიან ამიროვს, ჩანს, პოლიციის მოყიდვა არ გაძნელებია და მათაც უკვე სახელმოხვეჭილ დრამატურგს საწამლავი შეასვეს განთავისუფლების წინ იმ იმედით, რომ დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა, თანაც საკუთარ სახლში დალევდა სულს. მათ, ცხადია, ნავარაუდევი ჰქონდათ ის, რომ ზ. ანტონოვი ძაღლის მიერ იყო დაკბენილი და შეეძლოთ ყველაფერი ამ შემთხვევისათვის დაებრალებინათ. მათ მშვენივრად შეასრულეს განზრახვა: მოკლეს რა ანტონოვი, მოსპეს მისი პიესები და, მათ შორის, „კიზიროკი", ხმაც გაავრცელეს „ზ. ანტო-

---

[1] გრ. ანტონოვი. ზურაბ ანტონოვი და მისნი თხზულებანი, იხ. „თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა", 1876 წ., გვ. VIII—IX.

1891 წელს გაზეთ „ივერიაში" (№ 145) გამოქვეყნდა წერილი—„ახალი ამბავი", რომელშიც ვკითხულობთ: „ბ ანტონოვის ზოგიერთი პიესების ხელნაწერი ამ ბოლო დროს აღმოჩნდა ტფილისში. ბ. გ. არეშიძემ, რომელსაც შარშან აღმოუჩნდა ბარათაშვილის ლექსების რვეული. ამ დღეებშიც კიდევ გამოაჩინა ზ. ანტონოვის შემდეგი პიესები, რომლებიც დღემდის დაბეჭდილი არსად ყოფილა. აი რა პიესებია:

1. ორი მდგმური ერთ ეზოში, კომედია ორ მოქმედებად, რუსულიდან გადმოკეთებული, 1853 წ.

2. სტანციის სმოტრიტელი, კომედია ორ მოქმედებად, გადმოკეთებული და

3. პაპა და შვილისშვილები, კომედია ორ მოქმედებად, ორიგინალური. ამ პიესის ბოლო შემდეგის ლექსით თავდება:

„თუ არ მოგწყინდათ თამაში,
ამ ჩვენის წარმოდგენითა,
გთხოვთ გვაჩუქოთ თითო ტაში
თქვენის მოწყალეს ხელითა".

ეს პიესები 1850 წლებში წარმოუდგენიათ. ხელნაწერებში მოხსენიებულია იმათი გვარი და სახელები, რომელთაც კი მონაწილეობა მიუღიათ ამ პიესების წარმოდგენაში. ეს მოთამაშენი თითქმის ყველანი 1850 წ. ცნობილი აქტიორები არიან".

კომედია—„ორი მდგმური ერთ ეზოში" გადმოკეთებული იყო მართლაც ზ. ანტონოვის მიერ, დრამა—„სადგურის ზედამხედველი" („სტანციის სმოტრიტელი"), პუშკინის მოთხრობის მიხედვით გაკეთებული, ეკუთვნის ნ. ი. კუ-

ნოვი გაცოფდა და მოკვდაო". იცოდნენ რა, რომ ზ. ანტონოვი ძაღლისაგან დაკბენილი იყო, ხალხმაც დაიჯერა და დიდხანს საეჭვოდ აღარავის გაუხდია.

ახლა ცხადი უნდა იყოს, რომ „ანტონოვი—როგორც აღ. თუთაევი ამბობს—მოკლა ძაღლის ნაკბენმა კი არა, არამედ მირონ ამიროვის ცოფმა".

დასაფლავებაც მეტად უფერულად ჩატარებულა. ი. კერესელიძის თქმით, „შეუღებავი ფიცრის კუბოში" ჩასვენებული ნიჭიერი დრამატურგი „ოთხმა დესეტნიკმა... წაიღეს ვერის სასაფლაოზე". მას მხოლოდ რამდენიმე ნაცნობი მიაცილებდა.

* * *

ზ. ანტონოვი იყო საშუალო ტანის, ქერა, პირმრგვალი, არც ძლიერ მსუქანი და არც ძლიერ გამხდარი, ზამთარ-ზაფხულს მახოხისფერ თხელ პალტოს ატარებდა; ლაპარაკობდა და კითხულობდა ზომაზე ჩქარა. იყო პირში მთქმელი და სიმართლის მოყვარული, „ამხანაგის გამტანი, უშურველი, გულუხვი და პურადი. ამასთანავე საკმაოდ გულფიცხი კაცი".

ზ. ანტონოვმა იცოდა ქართული, რუსული და სომხური ენები; აზროვნებდა და წერდა მშობლიურ ენაზე—ქართულ ენაზე.

ზურაბს მემკვიდრე არ დარჩენია. მას და მის ძმას—ნიკოს ცოლი არასოდეს არ შეურთავთ. მესამე ძმას—გრიგოლს ცოლად ჰყავდა მარიამ სტეფანეს ასული ამიროვი (მას არაფერი ნათესაობა აკავშირებდა მირონ ამიროვთან), რომელთანაც შეეძინა ქალ-ვაჟი (გიორგი და ნინო), ამჟამადაც ორივე ცოცხალია.

ლიკოვს, ქართულად იგი ი. კერესელიძემ გადმოაკეთა. ხოლო კომედია „პაპა და შვილისშვილები" გ. ანტონოვის ორიგინალური ნაწარმოები არაა, გადმოკეთებულია გ. ჯაფარიძის მიერ.

გაზეთ „ივერიას" კარგა ხანს არ გამოუქვეყნებია რაიმე დამატებითი ცნობა, ხოლო 1894 წელს (№ 54), კვლავ „ახალი ამბავის" სათაურით მკითხველს აცნობა: „ბ-ნ გ. არეშიძის ქალაქებში, რომელსაც ბევრი ქართული ძველი წიგნი აქვს და სადაც აღმოჩნდა ბარათაშვილის ხელთნაწერი მშვენიერი ლექსების რვეული, უპოვნიათ ოთხი პიესა ზ. ანტონოვისა: „კუკიაში სახლი ქირით"—კომედია, „გოროდნიჩის კიხიროკი"—კომედია, „კარაპეტას ქვევრი"—კომედია და შეხუთე—უსათაურო. ყველას ზ. ანტონოვის საკელი ხელი გვარი აწერია და ისინიც, თუ ეს პიესები 1850 წლებში როდის წარმოდგინესო".

კომედია „კუკიაში სახლი ქირით" გადმოკეთებულია გ. დვანაძის მიერ: „კარაპეტას ქვევრი", უფრო სწორად „კარაპეტა ქვევრში" („Карапет в кувшине") გადმოკეთებულია გ. ერისთავის მიერ. ამგვარად, მოწოდებული ცნობა შეცდომებს შეიცავს. გაურკვეველია ამ პიესების ბედიც.

ზურაბის ერთადერთ დას, რომელიც გათხოვილი იყო თბილისში (ვინმე ყანდურალოვზე), არავინ დარჩენია, ბავშვები ადრე გარდაცვლია.

ზურაბის უმცროსი ძმა (და აგრეთვე ბიოგრაფი) გრიგოლი 1898 თუ 1899 წელს გარდაცვლილა. მისი შვილი გიორგი გადმოგვცემს: „უკანასკნელად კაპიტანის ხარისხით იყო, „ატსტავკაში“ გამოსული 1885 წელს... თბილისში ვცხოვრობდით. გორთან კავშირი დაკარგული გვქონდა, რადგან იქ ჩვენიანი არავინ დარჩა. მამისაგან გამიგონია, რომ გორში ჩვენ მეჩიტაშვილებად გვცნობდნენ (მეჩიტაანთს გვეძახდნენ)...

მამაჩემი მართლმადიდებელთა ეკლესიაში ლოცულობდა. თბილისში ქაშვეთის ეკლესიაში დადიოდა. სომხური ენა არ იცოდა“ [1].

ზ. ანტონოვს სიღარიბისათვის თავი ვერასოდეს ვერ დაუღწევია. თბილისში ყოფნის დროსაც, როდესაც მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა, იგი მეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა. მთაწმინდის ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაზე მას დაქირავებული ჰქონდა პატარა ოთახი, რომელშიც ნახავდით მხოლოდ ფეხმოტეხილ ფიცრის საწოლს, ძველი ლოგინით, პატარა და უბრალო ხის მაგიდას, რომელზეც ეწყო რვეულები, საწერი ქაღალდები და საწერ-კალამი, სამელნე, ხის უბრალო სკამს და ქვის იატაკზე დაწყობილ მისვე დაბეჭდილ კომედიებს. ეს იყო მისი სიმდიდრე და მთელი აელა-დიდება. ფული ხომ თითქმის არასოდეს არ ჰქონდა, ყოველი კომედიის დაბეჭდვისათვის ვალი უნდა აეღო, ხოლო დაბეჭდილის გასაღებისათვის—თვითონ უნდა ეზრუნა. დრო და დრო ვორონცოვი აჯილდოებდა ხოლმე ახალი პიესისათვის, მაგრამ ვორონცოვის წასვლის შემდეგ ეს წყალობაც მოაკლდა.

მისი ის კომედიებიც, რომლებმაც დღემდე მოაღწია, ჩვენთვის უცნობი იქნებოდა, რომ თვით ავტორს არ ეზრუნა მათი თავის დროზე გამოქვეყნებისათვის.

1851 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე“, 1852 წელს—კომედიები: „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „ქორწილი ხევსურთა“. ამავე წელს გამოვიდა მისი პიესების კრებული, რომელშიც შევიდნენ: „ქმარი ხუთი ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“, „ქორწილი ხევსურთა“;

---

[1] გ. გ. ანტონოვი—„ზოგიერთი ცნობები ანტონოვის შესახებ“. მოგონება დაცულია თეატრალურ მუზეუმში. მასზე მიგვითითა მუზეუმის დირექტორმა გ. ბუხნიკაშვილმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

1853 წელს — „ქოროღლი“, 1854 წელს—„ტიევით მოგზაურობა ლიტერატორთა“[1].

ზ. ანტონოვის გარდაცვალების შემდეგ, 1876 წელს გამოცემულ იქნა მისი თხზულებათა კრებული, რომელშიც შესულია: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“, „ქორწილი ხევსურთა“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქოროღლი“ და „ტიევით მოგზაურობა ლიტერატორთა“. დანარჩენი პიესები დაიკარგნენ.

მას შემდეგ ზ. ანტონოვის თხზულებანი აღარ გამოცემულა. თუმცა მისი პიესები ხშირად იდგმებოდნენ.

---

[1] როგორც რ. ერისთავის მიერ აკად. მ. ბროსესადმი მიწერილი წერილით (1855 წ., 9 მაისი) ირკვევა, მ. ბროსეს მოსწონებია ზ. ანტონოვის კომედიები და რ. ერისთავისათვის უთხოვნია მათი გ-ზავნა.

II. ზ. ანტონოვის დრამატურგია

1

ზ. ანტონოვს წილად ხვდა ეროვნულ და რეალისტურ საფუძვლებზე აღორძინებული ქართული დრამატურგიული მწერლობის განვითარება. მას ერთი, მაგრამ დიდი მასწავლებელი ჰყავდა გ. ერისთავის სახით, ხოლო ეს უკანასკნელი მისი თანამედროვე იყო. ამიტომ მას დიდი ნიჭი და ალღო უნდა გამოეჩინა საკუთარი სიტყვა რომ ეთქვა და თავისი მასწავლებელი გაეღრმავებინა.

ზ. ანტონოვი თავის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან გააფართოვა თემატიკა ახლადფეხადგმული ქართული რეალისტური დრამატურგიისა და შემატა მას მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი.

ზ. ანტონოვის დრამატურგიის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში თავის დროზე ზუსტად განსაზღვრა დიდმა ქართველმა მწერალმა და მოაზროვნემ ი. ჭავჭავაძემ, რომელმაც აღნიშნა: გ. ერისთავის მიერ „ფრთაასხმულმა ანტონოვმა, რა კი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ წოდებულ მდაბიო ხალხის ცხოვრება, ავკარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა (ხაზი ჩვენია. — დ. გ.). მისი „მზის დაბნელება", „ხევსურთა ქორწილი", თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის"[1].

---

[1] ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, 1927 წ., გვ. 245—246.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის ეს სახელმძღვანელო აზრი ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ დღემდე არაა გათვალისწინებული. ამ მხრივ საყურადღებო ნაბიჯი გადადგა პროფ. შ. რადიანმა, რომელმაც ცალკე თავი უძღვნა ზ. ანტონოვის შემოქმედებას. ზ. ანტონოვის დრამატურგიის შესწავლას მიუძღვნა აგრეთვე თავისი საკანდიდატო დისერტაცია ე. აბრამიშვილმა („ზ. ანტონოვის დრამატურგია", 1950 წ.).

ეს არაა მცირე წვლილი. ქართულ რეალისტურ მწერლობაში დაბალი ხალხის ცხოვრებისა და მისი ავკარგიანობის პირველი ამსახველი, ცხადია, სათანადო შეფასებას და შესწავლას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ზ. ანტონოვმა თავისი სიტყვა დრამატურგიულ მწერლობაში თქვა. ხალხის ცხოვრების სურათები მან პიესებში, სცენაზე გვიჩვენა. ხოლო როგორც მ. გორკი ამბობს: „Пьеса — драма, комедия — самая трудная форма литературы, — трудная потому, что пьеса требует, чтобы каждая действующая в ней единица характеризовалась и словом, и делом самосильно, без подсказываний со стороны автора. В романе, в повести люди, изображаемые автором, действуют при его помощи, он всё время с ними, он подсказывает читателю, как нужно их понимать, объясняет ему тайные мысли...

Пьеса не допускает столь свободного вмешательства автора, в пьесе его подсказывания зрителю исключаются. Действующие лица пьесы создаются исключительно и только их речами, т. е. чисто речивым языком, а не описательным. Это очень важно понять, ибо, для того, чтобы фигуры пьесы приобрели на сцене, в изображении ее артистов художественную ценность и социальную убедительность, необходимо, чтоб речь каждой фигуры была строго своеобразна, предельно выразительна, — только при этом условии зритель поймет, что каждая фигура пьесы может говорить и действовать только так, как это утверждается автором и показывается артистами сцены“[1].

სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მ. გორკის ეს სიტყვები არა მხოლოდ ადასტურებს ჩვენ მიერ ნათქვამს ზ. ანტონოვის შესახებ, არამედ გვაძლევს გასაღებს მთელი მისი შემოქმედების გაგებისა და შეფასებისათვის.

ზ. ანტონოვი თავის პიესებს ქმნიდა გასული საუკუნის 50-იან წლებში. იგი, როგორც დრამატურგი, განსაზღვრული იყო ეპოქის ხასიათითა და იმ შესაძლებლობით, რომელიც გააჩნდა იმ თეატრს, რომლის დასის წევრი თვითონ იყო და რომელსაც უნდა წარმოედგინა მისი კომედიები. პიესების კომპოზიციური სირთულეც აღნიშნული თეატრის მხატვრული შესაძლებლობის შესატყვისი უნდა ყოფილიყო, ხოლო შინაარსობლივი მხარე—ეპოქის მოთხოვნილებისა და მაყურებელთა დონის. ამ გარემოებას გვერდს

[1] М. Горький. О литературе, 1935 г., стр. 144—145.

ვერ აუვლიდა დრამატურგი, ისიც გასული საუკუნის 50-იან წლებში. ჯერ კიდევ ბ. ბელინსკი შენიშნავდა: „Публика читающая и публика театральная—это две совершенно различные публики, ибо театр посещают и такие люди, которые ничего не читают и лишены всякого образования“ [1]. და თუ ეს შეიძლება ითქვას საერთოდ, ცხადია, იგი ითქმის გ. ერისთავის თეატრის მაყურებლის შესახებაც.

ზ. ანტონოვის დრამატურგიის შესწავლისა და შეფასების დროს უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ნიკოლოზ პირველის რუსეთში და განსაკუთრებით კოლონიურ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყნებში თეატრის არსებობას მთავრობა მეტად თავისებური თვალით უცქერდა და ზემოქმედების განსახორციელებლად სურდა გამოეყენებინა. ეროვნული და დემოკრატიული იდეებით გამსჭვალული პიესები მთელი ცენზურული სისასტიკით იდევნებოდა.

„Правительство, — წერს ნ. ა. კასტელინი, — используя театр как средство идеологического воздействия на зрителей. всячески поощряло спектакли, идейная сущность которых соответствовала пресловутой уваровской формуле: „Самодержавие, православие и народность“. С другой стороны. театр используется как средство отвлечения внимания общества от насущных вопросов политики. В этих целях правительство поощряет разнообразные „невинные жанры“, одновременно преследуя комедии и драмы, имеющие ярко выраженный демократический характер. Цензурное рассмотрение драматичсских произведений значительно усложняется: непосредственный контроль за репертуаром осуществляет III отделение“ [2].

ასე ყოველმხრივ შეზღუდულ და შევიწროებულ ვითარებაში მოუხდა ზ. ანტონოვს, როგორც ილია ამბობს, „საკუთარი ფრთების შესხმა“. და თუ მან ყველა სიძნელე ვერ დაძლია, ძირითადი საფრთხე მაინც აიცდინა. იგი როგორც დრამატურგი არათუ გახდა მეფის მთავრობის ზემოქმედების იარაღი, ეროვნულ გრძნობათაგან და ხალხთა ინტერესებისაგან განიარაღებული, არამედ, პირიქით, იგი ბრძოლას უცხადებს ჩამორჩენილობას, სოციალურ და ეროვნულ უთანასწორობას, იცავს დაჩაგრულთა ინტერესებს და-

---

[1] В. Белинский. Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова. т. VIII. стр. 224.

[2] Н. А. Кастелин. Белинский театральный критик, 1950 г., стр. 6.

აიდეალებს მჩაგვრელთა წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს. ზ. ანტონოვის დრამატურგიის თემატიკა და სოციალური აზრი მის ავტორს წარმოგვიდგენს როგორც თავისი დროის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეს. მას, როგორც მოაზროვნეს და მხატვარს, ამაღლებს თავისი თანამედროვე ცხოვრებით დაინტერესება, სინამდვილის სურათების პირუთვნელი ასახვა, ჰუმანური და დემოკრატიული შეხედულებების წინ წამოწევა.

მოღვაწეობდა რა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა რომანტიზმი— როგორც მხატვრული სტილი — განდევნილი არ იყო, ხოლო კრიტიკული რეალიზმი პირველ ნაბიჯებს დგამდა და თავის ადგილს არკვევდა ლიტერატურაში, ზ. ანტონოვი თავისუფალია რომანტიკული გადახვევებისაგან. ამ მხრივ იგი უსწრებს თავის მასწავლებელს, და ეს გასაგებიცაა: იგი პირველი „რაზნოჩინელია“ და შედარებით ადვილად ახერხებს ეპოქისათვის შეუფერებელი მოტივებისაგან გვერდის ავლას.

მისი დრამატურგიის მრავალფეროვანი თემატიკა, პერსონაჟთა მდიდარი გალერეა და დემოკრატიულ-ჰუმანური იდეები — თანამედროვე ცხოვრების კარგი ცოდნის შედეგია. იგი დაინტერესებულია ასახოს სინამდვილის არსებითი მხარეები და მკითხველს, თუ მაყურებელს მისცეს სწორი წარმოდგენა მათ შესახებ. იგი არ ეკუთვნის დრამატურგთა იმ რიცხვს, რომელთა შესახებ მ. ლერმონტოვი ამბობდა:

С кого они портреты пишут?
Где разговоры эти слышут?
А если случалось им,
Так мы их слышать не хотим.

* * *

ზ. ანტონოვი 1851 წელს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და ოთხი წლის მანძილზე ქართულ დრამატურგიულ მწერლობას შესძინა თხუთმეტი ორიგინალური და გადმოკეთებული პიესა. ამ პიესების დიდი უმეტესობა წარმოდგენილი იყო თეატრში თვით დრამატურგის სიცოცხლეშივე. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი ნაკლებად ცნობილია დღევანდელი მკითხველისათვის. ზოგჯერ თეატრისა და ლიტერატურის ისტორიკოსებიც ვერ გვაწვდიან ზუსტ ცნობებს ამ პიესათა რაოდენობისა და ხასიათის შესახებ. არის შემთხვევები, როცა ზ. ანტონოვს მიაწერენ მის თანამედროვე დრამატურგთა პიესებს, და პირიქით.

უდავოდ ორიგინალური პიესები, რომლებიც ზ. ანტონოვს ეკუთვნის, შემდეგია: 1. „ქორწილი ხევსურთა“, 2. „მზის დაბნე-

ლება საქართველოში“, 3. „ქოროღლი“, 4. „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და 5. „კიზიროკი“, რომელიც ავტორს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დაუწერია და ყველაზე მეტად მოსწონდა თურმე. „კიზიროკს“ ჩვენამდე არ მოუღწევია, ვერც თეატრში წარმოდგენა მოუსწრიათ მისი, მაგრამ ზოგიერთს წაუკითხავს და მოუსმენია. კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, ი. კერესელიძის ცნობა „ცრუპენტელას“ შესახებ სწორედ „კიზიროკს“ ეხება, მაგრამ სათაურს სწორად ვერ ასახელებს[1].

პიესა „ქმარი ხუთი ცოლისა“ ნახევრად ორიგინალური ნაწარმოებია. პიესის პირველი მოქმედება ზ. ანტონოვის შემოქმედებითი აზრის ნაყოფია, ხოლო მეორე მოქმედება—გადმოკეთებულია რუსულიდან. პიესას თვით ავტორის მიერ გაკეთებული აქვს შენიშვნა: „მეორე მოქმედება გარდაკეთებული არის რუსულიდგან“.

პიესა „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“ გადმოკეთებულია რუსულიდან. პიესის პირველ ბეჭდურ გამოცემებში, რომლებიც ავტორის მეცადინეობითა და რედაქციითაა გამოცემული, აღნიშნულია: „გარდაკეთებული რუსულიდგან ზ. ანტონოვისაგან“. ეს შენიშვნა ზ. ანტონოვის თხზულებათა 1876 წლის გამომცემლებს გამოტოვებული აქვთ, რამაც შემდეგ გაუგებრობა დაბადა.

„მე მინდა კნეინა გავხდე“, რომლითაც ზ. ანტონოვი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, დღემდე ცნობილი იყო როგორც რუსული ენიდან გადმოკეთებული პიესა, თუმცა უშუალო წყარო არავის მიერ არაა დასახელებული და არც ავტორის მიერ გაკეთებული შენიშვნა ახლავს.

ზ. ანტონოვს ეკუთვნის აგრეთვე ჩვენამდე მოუღწეველი პიესები: „თეთრი დათვი ფაშისა“, „ქმარი ცოლის მაყარი“, „კოტრი ზარაფი“, „ჯერ მოკვდნენ, მერე დაქორწინდნენ“, „ახ, მართალთ გამკითხავო, შენ მიპატრონე“ და „ორი მდგმური ერთ ეზოში“. ნაწილი ამ პიესებისა, ვშკარაა, იდგმებოდა თავის დროზე, ხოლო ნაწილის შესახებ („კოტრი ზარაფი“, „ახ. მართალთ გამკითხავო, შენ მიპატრონე“, „ჯერ მოკვდნენ მერე დაქორწინდნენ“) ამ მხრივ რაიმე საიმედო ცნობა არ მოგვეპოვება, ცხადია მხოლოდ, რომ ასეთი პიესები იყო და იგი ეკუთვნოდა ზ. ანტონოვს. მაგრამ გადაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ უმეტესი მათგანი არაა ორიგინალური და წარმოადგენს გადმოკეთებას.

1875 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 13) გამოქვეყნებულ ცნობაში ვკითხულობთ: „ამ მოკლე ხანში დაიწყება ბეჭდვა ანტონოვის თხზუ-

[1] მხედველობაში გვაქვს ი. კერესელიძის წერილი „ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“, გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 17.

ლებათა. მაგრამ დამბეჭდავთ, საუბედუროდ, ყველა ამის თხზულებანი ვერ ჩაუგდიათ ხელში; სხვათა შორის, იმათ აკლიათ კომედიები:

1. „თეთრი დათვი ფაშისა“,
2. „ქმარი ცოლის მაყარი“,
3. „კოტრი ზარაფი“,
4. „ჯერ მოკვდნენ და მერე დაქორწილდნენ“ და
5. „ახ, მართალთ გამკითხავო, შენ მიპატრონე“.

ჩანს, აღნიშნული პიესები ჯერ კიდევ მაშინ იყო დაკარგული.

როგორია ზ. ანტონოვის დრამატურგიის ჟანრობლივი მხარე?

აღნიშნულ საკითხს დაწვრილებით შევეხებით, როცა ლაპარაკი გვექნება პიესების მხატვრულ მხარეზე. ახლა მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ზ. ანტონოვი როგორც დრამატურგი თავის მოწოდებით უფრო კომედიოგრაფია. მას ემარჯვება კომიკური სიტუაციების ბუნებრივად შექმნა, მაგრამ „ქოროღლითა“ და „ხევსურთ ქორწილით“ დაამტკიცა, რომ არა ნაკლებ ფლობს წმინდა დრამატული და ტრაგიკული სცენების შექმნის ტექნიკას.

ზ. ანტონოვის ჩვენამდე მოღწეულ შვიდი პიესიდან კომედიებია: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „მზის დაბნელება საქართველოში“ და „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“; ვოდევილები: „ქმარი ხუთი ცოლისა“ და „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“; საყოფაცხოვრებო დრამა: „ქორწილი ხევსურთა“; გმირული დრამა: „ქოროღლი“. ხოლო ის პიესები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, კომედიები და ვოდევილებია.

ასეთი დაჯგუფება პირობითია, მაგრამ უფრო ახლოს არის სინამდვილესთან. მაგალითად პიესას — „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“ ფარსისათვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი აქვს. იგივე ითქმის „ქმარი ხუთი ცოლისა“-ს შესახებაც. მეტად თავისებურია „ქორწილი ხევსურთა“, რომელსაც მელოდრამის ბევრი ნიშანი გააჩნია, მაგრამ საყოფაცხოვრებო დრამას უფრო მიეკუთვნება, ვინემ სხვა რომელიმე ჟანრს. რაც შეეხება „ქოროღლს“, რომელიც ავტორის შეხედულებით ტრაგედიაა, ვფიქრობთ, ბევრი რამ აკლია იმისათვის, რომ ტრაგედიად მივიჩნიოთ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 1855 წლის ნოემბერში ვ. ბებუთოვისადმი წარდგენილ გ. ერისთავის მიმართვაში, სადაც ჩამოთვლილია თეატრში წარმოდგენილი თითქმის ყველა პიესა, მხოლოდ ზ. ანტონოვის „ქოროღლის“ და გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგისა“ და „სიმონ სულგრძელის“ შესახებ არის აღნიშნული, რომ ისინი დრამებია; ხოლო გ. ჯაფარიძის მიერ ნათარგმნი „მაიკო“—ტრაგედიაა. სხვა პიესებს, რომლებიც

კომედია ან ვოდევილია, არავითარი შენიშვნა არა აქვთ. ყოველივე ეს შემთხვევითი არაა. ამ მიმართვის ავტორია არა უბრალო მოხელე, არამედ თეატრის დირექტორი, რეჟისორი და დრამატურგი გ. ერისთავი.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ თვით ზ. ანტონოვი ერთმანეთისაგან განასხვავებს ნამდვილ კომედიას და კომედიას. მაგალითად, ნამდვილ კომედიებს იგი უწოდებს პიესებს: „მზის დაბნელება საქართველოში“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, ხოლო დანარჩენთ („ქოროღლის“ გამოკლებით)—კომედიებს[1].

ამგვარად, ჩვენ მიერ გაკეთებული კლასიფიკაცია, ძირითადად, ემთხვევა ავტორის შეხედულებას.

ზ. ანტონოვის კომედიები შინაარსის მიხედვით სოციალურ კომედიათა ჯგუფს მიეკუთვნებიან. თუმცა მათ აქვთ ის ნიშნებიც, რომლებიც მეტწილად სახასიათო კომედიისათვის არის დამახასიათებელი.

მიუხედავად იმისა, რომ საგანგებოდ გვექნება მსჯელობა ზ. ანტონოვის პიესათა წყაროების შესახებ, მაინც საჭიროდ ვცანით გაკვრით გვეთქვა მათი ორიგინალობის შესახებ. ასეთი საჭიროება დაბადა მწერლის მხატვრული შემოქმედების იდეური და მხატვრული თავისებურების გამოკვეთის სურვილმა. სამწუხაროდ, ზ. ანტონოვის დრამატურგიის შეფასების საქმეში ზოგჯერ ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებენ მის ორიგინალურ და გადმოკეთებულ პიესებს. ასეთი მიდგომა მწერლის შემოქმედებისადმი მეთოდოლოგიურ შეცდომად მიგვაჩნია. ამ მეთოდით ჩვენ ვერ გავიგებთ ზ. ანტონოვის დამსახურებას ქართული დრამატურგიის ისტორიაში, ვერ შევიმუშავებთ სწორ შეხედულებას მისი შემოქმედების თემატიკის, მხატვრული ხერხებისა და მსოფლმხედველობის შესახებ.

მწერლის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ გემოვნებაზე, ცხადია, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ თარგმანების მიხედვითაც, მაგრამ არა ყოველთვის. თარგმანიც არის და თარგმანიც. თარგმანი არის სიტყვა-სიტყვითი და თავისუფალი; ზოგჯერ თარგმანი მაღლა დგას ორიგინალთან შედარებით. ხშირად მთარგმნელი თავისი მსოფლმხედველობის ბეჭედსაც ასვამს თარგმანს და იმარჯვებს თავისებურ მხატვრულ ხერხებს, რის გამო თარგმანი

---

[1] შესაძლებელია, რომ ავტორი „ნამდვილ კომედიას“ უწოდებს იმ პიესებს რომლებსაც კონკრეტული ფაქტი დაედო საუძვლად. ესეც იმის მაჩვენებელია რომ ასეთი პიესა უფრო ადვილად მაღლდება „კომედიამდე“.

გადნოკეთების სახეს იღებს. მაგრამ უმეტესად მთარგმნელი მხოლოდ თარგმნის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მას შესაძლებელია არც მსოფლმხედველობა და არც მხატვრული გემოვნება არ უბიძგებდეს სათარგმნი მასალის შერჩევისას, მაგრამ სხვა სახის საჭიროება აიძულებს მას თარგმნოს ან გადმოაკეთოს. როდესაც ზ. ანტონოვის მიერ გადმოკეთებული პიესების შესახებ ვმსჯელობთ, გამორიცხული არაა ეს უკანასკნელი შესაძლებლობა. როგორც აღვნიშნეთ, ზ. ანტონოვმა თხუთმეტი პიესა შესძინა თეატრის რეპერტუარს და მათი უმეტესობა გადმოკეთებას წარმოადგენს.

რა აიძულებდა ზ. ანტონოვს ასე გულმოდგინედ მოეკიდა ხელი პიესების გადმოკეთებისათვის? პირველ ყოვლისა, თეატრის არსებობის ინტერესები. მაყურებელი რომ მიეზიდა, თეატრს მეტი ახალ-ახალი დადგმა უნდა განეხორციელებინა, თუნდაც ეს ხარისხის ხარჯზე ყოფილიყო. ორიგინალური პიესებით გაწვდომა მარტო გ. ერისთავსა და ზ. ანტონოვს არ შეეძლოთ, ამიტომ ხელს კიდებდნენ თარგმნა-გადმოკეთებას. მაგრამ უნდა ითქვას მათ და, კერძოდ, ზ. ანტონოვის სასახელოდ, რომ ისინი ერიდებოდნენ ისეთი პიესების თარგმნას, რომლებიც რაიმე მხრით მაინც არ უდგებოდა მშობლიური კუთხის ცხოვრებას. მაგრამ ამ თარგმანებს არ შეიძლება მთელი სიმძიმით დაემყაროს ლიტერატურის ისტორიკოსი; ბევრი მათგანი შემთხვევით ითარგმნა და ვერც თავის დროზე დამკვიდრდა ქართული თეატრის რეპერტუარში.

2

ზ. ანტონოვი თავის დრამატურგიულ თხზულებებს ქმნიდა მე-19 საუკუნის 50-იან წლებში. ეს ის პერიოდია, როცა ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მეტად დიდი გარდატეხა ხდებოდა.

ზ. ანტონოვს, როგორც რეალისტს, რომელიც თანამედროვე ცხოვრების სინამდვილიდან იღებდა მასალას, არ შეეძლო განსაკუთრებული ინტერესით არ მოკიდებოდა ამ რთულ სოციალურ პროცესს და თავისი შეხედულება არ გამოეთქვა მის შესახებ. მის დრამატურგიულ თხზულებებში აისახა საზოგადოების ყველა სოციალური ფენის ცხოვრება და მდგომარეობა. პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ჩვენს მწერალს გამოვლენილი აქვს თავისი დამოკიდებულება თითოეული მათგანისადმი. და

რაც უფრო საყურადღებოა, ყველა იმდროინდელ მწერალთაგან მისი თვალი მეტი ინტერესითაა მიპყრობილი დაბალი ხალხისაკენ.

ზ. ანტონოვისათვის ცხადია, რომ პირველობისათვის მოდავე ორი წოდებიდან არც ერთი არაა სამართლიანი და ჭმშრომელი. ორივე მათგანი ხალხის ნაოფლარით ცხოვრობს, ორივე დაბალ წოდებას უწევს ექსპლოატაციას. მწერლის თანაგრძნობა ხალხისა და ხალხის ინტერესების დამცველთა მხარეზეა. დაბალ ხალხში ხედავს იგი კეთილშობილ გრძნობებს და ჯანსაღ აზრს.

თავადაზნაურთა წარმომადგენლები ზ. ანტონოვს გამოყვანილი ყავს სამივე კომედიაში („მზის დაბნელება საქართველოში", „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა", „მე მინდა კნეინა გავხდე") და ვოდევილში „ქმარი ხუთი ცოლისა". მათ ვერ ვხედავთ მხოლოდ საყოფაცხოვრებო დრამაში „ქორწილი ხევსურთა" და გადმოკეთებულ ვოდევილში „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!"

რას წარმოადგენს მაღალი წოდება ზ. ანტონოვის დრამატურგიის მიხედვით?

ზ. ანტონოვი არ გვიხატავს თავადაზნაურთა კოლორიტულ სახეებს. მათ შესახებ ჩვენ გვექმნება ზოგადი შეხედულება მათთვის არცთუ ჭარბად დათმობილი დიალოგების საშუალებით, თანაც ნაკლებად ვხედავთ მოქმედებაში. ამ მხრივ იგი უფრო ფერმკრთალ სახეებს გვაძლევს, ვინემ გ. ერისთავი.

ზ. ანტონოვს თავადაზნაურთა ძველი თაობა მიაჩნია ერთგვარ გადანაშთად, რომელსაც დაკარგული აქვს საზოგადოებაში აქტიური მოქმედების უნარი. ამ თაობას არაფერი ესმის ახალი ცხოვრების, რის გამო მისი მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. ვერ ერკვევა რა შექმნილი მდგომარეობის კონკრეტულ მიზეზებში, ის ხელაღებით უარყოფს ახალს, სძულს იგი და თავის გასამართლებლად თუ სანუგეშოდ ძველი ცხოვრების ქება-დიდებას მიმართავს.

ძველი თაობის წარმომადგენლები მტკივნეულად განიცდიან იმას, რომ წინაპრები უკეთ ცხოვრობდნენ, შემოსავალიც დიდი ჰქონდათ და კარგი პატივითაც სარგებლობდნენ. გრძნობენ, რომ ახლა მოაკლდნენ ამ უზრუნველ ცხოვრებას, დროება შეიცვალა, „ახალი მოდის" ხალხი და ახალი ინტერესი გაჩნდა, მაგრამ ღრმად ვერ წვდებიან დიდი მნიშვნელობის სოციალურ ძვრებს; უფრო მეტად ახალ წესებსა და ჩვეულებებს უჩივიან, არ მოსწონთ დანაჩანგლის „გაბატონება" სუფრაზე, სადილობის ახლებური ეტიკეტი, ახალი სასმელ-საჭმელი, ახალგაზრდობის თავისუფალი

მოქმედება და სხვა. მაგრამ მათთვის გაუგებარია, რატომ ხდება ეს ცვლილებები ცხოვრებაში. გაუგებარია იმიტომ, რომ არ ესმით ახალი კლასის — ბურჟუაზიის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის მიზეზი და მნიშვნელობა. ფულის სასესხებლად ყოველდღე ვაჭარ-მევახშეებთან დაიარებიან, ხვეწნა-მუდარით სესხს იღებენ, „პრიკაზ-ში“ მამულს აგირავებენ და დანა-ჩანგლისა და ბანქოს თამაშის გავრცელებას კი უჩივიან. ამაზე უფრო შორს ვერ იხედებიან.

ზ. ანტონოვის აზრით, ძველი ცხოვრების მოტრფიალე და ახალი სინამდვილის ხელაღებით უარმყოფელი თავადაზნაურობა ცხოვრების ზედმეტი ბარგია. მისი არსებობის დღეები დათვლილია და, თუ დღესდღეობით კიდევ არსებობს, მნიშვნელოვანი როლის შესრულება მაინც აღარ შეუძლია. იგი დამგვანებია მარტის სუსხიან დღეებს, რაც ზამთრის მოგონებას აცოცხლებს და ამით კიდევ უფრო აშკარას ხდის გაზაფხულის უპირატესობას.

აღადგინეთ თქვენს წარმოდგენაში თბილისის მოურავი — თავადი იოთამ გუჯარაძე, თავადები: დავით ვახუშტაძე და გრიგოლ ქებულაშვილი („ქმარი ხუთი ცოლისა“), თავადი ინდო შერმანაძე, აზნაური ზაალ პინტრიშიძე („მზის დაბნელება საქართველოში“), თავადი გოგია გაუყრელაძე („ტიეით მოგზაურობა ლიტერატორ-თა“) და ადვილად დარწმუნდებით ნათქვამის სიმართლეში.

სხვადასხვა დროს უხდებათ ცხოვრება მაღალი წოდების ამ წარმომადგენლებს. სხვა ეპოქა იყო, როცა ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ თავადები: იოთამ გუჯარაძე, დავით ვახუშტაძე და გრიგოლ ქებულაშვილი, ხოლო სხვაა ის დრო, რომელიც ინდო შერმანაძეს, ზაალ პინტრიშიძეს და გოგია გაუყრელაძეს მოესწრო.

ძველი, ფეოდალური საქართველოს ღვიძლი შვილები: იოთამ გუჯარაძე, დავით ვახუშტაძე და გრიგოლ ქებულაშვილი ბედნიე-რად გრძნობენ თავს. იოთამი თბილისის მოურავია, ხოლო და-ვითსა და გრიგოლს სამეფო კარის მდივნისა და მსაჯულის თანა-მდებობა უპირავთ. ცხადია, მათ არ უმძიმთ ცხოვრება და არც პატივსა და დიდებას არიან მოკლებულნი.

ის იყო იოთამმა იკითხა: „გუშინ იჯარებიდან არა შემოსულა რაო?“ და მამასახლისმაც სასიხარულო ვერაფერი უთხრა, რომ გზირმა თავმდაბლად მოახსენა: „დემეტრე გოგილაშვილმა ერთი ფურ-კამეჩი დაკლა და სამოურაო წესი მოგართვათ — ბეჭი, შინ მი-ვეცი ბიჭებს მოსახარშავათა“. მოურავმაც „პატივი დასდო“ და დასძინა: „ააშენა ღმერთმა“.

არ გასულა ერთი წუთი და მსახურმა ნინიკამ მოურავს (იოთ-ამს) მოახსენა: „მოურთმევია შენი ჭიიმე გარეჯვრელს ბასილა-

შვილს ბერუასა ერთი დოქი ღვინო, ერთი ნასუქი ინდოური, ცხრა გარეჯული შოთი და ცხრა კვერცხი". მოურავმა თავისი ჩვეული მოწყალება გაიღო: „ააშენა ღმერთმაო" დასძინა და მისივე ღვინის ჭაშნიკი შეასვა ბერუას. გადის ბერუა და ნინიკა კვლავ მოახსენებს მოურავს: „მოურთმევია შენი ჰიიმე მამულიშვილს იორდანეს ერთი კარგი დედალი, ერთი ბურვაკი, ცხრა ნაზუქი და ერთი დოქი ღვინო". იორდანესაც ბერუასებრ „დააწყალობებს" იოთამი, და ასე უზრუნველად მიჰყავს თავისი ცხოვრება. არც ფული აკლია იოთამს. მამასახლისი თუ გზირი რასაც წაგლეჯს ხალხს, დიდი ნაწილი მისია.

პატივსა და დიდებასაც არაა მოკლებული იოთამი. მას მეფესთან აქვს საქმე და მეფეც შესაფერისად იხსენიებს ხოლმე: „ჩვენო ერთგულო ტფილისის მოურავო იოთამ".

მართალია, მეტად ეპიზოდურია დავით ვახუშტაძისა და გრიგოლ ქებულაშვილის სახეები, მაგრამ მათი თანამდებობა და უფლებები (სამეფო კარის მდივანი და მსაჯული) საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, თუ რა სევებედნიერნი არიან.

სხვა ვითარებაა უკვე მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, როცა ცხოვრება უხდებათ თავად ინდო შერმანაძეს, აზნაურ ზაალ პინტრიშიძეს („მზის დაბნელება საქართველოში") და თავად გოგია გაუყრელაძეს („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა"). მათ აღარავინ ეკითხება ქვეყნის მართვა-გამგეობას, ეკონომიურად დაცემულან და ვეღარც ცხოვრების ახალ წესებში ერკვევიან. ამიტომაცაა, რომ წყევლიან ახალ დროს და ქებით იგონებენ ძველს.

თავადი თუ აზნაური ვაჭრის მოვალე გამხდარა. უფრო მეტიც, ისე ხშირად იღებენ სესხს და ისე უმძიმთ ხოლმე გადახდა, რომ ნდობაც დაკარგული აქვთ. მათი გონებრივი „ხედვა" ხომ პირდაპირ ხასაცილოა. თითოეული მათგანის მსჯელობა სმა-ჭამას ან ბრიყვულ ცოუმორწმუნეობას არ სცილდება.

1851 წელია. გაზეთმა საზოგადოებას ამცნო მზის დაბნელება. გაუნათლებელ და უცოდინარ ხალხში ათასგვარი ჭორი გავრცელდა. გულუბრყვილოდ და ფანტასტურად ეჩვენებათ მზის დაბნელება, პანიკაა გამეფებული. დიდი მიმოსვლაა ძველი ვაჭრის გეურქ კარაპეტოვის სახლშიც („მზის დაბნელება საქართველოში").

გეურქ კარაპეტოვის სახლი პირველად შეშფოთებულმა თავადმა ინდო შერმანაძემ შეაღო. ინდო მისვლის უმალვე შესჩივლებს გეურქას „...ეს რაღაც ეშმაკი მზის დაბნელება მოიგონეს, ასეთი არიან შინა, ლამის ჯავრით დაწყდნენო". ინდოს დიდი იმედი აღარ აქვს, შეგუებია კიდეეაც მოსალოდნელ უბედურებას:—„რალა უნდა ექნათ, ძმავ, ტყუილიღაა, —ეუბნება იგი გეურქას, —რაც მოგვივა, მო-

გვიყვა, უნდა თადარიგს შეუდგეთ. მე ეხლა შენთან იმისთვის ჩამოველ. ვაი თუ მართლა გამიწყრეს ღმერთი და, როგორც ამბობენ, ხალხი უნდა დაიხოცნონო, მეც მამიკვდეს ვინმე, ფულებს მინდა დაგესესხო, ერთი ათიოდე თუმანსა, რომ ბზათა მქონდეს სამარხათაო".

გეურქა უარს ეუბნება ინდოს, „თავადები ნასესხი ფულები აღარ იძლევით", „უკაცრავად კი ნუ ვიქნები, კნიაზჯან, და თქვენ წორეთ ფულის გლებმა ხართო". გეურქას მწარე გამოცდილება აღაპარაკებს. „გურგენ კნიაზს" ორი წლის წინ აღებული ვალიც არ გაუსტუმრებია და აღარც იმედი აქვს „გამოსტაცოს მგელს ბატკანი".

შეწუხებული ინდო ეხვეწება გეურქას: „მე იმაზე ნუ გამცელი, მამაჩემი ნუ წამიწყდება, ისეთ პურს მოგცემ, რო სწორეთ დარჩეული იყოს, მერე შენის ჩანახით აგიწყამ და ჩემის ურმით ჩამოგიტანო". ასეთ პირობაზე ვაჭარი ბოლოს დათანხმდა.

ინდოსთან საუბარი არც კი დაემთავრებინა გეურქას, რომ აზნაური ზაალ პინტრიშიძე მიადგა კარს. ზაალი თავის გაჭირვებას უხსნის გეურქას: „ე რაღაც მზის დაბნელებას ანბობენ, ლამის შიშით დაწყდნენ შინაურები, დღეს გამამაგდეს, წადი გეურქას ერთი ხუთიოდ თუმანი დაესესხე, ვინ იცის რა შემთხვევა მოგვეცესო. თუ ღმერთი გრწამს, გეურქ, ხელი გამიმართეო". მოხერხებული გეურქა მასაც „ენდობა ბარათით".

აღნიშნული სცენით, ავტორი დამაჯერებლად გვაგრძნობინებს თავადაზნაურობის ეკონომიკურ დაქვეითებას და ვაჭართა უპირატესობას ამ მხრივ. თავად ინდო შერმანაძისა და აზნაურ ზაალ პინტრიშიძის დიალოგი გეურქ კარაპეტოვის ბინაში, მაღალი წოდების გონებრივი გამოფიტვისა და მატერიალური შევიწროების მაჩვენებელია. ისინი ერთმანეთს აჭარბებენ მზის დაბნელებასთან დაკავშირებით „მოსალოდნელ უბედურების" აღწერაში. მათ სჯერათ, რომ მზის დაბნელებისას ფრინველები „ჩამოვლენ ქვეყანაზედა, დაერევიან ადამიანებს და ნისკარტითა და კლანჭითა თავპირს დააფხრეწენ", „შავი ზღვა ფრთონას დაიწყებს, გადმოვარდება და კასპიის ზღვას შეუერთდება და გზაზედ რაც ქალაქი და სოფლები დახვდება, სულ თან წაიღებს", „გაჩნდება ანტე ქრისტე თავის ჯარითა შავი ზღვის პირს და ურიების გარდა ყველა ხალხს დახოცს" და სხვ. არ იციან, რით უშველონ თავს. ინდო თითქოს „მონახა" გამოსავალი: „ჩავიდეთ ცოლშვილით სარდაფებში და სანამ მზის დაბნელება გადიელიდეს, დაუწყოთ ღვინოს სმა, რომ არ შეგვეშინდესო". ზაალს მოსწონს ეს „ბრძნული" რჩევა, მაგრამ აშინებს განაგონი: „მზე რო დაბნელდება, საშინელი მიწის ძვრა იქნება, ასეთი რომ იალბუზი და თრიალეთი ერთმანეთს ეცემიანო. იმ ძვრაში სახლები რომ თავს დაგვექცეს, ხომ დავიხოცებითო".

ცრუმორწმუნე თავადი და აზნაური ისე ჩამორჩენილნი არიან, რომ არც კი სჯერათ, როცა მათ მზის დაბნელების ნამდვილ მიზეზს უხსნის პორუჩიკი გრიგოლ ჩუმაკოვი. გრიგოლი უმტკიცებს, რომ „დარიგება არის გამოცემული“[1] და მასში ყველაფერი წერიაო, მაგრამ მათ წიგნის არაფერი სჯერათ; მზის დაბნელებას ისინი „უბედური და ცუდი დროს“ დადგომით ხსნიან.

რატომ არის უბედური და ცუდი ის დრო, რომელსაც ისინი მოხუცებულებაში შესწრებიან? აღარა აქვთ უანგარიშო დოვლათი, უპირთ სტუმარს „კუჭი გაუძღონ“, ყველგან მომჭირნეობა და ეკონომია გაბატონებულა, თანაც სმა-ჭამის თავისებური წესები შემოუღიათ. არ მოსწონს ინდოს, რომ ჯერ ცარიელ სუფრასთან დასვამენ ხოლმე და შემდეგ საინებსა და დანა-ჩანგალს მიუტანენ: „ახლა, ბატონო, ელი პურსა, მოგიტანებენ და თითო ნათალს დაგიწყობენ წორეთ თითის სითხეთა, ერთ ლუკმათ ჩაიდებ და კიდეც გათავდება“; არც „მამლის ყანწის ტოლა ტაქნები“ და ერთი თასიდან საჭამანდის გადაღება მოწონს. იგი სიამოვნებით იგონებს იმ დროს, როცა დანა-ჩანგლით არ იწყობოდა სუფრა, მაგრამ პური უხვად მოდიოდა, „ხორაგი აუარებელი და ხორცი, რისაც უნდა ყოფილიყო, სულ მთელ-მთელი; ღვინის სმას ნუღარ ბრძანებ, დაგვადგებოდა თავს მერიქიფე და ჯიხვებით სწორეთ წვიმასავით გვაყრიდა; ისე ვისხედით ხოლმე და კიდევ სუფრიდან რომ ავდგებოდით, ჩვენი ნასუფრალით ათი კაცი კიდევ გაძღებოდა“, ახლა კი, ინდოს თქმით, „ნასუფრალით ერთი კაციც ვერ გაძღება“.

ასეთივე აზრისაა აზნაური ზაალ პინტრიშიძეც. მას მეტად მწარე გამოცდილება აქვს სუფრის ახალი წესების გამო. სხვისი წაბაძვით, მასაც ჩანგლით დაუწყია ჭამა, ჩანგალი ტუჩში გაუყრია და „ნახევარი თუნგი“ სისხლი დაუღვრია. ვერც ჭამა მოუსწრია, ისე ხშირად შეუცვლიათ თეფშები მოსამსახურე ბიჭებს.

ზაალის შეხედულებით, დღევანდელ ახალგაზრდობას ღვინის უსმელობისაგან ჭლექი ეყრებათ და უდროოდ იხოცებიან. „ისინი ჩვენ დაგვცინიან,—ამბობს ზაალი,—ვითომც ბევრ ღვინოს სმენო, ახლა ჩვენი ფერიცა ნახონ და იმათიცა: ჩვენ რომ ღვინოსა ვსვამთ და გამოვდივართ გარეთა წითლად ღაჟღაჟი გაგვაქვს, ისინი რომ ჩაის სმენ, მუცელში ჭაობი უკეთდებათ და იქიდგან სიყვითლე

[1] ზ. ანტონოვს მსედველობაში უნდა ჰქონდეს გ. ნ. ხოდძკოს წიგნი: „მზის დაბნელებისათვის, რომელიცა იქმნების წელსა 1851 (ჩყნა-სა)“. აღნიშნული წიგნი, რომელიც დაიბეჭდა 1851 წელს, წარმოადგენს ავტორის მიერ წაკითხულ მოხსენებას გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში, 1851 წლის 3 აპრილს.

შეზდით, მერე შეუათ სიკლექე, იავადებენ და ისევ უცოლშვილონი ოცდახუთის წლის კაცნი კვდებიან. აბა იმათ ჩვენსავით ღვინო დალიონ, თუ ბევრი არ იცოცხლონ".

ინდო და ზაალი დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის ძველი თაობის ტიპიური წარმომადგენლებია. ისინი ცხოვრების სინამდვილიდან ამოღებული სახეებია და არა პოეტის ფანტაზიის ნაყოფი. მათ ადვილად იცნობს გასული საუკუნის 50-იანი წლების საქართველოს სოციალური ცხოვრების მცოდნე. მათ გენეალოგიურ შტოს შემდეგში ლუარსაბ თათქარიძე (ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!") ამშვენებს. დიახ, ინდოსა და ზაალის „გონებრივი მოწიფულობა" და სულიერი იდეალები მემკვიდრეობით აქვს მიღებული ლუარსაბ თათქარიძეს, და ყოველივე ეს მასში უფრო აშკარად და გამოკვეთილად ჩანს შეუდარებლად დიდი შემოქმედისა და უფრო ტიპიური გარემოს წყალობით.

ინდოსა და ზაალის ორეულია გოგია გაუყრელაძეც („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა"). მართალია, გოგიას ცხოვრება არ უჭირს, სასმელ-საჭმელი არ აკლია, მაგრამ ეს მიეწერება არა მის უნარსა და ალღოს, არამედ იმ ბედნიერ შემთხვევას, რომ მის ძმისწულს გოროდნიჩობა უშოვნია. მიუხედავად ამისა, გოგია უკმაყოფილოა ახალი ცხოვრებით. მას არ მოსწონს, რომ სადილ-ვახშმის ჭამა გარკვეულ საათებშია „დაკანონებული", „როცა მომშივა, სადილი მაშინ მინდაო"; ვერ ეგუება ჩაის სმას,—„თბილს წყალს მღცელს არ ვაჭუჭყუნებიებო", ღვინო მიაჩნია სულისა და ხორცის მარგებლად, უკურნებელი სენის წამლად და ლოცავს „მუხამბაზ ლათაიურის" ავტორს. უკმაყოფილოა ახალგაზრდობით, რომლებიც მეტწილად ქალალდის თამაშს მისდევენ, მარხვას ჰამენ და ქალებთან დროს ატარებენ. ახალ მოდაზე ჩაცმა და ჩაცმის სიყვარული ერთ-ერთ მთავარ უბედურებად მიაჩნია მას ახალ დროში. ყველგან და ყოველთვის ძველ დროს აქებს: „ჰეი გიდი დროვ! დროვ! ძველო ჩვენო დროვ!"... გაიძახის გოგია. მაგრამ ეს ძველის მოტრფიალე თავადი იმდენად გაუნათლებელი და ჩამორჩენილია, რომ არ ესმის, რას ნიშნავს ლიტერატორი, არ ესმის, რა მნიშვნელობა აქვს ისტორიულ ძეგლთა შესწავლას და სხვა. მას სასაცილოდაც არ ყოფნის მოქმედება იმ ადამიანებისა, რომლებიც ისტორიული ხასიათის მასალებს აგროვებენ.

გოგია გაუყრელაძე გრძნობს, რომ ძველსა და ახალ დროს შორის საგრძნობი განსხვავებაა, მაგრამ მას არ ესმის მოვლენის არსი. ცხოვრებაში მომხდარ დიდ ცვლილებებს იგი ქალალდის თამაშში, ჩაის სმაში და სუფრის ახლებურ ეტიკეტში ხედავს მხოლოდ.

თუ კომედიაში „მზის დაბნელება საქართველოში“ ავტორმა თავადაზნაურთა ჩამორჩენილობა ინდოსა და ზაალის დიალოგებით წარმოგვიდგინა, გოგია გაუყრელაძის სახით („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“) ყოველივე ეს მოქმედებაში გვიჩვენა. მოიგონეთ თუნდაც სცენა საუზმობისა, როცა გოგია ჩანგლით ტუჩს გაიხეხს, ანდა როცა იგი ქალაქ გორის დახატვით გატაცებულ ლიტერატორს სთხოვს: „მამაშენი ნუ წაგიწყდება, ჩემი შვილის-შვილის სათამაშოთ ემაზედ (ქაღალდს აწვდის.—დ. გ.) პატარა დათვის ბელი დამიხატე“-ო.

გოგიას არ უნდა აყვეს ახალ წესებს, მაგრამ ისიც ადარდებს, რომ დასცინონ და თქვან „სტარიკ დურაკო“. ეს მწარე განცდა აიძულებს მას ჩანგლით ჭამოს, რაც კიდევ უფრო სასაცილო მდგომარეობაში აყენებს. ამ მცირე დეტალებით ავტორი მნიშვნელოვანი მოვლენების ჩვენებას ახერხებს. აშკარას ხდის, რომ ერთი წოდების ორი თაობა უკვე ერთმანეთს საგრძნობლად დასცილდა; მაღალ წოდებაშივე გარკვეული სხვადასხვაობაა.

თავადაზნაურთა ძველი თაობის წარმომადგენელია აგრეთვე თავადი დავით სერაშიძე („მე მინდა კნეინა გავხდე“) და აზნაური სვიმონ გვერდელაძე („ქმარი ხუთი ცოლისა“).

დავით სერაშიძე—„ღარიბი და ქვრივი თავადია“, „თვალათ, ტანათ ძალიან კარგია, მაგრამ ჯიბესთან ცოტა მწყრალია“. მამულები „პრიკაზში“ აქვს დაგირავებული, თან მდიდარი ვაჭრის—მინას შაჰყულოვის ვალი მართებს. დავითის მძიმე მდგომარეობა მინასას უფრო აწუხებს, ვინემ თვით დავითს; არ იცის რა გზით დაიბრუნოს დავითისაგან თავისი ექვსასი თუმანი, ვინაიდან ყმა და მამული სულ „პრიკაზს“ წაურთმევია მისთვის. მინასა გადაწყვეტს შერთოს დავითს თავისი მდიდარი მეზობელი, ღრმად მოხუცებული ქვრივი ბარბარე თულუხჩოვისა. ამით მას სამაჭანკლოც სურს მიიღოს და გავალებული ექვსასი თუმანიც. დავითი სასტიკ უარზეა, მას აღელვებს კიდეც მინასას ასეთი მოულოდნელი წინადადება, მაგრამ ანგარიშიანობით დასაბუთებელი რჩევაც თანდათან ჰკუაში მოსდის: „ღვთის წინაშე, ერთი კი კარგად მირჩევს, მაგრამ როგორ შევირთო, დაბალი კაცის ნაცოლარია. ეჰ! ჯანი გავარდეს თუ არის, ჭორწინებით ხო ჩემს ხარისხს არ დაამდაბლებს. შევირთავ, არაუშავს რა, დოვლათი დიდი აქვს, იმისის ფულებით პრიკაზიდან ყმა და მამულს გამოვიხსნი და მერე რაღა მიჭირს, კარგათ ვიცხოვრებ“,—ამბობს დავით სერაშიძე და ამით სრულად ხატავს საკუთარ თავს. მისი სახით ჩვენ უკვე ვხედავთ ეკონომიკურ სახსარს მოკლებულ მაღალი წოდების წარმომადგენელს,

რომელსაც ყველაფერი ვალებში მიუცია, კვლავ ვალი აქვს და მის გადასახდელად სხვა საშუალება ვერაფერი გამოუნახავს, თუ არა ის, რომ „პახოდში“ წასვლაზე და „პენციის“ შოვნაზე იოცნებოს.

დავითი გრძნობს, რომ მინასას წინადადება არაა მისი ღირსების საკადრისი, მას და საპატარძლოსაც ქორწინების შესაფერი ასაკი დიდი ხანია გაუვლიათ. მაგრამ სხვა გზა არა აქვს. მას მხოლოდ „ხარისხი“ შერჩენია, ქონება კი ხელიდან გაცლია. „ეჰ! რა ვქნა, ძმაო,—მიმართავს იგი ილიკო გურგენიძეს,—სიღარიბე ძნელია, ვალები დამატყდა, თორემ რაღა დროს ჩემი ცოლია, მერე იმისთანა ბებერი“.

დავითი არაა ბოროტი და გულქვა ადამიანი, მაგრამ ახალი ცხოვრების მარწუხებს გამოუჭერია, ვერ გამოუძებნია შესაფერი გზა არსებობისათვის. მას კი არ მიყავს თავისი ცხოვრება, არამედ თვით ცხოვრებას დაყავს თავის ნებაზე.

განსაკუთრებული არაფერი შეიძლება ითქვას აზნაურ სვიმონ გვერდელაძეზე, რომელიც არაა ზ. ანტონოვის მიერ შექმნილი სახე. იგი არის მთავარი გმირი გადმოკეთებული ვოდევილისა „ქმარი ხუთი ცოლისა“. მართალია, აღნიშნული ვოდევილის პირველი მოქმედება ორიგინალურია, მაგრამ სიმონის სახე სწორედ მეორე მოქმედებაში ყალიბდება. მისი სახე ზ. ანტონოვს, ძირითადად, მზამზარეულად აქვს მიღებული. ამასთანავე, იგი სხვა არაფერია, თუ არა გაიძვერობაში უფრო დახელოვნებული ლომინ გოდაბრელიძე (გ. ერისთავის „დავა“).

სვიმონ გვერდელაძე ზნეობრივად გადაგვარებული, ქარაფშუტა აზნაურია. თავის მთავარ საქმედ მას ქალების მოტყუება და მათი ცოლებად შერთვა გაუხდია; დაიარება სხვადასხვა კუთხეში და ყველგან ქორწინდება. იგი იმდენადაა გადაგვარებული, რომ ვერც კი გრძნობს, რა დანაშაულია ოთხი ცოლის შერთვა და კვლავ მეხუთე ცოლის შერთვაზე ოცნებობს (რასაც შეასრულებს კიდეც); დარწმუნებულია, რომ, თუ სწორად გაასამართლებენ, დანაშაული არაფერი ექნება.

სვიმონ—ეგ რა დანაშაულია, შენი ჭკიმე, ქრისტიანს კაცს სამი ცოლის შერთვის ნება ხომ აქვს?

მოურავი—ეგ როცა ერთი მოუკვდება, მეორეს შეირთავს, მეორე მოუკვდება—მესამეს, და შენ სულ ერთათ შეგირთავს.

სვიმონ—ბატონო, ვის რა ენაღვლება, რომ ჩემი ნება მოცემული ცოლები ერთათ შევირთო, ვითომ დამხოცია და თითო თითო შემირთავს. (პუბლიკას) ამისთანა იქნება რამე, რომ ასე უსამართლოთა მტანჯავენ!

მოურავი—ეგ ვსთქვათ აგრე იყოს, მეოთხე ცოლი რაღაა?

სვიმონ — (აჩვენებს თამარაზედ) ესა?
მოურავი — ჰო, სწორეთ ეგა!
სვიმონ — ამის ცოლობას ძალა როდი აქვს. ოსურათა მყავს ურატით შერთული.

ასეთია სვიმონ გვერდელაძის „სიბრძნე“, რაც მას ლომინ გოდაბრელიძის (გ. ერისთავის „დავა“) სისხლით ნათესავად ხდის.

უაღრესად ეპიზოდური სახეა აზნაური ესტატე ბურტყლაძე („ქმარი ხუთი ცოლისა“), რომელიც არავითარ როლს არ თამაშობს პიესის მსვლელობაში (მიუხედავად იმისა, რომ მისი „დამსახურებაა“ სვიმონის დაუსჯელად გადარჩენა).

ამგვარად, თავადაზნაურთა ძველი თაობა ეკონომიკურად შევიწროებული, გონებრივად გამოფიტული და ცხოვრების ალღოს მოკლებულია. მას არ გააჩნია არსებობის პერსპექტივა, ვინაიდან არ აქვს შექმნილი მდგომარეობის გაგების უნარი.

როგორიღაა ახალი თაობა?

თავადაზნაურთა ახალი თაობის წარმომადგენლებად ზ. ანტონოვის დრამატურგიაში გვეელინებიან მხოლოდ გაუყრელაძე — გოროდნიჩი, ტასია („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“) და ილიკო გურგენიძე („მე მინდა კნეინა გავხდე“).

ტასია მეორეხარისხოვანი პერსონაჟია კომედიაში. იგი ავტორს ჰირდება მხოლოდ ფონის შესაქმნელად, რათა უფრო რელიეფურად გვიჩვენოს ლიტერატორთა (ღრებაკოვი, იასამანიძე) სახეები. მას მეტად სიტყვამცირე დიალოგი აქვს. მიუხედავად ამისა, მკითხველის თუ მაყურებლის შთაბეჭდილებაში მაინც რჩება როგორც ლამაზი, დარბაისელი და თავდაჭერილი ქალი. მაგრამ მას ვერ ვხედავთ მოქმედების ფართო ასპარეზზე, იდეურ ცხოვრებასთან მიმართებაში, რის გამო მხოლოდ ეპიზოდურ სახედ გვევლინება.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას გოროდნიჩის (გაუყრელაძის) შესახებ. გოროდნიჩის სახე და ხასიათი არაა ნაჩვენები მოქმედებაში, მაგრამ მასზე თუ უფრო სრული წარმოდგენა მაინც გვექმნება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვეცნობით მის გარშემო შექმნილ სიტუაციას. გოროდნიჩი ჩვენთვის ნაცნობი ხდება ბიძისა (გოგიას) და სტუმარ-ლიტერატორების წყალობით.

გოროდნიჩი არ ჰგავს თავის ბიძას. მან არა მარტო ის იცის, რომ ძველი დრო „სხვა იყო და ეს დრო სხვა არის“, არამედ ცხოვრებისათვის საიმედო გზაც გამოუნახავს. ის არ მისტირის ძველს, კარგად გრძნობს თავს ახალ დროში და იცის როგორც უნდა იცხოვროს. ცხოვრების ახალ მოთხოვნებს იგი ბრმად არ შეხვედრია, არ დაბნეულა; მოხელის შემოსავლიან თანამდებობაზე

ბედნიერად გრძნობს თავს. მას სათანადო განათლება აქვს და კომიკურ მდგომარეობაშიც არასოდეს ვარდება. იგი ეკუთვნის თავადაზნაურთა ახალგაზრდობის იმ ჯგუფს, რომელიც ცხოვრების ბურჟუაზიულ განვითარებას პრაქტიკული თვალით უცქერის, ეგუება მას და თავს აღწევს „რომანტიზმს“. ის უხერხულად გრძნობს თავს არა ახალი ეპოქის საზოგადოებაში, არამედ თავისი წოდების უფროს წარმომადგენელთა შორის.

ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის თავისებური სახით გამოიყურება თავადი ილიკო გურგენიძე. იგი გვეელინება შედარებით განათლებულ პიროვნებად, რომლისთვისაც ახალ ცხოვრებას თავისი ძუძუ უწოვებია. გრძნობს ახალი ცხოვრების უპირატესობას და ეტყობა, რომ უნარიც აქვს შეეგუოს და კვალდაკვალ გაყვეს მას. მაგრამ ჯერჯერობით მაინც ხელმოკლეა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეპოლეტების მეტი არა გააჩნია რა. სიღარიბის მიუხედავად, იგი ოჯახის შექმნას სხვაგვარად უყურებს, ვიდემ ეს სინამდვილეში ივანე დიდებულიძემ გააკეთა (გ. ერისთავის „გაყრა“), ანდა დავით სერაშიძეს სურს გააკეთოს („მე მინდა კნეინა გავხდე“). მას მთელი გულით უყვარს კეკელა და მზად არის პირდაპირ შეებრძოლოს ყველა მათ, ვინც სიყვარულის გზაზე გადაეღობება. მას სწამს, რომ „ცოლქმრობა ერთმანეთის სურვილით და თანხმობით“ უნდა იყოს და არა სხვა გზით. ანგარიშიანიც არის, ბეჯითად იბრძვის კეკელას კუთვნილი ქონების მისაღებად.

თავადაზნაურთა ახალი თაობის წარმომადგენლები მაინც მეტად მკრთალი ფერებით არიან დახატულნი. მართალია, მათი სახით ავტორი არ ქმნის კომიკურ პერსონაჟებს, მაგრამ მემკვიდრეობითი სისუსტე, უხერხემლობა აშკარად ატყვიათ. ვერ ვიტყვით, რომ ავტორი მათ მთელი სიმპათიურობით უცქერდეს. ეს გარემოება შეინიშნება არა მხოლოდ დასახელებულ პერსონაჟთა მოქმედების წყალობით, არამედ იმ საერთო დახასიათებიდანაც, რომელსაც ახალი თაობის შესახებ ვისმენთ კომედიებში.

ახალი თაობა, ძველთან შედარებით, უფრო განათლებულია, თითქოს უფრო პრაქტიკულიც, მაგრამ მაინც ბევრი აკლიათ იმისათვის, რომ ახალი ცხოვრების სათავეში მოექცნენ.

ძველი თაობისაგან განსხვავებით, ახალი თაობა აღარ მისდევს თავდავიწყებულ ქეიფს, ლოთობას და უანგარიშო პურ-მარილს, ჩაის უფრო ხშირად მიირთმევენ, ვინემ ღვინოს, მაგრამ დროის ფლანგვაში ძველებს მაინც არ ჩამორჩებიან. ღამეებს ატარებენ ბანქოს თამაშსა და ბალებში. როგორც გოგია („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“) ამბობს, გათენებამდე „ბანქოების შლას უნდებიან,

მერე... გუთნისდედის სადილობამდინა ძინავთ". სიმართლეს არაა მოკლებული არც ინდოსა და ზაალის მიერ („მზის დაბნელება საქართველოში") ახალი თაობის დახასიათება. ბევრი მათგანი მხოლოდ გარეგნულად ცდილობს ახალ ცხოვრებასთან შეგუებასა და დაახლოებას: „ქაჯებივით სხვა ენაზედ ლაპარაკობენ", „საცმელიც... ეშმაკური შემოიღეს, სწორეთ გუდასავით ჰკიდიათ ტანზედა და სახესაც ხო იგრეხენ რაღაც ნაირათა, ზოგს ნიკაპზედ გამოუშვიათ პატარა წვერი თხასავით, ზოგს ყბებზედ გაბანჯგვლილი დათვივითა, ზოგს სადა და ზოგს სადა, და ამ თმაზედაც რაღასაც ჯანაბას იგლესენ..."

ახალგაზრდობით გულნატკენი ინდო უჩივის ახალ მოდებს: „ჩვენი თავადობა ლამის მაგ მოდნა-მუდნამ დაგვღუპოსო".

ძნელი არაა ამ ახალგაზრდებში ვიცნოთ „აპელაციის მცოდნე ჩანჩურას შვილები" (ა. წერეთელი—„აპელაციის მცოდნე"), რომლებიც შთამომავალნი არიან „კნიაზ ჩიქოვანის", „გიორგი რეღისტრატორის" და სხვების, რომელთაც თავის დროზე დავ. ბაგრატიონი გაუმასპინძლდა მახვილი სატირით.

ისიც იგრძნობა, რომ რამდენადაც ძველი თაობა კონსერვატორია ოჯახურ ცხოვრებაში, ახალი თაობა იმდენად ზომაზე თავისუფალია.

ამგვარად, ზ. ანტონოვი დადებით გმირს ვერ პოულობს თავადაზნაურთა ბანაკში და არც შეიძლებოდა ეპოვნა. მიუხედავად ამისა, მისი შეხედულებით, მაღალი წოდება ზნეობრივად გაცილებით მაღლა დგას, ვინემ მისი ძლიერი მეტოქე ცხოვრების სარბიელზე—სავაჭრო ბურჟუაზია. და ეს იმდენად აშკარაა, რომ თვით ვაჭართა წრის წარმომადგენლებიც გრძნობენ. ბარბარეს თვაალთმქცობით შეწუხებული კეკელა („მე მინდა კნეინა გავხდე") თავის საქმროს ეუბნება: „ილიკო, სწორეთ ისე სჯობია, დავითთან მოვილაპარაკოთ, თავადის შვილია, არ შეიძლება იმაში კეთილშობილება არ იპოვებოდეს". კეკელას შეხედულება მთელი სისრულით გაამართლა დავითმა, ხოლო შემდეგ ასეთივე კეთილშობილება გამოავლინა თვით ილიკომ.

აღნიშნულ საკითხს ჩვენ კვლავ შევეხებით, მაგრამ მანამ საჭიროა გამოვარკვიოთ ზ. ანტონოვის დამოკიდებულება სავაჭრო ბურჟუაზიასთან.

3

სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები ზ. ანტონოვს გამოყვანილი ჰყავს პიესებში: „მზის დაბნელება საქართველოში", „ქორ-

წილი ხევსურთა“, „მე მინდა კნეინა გავხდე“ და „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“

გეურქ კარაპეტოვი („მზის დაბნელება საქართველოში“) ძველი ვაჭარია. როგორც ფულის მქონე და მევახშე საკმაოდ ცნობილია, მაგრამ თავისი განათლებით ძალიან ჩამორჩება ახალ ცხოვრებას. ამიტომ, ავტორიც საგანგებოდ უწოდებს მას ძველ „ვაჭარს“. არც მაღალი წოდების და არც თავისი წრის ახალგაზრდობა აღარ მოსწონს გეურქას. ამისათვის მას „საბუთიც“ აქვს: „მისი ჭკუის ხალხს ძვირათ ნახამ“. არ მოსწონს ახალ წესზე შემზადებული საჭამანდი და სუფრის წესრიგი. „იმათი სტოლის საქმელებს ერთი მათლაფა ჩაბუქბუქებული ბოზბაში მირჩევნიანო“ — ამბობს გეურქა. განსაკუთრებით ჩაცმა-დახურვით გატაცება ამწარებს მას. ინდოსთან საუბარში გაკვირვებული ამბობს: „ეს რაღა ღვთის რისხოა, ერთი კაბა რო უყიდო შენი ცოლი და ერთხელ კამპანიაში ჩაიცოს, მეორეთ ის აღარ ჩაიცომს, ამბობს მოდნა აღარ არისო. რა გინდა ქნა, ახალი უნდა უყიდო, თორემ პური გაგიშხამებს“.

მას სასიძოდ არ მოსწონს თავის მდგმური — განათლებული პორუჩიკი გრიგოლ ჩეშმაკოვი, ვინაიდან იგი ჩინოვნიკია და „ისიც ვოენი“. სამხედრო პირები, გეურქას თქმით, ფულებს ბზესაით ჰფანტვენ, ყველგან შამპანურს ითხოვენ და, თუ დასჭირდათ, დუელსაც არ ერიდებიან. ასეთი ხასიათის ხალხი, რა თქმა უნდა, მომჭირნე და ძუნწ გეურქას არ შეიძლება მოეწონოს. ამიტომაც, იგი ვერაფრით დაითანხმა შუამავლად მისულმა მიკირტუმამ, რომელმაც გეურქას ვერ მოაწონა გრიგოლი ვერც ჩინით, ვერც ჯილდოებით და ვერც განათლებით. „მე, ჩინოვნიკი ქალი არ მივცემ, მინდა ჩემი ტოლი ვაჭარი მივცე“—ასეთია გეურქას გადაწყვეტილება.

გეურქას ვერავინ იტაცებს, გარდა თავისი ტოლი ვაჭრებისა. იგი დარწმუნებულია თავისი კლასის სიძლიერესა და უპირატესობაში. ასეთი შეხედულების შესაქმნელად მას საბაბიც აქვს. მას კარზე ადგანან: თავადი, აზნაური და გლეხი, რათა სესხი აიღონ. მისი კაპიტალი „დაბანდებულია“ სოფლად და ქალაქად. მუქთად იგდებს ხელში ხორბალს და სოფლის სხვა სიმდიდრეს. მართალია, ზოგიერთი ურჩი გადამხდელი სულს უმწარებს, მაგრამ „ქალალდს უცვლის“ და იცის, დღეს თუ ხვალ, ერთი-ორად წააგლეჯს. იცის ვისზე და როგორ უნდა გაასესხოს. აზნაურ ზაალ პინტრიშიძეს, რომელიც სთხოვს სესხი „რაზედაც გინდა მამეცი, თუ გინდა ტიევებს დაგიკვეთო“, გეურქა პასუხობს: „ვა, ტიევი რათ მინდა, დურგალი ხომ არა ვარ, ისე გენდობი ბარათითაო“. „ეპოლეტების“ ღირსებასაც

მისი ღირებულებით აფასებს გეურჭა. იგი ამ მხრივ კარაპეტას (გ. ერისთავის „ძუნწი“) მოგვაგონებს.

გეურჭა გრძნობს თავის ეკონომიკურ უპირატესობას, რაც მას ჰეშმარიტად აქვს, მაგრამ აშკარად ჩამორჩება ახალ ცხოვრებას საერთო ცოდნით, განათლებით. ეს იცის მისმა ქალიშვილმა მარეხმაც, რომელიც „პანციონშია გაზრდილი“ და სულ სხვაგვარად ფიქრობს და აზროვნებს, ვინემ მისი მშობლები. საყურადღებოა, რომ ავტორი გეურჭას პიროვნებას ოჯახურ გარემოში გვიხატავს. მის სიძლიერესა და სისუსტეს ოჯახურ ვითარებაში გვაჩვენებს.

ზ. ანტონოვი ფიქრობს, რომ მხოლოდ ეკონომიკური უპირატესობა ვერ უზრუნველყოფს ცხოვრებაში გამარჯვებას. ამისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ცოდნას, განათლებას, ზნეობრივ სისპეტაკეს. ამის მაჩვენებელია მარეხისა და გრიგოლის დაქორწინების ისტორიაც, მათ თავისი აისრულეს იმიტომ, რომ დარწმუნებული არიან თავიანთი გადაწყვეტილების სისწორეში, იციან, რომ ოჯახი სიყვარულის საფუძველზე უნდა შეიქმნას და არა ვაჭრული ანგარიშიანობით, რომლის ცუდი შედეგი თვით გეურჭას ოჯახშიც იგრძნობა, ხოლო აშკარად გალუსტ მინაიჩ თანდოევის მაგალითზე ჩანს („განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“). ცრუმორწმუნეობამ და გაუნათლებლობამ აიძულა გეურჭა ქედი მოეხარა გრიგოლ ჩეშმაკოვისა და თავისი ქალის წინაშე.

თუ გეურჭ კარაპეტოვს და მის საქმიანობას მკითხველი ან მაყურებელი ოჯახურ გარემოში ეცნობა, სამაგიეროდ კაკოლა ფინაჩოვის („ქორწილი ხევსურთა“) „საგმირო საქმეებს“ უშუალო მოქმედებაში ეხედავთ. ფინაჩოვი სოფლის წურბელა ვაჭარია, თვალთმაქცი და გაიძვერა. მისი სახით ჩვენს წინ დგას ვაჭარი, რომელიც ფულისათვის ყველაფერს იკადრებს, მასში აღარ იპოვება არც სინდისის ნატამალი, არც სიბრალულის გრძნობა. მის თავხედობას ხომ საზღვარი არა აქვს; იცის, როდის, სად უნდა გაჩნდეს და როგორ უნდა გაშალოს თავისი ცბიერი ენა. შეიტყო თუ არა დათაია ლუმსაური ქალს აქორწინებსო, სასწრაფოდ მასთან გაჩნდა თავისი ფართლით, უნდოდა მოხერხებულ დროს გამოეჩირა, მაგრამ ბედმა უმტყუნა, დათაიას ყველაფერი ადრევე შეეძინა.

კაკოლა ფინაჩოვი მაინც არ დარჩა გულდაწყვეტილი; დაკვეთილი მატყლი ზღაპრული თავხედობით მიიწონა. ლიტრის ნაცვლად სასწორზე ფეხი შედგა და სანამ გული არ გაუძღა, მანამ სასწორის თეფშები არ გაათანასწორა, თან დათაიას არწმუნებს, რომ მისი ფეხი ერთ ლიტრს იწონის. „სამაგიეროდ“, როდესაც

სხვას უწონის—ნაკლებს აძლევს; მატყლთან ერთად სასწორის თეფშზე ფულის ქისას დებს ჩუმად. ამ საქმეში მას თანაშემწეც ჰყავს—თავისი ვაჟი ვანო, რომელიც ჯერჯერობით დიდ მოხერხებას ვერ იჩენს (მატყლს ფულის ქისასაც გადააყოლებს), მაგრამ მისგან მამამისზე უკეთესს არ უნდა ველოდეთ.

ფინაჩოვი საკუთარი „სინდისის“ წინაშე მეტად იოლად იმართლებს თავს. არაყის ნაცვლად ჩაის სმის გავრცელებას აბრალებს ყველაფერს: „მა რა ვქნა! ცხოვრება გაჭირდა, რაღაც ჩაი-ჩუი შემოიღეს, ფულები იმას უნდება... ბატონო, აქაო და ეროპია, თუ რაღაც ჯანაბაა, ჩაისა სმენო, ლამის ჩვენმა ქალებმაც თავები შიგ ჩაიხრჩონ“—დასძენს კაკოლა.

კაკოლა ფინაჩოვის სახით ავტორი გვიჩვენებს, თუ რა გზით ხდებიან ვაჭრები დიდი ფულისა და სიმდიდრის პატრონნი. მკითხველისათვის აშკარაა, რომ სავაჭრო ბურჟუაზიის სახით კიდევ ერთი ძლიერი სისხლისმწოველი გაუჩნდა მშრომელ ხალხს.

მევახშე-ვაჭრის სახე რელიეფურად არის წარმოდგენილი კომედიაში „მე მიდა კნეინა გაეხდე“, მინას პეტრუზიჩ შაჰყულოვის სახით.

მინას შაჰყულოვი საკმაოდ მდიდარი ვაჭარია, მას საქართველოს გარეთაც გაუჩაღებია ვაჭრობა; ნუხა თუ ასტრახანი მისი ყურადღების ცენტრშია. ფულიც ბლომადა აქვს გასესხებული, მაგრამ აწუხებს ერთ-ერთი მოვალის—თავად დავით სერაშიძის გაკოტრება. ფიქრობს რაიმე გზა გამონახოს, რომ დავითი გაჭირვებიდან „გამოიყვანოს“ და თავისი ფული დაცინცლოს. ნახევრად ძალდატანებით მოახერხებს დაითანხმოს დავითი ვაჭრის მდიდარი ქვრივის—ბარბარე თულუხჩოვის შერთვაზე. მართალია, ის საქმეს ვერ დააგვირგვინებს, მაგრამ ფულების მიღებას მაინც ახერხებს, მას სხვა რამ არც ადარდებს.

მინასა არა მარტო ძუნწია, არამედ გულქვა და შეუბრალებელიც. ფულის სიყვარულის გამო არც ცოლი ახსოვს და არც შვილი, უფრო სწორად, ყველანი ეზარება, როგორც ხარჯის გამწევნი. ნაცვლად იმისა, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი მშობიარე მეუღლე ინახულოს, ექიმი მიუყვანოს და დახმარება აღმოუჩინოს, წყეველის მას და უდიერად იხსენიებს. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ მეშვიდე შვილი უნდა შობოს და, თუ ისიც ქალი გამოვიდა, ხუთასი თუმნის მზითვი დასჭირდება. ამიტომაა, რომ გაჯავრებული ბუზღუნებს: „ჯანი გავარდეს, თუ მოკვდებაო“.

მინასას ასეთ „ყურადღებას“ მეუღლისადმი, ჩანს, შესაფერი შედეგი გამოუღია. ამიტომაა, რომ ავტორი ნიშანდობლივად ათქმევინებს

მსახურ ბიჭს—პეტრიკელას: „თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემს თავს, რომ ბოფში მთლა არ გავდეს მამა მისს, ვინცხა რუსს გავს, ვინცხას“.

ზ. ანტონოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვაჭართა ოჯახური ცხოვრება მეტად საეალალოა. გადაჭარბებულ სიძუნწესა და ანგარიშიანობას ვაჭართა ოჯახებში უთანხმოება, სიძულვილი და ღალატი შეაქვს. ცხადია, ახალგაზრდა სოფიო სხვის გულს უფრო ახარებს, ვინემ მოხუცი ქმრის—გალუსტ მინაიჩ თანდოევისას („განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“), რომელსაც ცოლი იმიტომ შეურთავს, რომ „ნასლედნიკი“ იქნებ გაუჩნდეს და ქონება სხვის ხელში არ ჩავარდეს. მართალია, მას სურვილი უსრულდება, მეუღლე ფეხმძიმედა ჰყავს, მაგრამ, საეჭვოა, „ნასლედნიკი“ მას გამოემგვანოს. ამ მხრივ მას მინასას ბედი მოელის („მე მინდა კნეინა გავხდე“).

არც ბარბარე თულუხჩოვის საქმე მიდის კარგად („მე მინდა კნეინა გავხდე“). მისი სანუკვარი ოცნება—გახდეს კნეინა—შეუსრულებელი რჩება. ხოლი ის სიმდიდრე, რომლის იმედითაც ფიქრობს ცოლად გაყვეს თავადს, აღმოჩნდა, რომ მისი არ იყო. მას თავის ბედნიერება კეკელას მოტყუების ხარჯზე სურდა, მაგრამ ბედმა უღალატა. კეკელამ თავისი კუთვნილი ქონებაც მიიღო და ქმარსაც თავის სურვილით გაჰყვა. იგი მართლაც გახდა კნეინა, მაგრამ მისი მიზანია არა კნეინობა, არამედ ოჯახის შექმნა ნამდვილი სიყვარულის საფუძველზე.

ბარბარე თულუხჩოვისას, მსგავსად მიკირტუმას და თათელასი (გ. ერისთავის „გაყრა“), ჯერ კიდევ დიდ მოვლენად ესახება კნეინობა. მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევაა, ზ. ანტონოვის კომედიებში მსგავს შემთხვევას სხვას ვერ ვხედავთ. საყურადღებოა, რომ ამ ერთ შემთხვევასაც მის პირველ კომედიაში („მე მინდა კნეინა გავხდე“) აქვს ადგილი.

როგორც აღვნიშნეთ, მეტად დაუწყობელია გეურქ კარაპეტოვის ოჯახი („მზის დაბნელება საქართველოში“). გეურქას დედა (ნენე) და მეუღლე (რევსიმე) ერთმანეთის ცემა-ტყეპაშია. ჩანს, ამ მხრივ არც ცოლ-ქმარი არიან ერთმანეთთან ვალში, ხოლო ბებიას და შვილიშვილს (მარეხი) სულ არ ესმით ერთმანეთის. მშობლების შეუგნებელი მოქმედების გამო შვილი იძულებულია ეშმაკობას მიმართოს, არაგულწრფელი იყოს.

ვაჭართა წრის უფროსი თაობა გაუნათლებელი, ცრუმორწმუნე და ცბიერი არის.

გარკვეული განსხვავებაა ვაჭართა კლასის ძველ და ახალ თაობებს შორის; უფრო სწორად, განათლების არმქონე ძველ ვაჭართა წრესა და ამ წრიდან გამოსულ განათლე-

ბულ ახალგაზრდებს შორის. ამის თქმის უფლებას გვაძლევს კეკელა („მე მინდა კნეინა გავხდე"), მარეხი და გრიგოლი („მზის დაბნელება საქართველოში").

კეკელა განათლებული და გრძნობაგანვითარებული ქალია. იგი ერთმანეთში არ ურევს ანგარებასა და სიყვარულს. მისი საქმროილიკო გურგენიძე ხელმოკლეა, მაგრამ მას არაისში გაცელის. ილიკოში მას იტაცებს „მშვენება და ზდილობა", რომელსაც ყველაზე მეტად აფასებს. კეკელაში არც ბოროტება იპოვება და არც ძუნწის თვისებები. იგი გამოირჩევა მტკიცე ხასიათითა და საღი გრძნობებით; არასოდეს არ მსჯელობს იმის შესახებ, რომ კნეინა იქნება, ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რომ ილიკოს მუდმივი მეგობარი იყოს.

კეკელას ორეულია მარეხიც („მზის დაბნელება საქართველოში"). ისიც განათლებული, პანსიონში გაზრდილი ქალია. მას მთელი გულით უყვარს პორუჩიკი გრიგოლ ჩეშმაკოვი, მაგრამ მშობლები უღობავენ გზას. სხვა შემთხვევაში მარეხი მშობლების მორჩილი აღმოჩნდებოდა, მაგრამ გონებაგახსნილ ქალს კარგად ესმის, რა განსხვავებაა სხვის მიერ თავს მოხვეულ და სიყვარულის საფუძველზე მომხდარ ქორწინებას შორის. ამიტომ იგი მოხერხებულობასაც მიმართავს მიზნის მისაღწევად.

კომედიის პირველი სცენა მარეხისა და მისი ბებიის—ნენეს დიალოგით იწყება. იმთავითვე აშკარა ხდება, თუ როგორი დიდი განსხვავებაა ძველსა და ახალ თაობას შორის საერთოდ და კერძოდ მათ შეხედულებებში ქალ-ვაჟთა დამოკიდებულების საკითხში.

ავტორი სიმპათიურად ხატავს კეკელას საქმროს — გრიგოლ ჩეშმაკოვსაც. გრიგოლი სამხედრო პირია, ნაკითხი და ცოდნის მოყვარული, ზნეობრივად—სპეტაკი და მტკიცე. მას აკვირვებს ძველი თაობის (როგორც თავადაზნაურობის, ისე ვაჭართა საზოგადოების) ჩამორჩენილობა, ცრუმორწმუნეობა და ახლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება. ძველის მოტრფიალეთ და ახალის მომდურავთ მოურიდებლად მიმართავს: „იმას ხომ არა გრძნობთ, თუ ამ ახალმა დრომ აღმოაჩინა საქართველოში სწავლა, ხელოვნება, განათლება და სიბრძნე, რომლითაც ძენი საქართველოსნი დღე და დღე ემსგავსებიან ევროპიის განათლებულთ ხალხთა და მიიხწევიან ფილოსოფიის სწავლამდე. თქვენ ისევ ძველ წესზე მიიწევეთ და სამდურავს ამბობთ, ჩვენს ჰკუაზედ არავინ იქცევიანო. აბა რა ჰკუა გაქვთ, რა გელაპარაკოთ? მე გიმარტავთ მზის დაბნელების მიზეზებსა, თქვენ დამცინით".

გრიგოლის სიტყვიერი ლექსიკონი თუ მოქმედება თავისუფა-

ლია როგორც მაღალი წოდების ფუქსავატობის გამოვლენისაგან, ასევე ვაჭართა კლასისათვის დამახასიათებელი ანგარიშიანობისა და სიძუნწისაგან.

გრიგოლი, მიუხედავად კლასობრივი განსხვავებისა, ძალიან ჰგავს ილიკო გურგენიძეს („მე მინდა კნეინა გავხდე"), მათი ცხოვრების გზებიც თითქმის ერთნაირად მიიმართება. არც გრიგოლი არის მდიდარი, მაგრამ, თუ მარეხს მის მეტი ქმარი არ უნდა (მსგავსად კეკელასი), ეს იმიტომ, რომ „იმისი ზდილობა და სწავლა უმჯობესი არის ყოველს სიმდიდრეზედ". მაგრამ მათ აკლიათ მოქმედების უნარი, ბრძოლის პათოსი, რის გამო მაინც სქემატურ სახეებად რჩებიან.

ზ. ანტონოვის შეხედულებით, ადამიანის ღირსების მაჩვენებელია არა წოდებრივი უპირატესობა, არა სიმდიდრე, არამედ ზნეობრივი სისპეტაკე, კეთილშობილება და სწავლა-განათლება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ „ზურაბ ანტონოვი ვაჭრული აუდიტორიის განსაკუთრებულ სიყვარულს იხვეჭდა თავისი შემოქმედების ანტითავადაზნაურული ბუნებით. ამ მხრივ ზ. ანტონოვი თეატრში მისულისთანავე დაუპირისპირდა გ. ერისთავსო". ამის დამადასტურებლად მიაჩნიათ ის, რომ „ზურაბ ანტონოვის დადებითი პერსონაჟების უმეტესობა ვაჭართა წრის ახალი თაობიდან არის გამოსული: კეკელა თულუხჩოვი („მე მინდა კნეინა გავხდე"), გრიგოლ ჩეშმაკოვი და მარეხ კარაპეტოვი („მზის დაბნელება საქართველოში")[1].

გამოთქმულია ამ შეხედულების, თითქმის, საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით: „Сразнительно с типами буржуазии в его пьесах дворянство изображено в гораздо более мягких тонах (Давид Серашидзе из комедии „Я хочу стать княгиней"). К этому уже уходящему классу он (Антонов.—Д. Г.) относится более снисходительно, чем к буржуазии"[2].

ზ. ანტონოვის მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური სიმპათიების გარკვევისათვის ამ შეხედულებებს პრინციპული მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ, ასეთი საპირისპირო შეხედულებები გარკვევასა და დაზუსტებას მოითხოვს.

---

[1] დ. ჯანელიძე—„გ. ერისთავის თეატრის სოციალური ბუნება", ჟურნალი „ხელოვნება", 1935 წ., № 1.

[2] Э. М. Абрамишвили. „Драматургия Зураба Антонова" (Автореферат диссертационной работы на соискание ученой степени кандидата филологических наук), 1950 г., стр. 5.

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზიდან ხათელი გახდა ზ. ანტონოვის დამოკიდებულება როგორც თავადაზნაურობასთან, ასევე სავაჭრო ბურჟუაზიასთან. მისი შეხედულებით, თავადაზნაურობა სავაჭრო ბურჟუაზიასთან შედარებით უფრო მაღლა დგას ზნეობრივად, კეთილშობილებით, თუ გნებავთ, ოჯახური წესრიგითაც. მაგრამ ახალი ცხოვრების მოთხოვნებს ჩამორჩება, ეკონომიკურად დასუსტებულია, ძველს მისტირის და უმოქმედოა. ამიტომ მას, როგორც კლასს, პერსპექტივა არ გააჩნია. ცხოვრების სარბიელზე მას აშკარად ცვლის სავაჭრო ბურჟუაზია, რომელიც, თავის მხრივ, კეთილშობილებით, ჰუმანიურობით და ზნეობრივი ღირსებით დაბლა დგას თავადაზნაურობაზე. საარაკო სიძუნწე, გადაჭარბებული ანგარიშიანობა და სიმდიდრის დაგროვების გადაქცევა თვითმიზნად, სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლებს უკარგავთ ნორმალური ადამიანის სახესა და თვისებებს.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ზ. ანტონოვს ესმის ბურჟუაზიის პროგრესული როლი და სწამს მისი გამარჯვება, არა ნაკლები სიმკაცრით წარმოგვიდგენს მას, ვინემ მაღალ წოდებას. ორივე ექსპლოატატორული კლასი მის დრამატურგიაში უარყოფითად არის დახასიათებული.

რაც შეეხება დადებით პერსონაჟებს და მათ კლასობრივ მდგომარეობას, მათ საკითხს სხვაგვარად სწყვეტს ავტორი. პირველყოვლისა, შეცდომა იქნება თუ ვიტყვით, რომ ზ. ანტონოვმა თავის კომედიებში მოგვცა დადებითი გმირი. თუ მისი გმირები: კეკელა, მარეხი და გრიგოლი არა ჰგვანან თავიანთ მამაპაპებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წოდებათა უპირატესობის საკითხს აყენებს მწერალი. რა თქმა უნდა, არა. ასეთივე დადებითი პერსონაჟი მოგვცა მან თავად ილიკო გურგენიძის სახითაც. შეუძლებელია იმის დადასტურება, რომ კეკელა მაღლა დგას ილიკოზე, და პირიქით. რაც შეეხება „უმეტესობას", არც ეს ფაქტი მიგვაჩნია გადამწყვეტად. ამ შემთხვევაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის იდეური აზრი, რომელიც საფუძვლად უდევს ზ. ანტონოვის დრამატურგიას.

დადებითი პერსონაჟები (ილიკო გურგენიძე, კეკელა თულუხჩოვი, მარეხ კარაპეტოვი და გრიგოლ ჩეშმაკოვი) ზ. ანტონოვის კომედიებში არ არიან წარმოდგენილი როგორც თავიანთი კლასის მემკვიდრენი, ვიწრო კლასობრივი და ეროვნული ინტერესებით შეზღუდულნი. ამიტომაა, რომ მწერალი მათ უფრო სიმპათიურად გვიხატავს, ვინემ უფროს თაობას. მილიციის პრაპორშჩიკი ილი-

კო გურგენიძე ჩვენს წინაშე დგას არა როგორც თავადი, მემამულე, ბევრი თუ მცირე მამულისა და ყმის პატრონი, არამედ როგორც მოსამსახურე, ჩინოვნიკი, შედარებით განათლებული პიროვნება; ასევეა გრიგოლ ჩეშმაკოვიც. გრიგოლ ჩეშმაკოვი წარმომადგენელია არა ვაჭართა ახალი თაობისა, არამედ სამეფო მოსამსახურეების. რატომ ვუწოდებთ მას ვაჭართა ახალი თაობის წარმომადგენელს? იმიტომ ხომ არა, რომ იგი ჩეშმაკოვია? გრიგოლი ავტორის მიერ, არც წარმოშობით და არც საქმიანობით, დაკავშირებული არაა ვაჭრებთან და ვაჭრობასთან. ხოლო კეკელა და მარეხი, რომელნიც ვაჭართა წრიდან არიან გამოსულნი, სრულებით არ გამოდგებიან ამ კლასის ღირსების საჩვენებლად. პირიქით, მათი საშუალებით ავტორი ააშკარაებს ვაჭართა კლასის უმსგავსოებას. მათ არ შეგვიძლია ვუწოდოთ ვაჭართა ახალი თაობა. უნდა გარკვეულად განვასხვავოთ ვაჭართა წრიდან გამოსული ახალგაზრდობა და ვაჭართა ახალი თაობა. როგორც ამ შემთხვევაში, ისინი ერთმანეთს შეიძლება არ გულისხმობდნენ. ვაჭართა ახალი თაობა იესება არა კეკელათი, მარეხითა და გრიგოლით, არამედ ვანოებით („ქორწილი ხევსურთა"). ასეთია ჩვენი დრამატურგის შეხედულება.

ზ. ანტონოვის შეხედულებით, სწავლა-განათლება ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს დაძლიონ თავიანთი კლასის ზნეობრივი შეზღუდულობა და გახდნენ კეთილშობილ მოქალაქეებად. მისი სიმპათიები სწორედ ამ უკანასკნელთა მხარეზეა. მიკირტუმ მინასოვი გაკვირვებული მიმართავს გეურქას: „ვა! პანციონში გაზდილი ქალმა ვაჭარი გინდა მისცე?". ამით ბევრი რამაა ნათქვამი. ვიმეორებთ, პიროვნების ღირსების საზომად ზ. ანტონოვს არც სიმდიდრე მიაჩნია და არც მაღალი წარმოშობა. იგი განმანათლებელთა შეხედულებებს უახლოვდება.

მართებულად არ მიგვაჩნია, აგრეთვე, შეხედულება თითქოს ზ. ანტონოვის დრამატურგიაში „Буржуазия не порывает связи с дворянством, а наоборот, богатые купцы всячески стараются получить дворянское звание, приблизиться к дворянству и уподобиться ему"[1].

ასეთი დასკვნის გამოტანა მხოლოდ და მხოლოდ ბარბარე თუღუხჩოვის მაგალითზე („მე მინდა კნეინა გავხდე") შეცდომამდე

---

[1] Э. Абрамишвили. „Драматургия Зураба Антонова" (Автореферат...), 1950 г., стр. 4.

მიგვიყვანდა, ვინაიდან თვით ამ კომედიაშიც და განსაკუთრებით სხვა კომედიებში საწინააღმდეგო მოვლენებთან გვაქვს საქმე. ეჭვი არაა, რომ შესაფერი შემთხვევა რომ ყოფილიყო, ქართველ თავადს ქალს არ მისცემდა არც მინას შაჰყულოვი (თუმცა ექვსი ქალი ჰყავდა) და არც გეურკ კარაპეტოვი. არც ერთი მათგანი არ გამოთქვამს სურვილს ან დაინტერესებას „ქნიაზის“ სახელი დაიმსახუროს.

ასევე დაუსაბუთებლად მიგვაჩნია შეხედულება, რომ „Изображая дворянское общество, Антонов разнообразно рисует его представителей. Так, например, князья, вернее высшая аристократия („Давид Серашидзе, Илико Гургенидзе), изображены им более симпатичными, нежели мелкое дворянство (Свимона Гверделадзе из комедии „Муж пяти жен“). Примечательно, что Антонов первый в истории грузинской драматургии проявил такой дифференцированный подход к этим двум прослойкам аристократии—князьям и мелким дворянам“ [1].

აზნაურთა წრის წარმომადგენლებად ზ. ანტონოვის დრამატურგიაში გამოყვანილია ზაალ პინტრიშიძე („მზის დაბნელება საქართველოში“), ესტატე ბურტყლაძე და სვიმონ გვერდელაძე („ქმარი ხუთი ცოლისა“). მათგან, ზაალ პინტრიშიძე და ესტატე ბურტყლაძე ავტორის მიერ შექმნილი სახეებია; რაც შეეხება სვიმონ გვერდელაძეს კომედიის გადმოკეთებული მოქმედების (მეორე მოქმედების) პერსონაჟია. პირველ მოქმედებაში გამოყვანილია იმდენად, რამდენადაც ამას მოქმედებათა დაკავშირება მოითხოვდა. ამიტომ, მხოლოდ სვიმონის მაგალითზე დაყრდნობით დასკვნის გაკეთება არადაჯერებელია. ამასთანავე, ამ კომედიაში იგი, როგორც აზნაური, დაპირისპირებული არაა რომელიმე თავადთან. ამ მხრივ მეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს კომედიას „მზის დაბნელება საქართველოში“, სადაც მხარი-მხარაა ნაჩვენები თავადი ოდო შერმანიძე და აზნაური ზაალ პინტრიშიძე. მათ შორის არავითარი განსხვავება არაა, პირიქით, ზაალი უფრო სანდო კაცად არის ნაჩვენები. ავიღოთ თუნდაც „ქმარი ხუთი ცოლისა“. მართალია, გადაგვარებული სვიმონ გვერდელაძე აზნაურია, მაგრამ აზნაურია ესტატე ბურტყლაძეც, რომელიც თუმცა ეპიზოდური პერსონაჟია, მაგრამ ეს მის მოქალაქეობრივ წონას არ ამცირებს. მეფემ, რომელმაც ბრძანა სიმონის მკაცრად დასჯა, ბრძანება შესცვალა ესტატე ბურტყლაძის თხოვნისა და დამსახურების საფუძველზე: „იმისი (სიმონის.—დ. გ.) ნათესავი ესტატე ბურტყლაძე

[1] Э. Абрамишвили. „Драматургия Зураба Антонова“ (Автореферат...), 1950 г., стр. 6.

დაგვეაჯა იმის დასჯის პატივებასა და ჩვენც, იმისი ერთგულის ნამსახურობის გამო, აჯა მისი შევისმინეთ და სვიმონს დასჯა ვაპატივეთო“,—სწერს მეფე თბილისის მოურავს.

ამგვარად, საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ზ. ანტონოვი თავადებთან შედარებით ახნაურებს უფრო მკაცრად ექცეოდეს. ასეც რომ იყოს, მაინც არ შეიძლება მას ამ მხრივ პირველობა მივანიჭოთ. სვიმონ გვერდწლაძე, როგორც აღვნიშნეთ, სხვა არავინაა, თუ არა უფრო სრულად წარმოდგენილი ლომინ გოდაბრელიძე (გ. ერისთავის „დავა“).

4

ზ. ანტონოვის დრამატურგიაში ხშირად ვხედავთ სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლებს, ჩინოვნიკებს. მათ შესახებ მწერალს თავისი გარკვეული აზრი აქვს და ყველა მოხელე ერთი მიდგომით როდი ჰყავს დახასიათებული. იგი აქაც თავის საზომს იმარჯვებს. ბევრი მათგანი გაუნათლებელი და უვიცი არის; ბრმად სცემს თაყვანს თავის უფროსს და მონურად იგრიხება მის წინაშე, ბრძანებას თუ დავალებას შეუგნებლად ასრულებს; უფროსის საამებლად ყველაფერს კადრულობს. თვალი მხოლოდ გამორჩენაზე და წაგლეჯაზე აქვს გამახვილებული. ასეთებია: თბილისის მამასახლისი—გოგია ბინდიაშვილი, გზირი—კიკოლა ყურშავაძე („ქმარი ხუთი ცოლისა“), იასაული, მამასახლისი, გზირი, დესეტნიკი („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“), კვარტლის ნადზირატელი, დესეტნიკი („მე მინდა კნეინა გავხდე“) და სხვა.

ყველა მათგანი უუფლებო და ღარიბ ხალხს წოვს სისხლს. საკმარისია რაღაც საბაბი იპოვონ, რომ ხალხი ააწიოკონ. წანაგლეჯის მიკუთნებისას კი ერთმანეთთანაც ვერ რიგდებიან. გზირს მამასახლისი ეჯავრება, მამასახლისს — იასაული და მოურავი, თუმცა გარეგნულად დიდ პატივისცემასა და მოკრძალებას იჩენენ უფროსის წინაშე.

მათი მოქმედების დამაჯერებელი სურათი მოცემულია კომედიაში „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, ქვრივ გლეხის ქალ თინათინასა და გზირ-მამასახლისის დიალოგებში. ირკვევა, რომ მამასახლისი და გზირი თვითნებურად ართმევენ გლეხებს სასმელ-საჭმელს. „გაწყდეს თქვენი მოხელეობა, რომ თქვენის შიშით კრუხ-წიწილა ვერ შემინახავს სახლშია“—მიმართავს მამასახლისს გაცხარებული თინათინა, რომლისთვისაც ამჯერადაც წაურთმევიათ ქათამი. მამასახლისი იმით ანუგეშებს თინათინს, რომ -გოგილაანთთვინ წრეულ აგერ მეათეთ გამოურთმევია“.

მამასახლისი და გზირი, უცხო სტუმრების მოსელის მომიზეზებით, თავისთვის მეტს აგროვებენ. „იმტელი აქოფაკდი და აძაღლდი,— მიმართავს მამასახლისს თინათინა,—რამტელი იმათ ერთი ვარიაც არ შეეპამოთ და შენ შვიდიც მოაგროვე; ტყუილათ იმათ იგონებ და შენ ცოლ-შვილს კი ხეთქამ, შხამათ ამოუვიდეთ და ბრაზათა პირიდგანა; მერე? იმ მხატვარს რო აჰამე, სამი მანეთი რო გაჩუქა, ის რაღა იყო? იმიტომ არ მოგცა, რო სადილი აჰამე? მეც მამცემდი ჩემი ქათმის ფულსა რა! ყველანი ისე გაძლევენ ხოლმე ფულსა და შენ კი ჯიბეში იდებ“.

ასეთია ამ მოხელეთა „საგმირო“ საქმეები. ამას დავუმატოთ ისიც, რომ გაიძვერა მოხელეები უქრთამოდ არაფერს აკეთებენ, და მათი სახეები უფრო გამოკვეთილად წარმოგვიდგება.

არის ისეთი მოხელეებიც, რომლებსაც ცოდნა და განათლება მიუღიათ. მათი ზნეობრივი ღირსება და გონებრივი ჰორიზონტი შეუდარებლად მაღალია პირველებთან შედარებით. ამ ჯგუფის წარმომადგენელებია: პარმენ იასამანიძე, გრიგოლ ღრებაკოვი („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“), გრიგოლ ჩეშმაკოვი („მზის დაბნელება საქართველოში“) და ილიკო გურგენიძე („მე მინდა კნეინა გავხდე“). ორ უკანასკნელს საკმარისად ვიცნობთ უკვე. რაც შეეხება პარმენ იასამანიძეს და გრიგოლ ღრებაკოვს მათ თავისებური ადგილი უჭირავთ ზ. ანტონოვის პიესების პერსონაჟთა გალერეაში. საფუძვლიან განათლებასთან ერთად მათ მაღალი თანამდებობა აქვთ. მწერალს ჰქონდა შესაძლებლობა შედარებით უნაკლო პერსონაჟებად მოეცა მათი სახეები, მაგრამ ეს გზა არ აირჩია. დიდი ცოდნისა და მაღალი თანამდებობის პატრონი მოხელეები, რომლებიც კეთილშობილ საქმეს აკეთებენ, აღწერენ და იკვლევენ ისტორიულ ძეგლებს, ხშირად სასაცილო მდგომარეობაში იყენებენ თავს. მათ აკლიათ სერიოზულობა და თავდაჭერა, ვერ აღწევენ თავს შეუფერებელ მოქმედებას. მაგრამ ისინი დაზღვეულნი არიან. რა თქმა უნდა, ისეთი „აბრუნდებისაგან“, რასაც ბინდიაშვილები თუ ყურშავაძეები ჩვეულებრივ საქმედ თვლიან.

იასამანიძეს და ღრებაკოვს აკლიათ ნებისყოფა, თავიანთი ღირსებისადმი პატივისცემა. მათი ხვეწნა-მუდარა ტასიასადმი, რათა უფლება მიიღონ მისი სახის დასახატავად, ხალხში გაკვირვებასა და სამართლიან სიცილს იწვევს. ისინი ლამაზი ქალის ნახვის გამო ჰკუას კარგავენ და სასაცილონი ხდებიან.

ზ. ანტონოვი მოხელეთა საქმიანობისა და მათი ღირსების ჩვენებისასაც გადამწყვეტ მნიშვნელობას სწავლა-განათლებას აძლევს.

საერთოდ, ბიუროკრატ-მოხელეთა კრიტიკა ზ. ანტონოვის კომედიებში უფრო მკრთალადაა წარმოდგენილი, ვინემ გ. ერისთავის პიესებში, მაგრამ სამაგიეროდ მათი „საქმიანობა“ ნაჩვენებია ღარიბი ხალხის მიმართ.

* *

მეტად მკრთალად არიან წარმოდგენილნი ზ. ანტონოვის პიესებში მსახურებიც, რომლებსაც ძველ კომედიებში წამყვანი როლები ჰქონდათ.

ზ. ანტონოვის პიესებში მსახურებს არა აქვთ მნიშვნელოვანი როლები. მათი სახეები არაა გამოკვეთილი, არაა ნაჩვენები მათი ცხოვრება, ფიქრები და მისწრაფება. მწერალი მათ, ძირითადად, ორი მიზნით იყენებს: კომიკური სიტუაციებისა და ახალი სურათების შესაქმნელად. მათ მოაქვთ თავიანთ პატრონებთან ახალ-ახალი ამბები, რითაც სიტუაციებს ცვლიან და გვაძლევენ რიგი ისეთი მოვლენების გათვალისწინების საშუალებას, რასაც სცენაზე ვერ ვხედავთ. მათი დიალოგი თავიანთ პატრონებთან თითქმის ყოველთვის კომიზმის გამომწვევია[1].

ვიმეორებთ, თვით მსახურების ცხოვრება ზ. ანტონოვის კომედიებში არ ჩანს, მაგრამ ვგრძნობთ კი მათ მოხერხებულობას. მათ სიძულვილს პატრონთადმი. ეს განსაკუთრებით ითქმის ვაჭართა მსახურების მიმართ. საერთოდ, გარკვეული განსხვავება შეინიშნება თავადთა და ვაჭართა მსახურებს შორის. უკანასკნელნი უფრო გაქნილნი და პატრონთა მოძულენი არიან. ზ. ანტონოვის მსახურთა შორის ვერ ვხედავთ ვერც რომანულ ინტრიგებს. მსახურები, როგორც წესი, ვაჟებია; გამონაკლისს წარმოადგენენ ნენე და ბარბარე („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“), მაგრამ ისინი გამზრდელნი არიან და არა მსახურნი, მათ შორის კი განსხვავებაა.

5

ზ. ანტონოვის მთავარი დამსახურებაა დაბალი ხალხის ცხოვრებით დაინტერესება, მათი გამოყვანა სცენაზე. მას მიზნად აქვს ასახოს ცხოვრების მთელი სინამდვილე, ყველა სოციალური ფენა და ჯგუფი. ასახვის სიღრმე, რელიეფურობა მის დრამატურგიაში შედარებით ნაკლებია, მაგრამ მრავალფეროვნება, ხედვის არე საგრძნობლადაა გაზრდილი.

---

[1] პიესის „ქმარი ხუთი ცოლისა“ მოქმედ პირთა სიაში ნინიკა გაუყრელაშვილი დასახელებულია როგორც სვ. გვერდელაძის მსახური, სინამდვილეში კი იგი თბილისის მოურავის მსახურია.

გ. ერისთავის კომედიებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მსახურთ, დაბალი წრის წარმომადგენლები არაა გამოყვანილი. კერძოდ, მის კომედიებში არაა ნაჩვენები გლეხობა, საზოგადოების ძირითადი ნაწილი. მართალია, მათი ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ გვექმნება ერთგვარი წარმოდგენა, მაგრამ უშუალოდ ვერ ვხედავთ და ვერ ვეცნობით მათ.

ზ. ანტონოვმა ამ მხრივ წინ წასწია ქართული დრამატურგია და ქართული მწერლობა საერთოდ. გ. ერისთავის რეალიზმი მან გაამდიდრა დემოკრატიზმით. გარდა იმისა, რომ მან თავისი დრამა „ქორწილი ხევსურთა“ საგანგებოდ მთიელი ხალხის ცხოვრებას, მათ გრძნობა-ფიქრებისა და ჩვეულებების ასახვას მიუძღვნა, გლეხთა სახეები მოგვცა სხვა პიესებშიც.

ბერუა ბასილაშვილის, იორდანე მამულაშვილის („ქმარი ხუთი ცოლისა“), ბერუა ლაპინაშვილის („მზის დაბნელება საქართველოში“), ბერუას, ნინიკასა და თინათინას („ტიციით მოგზაურობა ლიტერატორთა“) სახით ჩვენ გარკვეული და საკმარისი წარმოდგენა გვექმნება გლეხთა ცხოვრებაზე, მათ უმწეო მდგომარეობაზე.

პიესის „ქმარი ხუთი ცოლისა“ პირველი მოქმედება ზ. ანტონოვის ორიგინალური ქმნილებაა. იგი საგანგებოდ შექმნა ავტორმა და დაუმატა პიესის გადმოკეთებულ მეორე მოქმედებას. ამიტომ უფრო საინტერესოა, რა შინაარსისაა აღნიშნული მოქმედება? მასში ნაჩვენებია მოხელეები (მოურავი, მამასახლისი, გზირი) და მათი საქმიანობა, კერძოდ, მათი დამოკიდებულება გლეხობასთან. ამ უკანასკნელის მხატვრული გადაწყვეტისათვის ავტორი ხატავს გლეხთა სახეებს, გვახედებს მათი ცხოვრებისა და მდგომარეობის თავისებურებაში.

სადავო საქმეს გლეხები (ბერუა ბასილაშვილი და იორდანე მამულაშვილი) თბილისის მოურავთან მოუყვანია. მათ სურთ გაარკვიონ მართალი და დამნაშავე. ამიტომ, როგორც წესი, დიდი ძღვენი მიაქვთ მოურავთან. მოურავიც, რა თქმა უნდა, კმაყოფილია მათი „საჩუქარით“. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავე გაერკვია, მოურავი, საბოლოოდ, მათი დაჯარიმებით ამთავრებს „ძიებას“. მაყურებელი გრძნობს, რომ გლეხებს შორის დავა არა თუ დამთავრდა, არამედ უფრო გამწვავდა. ხოლო ეს გარემოება კიდევ უფრო ხელსაყრელი იქნება მოურავისა და მამასახლისისათვის.

კომედია „ქმარი ხუთი ცოლისა“ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა მდგომარეობაშია გლეხი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მქონე ფეოდალურ საქართველოში.

მოხელეთა (იასაული, მამასახლისი, გზირი) თავგასულობა და მათ მიერ გლეხთა შეევიწროება მეტი სიცხადით ნაჩვენებია კომედიაში „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“. უფლისციხის მცხოვრებნი აკლებული ჰყავთ მამასახლისსა და გზირს. იმ საბაბით, რომ გამოქვაბულის დასათვალიერებლად მოსულ სტუმრებს პატივისცემა უნდა, ყოველდღე სტაცებენ გლეხებს ქათამს, ღვინოს, პურს და სხვა სანოვაგეს. გაწეული ხარჯისათვის სტუმრები ფულს უხდიან მამასახლისსა და გზირს, მაგრამ ისინი გლეხებს არაფერს უბრუნებენ. აი, ახლაც უნდა ესტუმრონ უფლისციხეს ლიტერატორები; მამასახლისმა მყისვე მისცა გზირს განკარგულება: „წადი და ჯერით ყველას გამოართვი: ზოგს ქათამი, ზოგს ღვინო და პური, და აგრეთვე ბზე და ქერი“. მალე სცენაზე ჩნდება გლეხის ქვრივი თინათინა, რომელიც გზირს თვალებს აკაწრავს და წართმეული ქათმის დაბრუნებას თხოვს. მისი ყოველი სიტყვა გლეხთა უპწეო მდგომარეობის გამომხატველია. იგი უკვე მოთმინებიდან გამოუყვანია სოფლის წურბელა მოხელეებს, და როგორც პიესიდან ჩანს, თინათინა გამონაკლისი როდია.

იასამანიძისა და ღრებაკოვის „ლალის ჯვრების“ დამნახავი გლეხი ნინიკა ნატრობს ერთი ჯვარი მასაც მისცა, რომ გაყიდოს და „იმ ფულით ერთი ურმის კაი ხარ-კამეჩი იყიდოს“. ბევრის მთქმელია იმავე ნინიკას სიტყვები: „დიდ კაცსა ვერცარა წყალი მოერევა და ვერცარა მიწაო“.

გლეხკაცი შრომობს, ქმნის დოვლათს, მაგრამ ბატონი და მოხელეები სტაცებენ, რის გამო ყველაფერი სანატრელი უხდება. კიდევ მეტი, ხშირად გაროზგვასა და დამცირებასაც ვერ ასცდენია. ამიტომაა, რომ როცა მაგიდის უქონლობის გამო პარმენ იასამანიძე გადაწყვეტს სახატავი ქაღალდი გლეხების ზურგზე გაშალოს და მათ მიმართავთ: „გლეხებო! წაიკუზენით და ერთმა მე მომიშვირეთ ზურგი და მეორემ მაგასა (აჩვენებს გრიგოლაზედა)“, გლეხებს შიში შეეპყრობს. შეწუხებული ბერუა პარმენს ეხვეწება: „ნუ ინებებთ, შენი ჭიიმე, ჩვენს დაღუპვასა!... იცის ღმერთმა, არაფერი არა დაგვიშავებია რაო“. ბერუა ფიქრობს, რომ ზურგის მიშვერას იმიტომ სთხოვენ, რომ „უთუოდ რუსულათ უნდა დალახონ“.

ასეთი ჩართული სცენით ზ. ანტონოვი ახერხებს მოხდენილად გაჰკრას სოციალური უთანასწორობის ნიადაგზე აღმოცენებულ უმსგავსოებას. იგი გვაგრძნობინებს, რომ სხვა შეევიწროებასთან ერთად, გლეხის გაროზგვის შემთხვევებიც არაა იშვიათი; ცემის სხვადასხვა წესიც ყოფილა, მათ შორის „რუსულად გალახვაც“.

ცხადია, ასეთმა მწარე გამოცდილებამ აიძულა გლეხი ბერუა ლაპინაშვილი („მზის დაბნელება საქართველოში“) ქალაქში ჩავიდეს და გეურქა კარაპეტოვისაგან ვალი აიღოს. ბევრის მთქმელია ბერუასა და გეურქას დიალოგი:

გ ე უ რ ქ ა—რისთვის ჩამოსულხარ, ბერო?

ბ ე რ უ ა—ოჯახი რომ დაექცეს ჩვენებურს ტარატასა, მზე უნდა დაბნელდესო, რაღაც ეშმაკი მოიგონა და ე დედაკაცები სულ დაგვიგიჟა, ზოგს საწირავს ახიდვინებს ღვდლისთვის, შენი პირიმე, ზოგი სამღთოსა ჰკლამს და ზოგი რას ჩადის. ჩაიქცა ი ოჯახდაქცეული შემოსავლითა, ამისთანა დოვრანი თავის დღეში არ დასცემია, იმისთვის მზე კი არ ბნელდება, უფროც გათენდა. მეც დედაკაცებმა გამამაგდეს, წადი ვალი აიღე და ერთი თოხლი იყიდე, სამღეთო დავკლათო. თუმან ნახევარი მავალე, აღა! სართლოთ ტკბილს მოგართმევ კოკას მანათათა.

გ ე უ რ ქ ა—მერე ერთი თოხლისათვის თუმან ნახევარი რათ გინდა?

ბ ე რ უ ა—იმისთვინ კი მაგტელი რათ მინდა, მაგრამ ერთი რკინის ჯაჭვიც მინდა ვიყიდო.

გ ე უ რ ქ ა—მერე ჯაჭვი რათ გინდა?

ბ ე რ უ ა—რა ვიცი, მკითხავმა თქვა, მზე რომ დაბნელდება ულაყი ჩოჩრები გაცოფიანდებიან და ძაღლებს დაგლეჯენო. ერთი ჩოჩორი მყავს, მართლა თუ ღმერთი გაუწყრა და გაცოფიანდა, ჩვენს ბატონს ოცი მეტი მწევარი და მეძებარი ჰყავს, სულ დაგლეჯს და ვიღა მოურჩება იმასა, მინდა წინდაწინვე ჯაჭვით დავაბა.

ბერუას სიტყვები გლეხთა მდგომარეობის ცოცხალ სურათს ბატავს გლეხს სიცოცხლეს უმწარებს მებატონე, სამღვდელოება, მოხელეები, მკითხავები და ყოველი მუქთახორა. ყველა მათგანი მოხერხებულ დროს გლეხის წასაგლეჯად და თავის ჯიბის გასასქელებლად იყენებს. მზის დაბნელების გამო, ზოგს კიდევ უფრო გათენებია; მღვდელს და მკითხავს უზომო შემოსავალი გაჩენია.

ყველაფერი გლეხის ზურგზე გადადის. ბერუას „ერთი ჩოჩორი ყავს“, ხოლო მის „ბატონს ოცზე მეტი მწევარი და მეძებარი“. ამიტომ ბერუას ეშინია გაცოფებულმა ჩოჩორმა ზიანი არ მიაყენოს ბატონის „ძაღლების ჯოგს“, თორემ „ვიღა მოურჩება იმასა“. აი, რა ადარდებს ბერუას, თორემ მზის დაბნელება, ინდოსა და ზაალიევით, როდი აშინებს, „რაც მოგვიეა, მოგვიეაო“, ამბობს ბერუა და რუსთაველის სიტყვებს იმოწმებს: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასე უნდა ვით ქვიტკირსაო“.

უთუოდ ბევრი გასაჭირის მნახველი ბერუა ახალ დროს უფრო ემდურება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გლეხის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე გამხდარა. „დიამბეგის იასაულების შიშით სახლში ქათამი ვეღარ შემინახაესო“, სწუხს ბერუა.

ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ გლეხის მოტყუებასა და წაგლეჯაში სხვებს არც ვაჭრები ჩამორჩებიან („ქორწილი ხევსურთა"), ჩვენ გვექნება საკმაოდ სრული სურათი სოციალური უკუღმართობისა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზ. ანტონოვის გლეხებს. აკლიათ მებრძოლი განწყობილება. ისინი ერიდებიან მებატონის აუგად ხსენებას, უფრო მეტ გაბედულებას მოხელეთა და ვაჭართა შესახებ მსჯელობისას იჩენენ. მართალია, პიესებში კარგად იგრძნობა ის, თუ რა მდგომარეობაშია გლეხი ბატონყმური ურთიერთობის ეპოქაში, მაგრამ უშუალო გალაშქრება ამ ურთიერთობის წინააღმდეგ არ გვაქვს და მისი კრიტიკა მოცემულია არაპირდაპირ და მკრთალად. ზ. ანტონოვი ამ შემთხვევაში სიფრთხილეს იჩენს, რათა აშკარად არ დაუპირისპირდეს მმართველი წრეების პოლიტიკურ კურსს, რომელიც მიმართული იყო მაღალი წოდების უფლებათა განმტკიცებისაკენ. ზ. ანტონოვის მდგომარეობაში მყოფს (დაბალი წრიდან გამოსულს) მეტი გაბედულება საბედისწერო რისკად უნდა მიეჩნია.

ბატონყმური ურთიერთობისა და თავადაზნაურთა ცხოვრების კრიტიკაში ზ. ანტონოვი, გ. ერისთავთან შედარებით, წინ არ წასულა. პირიქით, ჩამორჩება მას. ამიტომ, მის კომედიებში გამოყვანილი გლეხები ამ მიმართულებით საგანგებოდ არიან შეზღუდულნი.

ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას, თითქოს „По сравнению с другими драматургами, например, с основоположником грузинской реалистической драматургии Георгием Эристави, З. Антонов более многогранно представил грузинское дворянство. Это обстоятельство, несомненно, является одним из наиболее значительных моментов в творчестве Антонова"[1].

* * *

ხევსურთა სოფლის ცხოვრებას მიუძღვნა ჩვენმა დრამატურგმა პიესა—„ქორწილი ხევსურთა", რომელიც თავისებურ ადგილს იპყრობს მის დრამატურგიაში. პიესაში ნაჩვენებია ხევსურთა ცხოვრების სოციალური მხარე და საყოფაცხოვრებო ხასიათის თავისებურებანი.

აიხდება თუ არა ფარდა, სცენაზე ჩანს ხევსურთა სოფელი—შატილი. მეცხვარე ნინიკა ფანტულაური და მისი მწყემსი ბესო ქვაყორაული საძოვრისაკენ ცხვარს მიერეკებიან. ნინიკა თვალ-

[1] Э. М. Абрамишвили. „Драматургия Зураба Антонова" (Автореферат...), 1950 г.

ვაშტერებული იცქირება წყაროსაკენ. ბესო შეამჩნევს, რომ ნიხიკას რაღაც აწუხებს, მისი გრძნობა და ფიქრები სხვა რამეს მიუზიდავს; კითხავს მიზეზს და ნინიკაც გაუტყდება. იგი შეყვარებულია ერთ უცნობ ქალზე, რომელიც მას აქ, წყაროზე, შეხვედრია რამდენიმე ხნის წინათ. ნინიკა თავის განცდებს სიმღერით გადაუშლის ბესოს:

თავათ არს განა ტანადი,
წვრილი წელისა მჭონია,
თმა ხშირი, შავი წნულები,
ყარყატი ყელის მჭონია.
სახითა მშვენი, ლამაზი,
ასპიდის თვალთა მჭონია!
შევხედე, მისმა მშვენებამ,
მახვილი მგმირა,—მგონია!
ასე უწყალოდ კოდილსა,
კვლავ მისი ნახვა მდომია,
და თუ ის ცოლად არ ვირთე,
რაღა კაცობა მჭონია!

ლაღი მთის შვილი სიყვარულის ძლიერი გრძნობის მონა გამხდარა; გრძნობს, რომ უკან ვეღარ დაიხევს; მზადაა ყოველგვარ დაბრკოლებას შეებრძოლოს, მხოლოდ იპოვოს და დაისაკუთროს მისთვის ძვირფასი არსება. ბესო ცდილობს ნინიკა გონს მოიყვანოს, ურჩევს საქმე, წესისამებრ, შუამავლით მოაგვაროს, მაგრამ ამაოდ. გამოჩნდა ლამაზი ასულიც—ქალთამზე ლუმსაური, რომელსაც ნინიკა წინ გადაუდგება. ქალ-ვაჟის ხან ტკბილი, ხან მღელვარე საუბარი ურთიერთგაგებით მთავრდება, მაგრამ ქალთამზე ნინიკას მოაგონებს: „პატრონ მყავს, მე რაიდა მკითხვენ, ჩემდა გასტუმრება მათ იციანო“.

მკითხველი თუ მაყურებელი ხედავს, რომ დრამატურგმა მის წინაშე თავისებური სამყარო გადაშალა, თავისებური ჩვეულების მქონე გმირები აამეტყველა, რომლის მსგავსს ქართული თეატრი და დრამატურგია მანამდე არ იცნობდა. სცენაზე თეთრჩოხიანი და ღიპებდასიებული თავადები და მათი გაქნილი მსახურები კი არ ფუსფუსებენ, არამედ კომბლიანი მწყემსები დააბოტებენ. მოქმედების დასაწყისშივე იგრძნობა, თუ როგორი სისწრაფითა და სიძლიერით იპყრობს სიყვარულის გრძნობა ლაღი მთის შვილებს, გასაგები ხდება ისიც, თუ რამდენად შეზღუდულია ქალის უფლება — თვითონ ამოირჩიოს თავისი გულის სწორი. ამ მომენტს უსიამოვნო დისონანსი შეაქვს ახალგაზრდების ცხოვრებაში, მაგრამ ძნელია მისგან გეერდის ავლა, ტრადიცია ხშირად გრძნობასაც აუფერულებს. ნინიკამ მაჟანკალი აშუამაელა და ქორწილიც გადაწყდა.

დათაია ლუმსაურს ვაჟის მაყრები ესტუმრა და დედოფლის წაყვანა სურთ, მაგრამ დათაიამ საქორწილო რიგი და ქორწილის თავისთან გადახდა მოითხოვა. „რაისა ამბობთ, თქვე ძუნწოო!—მიმართავს დათაია ნინიკას მაყრებს,—უნდა მოგეღოთ ჩემდა სამაუროდა, ერთ ხარ, ერთ ძროხა, ექვს ცხორ, ორ ჩებინ, ოც ტაგან ღვინო სასმელადაო, განაი ამაებსა როდესაც მოიღებდითა, მაშინღა იქნებოდითა ჩემდა მოყვრები“, „რაისად ჰქვიან მოყვრისად წასვლა, აქაიდ უნდა მელხინის მეზობელნი და მერეიდ წავსულიყაიდ მოყვრისადაო“.

ვაჟის მაყრებს სხვა გზა აღარა აქვთ და ჭალიც ძალით მიყავთ. ჩვენ თვალწინ იშლება ხევსურული ქორწილის თავისებური ცერემონიალი, რომელიც გარკვეულ ინტერესს იწვევს.

პიესაში, როგორც თავის ადგილზე იყო აღნიშნული, ნაჩვენებია აგრეთვე სინდისდაკარგული ვაჭრის თავხედური მოქმედება სოფლად. ვაჭრები სარგებლობენ გლეხების გულუბრყვილო ბუნებითა და უცოდინარობით, ატყუებენ და ძარცვავენ მათ.

საინტერესო სახეა რაჭველი წყალობიკაც. იგი ავტორის მიერ საგანგებოდ არის გამოყვანილი პიესაში. მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე წუთს მოჩანს სცენაზე, მისი საშუალებით დრამატურგი მაინც ახერხებს წარმოგვიდგინოს ცხოვრება იმ ხალხისა. რომელიც სოფელ-სოფელ დაიარება დღიური სამუშაოსათვის და ცოტაოდენ ფულს ისე შოულობს. ვაჭარ კაკოლას მიერ „მოტყუებული“ წყალობიკა გახარებულია, რომ ცუდად მოწონილ მატყლს ვაჭარმა ორმოცდაათი მანეთი გადმოაყოლა: „მარა კი დაემართა ისტე, რავარი კაციც ყოფილა,—ამბობს წყალობიკა,— მატყლის მაგიერათ ორმოცდაათი მანეთი ისტე ჰრელი მოედევნებია რომე, ერთი წელიწადი მეწანწალა კახეთშიდ, ვერ შევაგროვებდი... აწი მე გედვიელი სულ სხვა გზით სურამამდის, რომ ვერ მიპოროს, იქანა უყიდი ჩემ ცოლუკას თებზს, ლაფჩინს, თავსრაკს, და სუყველაყას და ისტე მივალ შინა. წევიდეს სულდაბნეულმა ვაჭარმა დაირიკაოს“.

„ქორწილი ხევსურთა“ ახალი და საინტერესო მოვლენა იყო ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიაში. მან თეატრის სცენაზე უფლება მოუპოვა და გზა გაუხსნა დაბალი წრის ხალხის ცხოვრების ამსახველ პიესებს, მიახედა მწერლობა ქოხებისაკენ. იგი პირველი რეალისტური ნაწარმოებია, რომელშიც მთაამეტყველდა თავისი კარგითა და ავით. ამიტომ იყო, რომ კრიტიკამას იმთავითვე აღფრთოვანებით შეხვდა[1].

[1] ა. ჭ-ძე—„ზ. ანტონოვის თხზულებანი“, გაზ. „დროება“, 1876 წ., № 33, 34.

ზ. ანტონოვმა თავისი პიესებით თეატრში აამაღლა მასიური სცენების როლიც.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ზ. ანტონოვი საგანგებოდ იყო დაინტერესებული სცენაზე გამოეყვანა და მაყურებლისათვის ეჩვენებინა ყველა საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელი. მისი დრამატურგია ამ მიმართულებით მეტად მდიდარია. მას მხედველობიდან არ გამორჩენია ქალაქის მცხოვრებთა მრავალფეროვნება ეროვნული თუ სოციალური შემადგენლობით. უფრო სრულ სურათს ამ მხრივ იძლევა კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. ჩვენთვის ცნობილ გმირთა გვერდით, ძველი თბილისის ქუჩებში ვხედავთ ნაყინით მოვაჭრე გერმანელს, თვალთმაქცობით ფულის შოვნის მსურველ ფრანგს, მთვრალ რუსის მუჟიკს, მეზურნეებს, საზანდრებს, თეთრქუდოსან შარლატანებს და სხვა. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ძველი თბილისი ჯერ კიდევ აღმოსავლური და დასავლური ფერებით შემკული, სადაც ხშირად გაისმის უდარდელ ადამიანთა ხმები: „ისევ და ისევ ღვინითა“...

ცხადია, სინამდვილესთან არაფერი კავშირი აქვს დებულებას, რომლის მიხედვით ზ. ანტონოვის კომედიები „ნარტო თავადაზნაურობას და ვაჭრებს ეხებიან“[1].

6

ზ. ანტონოვის პიესათა შორის როგორც ჟანრობრივად, ასევე შინაარსითაც, განცალკევებულად დგას „ქოროღლი“.

„ქოროღლი“ არ ეხება საქართველოს ცხოვრებას. მოქმედება წარმოებს არზრუმის საფაშოში. მთავარი მოქმედი პირები არიან: არზრუმის ფაშა—ჯაფარი, მისი ქალი—გულნარა, სულთანის მდივანი – სულეიმანი, ალია ქოროღლი და მისი მეგობარი დემურჩოღლი.

პიესის პირველი მოქმედება წარმოებს ჯაფარ-ფაშას სასახლეში. ნასიამოვნები ჯაფარი ესაუბრება სულეიმანს, რომელიც სულთანის მიერაა გამოგზავნილი სათანადო ბარათით, რომლითაც იგი ჯაფარს ატყობინებს: „ჯაფარ-ფაშა! მოახწია ჩემდა სმენათა, რომელ შენა გყავს ერთი მშვენიერი ასული სახელით გულნარა, ამისათვის ვინებე მე, რათა გავიჯრა მაზედ კანონიერი ქებინი; გიგზავნი რა ამა ფარმანსა, გიბრძანებ დაუყონებლივ წამოიყვანო შენი ქალი დიდის დიდებით და პატივით და გამოსცხადდე ჩემთან. ამასთანავე გამიგზავნია ყოველს ალაგს ფარმანი, რათა რომელს ქალაქშიაც გაიაროთ, მიგიღონ დიდის დიდებითა და

[1] ფ. მახარაძე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 1929 წ., გვ. 89.

პატივითა, და აგრეთვე გამოგაცილონ თავიანთი ქალაქებიდგან ვიდრე სატახტო ქალაქს სტანბოლამდე. ხოლო როდესაც აქ მოხვალთ, მე მიგიღებთ პატივითა, გავიჭრი შენს ასულზედ ქებინსა, და გავხდი ჩემს პირველ ცოლათა, აგრეთვე შენ, როგორც ჩემს სიმამრსა, მოგცემ დიდ პატივსა და მოგანიჭებ ჯილდოებსა".

ჯაფარის სიხარულს საზღვარი არა აქვს, ლოცავს ალაჰს და დიდ საჩუქრებს პირდება სულეიმანს. სასახლეში ლხინია, უკრავენ საკრავებს და მღერიან „ყაიდასა". გულნარასთან ამბის შესატყობინებლად ჯაფარი გზავნის მის აღმზრდელს—ფატმანს. იგი დარწმუნებულია, რომ მისი ასული კმაყოფილი დარჩება. გულნარა ამ დროს ესაუბრება არზრუმელ ჯადოქარს—ქიჩქინეს, რომელიც მას უამბობს ქოროღლის თავგადასავალს და ატყობინებს, რომ ქოროღლი „იწვის მწარეთ სიყვარულის ცეცხლითა და თვალთაგან ცრემლი არ შეშრობია", ხოლო სიყვარულის ობიექტი გულნარაა. გულნარა, თავის მხრივ, უმჟღავნებს, რომ ქოროღლის სიყვარული გულში აქვს ჩაბარდნილი და სთხოვს შეახვედროს მასთან. ქიჩქინე ახვედრებს მათ. გულნარა და ქოროღლი სიყვარულს შეჰფიცავენ ერთმანეთს. გულნარა სიტყვას აძლევს, რომ ერთი კვირის შემდეგ გაიპარება და გაჰყვება ცოლად.

ქიჩქინესა და ქოროღლის წასვლის შემდეგ გულნარასთან შედის გახარებული ფატმა. გულნარას ძინავს და ქოროღლთან შეხვედრაზე ბოდავს. გულნარა იღვიძებს... მას ეშმაკურად ესაუბრება ფატმა, რომელიც უკვე მიხვდა გულნარას ფიქრებს. გულნარა გამოუტყდება ფატმას ქოროღლის სიყვარულში და სასტიკ უარს ეტყვის სულთანის ცოლობაზე.

მეორე მოქმედება. ჯაფარი და სულეიმანი საუბრობენ იმაზე, თუ როგორ გაახარებდა გულნარას სულთანის გადაწყვეტილება. იხმობენ ფატმას, რომელიც ვერ ბედავს სინამდვილე თქვას, მაგრამ შემოდის თვით გულნარა და ირკვევა, რომ უარს ამბობს: „მე მიყვარს ქოროღლი და არა სულთანიო". გაჯავრებული ჯაფარი მზადაა წვდეს თავის ქალს.

ჯ ა ფ ა რ—(მივარდება და გაჯავრებით) მე მოგისპობ იმის სიყვარულსა, მე!

ს უ ლ ე ი მ ა ნ—(შუაზედ ჩაუდგება, ფაშას იქით დააყენებს და გულნარას) ასულო! განა არ შეგიძლიან მოისპო გულიდგან ქოროღლის სიყვარული და შეიყვარო სულთანი?

გ უ ლ ნ ა რ ა—მე როგორ შემიძლია მოვისპო, სიყვარული ნებით არ არის. ხოლოდ გულის მიხიდვითა,—დიდი ხანია ქოროღლიმ მიიხიდა ჩემი გული.

ს უ ლ ე ი მ ა ნ—განა ქოროღლის ცოლობას სულთანის ცოლობა არ გირჩევნიან?

გ უ ლ ნ ა რ ა—სულაც არა, მე იმაში სიამოვნებას ვერას ვხედავ, რომ ქოროღლი მიყვარდეს და სულთანს ვეხვეოდე, მერე იმასაც ბებერსა, ვინც მიყვარს ჩემი მოხვევნაც იმას ჰფერობს.

გულნარას დაშინება არავითარი მუქარით არ ხერხდება. იგი ამაყად აცხადებს: „ჩემთვის სამხიარულო იქნება, რომ ჩემი საყვარლის თავზედ მოვჰკვდეო“. გადაწყდა გულნარა მოლას ოთახში დაამწყვდიონ, მნახველნი არავინ მიუშვან და ყურანი უკითხონ.

მესამე მოქმედება. ჩვენ თვალწინაა გაშლილი ტყე, სადაც მოჩანს ქოროღლის ციხე-კოშკი, ქოროღლი წამოწოლილია და ჩიბუხს წევს. იგი ჩონგურზე ამღერებს გულნარას სახოტბო ლექსს. მასთან მიდის მისი მეგობარი დემურჩოღლი, რომელსაც გაუგია, რომ გულნარას სულთანს ატანენ, მაგრამ ვერ უმხელს. თვით დემურჩოღლიც შეყვარებულია გულნარაზე, რასაც არ უმალავს ქოროღლს, მაგრამ გულში იკლავს ამ გრძნობას.

ქ ო რ ო ღ ლ ი—დემურჩოღლი! თუ ჩემი მეგობრობა გაქვს, სწორეთ მითხარ, გიყვარს გულნარა?

დ ე მ უ რ ჩ ო ღ ლ ი—ძალიან. (ამოოხერით) ოხ, ქოროღლი! მიყვარს გულნარა! ძრიელ მიყვარს, ისე მიყვარს, რომ შემდეგ ალლახისა და შენის მეგობრობისა, გულნარახედ უძვირფასესი არა არისრა ჩემთვის.

ქ ო რ ო ღ ლ ი—ბარაქალა, დემურჩოღლი! ბარაქალა! მართლის თქმისათვისა.

დ ე მ უ რ ჩ ო ღ ლ ი—მაგრამ, მერწმუნე ქოროღლი! როგორც წეღან გითხარ, შენს მეგობრობას არ გავცვლი იმის სიყვარულზედა.

დემურჩოღლი ქოროღლს შეატყობინებს, თუ რას უპირებენ გულნარას. ქოროღლი მას ავალებს არზრუმში წასვლას, გულნარას მოტაცებასა და მოყვანას. დემურჩოღლი მიდის. მალე თვით ქოროღლიც გაემგზავრება თავისი ამხანაგებით, რადგან გრძნობს დემურჩოღლის ხიფათი ელის. დემურჩოღლი ჭიჭქინეს მალულად შეუგზავნის გულნარას. გულნარა იხმობს დემურჩოღლის, რომელიც მოემწყვდევა გულნარას ოთახში. გულნარასთან სალოცავად შესული მოლა დაინახავს დემურჩოღლის და გააბამს ყვირილს, ყვირილზე მოვარდებიან გუშაგები, დემურჩოღლი კლავს მოლას, მაგრამ მასაც იქერენ.

მოქმედება მეხუთე. არზრუმის მოედანზე ხალხს აგროვებენ. ფაშას მდივანი ხალხს აცნობს მომხდარ ამბავს და ფაშას გადაწყვეტილებას: გულნარასთან შესელისათვის დემურჩოღლის თვალები უნდა დაეთხაროს, ხოლო მოლას მოკვლისათვის—ცოცხლად გატყავდეს. დემურჩოღლი არ იბნევა, აფრთხილებს ფაშას ხელი აიღოს განაჩენზე, თორემ ქოროღლი არ შეაწევს. ჯაფარი თანახმაა შეურიგდეს, თუ მასთან დარჩება დემურჩოღლი, მაგრამ უარს იღებს. დემურჩოღლი აქებს ქოროღლს და წარმოუდგენ-

ლად მიაჩნია მასთან ჩამოცილება. ქოროღლის ყაჩაღად გავარდნაში დემურჩოღლი მაბეზღარ ფაშებსა და მირზა-მდივნებს დებს ბრალს.

ჯაფარ—ქარვანების დატაცება რაღაა?

დემურჩოღლი—იმითი ბევრს მადლს ჩადის.

ჯაფარ—როგორა?

დემურჩოღლი—ისეთს კაცებსა სტაცებს, რომელთაც ათი იმტელი კიდევ სხვა რჩებათ; ის მონატაცი მიაქვს და უწილავს საცა დაცემული ოჯახი არის და ან შეწუხებულნი ქერივი და ობლები არიან. ეხლა რამ ტელი პირი ლოცულობს ქოროღლისათვისა, რომლისაგანაც ეძლევათ დღიური ლუკმა.

ჯაფარ—მიჰქარავ! ის არის ავაზაკი.

დემურჩოღლი—ის ავაზაკი არ არის, მაგრამ თითო თითოთ კი იცნობს ავაზაკებსა, რომელშიაც ურევიან ბევრი ფაშა, ბეგი, და მდივან-მირზანი და ეს შენი მდივან-მირზაებიც მათს სიაში უწერია.

ჯალათები ემზადებიან... დემურჩოღლი ემშვიდობება არზრუმს. უეცრად გაისმის ქოროღლის ხმა. ქოროღლი აშუღის ტანსაცმელშია გადაცმული და ითხოვს ნებას ჯაფარი გაართოს. ჯაფარი კმაყოფილია აშუღის მოსვლით, მაგრამ მალე ქოროღლი მოსასხამს მოიხსნის, დემურჩოღლის ხელებს გაუხსნის, ხოლო მათი ამხანაგები სახლს ცეცხლს წაუკიდებენ და გულნარას გაიტაცებენ.

ასეთია ამ დრამის სიუჟეტური ქარგა.

ავტორის მიზანია შექმნას დაჩაგრული ხალხის ინტერესების დამცველი გმირის სახე. ქოროღლი მუსულმანურ სამყაროში მოხვედრილი არსენაა. მართალია, იგი წარმოშობით არაა დაბალი ხალხის წრიდან გამოსული, ხანის შვილია, მაგრამ შახსა და დიდებულთა შორის გამეფებულმა დაბეზღებებმა, რამაც მისი მამის თვალების დათხრა გამოიწვია, ალიას თვალები აუხილა. მას სძულს პატივმოყვარე და ცბიერი დიდებულები, სასახლეთა ვირთაგვები, რომლებიც თავაშვებულად ცხოვრობენ, ერთმანეთს არ ინდობენ და ღარიბ ხალხს აწვანან შესანახად. სულთანისა და ფაშების ჰარაჭხანებში ბევრი გული იწამლება, წრფელი სიყვარულით შეპყრობილი ასულები ხშირად სულთანისა და ფაშების პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებელ საგნებად ხდებიან. ასეთი ბედი ელოდა გულნარასაც, მაგრამ იგი იხსნა ქოროღლიმ და მისმა მეგობრებმა.

ქოროღლი სახელმოხვეჭილი შურისმძიებელია. მისი სახელი შორსაა გავარდნილი. უდანაშაულოდ დასჯილი მამის ჯავრს უსამართლო და ბოდიდარ მოხელეებზე იყრის, მაგრამ იგი არაა პირადი ანგარებით გატაცებული. იგი მოქმედებს არსენას დევიზით: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს". მას მოსაკლავად დასდევენ

ფაშები და მათი მოხელენი, მაგრამ მისთვის ლოცულობენ ქვრივ-ობლები. ამიტომაა, რომ იგი თავდავიწყებით უყვართ მეგობრებს. პატიოსან ადამიანებს.

ქოროღლის სახის შექმნა ზ. ანტონოვის დიდი დამსახურებაა. იგი ღარიბი ხალხის დამცველი პირველი გმირია, რომელიც გამოჩნდა ქართული თეატრის სცენაზე. დემურჩოღლის საჯაროდ თქმული სიტყვები, ოომ ქოროღლი ავაზაკი კი არა, არამედ მდიდრების მტერი და ღარიბთა მფარველია, რომ ავაზაკნი თვითონ ფაშები და მირზა-მდივნები არიან, უნდა ვიფიქროთ, ჭუხილივით ისმოდა იმდროინდელი თეატრის სცენიდან.

გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო იარაღად ზ. ანტონოვს მეგობრული სიმტკიცე და შეთანხმებულობა მიაჩნია. ქოროღლი ძლიერია თავისი მეგობრების წყალობით, ხოლო მისი მეგობრები—ქოროღლით.

გმირული დრამა „ქოროღლი" მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გასული საუკუნის 50-იანი წლების დრამატურგიულ მწერლობაში. მასში გაბედულად გაიჩინდა დაჩაგრულთა ინტერესების დამცველი გმირი, რომელიც ლახავს დაბრკოლებებს და იმარჯვებს. „ქოროღლს" აქვს ბევრი სუსტი მხარე. ქოროღლი ნაჩვენებია არა იმ კუთხით, რომელიც უფრო საინტერესო იქნებოდა სოციალური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით.

7

მხოლოდ იდეურ-შინაარსობლივი ანალიზი არ შეიძლება საკმარისი გახდეს მხატვრული ნაწარმოების სრული შეფასებისათვის, განსაკუთრებით დრამატურგიულ ჟანრში. მხატვრული ნაწარმოების სიძლიერის ჭეშმარიტი მაჩვენებელი შინაარსისა და ფორმის დიალექტიკური მთლიანობაა. მაღალი მხატვრული ფორმა მდიდარი შინაარსის გარეშე და პირიქით წარმოუდგენელია ნამდვილად სრულყოფილ ნაწარმოებში. მხატვრული ფორმა არის ნაწარმოების იდეური შინაარსის გამოვლენის საშუალება. ამიტომ, რაც უფრო მაღალია ნაწარმოების მხატვრული ფორმა, მით უფრო ღრმად ვწვდებით მის იდეურ აზრს, მით მეტია მისი გავლენის ძალა და მისდამი ინტერესი.

სამუდამოდ რჩებიან ლიტერატურის ისტორიის ინტერესის საგნად და უკვდავი ხდებიან მხოლოდ ის მწერლები, რომლებმაც არა მარტო სწორად გაიგეს თავისი თანამედროვე ცხოვრების სინამდვილე და საჭიროება, არამედ მოხდენილად გამონახეს ის მხატვრული საშუალებანიც, რომლებიც ყველაზე საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ამ სინამდვილისა და მასთან მწერლის დამოკიდე-

ბულებების გადმოსაცემად. შემთხვევითი არაა, რომ ყოველი ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა არა მარტო თემატიკური სიახლით ხასიათდება, არამედ ახალი ჟანრობრივი სახეებითა და მხატვრული ხერხებითაც.

დაისახა რა მიზნად თანამედროვე ცხოვრების სინამდვილის ასახვა და ამ სინამდვილის ჩამორჩენილი და დრომოჭმული მხარეების წინააღმდეგ ბრძოლა, ზ. ანტონოვი აღმოჩნდა კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე. და ვინც არ ღალატობს მოვლენათა შეფასების ისტორიულ ხედვას, მისთვის აშკარაა, რომ ზ. ანტონოვი საფუძვლიანად ფლობს ამ რთულ მხატვრულ მეთოდს. მისი დრამატურგიის იდეურ-შინაარსობლივი მხარის ანალიზმმა ცხადყო, რომ მან, ძირითადად, სწორად ასახა მისი თანამედროვე ცხოვრება, უფრო სწორად, ამ ცხოვრების ბნელი და ჩამორჩენილი მხარეები, რომელთანაც შეურიგებელ წინააღმდეგობაშია მწერალი.

ზ. ანტონოვს მიზნად ჰქონდა მიუღებელი სინამდვილის გამომზეურება, მისი ჩამორჩენილობის სინათლეზე გამოტანა და ამით ხალხის ცნობიერების გამოფხიზლება და სწორი მიმართულებით წარმართვა.

მან, როგორც მხატვარმა, თავისი მიზნის მისაღწევად სატირულ იუმორს მიმართა,—სოციალური კომედია აირჩია, და არც შემცდარა. კრიტიკული რეალიზმის ისტორია გვიჩვენებს, რომ კომედიის ჟანრი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო ამ მიმართულების მწერალთა მიზანდასახულების განსახორციელებლად.

გასული საუკუნის 50-იანი წლების ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება რეალისტ მწერალს ყველაზე მეტად კომედიისათვის აძლევდა მასალას. გ. ერისთავის მიერ არჩეული ასეთი გზა სწორად სცნო ზ. ანტონოვმაც. მისი საუკეთესო პიესები: „მზის დაბნელება საქართველოში“ და „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ სწორედ სოციალური კომედიებია. როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, დასახელებულ კომედიებს ზ. ანტონოვი „ნამდვილ კომედიას“ უწოდებს, ხოლო ყველა დანარჩენთ („ქოროღლის“ გამოკლებით) კომედიებს. „ქოროღლი“ კი ავტორის მიერ მიჩნეულია ტრაგედიად.

როგორც აღნიშნული გვაქვს, ზ. ანტონოვის დრამატურგია შემდეგ ჟანრობრივ სახეებს შეიცავს:

კ ო მ ე დ ი ა: „მზის დაბნელება საქართველოში“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, „მე მინდა კნეინა გავხდე“.

ვ ო დ ე ვ ი ლ ი: „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“, „ქმარი ხუთი ცოლისა“.

დრამა: „ქორწილი ხევსურთა“, „ქოროღლი“.

ამგვარად, თუ ზ. ანტონოვზე ვიმსჯელებთ მხოლოდ მისი ორიგინალური (და არა გადმოკეთებული) პიესების მიხედვით, ვნახავთ, რომ იგი არის ავტორი კომედიებისა და დრამების. ამასთანავე, იგი არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ორიგინალური დრამების ავტორი (მხედველობაში მაქვს, რომ „ყვარყვარე ათაბაგი“ არ არის გ. ერისთავის ორიგინალური ნაწარმოები).

ჩვენ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ პიესები: „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“ და „ქმარი ხუთი ცოლისა“ რატომაა ვოდევილები და არა კომედიები. მათი კომედიებად მიჩნევა ყოველად შეუძლებელია. მათთვის დამახასიათებელია ეფექტური კონფლიქტები და სოციალური შინაარსის სისუსტე—ვოდევილის ძირითადი ნიშან-თვისება. უფრო მეტიც, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“ ბევრ რამეში ფარსს უახლოვდება.

მტკიცების საგნად მიგვაჩნია მხოლოდ ის, თუ რატომაა „ქოროღლი“ დრამა და არა ტრაგედია, ხოლო—„ქორწილი ხევსურთა“ დრამა და არა კომედია, როგორც ეს ავტორისეული განსაზღვრით გვაქვს.

ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, რომ ტრაგედია ასახავს მომაკვდინებელ, დამღუპველ შეცდომასო და ეს მიაჩნდა ტრაგედიის ძირითად თვისებად. ტრაგედიის გმირები, უშვებენ რა „ტრაგიკულ შეცდომას“, ისინი ხდებიან უდანაშაულო დამნაშავენი; მართალია, მათი ბრძოლა კეთილშობილური მიზანდასახულებისაა (bona fide), მაგრამ უხდებათ რა მძიმე დაბრკოლებებთან შებრძოლება, როგორც წესი, ძველი ტრაგედიის გმირები იღუპებიან.

მაშასადამე, ტრაგედიისათვის ძირითადია „ტრაგიკული დანაშაული“, ანუ, როგორც ამბობენ, „ფატალური შეცდომა“. სხვა მხრივ მისგან არ განსხვავდება გმირული დრამა. ვ. ვოლკენშტეინის თქმით, „Героическая драма имеет все признаки трагедии, кроме „трагической вины“[1].

სწორედ ეს ნიშანი აკლია „ქოროღლს“, რის გამო იგი არის არა ტრაგედია, არამედ გმირული დრამა. პიესის ფინალიც გმირული დრამის შესაფერია და არა ტრაგედიის.

რაც შეეხება „ხევსურთ ქორწილს“—მისი კომედიად მიჩნევა ყოველად შეუძლებელია. ამ პიესის ძირითადი ხაზი სრულიად არაა კომიკური. თუ გნებავთ, კომიკური არაა არც კაკოლა ფინაჩოვისა და დათაია ლუმსაურის შეხვედრის სცენა. ხოლო კომედია სიცილის

[1] В. Волькенштейн. Драматургия, 1937 г., стр. 160.

გარეშე წარმოუდგენელია. ამასთანავე, არა ყოველგვარი სიცილია კომედიის მიზანი. სიცილს ადგილი აქვს დრამაშიც.

„ხევსურთ ქორწილი“, როგორც აღვნიშნეთ, დრამატურგმა მიუძღვნა ხევსურთა ცხოვრების, მათი ჩვეულებისა და წესების ჩვენებას. თავისი ძირითადი ნიშნებით იგი არის საყოფაცხოვრებო დრამა, თუმცა მასში საკმაოდ არის მელოდრამისათვის დამახასიათებელი ავანტიურისტული და მუსიკალური სცენებიც.

გმირული და საყოფაცხოვრებო დრამების შექმნამდე ზ. ანტონოვი შემთხვევით არ მისულა. ეს გამოწვეული იყო გარკვეული აუცილებლობით. მან, გააფართოვა რა თავის მასწავლებლის შემოქმედების თემატიკა და ყურადღება გაამახვილა რა დაბალი ხალხის ცხოვრებაზე, გამონახა ახალი ჟანრობრივი სახეც, რომელიც უფრო მიუდგებოდა ხალხის ცხოვრებისა და მისი ინტერესების დამცველი გმირების თავგადასავლის ასახვას.

ახალმა თემამ და ახალმა იდეურმა შინაარსმა აუცილებელი გახადა ახალი ჟანრის მომარჯვებაც, რაც წარმატებით განახორციელა ზ. ანტონოვმა.

როგორია ზ. ანტონოვის პიესების კომპოზიციური მხარე და მათი სცენური გამართულობა? ზ. ანტონოვი არის ავტორი ერთმოქმედებიანი, სამმოქმედებიანი და ოთხმოქმედებიანი პიესების.

ერთმოქმედებიანია—„განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“ (გადმოკეთებული); ორმოქმედებიანია—„ქორწილი ხევსურთა“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, „მე მინდა კნეინა გავხდე“ და „ქმარი ხუთი ცოლისა“ (მეორე მოქმედება გადმოკეთებულია); სამმოქმედებიანია—„მზის დაბნელება საქართველოში“; ოთხმოქმედებიანია—„ქოროღლი“.

მსგავსად გ. ერისთავისა, ზ. ანტონოვი თავის პიესებს მხოლოდ მოქმედებად ყოფს. გამონაკლისს წარმოადგენს გმირული დრამა „ქოროღლი“, რომლის პირველი და მესამე მოქმედება დაყოფილია სურათებად. სურათებისაგან თავის არიდება გამოწვეულია თეატრის ტექნიკური შესაძლებლობითა და პიესების კომპოზიციურ თავისებურებით.

თავისებურ მნიშვნელობას აძლევს ზ. ანტონოვი პიესათა პერსონაჟების ვინაობის აღნიშვნას. იგი დაწვრილებით მიუთითებს გმირთა ურთიერთნათესაობაზე, ასაკზე, სადაურობაზე, წოდებაზე, პროფესიაზე. საგანგებოდ არჩევს გვარებს და სხვა. უმთავრესად იყენებს ე. წ. მეტყველ გვარებს, მაგრამ პიესებში, თითქმის, არასოდეს არ ჩანს მოქმედი პირის გვარი. გმირები უმთავრესად სახელებით ეცნობიან მაყურებელს. ასეთი

მეტყველი გვარები და დაწვრილებითი ვინაობა ფაქტიურად წარმოადგენს რემარკებს, რითაც ავტორი შესაფერი როლის შემსრულებელს უადვილებს გმირის სახის გაგებას.

ზ. ანტონოვი პიესებს წერდა უშუალოდ სცენაზე წარმოსადგენად. ამიტომ, მათი მხატვრული ღირსება ადვილად არ ამოიკითხება ტექსტიდან; საჭიროა ყურადღება მიექცეს მათ სცენურობას.

ზ. ანტონოვის პიესებისათვის დამახასიათებელია სიუჟეტის მარტივი განვითარება; პარალელური ხაზების სიმცირე. ამდენად, მოქმედების მთლიანობა (ერთიანობა) ზედმეტი სიზუსტითაა დაცული, რაც ავტორს შესაძლებლობას აძლევს ადვილად დაიყვანოს მაყურებლამდე პიესის იდეური აზრი, თუმცა მცირდება ემოციური დაძაბულობა. მოქმედების ერთიანობის განვითარებაში, განსაკუთრებით კომედიებში, ავტორი ზედმეტ პუნქტუალობას იჩენს, რაც ზოგჯერ არადამაჯერებლობამდეც კი მიდის. მისი გმირები სცენაზე ჩნდებიან მაშინვე, როგორც კი ისინი საჭირონი არიან შექმნილი სიტუაციის შეუფერებელი განვითარებისათვის. გადახვევები, სხვადასხვა დაბრკოლებები, გართულების შემტანი მოვლენები, ასეთ შემთხვევებში, მისთვის მიუღებელია.

ზ. ანტონოვის პიესებში, როგორც წესი, მთავარ მაგისტრალურ ხაზს მხოლოდ ერთი პარალელური ხაზი ჰგასდევს. ამასთანავე, ძირითადი და პარალელური სცენები ხშირად ერთ მთლიან სურათად იქცევა, რადგან ერთი მოვლენის ორ კუთხეს გამოხატავენ ხოლმე.

ზ. ანტონოვი სიძუნწეს იჩენს შესავალი სცენის გაშლისას; ექსპოზიცია თითქმის პირველ სურათითვე სრულდება ხოლმე. სამაგიეროდ, ავტორი ახანგრძლივებს ძირითადი კონფლიქტის დაწყებას, რომელსაც წინ უსწრებს პარალელური ხაზის გამომვლენი სცენები.

მკითხველი თუ მაყურებელი ფიქრობს, რომ გრიგოლისა და მარეხის ურთიერთობა და მათი მომავალი ბედი არის პიესის („მზის დაბნელება საქართველოში“) მთავარი თემა, პიესის ძირითადი კვანძი თითქმის ნათელია, მაგრამ მალე გამოირკვევა, რომ დედა აზრი პიესისა სხვაა. ასევე ხდება კომედიაში—„ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“.

პარალელური ხაზები ზ. ანტონოვის კომედიებში უკიდურესობამდე მოკლებული ჰრიან „ავტონომიურობას“. მათ ავტორი იმარჯვებს მხოლოდ და მხოლოდ ძირითადი ხაზის მოსამზადებ-

ლად, განვითარების დასაჩქარებლად და ფინალის გაგების გასაადვილებლად. ამ მხრივ მეტ თავისებურებას ამჟღავნებენ მისი დრამები („ქორწილი ხევსურთა“ და „ქოროღლი“), სადაც პარალელური სცენები ნამდვილად პარალელურ სცენებს წარმოადგენენ, არაპირდაპირი გზით უკავშირდებიან მაგისტრალურ ხაზს. მაგალითად, კაკოლა ფინაჩოვისა და დათია ლუმსაურის შეხვედრის სცენა („ქორწილი ხევსურთა“). სამაგიეროდ, პარალელური სცენები დრამებში ან ადრე მთავრდებიან ან გვიან ჩნდებიან, არ გასდევენ მაგისტრალურ ხაზს თავიდან ბოლომდე.

ვიმეორებთ, ზ. ანტონოვი ამოკლებს რა ექსპოზიციას, მთავარ ყურადღებას აქცევს დრამატული კვანძის სრულყოფას. ამ შემთხვევაში იგი არ ცდება. კომედიისათვის არაა საჭირო ექსპოზიციის გახანგრძლივება, რასაც აუცილებლად საჭიროებს ტრაგედია და გმირული დრამა.

მისი კომედიების გმირები ჩამოყალიბებული ხასიათებით გვევლინებიან უკვე დრამატული კვანძის შექმნისთანავე. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ შესავალ სცენებში (ექსპოზიცია) აშკარა ხდება ხოლმე, თუ ვისი სახით რა ხასიათის გმირთან გვაქვს საქმე. ზ. ანტონოვის გმირებისათვის დამახასიათებელია არა მარტო ხასიათის მთლიანობა, არამედ მისი თავიდანვე გარკვევით გამოვლენა.

ზ. ანტონოვისათვის არაა დამახასიათებელი მკაცრი დრამატული კოლიზიების შექმნა კომედიებში. მართალია, თვით კომედიის ბუნება გამორიცხავს მკაცრ კონფლიქტს, ისეთ შეჯახებებს, რომლებიც მაყურებელში მძიმე განცდებს იწვევენ, მაგრამ მასთან შესაძლებლობის მაქსიმუმიც არასოდეს გვხვდება. ამ მხრივ ყველაზე რთულ სურათს იძლევა „მე მინდა კნეინა გავხდე“. მხედველობაში გვაქვს ბარბარესა და კეკელას დავა ქონების განაწილებაზე. ამავე კომედიაში გვაქვს გამონაკლისი, როცა კომედიის გმირი (ბარბარე) ყოველმხრივ გაუბედურებული და მიზანმიუღწეველი რჩება.

ამგვარად, კულმინაციური წერტილები ზ. ანტონოვის კომედიებში დიდად არ არის დაცილებული დრამატულ კვანძებს, ხოლო ფინალი, უმთავრესად, სუსტ წინააღმდეგობათა სრული გაქარწყლებით ხასიათდება. გამონაკლისთან საქმე გვაქვს მხოლოდ კომედიაში „მე მინდა კნეინა გავხდე“.

განსხვავებულ სურათს იძლევა დრამები: „ქორწილი ხევსურთა“ და „ქოროღლი“, განსაკუთრებით უკანასკნელი—როგორც გმირული დრამა, რომელიც ბევრ რამეში ენათესავება ტრაგედიას.

„ქოროღლში“ ექსპოზიცია თავის უფლებებშია. შესავალ სცენებში თანდათანობით მზადდება კვანძის განასკვა, რომელიც რთულ სიტუაციებში მიმდინარეობს. გარკვეული აღმავლობაა კვანძიდან კულმინაციისაკენ, საიდანაც მოვლენათა განვითარება კვლავ დაძაბულობით მიემართება ფინალისაკენ.

ზ. ანტონოვი მაყურებელთა ყურადღების დასაძაბავად და ახალი სიტუაციების შესაქმნელად ხშირად მიმართავს პერიპეტიებს. ზ. ანტონოვის დრამატურგიაში პერიპეტიები ძირითადად ორი სახისაა: პირველი, როცა მდგომარეობა იცვლება მოულოდნელად როგორც მაყურებლისათვის, ისე თვით მოქმედი გმირისათვის; მეორე, როცა მდგომარეობის სრულ შეცვლას გმირი აღწევს თავისი ენერგიული მოქმედებით.

პირველ შემთხვევასთან ადგილი გვაქვს კომედიებში: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, მეორე შემთხვევასთან-— „ქოროღლში“.

სრულიად მოულოდნელია არა მარტო მაყურებლისათვის, არამედ ბარბარესა და კეკელასთვისაც გრიგოლ ბეგლაროვის მიერ „ანდერძის წერილის“ გამოქვეყნება; ასევე მოულოდნელია მეფის განკარგულება სვიმონ გვერდელაძისათვის დანაშაულის პატიების შესახებ, რაც ცვლის შექმნილ სიტუაციას. ასეთი ხასიათის პერიპეტიებს ზ. ანტონოვი კომედიებში იყენებს, ხოლო დრამებში. კერძოდ „ქოროღლში“, მდგომარეობის სრულ შებრუნებას თვით გმირი აღწევს.

თითქოს სურათი ნათელია: გულნარას მოტაცება არ მოხერხდა, დემურჩოღლი შეიპყრეს და სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. ჯალათები ეს-ეს არის შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას... მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდება აშეღის ტანსაცმელში გადაცმული ქოროღლი, რომელიც თავისი გაბედული მოქმედებით სულ სხვაგვარად დააგვირგვინებს საქმეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზ. ანტონოვის კომედიებში არა გვაქვს παδος-ის სცენა, რომელიც გვხვდება მის დრამებში, თუმცა მეტად შეკვეცილი სახით.

ზ. ანტონოვი მეტად მოხერხებულად იყენებს ე. წ. მოულოდნელობის ხერხს. გარკვეულ სიტუაციაში დისონანსი შეაქვს მოულოდნელ ამბებს, რომლებიც არ ცვლიან საერთო მდგომარეობას, ე. ი. არ მაღლდებიან პერიპეტიებამდე, მაგრამ ხელს უწყობენ მოვლენათა დაძაბულობას, სიტუაციათა გართულებას.

როგორც პერიპეტიების, აგრეთვე ნაკლებმნიშვნელოვანი მოულოდნელი სიტუაციების შექმნას ზ. ანტონოვი წინასწარვე ამზა-

დებს, ადრევე ახდენს მათ ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ მოტივაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაუგებარი დისონანსის წყაროდ გახდებოდა.

საყურადღებოა, რომ კომედიებში ავტორი, ძირითადად, ფსიქოლოგიურ მოტივაციას მიმართავს, ხოლო დრამებში მთავარი სიმძიმე ლოგიკურ მოტივაციაზეა გადატანილი. მარჯვე მოტივირებაა მიზეზი, რომ ზ. ანტონოვის პიესებში არაფერი გვეჩვენება ნაძალადევად და სინამდვილის შეუფერებლად. ამ მხრივაც, იგი რეალიზმის პრინციპების ჰეშმარიტი დამცველია. მას ვერ იტაცებს გადაჭარბებული ჰიპერბოლურობა და გაუმართლებელი ეფექტი.

ნაწარმოების იდეური აზრის გამოსავლენად დრამატურგები იყენებენ სიტყვა-მოქმედებას და ქცევა-მოქმედებას. სიტყვა-მოქმედების სიძლიერე დამოკიდებულია დიალოგებსა და მონოლოგებზე. ხოლო ქცევა-მოქმედება რემარკებსა და რეჟისორულ-აქტიორულ ხელოვნებაზე. ამიტომაა, რომ ერთი და იგივე როლი სხვადასხვა შემსრულებლის მიერ სხვადასხვა ემოციური სიძლიერით სრულდება.

პროზაიკოსისაგან განსხვავებით, დრამატურგი ნაკლებ ჩერდება გმირის საერთო დახასიათებაზე. იგი ადგილს უტოვებს აქტიორ-შემოქმედს, რომელსაც უნდა ჰქონდეს ფანტაზია, რათა გაიაზროს, თუ როგორი უნდა იყოს ამა თუ იმ სიტყვიერი მარაგის წარმომთქმელი, ამა თუ იმ მისწრაფების მქონე ადამიანი. აქტიორმა და რეჟისორმა უნდა „შეაესონ“ დრამატული ტექსტი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება მშრალ დეკლამაციასთან.

ზ. ანტონოვმა იაკის სცენა, რის გამო გარკვეული ყურადღებით ეპყრობა რემარკების დაზუსტებას, მაგრამ მთავარ ყურადღებას მაინც სიტყვა-მოქმედებას აქცევს, ვინაიდან მისი ღირსება მხოლოდ დრამატურგზეა დამოკიდებული (მხედველობაში გვაქვს შინაარსობლივი მხარე).

დრამატურგიული თხზულების გმირი მოქმედებაში უნდა ჩამოყალიბდეს, უმოქმედობა გამორიცხულია. მისი მოქმედება კი, პირველ ყოვლისა, რეპლიკებით გადმოიცემა და იგრძნობა. დიალოგებსა თუ მონოლოგებში გმირთა მისწრაფებები, ხასიათები და ბრძოლის უნარიანობა მოჩანს. ამიტომ, დრამატურგის ნიჭიერებაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოვლინდება, თუ როგორ მოახერხებს გმირთა ხასიათების ჩამოყალიბებას, სათანადო კონფლიქტების შექმნასა და გადაწყვეტას; მოიმარჯვებს თუ არა რეპლიკებს ამ ძირითადი მიზნისათვის, თუ მხოლოდ კომიკური ეფექტების შესაქმნელად გამოიყენებს მას. კომედიის მიზანია გამოიწვიოს სი-

ცილი, მაგრამ სიცილი ნაჩვენები მოქმედების სიღრმიდან უნდა გამომდინარეობდეს და მასვე უნდა ხედებოდეს. უმიზნო ეფექტებით გამოწვეული სიცილი და მისი მიზნად გახდომა კომედიოგრაფის სისუსტეზე ლაპარაკობს. სიცილს გმირთა მოქმედება უნდა იწვევდეს და არა მათი ოხუნჯობა. უკანასკნელი იოლი ხერხია, რომელიც შეუფერებელია სოციალურ-პოლიტიკური კომედიისათვის, იგი ვოდევილისათვისაა დამახასიათებელი.

ზ. ანტონოვის კომედიები ამ მხრივ სათანადო მოთხოვნის სიმაღლეზეა. ავტორი ახერხებს შექმნას ისეთი სახეები, გამოკვეთოს ისეთი ხასიათები, რომლებიც გმირის მკვეთრ ინდივიდუალობასთან ერთად მისი წრის სოციალურ ბუნებასაც გამოხატავენ. გოგია გაუყრელაძეს, ინდო შერმანაძეს, ზაალ პინტრიშიძეს, გეურკ კარაპეტოვს, კაკოლა ფინაჩოვს და სხვებს ჩვენ ვეცნობით არა როგორც გამონაკლისებს, თავისებურებებით მდიდარ ადამიანებს, არამედ როგორც თავიანთი წოდების ტიპიურ წარმომადგენლებს, რომლებიც ბევრს გვანან და რომლებსაც ბევრი ჰგავს. ამიტომაა, რომ სიცილი, რომელსაც მათი მოქმედება იმსახურებს, ღრმა სოციალური შინაარსისაა და მაყურებელში აღვიძებს იდეურ აზრს, მიმართულს სასაცილოსა და სამარცხვინოს წინააღმდეგ. აქ სიცილი სიცილისათვის კი არაა, არამედ ადამიანთა ცნობიერების გამაჯვილებას ემსახურება. იგი ბადებს ისეთი ცხოვრების შექმნის იდეას, რომელიც თვით მწერლის ცნობიერებაში ისახება იდეალურის სახით.

თავის კომედიებში ზ. ანტონოვი უმთავრესად პირდაპირ დიალოგს მიმართავს, რომლის აზრი როგორც გმირისათვის, ასევე მაყურებლისათვის იმთავითვე გასაგებია. ავტორი ერიდება არაპირდაპირ, გადაკვრით თქმებს, თუმცა, საჭირო შემთხვევაში, არც მას ივიწყებს. რაც შეეხება მონოლოგს, ზ. ანტონოვს იგი, სრულიად სამართლიანად, მიაჩნია შენიღბულ დიალოგად. მონოლოგი ფაქტიურად დიალოგია, იგი მიმართულია ვინმესადმი, წარმოადგენს პასუხს ან მოითხოვს მას. მიმართვის ობიექტი ხშირად თანამოქმედი გმირებია, ზოგჯერ კი მაყურებელიც. ეს უკანასკნელი არაა მოულოდნელი. ნიჭიერი და სცენის მცოდნე დრამატურგი იმასაც კი ითვალისწინებს, თუ რა მომენტშია გარდაუვალი მაყურებლის სიცილი და ამის შესატყვისად აკეთებს გადასვლას.

ზ. ანტონოვს კომედიებში მინიმუმამდე აქვს შემცირებული ლირიკული ელემენტი, რომელსაც ჰარბად იყენებს დრამებში.

სამაგიეროდ კომედიებში ხშირად იყენებს ეპიკურ ელემენტს (ზეპირი შეტყობინება, წერილი, განკარგულება და სხვა). ეპიკურ ელემენტს ავტორი იმარჯვებს პერიპეტიების შესაქმნელად და სიტუაციების გასაძლიერებლად („მე მინდა კნეინა გავხდე“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „მზის დაბნელება საქართველოში“).

ზ. ანტონოვის დრამატურგიისათვის დამახასიათებელია აგრეთვე სენტენცია-აფორიზმების გამოყენება. მწერალი ჰარბად იყენებს შ. რუსთაველის აფორიზმებს, ალ. ჭავჭავაძის, დ. ბატონიშვილისა და სხვათა ლექსებსა და იგავებს. ხშირ შემთხვევაში მოხდენილად იმარჯვებს მათ გმირთა ხასიათების საჩვენებლად, მაგრამ ზოგჯერ მეტად არაბუნებრივი ელფერიც დაკრავს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ გრიგოლისა და მარეხის სცენა პირველ მოქმედებაში („მზის დაბნელება საქართველოში“), როცა მარეხი გრიგოლს ფიცს აძლევს თინათინის სიტყვებით („ფიცით გითხრობ...“), ხოლო გრიგოლი უპასუხებს ტარიელის სიტყვებით („აწ რასაც მე მაღირსებ...“).

ასევე არაბუნებრივია ზოგჯერ რემარკებით მითითებული ქცევა-მოქმედებაც. მაგალითად, სიყვარულით შეპყრობილი გმირები შეყვარებულის დანახვისთანავე გულწასულნი ვარდებიან სავარძელზე (გრიგოლი, მარეხი, კეკელა, ილიკო).

ავტორი უხვად იყენებს ხალხურ ზეპირსიტყვაობასაც, იმარჯვებს ანდაზებსა და ხალხურ ლექსებს. ლექსები, უმეტეს შემთხვევაში, სიმღერით შესასრულებლად არის გამიზნული („ხევსურთ ქორწილი“, „ქოროღლი“, „მზის დაბნელება საქართველოში“). საერთოდ, ზ. ანტონოვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს მუსიკალური ელემენტის ჰარბი გამოყენება (განსაკუთრებით დრამებში).

როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ზ. ანტონოვი კომედიებში ერიდება გმირთა მსჯელობებში არგუმენტაცია-დისკუსიის მომარჯვებას, რასაც შედარებით ხშირად მიმართავს გმირულ დრამაში („ქოროღლი“). დრამების გმირთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ემოციონალური პათეტიკა, ჰიპერბოლურობა.

ზ. ანტონოვი დიალოგებსა და მონოლოგებს იყენებს როგორც გმირთა სოციალური ბუნებისა და გონებრივი დონის გამოვლენის საშუალებას და კომიზმის წყაროს.

ზ. ანტონოვის კომიზმი ხასიათდება ბუნებრიობით. ავტორი ძალას კი არ ატანს თავის გმირებს და საგანგებოდ კი არ აყენებს

მათ კომიკურ მდგომარეობაში, არამედ ისინი მთელი თავიანთი მისწრაფებითა და მოქმედებით სასაცილონი არიან. ჩვენ ვიცინით არა შემთხვევით ჩადენილ მათ მოქმედებაზე, არამედ მათზე საერთოდ. თვით იმ დროსაც კი, როდესაც სიცილს ავტორი სიტუაციური კომიზმით აძლიერებს, აშკარად მჟღავნდება გმირთა გონებრივი ჩამორჩენილობა და კონსერვატიზმი.

სიცილის გასაძლიერებლად მიმართავს ავტორი მხოლოდ გადაჭარბების ხერხს, თორემ მისი გმირების ყოველი მოქმედება სიცილს ისედაც იმსახურებს.

ზ. ანტონოვი თავის გმირებს ცხოვრების სინამდვილიდან იღებს. მაყურებელი გაკვირვებას ეძლეოდა არა მათი ნახვით, არამედ მათი არსებობის გამო. ზნე-ჩვეულება, ხასიათი, აზროვნება და მეტყველება ზ. ანტონოვის გმირებს საკუთარი და ბუნებრივი აქვთ.

ჩვენი დრამატურგის სიძლიერე მდგომარეობს არა გმირთა გამოგონებაში, არამედ სინამდვილის პირუთვნელ და ჟეშმარიტ ასახვაში. აჟაა მისი ღირსებაც. ჯერ კიდევ ნ. ვ. გოგოლი ამბობდა: „Пора знать уже, что одно только верное изображение характеров, не в общих вытверженных чертах, но в их национально—вылившейся форме, поражающей нас живостью, так что мы говорим: „Да это, кажется, знакомый человек“,—только такое изображение приносит существенную пользу“.

სრული ერთი საუკუნე გვაშორებს ჩვენ ზ. ანტონოვის მოღვაწეობის ეპოქას. ცხადია, ამჟამად ძნელია სრულად წარმოვიდგინოთ ის იდეური გავლენა, რომელიც უსათუოდ ჰქონდა ზ. ანტონოვის დრამატურგიას იმდროინდელ საზოგადოებაზე. მაგრამ სადავო არაა, რომ მისი რეალიზმის ცხოველმყოფელობა ემსახურებოდა ხალხის უკეთეს მომავალს, ლახვარს სცემდა ჩამორჩენილსა და გადაგვარებულს.

ზ. ანტონოვის სატირული იუმორი მახვილია, იგი არ ინდობს თავის გმირებს არამარტო მიუღებელი მოქმედებისათვის, უზნეობისათვის, კონსერვატიზმისათვის, არამედ უხეირო მეტყველებისთვისაც.

საკმაოდ დაცილებულია ერთმანეთისაგან ავტორის ენა და პერსონაჟთა უმეტესობის მეტყველება. მათი გაიგივება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ზ. ანტონოვის კომედიებში ყველაზე დამახინჯებული ენით სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები ლაპარაკობენ. მათ აქვთ თავიანთი „ჩარჩული ლექსიკონი", „ჩარჩული ჟარგონი", მაგრამ არ გააჩნიათ ძირითადი ლექსიკური ფონდი და საკუთარი გრამატიკული წყობა. მათი ლექსიკური მარაგი შევსებულია რუსული, ქართული და სომხური ენებიდან. არეულია მათი მეტყველების გრამატიკული წყობაც. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ პეტრიკასა და მინასას დიალოგი („მე მინდა კნეინა გავხდე").

პ ე ტ რ ი კ ა—აღ, ქვე რას მიბძანებ.

მ ი ნ ა ს ა—ვა! ტო ასა გალისიმ ელი.

პ ე ტ რ ი კ ა—(პუბლიკისაკენ) რავა დაბნეულს მეუბნება უბედური, ვერ გავიგე. (აღას) აღა, ქვე რას მიბრძანებ, მინდა გიახლო.

მ ი ნ ა ს ა—(გაჯავრებით) ვა! ყრუ ხარ, ბიჭო. უთხარ მოვდივარ რაღა, ვა! (პეტრიკა გავა შუა კარიდან, მინასა ადგება და პუბლიკისკენ ლაპარაკობს) ვა! არ დამაცლიან, აქ ბარბარესათვინ რამე ვქნა, ერთიც ეგები ჩემი ფულებმა გავასაღო, ჰალა ეს სულ ჩემი სიდედრუას საქმე იქნება, იმან ეტყოდა, გნა ფესინ კანჩე, რა არის ერთიც დოხტური მოვიყვანო, ჩემი ცოლი კიდენ ქალი მოაშობოს, ვა!..

გარკვეული თავისებურებით ხასიათდება თავადაზნაურთა ძველი თაობის მეტყველებაც. კერძოდ მათი ლექსიკური მარაგი. მათ საუბარში ხშირად გაიგონებთ: „ვეჟო", „მამა ნუ წამიწყდება", „მამა გიცხონდა", „ოჯახქორო" და სხვა.

დასავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანია წამოწეული მსახურთა მეტყველებაში, რაც აშკარას ხდის მათ სადაურობას.

ხევსურულ დიალექტზეა აგებული დრამის „ქორწილი ხევსურთა" გმირების მთელი მეტყველება (ვაჭრისა და რაჭველის გამოკლებით), მაგრამ ეს დიალექტიც საგრძნობლადაა დამახინჯებული.

ავტორი სხვაგვარად აფასებს მეტყველებას იმ გმირებისას, რომლებსაც სწავლა-განათლება მიუღიათ. ასეთებია: გრიგოლი, მარები, ილიკო და კეკელა. მიუხედავად ეროვნული სხვაობისა, მათი ქართული მეტყველება ერთნაირია და გამართული. უფრო სწორად, განსხვავება არაა მათსა და ავტორის ენას შორის. ასეთივე სურათი გვაქვს დრამაში—„ქოროღლი", რომლის ენა, ძირითადად, ავტორისეული ენაა.

როგორია ავტორის ენა? ზ. ანტონოვის ენა გათავისუფლებულია მაღალი ძველი მწიგნობრული ენისაგან. ამ უკანასკნელს იგი კომიზმის წყაროდაც კი იყენებს კომედიაში „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა" (მხედველობაში გვაქვს პარმენისა და გრიგოლის

დიალოგები). იგი არ ეწევება არც „დაბალ“ ენამდე; მას აქვს თავისი სამწერლო ენა, რომელიც ძირითადად ქართლურ დიალექტს ეყრდნობა. ზ. ანტონოვი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართლური დიალექტი მაღლა დგას სხვა დიალექტებთან. მხედველობაში გვაქვს სცენა ვოდევილიდან „ქმარი ხუთი ცოლისა“. მოურავის კითხვას—„თქვენში კარგი ლაპარაკი რომელმა იცისო“, გვერდელაძის ცოლებიდან მხოლოდ ქეთევანა (ქართლელი ქალი) პასუხობს: „მე, შენი ჭირიმე“. ქეთევანას მეტყველება მართლაც გამართულია.

ავტორის დაკვირვებით სიტყვის ფონეტიკური შედგენილობა ერთგვარად იცვლება, როცა მოსაუბრე თავისზე მაღალი წოდებისა და ჩინის მქონეს ესაუბრება (მაგალითად: „ჰიიმე“ ნაცვლად „ჭირიმე“-სი და სხვ.).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზ. ანტონოვის სამწერლო ენა დაზღვეული არაა ბარბარიზმებისაგან, კერძოდ რუსიციზმებისაგან.

რამდენად მართებულ გზას მიყვება ავტორი, როცა პერსონაჟებს მათი საკუთარი ენით ამეტყველებს და არა ლიტერატურული ენით?

როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, ლიტერატურული ენა ემყარება მხოლოდ დადგენილ ნორმებს, ხოლო მწერლის ენა შედარებით „თავისუფალია“; იგი ზოგჯერ მიმართავს ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც შეიძლება მიიღოს ლიტერატურულმა ენამ და შეიძლება არა. მწერალი, საჭირო შემთხვევაში, პერსონაჟებს ალაპარაკებს არქაიზმებითა და დიალექტიზმებით. ამ მხრივ ყველაზე მეტად „ცოდვილნი“ არიან დრამატურგები, რომლებიც გმირების დახასიათებას კი არ გვაძლევენ, არამედ მოქმედებაში გვიხატავენ მათ. ჩვენ თვალწინ დგებიან ცოცხალი ადამიანები, თავიანთი მოქმედებითა და მეტყველებით. ამიტომ, დრამატურგი ზოგჯერ იძულებულია დაიცვას გმირისათვის დამახასიათებელი მეტყველება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხელიდან უშვებს გმირის სახის გამოკვეთისათვის ერთ-ერთ მახვილ საშუალებას. მაგრამ საჭიროა ავტორმა ისიც მოახერხოს, რომ მაყურებელს აგრძნობინოს ამ მეტყველების მანკიერება, მისი მიუღებლობა. ამ ამოცანას უსათუოდ წარმატებით წყვეტს ზ. ანტონოვი. როგორც აღვნიშნეთ, იგი თითქმის ყველა პიესაში (გარდა „ხევსურთ ქორწილისა“) ახერხებს ერთმანეთს დაუპირისპიროს გაუმართავი, დამახინჯებული ენით მეტყველი და გამართული ქართული ენით მოსაუბრე გმირები.

კიდევ მეტი. ზ. ანტონოვი პერსონაჟთა დამახინჯებულ მეტყველებას იყენებს კომიზმის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. ამგვარად, მაყურებელი დასცინის არა მარტო გმირთა შეუფერებელ მოქმედებას, არამედ მათ უხეირო ენასაც. ამიტომაა, რომ ავტორი სულ სხვაგვარად ჭრის გმირული დრამის ენის საკითხს. აქ იგი ერთნაირი, გამართული ენით ასაუბრებს თავის გმირებს.

ბიოგრაფიული მასალებიდან ვიცით, რომ სამსახურში შესვლამდე ზ. ანტონოვი მთელ დროს წიგნების კითხვას ანდომებდა. თვითგანვითარებისადმი სიყვარული მასში არც შემდეგში შესუსტებულა. კარგი ნაკითხობა და საერთო განათლება ზ. ანტონოვისა ყოველთვის იგრძნობა მის პიესებში. მაგრამ მის ღირსებას მხოლოდ წიგნებიდან მიღებული ცოდნა როდი შეადგენს. იგი უშუალოდ იცნობს ცხოვრებას, ხალხს. იგი დაინტერესებულია ჩაწვდეს ყოველი წოდებისა და საქართველოს ყოველი კუთხის ხალხთა ცხოვრებას, მათ წესებსა და ჩვეულებებს.

ზ. ანტონოვი არაა წვრილმან მოვლენათა ასახვით დაინტერესებული მწერალი. იგი უმეტესად ტიპიური ხასიათების შექმნითაა გატაცებული. მის მიერ მოწოდებული სურათები გვარწმუნებენ, რომ ავტორმა გაცილებით მეტი იცის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, მაგრამ საჭიროდ არ თვლის მის უფრო დაწვრილებით აღწერა-დახასიათებას. იგი ადგილს უტოვებს მკითხველის თუ მაყურებლის ფანტაზიას, მაგრამ უქმნის მას გარკვეულ მიმართულებას. იგი — როგორც რეალისტი—კონკრეტული სახეებიდან ქმნის ზოგადს, რაც თავის მხრივ საშუალებას აძლევს მკითხველს უფრო ღრმად ჩაწვდეს და შეიმეცნოს კონკრეტული მოვლენები.

ცხოვრების კარგი ცოდნა, საზოგადოებრივი მოვლენებისადმი თვალყურის დევნება და მათი განზოგადების უნარი ზ. ანტონოვს საშუალებას აძლევს შექმნას ჭეშმარიტად რეალისტური თხზულებანი.

გადმოცემები გვარწმუნებენ, რომ ზ. ანტონოვი მეტად მცირე დროის განმავლობაში წერდა თავის პიესებს და პიესის შექმნის საბაბად მეტად კონკრეტული ამბები და მოვლენები ხდებოდა. მის თხზულებათა 1876 წლის გამომცემლები შენიშნავენ: „ხევსურთ ქორწილზე“ გაგვიგონია, რომ ერთ დილით შეხვდნენ ხევსურები ქალაქს ჩამოსულები. მივიდა იმათთან რიყეზე; გამოჰკითხა ყოფა-ცხოვრების ამბავი, დაწერა რამდენიმე მათი ლექსი და იმავ ღამეს დაწერა მთელი ზემოხსენებული პიესაო“.

ხოლო მისი კომედიის („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“) ერთ-ერთი გმირის პროტოტიპი, ცნობილი მოღვაწე პლ. იოსელიანი წერს: „ტკბილია ტივზე ჯდომა და სიარული მტკვრისა გზითა.

კნიაზმან გიორგი გაგარინმან, აწ ღოფმეისტერმან, მოინდომა წაჰსვლა გორიდამ ტფილისს და ვიარეთ იმ გზით მე და მან 1851 წელსა სექტემბრის თვეში.—დილით წამოსული მოვედით ს. გომსა, და მეორესა დღესა 8 რიცხვსა ქალაქსა ტფილისსა. ტივზედ მჯდომელნი თავისუფლად და დაუბრკოლებლივ ვიკითხავდით წიგნთა და ვწერდით... ესრეთმან ჩვენმა მგზავრობამან მისცა საგანი კომედიის მწერალსა ანტონოვსა და დასწერა ტივით სიარული. კ. ვორონცოვმან... დააჯილდოვა მწერალი და მიიღო თავისდა ყოველივე დასაბეჭდავად წარსაგებელი"[1].

აქ მოყვანილი ორივე შემთხვევა მხოლოდ საბაბი და ნაწილობრივ წყარო გახდა აღნიშნული კომედიების დაწერისათვის. ავტორს, ცხადია, ადრეც საკმარისი დაკვირვება და შემუშავებული საერთო შეხედულება ჰქონდა შესაფერ მოვლენებზე, რომლებიც კონკრეტულ გამოხატვას ელოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მივიღებდით ასეთ თხზულებებს.

თვით ზ. ანტონოვი კომედიას „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა" ასეთ შენიშვნას უკეთებს: „იქნებ, რომელთამე წამკითხველთაგანს სათნოდ არ ამოუჩნდეს ეს პიესა, მაგრამ დაფასება ამ პიესის ღირსებისა შეუძლიანთ იმ პირთა, რომელთ სურვილისათვისაც არის დაწერილი, და აგრეთვე იმათაცა, რომელთაც ნამდვილ იციან სუეტი ამ პიესისაო".

ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად ზ. ანტონოვს ჰქონდა თავისი შეხედულება მის თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაზე. ამიტომ, მცირე საბაბის შედეგადაც, მას უადვილდებოდა რთული სოციალური შინაარსის თხზულების გააზრება და შექმნა. ამის აშკა-

---

[1] პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 83.

ი. კერესელიძე ჩვენ მიერ უკვე მითითებულ წერილში („ჩვენი დრამატურგი ბურაბ ანტონოვი") წერს: „ერთხელ პლატონ იოსელიანი, ნუმიზმატიკი ბარტლომეი..., გიორგი მუხრანსკი და რამდენიმე პირნი სხვა წავიდნენ გორში უფლისციხის სანახავად. ანტონოვი ჩუმად დასდევნებია და ესეც, როგორც ამაყი და მეტიჩარა, იქ ნახვის დროს დასწერებია. იქიდგან ეს ნასწავლი ხალხი ტფილისში დაბრუნებულა ტივით. მოვიდა თუ არა ქალაქს, ანტონოვმა სამი დღის განმავლობაში დაწერა კომედია „ტივით მოგზაურობა". დაწერა თუ არა, აუტანია სასახლეში და მიურთმევია ვარანცოვისათვის, რომელმაც დიდი სიამოვნებით მიიღო და აჩუქა ოქროს საათი. ამ შემთხვევამ ხომ სულ ფრთები შეუსხა ანტონოვსა და ერისთავი ხომ სულ გადაირია, იმის სიძულვილს საზღვარი აღარა ჰქონდა. ის აუხირდა ანტონოვს, მიიმხრო პლატონ იოსელიანიც, ბარტლომეიც და გიორგი მუხრანსკიც... და ამათ ერთად უჩივლეს ვორონცოვთან".

ი. კერესელიძის ამ გადმოცემაში არაფერი არაა მართალი, გარდა ვორონცოვის მიერ ანტონოვის დაჯილდოებისა. პლ. იოსელიანთან ერთად იმოგზაურა და კომედიაშიც გამოყვანილია გაგარინი და არა ბარტლომეი და გრ. მუხრანსკი

რა მაჩვენებელია კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. რომელიც დრამატურგს გაუაზრებია 1851 წელს მომხდარ მზის დაბნელებასთან დაკავშირებით.

თავისი ისტორია აქვს გმირულ დრამას „ქოროღლი“. ზ. ანტონოვს აღნიშნული დრამის შექმნისას უსარგებლებია ი. ევლახოვის მოთხრობით „შამლიბელის ველი“, რომელიც 1849 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „Закавказский Вестник“-ში (№№ 22—27), სათაურით—„Шамлибельская долина“.

ზ. ანტონოვი „ქოროღლის“ შესახებ შენიშნავს, რომ „სუჟეტი გამოკრებილი არის უ. ევლახოვის რუსულის პოვესტიდგანა-ო“. ავტორი ამ შემთხვევაში მოსაწონ სიზუსტეს იცავს. დრამა მართლაც არ წარმოადგენს უბრალო გადაკეთებას. ი. ევლახოვის მოთხრობა ზ. ანტონოვისათვის არის მხოლოდ ლიტერატურული წყარო, რომლის საშუალებით იგი ეცნობა გარკვეულ ამბავს. „სუჟეტი გამოკრებილი არისო“, ამბობს დრამატურგი და მართებულად მიუთითებს წყაროს გამოყენების ხასიათზე.

ზ. ანტონოვი ი. ევლახოვის მოთხრობიდან იღებს ამბავს, რომელსაც გარკვეულად ამუშავებს თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში. იგი აძლიერებს და ყურადღების ცენტრში აყენებს მმართველი წრეების კრიტიკას, ამცირებს მოქმედ გმირთა რიცხვს, სხვაგვარად აყალიბებს ექსპოზიციას, კვანძს და ფინალს თავის პიესისას. ამიტომაა, რომ თვით ი. ევლახოვი გაზეთ „კავკაზ“-ში, სხვა პიესებთან ერთად, მაღალ შეფასებას აძლევს დრამას „ქოროღლი“[1].

ზ. ანტონოვი ყოველთვის და ზუსტად მიუთითებს ლიტერატურულ წყაროებზე. ასე, მაგალითად, კომედიას „ქმარი ხუთი ცოლისა“ გაკეთებული აქვს ავტორის შენიშვნა: „მეორე მოქმედება გარდაკეთებული არის რუსულიდგან“; კომედიას „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“—„გარდაკეთებული რუსულიდგან“. უფრო მე-

---

ხოლო გ. ერისთავი არათუ უკმაყოფილო იყო ამ პიესით, არამედ მაშინვე დადგა თეატრში. უკმაყოფილება შეიძლება გამოეთქვა მხოლოდ პლ. იოსელიანს და გ. გაგარინს, სხვები კი არაფერ შუაშია.

ამიტომ უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად მიგვაჩნია ა. გაჩეჩილაძის შეხედულება: „ზ. ანტონოვის პიესის „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ სცენაზე დადგმამ, სადაც გამოყვანილი იყვნენ ბობოლა მოხელეები, ისე ააღელვა მეფის სატრაპები, რომ მეფის ნაცვალს საჩივრით მიმართესო“ (იხ. ქართული თეატრის 100 წლის თავის საიუბილეო კომიტეტის ერთდროული გაზეთი „ქართული თეატრი“, 1950 წ., 30 ოქტომბერი). ბობოლა მოხელეებად და მეფის სატრაპებად პლ. იოსელიანისა და გ. გაგარინის მონათვლა, მეტი რომ არა ვთქვათ. უხერხულია.

[1] И. Евлахов. Грузинский театр, „Кавказ“, 1855 г., № 2.

ტიც, კომედიაში „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ ავტორი შენიშნავს: „ფრანციცული (ლაპარაკია პარმენისა და გრიგოლის დიალოგზე.—დ. გ.) ამ პიესაში არის ნათარგმნი უ. სტ. სოვ. მ. ი. ჩილაევისაგან“. იგი ზუსტად მიუთითებს ხოლმე გამოყენებული ლექსების ავტორებზეც.

ამიტომ, უფრო საინტერესოდ დგება საკითხი კომედიის „მე მინდა კნეინა გავხდე“ ორიგინალობის შესახებ. აღნიშნული კომედია მიჩნეულია რუსული ენიდან გადმოკეთებულად, მაგრამ ავტორის მიერ მას არავითარი შენიშვნა არა აქვს გაკეთებული, თუმცა მის სიცოცხლეში ორჯერ დაიბეჭდა. მსგავსი პიესა რუსულ ენაზე არ აღმოჩნდა. პიესის სიუჟეტი და ენაც ისეთია, რომ მისი გადმოკეთების ვერსიის წინააღმდეგ ლაპარაკობს. საკმარისი საფუძველია ვიფიქროთ. რომ მძიმე შეცდომას ჩადიან, როცა მის ორიგინალობას ეჭვ ქვეშ აყენებენ. საგულისხმოა პიესის ბოლოთქმაც, სადაც ავტორი ამბობს: „ბატონებო, გეეჭვრებით! თუ რამ ჰპოვეთ ცთომილება, სულ-გრძელებით მომიტევეთ შემჩნეული ნაკლულება, ამად რომე ჯერ ჩემგანა პირველია ეს თხზულება, ავტორობის ხმა მასმინეთ, არ დამაჩნდეს გულს-კლულება“.

საფიქრებელია, რომ თვითონ ავტორმა არჩია პირველად კომედია გადმოკეთებულად გამოეცხადებინა, ვინაიდან მას, როგორც დრამატურგს, ჯერ არავინ იცნობდა, ხოლო შემდეგ ეს აზრი შეცდომით შერჩა ისტორიას.

ინტერესს არაა მოკლებული იმის დადგენაც, თუ ჩვენამდე მოუღწეველ ზ. ანტონოვის პიესათაგან რომელია ორიგინალური და რომელი გადმოკეთებული, მაგრამ მისი სრული დაზუსტება ამჟამად შეუძლებელია. ვფიქრობთ, რომ „თეთრი დათვი ფაშისა“ გადმოკეთებულია სკრიბის ვოდევილიდან („Медведь и Паша“). ხოლო „კოტრი ზარაფი“ ორიგინალურია. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ არცთუ გავრცელებულ სიტყვას „ზარაფი“ ავტორი იყენებს კომედიაში „მზის დაბნელება საქართველოში“. ფულის სასესხებლად მისულ ინდოს, ზაალს და ბერუას, გეურქა მიმართავს: „აი, მობრძანდით, ზარაფთან ჩავიდეთ. იქ გამოვართმევ და მოგცემთ-ო“. რაც შეეხება „კიზიროკს“, მის ორიგინალრბაში ეევის შეტანა შეუძლებელია.

ზ. ანტონოვის ორიგინალურ პიესათა ჰეშმარიტ წყაროს თვით ცხოვრების სინამდვილე წარმოადგენს; მათში ჩვენ ვერ შევხვდებით ვერც ერთ ისეთ პერსონაჟს, ვერც ერთ ისეთ სურათს, რომელიც არ შეეფერებოდეს იმდროინდელ სინამდვილეს და სწორად არ ასახავდეს მას.

III. ზ. ანტონოვის ადგილი ქართული დრამატურგიისა და კრიტიკული რეალიზმის ისტორიაში

ზ. ანტონოვი გ. ერისთავის უმცროსი თანამედროვე იყო. მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა მაღალი წოდების მდგომარეობის მკაცრი გაუარესებისა და სავაჭრო ბურჟუაზიის ცხოვრების სარბიელზე გამოსვლის ეპოქას.

ცხოვრების ობიექტურმა სინამდვილემ და გ. ერისთავის მიერ ლიტერატურაში დამკვიდრებულმა რეალისტურმა მეთოდმა მოამზადა ნიადაგი, რათა ზ. ანტონოვის შემოქმედებითი ნიჭი თავიდანვე დანიშნულებისამებრ წარმართულიყო. თავისი მოწოდებით იგი კომედიოგრაფი იყო და შესაფერმა გარემომაც საშუალება მისცა მას გამოევლინა ტალანტი.

ზ. ანტონოვს არ გაუვლია ის გრძელი და ზიგზაგებით მდიდარი გზა, რომლის გავლა წილად ხვდა „გაყრისა“ და „ძუნწის“ ავტორს. მას მომზადებული ნიადაგი დახვდა და იგიც ამ ნიადაგიდან ამაღლდა. მან, როგორც ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა, გააღრმავა და გააფართოვა თავისი მასწავლებელი.

გ. ერისთავი მივიდა არა მარტო ბატონყმური და კოლონიური უსამართლობის უარყოფის იდეამდე, არამედ ამ იდეის მაყურებელზე ზემოქმედებისათვის შესაფერი მხატვრული ქსოვილიც შექმნა. ძნელია თქვა, სად უფრო დიდია მისი დამსახურება: პროგრესული და დემოკრატიული იდეების საფუძვლის ჩაყრაში, თუ ამ იდეურ აზრისათვის შესაფერი მხატვრული ინვენტარის შემუშავებაში. მაგრამ, საბედნიეროდ, მისი როლი ისე საყურადღებოა ორივე მიმართულებით, რომ საჭიროება არ იქმნება ცალმხრივი პასუხისათვის.

გ. ერისთავმა კრიტიკულ რეალიზმს ჩვენს მწერლობაში იდეური მიმართებაც მისცა და შესაფერი მხატვრული ფორმაც. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვლაპარაკობთ არც ერთი მათგანის სრულყოფაზე.

მათი სრულყოფა გ. ერისთავის ისტორიულ მისიას არ შეადგენდა. მას, ვინც ქართული რომანტიზმის „ქარიშხალი“ ღრუბლებიდან ხმელეთზე ჩამოიყვანა და მიმართულება და ხასიათი შეუცვალა, ცხადია, ვერ მოვთხოვთ რეალისტური მეთოდის ყოველსხრივ სრულყოფას.

მან გაბატონებულ რომანტიზმს დაუპირისპირა ქართული ლიტერატურისათვის მანამდე უცხო მხატვრული მეთოდი — კრიტიკული რეალიზმი. თავდაპირველად მას არც სალიტერატურო კრიტიკა ეხმარებოდა და არც გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი. ასეთ ვითარებაში მისი კალამი მკითხველთა საზოგადოებასა და თეატრის სცენას აწვდიდა „შეშლილს“, „დავას“, „გაყრას“, „ძუნწს“ და სხვ., რითაც მტკიცე საფუძველს უყრიდა კრიტიკულ რეალიზმს. მის მოწაფეთა ამოცანა მდგომარეობდა ამ საფუძვლის განმტკიცებასა და შესაფერი დანაშენის შექმნაში.

ზ. ანტონოვის დრამატურგიის იდეურ-შინაარსობლივი მხარისა და მხატვრული ფორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი სახით გ. ერისთავს ჰყავდა ღირსეული მოწაფე, ხოლო ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართულ კრიტიკულ რეალიზმს — ნიჭიერი წარმომადგენელი.

კრიტიკული რეალიზმის პრინციპების განვითარება ზ. ანტონოვმა კვლავ დრამატურგიულ ჟანრში სცადა, თავისი შემოქმედების ავკარგის გამომხეურება ახლადაღორძინებული ქართული თეატრის სცენას მიანდო. ამ გზით იგი მკითხველთა საზოგადოებასაც წვდებოდა და მაყურებელსაც.

გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის წყალობით, გასული საუკუნის 50-იან წლებში, ქართული დრამატურგიული მწერლობა და თეატრი გახდა ფართო მასებზე ზეგავლენის მოხდენის ყველაზე ქმედითი საშუალება. იგი იქცა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობის ამსახველ სარკედ.

. ზ. ანტონოვმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა პრივილეგიური მაღალი წოდება და ბურჟუაზიაც, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდა. მან შენიშნა ისიც, რომ საქართველოს სინამდვილეში ბურჟუაზია შორს იყო რევოლუციური როლის შესრულებისაგან, ფეოდალიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაგან. ეს ორი მტრული ძალა ჯერჯერობით ერთგვარ „მორიგებასაც“ კი ცდილობდა მშრომელი ხალხის ანგარიშზე.

. ზ. ანტონოვისათვის აშკარაა, რომ მაღალი წოდების ეკონომიკური მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა და გამწარებული ეპიდებოდა საუკუნეებით განმტკიცებულ, მაგრამ ამჯერად უკვე

საფუძველშერყეულ საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმას — ბატონყმობას; რომ მას არ შესწევდა უნარი პასუხი გაეცა ახალი ცხოვრების მოთხოვნებისათვის, თუ არ შეეგუებოდა ცხოვრების ბურჟუაზიულ განვითარებას.

სატირით უმასპინძლდება დრამატურგი აგრეთვე სავაჭრო ბურჟუაზიის არაადამიანურ ეთიკას, მის ზნეობრივ უმწეობას, საზოგადოებრივი ინტერესებიდან შორს დგომას. მისი შეხედულებით, ზნეობრივად ბურჟუაზია უფრო დაბლა დგას, ვიდრე თავადაზნაურობა.

ზ. ანტონოვის თვალი ბუნებრივად ხალხის დაბალი მასებისაკენ იხედება. მის სულიერ სამყაროში ეძებს იგი მისაბაძსა და იდეალურს. მაგრამ მწერალი არ მიმართავს სინამდვილის შელამაზებას, ხოლო ობიექტური სინამდვილე არც აქ აძლევს ფრთების შესხმის საშუალებას. მშრომელი ხალხი თავისი შრომისუნარიანობით, ზნეობრივი სისპეტაკით, კეთილი გრძნობით შეუდარებლად მაღლა დგას როგორც თავადაზნაურობაზე, ასევე სავაჭრო ბურჟუაზიაზე. მაგრამ შეგნება უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისა ჯერ კიდევ სათანადოდ არაა მასში.

არსებული პოლიტიკური და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსითაა გამთბარი გმირული დრამა „ქოროღლი“, რომელშიც მოქმედება საგანგებოდაა გადატანილი ისტორიულ წარსულსა და მუსლიმანურ სამყაროში.

ქოროღლი ხალხის საყვარელი გმირია, მაგრამ იგი არაა გამოსული მშრომელი ხალხის წრიდან, არაა ფართო სახალხო ინტერესებით შეპყრობილი.

მიუხედავად ამისა, ზ. ანტონოვის მთავარი დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე, რითაც მან წინ წასწია ქართული კრიტიკული რეალიზმი, ესაა დაინტერესება ხალხის ცხოვრებით და ხალხის ინტერესების დამცველი გმირის გამოყვანა სცენაზე. მან უჩვენა მწერლობას, რომ მცდარი გზაა ხალხის ცხოვრებისაგან გვერდის ავლა, რომ მისაბაძსა და პერსპექტივის მქონეს ამაოდ ეძებენ მაღალ წოდებაში. ეს იყო ჩვენი მწერლის მიერ წინ გადადგმული საიმედო ნაბიჯი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ ბ. ბელინსკის სიტყვები, მიმართული იდეალისტ კრიტიკოსთა წინააღმდეგ და „ნატურალური სკოლის“ მწერალთა დასაცავად: „Если бы нас спросили, в чем состоит существенная заслуга новой литературной школы,— мы отвечали бы:

в том именно, за что нападает на нее близорукая посредственность, или низкая зависть,—в том, что от высших идеалов человеческой природы и жизни она обратилась к так называемой „толпе", исключительно избрала ее своим героем, изучает ее с глубоким вниманием и знакомит ее с нею же самою. Это значило повершить окончательно стремление нашей литературы, желавшей сделаться вполне национальною, русскою, оригинальною и самобытною; это значило сделать ее выражением и зеркалом русского общества, одушевить ее живым национальным интересом"[1].

ზ. ანტონოვის მხატვრულ ხედვას არ გამოპარვია საზოგადოების თითქმის არც ერთი სოციალური ფენა; მის დრამატურგიაში თავისი ადგილი პოვა: თავადმა, აზნაურმა, ვაჭარმა, გლეხმა, მოხელემ, მსახურმა, მეზურნეებმა, მესაზანდრეებმა, ქალაქის შარლატანებმა და სხვათა. იგი ცდილობს სინამდვილე ასახოს მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

მართალია, მის გმირებში არავინაა ისეთი, რომელიც შეგნებულად და აქტიურად იბრძოდეს ცხოვრების არსებული წესების წინააღმდეგ, მათი უმეტესობის ინტელექტუალური მხარეც დაბალია, მაგრამ სამაგიეროდ გამოჩნდა ის ბუდე,—დაბალი ხალხის სახით, სადაც უნდა დავაჟკაცებულიყო ასეთი გმირები. იქეთკენ იცქირება ზ. ანტონოვიც.

ზ. ანტონოვმა ვერ მოგვცა, და არც შეეძლო მოეცა, იდეალური გმირი, მაგრამ კონსერვატიზმით დაბრმავებულ მაღალ წოდებას და ეგოიზმით შეპყრობილ ვაჭართა კლასის წარმომადგენლებს მან დაუპირისპირა მათივე წიაღიდან გამოსული განათლებული ადამიანები (გრიგოლ ჩეშმაკოვი, ილიკო გურგენიძე, მარეხი, კეკელა), რომლებიც ადამიანის ღირსებას წარმოშობითა და სიმდიდრით კი არ ზომავენ, არამედ ზნეობრივი ღირსებითა და გონებრივი განვითარების დონით. ისინი თავისუფალნი არიან, ძირითადად, იმ უვიცობისა და ბოროტებისაგან, რაც მათი წინაპრებისათვისაა დამახასიათებელი და სამართლიან პროტესტს იწვევს ჩვენში. მაგრამ მათ აკლიათ ბნელით გარემოცული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი, სუსტნი არიან და ეს სისუსტე ავტორის სისუსტე როდია, ეს თვით ეპოქის სისუსტეა. ესაა იმის მიზეზიც, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ჭოროლი და მისი მეგობრებიც ავტორმა შედარებით შეზღუდულად გვიჩვენა.

[1] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., под ред. Венгерова, т. X, стр. 106

ზ. ანტონოვი, ისევე როგორც გ. ერისთავი, ვერ იძლევა იდეალური გმირის სახეს. უფრო სწორად, არ იძლევა სურათს იმ მომავალი ცხოვრებისას, რომელიც მისაღები იქნებოდა თვით ავტორისათვის. იგი კმაყოფილდება ცხოვრების ჩამორჩენილობის მძაფრი კრიტიკით, სიბნელისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლით, უვარგისისა და დრომოჭმულის კომიკურ სახეებში ჩვენებით. ერთი სიტყვით, კარგად გვიხატავს თანამედროვე ცხოვრების იმ მხარეს, რომელიც მშრომელ ხალხსა და მოწინავე ლიბერალურ წრეებში აღვიძებდა პროტესტს არსებულის წინააღმდეგ, მაგრამ ნაკლებად ჩანს თვით ეს პროტესტი.

შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ზ. ანტონოვს არ ჰქონდა იდეალი. შეუძლებელია თავისი იდეალი არ ჰქონდეს იმ მწერალს, რომელიც ასე მკაცრად და მოხდენილად ესხმის თავს მის თანამედროვე ცხოვრების ჩამორჩენილობასა და მიუღებელ სინამდვილეს. მაგრამ სად უნდა ვეძიოთ მწერლის ეს იდეალი? ამის პასუხს ჩვენ ვპოვებთ ნ. გოგოლის ბელინსკისეულ შეფასებაში: „თითოეული რუსი პოეტის თხზულებებს შეიძლება, თუმცა გაჭირვებით, მიუყენო ძველი და გაცვეთილი განსაზღვრა პოეზიისა როგორც „შემკული ბუნებისა“, — ამბობს ბ. ბელინსკი, — მაგრამ გოგოლის თხზულებათა მიმართ ეს უკვე შეუძლებელია. მათ მიუდგება სხვა განსაზღვრა ხელოვნებისა, როგორც სინამდვილის ასახვა მთელი მისი ჭეშმარიტებით. აქ მთელი საქმე ტიპებშია, ხოლო იდეალი აქ გაგებულია არა როგორც სამკაული (მაშასადამე, ტყუილი), არამედ როგორც ურთიერთობა, რომელშიც ავტორი ერთიმეორის მიმართ აყენებს მის მიერ შექმნილ ტიპებს, შესაბამისად იმ აზრისა, რომელიც სურს თავისი ნაწარმოებით განავითაროს“[1].

ასევე უნდა გავიგოთ იდეალი ზ. ანტონოვის შემოქმედებაშიც.

მოაქცია რა თავისი შემოქმედების თემატიკურ რკალში მშრომელი ხალხის ცხოვრება, ზ. ანტონოვმა ჩვენი მწერლობა გაამდიდრა დემოკრატიზმით და წინ წასწია ლიტერატურის ხალხურობის პრობლემა, გაგებული როგორც ხალხთა ინტერესებისათვის ბრძოლა.

ზ. ანტონოვი არ მისულა კლასთა ბრძოლის იდეამდე. იგი მთელ იმედებს, ძირითადად, განათლებაზე და მის გავრცელებაზე ამყარებდა. იგი ჩვენ არ გვევლინება, როგორც რომელიმე გარკვეული კლასის აპოლოგეტი იდეოლოგი.. მასში განმანათლებლის ნიშან-

[1] ბ. გ. ბელინსკი. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948 წ., გვ. 656

თვისებები ჰარბობს. იგი ამ მხრივაც სუსტი, მაგრამ ადრეული წინამორბედია „თერგდალეულებისა“ და მათი გამოსვლისათვის ნიადაგის მომმზადებელი.

ზ. ანტონოვი თავისი დრამატურგიის იდეური შინაარსის წყალობით ბუნებრივად მივიდა ჟანრობლივი არის გაფართოებამდე. მან, პირველმა ჩვენს მწერლობაში, შექმნა რეალისტურ პრინციპებზე აგებული საყოფაცხოვრებო და გმირული დრამები.

გარკვეული წვლილი შეიტანა მან ქართული სამწერლო ენის დემოკრატიზაციის საქმეშიც.

ზ. ანტონოვი არის თავისი დროის ნიჭიერი რეალისტი მწერალი, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების საქმეში. გ. ერისთავთან ერთად მან ქართული მწერლობის წინაშე ახალი სამყარო გადაშალა, ინტერესთა ახალი სფერო შექმნა.

გ. ერისთავმა და ზ. ანტონოვმა ასახეს თანამედროვე ცხოვრების სინამდვილე, და თანამედროვენი, როგორც სარკეში, ისე ჩაახედეს მასში. მართალი იყო პროფ. ალ. ცაგარელი, რომელიც ჯერ კიდევ სამოციან წლებში შენიშნავდა: „გადააველეთ თვალი ერისთავისა და ანტონოვის კომედიებს: ქართველიც (იმერელი, ქართლელი, კახელი. თუში, ფშავი, ხევსური), სომეხიც, თათარიც და ყველა ხალხნი ვინც კი იქ არის მოხსენებული ყმაწვილთაგან ბერი კაცამდე, თავადიდამ გლეხამდინ, ნახამ ყველას თავ-თავისი ხასიათით, ზნეთი, ჩვეულებითა, ადათითა, მიმართულება-მიდრეკილებითა და სხვა. ყველა ქართველი სარკესავით შიგ დაინახამს და იცნობს თავის თავსაო“[1].

საგულისხმოა და დამაჯერებელიც ამავე მკვლევარის შეხედულება გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის შემოქმედებათა ურთიერთობის შესახებ. მისი თქმით, „ისეთი თანხმობა არის იმათ პოეზიაში, რომ კაცს თითქმის ერთი კაცის ნამუშევარი ჰგონია იმათი თხზულებები. ამ ორმა მწერალმა საკვირველი სიცხადით გამოხატეს თავისი დროების ღრმა წყლული“[2].

ამით ბევრი რამ არის ნათქვამი. გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში იწყებენ ახალ ეპოქას— ეპოქას კრიტიკული რეალიზმისას.

---

[1] ალ. ცაგარელი. წიგნი მიწერილი ქართულს წარმოდგენაზე..., ჟურნალი „ცისკარი“, 1865 წ., № 4.

[2] „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, გაზეთი „დროება“, 1870 წ., № 4.

ლავრენტი არდაზიანი

ლავრენტი არდაზიანი ქართული რეალისტური პროზის ფუძემდებელთაგანია. მის სახელთან დაკავშირებულია ქართული პროზის რესტავრაცია გასული საუკუნის 50-იან წლებში.

ქართულ პროზას მეტად თავისებური ისტორია აქვს. პროზაული თხზულებებით დაედვა სათავე ჩვენი მწერლობის ისტორიას. ქართული ლიტერატურა კანონიერად ამაყობს ძველისძველი და მდიდარი ჰაგიოგრაფიული მწერლობით, რომელსაც ამშვენებს იაკობ ცურტაველის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულის, ექვთიმე და გიორგი ათონელებისა და სხვათა სახელები.

ძველი კლასიკური საერო ლიტერატურის პირველი ავტორიტეტებიც პროზაულ თხზულებათა ავტორებია. მოსე ხონელმა თავის „ამირანდარეჯანიანით“, ხოლო სარგის თმოგველმა მის მიერ გადმოკეთებული „ვისრამიანით“ გარკვეული ტრადიცია შექმნეს პროზაული ჟანრის განვითარებისათვის.

მიუხედავად ამისა, პროზას ქართულ მწერლობაში მაინც არ ხვდა სახარბიელო ბედი! რუსთაველის ესთეტიკურმა შეხედულებებმა, რომლის ჭეშმარიტ განხორციელებასაც მისივე „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს, დაამკვიდრა „ლექსად თქმის“ ტრადიცია და რამდენადაც ეს უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე დიდი სიუხვით ვითარდებოდა, იმდენად სუსტდებოდა სხვა ჟანრთა სამყარო.

ეს გარემოება იგრძნეს აღორძინების პერიოდის სიტყვის ნიჭიერმა ოსტატებმა, რომლებიც წარმატებით შეუდგნენ არსებული ხარვეზის ამოვსებას.

სულხან ორბელიანმა შექმნა საფუძველი პროზაული ჟანრის ახალი აღმავლობისათვის. მისი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი („სიტყვის კონა“), „მოგზაურობა ევროპაში“ და „სიბრძნე სიცრუისა“ მომავალ პროზაიკოსებს სავალ გზას უადვილებდა.

ენის სისადავითა და ხალხური შემოქმედების მოხდენილი გამოყენებით „სიბრძნე სიცრუისა“ საიმედო პერსპექტივას

ქმნიდა პროზაული ჟანრის განვითარებისათვის. მაგრამ ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საქმეს, რაც განსაკუთრებით აუცილებელი იყო პროზის შექმნისათვის, მეტად დიდი ზიანი მიაყენა ანტონ კათალიკოსმა და მისმა სკოლამ.

სულხან ორბელიანისა და დავით გურამიშვილის სადა, გასაგები ენა ანტონ კათალიკოსის მაღალმწიგნობრულმა ენამ განდევნა და მწერლობაში გაბატონდა სამი სტილის თეორია. ანტონის ავტორიტეტი მეტად ძნელი დასაძლევი გახდა.

ქართველი რომანტიკოსები, რომელთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა ანტონ კათალიკოსის გრამატიკული ნორმების ბატონობის პერიოდს დაემთხვა, სუსტნი აღმოჩნდნენ ენობრივი კონსერვატიზმის წინაღმდეგ ბრძოლაში. მაღალმა პოეტურმა ნიჭიერებამ უზრუნველყო, დარბაისლური ენით წერის მიუხედავად, მათი პოეტური ქმნილებანი მაინც მიმზიდველი ყოფილიყო და ლექსიკური არქაიზმისა და ძველი გრამატიკული ფორმების სიმძიმე ძლიერ რიტმულ და რითმულ მუსიკალობას დაეჩრდილა, მაგრამ პროზა ამ საშუალებასაც ბოკლებული იყო. თანაც, რომანტიკულ განწყობილებათა მხატვრული გადმოცემისათვის პროზა ნაკლებ შესაფერისი იყო, ვინემ პოეზია. ამიტომაც, მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე, გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის მიერ მწერლობაში მომხდარ გარდატეხამდე, ქართულ პროზაულ მწერლობას ღირსეული არაფერი შემატებია.

ქართული პროზის რესტავრაციის საქმე ჟურნალ „ცისკართანაა" დაკავშირებული. „ცისკარში" თანდათანობით გამოჩნდნენ, ერთი მხრივ, რუს და ევროპელ პროზაიკოსთა თხზულებების თარგმანები. ხოლო მეორე მხრივ—ქართველ პროზაიკოსთა ორიგინალური ნაწერები. „ცისკრის" პროზაიკოსთა შორის ვხედავთ გრ. რჩეულიშვილს, ი. ბერიძეს, დ. თაზიშვილს, ი. კერესელიძეს, დ. ციციშვილს, ზ. ერისთავს, რ. ერისთავს, ლ. არდაზიანს, დ. ჭონქაძეს და სხვებს. ქართული პროზის ისტორია იცნობს აგრეთვე სახელს მელანია მამაცაშვილისას (ბადრიძისა), რომელსაც მოთხრობებიც ჰქონია და რომანიც, მაგრამ მათ შესახებ წარმოდგენა გვექმნება ახლოლოდ რუსულ ენაზე თარგმნილი ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტების საშუალებით. მ. მამაცაშვილის მოგონება საჭიროა იმდენად, რამდენადაც იგი რეალიზმის წარმომადგენელია და ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ლ. არდაზიანსა და დ. ჭონქაძეს.

ამ მრავალრიცხოვან მწერალთაგან ლიტერატურის ისტორია შეტი მზრუნველობით ლ. არდაზიანსა და დ. ჭონქაძეს ეპყრობა, ვინაიდან მათ სახელებთანაა, პირველ ყოვლისა, დაკავშირებული ქართულ პროზაულ ჟანრში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება.

მართალია, „სურამის ციხე“ უფრო ადრე გამოქვეყნდა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილზე“, მაგრამ თავისი შემოქმედების თემატიკითა და სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისით ლ. არდაზიანი უფრო ახლოს დგას გ. ერისთავთან და ზ. ანტონოვთან, ვიდრე დ. ჭონქაძე. ამიტომაც, პირველ ყოვლისა, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაზე გადავდივართ.

I. ლ. არდაზიანის ცხოვრების გზა

ლ. არდაზიანის ბიოგრაფია მეტად ღარიბი და ერთფეროვანია. ამ გარემოებამ ხელიც კი შეუშალა მკვლევართა საგანგებო დაინტერესებას—შეესწავლათ მწერლის ცხოვრების გზა[1].

ლ. არდაზიანი დაიბადა ქ. თბილისში. დაბადების თარიღად უკანასკნელ დრომდე 1818 წელი იყო მიჩნეული, მაგრამ თბილისის სასულიერო სემინარიის სამრევლო სკოლის არქივის მასალების მიხედვით[2] ლ. არდაზიანი დაბადებულია 1815 წელს; ხოლო სემინარიის მიერ გაცემული მოწმობის მიხედვით—1814 წელს[3].

მართალია, ნამსახურობის ფორმულარული სიის, ნეკროლოგისა და სხვადასხვა ბიოგრაფთა ცნობების მიხედვით ლ. არდაზიანის დაბადების თარიღად 1818 წელია მიჩნეული, მაგრამ უფრო საიმედოდ მიგვაჩნია სემინარიის მიერ გაცემული მოწმობა, რომლის მიხედვით ლ. არდაზიანი 1814 წელსაა დაბადებული.

ლ. არდაზიანი წარმოშობით სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, მწერლის მამა—პეტრე არდაზიანი დეკანოზი იყო.

პეტრე არდაზიანი და მისი მეუღლე—სოფიო თავის დროისათვის განათლებულ და ქართული მწერლობის მოყვარულ პირებად მოჩანან. მათ ზრუნვა არ დაუკლიათ, რათა შვილებისთვისაც შესაფერი განათლება მიეცათ.

პეტრე და სოფიო არდაზიანებს ექვსი ვაჟი ჰყავდათ, მათ შორის უფროსი ლავრენტი იყო.

არდაზიანთა გვარი მეტად იშვიათად გვხვდება ისტორიულ წყაროებში. ამის მიზეზი თვით ამ გვარის თავისებური ისტორიაა,

---

[1] ლ. არდაზიანის ბიოგრაფიის შესწავლის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა ა. გაჩეჩილაძემ, რომელმაც ყურადღება მიაქცია საქ. სსრ სახ. ცენტრ. ისტ. არქივში დაცულ მასალებს (იხ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შრომები—„ლიტ. ძიებანი“, ტ. VI, 1950 წ., გვ. 145—154).

[2] საქ. სსრ ცენტრალური სახ. ისტ. არქივი, ფონდი 440, საქმე 21, 23.

[3] იქვე, საქმე 110, ფ. 45.

რომლის შესახებ თვითონ პეტრე და ლავრენტი არდაზიანები ლაპარაკობენ კავკასიის მმართველობაში წარდგენილ თხოვნებში.

არდაზიანები საუკუნეების მანძილზე აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდნენ და სარგებლობდნენ შესაფერი უფლებებით. მაგრამ როცა 50 იან წლებში საგანგებოდ დაიწყეს წოდებრივი ღირსებების შესწავლა-დამტკიცება, არდაზიანები არ იქნენ დამტკიცებული აზნაურებად. ამის გამო, პეტრე არდაზიანს არა ერთი თხოვნითა და საჩივრით მიუმართავს მეფისნაცვალ მ. ვორონცოვისა და გენერალ-ლეიტენანტ ვ. ბებუთოვისათვის. აღნიშნული თხოვნები, როგორც ჩანს, ლ. არდაზიანის მიერაა დაწერილი (ერთ-ერთ მათგანში აღნიშნულია: „Прошение это писал дворянин Лаврентий Ардазиани").

თავის ერთ თხოვნაში პ. არდაზიანი აღნიშნავს: „Предки мои имели именне в деревне Ванты, которую враги Грузии разорили и жителей оной, равно как и семсйство отца деда моего Робита, увели в плен. У Робита остался здесь только один сын, младенец двухмесячный — дед мой Ардазиани, спасенный во время нашествия врагов кормилицею в терновых кустах"[1].

ხოლო თხოვნაში, რომელიც მამის სახელით ლავრენტის მიერაა დაწერილი, ასე ეკითხულობთ: „По закону всеобщего изменения и судьбы фамилий не остаются в одинаковом виде: одне из них возвышаются в одном или нескольких родах и подтверждаются известностью, другие же постепенно и незаметно приходят в упадок и покрываются более или менее неизвестностью. Известность или неизвестность какой-либо фамилии зависит частью от числа членов оной, частью от времени и обстоятельств. Чем больше членов, тем известнее их фамилия; напротив, чем менее членов и фамилий, чем древнее ее начало, в особенности, если подвержена была горьким превратностям, тем более она покрывается в глазах отдельных соседей мраком неизвестности. Но по закону чистого разума от неизвестности предмета нельзя заключить к небытию его. Всякий, кто только в состоянии постигнуть в полном размере ужасающие бедствия Грузии, постигшие ей четырех сторон от варвар соседей, безошибочно может сказать, что некоторые дворянские фамилии в Грузии исчезли без следов, другие затерялись более или менее во мраке неизвестности...

---

[1] ცენტრალური სახ. ისტ. არქივი, ფონდი 213, საქმე 660.

Известно всем, знающим мне, что отец мой был единственный сын деда моего, который погиб вне пределов Грузии, оставив сына кормилице. Отец мой умер на 25-м году от рождения, а я, сирота, едва спасся с матерью бегством в Карталинию от верной смерти или плена при последнем нашествии персиан на Грузию, оставив врагам все свое достояние. В деревне Кавтисхевах я был призрен, и впоследствии покойный митрополит Варлам, узнав о моей горькой участи, принял к себе и дал приличное воспитание, посвятил во священника.

...Дворянство моей фамилии восходит к 211 году грузинского хроникона и далее, и, следовательно, есть древнее непожалованное последними царями Грузии; а потому оно известно не всем, тем более... что дом Ардазиановых перераспространен на многие ветви, а мне, так сказать, в нисходящей одной ветви, а других Ардазиановых не было и нет во всей Грузии... К счастью моему я нашел не собственных, а чужих, два документа, от которых убегают и так сомнения, ибо они признаны правительством. Один из этих царских документов хранится у вдовы-дворянки Марии Коргановой, в котором дед мой Ардазиани именуется дворянином; другой же документ есть раздельный акт князей Баратовых, учиненный к появлению царя Давида в 211 году грузинского хроникона вельможами Грузии и утвержденный царем; в нем прадед мой Ардазиани именуетея дворянином и сравнен с дворянами Арешовыми“ [1]...

მიუხედავად ამისა, პ. არდაზიანმა გენერალ-ლეიტენანტ ბებუთოვისაგან მიიღო უარყოფითი პასუხი, რომელშიც ნათქვამია:

„Совет главного управления при проверке действий бывшей Тифлисской дворянской комиссии, без всякого постороннего домогательства не оставить обратить на производство каждого дела полное самое внимание и поэтому нет особенной надобности в передаче в Совет настоящего его прошения“ [2].

როგორც მითითებული მასალებიდან ირკვევა, არდაზიანების წინაპრები ყოფილან მესხეთის მკვიდრნი, სოფელ ვანთის მცხოვრებნი. მტრის თავდასხმის გამო, ვანთის მცხოვრებთა დიდი ნა-

[1] საქ. სსრ ცენტრ. სახ. ისტ. არქივი, ფონდი 3, საქმე 352.

[2] იქვე.

წილი გაწყვეტილა ან ტყეობაში აღმოჩენილა. ასეთი ბედი ხვდომია წილად პეტრე არდაზიანის პაპასა და მამასაც.

პეტრე თავის დედის წყალობით ქართლში, სოფ. კავთისხევში, აღმოჩენილა. იგი შემდეგ შეუფარებია მიტროპოლიტ ვარლამს. რომელსაც მისთვის კარგი აღზრდა მიუცია.

არდაზიანები აზნაურები ყოფილან. მათი აზნაურობა დაუმტკიცებია ქართლის მეფე დავით X-ს (1505—1525) 1523 წელს. როგორც აზნაურნი, ისინი ბარათაშვილების ხელქვეითნი ყოფილან. ამის დამადასტურებელი საბუთი, როგორც ჩანს, პეტრესაც გააჩნია, მაგრამ იმის გამო, რომ არდაზიანები, როგორც აზნაურები, არ იყვნენ მოხსენებულნი 1783 წლის ტრაქტატის დანართში, თავადაზნაურთა უფლებების გამრჩევმა კომისიამ, რომელსაც ინფანტერიის გენერალი გ. ი. ერისთავი ხელმძღვანელობდა, მათ უარი უთხრა აზნაურობაზე.

ლავრენტი არდაზიანის მიერ დაწერილმა მეტად ლოგიკურმა თხოვნამაც შედეგი ვერ გამოიღო. სინამდვილეს არ უნდა იყოს მოკლებული არდაზიანთა საყვედური იმის შესახებ, რომ გ. ი. ერისთავი მეტად სუბიექტურადაა განწყობილი მათ მიმართ და სათანადო საბუთებს ჩქმალავს ან გვერდს უვლის.

არდაზიანები ცხოვრობდნენ ანჩისხატის უბანში (ქალაქის პირველ კვარტალში), სადაც მათ 80 კვადრატული საჟენი ფართობი სჭერიათ და ორსართულიანი სახლი ჰქონიათ.

ლ. არდაზიანმა სწავლა დაიწყო 1823 წელს, თბილისის სემინარიის სამრევლო სკოლაში. 1829 წლიდან 1831 წლამდე იგი სწავლას აგრძელებს თბილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1831 წელს—შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში.

სწავლის პერიოდში ლავრენტი ითვლებოდა საუკეთესო ყოფაქცევისა და კარგი წარმატების მქონე მოსწავლედ.

1837 წელს ლ. არდაზიანმა დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია, მაგრამ ნაცვლად სემინარიის დამთავრების ატესტატისა მიიღო მხოლოდ მოწმობა, რომლის მიხედვით იგი მეორე თანრიგის მოსწავლედ არის ჩათვლილი.

აი, ეს მოწმობაც:

Свидетельство № 320

Объявитель сего ученик высшего отделения Тифлисской духовной семинарии Лаврентий Ардазианов Тифлисской Кашветской церкви протоиерея Петра сын от роду имеет

23 года поступил в семинарию 1831-го года сентября 1 дня совершил в оной учебный курс.

Со способностями	очень хорошими
Прилежанием	должным
Поведением	хорошим
На окончательном испытании оказался успевшим в науках:	
Богословских	
Философских	очень хорошо
Словесных	
Церковной истории	
Гражданской истории	хорошо.
Языках: Латинском	
греческом	довольно хорошо
и татарском	неудо.

и принадлежит к 2-му разряду учеников. Ныне же он уволен из семинарии для поступления в эпархиальное ведомство.

Во уверение чего и дано ему сие свидетельство ему Ардазианову из Правления Тифлисской семинарии за надлежащим подписом и приложением семинарской печати, 28 июля 1837 года“ [1].

ასეთი მოწმობის მიღება ლ. არდაზიანს „დაუმსახურებია“ მხოლოდ იმიტომ, რომ საჯარო გამოცდების დროს ავად გამხდარა და ვერ მოუხერხებია გამოცდებზე გასვლა. სემინარიის ხელმძღვანელობას თავი არ შეუწუხებია მოსწავლის მდგომარეობის შესასწავლად და გამოცდებზე გამოუცხადებლობისათვის ლ. არდაზიანი მოსწავლეთა მეორე თანრიგში ჩაურიცხავს.

ლ. არდაზიანს ეგზარხოსისათვის მიუმართავს და აღდგენა უთხოვნია, რათა შესაფერი ატესტატი მიეღო, მაგრამ მისთვის უარი უთქვამთ მეტად უსაფუძვლო საბაბით და, როგორც ვნახეთ, მისცეს მხოლოდ კურსის მოსმენის მოწმობა. ეს მოხდა 1837 წლის ივლისში.

სემინარიის ხელმძღვანელთა ასეთი უსულგულო დამოკიდებულების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, ლ. არდაზიანს გადაუწყვეტია სასულიერო უწყებიდან გასვლა. ამისათვის მას სათანადო მოტივიც მოუძებნია და მიუმართავს საქართველოს ეგზარხოსისათვის:

„Имея усердное желание быть медиком, желаю получить образование медицинское в медикохирургической академии.

[1] საქ. სახ. ც. ი. ა., ფ. 440, საქმე 110, ფ. 45.

Но так как меня там не примут, ибо я нахожусь под духовном ведомстве, то на сем основании при благословении родителей моих осмеливаюсь обеспокоить ваше Высокопреосвященство всенижайшее прошением об увольнении меня из духовного ведомства“ [1]...

ეგზარხოსმა ლ. არდაზიანის განცხადება სათანადო რეზოლუციით გადასცა სემინარიის გამგეობას, რომელიც, თავის მხრივ, დათანხმდა გაეთავისუფლებინათ იგი სასწავლო უწყებიდან, ხოლო მისი სასულიერო უწყებიდან გასვლის შესახებ თავს იკავებდა, რადგან ეს მის უფლებებში არ შედიოდა[2].

სემინარიის გამგეობამ, 1837 წლის 28 აგვისტოს, თავისი დასკვნა გაუგზავნა ეგზარხოსის კანცელარიას:

„Ученик, кончивший курс Семинарского учения, Лаврентий Ардазианов взошел прошением к его вы-ству экзарху Грузии об увольнении его из духовного звания для поступления в медико-хирургическую академию, каковое прошение его выс-вом передано в Семинарское правление на рассмотрение. Правление семинарии, рассмотрев прошение Ардазианова, положило: что к увольнению его из училищного ведомства, со своей стороны не находя никаких препятствий и не входя в рассмотрение об увольнении его из Духовного ведомства, сочло нужным препроводить аттестат Ардазианова в экзаршескую канцелярию. Каковое мнение его выс-ву угоднейше утвердить от 21 авг. сего года вследствие чего Правление семинарии честь имеет препроводить в канцелярию аттестат кончившего курс семинарских наук, воспитанника Ардазианова“ [3].

საქმე ამით არ დამთავრებულა. სინოდალურმა კანტორამ კვლავ გააგრძელა საქმის შესწავლა. კერძოდ, დაინტერესდა ეის კმაყოფაზე იყო ლ. არდაზიანი სემინარიაში წასვლის დროს: ხაზინისა თუ კერძო ხარჯზე.

სინოდალურმა კანტორამ, 1838 წლის 23 თებერვალს, სემინარიის გამგეობისაგან მიიღო განმარტება, რომ „Лаврентий Ардазианов во все продолжение учения содержался на отцовском коште“.

---

[1] საქ. სახ. ც. ი. ა., ფ. 440, საქმე 110, ფ. 41.
[2] იქვე, ფურც. 42.
[3] იქვე, ფ. 44.

ცხადია, სინოდალურ კანტორას აღნიშნული ცნობა ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ ხაზინის ხარჯზე სწავლის შემთხვევაში უარი ეთქვა ლ. არდაზიანისათვის სასულიერო უწყებიდან გასვლაზე.

ლ. არდაზიანს შემდეგში სწავლა აღარ გაუგრძელებია. რამდენიმე წლის განმავლობაში სამსახურშიც არ შესულა.

1846 წლის 20 სექტემბერს ლ. არდაზიანი სამსახურს იწყებს საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამმართველოში, მწერლის თანამდებობაზე, დაბალი ხელფასით.

1847 წელს გადაყვანილ იქნა საშუალო ხელფასის მქონე მწერლის თანამდებობაზე, ხოლო 1848 წლის 20 სექტემბრიდან—უმაღლესი ხელფასის მქონე მწერლის თანამდებობაზე.

1850 წელს ლ. არდაზიანს მისცეს მაგიდის უფროსის თანაშემწის თანამდებობა.

1851 წლის მაისში მიიღო „კოლეჟსკის რეგისტრატორის" ჩინი, ხოლო 1854 წლის ოქტომბერში—ჩინი „კოლეჟსკი სეკრეტრისა".

1851 წლის 10 დეკემბერს ლ. არდაზიანი „За отлично усердную службу всемилостивейше награжден полугодовым окладом жалованья 25 р. серєб.".

1857 წლის 7 მარტს ლ. არდაზიანი დაინიშნა მაგიდის უფროსის თანამდებობაზე. 1858 წელს მიიღო „ტიტულიარნი სოვეტნიკის" ჩინი. ამავე წელს გამოდის იგი სამწერლო ასპარეზზე და ხდება „ცისკრის" ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი.

1860 წლის 20 იანვარს, მისივე თხოვნის საფუძველზე, ლ. არდაზიანი გადაყვანილ იქნა „ამიერკავკასიის პრიკაზში" მაგიდის უფროსის თანამდებობაზე. იმავე წელს მიიღო „კოლეჟსკი ასესორის" ჩინი.

1863 წლის თებერვალში ლ. არდაზიანი ბეჯითი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნა ერთდროული დახმარებით (300 მანეთის რაოდენობით).

1865 წლის 28 აპრილს იგი გადაყვანილ იქნა თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში უმცროსი საქმისმწარმოებლის თანამდებობაზე.

1866 წლის 22 ივლისს ლ. არდაზიანს ებოძა „ნადვორნი სოვეტნიკის" ჩინი. ამის გამო, გაზეთი „დროება" წერდა: „... ნადვორნი სოვეტნიკობა მიეცემა... უმცროს საქმის მწარმოებელს ლავრენტი არდაზიანს, რომელიც მსახურობს ტფილისის ღენერალ-გუბერნატორის კანცელარიაშიო" [1].

---

[1] „დროება", 1866 წ., № 37.

ამავე წელს მიიღო მან წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი.

1866 წლის დეკემბერში გაუქმდა თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარია, მაგრამ მეფისნაცვლის განკარგულებით ლ. არდაზიანი დანიშნულ იქნა წევრად დროებით კომისიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა თბილისის სამოქალაქო მილიციის საქმის გარჩევა-მოგვარება. ამ კომისიაში მუშაობდა იგი 1868 წლის 1 იანვრამდე და კარგი მუშაობისათვის ჯილდოდ მიიღო 500 მანეთი ვერცხლით.

1868 წლის 10 თებერვალს ლ. არდაზიანი დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს მდივნის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე.

ლ. არდაზიანი გარდაიცვალა 1870 წლის 1 იანვარს, ფილტვების ანთებით. დასაფლავებულია ვერის სასაფლაოზე.

ლ. არდაზიანის გარდაცვალების გამო გაზეთმა „დროებამ“ (1870 წ., № 2) და ჟურნალმა „მნათობმა“ (1869 წ., № XI—XII) გამოაქვეყნეს პ. უმიკაშვილის მიერ დაწერილი ნეკროლოგი, რომელშიაც ვკითხულობთ: „ახალმა 1870 წელმა წარგვტაცა ჩვენ... ჩინებული ქართველი, რომელმაც თავის დროს საკმაოდ იღვაწა ქართული ლიტერატურისათვის. ხუთშაბათს 1-ს იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე გარდაიცვალა, ერთი კვირის ავადმყოფობის შემდეგ, ფილტვების ანთებით, ლავრენტი არდაზიანი, 52 წლისა“.

ლ. არდაზიანს ცოლად ჰყავდა ეკატერინე ლოლაძე, რომელთანაც შეეძინა ხუთი შვილი: კონსტანტინე (დაიბ. 1853 წ.), მარიამი (დაიბ. 1862 წ.), დავითი (დაიბ. 1864 წ.), ქეთევანი (დაიბ. 1767 წ.) და ანასტასია (დაიბ. 1869 წ.).

უმწეო მდგომარეობაში დარჩენილ ეკატერინე არდაზიანს, 1870 წლის 12 იანვარს, აღუძრავს საქმე პენსიის დანიშვნაზე, რის საფუძველზეც თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ნიკ. ჭავჭავაძემ იშუამდგომლა მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს წინაშე არდაზიანის ოჯახისათვის ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ.

თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა[1], მაგრამ ლ. არდაზიანის ოჯახი შემდეგში მაინც მძიმე ეკონომიურ პირობებში ცხოვრობდა.

როგორც ვნახეთ, ლ. არდაზიანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავის ნიჭსა და ენერგიას ჩინოვნიკის უსიამოვნო და უფერული მოვალეობის შესრულებას სწირავდა, მაგრამ თავისი კეთი-

[1] საქ. სახ. ც. ი. ა., ფ. 5, საქმე 1213.

ლი ბუნებითა და მხატვრული შემოქმედებით მაინც დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

პ. უმიკაშვილი მის მიერ დაწერილ ნეკროლოგში შენიშნავს: „მცნობნი და თანამემსახურენი ერთი ხმით აღიარებენ იმის მშვიდობიანობას, პატიოსნებას და მოყვარულს გულსა; ერთი კაცი არ იტყვის იმის სამდურავსა. ამბობენ: პირიქით, თავის გამაუპატიურებელს და მტერს შემწეობით ხელს უმართავდაო; ამის დასამტკიცებლად მაგალითებიც მოჰყავთ“.

ასევე გულთბილად იგონებს ლ. არდაზიანს ზ. ჭიჭინაძეც, რომელიც წერს: „ლავრენტი პეტრეს ძე არდაზიანი იყო მეტად ჩინებული ადამიანი, ტკბილი ქართველი, პურ-მარილის მოყვარე, მეგობრების გამტანი, ვრდომილთა და ღატაკთა შემბრალე, დიდი სიმართლის მოყვარე, მუუდრო, წუნარი, მშვიდობიანი ცხოვრების მიმდევარი, ყველას პატივის მცემელი, ამის კეთილ თვისებათა მომგონებელნი დღესაც მრავალნი არიან. იგი დაბადებულა 1818 წელს, ქალაქ ტფილისში, შთამომავლობით სასულიერო წოდებას ეკუთვნის. სწავლა დაამთავრა სემინარიაში. სემინარიაში ყოფნის დროსაც ის ითვლებოდა ერთ საუკეთესო მოწაფედ... სამსახურში ყოფნის დროს იგი ირიცხებოდა ერთ მეტად გულ-მართალ და პატიოსნების მოყვარე პირათ... მეტად მოყვარე იყო ქართველ გლეხკაცებისა და სამმართველოში საქმეების დროს ყოველთვის ეხმარებოდა. ყოველი უსამართლობა და ვისმე დაჩაგვრა იმაზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა-ო“[1].

კრიტიკოსი გ. მ. თუმანიშვილი, ახლო მცნობი ლ. არდაზიანისა, თავის ერთ-ერთ წერილში წერს: „Я помню в детстве Ардазиани, спешившего по утрам на службу с портфелем в руках. Это не был еще старый человек (он умер 52 лет), но нахмуренное, морщинистое, изможденное лицо не давало угадать в этом старике того талантливого юмориста, каким он себя показал в вышеупомянутом романе („Сол. Исакич Меджгануашвили“.—Д. Г.)[2].

ლავრენტი არდაზიანის ნიჭისა და პიროვნების შესახებ განსაკუთრებით კარგი შეხედულების იყო აკაკი წერეთელიც, რომე-

---

[1] ზ. ჭიჭინაძე. ლავრენტი პეტრეს ძე არდაზიანი (იხ. „მეჯღანუაშვილი რომანი არდაზიანისა“, 1911 წ.).

[2] Г. М. Туманов. Характеристики и воспоминания, I, 1913 г., стр. 183.

ლიც თავის „ჩემ თავგადასავალში“, ახასიათებს რა „ცისკრის“ თანამშრომლებს, შენიშნავს: „...მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ნიჭის პატრონი იყო ლავრენტი არდაზიანი; ის იყო სადღაც ჩინოვნიკად. ჩუმი კაცი იყო და სათნო. მის ქართველობას საზღვარი არა ჰქონდა. ერთი შეხედვით არაფრად მოგეწონებოდა, მაგრამ შესანიშნავი მწერალი იყოო“.

ასეთი მოქალაქეობრივი სახით გამოიყურება ცნობილი მწერალი ლ. არდაზიანი, რომელმაც, მართალია, თავისი სურათი არ დაუტოვა შთამომავლობას, მაგრამ, მისი ნაწერები და თანამედროვეთა დახასიათებანი მაინც ნათლად ხატავენ მისი კეთილშობილი ბუნების გამომხატველ სახეს.

II. ლ. არდაზიანის მხატვრული შემოქმედება

1

განახლებული „ცისკრის“ მოღვაწეთა შორის ლ. არდაზიანს თავალსაჩინო ადგილი უჭირავს. მისი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერები იმთავითვე ყურადღებას იქცევდა ავტორის თეორიული განათლებითა და ცხოვრების სინამდვილის ღრმა ცოდნით.

ლ. არდაზიანის მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედება იმის მაჩვენებელია, რომ მისი ავტორი არ შემოფარგლულა იმ ცოდნით, რასაც მოსწავლეები ოფიციალურ სასწავლებლებში იღებდნენ. იგი თვითგანვითარების დიდ მოყვარულ მოღვაწედ მოჩანს.

ლ. არდაზიანი იყო წევრი დ. ჭონქაძის პატარა ლიტერატურული წრისა, სადაც ისინი ეცნობოდნენ პროგრესულად მოაზროვნე რუსი მოღვაწეების შეხედულებებს.

ლ. არდაზიანი იცნობდა სახელგანთქმულ ფილოსოფოსთა, ეკონომისტთა და მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატთა ნაწერებს; ჰქონდა ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის კარგი უნარი. ამას მოწმობს მისი ყოველი სტატია, მისი თარგმნილი და ორიგინალური შემოქმედება.

ისეთი მწერლისა და პუბლიცისტის გამოჩენა „ცისკრის“ ფურცლებზე, როგორიც ლ. არდაზიანი იყო, საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს გასული საუკუნის 50-იანი წლების ქართული ლიტერატურისათვის.

თავისი პოლიტიკური შეხედულებებით ლ. არდაზიანი ლიბერალური თავადაზნაურობის პოზიციებზე დგას, შებორკილია რელიგიური რწმენითაც, მაგრამ ცხოვრების სინამდვილის მომწიფებულმა მოვლენებმა მის მხატვრულ შემოქმედებაში მაინც მართებული რეალისტური ასახვა ჰპოვეს. მართალია, გარკვეული წინააღმდეგობანი შეინიშნება ლ. არდაზიანის შეხედულებებში, რაც ნათლად ეტინდება მის შემოქმედებაშიც, მაგრამ

ძირითადი ტენდენცია, მისი რომანების ობიექტური აზრი მწერლის თანამედროვე ცხოვრების ჭეშმარიტ ასახვას ემსახურება.

სამწერლო ასპარეზზე ლ. არდაზიანი 1858 წელს გამოვიდა. ამ წელს მან „ცისკრის“ ფურცლებზე (№ 5, 6, 7, 8) გამოაქვეყნა შექსპირის „ჰამლეტის“ პროზაული თარგმანი, რომელსაც თან ერთვოდა მთარგმნელის შენიშვნა; „ნამდვილ ენაზე, ესე იგი ანგლიურზე, მთხზველს უწერია პირველი მოქმედი პირი ჰამლეტად. ხოლო რუსულს ენაზე ნათარგმნია გამლეტად, რადგანაც არა აქვსთ რუსებს ასო ჰ. მე ნამდვილის მიხედვით ვიხმარე ჰ, რადგანაც გვაქვს ასო ესე“.

ლ. არდაზიანი „ჰამლეტს“ თარგმნის არა ინგლისური ენიდან, არამედ რუსული ენიდან [1]. კერძოდ, მას ხელთ ჰქონია პოლევოის რუსული თარგმანი, რომელიც თავის მხრივ დაცილებულია დედანს და არ იცავს მხატვრული სახეების შექმნის შექსპირისეულ სტილს. ცხადია, ლ. არდაზიანის თარგმანი, რომელიც პოლევოის თარგმანიდან მომდინარეობს, მკითხველს ვერ აძლევს შესაფერ წარმოდგენას შექსპირის „ჰამლეტზე“. ენა თარგმანისა არაა დახვეწილი და ბევრად უარესია, ვინემ ლ. არდაზიანის რომანების ენა. თარგმანის სისუსტე სალიტერატურო კრიტიკაშიც იმთავითვე აღინიშნა და მთარგმნელმაც გულწრფელად აღიარა.

ლ. არდაზიანის მიერ „ჰამლეტის“ თარგმნის ფაქტი მაინც საკურადღებო მოვლენა იყო. იგი აღვიძებდა ინტერესს შექსპირის მდიდარი შემოქმედებისადმი და ამჟღავნებდა ახალგაზრდა მწერლის ინტერესთა სამყაროს.

1859 წელს „ცისკრის“ მეცხრე ნომერში დაიბეჭდა ლექსი „ფულები“ ლ. ა.-ს ხელმოწერით. ინციალი „ლ. ა.“ გვარწმუნებს,

---

[1] საყურადღებოა, რომ 1857 წელს „ცისკრის“ მეოთხე ნომერში მოთავსებულია განცხადება „რედაქციისაგან“, რომელშიც ვკითხულობთ: „რედაქცია ქართულის სალიტერატურო ჟურნალისა „ცისკარი“ განუცხადებს სასიამოვნოდ უ. უ. ჟურნალისა ამის მკითხველთა, რომ ამ დღეებში მივიღეთ ჩინებული თხზულება განთქმულის მრთელს ევროპაში მწერლისა ვილიამ შექსპირისა— „ჰამლეტი, დანიის პრინცი“, რომელსაც ვამზადებთ დასაბეჭდავათ. ეს არის სასიამოვნო რომ უასაკონი ყრმანიც კი ცდილობენ დაცემულის ქართულის ლიტერატურის აღდგინებასა. ეს თხზულება არის გადმოთარგმნილი საკეთილშობილო ჲმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის თ. მ. ფავლენისშვილისაგან, თუმცა პროზით არის ნათარგმნი, მაგრამ კმა-საყოფელად უთაოგმნია და მდაბიურს ენაზედ ხემოხსენებულს ყმაწვილს—ყოველთათვის გასაგონათ“.

მ. ფავლენიშვილი 60—70-იან წლებში ცნობილი გახდა, როგორც საკუთარი ლექსების ავტორი და პუშკინისა და ლერმონტოვის მთარგმნელი, მაგრამ მის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ არ დაბეჭდილა. არც ის ჩანს, თუ რატომ არ დაიბეჭდა.

რომ მისი ავტორი უსათუოდ ლ. არდაზიანია, ვინაიდან სხვა იმდროინდელი მოღვაწის გვარსა და სახელს იგი არ უდგება. ამ ლექსის ასეთი ინიციალით გამოქვეყნება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ „ცისკრის“ იმავე ნომერში დაბეჭდილია ლ. არდაზიანის კრიტიკული წერილი სახელისა და გვარის მოწერით.

ლექსის შინაარსიც ლ. არდაზიანის შემოქმედების შესატყვისია.

ლექსში ლ. არდაზიანი ფულს ახასიათებს როგორც უმრავლესობის გამაუბედურებელს, იუდას სისხლით გასერილს, ადამიანის ბუნებაში შურის მთესველსა და ზნეობრივად გამრყვნელს, მეგობრული და ნათესაური გრძნობის ჩამკვლელს მაგრამ, ავტორისავე თქმით, ფულის საშუალებით ბევრი კეთილი საქმეც კეთდება, მისი წყალობით ბევრი ხარისხსა და დიდებას პოულობს, სიამოვნებას ეწევა. ამიტომაა, რომ ყველა მას ეტრფის, ლხინში თუ ჭირში მას უგალობს, ახლა „არს დრო ფულებისა“. პოეტის თქმით, „სააქაოს ცხოვრება არს კაცთ ფულის მონება“.

როგორც ვხედავთ, ლ. არდაზიანი აღნიშნულ ლექსში გამოთქვამს იმავე შეხედულებებს, რასაც უფრო სრულყოფილად „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ იძლევა. პოეტი ფულში (ბურჟუაზიულ ურთიერთობაში) არ ხედავს ზნეობრივი სისპეტაკის წყაროს, მაგრამ მის გაბატონებას მოქმედების ასპარეზზე კანონზომიერ და აუცილებელ მოვლენად თვლის.

ლექსში კარგადაა დახასიათებული ფულისადმი ლტოლვა და ფულის დანიშნულება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. აი, ეს ლექსიც:

უწესოდ გაჩენილო, ურიცხვთ დასამხობელად,
იუდას სისხლით სვრილო. ბოროტად სახმარებლად!
კაცთა ამპარტ ვნების ამწეო მეტად მაღლად,
მაგრამ ამათთან ეგრეთ კეთილს იქმ დიდად მრავლად.

ბარემ ისევ ფულებო,
ვერცხლის სიამოვნებო,
ჩვენო თვალის სინათლევ,
გონების მიმტაცებო!

ხშირად გიყვარს სტუმრობა, მარად განურჩეველი,
ამაო ფუფუნება, ჭაჭი დაუდგრომელი,
კაცთ ბუნების აღძვრელი და შურით აღმვსებელი,
სიმართლის დამჩაგვრელი, კაცთ ზნეობის გამრყვნელი.

რა ვსთქვა?—ისევ ფულებო,
ვერცხლის სიამოვნებო,
ჩვენო თვალის სინათლევ,
გონების მიმტაცებო!

ყოველნი სულნი გეტრფის, გაქვს ესრეთი ბუნება,
არა გწამს მეგობრობა, არც ნათესავთ თვისება,

ახვალ ზევით, გეძლევა ხარისხი და დიდება,
სააქაოს ცხოვრება არს კაცთ ფულის მონება!

რა გინდ ვინმემ გაძგოს, კვლავ და კიდევ ვართ შენი,
ლხინსა თუ პირვებაში შენ გიგალობს ხმა ჩვენი.
ბნელის ღამის გამნათი, უცნობისა გზის მჩენი,
პყრობილთ ტყვეთ გამომხსნელი, ფულებო, არს დრო თქვენი!

ძილი აღარ მოუვა, ვის ეწვევი სტუმრადა,
პირს ეკლება მარად ჟამს მოღიმება ხშირადა.
მიხვალ, მიგდევს, ფულებო. რახმი კარგა წყობათა,
მიხვალ, მიგდევს, მაგრამა ნუთუ ღალატობითა?

ძლიერს გავბედე, ფულებო, ამგვარი შენი ქება,
უმჯობეს ხარ ყველაზე, ვერვინ შეგედარება,
რა აო ხელთა გიპყრიეს: შექცევა, შვება, ენება,
ვინცა უმცირეს იყოს, იგიც შენით შვენდება!

„ფულების“ ავტორი ამჟღავნებდა ცხოვრების მოელენებზე დაკვირვების უნარს. ქართული მწერლობა მისგან ელოდებოდა ცხოვრების ბურჟუაზიული ყოფის კიდევ უფრო ღრმა ანალიზს.

მოლოდინი გამართლდა. 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (№ 1, 2) გამოქვეყნდა ლ. არდაზიანის ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი რომანი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რომელმაც მის ავტორს საპატიო ადგილი განუმზადა ქართული ლიტერატურის ისტორიის ფურცლებზე.

2

რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შედეგად საქართველოშიც დაჩქარდა ცხოვრების კაპიტალისტური განვითარება.

მართალია, ბატონყმური წყობილების ეპოქაში, როცა გლეხი ყოველმხრივ დამოკიდებული იყო მემამულეზე, სავაჭრო კაპიტალის განვითარებაც ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვაჭრობა-აღებ-მიცემობაში მხოლოდ გამონაკლისები ახერხებდნენ ჩაბმას, მაგრამ მათი რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა; შესამჩნევად მრავლდებოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ცხოვრების ასპარეზზე ხელცარიელნი გამოდიოდნენ, მაგრამ ჩარჩობითა და მევახშეობით დიდი სიმდიდრის პატრონნი ხდებოდნენ.

პირველდამგროებელი ვაჭარი-მევახშენი ბეჯითად ეუფლებოდნენ ფულის სხვადასხვა ფუნქციების გამოყენებას, რაც კიდევ უფრო აჩქარებდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევას.

ჩვენს სინამდვილეში სავაჭრო ბურჟუაზიის გამოჩენა ცხოვრების ასპარეზზე, პირველ ყოველისა, თბილისში იგრძნობოდა.

ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრად იქცა თბილისი, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მცხოვრებთა მრავალფეროვანების წყალობით, უფრო გულგახსნილი შეხვდა ახალი კლასის—ბურჟუაზიის საქმიანობას. პირველი გაბედული ნაბიჯები ვაჭრობა-აღებმიცემობის საქმეში თბილისელმა სომხებმა გადადგეს.

ფული და ფულის პატრონნი შესამჩნევ ძალად იქცნენ: ბურჟუაზიული ურთიერთობების დაწოლა ძირმომპალ ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემაზე თანდათანობით აშკარა გახდა. ფულმა დაარღვია ფეოდალურ ციხე-კოშკებში გაბატონებული სიმშვიდე და უდარდელობა. მამაპაპური ტრადიციების ერთგული დამცველი ფეოდალური არისტოკრატია შეაძრწუნა სამოქმედო ასპარეზზე ფულის მეპატრონეთა გაბედულმა გამოჩენამ. ლიბერალურ-თავადაზნაურთა ბანაკში დაიწყო მსჯელობა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისა და „განმტკიცების“ შესახებ; ისინი ურჩევენ თავიანთ ძმებს გამოფხიზლდნენ და უფრო კრიტიკულად შეხედონ მომავალ ცხოვრებას; მიატოვონ ჩვეული მცონარეობა და ხელი მოჰკიდონ სწავლა-განათლების მიღებასა და ვაჭრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხკაცზე უფრო უბედურნი გახდებიან. ყველაფერი ეს, სრულად და გარკვეულად ითქვა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზეც ალ. ორბელიანის პირით[1].

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებისათვის სავაჭრო ბურჟუაზია ისეთ ძალად იქცა, რომ მისი შეუმჩნევლობა და მისგან გვერდის ავლა შეუძლებელი გახდა როგორც პრაქტიკულ ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობისას.

მართალია, მაღალი წოდება მტრულად შეხვდა კაპიტალიზმის წარმოშობასა და განვითარებას საქართველოში, მაგრამ მისი უმეტესობისათვის აშკარა იყო, რომ ისტორიის ჩარხი მისკენ ეწეოდა ცხოვრების სინამდვილეს. მათ მსჯელობა დაიწყეს არა იმის შესახებ, თუ როგორ აეცდინათ ქვეყანა განვითარების ამ გზისათვის, არამედ იმის შესახებ, თუ რა საშუალება გამოენახათ, რათა შემდეგშიც შეენარჩუნებინათ უზრუნველი ცხოვრება და პრივილეგიები; თუ როგორ „მოერიგებიათ“ ერთმანეთთან ორი მტრული სისტემა.

საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მთელი ეს პროცესი შედარებით სრულად და მოხდენილად აისახა ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“.

---

[1] „ცისკარი“, 1859 წ., № 10.

როგორც უკვე ვნახეთ, ჯერ კიდევ გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის დრამატურგიაში აისახა გასული საუკუნის 40—50-იან წლებში ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხა. მაგრამ მათი ინტერესთა სამყარო მაინც განსხვავდება ლ. არდაზიანის მხატვრული ხედვის ობიექტისაგან. უფრო სწორად, ლ. არდაზიანი, მათთან შედარებით, უფრო კონკრეტულ მოვლენებს იღებს, მაგრამ მეტი სისრულითა და სიღრმით წარმოგვიდგენს მათ.

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ ავტორის მიზანია გვიჩვენოს სავაჭრო ბურჟუაზიის ფეხის ადგმისა და ცხოვრების ასპარეზზე გამოჩენის ისტორია, წარმოადგინოს ამ ახალი კლასის ეკონომიკური ყოფა და ზნეობრივ-მორალური სახე, რის საფუძველზეც, ერთი მხრივ, განსაზღვროს მისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო, მეორე მხრივ—გვაჩვენოს მისი ავი და კარგი.

ცხადია, სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა ცხოვრების სურათები მწერალს არ შეეძლო წარმოედგინა იზოლირებულად იმ საზოგადოებრივი კლასებისაგან, რომელთანაც ისინი დაკავშირებულნი იყვნენ მთელი თავიანთი საქმიანობით.

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ ლ. არდაზიანი საგრძნობ ადგილს უთმობს თავადაზნაურთა კლასის იმდროინდელი მდგომარეობის აღწერას და „სახავს“ მისი განმტკიცებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო გზას. მწერლის მსოფლმხედველობრივი ინტერესები საბოლოო ანგარიშით ამ კლასის გადარჩენისკენაა მიმართული.

გაკვრით, მაგრამ საკმაოდ მოხდენილად ეხება მწერალი ჩინოვნიკ-მოხელეთა და ეკლესიის მსახურთა „საქმიანობასაც“, ხატავს მათ ამორალურ სახეებს.

ამგვარად, ლ. არდაზიანი შეეცადა მოეცა სრული სურათი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც მდიდარი იყო საყურადღებო მოვლენებით.

ლ. არდაზიანის, როგორც მხატვრის, სიძლიერეც ამ მოვლენათა რეალისტური ასახვის ხარისხით განისაზღვრება. მათი დახასიათებისა და შეფასების პროცესში ვლინდება მისი მსოფლმხედველობის სუსტი და ძლიერი მხარეებიც, წინააღმდეგობა მისთვის სასურველსა და ნამდვილად არსებულს შორის.

ლ. არდაზიანის დასახელებული რომანის მთავარი გმირი ჩარჩვაჭარი სოლომონ ისაკიჩია, რომელიც სხვას არ ანდობს თავისი თავგადასავლის თხრობას. იგი იწყებს და იგი ამთავრებს მკითხ-

ველთან საუბარს, რომლის მიზანია დაწვრილებით წარმოადგინოს ჩვეულებრივი ვაჭრის ცხოვრების ისტორია.

სოლომონ ისაკიჩს მრავალი გაჭირვება გადაუტანია, მაგრამ არც დალხინებული და მდიდრული ცხოვრება აკვირვებს. ამიტომაა, რომ ნაწარმოების დასაწყისშივე იგი მთელი გაბედულებით აცნობს მკითხველს თავის ვინაობას: „სახელი ჩემი სოლომონ, გვარი — მეჯღანუაშვილი. რაც ქვეყანაში კაცად გამოველ, მეთაკილებოდა ჩემი გვარი და ამიტომ ვცდილობდი გვარი როგორმე შემეცვალა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თუმცა სხვანი ადვილად ახერხებენ. ხან მინდოდა მიმეცა რუსული დაბოლოება, ესრეთ: მეჯღანუევ, მეჯღანუიჩ, მეჯღანუევსკი, მაგრამ სიტყვა ჯღანი არ ამოვარდა“.

სოლომონის მამა-პაპა მეჯღანენი ყოფილან, თბილისის მცხოვრებნი. სოლომონიც თბილისში დაბადებულა, ციხის უბანში, პაპისეულ სახლში, უფრო სწორად „ქოხში, რომელიც უფრო მიეგსგავსებოდა ღრმა სოროსა, დათვის სადგომსა, ვინამც კაცის სადგომსა. ამ სასახლეს ჰქონდა სიგრძით ხუთი, სიგანით ორნახევარი ადლი“.

სოლომონი დაბადებულია მეტად საყურადღებო დროს—1800 წელს. ესაა წელი, როცა ძველი საქართველოს დაპოუკიდებლობის ისტორია ფაქტიურად დასრულდა და დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

სოლომონი ახალი ცხოვრების ღვიძლი შვილია, იგი ფეხს იდგამს სავაჭრო კაპიტალიზმთან ერთად. მისი თავგადასავალი, რომელსაც დიდი გულწრფელობითა და თანმიმდევრობით გვაცნობს თვით სოლომონი, არის სავაჭრო კაპიტალიზმის წარმომადგენელთა საერთო და ტიპიური ისტორია.

გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის ვაჭრებისაგან განსხვავებით, სოლომონს ვეცნობით არა მხოლოდ მაშინ, როცა იგი დაგროვილი კაპიტალის მეპატრონეა, არამედ ამ კაპიტალის დაგროვებისათვის ბრძოლაში და მისი მოხმარებისათვის ზრუნვაში. ამასთანავე, იგი ჩვენ თვალწინაა არა მარტო ოჯახურ ატმოსფეროში, არამედ გზაში, ბაზარში, სოფელში, ქალაქში, გაჭირვებასა და ლხინში, ქოხსა და თეატრში.

სოლომონ მეჯღანუაშვილი სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლის მეტად ცოცხალი და ტიპიური სახეა. მისი საქმე და ფიქრები სრულ წარმოდგენას გვიქმნის მე-19 საუკუნის 40—50-იანი წლების ვაჭრის თავისებურ ბუნებაზე. სოლომონის მიერ განვლილი ცხოვრების გზა იყო ის გზა, რომელიც აუცილებლად უნდა

გაეცლოთ სოროებიდან გამომძვრალ არაფრის მქონეებს, რომლებიც სხვადასხვა საშუალებებით დიდი კაპიტალის მფლობელნი ხდებოდნენ.

ერთი წლის სოლომონს მამა გარდაეცვალა. მისი დედა—თექვსმეტი წლის ქვრივი გაიანე მეტად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაიანეს ქმრისაგან დარჩა სოროს მსგავსი ქოხი, „დამსხვრეული ტახტი, ერთი ძველი ჭილობი, ერთი დაგლეჯილი ფარდაგი და ერთი პატარა ხალიჩა... ერთი ხელი ლოგინი, სამი ჩინური ჯამი, ხუთი თიხის ჯამი, ექვსი თიხის თეფში, ერთი პატარა ქვაბი და ორი შამფური“.

ასეთი „სიმდიდრის“ პატრონთ არც ახლო ნათესავები ჰყავდათ და არც სხვა ვინმე კეთილისმყოფელნი. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ გაიანეს მალე გამოუჩნდნენ „გულშემატკივარნი“ ბაყალ გეო ნონიაშვილისა და მეწვრიმალე გასპარ სარქისბეგაშვილის სახით. მათ სცადეს მოეგოთ ახალგაზრდა ქვრივის გული წვრილმანი საჩუქრებით, რათა მასთან დრო გაეტარებინათ, მაგრამ მოსტყუვდნენ. შუამავალმა ბებრებმა გაიანესაგან საკადრისი პასუხი ძიიღეს. თუმცა იგი მაინც ვერ აცდა მათ რისხვას.

უმწეო ქვრივი, თავისი პატარა ვაჟით, უბრალო შემთხვევამ თავად რაინდიძის ოჯახში მოახვედრა. რაინდიძეებმა დიდი სულგრძელობით მიიღეს დედა-შვილი, დატოვეს თავისთან და მთელი თექვსმეტი წლის განმავლობაში მათზე მზრუნველობა არ შეუწყვეტიათ. კეთილი კნეინის — დარეჯანის წყალობით გაიანემ ისწავლა ჭრა-კერვა, ხოლო სოლომონმა — წერა-კითხვა, გაეცნო დავითნს, „ვეფხვისტყაოსანს“ და სხვა ქართულ წიგნებს. ამასთან ერთად სწავლობდა „ზნეობასა, ზრდილობასა, სიტყვა-პასუხსა“.

მოსამსახურეებსა და გამზრდელებს ნაბრძანები ჰქონდათ არც საქმით და არც სიტყვით არ ეწყენინებინათ გაიანესა და სოლომონისათვის. მაგრამ მათი ბედნიერება დასრულდა დარეჯანის გარდაცვალების გამო. გაიანეს გაუძნელდა აეტანა დარეჯანის სიკვდილი და „სამ დღეზე გამოუდგა იმას“. ეს მოხდა 1817 წელს.

ოჯახის შემდგომი ხელმძღვანელობა თავის თავზე აიღო დარეჯანის შვილმა—ლუარსაბმა, რომლის წყალობითაც მოხვდნენ გაიანე და სოლომონი რაინდიძეთა ოჯახში და რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ რუსეთიდან დაბრუნდა მაიორის ჩინით. სოლომონმა გადაწყვიტა თავის მომავალ ცხოვრებაზე თვითონ ეზრუნა. იგი გამოეთხოვა ლუარსაბს, „ამ საკვირველ კაცსა“, რომელმაც ხუთი მანეთი თეთრი ფული აჩუქა გამომშვიდობებისას.

სოლომონმა მიაშურა მამაპაპეულ სოროს, რომელსაც დედის აღწერის მიხედვით მიაგნო. მოხერხებული გასაუბრებით სოლომონმა

აღმოაჩინა გასპარ სარქისბეგაშვილის შუამავალი ბებერიც, რომლის მიზეზით არა ერთხელ უღვრია ცრემლი უმწეო გაიანეს. თავისი ყურით მოისმინა გასპარ სარქიბეგაშვილის „საგმირო საქმენიც“ და გაიგო მისი ასავალ-დასავალი.

სოლომონი ფრთხილობდა ბებერთან საუბრის დროს. მან დამალა ვინაობა და თავი გაიანეს დის შვილად გამოაცხადა. ეს იყო პირველი ტყუილი, რომელიც სოლომონმა თქვა, ამიტომაც იგი მას არასოდეს არ ავიწყდება: „მანამდის ტყუილი არ მეთქო, მაშინ ვთქვი, და ამ ერთმა ტყუილმა, ოჰ, ღმერთო, შემდგომში რამდენი ტყუილი მათქმევინა! რა გავაგრძელო, მთელი ჩემი მოქმედება ტყუილზედ იყო დაფუძნებულიო“—ამბობს სოლომონი.

პირველი ტყუილის თქმას მოჰყვა შურისძიების პირველი გრძნობაც. სოლომონი აღაშფოთა ბებრის ნაამბობმა გასპარის შესახებ, განსაკუთრებით იმ ამბავმა, რომ იგი ბედნიერად ცხოვრობდა და ერთ-ერთი პირველი კაცი იყო ქალაქში. „მაშინ დამებადა გულში შურისძიება,—ამბობს სოლომონი,—პირველად ვიგრძენ ამ ბოროტების ყოფნა ჩემში, რომელიცა სასწრაფოდ გაიზარდა, გავრცელდა, რომელმაც ფესვები განზე გაიდგა, ტყვედ შეიპყრა ჩემი სული. გონება და გული“.

შურისძიების გრძნობა იყო, რომ სოლომონს ბევრი რამ გააბედვინა, ხოლო შემდეგ სინანული განაცდევინა. ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას აძლევს მწერალი, თუმცა იგი სინამდვილეს ღალატობს, როცა სოლომონს მეტად თვითკრიტიკულ განსჯაში გვიდგენს და ზნეობრივ კოდექსებს აკითხებს.

დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე დამდგარი სოლომონი გრძნობს, რომ რაინდიძეთა ოჯახში მიღებული „მარტო ზრდილობა და მცირედი წიგნური და ზეპირ მოთხრობითი სწავლა პურს ვერ აჭმევდა“. იგი სწუხს, რომ კნეინა რაინდიძისამ მას არ ასწავლა რაიმე ხელობა.

სოლომონმა შესცურა მღვრიე ცხოვრებაში გამოცდილებისა და კოველგვარი სახსრის გარეშე. მას ლუარსაბის მიერ ნაჩუქარი მანეთებიღა გააჩნდა, ხოლო შემოსავლის შემდგომი წყარო ოცნებაშიც არ ეხატებოდა. მამაპაპეულ სოროდან გამოვიდა და გაიქცა ქალაქში, მაგრამ სად მიდიოდა არ იცოდა. შემთხვევამ იგი ბიკიტნის დუქანს მიაყენა თათრის მოედანზე, მაგრამ წესიერად აღზრდილ სოლომონს არაფრად მოეწონა არც დუქანი და არც იქ მოქეიფე ყმაწვილები. უნდოდა გაცლოდა მას, შეჰოურა მოედანს, მაგრამ ბოლოს მანც იქ შევიდა და, დრო რომ მოეკლა, საჭმელს შეექცა.

მოქეიფე ყმაწვილებმა მოახერხეს სოლომონი თავისთან მიეწვიათ. ხუთი დღე მათთან ერთად გაატარა სოლომონმა და თეითონ უმასპინძლდებოდა უკანასკნელი კაპეიკებით.

სოლომონი მწარედ დააფიქრა ჯიბის დაცარიელებამ, მაგრამ იგი გამოაფხიზლა თანამესუფრეთა მუჯლუგუნებმა. მათ სოლომონს დაუწყეს დარწმუნება, რომ საჭირო არ იყო ფულზე ფიქრი, ვინაიდან მათ ჰქონდათ ისეთი „ხელობა“, რომელიც უზრუნველს გახდიდათ მომავალშიც. „მაშინ გავახილე თვალები, — ამბობს სოლომონი, და დავინახე რა საზოგადოებაშიაც ვიყავი გარეული, რაც მომელოდა შემდგომში; დავინახე, რომ უფსკრულის ზედ კინწიროზე ვიდექი და ერთ წამს კიდევ რო დავრჩენილიყავ ამ კინწეროზედ, ნიავი გარყვნილებისა გადამაგდებდა უფსკრულშიო“.

სოლომონი დაბრუნდა თავის ქოხში, რომელიც ხუთი დღის წინ აშინებდა. ახლა მან თავისუფლად ამოისუნთქა მასში და სასახლედ ეჩვენა. მწერალი გადაჭარბებულ თანაგრძნობას აჩენებს სოლომონისადმი, რომელიც დიდ სიყვარულს იჩენს მამაპაპეული ქოხისადმი. სოლომონი გვარწმუნებს, რომ „მე ვიყავ ამ საათს სრული ბედნიერი,—მე აქ არას ვუმატებ. წარმოიდგინეთ, ვის არ გიყვართ მამა-პაპის ქოხი, თქვენი მშობელი ქოხი! ნუთუ სხვის სასახლეში უფრო თავისუფალნი იქნებით, უფრო შვება, ლხენა გექნებათ, ვინამც თქვენს მშობელს ქოხში? იქნება მრავალნი წინააღმდეგნი იყვნენ ჩემის აზრისა, მაგრამ მე კი არ მივყიდი სხვას ჩემს ქოხსა; შეძლებისდამებრ გავაკეთებ, გავამშვენიერებ და ანდერძად დავუგდებ ჩენს შვილის-შვილებსა, რომ ეს ქოხი არამც და არამც არ გაყიდონო“.

ცხადია, მწერალი ნაძალადევად „ამკობს“ ასეთი გრძნობით სოლომონს. კერძო საკუთრების მოვლისა და დაცვის იდეა. რომელსაც მწერალი საკმაოდ ავითარებს ნაწარმოებში, ნაკარნახევი იყო იმდროინდელი ცხოვრების სინამდვილით. ცნობილია, რომ ფუქსავატობით გატაცებული არისტოკრატია ქვეყნის თუ კარტის თამაშის წყალობით, უანგარიშოდ ფანტავდა მამაპაპეულ ქონებას, არ ზრუნავდა მის გაზრდასა და გაფართოებაზე. მათი სიმდიდრე საბოლოოდ ჩარჩ-ეაჭრებსა და მევახშეებს უვარდებოდა ხელთ. სოლომონის პირით მწერალი აფრთხილებს და არიგებს მათ.

სამი დღის მშიერ-მწყურვალი სოლომონი კვლავ ქალაქში გაიჭრა და ძალაუნებურად ბაზარზე მოხვდა. სხვის მიხედვით, სოლომონი ჩაერია მოქალაქესა და გლეხკაცს შორის გამართულ ვაჭრობაში და მოქალაქეს პური იაფად აყიდვინა, რისთვისაც მან სა-

ჩუქრად ოქროიანი ბაღდადი მიიღო. ბაღდადი მალე ფულად აქცია. ეს იყო მისი პირველი გამარჯვება მომავალ საქმიანობაში. „კაცის ენაზე ვერ ვპოვე სიტყვასა,—გვარწმუნებს სოლომონი,—რომ გამოვთქვა, როგორ შამიყვარდა ის ოქრო! ღვიძლები შაიქნა ის ჩემის სულისა! ჩემმა გულმა გაუღო კარები და მაგრა ჩაიკრა! ახლა ადვილად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ რა სახით გამაცოცხლებდა, რა სახით გამახარებდა ოქრო, რა სახით შევტრფოდი მე ოქროსა!..“

სოლომონმა მოძებნა ცხოვრების საშუალება. მან ხელი მოჰკიდა ჩარჩობას, ყიდულობდა და ყიდდა ბატკნებს, რამაც თვის თავზე სამ თუმან ნახევარი მოგება მისცა.

სოლომონს აღმოაჩნდა ვაჭრული ალღო. იგი სეზონის მიხედვით არჩევდა სავაჭრო საქონელს და მოგებასაც კარგს ნახულობდა. სულ მალე მან ოცდათხუთმეტი თუმანი შეაგროვა.

სოლომონი ერთი მხრივ თუ იგებს და ასქელებს თავის ხურჯინს, მეორე მხრივ—საარაკო სიძუნწეს იჩენს, თვეების და წლების განმავლობაში ნახევრად შიმშილობას იტანს. იგი მთელი გულწრფელობით მოგვითხრობს, რომ „თოთხმეტი თვის განმავლობაში მშრალი პურის გარდა სხვა საჭმელი, და ნამეტნავად ღვინო, არ მიყიდნია. არცა დამხარჯვია ფული: სანთელზე, საპონზე, წყალზე, შეშაზე, ნახშირზე, არცა ტანისამოსზე. მხოლოდ ვიყიდე საზამთროდ სალდათის ლურსმებიანი ჩექმები და ერთი ოსური ჩოხა, ისიც ნახმარი. ღამე ვიძინებდი ჩემს ქოხში, ფულს ვინახავდი ტახტის ქვეშ... რომ არავის მიეგნო, გავაახლებინე ჩემი ტახტი და გარშემო შევაკვრევინე ფიცრები. სანამ არ დაამტვრევდით ტახტსა, ვერ მიხვდებოდით, რომ იმის ქვეშ უნდა ყოფილიყო სამალავი“.

ორი წლის შემდეგ, ფულით საესე პარკით, სოლომონი ინახულებს ლუარსაბს, ს. წითლიანს, რათა ფული შესანახად მიაბაროს და თავისი მომავალი გეგმებიც გააცნოს. ლუარსაბმა ოცდაათი თუმანი ისესხა სოლომონისაგან ერთი წლის ვადით და „სარგებელი ზედ შააკეცა“, ვინაიდან ვაჟი შეეძინა და მის სახელობაზე იყიდა „ათი კომლი ყმა, ერთი დიდი ვენახი და წისქვილი“.

დასაჩუქრებული და ნავაჭრი სოლომონი კვლავ ქალაქში ბრუნდება და აგრძელებს თავის საქმიანობას—„კინტოობას და ჩარჩობას“. როგორც თვითონ ამბობს, ტყუილის თქმა ხელსახოცად გაიხადა, ვინაიდან უამისოდ გროშსაც ვერ მოიგებდა.

სოლომონი მალე მევახშეობასაც მიჰყოფს ხელს. მისი ვალი ბევრს მართებდა დიღომში, მცხეთაში, წილკანში, წეროვანსა და

ოკამში. თორმეტი წლის განმავლობაში მან „დაიპყრო“ მთელი ქართლი: „არა თუ გლეხი, ძნელად გადარჩა მებატონეცა, რომ ჩემი მოვალე არ ყოფილიყოო“—ამბობს სოლომონი. მან ბევრი ფული დააგროვა, მაგრამ მას არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო მით, რაც უკვე ჰქონდა.

სოლომონი წინდახედული და უნარიანი მევახშე-ვაჭარია, მან იცის, რომ „ფული უნდა იყოს მოძრაობაში. ფულმა ფული უნდა მოიგოს“. იგი მილიონერად გახდომისათვის იბრძვის და ამ მიზნისათვის არაფერს ერიდება, საკუთარ თავსაც ტანჯავს, დილიდან საღამომდე მოძრაობაშია, თანაც შიმშილობს. „ხშირად, — გვიამბობს სოლომონი, — განდეგილ ბერსავით ოცდაოთხს საათში არასა ვჭამდი, ხანდახან ორ დღესაცა. მხოლოდ მე გავირჩეოდი ბერისაგან მით, რომ ბერი არა სჭამს, გინდ მრავალი ეწყოს თვალწინ, მე კი ვეძებდი ხოლმე შემთხვევას, ეგების უფასოდ ჩამეგდო სადმე რომელიმე დარდიმანდის სუფრა. დაღალულობას. შიმშილსა, სიცივესა და სიცხესა ხომ სრულებით არა ვგრძნობდიო“.

სოლომონმა იგრძნო ისიც, რომ უკვე დრო იყო სისრულეში მოეყვანა შურისძიება, რომელიც მას გასპარ სარქისბეგაშვილის „საგმირო საქმის“ გამო გაუჯდა სულსა და გულში.

გასპარ სარქისბეგაშვილი თავისი სიმდიდრით განთქმული იყო მთელს საქართველოში. ივ დროს მას ვერავინ სჯობდა. მას მოსკოვთანა და სხვა ქალაქებთან ჰქონდა სავაჭრო კავშირი, „ერთი სიტყვით ბედნიერი აღებ-მიცემობა ჰქონდა. რასაკვირველია, მრავალ ვაჭარს შურდა და სურდა როგორმე დაცემულიყო სარქისბეგაშვილი და თვითონ დაწინაურებულიყო, მაგრამ ვერავინ აჯობა“.

სოლომონმა გასპარი გამოდევნა ქართლიდან, სამ წელიწადში აზარალა მას რვაასი თუმანი თეთრი და ხელი ააღებინა პურით ვაჭრობაზე. ამის შემდეგ სარქისბეგაშვილმა ხელი მიჰყო აბრეშუმით ვაჭრობას; აბრეშუმს ყიდულობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში და ჰყიდდა მოსკოვში.

გასპარ სარქისბეგაშვილს, გარდა მამაპაპეული სახლისა, ჰქონდა „საკუთარი შეძენილი ორი დიდი სასახლე, ოცი დუქანი, შვიდი ათასი თუმანი ნაღდი ფული და სავაჭრო ხუთი ათასი თუმნისა“. მაგრამ მას ემართა ექვსი ათასი თუმანი მოსკოველი ვაჭრებისა. ყოველივე ეს იცოდა სოლომონმა და ეძებდა მოხერხებულ დროს მახეში გაება თავისი კონკურენტი და დედის გამაუბედურებელი. მან მალე მოახერხა სარქისბეგაშვილისათვის

ეზარალებინა შვილი ათას ხუთასი მანეთის აბრეშუმი და მის წინააღმდეგ წაექეზებია მოსკოველი ვაჭრებიც.

გასპარ სარქისბეგაშვილი გაკოტრდა. მისი ქონება სასამართლოს დადგენილებით გაიყიდა მოსკოველი ვაჭრების ვალის დასაფარავად. ამ მდგომარეობით მისმა „პრიკაშჩიკმაც“ ისარგებლა, „უმეტესი ნაწილი საკუთარი გაყიდა და ფული ჩაიჯიბა“.

გასპარ მიკირტიჩი მოსკოვიდან სამადლოდ ვიღაცას წამოეყვანა, თბილისში მას ოჯახი დაუხვდა უმწეო მდგომარეობაში, სანთლის ფულიც აღარ გააჩნდა. სოლომონი თვალს ადევნებდა მათ გაჭირვებას და თვითონაც იტანჯებოდა სინდისისაგან. სოლომონის თქმით, მისი ტანჯვა კიდევაც აღემატებოდა მათსას, სინდისი ქეჯნიდა შურისგებისათვის. ამიტომ, გადაწყვიტა ეხსნა ისინი გაჭირვებისაგან. თვით გასპარ მიკირტიჩმაც იგრძნო ახლა, თუ რა ცუდად მოექცა საწყალ გაიანეს.

სარქისბეგაშვილის ძოძღვრის დახმარებით სოლომონმა მოახერხა ფარულად დახმარებოდა მის მიერ გაუბედურებულ ოჯახს. სოლომონს უფრო მეტად გასპარის სამი გასათხოვარი ქალი ებრალებოდა. მან მათი საქმროებიც გამოძებნა და ბზითვიც გაუმზადა. თანაც ტერტერას ხელით წერილი გაუგზავნა გასპარ მიკირტიჩს, რომელსაც ქალებისათვის საგვირგვინო ტანსაცმელს უგზავნიდა; თბოვდა: „ნუ მოსძებნი შენს კეთილის მყოფელსა, რომელსაც არც იცნობ და ვერცა იპოვიო“. ეს იყო 1833 წელს.

აქვე უნდა მოვაგონოთ მკითხველს, რომ იმ დროს, როცა გასპარ მიკირტიჩი მოსკოვში იყო და საქმე ცუდად მიუდიოდა, სოლომონი ქართლიდან კახეთში გაემგზავრა და თავის საქმეს აგრძელებდა. მაგრამ მან სხვა მხრივ წაიკრა ფეხი: მეტად ულამაზო და უმზითვო ქალი შეატყუეს კახეთში ცოლად. ამ გარემოებას სოლომონი სარქისბეგაშვილის ცოდვის მოვლინებით ხსნიდა, „რასაც დასთეს, იმას მომკიო“.

1850 წლამდე სოლომონი ძველებურად აგრძელებდა თავის საქმიანობას. მისი სამოქმედო სარბიელი იყო ქართლი, კახეთი, ბორჩალო და განჯა. არსად და არაფერში ზარალი არ უნახავს, მაგრამ უკანასკნელ წელს ქართლელებმა სარგებელი აღარ მისცეს. თანაც ხარჯი მოემატა, წელიწადში ათ თუმნამდის, რადგან ცოლშვილი ქალაქში გადმოიყვანა. მაგრამ მათაც საქმე გაუჩინა, ჩააბა ისინი წვრილმან ვაჭრობაში.

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ სოლომონმა წადილი აისრულა. მან ღირსეულად გადაუხადა გასპარ მიკირტიჩს ჩადენილი

ბოროტება და მთელ ქალაქში პირველი კაცი მან შემწეობის მაძიებლად გახადა. სამაგიეროდ, სოლომონი თვითონ გახდა ყველაზე უფრო ძლიერი, მდიდართა შორის მდიდარი. მართალია, მან ჯერ კიდევ არ იცოდა რამდენი ათასის პატრონი იყო, მაგრამ გრძნობდა კი, თუ როგორ მძიმდებოდა მისი ხურჯინი.

სოლომონი მუდამ მოძრაობაშია, ფულის მოსაგებად ყოველდღე ბაზარშია, სადაც ერთმანეთში ირევა „რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი, ნემეცი, ლეკი, ოსი, ფრანცუზი და სხვ.“ ისინი „ყაყანებდნენ და ვაპრობდნენ — ზოგი პურსა, ზოგი ყველსა, მაწონსა ანუ ერბოსა და სხვ.“.

სოლომონ ისაკიჩმა კარგად იცის სად, როდის და რით უნდა ივაპროს. იგი ფრთხილი და წინდახედულია ვაპრობაში, მომჩირნე და მომთმენია ცხოვრებაში. მისი კაპიტალი მუდმივ ზრდაშია, მაგრამ მას არა აქვს საჭირო ცოდნა ამ კაპიტალის მოხმარებისათვის. ამიტომაა, რომ იგი არც ანგარიშობს მოგებას და კმაყოფილდება იმით, რომ იცის მოგება მატულობს.

ლ. არდაზიანი რომანის პირველ ნაწილში დიდი ოსტატობით ხატავს პირველდამგროვებლის ტიპიურ სახეს, გვაცნობს ყოველ დეტალს, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მევახშე ვაპრის ცხოვრებაში. ჩვენს თვალწინ მთელი დამაჯერებლობით იშლება ის გზები, რომელთაც პირველდამგროვებელნი განვლიან, თავიანთ მიზანს რომ მიაღწიონ. ასევე მოწმენი ვხდებით მათი ზნეობრივ-მორალური სახის ჩამოყალიბების მთელი პროცესისაც. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მკითხველს გააკეთოს საჭირო დასკვნა ამ ახალი ადამიანების ღირსებისა და პერსპექტივის შესახებ.

ლ. არდაზიანი არ კმაყოფილდება იმით, რომ აჩვენოს სოლომონ მეჯღანუაშვილის გამდიდრების გზა და საშუალებანი, მისი განცდები და ფიქრები ფულის დაგროვებისათვის ბრძოლაში, რაც მთელი სისრულით წარმოადგინა რომანში. იგი ყურადღებითა და ინტერესით ეკიდება იმ პროცესის ასახვასაც, როცა პირველდამგროვებელთა წინაშე ისმის ფულის მოხმარების საკითხი. ცხოვრება აიძულებთ მათ შეიცნონ თავიანთი თავი, შეიგნონ თავიანთი შესაძლებლობა, წელში გამართულნი გამოვიდნენ საზოგადოებაში და ტანჯვა-წვალებას შეზრდილებმა იგებონ ამქვეყნიური სიამოვნება.

ასეთია სოლომონ მეჯღანუაშვილის ხვედრიც. ერთმა ჩვეულებრივმა შემთხვევამ სოლომონი მწარედ ჩააფიქრა, აღძრა მასში

აურვილი შეეტყო რამდენი ფულის პატრონი იყო და ეზრუნა ცხოვრების სხვაგვარად მოწყობაზე.

სოლომონის პიროვნებაში ხდება გარკვეული გარდატეხა. მაგრამ ამ გარდატეხას წინ უსწრებდა ისეთი ფსიქოლოგიური მომენტები, რომელთაც საგანგებო მნიშვნელობას აძლევს თვით სოლომონი.

როგორც ყოველთვის, სოლომონმა ახლაც იაფად იყიდა ვარიები გლეხკაცისაგან, მაგრამ ერთ-ერთმა ჩარჩითაგანმა, რომელიც გააკვირვა სოლომონის მოხერხებამ, „ხუმრობით" თავში ჩაარტყა მას. სოლომონს დარტყმისაგან ცრემლები წამოსცვივდა. ასეთი შემთხვევა პირველი არ იყო მის ცხოვრებაში და მასაც მალე დაივიწყებდა, თუ რომ იქვე არ დაენახა სოსია გამწკეპავიძე, ალექსანდრე რაინდიძის მსახური.

სოსია გამწკეპავიძის დანახვა ასეთ დროს მთელ ტრაგედიას იწვევს სოლომონში. „ჩარჩისაგან თავში ჩარტყმა ისე არ მეტკინა და მეწყინა,—ამბობს სოლომონი,—როგორადაც ამ კაცის, გამწკეპავიძის, დანახვა მეწყინა და ეტკინა ჩემს გულსა. მრავალჯერ ჩაურტყამთ ჩემთვის თავში, მაგრამ წასულა, გაუვლია, ფიქრში და გულში სრულიად არ მომსვლია. ახლა კი, რადგანაც გამწკეპავიძესთან ჩამარტყეს თავში, დამებადა სრული ჩემი თავმოყვარეობა და მეწყინა, ისე მეწყინა, რომ დედამიწა რო გახეთქილიყო და თან ჩავეტანე, ის მერჩივნა; ისე მეწყინა, რომ აღარ მეყურებოდა რა ვიყავ, სად ვიყავ და რა უნდა მექნა. ნამდვილად არ ვიცი, რათ მეთაკილებოდა, რომ გამწკეპავიძეს შეეტყო რაიმე ნაკლულოვანება ჩემი. ჩემის აზრით, ამის მიზეზები უნდა იყოს ისა, რომ რაინდიძის სახლში მე აღვიზარდე, როგორც თვით ალექსანდრე რაინდიძე, გამწკეპავიძე კი—როგორადაც ყმა და მონა. მე მეწყინა და მეთაკილა, რომ გამწკეპავიძემ მნახა, როგორადაც ჩარჩი, ვარიების მოტყუებით, ფიცით და გინებით მსყიდველი, უბრალო გლეხურ ტანისამოსში, თავში ჩაკრული მაშინ, როდესაც იმას მე ყოველთვის უნახივარ კარგა ჩაცმული, დარბაისლურ ყოფა-ცხოვრებაში"...

სოლომონს ყოველთვის ემძიმება და სანანებელი უხდება ისეთი რაიმეს ჩადენა, რაც არ შეეფერება მის აღზრდას, მიღებულს რაინდიძეთა ოჯახში. ეს აზრი თავიდან ბოლომდე გასდევს რომანს, რაც მწერლის მსოფლმხედველობის თავისებურებაზე მიუთითებს.

ლ. არდაზიანს უნდა სოლომონ მეჯღანუაშვილი წარმოადგინოს ვაჭრის თავისებურ სახედ, რის გამო მას თავისი აღზრდით მტკიცედ აკავშირებს მაღალ წოდებასთან, რასაც მეტად მნიშვნელოვან

როლს ანიჭებს მისი პიროვნებისა და ცხოვრების ჩამოყალიბების საქმეში. მაგრამ მწერალი მაინც ვერ ახერხებს მოსწყვიტოს იგი სინამდვილეს და ნაცვლად ნამდვილად არსებული სოლომონ ისაკიჩებისა შექმნას სასურველი სოლომონების სახე.

რომანში აშკარად იგრძნობა, რომ ლ. არდაზიანის სურვილები ხშირად წინააღმდეგობაშია სინამდვილის კანონზომიერ მოვლენებთან, რომლებიც აიძულებენ მხატვარს დათმობაზე წავიდეს. ამის გამო, მწერალი ხშირად მიმართავს მოძღვრებას, მორალის ქადაგებას, რასაც არ ეთანხმება თვით მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, წარმოდგენილი ცხოვრების სინამდვილე.

გამწკეპავიძის „ნახვით" შეწუხებული სოლომონი მძიმე სულიერ ტკივილებს განიცდის. მას არც კი მოუსმენია გამწკეპავიძისათვის, თუმცა ცოტა როდი სდია მან ხვეწნა-მუდარით, ყური ეთხოვებია მისთვის. დაახსოვდა მხოლოდ მისი სიტყვები: „ალექსანდრემ გთხოვა: ფული. შენი ვალი მიიღეო".

შინ დაბრუნებულმა სოლომონმა გადაწყვიტა დაეთვალა ფული, რომლის შესახებ მის ცოლ-შვილს წარმოდგენაც არა ჰქონდა. თვით სოლომონს სიხარულისაგან გული შეუღონდა, როცა ტახტს ქვეშ ოთხმოცი ათასი თუმანი აღმოჩნდა. მან „ტკბილათ დაკოცნა ფულები" და სიხარულის ცრემლებიც ღვარა. იგრძნო შეუძლია იცხოვროს ისე, რომ არ იშიმშილოს, არ ტანჯოს ცოლ-შვილი და ვერ გაუბედონ თავში ჩარტყმა. ხელავს თავის უგნურ სიძუნწეს. სწუხს ცოლ-შვილისადმი უყურადღებობის გამო.

სოლომონმა თვალები გაახილა, გული თითქოს გამოეცვალა. გაიღვიძა მასში მეუღლემ და მამამ; ალერსიანი სიტყვებით შეხედა ცოლ-შვილს, რომლებიც გააკვირვა მისმა თავაზიანობამ და ადამიანურმა უყურადღებამ. მან პირველად ახლა შეამჩნია, რა მდგომარეობაში ჰყავდა ცოლ-შვილი, დააკვირდა მათ ჩაცმულობასა და სახეებს, დარწმუნდა, რომ ისინი ღირსნი იყვნენ უკეთესად ეცხოვრათ.

სოლომონი გამოიცვალა. იგი ის აღარაა, რაც იყო, მაგრამ არ იცის როგორ გამოასწოროს თავისი „შეცდომები" და როგორ იცხოვროს მომავალში, სხვისი დასაცინი რომ არ გახდეს. დახმარებისათვის მან მოიხმო ნათლიმამა—ოჰანეზა, რომელსაც გაანდო ყოველივე და სთხოვა რჩევა.

სოლომონსა და ოჰანეზას შორის იმართება მეტად საინტერესო დიალოგი, რომელშიც მოცემულია თვით მწერლის შეხედულებები.

— დიდი შეცდომა მოგსვლიაl დიდი უგუნურობა მოგსვლია, საყვარელო ძმაო, მეჯობარო და ნათლიაl კვეთანი კაცი მეჯონე და ახლა-კი, მომიტყეე, შენში ვერ ვპოვებ ჰკუასა,—მითხრა ოჰანეზამ,—მაგოდენა

სიმდიდრის პატრონი ყოფილხარ და როგორ-ღა ექელვინებოდი ფეხ ქვეშ? როგორ თავი აქამომდე არ გამოიჩინე! ცოლ-შვილი კარგ გზაზე როგორ არ დააყენე! გამიგონე ძმაო! სიმდიდრე კარგია, თუ მოიხმარებ. და თუ დაჭლავ მიწაში, მდიდარი აღარა ხარ, შენხე უსაცოდავესი და უგლახაკესი აღარავინ რჩება.

— ოჰ, ღმერთო! ვინ ამბობს, რომ ვისაც ბევრი ფული აქვსო, ჰკვიანი არისო! არა, ტყუილი უთქვამს. მე კი ვამტკიცებ, რომ ვისაც ბევრი ფული აქვს, იძას ჰკუა სრულიად გამოსცლია. რაო? გირჩიო რა უნდა ქნა? განა ეგეც არ იცი?—დატუქსვით მკითხა ოჰანეზამ.

მაინც მინდა, რომ შენ დამაყენო გზაზე: გამოცდილი და ჰკვიანი კაცი ხარ, ძე არ ვიცი, როგორ რა უნდა დავიწყო.

— სოლოლაკზე იყიდება დიდი და ჩინებული სასახლე სამი-ათას თუმნად. წადი ახლავ, მოურიგდი სასახლის პატრონსა, უთუოდ იყიდე.

— მერე?

— მერე მორთე კარგი მებელითა. დაიჭირე მზარეული, მოახლე, მოჯამაგირე; გაიჩინე დროშკა; მორთე შენი ცოლ-შვილი, გამოიყვანე საზოგადოებაში; თვით შენ ჩაეწერე მოჭალაკეობაში: დაუმეგობრდი წარჩინებულ დიდკაცობას და შოჭალაკეობას.

— მესმის, მესმის; ახლა-კი გულ-ხსნილად გამოვალ ჭიყანაზე და ნავავ, რომ პირველთაგანი ვიყო ტფილისის ჭალაჭში. ოჰ, გამწყაპავიძე! გშადლობ, რომ შენის ერთის დანახვით გამწყიპე და გონებაზე მომიყვანე!

ოჰანეზას პირით მწერალი სოლომონს აძლევს რჩევასა და დარიგებას, მომავალი ცხოვრების პროგრამას. სოლომონიც ბეჯითად უდგება ამ პროგრამის განხორციელებას. მან იყიდა მითითებული სასახლე, მორთო მდიდრული ავეჯით, დაიჭირა მოსამსახურენი და გაიჩინა დროშკა, შეიძინა თეატრის ლოჟის აბონემენტი და გადაწყვიტა სიძედ მოეკიდებინა ალექსანდრე რაინდიძე.

სოლომონ მეჯღანუაშვილი ყოველთვის იმარჯვებს იქ, სადაც საქმე ფულით წყდება. ფულის წყალობით მან მოაწყო მშვენიერი სასახლე, მისმა ეაჟმა „დაიჭირა“ ის ადგილი, რომელიც ალექსანდრე რაინდიძეს უნდა დაეკავებინა, დაიარება თეატრშიც; მაგრამ ყოველთვის მარცხდება იქ, სადაც საჭიროა გემოვნება, საზოგადოებრივი ეთიკის ცოდნა და სწავლა-განათლება.

სოლომონი მდიდარია ფულით, მაგრამ ღარიბია ცოდნითა და გემოვნებით, რაც ხელს უშლის მას სიმპათია და სიყვარული დაიმსახუროს „წარჩინებულ დიდკაცობაში“. ესაა მიზეზი, რომ სოლომონი „დამარცხდა“ და ვერ აისრულა წადილი, ვერ მოიკიდა სიძედ ალექსანდრე რაინდიძე, რომელიც ივანე დიდებულიძის (გ. ერისთავის „გაყრა“) გზით როდი მიდის ცხოვრებაში.

სოლომონმა იცის თავის სუსტი მხარეები. იცის, რომ სოროო-

დან გუშინ გამომძერალს არ შეუძლია მაღალი და საკუთარი გემოვნებით მოაწყოს სახლი, შესაფერად მოიქცეს თეატრში და განიცადოს და შეიგრძნოს ის, რასაც ნამდვილად იძლევა თეატრი, მაგრამ იგი უკან ეღარ დაიხევს. თუ ერთ დროს გაპირებას ითმენდა, ახლა გაწითლება უნდა აიტანოს. იმედია, ცხოვრება ბოლოს ამ მხრივაც გაუმართლებს.

რომანში მეტად დამაჯერებლადაა აღწერილი კომიკურ მდგომარეობაში მყოფი სოლომონის „თეატრალური ოჯახი". სამეფო ლოჟის გვერდით მოუკალათებია სოლომონს თავის ცოლ-შვილით, მაგრამ მათ არც მუსიკის გაეგებათ რაიმე და არც მსახიობთა თამაშის. „სწორი უნდა მოგახსენოთ, ამბობს სოლომონი, მე თეატრი სრულიად არ მეპიტნავებოდა, რადგანაც არა გამეგებოდა-რა, არც იტალიური ოპერებისა, არც მუზიკისა, მე მხოლოდ დავიარებოდი თეატრში გასაცილებლად და პატრონად ჩემის ცოლ-შვილისა, რომელთაც შეიყვარეს თეატრი... მაგრამ ჩემ ცოლ-შვილს რა იზიდავდა თეატრში? დაგარწმუნებთ, რომ სხვა არა-რა იზიდავდა, გარდა უგუნური ამპარტავნობისა. იმათ ერთი მხოლოდ აზრი ჰქონდათ: სჩვენებოდნენ საზოგადოებასა, რომ „ჩვენც აქა ვართო".

სოლომონ მეჯღანუაშვილის ოჯახი თეატრში საზოგადოების ყურადღებას იპყრობს მდიდრული ტანსაცმელითა და შეუფერებელი ქცევით, სოლომონმა, უდროო ტაშითა და ძახილით „ბისს", ხალხის გაკვირვება და წყრომა დაიმსახურა; ხოლო მისი მეუღლისა და ქალის უსაფუძვლო მსჯელობამ თეატრისა და მუსიკის შესახებ ალექსანდრე რაინდიძე მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

სოლომონისა და მისი ცოლ-შვილის „გემოვნება და განათლება" არა ნაკლებ აშკარად ჩანს საკუთარ ოჯახშიც. ოჰანეზას რჩევის მიხედვით სოლომონმა შეიძინა სასახლე და ძვირფასი ავეჯი, მდიდრულად მორთო მთელი სახლი, მაგრამ მაშინვე შეატყობდით. რომ მის პატრონს საკუთარი გემოვნება არ გააჩნდა. თვითონ სოლომონიც აღიარებს, რომ „მე მოვრთე სახლი არა ჩემი გემოვნებით, არამედ მიხედულობით და იმ აზრით, რომ სხვაზე მდიდრულად მქონებოდა სახლი მორთული. იქნება არაფერში არ იპოებოდა გემოვნება, გარდა სიმდიდრისაო". ძვირფას ხავერდის ფარდებს, რომელიც სოლომონის სახლს ამშვენებდნენ, მტვერი ისე დასდებოდა, რომ სტუმრებიც კი—უთითებდნენ სოლომონს. თვითონ სოლომონიც მეტად გულწრფელია, იგი რამდენიმე გზის მოაგონებს მკითხველს, რომ „გემოვნებისა არა გამეგება-რაო".

არა მარტო მკითხველს აკვირვებს მეჯღანუაშვილის ცოლ-შვილის

მისწრაფება, რაც შეიძლება სწრაფად და ღრმად შეიჭრან არისტოკრატიულ ცხოვრებაში, არამედ თვით სოლომონსაც. სოფიო და თამარი, რომელთაც სოლომონის შეხედვისაც კი ეშინოდათ, როცა მამაპაპეულ ქოხში ცხოვრობდნენ, ახლა წყრომით მიმართავენ მას თეატრში დაგვიანებით წასვლისათვის; მათ ტანზე ჰუპუიანი კაბის ძეტი არავის უნახავს, ახლა კი ოქრო-მარგალიტებს ძლივს ზიდავენ; დალაქის ქალს „ფერჩატკები ჩაუცვამს და მანტილიაში გახვეულა“. იგი არაფრის წინაშე აღარ იხევს, იცის, რომ ფული აქვს, ფულით კი აბა რა არ გაკეთდება. მას შეუძლებლად არ ეჩვენება რაინდიძის სიძედ მოკიდება: „ფულით ავუხვევ თვალებს, ფული ძლიერიაო“,—არწმუნებს სოფიო სოლომონს. მაგრამ სოლომონი ეჭვობს, და ამ ეჭვის მიზეზი მწერლის ინტერესებიდან მომდინარეობს. სოლომონი სოფიოს ეთანხმება ფულის საერთო ძლიერებაში, „მაგრამ ძლიერსა და თვით მდგომარე ხასიათსა ფული ვერ აუხვევს თვალებსაო“,—მოაგონებს იგი სოფიოს. უფრო სწორად, ლ. არდაზიანს სურს, ასე იყოს, იგი ეძებს ივანეებზე („გაყრა“) უფრო მტკიცე ხასიათის ადამიანებს არისტოკრატთა შორის.

სოლომონის ეჭვი გამართლდა. ალექსანდრემ არ ისურვა თამარის შერთვა, ვინ სიყვარულით იქორწინა „კნიაჟნა“ ელენე არაგვლიშვილზე, ბედნიერადაც გრძნობს თავს. სოლომონი და მისი ოჯახი დამარცხდა, როცა მათ რაინდიძეებთან გათანასწორება მოისურვეს. ძლიერი ვაჭარი სუსტი აღმოჩნდა განათლებულ და ფხიზელ თავადთან „ჯადრაკის თამაშში“. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავადის „სვლებს“ თვითონ მწერალი აკეთებს.

თავადისაკენ გულმიპყრობილი და ხელებგაწვდილი ვაჭრის ქალი, ნაცვლად საქორწინო სარეცლისა, მწერალმა სასიკვდილო სავარძელზე დააწვინა, მის ჯანსაღ სხეულში კოხის ჩხირები ჩასთესა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მეუღლითა და ცხოვრებით ქმაყოფილი ალ. რაინდიძის მხატვრულად დაწერილი წერილი მოასმენინა. ესეც არ აკმარა, გაუბედურებულ თამარს ბედნიერი ცოლქმრის ლოცვა წარმოათქმევინა.

ნაძალადევად და ნაჩქარევად გვეჩვენება ჩვენ თამარის მიერ ალექსანდრე რაინდიძის შეყვარება, მისი დაპლექება და თვით სოლომონის თავგადასავლის თხრობის მოულოდნელად შეწყვეტა. მწერალი უფრო გულწრფელი და მართალი იყო სოლომონის მიმართ მანამ, სანამ მას ალექსანდრე რაინდიძეს დაუპირისპირებდა. ხოლო შემდეგ საგანგებოდ დასაჯა იგი იმისათვის, რომ მან მაღალ საზოგადოებაში შეტოპა, მათთან თანასწორობა და დამოყვრება მოისურვა.

ფულიანი „ბატონი“ მწერალმა დაუნანებლად დაამარცხა მამუ-

ლისა და განათლების მქონე თავადთან, მის ვაჭრულ მოღვაწეობას ფარდა ჩამოაფარა და ასული სასიკვდილოდ გაუწირა, მაგრამ თვით მის მიერ ასახული სინამდვილე სხვაგვარი დასკვნისაკენ გვიბიძგებს. რაინდიძეთა მოდგმა, ცხადია, მეჯღანუაშვილთა დაწოლას ვეღარ გაუძლებს, ისაკმა ალექსანდრე აიძულა სოფელში წასულიყო. ფრთხილი და განათლებული თავადი თავის ხვედრით კმაყოფილია, მაგრამ როდემდე? ბურჟუაზიის საბრძოლო იარაღი— ფული, ეს ყოველისშემძლე „მეძავი ქალი“ ქალაქში როდი იკეტება, სოფელშიც იჭრება და დღეს თუ ხვალ რაინდიძეებს გამოსდევნის მამაპაპეული მამულიდან. თვით რომანშია ნაჩვენები, თუ როგორი სისწრაფით მოედო მეჯღანუაშვილის კაპიტალი ქართლის სოფლებს.

ლ. არდაზიანი თავის რომანს, როგორც აღვნიშნეთ, მოულოდნელად და მეტად ნიშანდობლივად ამთავრებს.

სოლომონი, რომელიც თავის ნათლიმამას—ოჰანეზას თხოვნით აღწერს თავის ცხოვრების ისტორიას, აცხადებს: „დანაშთენი ჩემი ცხოვრება არ ვცან საჭიროდ ამეწერა. ამიტომ რომ არა მომხდარა რა ჩემში ღირსი შენიშვნისა და აწერისა. მართალია, ბოლომდის მე ვიყავ სავსე, მდიდარი, პატივცემული, მხიარულად ვეჩვენებოდი ხალხს და მრავალნი დამნატროდნენ, მაგრამ იმ დღიდან, როდესაც დავიწყე დიდებით ცხოვრება, ჩემს გულს ჰქეჯნიდა რაღაცა განუსაზღვრელი ჰმუნვა და მე აღარ მესიამოვნებოდა-რა ქვეყანაზედ. ამ ჰმუნვის მიზეზი იყო ჩემში, ჩემს გარეთ არა ყოფილაო“.

როგორც ვხედავთ, რომანში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ მიდიოდა სოლომონის საქმიანობა მის შემდეგ, რაც მას ოთხმოცი ათასი თუმანი აღმოაჩნდა. ნუთუ ამით დაასრულა თავისი მოღვაწეობა სოლომონმა? ნუთუ იგი უკვე დაგროვილი კაპიტალის ჩრჩილად იქცა და ხელი აიღო ვაჭრობაზე, მოგების ზრდასა და გაფართოებაზე?

სოლოლაკში დასახლებული და თეატრში მოსიარულე სოლომონი თითქოს სრულიად ჩამოცილდა ვაჭრულ საქმეს. მისი ვაჟი— ისაკიც, რომელმაც ხელთ იგდო კარგი ადგილი და, ჩანს, თავის განათლებით მაღლა დგას მამასთან შედარებით, არ ვიცით რა ბედს ეწია, რას აკეთებს და როგორ მიდის მისი საქმე.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რომანის მეორე ნაწილის მერვე თავში, რომელიც ცენზურას ამოუღია და დაკარგულა, მწერალი ეხებოდა ისაკის ცხოვრებას.

კიდევ უფრო საყურადღებოა ის, რომ მწერალი ჩარჩ-ვაჭარ სოლომონ ისაკიჩს მძიმე ფსიქოლოგიურ განცდებში აყენებს გამდიდრების შემდეგ და ხდის მას სულიერად მოუსვენარს. სოლომონის გულში სევდამ დაიბუდა, მის სინდისს რაღაც ჰქენჯნის. იგი უფრო კმაყოფილია ბნელ ქოხში გატარებული ცხოვრებით, ვინემ უზრუნველი ყოფით.

ასეთივე განცდებშია მისი მეუღლე სოფიოც, რომელიც სოლომონს შესჩივის:—„მე სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ ეს სახლი ვერ მოგვიხდა კარგა. რაც აქ შემოვედით, თითქმის ყოველდღე მწუხარებაში ვართ; ავადმყოფი არ გამოგველია!.. ციხის უბნის ქოხში ერთობრივ მთლიანად ვიყავით; არც სიცივე და სიცხე, არც სიშიშვლე და ნოტიო სახლი, არც სიმშილი და მწყურვალება არას გვავნებდა. აქ კი ღვთისწყალობით ყოველივე უხვად გვაქვს: სახლი ასე არის მორთული და შემკობილი, რომ ხელმწიფეს ედგომილება; ჰაერი უკეთესია; ნებიერება, სიამოვნება, სტუმარი, საზანდარი არ გვაკლია; მოსამსახურენი სულ თავს გვეელებიან, სულიერ მამათაგან კურთხევა ხშირად მოგვეცემა ხოლმე; წყევა არავისაგან არა გვქონია, მაგრამ ვეღარ ვიხეირეთ! აი მეცა, მგონია, დავსნეულდი; შენც სოლომონ ისაკიჩ, ეეღარ ხარ უწინდულად მხიარული".

ყოველივე ამას სოფიო დაფარული მტრის მოქმედებით ხსნის, სჯერა მკითხავის ნათქამი, რომ სახლში ჯადოა დაფლული.

სოლომონა ჭკუაში არ ეწდის არც სოფიოს და არც მკითხავის სიტყვები. მას არ სწამს ჯადო და მისი მოქმედება: „ჯადო არ არის ქვეყანაზე,—მიმართავს იგი სოფიოს.—ასე გამიგონია, ასე ვარ დარწმუნებული, და თუ ვინმე ატყუებს ხალხს, რასაკვირველია, სარგებლობისათვის. წარმოიდგინე, მკითხავზე უსაცოდავესი არავინ არის; თუ შეეძლოთ რამ, პირველად თავიანთ თავს უშველიანო".

მწერალი სარგებლობს შემთხვევით და სოლომონის პირით მკაცრად ამხილებს ცრუმორწმუნეობის ნამდვილ ბუნებას; მკითხავთა ნამდვილ „ინტერესებს".

სამაგიეროდ, სოფიოს სიტყვები სოლომონს აგონებს მის მიერ ჩადენილ დაფარულ მტრობას, რითაცმან გაანადგურა სარქისბეგაშვილი. „სოფიომ არ იცოდა,—ამბობს სოლომონი,—რომ ჩვენ გვდევნიდა საცოდავობა სარქისბეგაშვილისა და სხვათა, რომელთაც შევამთხვიე მე ბოროტი. და ამიტომ ჩვენის უბედურების მიზეზად ხდიდა იგი ჯადოსა. არა, მე მდევნიდა ცოდვა, ჩემი მტერი იყო ცოდვა, სხვა მტერი მე არა მყვანდა.

...ნეტავი მწყემსად გავზრდილიყავ, სიმდიდრე, პატივი და დიდება არ მქონოდა და ჩემს გულს არა ჰყოლოდა მტერი—ცოდვა"...

ნუთუ მართლა ასე ბწაოედ განიცდიდნენ მეჯღანუაშვილები „ცოდვებს"? ნუთუ მთელი მათი მომავალი ამ „ცოდვების" მსხვერპლი ხდებოდა? ცხადია, ბწერალი აქ ღალატობს სინამდვილეს, ნაძალადევად „ამკობს" სოლომონს მეტად მგრძნობიარე და ჩვილ-გულით. იგი უსაფუძვლოდ აფრთხობს სოლოლაკის სასახლეებში შეჭრილ მეჯღანუაშვილებს „ცოდვებითა" და „აბრუნდებით"; ტყუილად ცდილობს მწერალი მათ დაბრუნებას ქოხებში, ისინი ახალი ცხოვრების საიმედო შვილებია, მათთვის შეუფერებელია გადაჭარბებული სანტიმენტალიზმი, მათ ცოდვების მოსანახიებლად არ სცალიათ, არც დათმობაზე წავლენ; ოქროს ტახტზე მსხდომნი, მოგების გაზრდისათვის იბრძიან და ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ფული—ეს „მსოფლიო მაჭანკალი", ყველგან და ყოველთვის მოაგებინებთ საქმეს; გამარჯვების გზაზე რაინდიქები ვერც გვარით და ვერც შეძლებით მათ ვეღარ გადაუდგებიან.

ლ. არდაზიანი სწორად მიუთითებს ვაჭართა კლასის ზნეობრივ-მორალურ შეზღუდულობაზე. სინამდვილეს არ ღალატობს არც მაშინ, როცა ამ კლასის პირველ წარმომადგენელთა დაბალ გემოვნებაზე, გაუნათლებლობაზე და საკუთარი ეტიკეტის უქონლობაზე ლაპარაკობს.

ცხადია, გუშინდელი ფეხშიშველა და სოროებიდან გამომძვრალი მეჯღანუაშვილები, რომლებსაც დიდი მოხერხებითა და გაჭირვებით დაუგროვებიათ ფული, რის წყალობითაც ახლა ჩნდებიან ფართო საზოგადოებაში, თავიანთი კულტურით, გემოვნებითა და ეტიკეტით შეუდარებლად ჩამორჩებიან საუკუნეების მანძილზე ლაღად მცხოვრებ მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლებს, რომელთაც ეხლა ევროპული განათლებაც მიუღიათ, მაგრამ ეს არაა საქმის თავი და ბოლო, ეს არ მიუთითებს მათ უპერსპექტივობაზე. პირიქით, ცხოვრების ყოველ უბანს ფულის სუნი ასდის. სურნელოვანი ტანსაცმლით მორთული არისტოკრატები ვაჭრის ჭუჭყიანი ჯიბის მსხვერპლნი ხდებიან. ეს ჭეშმარიტება სრულად და სწორად არ აქვს შემეცნებული ბწერალს და თავის ამ „ცოდვებს" გმირთა „ცოდვების" წინ წამოწევით „ფარავს".

ვიმეორებთ, ლ. არდაზიანმა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში" შესანიშნავ რეალისტურ ფერებში წარმოადგინა მთელი ის რთული გზა, რომელიც პირველდამგროვებელ ვაჭარს

უნდა გაეელო; სწორად და დამაჯერებლად დახატა ვაჭართა საარაკო სიძუნწე, ურთიერთი მტრობა და კონკურენცია, მათი მორალურ-ზნეობრივი სახე,—დაბალი განათლება და გემოვნება, საკუთარი ეტიკეტის უქონლობა და სხვ. მაგრამ, იდგა რა ლიბერალურ-თავადაზნაურთა პოზიციებზე თავისი მ'ოფლმხედველობით, იგი ზოგჯერ გვერდს უვლიდა სინამდვილეს და განგებ უბორკავდა ხელ-ფეხს ეკონომიკურად უკვე ძლიერ ვაჭართა წარმომადგენლებს, რომლებსაც ცხოვრება პიედესტალისაკენ ეწეოდა.

სამაგიეროდ, იგი ხელს სწიდებს და „ამაგრებს" ამ პიედესტალიდან გადმოცვენილ მაღალ არისტოკრატიას.

3

ლ. არდაზიანის რომანის მთავარი გმირი სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილია. ნაწარმოების სათაურიც ავტორს ამის მიხედვით შეურჩევია. მწერალი თვალიდან არ იცილებს სოლომონ მეჯღანუაშვილს, რომელსაც ანდობს არა მარტო მისი თავგადასავლის თხრობას, არამედ საკუთარი შეხედულებების ქადაგებასაც.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელია მკითხველმა არ იგრძნოს, რომ მწერალი არა ნაკლებ არის დაინტერესებული რაინდიძეთა ბედით. უფრო მეტიც, ნწერლის პოლიტიკური ინტერესები მიპყრობილია მაღალი წოდების საარსებო კითხვებისადმი. მისთვის მთავარია უჩვენოს მკითხველს, თუ რა ბედი მოელის ფეოდალურ არისტოკრატიას, როცა ცხოვრების ასპარეზზე უკვე გამოვიდნენ მეჯღანუაშვილები და სარქისბეგაშვილები, რომლებიც მკაცრად ემუქრებიან მაღალი წოდების პრივილეგიურ მდგომარეობას.

ლ. არდაზიანი დაინტერესებულია გამოსავალი უჩვენოს ფეოდალთა კლასს და მიუთითოს მას ორი მტრული კლასის ურთიერთთანამშრომლობისა და შემდგომი წინსვლის შესაძლებლობაზე. ამისათვის მას საკმარისად მიაჩნია ბურჟუაზიის ზნეობრივი და კულტურული დონის ზრდა, ფეოდალური არისტოკრატიის მიერ შექმნილი მდგომარეობის შეგნება, მათ ცხოვრებაში გეგმიური და მომჭირნეობით ხარჯვის წესის გაბატონება, საკუთარი მეურნეობისადმი უშუალო და ფხიზელი ხელმძღვანელობა, ყმებთან ჰუმანური დამოკიდებულება.

ლ. არდაზიანი მაღალი წოდების წარმომადგენლებს უსაყვედურებს მოდუნებას, მამაპაპეული ქონების უანგარიშოდ და უმიზნოდ ფლანგვას, მამულის მოვლა-პატრონობის საქმის ხელქვეითებზე

მინდობას, ყმებთან არა ჰუმანურ დამოკიდებულებას. მაგრამ ყოველივე ამის შესახებ მეტად ფრთხილად ლაპარაკობს. უფრო სწორად, თავს არიდებს მაღალი კლასის პირდაპირ და გაბედულ კრიტიკას, შემოელილი გზით მიუთითებს მას აღნიშნულ ნაკლოვანებებზე.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ არდაზიან-მოაზროვნეზე, თითქძის ყოველთვის იმარჯვებს არდაზიანი-მხატვარი. მისი სურვილის მიუხედავად, მკითხველს საკმაო მასალა ეძლევა იმისათვის, რომ აშკარად იგრძნოს და დარწმუნდეს ფეოდალთა კლასის გამოფიტვაში, მის მცონარეობასა და ფუჭსავატობაში. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია რომანის მეორე ნაწილის მეშვიდე თავი, რომელშიც მშვენივრადაა ნაჩვენები მაღალი არისტოკრატიის ყოველდღიური „საქმიანობა“. აქ ჩვენ თვალწინ გამოჩნდებიან წარჩინებული მანდილოსნები და ახალგაზრდა არისტოკრატები, რომელთა სიტყვა და საქმე მთელი სიძლიერით მეტყველებს ამ კლასის დაკნინებასა და უპერსპექტივობაზე.

დააკვირდით იარალაშის მოთამაშე კნეინებს: ეფემიას, სალომეს, ხორეშანს, ქეთევანს, რომლებიც ადვილად მოგაგონებთ ანახანუმსა და მის მეგობარ ქალებს (გ. ერისთავის „შეშლილი“), მოუსმინეთ მათ ახლობელ არისტოკრატებს: ლუარსაბს, თეიმურაზს, სიმონს, ელიზბარს, თონიკეს, რევაზს, რომელთა შორის განსხვავება არ შეინიშნება, და თქვენთვის ნათელი გახდება ამ წოდების მთელი ბედოვლათობა.

თავისი მეგობრების „საქმიანობის“ შესახებ ლუარსაბი ასე მოახსენებს კნეინა ხორეშანს: — „დღეს კარგი ჭკუა მოუვიდა ამ ყმაწვილებსა. ამიტყდნენ და წამიყვანეს კლუბში. ყველამ ვითამაშეთ ქაღალდი და, აი მოიხსენეთ თუ თქვენს ყურებს ეკლად არ მოხვდება: ამ შენმა ძმისწულმა თონიკემ წააგო სტოსში სამოცდა ათი თუმანი, რომელიც პრიკაზისთვის ჩამოიტანა და ცარიელი დაბძანდა. თეიმურაზმა წააგო ლანცკენტში ოცდახუთმეტი თუმანი და, მგონია, ხვალ აპირებს წასვლას სოფელში, რომ კიდევ ჩამოიტანოს. სიმონამ ითამაშა ნარდი და წააგო ოცდაათი თუმანი, პრიკაზისათვის ჩამოტანილი. ელიზბარმა წააგო სტოსში ოცდაათი თუმანი. რევაზმა მიიპატიჟა ჩვენს გარდა ათიოდე სხვა მუქთა-ხორა კაცი და ათი თუმანი გადიხადა“.

ამ ამბის მომსმენი ხორეშანი შეწუხდება, მაგრამ, ნაცვლად გაწყრომისა, გაამხნევებს კიდევაც თონიკეს: — „შენ ჩემო თავო! რა სახით მეწყინა!—აქ მო, თონიკე-ჯან, გაკოცო!.. გულში ხომ დარ-

დი არა გაქვს?! დიაღ, აგრე, თონიკეჯან, ფიქრშიაც ნუ გაიტა-რებ!—უთხრა ხორეშანმა თონიკეს ასეთის ალერსით და სიტკბოე-ბით, რომ თითქოს ეუბნებოდა, წადი კიდევ ითამაშეო“.

ხორეშანმა არ გაჰკიცხა თონიკე, და ეს გასაგებიცაა: თონიკე გამონაკლისი როდია. ხორეშანს უფლება არა აქვს სისულელე და საძრახისი უწოდოს მას, რაც ჩვეულებრივი და საყოველთაო მოვ-ლენაა არისტოკრატთა ცხოვრებაში.

სამაგიეროდ, ერთგვარ გაკვირვებას იწვევს თვით მწერლის შე-ხედულება ხორეშანის ასეთი ლმობიერი სიტყვების შესახებ. იგი სოლომონის პირით გვთავაზობს ამ შემთხვევაში მეტად გაუმართლე-ბელ დარიგებას: „ქალები მაინც უფრო ნარნარის გულისანი არიან! გული ატყობინებს იმათ, რომ შტრიალით და მხეცებრივის ტუქს-ვით ყმაწვილკაცს არ უნდა ამხილონ შეცდომა, არც მისცენ და-რიგება. გამოცდილებით ვიცით, რამდენსაც დასტუქსავ, სდევნი. ყმაწვილ-კაცსა, რომ მოაშლევინო ურიგო ყოფაქცევა, უფრო და უფრო შეუყვარდება და შეემკვიდრება მას, რასაც უშლი, მინამ თვითონ არ შეიგნებს და არ დაინახავს თვის ყოფაქცევის ურიგო-ბას. შეიძლება დარიგება გადაკერით, იგავით, დაცინვით, ანუ ხო-რეშანის მსგავსად, ამიტომ ვერ გავამტყუნებ ხორეშანს, რომ ასე ალერსიანად მოექცა თონიკესა“.

თუ როგორი შედეგი მოჰქონდა ასეთ ლმობიერ დარიგებას, ეს კარგად ჩანს კონას ამხანაგთა რიცხვიდანაც. მაგრამ თვით მწერ-ლის გადაწყვეტილება, რომ მხოლოდ გადაკვრითა და იგავური თქმით გამოასწოროს მაღალი არისტოკრატია, ცხადია, ყოველ-გვარ რეალურ საფუძველსაა მოკლებული.

ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ ლ. არდაზიანი თავს იკავებს გაგვაცნოს კნეინებისა და ახალგაზრდა არისტოკრატთა გვარები. მათი გვარების ადგილს N ან სამი წერტილი ავსებს. ეჭვს გარე-შეა, რომ მწერალი კარგად იცნობს მათ პროტოტიპებს, რომელთაც არც გვარი შეუცვალა და არც საჯაროდ შეურაცხყო.

მთელი თავისი სურვილები და სიმპათიები მაღალი წოდები-სადმი მწერალმა გამოავლინა რაინდიძეთა ოჯახის დახასიათების დროს, კერძოდ ალექსანდრე რაინდიძის სახის შექმნით.

ლ. არდაზიანის შეხედულებით, რაინდიძეთა ოჯახი არის მისა-ბაძი მაგალითი ფეოდალური არისტოკრატიისათვის. მისი გაგე-ბით, ეს ოჯახი თავისუფალია ყოველგვარი მიუღებელი თვისებები-საგან, და თუ აქაც ჰქონია ადგილი ზოგიერთ „ჩავარდნებს“, ეს

ყოფილა არა ამ ოჯახის წევრთა მიზეზით, არამედ მეზობელ თავადთა უმართებლო ქცევის გამო.

ნაწარმოების დასაწყისშივე, როდესაც მთელი თანაგრძნობით ვეცნობით ახალგაზრდა უმწეო ქერიეის—გაიანესა და მისი პატარა ვაჟის თავგადასავალს, და გვიპყრობს სურვილი ლუკმა-პური მაინც როგორმე იშოვნონ ამ უდანაშაულო და საბრალო დედა-შვილმა, ჩვენს თვალწინ გამოჩნდება სიმპათიური სახე თექვსმეტი წლის თავადისა, რომელიც მეტად გულწრფელ და თავაზიან დიალოჯს მართავს სიონის ეკლესიიდან გამოსულ გაიანესთან. ეს ყმაწვილი, როგორც მალე გამოირკვევა, თავადი ლუარსაბ რაინდიძე იყო.

ყოველთვის და ყველასაგან სხვაგვარი თვალით დანახულ გაიანეს არ შეიძლებოდა თავიდანვე ეცნო კეთილი ყმაწვილი, მინდობოდა მის რჩევას და სახლში გაჰყოლოდა. მაგრამ ლუარსაბის მხურვალე ფიცმა, მისმა „გულწრფელმა და ტკბილმა ლაპარაკმა, ზრდილობამ და მეტადრე ბრწყინვალე სახის მეტყველებამ გაუბნია გაიანეს ეჭვები“ და „გაჰყვა თავის სულგრძელს კეთილშობილსა“.

ლუარსაბმა უმალვე გააცნო გაიანეს თავისი ვინაობა: „მე მყავს დედა, რომელიც შეგიყვარებს, გამოგზრდის და პატივით შეგინახავს, რომელსაც შენც ძლიერ შეიყვარებ. მე მყვანან გამდელები, მოახლეები, მოსამსახურე ბიჭები... ჩემ ოჯახში პირველი უფროსი დედა-ჩემია, მეორე მე. არც გიმსახურებ, არც საჭიროა ჩემთვის შენი სამსახურიო“.

ხოლო როცა ქვრივ-ობოლი სახლში მიიყვანა, ლუარსაბმა დედას ყველაფერი მოახსენა და დაუმატა: „მე ვიცოდი, თქვენ გიამებოდათ ქვრივ-ობლის შეწყნარება და მოგგვარეო“.

ლუარსაბის დედამ, კნეინა დარეჯანმა, ბაშინვე მიიღო დედა-შვილი და დაუწყო დამშვიდება თავმოყვარეობაშელახულ გაიანეს. მან განუმარტა გაიანეს, რომ „ქვეყანაზე არა არის-რა საკვირველი, გარდა ერთისა: ეს არის, ვისაც აქვს თვითმდგომარე ხასიათი, ვინც იცნობს თავის ღირსებასა და დაიცავს პატიოსნებასა. დანარჩენი, მაგალითად, სიმდიდრე, სიღარიბე, სიდიდეკაცე, სიპატარაკაცე სრულიად არა არის-რა. ესენი ეძლევა განგებისაგან კაცსა, რომ იყოს ქვეყანაზე წესი. მე შენით, შენ ჩემით უნდა გამოვიზარდოთ, ვიცხოვროთ. რა წამს შემოგხედე, მე ვპოვე შენში თვითმდგომარე ხასიათი, ამიტომ მე და შენ ღირსნი ვართ ერთად გამოვიზარდნეთ და ვიცხოვროთ. შენ ნახავ, შვილო, როგორადაც საქმით დაგიმტკიცებ ამ ჩემს სიტყვებსა. ახლა გთხოვ, მიამბო დაწვრილებით ყოველივე შენი გარემოება“.

გაიანემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო დარეჯანს, რომლის მშვენიერებას, მწერლის თქმით, „კარგი მხატვარი თავის აზრით ვერ დახატავდა“. გაიანემ „ბოლოს დაუმატა, რომ იმან ისწავლა ზრდილობა და ენა ერთ აზნაურის სახლში, რომელსაც სახელად ეწოდებოდა ეკვთიმე“.

დარეჯანმა, პირველ ყოვლისა, ტანსაცმელი შეაკერვინა დედაშვილისათვის, შემდეგში კი ზრუნავდა მიეცა მათთვის შესაფერი აღზრდა-განათლება. გაიანეს მან თვითონ შეასწავლა კერვა, ქარგვა და სხვა ხელსაქმე, ხოლო სოლომონი მიაბარა თავის მოძღვარს, რომელმაც მას ასწავლა „წიგნი და წერა“.

მოსამსახურეებსა და გამდელებს დარეჯანისაგან ნაბრძანები ჰქონდათ არაფერი ეწყენინებინათ გაიანესა და სოლომონისათვის. „მოსამსახურეებს გაგიჟებით უყვარდათ ქალბატონი და წმინდად აღასრულეს ბრძანება მისი“.

ასე გულთბილად წარმოგვიდგინა მწერალმა თავიდანვე რაინდიძეთა ოჯახი, მაგრამ ამით არ დაუსრულებია ამ ოჯახის ბრწყინვალე ისტორია.

დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ, პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდა ლუარსაბი მაიორის ჩინით, რათა თავის თავზე აეღო ოჯახის ხელმძღვანელობა. ლუარსაბმა განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა სოფელ წითლიანის მამულებისადმი. თანდათანობით იძენდა ყმას, ვენახს, წისქვილს და სხვა. ერთი სიტყვით, „მამულზე მამულს უმატებდა“. მართალია, მან აიღო ვალი სოლომონისაგან, მაგრამ არა იმიტომ, რომ დრო გაეტარებია და ფუქსავატურ ცხოვრებას გაჰყოლოდა, არამედ მამულის შესაძენად. ამიტომ „ვალი მის შემოსავალთან სრულებით არა ჩანდა“.

ლუარსაბს უკანასკნელად გაუძნელდა ვალის გადახდა, მაგრამ ამაში დამნაშავე იყო არა ის, არამედ მისი მეზობლები და ნათესავები, რომლებსაც შეშურდათ მისი კარგი ცხოვრება: „მეშურნეთ კი არ მიბაძეს იმის მხნეობასა, ზომიერ ცხოვრებასა და ჰკუას, რომ შეეძინათ სიმდიდრე, არა, დაუწყეს უგუნური წინააღმდეგობა და მტრობა. დღეს ერთი ბიჭი გაუქციეს, ხვალ მეორე, ზეგ მესამე... დღეს ერთი მამული მოსტაცეს, ხვალ მეორე... ბუტეხეს დაუსრულებელი და დამქცევი დავა სასამართლოებში უგზო-უკვლოდ და თუმცა მრავალი დააკლეს ლუარსაბსა, სიცოცხლე გაუმწარეს და ბოლოც მოუღეს, მაგრამ თავიანთი ოჯახი და ცოლ-შვილი უფრო დაღუპეს“.

მწერალს გული სტკივა, რომ თავადაზნაურობას ვერ შეუგნია შურიანობისა და დავის ცუდი შედეგები; რომ ისინი ასეთი ქცევით

ღუპავენ ერთმანეთს, თავიანთ მოძმეებს, და ახარებენ სასამართლოსა და პოლიციის მოხელეებს.

მაგრამ ეს ცუდი ზნე ყველას როდი ჰპირს. კერძოდ, მისგან თავისუფალია ლუარსაბ რაინდიძე, რომელიც არაეის არ შეამჩნევინებდა, რომ იყო მათზე „მაღალი ჩამომაელობით, ზრდილობით და ნამსახურობით". „მე,—ამბობს სოლომონი,—ამას ვაჩემებ ნამდვილ გონების და გულის განათლებასა... მე შევხვედრივარ ზოგიერთებს, რომელნიც თავსა სდებენ განათლებაზე და რომელთაც უგუნურათ დაუგრეხიათ ჩემწინ ცხვირ-პირი, მაგრამ მე მაშინვე გამლვიძებია თავმოყვარეობა და ისინი დამიწევია ჩემზე ქვევით, ამიტომ რომ ამათში არ მიპოვია სრული ჰკუა".

ლუარსაბის ასეთი კეთილშობილური ბუნება და ხასიათი, მწერლის გაგებით, როდი არის შედეგი მხოლოდ სწავლა-განათლებისა. სოლომონის პირით იგი ხაზს უსვამს, რომ „აწინდელ განათლებულ დროშიაც ვხედავ მე ზოგიერთ კარგა ნასწავლ ყმაწვილ კაცებს, რომელნიც მრავალს კითხულობენ და დაიარებიან განათლებულ საზოგადოებაში, მაგრამ ჯერ კიდევ გაუთლელნი არიანო".

როგორც ჩანს, მწერალი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ზნეობრივ აღზრდას ოჯახში.

ჩვენ მიერ გაკეთებული ექსკურსი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლ. არდაზიანს, როგორც მოაზროვნეს, მცდარი და უსაფუძვლო შეხედულება აქვს სოციალური უთანასწორობის შესახებ. მისი აზრით, სიმდიდრე და სიღარიბე, მდიდარი და ღარიბი ამქვეყნად განგების მიერაა შექმნილი და გაჩენილი, რათა „იყოს ქვეყანაზე წესი". ამიტომ, ადამიანმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა ამ გარემოებაზე, ეს „სრულიად არა არის რა", არამედ იმაზე, რომ ჰქონდეს მტკიცე, „თვითმდგომარე ხასიათი". მისი შეხედულებით, ბრძოლა უნდა გამოეცხადოს არა სოციალურ უთანასწორობას, რომელიც განგებისაგანაა დადგენილი, არამედ ადამიანის ზნეობრივ და მორალურ გადაგვარებას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ზნეობისა და მორალის სკოლად ბწერალს, პირველ ყოვლისა, მაღალ არისტოკრატთა ოჯახები მიაჩნია. შემთხვევითი როდია, რომ გაიანე მეტად „თვითმდგომარე ხასიათის" პატრონი და თავმოყვარე ადამიანია, მას „ზრდილობა და ენა" შეუსწავლია აზნაურის, ვინმე ექვთიმეს სახლში.

განა მეტად ნიშანდობლივი არაა ამ მხრივ გამდიდრებული სოლომონ ისაკიჩის სინანული: „ოჰ, ნეტავი ისევ სიმშილით სული ამომხდომოდა და, რაც ხასიათები მიეიღე ლუარსაბის სახლში, არ დამეკარგაო".

ლ. არდაზიანის ეს „მოძღვრება“, რომელიც მეტად არაბუნებრივია სოლომონ ისაკიჩისათვის, მიმართულია, ძირითადად, სავაჭრო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. როგორც მწერალმა გვიჩვენა, ვაჭრობით მოგების მიღწევა დაკავშირებულია ტყუილთან, თაემოყვარეობის დაკარგვასთან, ურთიერთ კონკურენციასთან, ე. ი. ზნეობრივ-მორალური ნორმების დარღვევასთან. ამიტომ, ასეთ გზას ადამიანი შეუძლია მიიყვანოს სიმდიდრემდე, მაგრამ ბედნიერებამდე კი არა. პირიქით, ბოლოს იგი მიიღებს მძიმე სულიერ ტკივილებს, როგორც ეს სოლომონ ისაკიჩს დაემართა.

სამწუხაროდ, ლ. არდაზიანი-მოაზროვნე ფიქრობს, რომ ბატონყმური ურთიერთობა არაა ბოროტება. იგი არ ილაშქრებს ამ მახინჯი სისტემის წინააღმდეგ. მართალია, იგი ლიბერალური თავადაზნაურობის პოზიციებზე დგას, მებატონისაგან მოითხოვს ჰუმანურ დამოკიდებულებას ყმებთან, ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს მას. ძნელი არ იყო იმის დანახვა, რომ ბატონსა და ყმას შორის მამაშვილურ დამოკიდებულებაზე ლაპარაკი ყოველად უსაფუძვლო და სინამდვილისადმი შეუფერებელი იყო. ეს გარემოება თვით ამ რომანითაც კარგად იგრძნობა. მწერლისათვის მეტად იდეალურ მებატონეს — ლუარსაბ რაინდიძეს, ყმები ყოველდღე გაურბის. ამის მიზეზად რომანში მოშურნე მეზობლებია მითითებული, მაგრამ განა ძნელი მისახვედრია, რომ „შვილები“ „მამას“ ასე ხელაღებით არ უნდა სტოვებდნენ?! ცხადი არაა, რომ ეს არ შეიძლება მოხდეს, თუ რომ ყმებს მართლაც „გაგიჟებით“ უყვართ თავიანთი ბატონები?!

ლ. არდაზიანისათვის ლუარსაბ რაინდიძე არა მარტო ზრდილობითა და ხასიათითაა დადებითი მოვლენა, არამედ როგორც მებატონეც. იგი ზრუნავს ყმისა და მამულის შეძენისათვის, ეწევა ზომიერ ცხოვრებას და შორსაა ფუქსავატური მოქმედებისაგან. ერთი სიტყვით, თავისი საქმიანობით იცავს მებატონის „ღირსებას“. მაგრამ გასაგებია, რომ მებატონე, რომელიც ყმებს ყიდულობს, საჭირო შემთხვევაში მათ გაჰყიდის კიდევაც; ხოლო ისეთი „მამა“, რომელიც „შვილებს“ ყიდულობს და ყიდის, ვერავითარი ზრდილობით ვერ დაამტკიცებს ჰუმანურობასა და ხალხის სიყვარულს. მკითხველისათვის გასაგები ხდება, რომ ლუარსაბ რაინდიძე ჩვეულებრივი, მაგრამ სხვებზე უფრო წინდახედული მებატონეა. თავის სწავლა-განათლებას იგი იყენებს არა ხალხის ბედნიერებისათვის, არამედ საკუთარი ქედგომარეობის გასაუმჯობე-

სებლად. მისი გარეგნული მოკრძალება მისსავე ინტერესებს ემსახურება.

თავადაზნაურთა შორის ატეხილი დავისა და შურიანობის ახსნა ლ. არდაზიანს სურს ზოგიერთი მებატონის უკიცობით, წინდაუხედავობითა და შესაფერი მორალის უქონლობით. ასეთი „ახსნა" კი ძირშივე ეწინააღმდეგება თვით მწერლის მიერ აღწერილ სინამდვილეს. ცხოვრების ბურჟუაზიული განვითარების შედეგად რღვევის გზაზე დამდგარი ფეოდალურ-ბატონყმური სისტემისათვის ასეთი მოვლენები გარდუვალი და კანონზომიერი იყო. შექმნილი მდგომარეობის მიზეზებს, რომლებიც მწერალს სოციალურ გარემოში უნდა მოეძებნა, შეცდომით—ზნეობრივ ფაქტორში ეძებს და, რაც მთავარია, ამ მხრივაც როდი ხედავს უნაგვეშო მდგომარეობას. ურთიერთმტრობა და გაუტანლობა, მისი შეხედულებით, რატომღაც ქართლელ მებატონეებშია გავრცელებული, თორემ სხვაგან, კერძოდ კახეთში, სხვა მდგომარეობაა.

კახელი თავადებით მოხიბლული სოლომონი გვამცნობს: „ერთი ხასიათი შევნიშნე იმათში და სრულიად კარგი კახეთში: დიდი და პატარა მებატონენი შეკავშირებულნი არიან ერთ-სულობით, ერთგულობით, სიყვარულით, მეგობრობით, პურმარილობით. ეს წარჩინებული ხასიათი ძნელად სადმე იპოვებაო!"

ამგვარად, ლ. არდაზიანი, რომელიც ძალაში ტოვებს ბატონყმურ ურთიერთობას და „იძლევა" მის გამართლებას, ქადაგებს ჰარმონიული დამოკიდებულების იდეას როგორც კლასთა შორის, ასევე თვით ფეოდალთა კლასის წარმომადგენელთა შორის. იგი შორსაა კლასთა ბრძოლისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეებისაგან.

ლ. არდაზიანს მიზნად აქვს თავადაზნაურობას უჩვენოს ის გზა, რომელიც მას გადაარჩენს დაღუპვისაგან, იხსნის „პრიკაზისა" და მეჯღანუაშვილთა ვალებისაგან.

ალექსანდრე რაინდიძის სახით მწერალი ქმნის იდეალურ სახეს თავადისას, რომელსაც „აქვს" უნარი „მეჯღანუაშვილთა ეპოქაში" არა მარტო შეინარჩუნოს თავისი ფეოდალური მეურნეობა, არამედ გააუმჯობესოს და გააძლიეროს კიდევაც. იგი არა მარტო ეთიკითა და საერთო კულტურით გამოირჩევა, არამედ ეკონომიკურადაც ძლიერია, პრაქტიკული ალღოს მქონე და მტკიცე ხასიათის პატრონია.

ალექსანდრე რაინდიძემ განათლება მიიღო რუსეთში, დაასრულა „პრავოვედენიის" კურსი, იმოგზაურა ევროპაში, ნახა „მრავალი სხვადასხვა ქვეყნის ხალხი" და ამის შემდეგ დაბრუნდა სამშობლო-

ში. იგი არა ჰგავს ილუზიური ოცნებით გატაცებულ ივანეს (გ. ერისთავის „გაყრა“), არც პრაქტიკული ცხოვრების უცოდინარ ბეგლარს („დავა“). სამშობლოში დაბრუნებისთანავე ალექსანდრე საქმეს შეჰგომია. მართალია, მისთვის გარკუთვნილი ადგილი სოლომონ მეჯღანუაშვილის ვაჟმა—ისაკმა დაიჭირა, მაგრამ ამ მარცხს ალექსანდრე არ დაუბნევია. იგი ამ გარემოებას სათანადო შეფასებასა და დასკვნას უკეთებს: რწმუნდება, რომ ქალაქში უკვე კონკურენციას უწევენ ფულით მდიდარი ახალი ადამიანები, რომლებიც იმარჯვებენ კიდეეაც. მათთან ბრძოლა ქალაქური ცხოვრების ვითარებაში ალექსანდრეს უსაფუძვლოდ ეჩვენება.

იგრძნო რა სავაჭრო ბურჟუაზიის ძალა და უპირატესობა ქალაქად, ალექსანდრე რაინდიძე გადაწყვეტს განთავისუფლდეს მისი მარწუხებისაგან. ამ მიზნის მისაღწევად იგი იოლი და დათმობის გზით წასვლას როდი არჩევს, მდიდარ ვაჭრებთან დანათესავებასა და ქალის მზითევის იმედით ცხოვრებას კი არ გადაწყვეტს, არამედ მამისაგან მაღებული მემკვიდრეობის გაფართოებასა და გამშვენიერებას ჰკიდებს ხელს.

ალექსანდრე რაინდიძის პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით მამისაგან აღებული ვალის გასტუმრება იყო. მან თავისთან იხმო სოლომონ ისაკიჩი და მოახსენა: „მინდა ვალიდან ამოვიდე, რომ თავისუფალი ვიყო. უვალობისთანა ქვეყანაზედ კარგი არა არისრაო“. სოლომონმა ვადის გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ ალექსანდრემ ანგარიში მაინც გაუსწორა. ამ გარემოებამ სოლომონი ერთგვარად შეაწუხა კიდეეაც, „სინდისი რაღაცას მაყვედრიდაო“.

სოლომონ მეჯღანუაშვილმა, უხერხულობის გრძნობიდან რომ თავი დაეღწია, საყვედური უფროსი თაობისაკენ მიმართა: „ნუ კი გეწყინებათ, მაგრამ... ქართველები დაუდევნელები ხართ და არა ფიქრობთ ხვალისათვის... კურთხეულს მამაშენს ოცდაათი თუმანი მაშინვე რომ გადაეხადა, ახლა იმის შვილი ოთხასსამოცდაცამეტ თუმანსა, ცხრა მანეთსა და ხუთ შაურ ნახევარსა არ გადაიხდიდაო“.

მოსალოდნელი იყო, რომ ალექსანდრე კიდევ უფრო მკაცრ საყვედურს გამოთქვამდა, მაგრამ არა. მან მშვიდად მიუგო სოლომონს: „სარწმუნო ბრძანდებოდეთ, სოლომონ ისაკიჩ... მე ვალს არ ავიღებ. თუ ავიღებ როგორმე, ოცდაათ თუმანსა ხუთას თუმნამდის არ ვაქცევ. ნუ გავკიცხავთ ჩვენ მამებს, რომელთაც მცირედი ვალი ერთი ასად გარდუქცევიათ; იმათ ჰქონდათ ათასი შესაწყნარებელი მიზეზები. მაგრამ მე გკითხავ თქვენ: ქართველს სომხისაგან რათ განარჩევთ! განა არ არიან ქართველები ხელ მოპირებულნი და ხვალისათვის მზრუნველნი და სომხები გამბნევნი?!“.

ალექსანდრე რაინდიძის სიტყვებში მოცემულია მთელი „დიდაქტიკა“ თავადაზნაურობის მისამართით. იგი (უფრო სწორად მწერალი) მაღალ წოდებას მოაგონებს, რომ ვალების უანგარიშოდ აღება და მისი დაგვიანებით გადახდა იწვევს მათ დაღუპვას; დროა, რომ „ხელმოჭირებულნი და ხვალისათვის მზრუნველნი“ იყვნენ.

ალექსანდრეს შეუწყნარებლად მიაჩნია მოჯამაგირეებისა და სხვათა თავის ნებაზე და უკონტროლოდ გაშვება; ყოველ საქმიანობას თავის მამულში თვით მეპატრონე უნდა ხელმძღვანელობდესო. იგი მეტად გულნატკენი ეუბნება სოლომონს, რომ „ოპეკუნებს, გაკეთების მაგიერ, ფეხ-ქვეშ გაუქელავთ, გაუნადგურებიათ ჩემი მამული. ყოველი გვარი სიპილწე, გა~ყვნილება და ბოროტი დაუნერგავთ. თქვენ დამერწმუნებით, რომ თუ სახლს თავისი პატრონი არა ჰყავს, მოჯამაგირეები კეთილს არ დააყრიანო“.

მწერალი თავის გმირს გვიხატავს, როგორც ევროპული განათლების დიდ პატივისმცემელს, მაგრამ იგი შორსაა ამ განათლებისადმი ბრმა მორჩილებისაგან. მისი გაგებით, ყოველი ერის წარმომადგენელი უნდა ინარჩუნებდეს მას, რაც მის ეროვნულ სახეს ჰკვეთს. თამართან საუბრის დროს, მწერალი ალექსანდრეს ათქმევინებს: „მოხარული ვარ, რომ ევროპის განათლება გადმოვიდა საქართველოში, რომ ყველა ელტვის განათლებასა. ამასთან უფრო მოხარული ვარ, რომ ჩვენი ძველი დებულება და ჩვეულება, მაგალითებრ, ქართული ქალის ჩაცმა-დახურვა მცირედ ვისმე გადაუგდია. ამ მცირედის გარდა, სხვანი ამტკიცებენ, რომ იმათ აქვსთ მამა-პაპის თვითმდგომარე ხასიათი, აქვსთ ამპარტავნება დაიცვან თავიანთი საკუთარი ჩაცმა-დახურვა, რომ ქვეყანამ ყოველთვის გვიყუროს და იცოდეს: „ერთხელ ჩვენც ვიყავით და კიდევაცა ვართო!“

ასე წარმოუდგინა მწერალმა მკითხველს ალექსანდრე რაინდიძე თავისი შეხედულებითა და ფიქრებით, მაგრამ ჩვენ მას ვერ ვხედავთ პრაქტ~კულ საქმიანობაში, არც ის ვიცით, რა საშუალებით შეძლო მან ვალების ერთბაშად გადახდა. ზრდილობიანი საუბარი, თეატრში თავდაჭერილად ყოფნა და მუსიკის ცოდნა, ქეიფში მიმზიდველი ქცევა და სხვა ამგვარი ამბები, ცხადია, არ გვიკვირს განათლებული არისტოკრატისაგან. არც ისაა საოცარი და ბევრის მთქმელი, რომ მას თავისი ბ~ნა უფრო გემოვნებითა აქვს მოწყობილი, ვინემ სოლომონ მეჯღანუაშვილს. ეს კიდევ არ ლაპარაკობს არისტოკრატის უნარიანობასა და მტკიცე ხასიათზე, ეს კიდევ არაა იმის საწინდარი, რომ იგი გაუძლებს ახალი ცხოვრების დაწოლას და გაუმკლავდება მეჯღანუაშვილთა შემოტევას.

ამ გარემოებას გრძნობს მწერალიც, რომელიც კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ბოლომდე დაიცვას თავისი გმირი და იყოს მისი ერთგული. პირველი მკაცრი გამოცდა, რომელიც ალექსანდრე რაინდიძემ წარმატებით ჩააბარა ცხოვრებას, ეს იყო საცოლეს შერჩევა.

სოლომონ ძეჯღანუაშვილს არც შეძლება და არც მოხერხება არ დაუზოგნია, რათა ალექსანდრესათვის მიეთხოვებინა თავისი ქალი—თამარი. მზითევისა და საქმის მოგვარებისათვის თავის წონა ფულს იმეტებდა სოლომონი, ქეიფიც მოაწყო და საქმეში ჩააბა გაქნილი მაჭანკალი, მაგრამ არ იქნა და რაინდიძე ვერ წაჰოაგო თავის ანკესზე. ალექსანდრე მტკიცე ხასიათისა და თავისი რწმენის პატივისმცემელი აღმოჩნდა. იგი არა ჰგავს ივანე დიდებულიძეს („გაყრა"), რომელიც ბევრს ლაპარაკობდა სიყვარულის შესახებ, მაგრამ ადვილად გაება მიკირტუმ გასპარიჩის მიერ დაგებულ მახეში.

ალექსანდრემ სიყვარულით შეირთო თავისივე წოდების ქალი ელენე არაგვლიშვილი და მასთან ერთად ხელი მოჰკიდა მამულების მოვლა-პატრონობას. მათ ქალაქი დასტოვეს და გადასახლდნენ სოფელში, მამაპაპეული ქონება გააჭშვენიერეს და ააყვავეს, გაზარდეს შემოსავალი და ყოველმხრივ უზრუნველად და ბედნიერად გრძნობენ თავს.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლ. არდაზიანმა გვერდი აუარა ბედნიერი ცოლ-ქმრის ყოველდღიურ საქმიანობა-მოქმედებაში ჩვენებას. ეს გასაგებიცაა, ცხოვრების სინამდვილე მწერალს საწინააღმდეგო სურათს აძლევდა ^იმისას, რაც მას სურდა. ამიტომ, იგი მიმართავს შედარებით იოლ გზას: მათი „საქმიანობისა" და კმაყოფილების გრძნობის საჩვენებლად ალექსანდრე რაინდიძის პირად წერილს გვაკითხებს. ცხადია, ალექსანდრესათვის უფრო ადვილია წერილის დაწერა, ვინემ მწერლისათვის თავისი გმირის ყოველდღიურ საქმიანობასა და მოქმედებაში ჩვენება.

ალექსანდრე რაინდიძის წერილი დეიდა მაკრინესადმი წარმოადგენს ცხოვრების ერთგვარ პროგრამას, რომელსაც მწერალი თავაზობს თავადაზნაურობას, რათა შეინარჩუნონ და განამტკიცონ თავიანთი მდგომარეობა „მეჯღანუაშვილების ეპოქაში".

ალექსანდრე რაინდიძე თორმეტი წერილის პასუხად მაკრინეს წერს ერთადერთ წერილს, და ეს იმიტომ, რომ მას არ ეცალა ყველასათვის თავის დროზე გაეცა პასუხი. ბოდიშს უხდის დეიდას იმისათვისაც, რომ მან მისი რჩევა ვერ აღასრულა, მაგრამ იმასაც ატყობინებს, რომ არაფერს ნანობს:

„თქვენ მაშინ მობრძანდით ჩემთან შუამავლად,—წერს ალექსანდრე მაკრინეს,—როდესაც მე ვიყავი კიდეც დანიშნული ცნიაქნა ელენეზე... თამარ, დიაღ, ჩინებული ქალია, ღირსია ჩემზე უკეთესის ქმრისა, მაგრამ მე და თამარ არ ვიყავით ერთმანეთისათვის დაბადებული.

„ქორწილში ვერ მოგიწვიე იმიტომ, რომ ქორწილი ჩემი მოხდა სწრაფად ორ-სამ დღეს—ისიც სოფელში და არა ტფილისში. მე დავიწვირე ჯკვარი სოფ. წითლიანს, ჩემს მამა-პაპის სალოცავ ეკლესიაში; ქორწილი გადავიხადე ჩემს მამა-პაპის სახლში.

„ოჰ, მაკრინე! აღარა მენატრება-რა! სრული ბედნიერი ვარ! ელენე განხორციელებული ანგელოზია!

„დიაღ, მე ვარ ბედნიერი, მომატებულს აღარას ვნატრობ! ასე გასინჯეთ. ბუნებაც-კი ჩემთან იშვებს. წარმოიდგინეთ მაღალი კორდი, ამ კორდზე დგას ჩემი სახლი, რომელიც დაჰყურებს ერთის მხრით მდინარესა, საშუალ ჭალაკის მორბინავსა, მეორე მხრით ტყიან ღელესა და ამას იქით სოფ. წითლიანსა... აჰ მდინარის ხმიანობა და ფოთოლთ შრიალი, იქ ხბოსა და ძროხების ბღავილი, იქ მწყემსის სალამურის სტვენა აამებს თქვენს სმენას. რა შეედარება ბუნების მშვენიერებას! სად ვიშოვით იმის მზგავსებას ქალაქში?!

„ჩვენ არ გვძინავს, როდესაც ბუნება ხარობს სიცოცხლით: არა გვძინავს, რომ ბუნებამ მარტო თვითონ, უჩვენოთ, არ იხაროს, მარტო თვითონ არ ადიდოს დამბადებელი.

„ელენეს ქცევა მაკვირვებს. მე სრულად იმედი არა მქონდა, რომ ელენეს ნებივრობა არ დაეწყო. მაგრამ არა. ელენემ მოაწყო, მოკაზმა სახლი ისე კარგად, რომ უკეთესად მორთვა საჭირო აღარ არის. ელენემ მიიღო გამგეობა სახლისა და დაუხარებლივ აძლევს იგი სახლში განკარგულებასა. თქვენ ნახავთ სახლში სამაგალითო სისუფთავესა, მოსამსახურეებს წმინდად ჩაცმულსა. თქვენ ნახავთ ყოვლის სიკეთით სავსეს სახლსა. თქვენ ნახავთ წესსა, მშვიდობასა, სიხარულსა, ბედნიერებასა, თქვენ ნახავთ როგორადაც მოსამსახურენი დაუხარებლივ, სიხარულით, ერთგულად აღასრულებენ თავიანთ თანამდებობასა! ვერ გაიგონებთ ორგულობასა, წინააღმდეგობასა, დრტვინვასა, საჩივარსა, ლანძღვასა და სხვა ურიგობასა. ყოველის ამ სიკეთისა არის მიზიზი ელენე. ოო! ელენეს არ სძინავს! ელენეში ვერ იპოვნით გამბნევსა, დაუდევნელსა და გამფუჭებელს ქალსა! ელენეში ვერ იპოვნით უგუნურ ამპარტავნობასა, მედიდურობასა, თავის-თავის მოარშიყესა და დაუდგომელ ქალსა.

„მე მივიღე გამგეობა ყმისა და მამულისა. ყოველსავე მივეცი წესი. ყოველივე დავაყენე სწორე გზაზე. ყოველივე ჩემ თვალ-წინ კეთდება და მე არც მეთაკილება, არც მეზარება. რასაც ხუთი კაცი ხუთ დღეს აკეთებდა. ახლა იმასვე უნდება ორი კაცი ორ დღესა. ამ მცირე ხანს საცა გუთანს არ გაევლო, გაიარა; საცა ბარი არ მოხვედროდა, მოხვდა; საცა ვახი არ იყო, ვახით გაივსო; საცა წისქვილი არ იყო, გაკეთდა, მრავალი გავაკეთე. გავამშვენიერე: ყოველივე აყვავდა. ყმას შეუმსუბუქდა ერთი ნაბევრით სამსახური და მადლობელნი არიან ჩემი გლეხ-კაცები. შრომა არ მიფუჭდება. ბუნება უხვად მეწევა; ამიტომ გლეხ-კაცი მუშაობს გულმონდომებით, სიტკბოებით, ერთგულად. ჩემი შემოსავალი გავრცელდა, და ამ შემოსავალსა, სარწმუნო ბრძანდებოდეთ, ქალალდში არ წავაგებ ანუ არ გავაბნევ სათამაშო ნივთზე.

„მაგრამ არ გეგონოსთ, რომ მოკლებული ვიყვნეთ ჩვენ ყოველ სიამოვნებასა. არა. თქვენ გაქვთ თეატრი, ჩვენი თეატრი ბუნებაა. და ჩვენი თეატრი სჯობია თქვენსასა. თქვენი თეატრი არის დახატული, მაგრამ ბუნებისთანა მშვენიერი რად იქნება!..

„...ხშირად, ყოველ ღამე, თქვენი გამოჯავრებული შვეიცეცვით იარალაშსა, ხან ნარდსა, ხან ასონასსა, ხან წიგნებსა ვკითხულობთ. თქვენ ქალაქში მხოლოდ იარალაშს თამაშობთ, წიგნების კითხვის ხალისი კი— ღმერთს არ მოუცია თქვენთვის! სხვა რითიღა მოგწონსთ ქალაქი? აქიმებითა? აფთიაქებითა? ღმერთმა მოგცესთ თქვენ უხვად აქიმებიცა და აფთიაქებიცა, ჩვენ-კი დაგვიფაროს იმათგანო“.

ასე ბედნიერად და კმაყოფილების გრძნობით გამოიყურება თავის წერილში. ალექსანდრე რაინდიძე, რომელიც გაიქცა ბურჟუაზიული ქალაქიდან და დასახლდა ბატონყმურ სოფელში.

რა გზით მიაღწია რაინდიძემ „გამარჯვებას“?

რაინდიძემ, მწერლის შეხედულებით, გამარჯვებას მიაღწია იმის გამო, რომ მან ალღო აუღო ბურჟუაზიული ქალაქის ცხოვრებას. იგი მიხვდა, რომ ქალაქი იქცა სავაჭრო ბურჟუაზიის სამოქმედო ასპარეზად, სადაც ფეოდალურ არისტოკრატიას აღარ ედგომება. მან მიაშურა სოფელს, მამაპაპეულ სახლ-კარს, უარჰყო თავადაზნაურობაში გავრცელებული ფუქსავატური ცხოვრება, რაც მათ ვაჭართა მოვალედ და მსხვერპლად ხდიდათ, უარი სთქვა გამდიდრების მიზნით ვაჭართა კლასის წარმომადგენლებთან დანათესავებაზე, ვინაიდან ეს მისი კლასის სისუსტესა და დამარცხებას ნიშნავდა.

ალექსანდრე რაინდიძე მამულის მოვლა-პატრონობას მოურავებსა და მოჯამაგირეებს კი არ ანდობს, არამედ თვითონ ფხიზლობს, თვითონ მიიღო „გამგეობა ყანისა და მამულისა“. მას არ სძინავს, ყმათა შრომას თვალს ადევნებს უშუალოდ, რამაც დიდი შედეგი მისცა,—მისი „შენოსავალი გავრცელდა“, თანაც მომჭირნეობას მოუმატა.

რაინდიძეს არ ჩამოუვარდება მისი მეუღლე ელენეც; „დაუზარებლივ აძლევს იგი სახლში განკარგულებასა“. მან სახლში დაამყარა სამაგალითო წესრიგი, მოსამსახურენი გახადა ერთგულნი და შრომისმოყვარულნი, „ელენეში ვერ იპოვით გამბნევსა, დაუდევნელსა და გამფუჭებელს ქალს“.

„შრომისმოყვარე“ ცოლ-ქმარი დიდ სიამოვნებას განიცდიან როგორც კარგი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ასევე მოჰხიბველელი პეიზაჟების ცქერით, ბუნების სიმფონიათა მოსმენით, წიგნების კითხვითა და შესაფერი გართობით.

ალექსანდრე რაინდიძე თავის წერილში მკაცრად უპირისპირებს ერთმანეთს ქალაქისა და სოფლის ცხოვრებას, თნაც უპირატესობას უკანასკნელს აძლევს.

რაში უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი?

ცხადია, რაინდიძე სოფელში ცხოვრებას უპირატესობას აძლევს უმთავრესად არა იმიტომ, რომ ბუნების მშვენიერებით ტკბება. არამედ იმის გამო, რომ იქ ახერხებს იგი სხვისი შრომით უზრუნველ ცხოვრებას, თავისი წოდების პრივილეგიური უფლებების გამოყენებას, რის საშუალებაც მას ბურჟუაზიული ქალაქის სინამდვილეში თანდათან შეუმცირდა.

ალექსანდრე რაინდიძისა და მისი მეუღლის მთელი შრომა იმით ამოიწურება, რომ განკარგულებებს აძლევენ ყმა-გლეხობას, შინამოსამსახურეებს და კონტროლს უწევენ მათ მუშაობას, ე. ი. მათი სახით საქმე გვაქვს ფხიზელ მებატონეებთან.

რა თქმა უნდა, ალექსანდრე რაინდიძე მართალს არ ამბობს, როცა წერს თავისი ყმებისა კმაყოფილებაზე, მათ ტკბილ და ერთგულ შრომაზე. მათ, ალექსანდრეს სიფხიზლის გამო, ჩანს შრომა მოემატათ, მაგრამ არ ჩანს შეჩვეულზე რომ მომატებოდეთ. და თუ ალექსანდრე და ელენე მეტად ბედნიერად გრძნობენ თავს, ეს იმიტომ, რომ, როგორც თავის დროზე მეჯღანუაშვილს ათქმევინა მწერალმა, „სიმდიდრე კბადებს ნებივრობასა და სილაღესა იმათში, რომელთაც თვითონ არ მოუგიათ“.

ამგვარად, ლ. არდაზიანმა ბურჟუაზიული სინამდვილით შევიწროებულ თავადაზნაურობას სოფლისაკენ, მამაპაპეული მამულისაკენ მიუთითა, მომჭირნეობა და ყურის მრომისადმი ფხიზელი ხელმძღვანელობა ურჩია. ცხადია, იგი სასტიკად ცდება, როცა ქალაქსა და სოფელს თიშავს და არ ითვალისწინებს, რომ სოფელიც ვერ გადაურჩება ბურჟუაზიულ განვითარებას. და განა თვით მან არ გვიჩვენა, რომ მეჯღანუაშვილებისა და სარჭისბეგაშვილების კაპიტალი სოფლებშია უკვე დაბანდებული? განა შეუძლია რაინდიძეს გაექცეს და დაემალოს მათ? რა თქმა უნდა, არა.

ლ. არდაზიანის მსოფლმხედველობის გარკვეული სისუსტე მჟღავნდება იმაშიც, რომ თავადაზნაურთა მდგომარეობის გაუარესებას მიზეზებს, ბატონყმური ურთიერთობის რღვევის საფუძველს ცალკეულ მებატონეთა დაუდევრობასა და ფუქსავატობაში ხედავს. სოციალური ძერების სიღრმეში იგი ღრმად ვერ იხედება ან არ იხედება. მას არ უნდა დაინახოს, რომ ფეოდალურ-ბატონყმური

სისტემა უაღრესად მოძველებული და ძირმომპალია, რომ ცხოვრების ისტორიული მსვლელობაც მკაცრი განაჩენით ემუქრება ძველსა და დრომოჭმულს, როძელიც აფერხებს მის შემდგომ წინსვლას.

ლ. არდაზიანი ცდილობს მაღალ წოდებაში იპოვოს სიცოცხლის ძაფები, გულმოდგინეთ ეწევა ზევით ისტორიის მიერ განწირულ რაინდიძეებს, მაგრამ მისი სურვილი რჩება სიტყვად, საქმე სულ სხვას მეტყველებს. განა უდავო არაა, რომ მწერლისათვის იდეალური გმირი — ალექსანდრე რაინდიძე რომანტიკული პიროვნებაა, რომელიც დითირამბს უმღერის ნაკადულთა ჩუხჩუხს, ფრინველთ გალობას და სოფლურ იდილიას? ალექსანდრე რაინდიძემ ლ. არდაზიანს ფაქტიურად ისევე არ გაუმართლა, როგორც არჩილმა („ძუნწი") გ. ერისთავს. მაგრამ თუ გ. ერისთავმა მეტი გაბედულება გამოიჩინა და მამაპაპეული ჟანგიანი ხმლის მეხოტბე არჩილის მოქმედებით გაკვირვებული და გაცინებული კარაპეტას სახის ჩვენებას არ მოერიდა, ლ. არდაზიანმა ამჯერადაც თავი აარიდა მეჯღანუაშვილის გაღიმებას რაინდიძის რომანტიკული ენაწყლიანობის გამო.

ლ. არდაზიანის სურვილის მიუხედავად, თავადაზნაურობა მის რომანში გამოიყურება როგორც უმოქმედო, სიცოცხლის უნარის არ მქონე, ფუქსავატური ცხოვრებით გატაცებული და წარსულის მოტრფიალე. ეს აშკარად ჩანს მაშინვე, როგორც კი მწერალი თავის გმირებს მოქმედებაში გვიჩვენებს. თავისი სურვილების გამართლებას იგი „აღწევს" არა კონკრეტული მოვლენების აღწერით, არამედ ზეპირი მსჯელობით, რომელიც დაცილებულია რომანში აღწერილ სინამდვილეს და ეკუთვნის არა მის გმირებს, არამედ თვითონ მას.

4

ლ. არდაზიანის მხატვრულ ხედვას შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევის ეპოქაში, ეკონომიკურად შევიწროვებული მაღალი წოდების წიაღში ჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებაში დაკარგული აქვთ გარკვეული მიზანი. მათი ხედვა დღევანდელ დღეს არ სცილდება, ხოლო მათი ინტერესი — მუქთად კუჭის გამოძღომას. ბევრი მათგანი ხელს ჰკიდებს ისეთ „საქმეს", რომლითაც უფრო იოლად გააქვს თავი. მართალია, საზოგადოებრივი აზრი მათ ჰკიცხავს, მაგრამ ამას დიდად არ დაგიდევენ, რადგან მათთვის მუქთა ლუკმა უფრო საინტერესო და ძვირფასია, ვინემ ეს აზრი.

რომანში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მწერალმა მეტად ცოცხლად წარმოადგინა ასეთი ადამიანები ალექსი კერპაძისა და მაკრინე ტუჩმოხეულიშვილის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ მათი „საქმიანობის“ შესახებ მწერალი გაკვრით ლაპარაკობს, მკითხველს მაინც საკმაოდ სრული წარმოდგენა ექმნება მათ შესახებ.

კერპაძე გაღატაკებულ თავადაზნაურთა წარმომადგენელია. მას მოსპობია შემოსავლის ძველი წყარო. ამიტომ მის ხელობად გამხდარა ჰორების შეთხზვა და მისი გავრცელება ოჯახებში, რათა ასეთი „ახალი ამბავის“ მიტანით „ეგები სადილად დარჩენილიყო“ სადმე. მას სახელი გაუთქვამს თავისი სიცრუითა და თავხედობით, ოგი ბალხში ცნობილია შერქმეული სახელებით: „მუცელღმერთა“, „მუჰატყუილა“ და სხვ.

კერპაძე „უმავთულო ტელეგრაფად“ არის გამხდარი. ყური თუ რამეს მოჰკრა „შეუძლია ერთ საათს სულ მოჰფინოს ბთელ ქალაქში“. მაგრამ ზოგი თუ სახლიდან ითხოვდა ამ უსიამოვნო სტუმარს, ბევრი კიდევაც ერთობოდა და „საქმეს“ შოულობდა მისი ჰორების წყალობით. მას ჰყავდა თავისი პატივისმცემლები.

კერპაძეების მოქმედებით აღშფოთებული მწერალი ალექსანდრე რაინდიძეს მთელი გულისწყრომით ათქმევინებს: „ჰო, კერპაძე, კერპაძე! საზოგადოება შენში ხედავს გველსა, მაგრამ კიდევაცა გილოლიებს მაშინ, როდესაც შეუძლიან გაგისრისოს თავი და დაშხამული ენაო“. მაგრამ რაინდიძე ცდება! კერპაძეები შემთხვევით როდი დაბადებულან. მათ ჰყავთ მშობელი—დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის სახით, რომელიც კვლავ წარმოშობს კერპაძეთა მსგავსთ. ამიტომაა, რომ მათ „ულოლიავებენ“ კიდევაც.

ცხადია, რაინდიძეს არ ჰქონდა იმის უნარი, რომ კრიტიკულად შეხედა იმ „ბუდისათვის“, სადაც ასეთი „მერცხლები“ იჩეკებოდნენ, თორემ კერპაძეში იცნობდა არცთუ ისე შორეულ ნათესავს, რომელსაც მწერალმა იგი, მეტად უსაბუთოდ, დიდი მანძილით დააშორა.

კერპაძის სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანია ჩვენთვის უკვე ნაცნობი ალექსანდრე რაინდიძის დეიდა — მაკრინე ტუჩმოხეულიშვილი.

მაკრინე ტუჩმოხეულიშვილი, მწერალის თქმით, „ახლაც სუფევს“. იგი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი წარჩინებული თავადის

მეუღლეა, რომელიც დიდი ხანია დაქვრივებულა, მაგრამ თბილისს მაინც არ ტოვებს, „თუმცა ტფილისი მისგან მობეზრებულია. რომელს სახლშიაც შეხვალთ, ის იქ დაგიხვდებათ. რომელ ეკლესიაშიც მიხვალთ, ისიც იქ დაგხვდებათ. მაგრამ, ვაი თქვენი ყურების ბრალი, თუ შეხვდით იმას სადმე! საგანი იმისი ტუჩმოხეულობისა არის განკიცხვა თქვენი... ქვეყნისა. მაგრამ მეორე მხრით, დაუფასებელი სასარგებლო დედაკაციც არის. როგორ? თუ დაგჭირდათ ფული, მიჰმართეთ მაკრინესა და ორ საათზე მზად იქნება, თუ მოგწონთ რომელიმე ქალი და გსურთ მისი შერთვა, ბევრს თავს ნუ იტკენთ, მიბრძანდით მაკრინესთან, გამოუცხადეთ თქვენი სურვილი და, გარწმუნებთ, მესამე დღეს დაგაგვირგვინებსთ თქვენ ძვირფას საყვარელთან".

როგორც ვხედავთ, ეს მეპორე და აბეზარი ადამიანი „საჭირო" მოქალაქედ გამოიყურება იმდროინდელ საზოგადოებრიობაში. თბილისი, ცხადია, მაშინ ვერ გაიმეტებდა იმ „კეთილმყოფელს", რომელსაც ფულით ხელის გამართვა და საქორწინო საქმის მოჭახრაკება შეეძლო. მაკრინეს კარგად აქვს შეჩნეული თავისი წოდების მტკივნეული ადგილები, ამიტომ მას ვერ მოიძულებენ, თუნდაც არ სიამოვნებდეთ მისი არსებობა.

არა მარტო უფულოთა ნუგეშია მაკრინე, არამედ ფულიანთათვის საჭირო ადამიანიც. მას თავისი საქმიანობა ანათესავებს არა მარტო მაღალ წოდებასთან, არამედ ვაჭარ-ბევახშეებთანაც. თავისი მოხერხებითა და „სპეციალობით" მაკრინე ყველასათვის „საჭიროა". მისი კარების წინ „შემთხვევით როდი არის გაჩერებული მეჯღანუაშვილის „ფაიტონი"; შემთხვევით როდია, რომ კნეინები მას თავისთან პატიჟებენ.

მაკრინე იმავე ბუდიდანაა გადმოფრენილი, საიდანაც კერპაძე; ისიც თავისი დროის კანონიერი შვილია. ამიტომაა, რომ მათი უმცროსი „და-ძმანი" კიდევ უფრო ახლოს გაგიეცნობიან შემდეგში, გ. წერეთლისა და დ. კლდიაშვილის მოთხრობების წყალობით.

ლ. არდაზიანი თავისას უზღავს იმ ინტელიგენტებსაც, რომლებზეც ახალი ცხოვრების სიომ, ფულის ძლიერმა ძალამ თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა. მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენზე თამარის „მკურნალი" ექიმი, რომელმაც ტუბერკულოზით დაავადებულ ქალს ხუთი თვე ქინაქინი ასვა და გასამრჯელოდ ასოთხმოცი თუმანი ჩაიჯიბა. მან მხოლოდ მაშინ მიატოვა ჩვეული რეცეპტების წერა, როცა დარწმუნდა, რომ ქალი ბევრს აღარ იცოცხლებდა და ასაღებიც ბევრი აღარაფერი რჩებოდა.

რომანში ნაჩვენებია პოლიციისა და სასამართლოს ბიუროკრატიული მოხელეთა საქმიანობაც. ნაცვლად წესრიგისა და სამართლიანობის დამყარებისა, ეს ვაებატონები ქრთამებზე ფიქრობენ. ისინი ამისათვის ეძებენ მარჯვე შემთხვევას და, თუ იგი თავისთავად არ გამოჩნდა, მაშინ მზად არიან თვით შექმნან ასეთი „შემთხვევა“. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა რომანის მეოთხე თავი, სადაც მწერალი ლაპარაკობს „აჭლემა“ „პრისტავზე“, „ნემსიყლაპია“ „პერევოჩიკზე“, „წიპლონკა“ და „ქათამა“ „დესეტნიკებზე“.

ასეთი მეტყველი სახელები მათთვის ხალხს შეურქმევია, უხეირო გარეგნობისა და უმსგავსი საქციელისათვის. „ნემსიყლაპიის“ სახელი „პერევოჩიკს“ ქრთამების ყლაპვით დაუმსახურებია. სოლომონ ისაკიჩის პირით, მწერალი გვაცნობს, რომ „მოგახსენებენ ვითომც ეს სახელი დარქმევია, რადგანაც ქრთამები უყლაპავს, მრუდედ თარგმნა ჰყვარებია და არც ერთხელ სინდისში არ გაზიდვია ეს ბოროტებაო“. არც „ქათამა“ შერქმევია შემთხვევით „დესეტნიკს“.

„ნემსიყლაპია“, როგორც რომანიდან ჩანს, „დანაშაულების“ გამოცდილი გამომგონებელია. თავისი „გამომგონებლობა“ სცადა მან სოლომონ მეჯღანუაშვილის მიმართაც. მან აიძულა გაიანეს გამაუბედურებელი ბებრის შვილი, რომ მას დედის სიკვდილი სოლომონისათვის დაებრალებინა და სოლომონთან გამოცხადდა მთელი „თაიგულით“. „პრისტავმა“ გაროზგვაც კი დაუპირა სოლომონს, მაგრამ როზგები თან არ აღმოაჩნდა; სამაგიეროდ პოლიციისაკენ გაუყენეს გზას. ცხადია, მათ სოლომონის დაპატიმრება არ აინტერესებდათ, ამიტომ გაქნილმა „პერევოჩიკმა“ სოლომონს ურჩია ქრთამით ეშველა თავისათვის. ხოლო, როცა სოლომონმა დაარწმუნა, რომ „ცალი ფულის პატრონიც არ იყო“, „მაშინ პრისტავი და იმისი კამანდა ისე გაიპარ-გამოიპარნენ“, რომ სოლომონს არც გაუგია. „ბოლო დროს ბებრის შვილმა მიამბო,— ამბობს სოლომონი,—რომ ეს კომედია ათამაშებინა ზემოხსენებულ ხალხსა პერევოჩიკმაო“.

ასეთი კომედიების გათამაშებას, როგორც ჩანს, იშვიათად როდი მომართავდნენ ხოლმე ქრთამების მოყვარული პოლიციის მოხელენი. მათ არც თავადი ლუარსაბ რაინდიძე დაინდეს. „რადგანაც აგრე რიგად ვერას სარგებლობდნენ ამისაგან, უსამართლობით და შეუწევნელობით რომ ვერა დააკლო-რა ლუარსაბსა, პოლიციამ ქვებუდანობით დაუწყო წინააღმდეგობა“. „უპრავის დიამბეგებმა“ სხვადასხვა ხერხს მიმართეს, რათა გაეტყავებინათ ლუარ-

საბის „რვა მდიდარი კომლი ყმა-ურია“. ერთი დიამბეგთაგანი ყმობისაგან განთავისუფლებას დაჰპირდა მათ და გასამრჯელოდ ასი ოქრო მოსთხოვა. გახარებულებმა ოცი ოქრო ბეთ მისცეს და დანარჩენსაც დაჰპირდნენ, მაგრამ ბოლოს მათ „დაინახეს ვერაგობა მაცდურისა“. მეორე დიამბეგმა მათთვის კაცის მოკვლის დაბრალება გადაწყვიტა და იასაულებიც ჩააბა საქმეში.

ძნელი არაა წარმოვიდგინოთ, თუ რა წესრიგი უნდა ყოფილიყო დამყარებული ასეთი „შემოქმედი“ პოლიციის წყალობით. მოვიგონოთ თუნდაც სოლომონის მგზავრობა კახეთში, როცა მან გურჯაანში შეისვენა. ჩაძინებული სოლომონი ხალხის ყვირილმა გამოაღვიძა. მან დაინახა გლეხკაცი, რომლისთვისაც კამეჩები მოეპარათ და წყეველა-კრულვით იხსენიებდა ქურდსა, იქვე შეხვედა ქვრივი დედაკაცი, „რომელიცა გულამოსკვნილი სტიროდა მდუღარის ცრემლით. ამ საცოდავისათვის ძროხა მოეპარათ, დაეკლათ და გატყავებული ქვევრში ჩაეკიდათ“. „მერე ვის?“—ამბობს სოლომონი და თითონვე პასუხობს: „სჯობს არა ესთქვა, რომ ჩემის თქმით არადაშავდეს-რაო“.

სოლომონის სიტყვებიდან იგრძნობა, რომ ეს „ოპერაციები“ არ ტარდებოდა „აქლემების“, „წიპლონკებისა“ და „ქათამების“ გარეშე, ამიტომაცაა, რომ დუმილს არჩევს. ნუ დაივიწყებთ, რომ გამოღვიძებულ სოლომონს არც თავისი ცხენი დახვდა, ქურდებს წაეყვანათ.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სასამართლოში მაინც იქნებოდა უკეთესი წესიერება და დანაშაულის რიგიანი გამოძიება. მაგრამ ასეთი ფიქრი მალე გაჰქრება, როცა მწერალი შეუფერავად წარმოგვიდგენს „სუდის“ ჩინოვნიკთა „კეთილსინდისიერებას“. ისინი, თავიანთი „საქმიანობისა“ და ინტერესების წყალობით, განუყრელი თანამეგობრობით არიან დაკავშირებულნი პოლიციის მოხელეებთან; არზების წერითა და „აბრუნდების“ კეთებით ცხოვრობენ ისინიც. მათი ოცნებაა, რომ როგორღა დავა ატყდეს „მსუქან ცხვრებს“ შორის; აქტიურ მონაწილეობას იღებენ დავის გაჩაღებაშიც. „გაიგეს რა სუდისა და პოლიციის ჩინოვნიკებმა ამათი შფოთი (ლაპარაკია, ლუარსაბ რაინდიძესა და მის მეზობელ თავადებზე.— დ. გ.),—გვიამბობს სოლომონი,—ცეცხლს დაჰპერეს და ცეცხლს ცეცხლი მოუმატეს. იმათ ასწავლეს ლუარსაბის მტრებსა არამზადული გზები. ისინი ხლართავდნენ განგებ გზებს თავიანთ სარგებლობისათვის, უწერდნენ ბუთ გროშიან არზებსა და ართმევდნენ თუმნობით, ხუთ თუმნობით, ათ თუმნობით... მოდავეების პური და ღვინო, საკლავი და ავეჯეულობა ხომ გადაიტანეს იმათ

თავიანთ სახლებში. იცით, როგორ დაუხვლანჯეს საქმე?—რაც პოლიციას უნდა გადაეწყვიტა, სუდს მიაჩემეს, და რაც სუდს უნდა გადაეწყვიტა, მიაჩემეს პოლიციას".

ასეთ ხაჟანგში გაბმული თავადები მალე გალარიბდნენ. „ხალიჩის მაგიერ დაიგეს ჭილობი", ხოლო ჯიბეგასქელებულმა მექრთამე ჩინოვნიკებმა „დაუბოლოვებელი საქმეები... ჩუმად გადაყარეს არხივში".

ასე წარმოადგინა თავის რომანში მეფის რუსეთის ბიუროკრატი მოხელეები მათი „საქმიანობის" მეტად ახლო მცნობმა მწერალმა და ამით კიდევ უფრო მუქი გახადა ის სურათი, რომელიც პირველად გ. ერისთავმა დაგვიხატა „დავაში".

ლ. არდაზიანი მოკლედ, მაგრამ მეტად ირონიულად შეეხო იმდროინდელ სკოლას და აღმზრდელებსაც.

როგორც სოლომონისა და ისაკის დიალოგიდან ირკვევა, გიმნაზიებში კლასიდან კლასში გადაყვანა მიღებული ცოდნის ხარისხის მიხედვით როდი ხდებოდა ყოველთვის. სკოლის ცხოვრებაშიც შეჭრილა ფული—ეს ყოველისშემძლე „მეძავი ქალი". სოლომონის „მეცადინეობით" ისაკი კლასიდან კლასში გადაუყვანიათ ისე, რომ ბევრი არაფერი უსწავლია. კიდევ უფრო სავალალოა ის, რომ ისაკი გამონაკლისად არ მოჩანს. „ვისაც ხელავთ ფრანტებსა,—ეუბნება ისაკი სოლომონს,—გარწმუნებ სულ უსწავლელი ხალხია; მხოლოდ ტანისამოსში ჰგვიანები და განათლებულნი ჩანან. რომ ჰკითხო—трижды два, რამდენიაო, გეტყვიან: ოთხიაო".

საგულისხმოა ისიც, რომ სოლომონი არ შეუშინებია შვილის ასეთ გამოტყდომას უცოდინარობაში. მან დააიმედა კიდევაც ისაკი: „ნუ სწუხარ, შენი ამხანაგები შენზე წინ ვერ წავლენ, შენზე მსწავლულად ვერ გამოჩნდებიან და შენზე ადრე ჩინს ვერ მიიღებენო". დაპირება სოლომონმა წარმატებით აასრულა, რითაც მწერალმა კიდევ უფრო აშკარად გვაგრძნობინა, თუ რა ცოდნის ხალხით იყსებოდა „ჩინოსანთა" პლეადა.

ლ. არდაზიანმა კონკრეტულ სახეებში გვიჩვენა ის გარემო, რომელმაც ხალხს ათქმევინა: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო".

ლ. არდაზიანს ეხერხება ჩაწვდეს გმირის ფსიქოლოგიას, შენიშნოს მასში ის არსებითი და საინტერესო, რომელიც მას თავისებურს ხდის. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ სოლომონის ნათლიმამა—ოჰანეზა და არაქელ ნიკიტიჩი, რომლებიც მწერალმა ერთი თვალის შეხედვით გაგვაცნო, მაგრამ მკითხველს მაინც არასოდეს ავიწყდება.

ოჰანეზა და არაქელ ნიკიტიჩი სოლომონსავით „სოროებიდან“ არიან ამომძვრალნი, მაგრამ ჩანს მასზე ადრე ეზიარნენ ახალ ცხოვრებას. მათ მეტი ცოდნა, გამოცდილება და გაბედული ქცევის უნარი აქვთ, ვინემ სოლომონს.

ოჰანეზამ დააყენა სოლომონი მდიდრული ცხოვრების გზაზე, ჩან აიძულა იგი ეზრუნა ოჯახსა და საკუთარ თავზე, ეფიქრა ფულის მოხმარებაზე. ოჰანეზას პირით სოლომონს ჰკიცხავს ცხოვრების ბურჟუაზიული მოთხოვნილება და უჩვენებს შეძდგომი მოქმედების გზას. „სიმდიდრე კარგია, თუ მოიხმარებო“,—ჩასძახა სოლომონს ახალმა ცხოვრებამ ოჰანეზას საშუალებით. სოლომონიც გაბედულად მიჰყვა რჩევას.

მდიდრული ცხოვრების სარბიელზე ბურჟუაზიის წარმომადგენლები ჯერ კიდევ ფრთხილად მოქმედებენ, მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საკუთარი ეტიკეტი. ამის გამო, ხშირად, კომიკურ მდგომარეობაშიც ვარდებიან, როგორც, მაგალითად, სოლომონი და მისი ცოლ შვილი თეატრსა თუ ლხინში; და ეს მაშინ, როცა მათ გვერდით სიმპათიურად გამოიყურება განათლებული თავადი—ალექსანდრე რაინდიძე. ასეთი დაპირისპირებით მწერალი მიუთითებს სავაჭრო ბურჟუაზიის დაბალ კულტურაზე. მაგრამ ნაწარმოებში ასახული მთელი რიგი მოვლენები გვარწმუნებენ, რომ დღეს თუ არა ხვალ მათაც შეეძლებათ გაბედულად მოუჯდნენ გვერდით თავადებს ლხინშიც და თეატრშიც. ამის მაჩვენებელია, თუნდაც, არაქელ ნიკიტიჩის მოქმედება.

არაქელ ნიკიტიჩი თამადობს იმ სუფრაზე, რომელსაც ალექსანდრე რაინდიძე და ელენე არგელიშვილი ამშვენებენ. ჩანს ის შემთხვევითი სტუმარი არაა სოლომონის ოჯახში, იგი საგანგებოდ არის შერჩეული და დაპატიჟებული, რათა ერთგვარად გააწონასწოროს მეჯღანუაშვილსა და რაინდიძეს შორის არსებული ეთიკური ზღვარი. იგი ცდილობს ხუმრობითა და მახვილსიტყვაობით შეაქციოს საპატიო სტუმრები, ზოგჯერ ფილოსოფოს ეპიკურსა და ქართველ მწერლებსაც იშველიებს, დრო და დრო ჩაუღიღინებს ალ. ჭავჭავაძის ცნობილ სიტყვებს: „ეი, ნოე ნუნუას მიუჯდა“... სადღეგრძელოებსაც რუსულად წარმოთქვამს, მაგრამ... არ ჰყოფნის ცოდნა, ღალატობს ბედი. რა ჰქნას! „კნიაზისა“ და „კნეინის“ სადღეგრძელოსთან ერთად სურს შესვას თამარის სადღეგრძელოც, მაგრამ რა ეპითეტით შეამკოს იგი ნაცვლად „კნეინისა“? ამ გაჭირვებამ ათქმევინა: „ზა ზდაროვიე... თამარუ სოლომონიჩუ“. მაგრამ არ დაიბნა, სიმღერა ჩაურთო და რაინდიძეს კომპლიმენტი ესროლა. რაინდიძემაც ტუჩებში კოცნის

ნება სთხოვა და გადაეხვია. მაგრამ... „ელენე შეწითლდა",—შენიშნავს ნიშანდობლივად მწერალი.

ცხადია, „სოროებში" დაბადებულ და ბაზარში „სწავლა" მიღებულ მოქალაქეებს უძნელდებათ იურიდიული განათლების მქონე თავადთან დროსტარება. მაგრამ ჩანს, რომ გადადგმული აქვთ ნაბიჯი ამ მიმართულებითაც.

ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა შემთხვევა მიგვეთითებინა ლ. არდაზიანის მსოფლმხედველობრივ სისუსტესა და შეზღუდულობაზე,— ხაზი გაგვესვა იმ ვარემოებისათვის, რომ არდაზიანი მხატვარი გაცილებით მაღლა დგას, ვინემ არდაზიანი-მოაზროვნე. ჩვენ იქვე ვუთითებდით შესაფერ მიზეზებზე. მაგრამ არაფერი გვითქვამს მწერლის რელიგიასთან დამოკიდებულების შესახებ, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს არდაზიანის მსოფლმხედველობრივი ჩამოყალიბების ასახსნელად და გასაგებად.

როგორც ბიოგრაფიიდან ვიცით, ლ. არდაზიანმა განათლება მიიღო სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი სასულიერო სემინარიაში. ხოლო იმ დროს, როცა მომავალ მწერალს სწავლა უხდებოდა, აღნიშნულ სასწავლებლებში ჯერ კიდევ არ იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც მოსწავლეებს კრიტიკულად განაწყობდნენ თეოლოგიისა და სქოლასტიკური ფილოსოფიის მიმართ. ამ გარემოებამ გარკვეული გავლენა მოახდინა არდაზიანის მსოფლმხედველობაზეც, დაამძიმა იგი რელიგიური რწმენით.

თავის ადგილზე აღნიშნული გვაქვს, და რომანის შესაფერი ადგილის ციტირებით დადასტურებულიც, რომ სოციალური უთანასწორობა მწერალს ღმერთის მიერ დაკანონებულ მოვლენად სურს წარმოადგინოს. მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენა როდი არის. მწერალი სხვა ადგილზეც საგანგებოდ გახაზავს ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის ბნიშვნელობას. მხედველობაში გვაქვს გაიანეს მისვლა სიონის ეკლესიაში და ალექსანდრე რაინდიძის დიალოგი სოლომონთან საფრანგეთის შესახებ.

„კეთილმყოფელთან" შევიწროებული და ყველასაგან უყურადღებოდ მიტოვებული მშიერ-მწყურვალი გაიანე თავისი ბავშვით სიონის წინ გაივლის და გალობის ხმა შემოესმის. გაიანე შედის ეკლესიაში. მწერალი, სოლომონის პირით, იქვე აღნიშნავს, რომ „მწუხარეთა ნუგეში ეკლესიაა". სოლომონი განაგრძობს: „ოჰ, გმადლობ, უფალო! ამაზედ უკეთესი ბინა აღარ მინდა", სთქვა და შეეიდა დედაჩემი სიონში, დაეცა, გმინავდა, ტიროდა, ლოცულობდა. ლოცვა მისი იყო მხურვალე". მისმა მხურვალე ლოცვამ შედეგიც გამოიღო. მას ყურადღება მიაქცია ერთმა ახალგაზრდა

ყმაწვილმა, დაინტერესდა მისი ბედით, „დააფიცა ღმერთი, ღვთის მშობელი“ და ბოლოს პატარა ბავშვიც, რათა ეთქვა მიზეზი ასეთი მწუხარებისა. გაიანემაც უამბო თავისი გასაჭირი, რის შემდეგ უმწეო დედაშვილი ყმაწვილმა თავის ოჯახში წაიყვანა და უზრუნველი ცხოვრება შეუქმნა. გასაგებია, რომ ლაპარაკი ეხება ლუარსაბ რაინდიძისა და გაიანეს შეხვედრას.

რომანის წამკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ მწერალს ლუარსაბ რაინდიძე შემთხვევით არ შეუხვედრებია გაიანესათვის ეკლესიაში; შემთხვევით არ ლაპარაკობს არც გაიანეს მხურვალე ლოცვაზე და ეკლესიაზე როგორც მწუხარეთა ნუგეშზე.

მაგრამ თავი რომ დავანებოთ მწუხარეთა განცდა-ფიქრებზე ლაპარაკს ამ მიმართულებით და ყოველივე ნათქვამი გაიანეების წარმოდგენებს და უბრალო შემთხვევას მივაწეროთ, მაინც ვერ აუვლით გვერდს ალექსანდრე რაინდიძის შეხედულებას ევროპის განვითარებისა და განათლების მიზეზების შესახებ.

ევროპაში ნამყოფ ალექსანდრე რაინდიძეს სოლომონ მეჯლანუაშვილი ეკითხება: — „ერთი მიბრძანეთ კნიაზო: ევროპა რად არის განათლებული და სხვა ქვეყნები სიბნელეში“? — „გახსოვთ, ქრისტე რასა ბრძანებს სახარებაში? — მიუგო ალექსანდრემ, — „მე ვარო ნათელი სოფლისა“. — ნამდვილად ქრისტე განანათლებს ევროპასა და სხვა მხარეთაცა, სადაცა მისი სახარება არის ხელმძღვანელი ყოვლის მოქმედებისა. ფრანცია მცირე ჟამს გადაუდგა ქრისტეს სახარებასა (და) ჩავარდა სიბნელეში, რომლის გამო მოხდა საშინელი არეულობა და, როდესაც ამის შემდგომ, ფრანცია ცხადად მოვიდა სახარებასა, ისევ განათლდაო“.

მოტანილი ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ლ. არდაზიანის მსოფლმხედველობა ბევრ რამეში დამძიმებულია რელიგიური რწმენით, რაც ხელს უშლის მას უფრო ღრმად ჩაწვდეს სოციალური მნიშვნელობის საკითხებს და მეტი სისწორით გადაწყვიტოს იგი.

აღნიშნული დებულების გასამტკიცებლად საჭიროდ მიგვაჩნია დავიმოწმოთ აკაკი წერეთლის მოგონებაც. აკაკი „ჩემ თავგადასავალში“ წერს: „ერთხელ მე. ის (ლ. არდაზიანი. — დ. გ.) და ან. ფურცელაძე დავდიოდით ერთად. ათ საათზე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტიმ მოინდომა ჩემი მიცილება სადგომამდის. გზაში ხმა არ ამოუღია და სახლის კარებამდის რომ მიმიყვანა, მითხრა: „დიდი პატივისცემა მაქვს ახალგაზრდა ანტონის ნიჭის, მაგრამ, წეღან რასაც ლაპარაკობდა, ის კი არ დამიჯდა გუნებაში, აბა, რა სათქმელია: ქვეყანა შემთხვევითმა მანქანებამ გააჩინაო? მაშინ იმას აღარ ვუთხარი რა და ახლა შენ უნდა

გითხრა, უნდა გამოგიტყდე, რომ მიტომაც წამოგყევი, როგორც მკვიდრ შვილს გთხოვო, რომ შენ არ აჰყვე მაგისთანებს, მოერიდე. პოეტს რწმუნება თუ არაფრისა აქვს, რა შვილი იქნება? შენც ორი რამ უნდა გახსოვდეს: ღმერთი და საქართველო".

მაგრამ კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილის უტყუარი ფაქტები თითქმის ყოველთვის ბორკავენ მწერლის მცდარ შეხედულებებს და არდაზიანი-მხატვარი იმარჯვებს არდაზიან-მოაზროვნეზე.

ამჯერადაც რომანში საქმე გვაქვს მწერლის მცდარი შეხედულებების საწინააღმდეგო ფაქტებთან. მოვიგონოთ თუნდაც ეკლესიის „სულიერი" მსახურის—ტერტერას მისვლა გაიანესთან მისი მეუღლის რიგის გადახდისათვის გასამრჯელოს მისაღებად და თქვენ თვალწინ გაცოცხლდება ნამდვილი „სულიერი მამა" თავისი „სინდისითა" და „ლმობიერებით", რაც უფრო სრულ და ჰეშმარიტ წარმოდგენას გვიქმნის ეკლესიაზე და რელიგიაზე, ვინემ ალექსანდრე რაინდიძის უსაფუძვლო მსჯელობა ევროპის განათლების მიზეზის შესახებ.

„ქართულად ნათქვამია,—ათქმევინებს მწერალი სოლომონს,—თუ კაცი წაიქცა, დიდი და პატარა ზედ მისცვივდებიან და გაჰქელავენო". ასე დაემართა საწყალ ჩემს მშობლებსაც. რა წამს გათენდა, სახლის მოძღვარმა, ტერტერ ტერ-აკოფოვამ კარი შემოაღო. ჯერ მოიკითხა დედაჩემი, ნუგეში სცა და უქადაგა მოთმინება. მერე სთხოვა სასყიდელი რიგის გადახდისათვის მამაჩემზედ. გაიანემ გულის მჭერმეტყველობით აუწერა თავისი საშინელი გარემოება და შეუძლებლობა. სხვა კაცი ლმობიერებაში მოვიდოდა იმის სიტყვით, შეიბრალებდა ობერს ყმაწვილ ქალსა, მაგრამ ტერტერას გული არ დაურბილა. მაშინ დედაჩემმა უჩვენა და სთხოვა მიეღო, თუ იკადრებდა: შამფურები, ქვაბი, ჯამები და თეფშები. ტერტერამ იცოტავა. დედაჩემმა მიართვა თავისი ხალიჩა. ტერტერამ უსვინდისოდ მოხვეტა ყოველივე და წაიღო თავის ხელითო".

აი, როგორი რეალისტური ფერებით ხატავს „მოძღვრის",—„სულიერი მამის" სახეს არდაზიანი-მხატვარი, რომელიც კარგად ხედავს, რომ რასაც ისინი სჩადიან „სხვა კაცი" მას არ გააკეთებს, რომ მათ მიერ ნუგეშის ცემა და მოთმინების ქადაგება იქეთკენაა მიმართული, რომ „უსვინდისოდ მოხვეტონ ყოველივე და წაიღონ".

* * *

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ ლ. არდაზიანის მხატვრული ხედვა, ძირითადად, მიპყრობილია თავადაზნაურობისა და სავაჭრო ბურჟუაზიის ცხოვრებისაკენ; დაინტერესებულია მათი მდგომარეობით, ურთიერთობითა და მომავალი ბედით, მაგრამ, როგორც რეალისტ მწერალს, მას არ შეეძლო მთლიანად აევლო გვერდი მშრომელი ხალხის ფართო წრეებისათვის, კერძოდ, ბატონყმური უღლით გატანჯული გლეხობისათვის.

საერთოდ, ლ. არდაზიანი უფრო ღრმად იხედება ბურჟუაზიული ვანვითარების გზაზე დამდგარი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვინემ ბატონყმური სოფლის დუხჭირ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაშიც, ჩვენ მოგვიხდება გაეიმეოროთ, რომ არდაზიანი მოაზროვნე არ ილაშქრებს ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ, კანონიერად მიაჩნია ეს ურთიერთობა და შესაძლებლად თვლის ასეთ ვითარებაში ბედნიერად გრძნობდეს თავს როგორც მებატონე, ასევე ყმა.

ლ. არდაზიანის შეხედულებით, ფეოდალური მეურნეობის ნგრევისა და ჩამორჩენილობის მიზეზი ამ სისტემის უვარგისობაში, ბატონყმური ურთიერთობის სისაძაგლეში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ცალკეულ მებატონეთა გადაგვარებაში. ფხიზელი და უნარიანი მებატონე არა მარტო თვითონ არის ძლიერი და უზრუნველყოფილი, არამედ ყმებიც მადლიერნი და ერთგულნი ჰყავთ. თავისი ეს მცდარი შეხედულება მწერალს სურს გაამართლოს რაინდიძეთა მაგალითზე, მაგრამ იგი ამას, ცხადია, ვერ ახერხებს. როგორც ვნახეთ, ლუარსაბ რაინდიძეს ყმები ყოველდღე გაურბიან, ხოლო ბევრი უკანასკნელ შესაძლებლობასაც არ ზოგავს, თუ რომ მათ ყმობიდან გაანთავისუფლებს ვინმე. ხოლო რაც შეეხება ალექსანდრე რაინდიძის წერილს აქ მხოლოდ სიტყვებია და არა კონკრეტული ფაქტები, იგი დაწერილია სინამდვილისაგან თვალმოცილებული მწერლის მიერ.

რომანის მთელ სიგრძეზე იგრძნობა, რომ გლეხობის მფარველი და გულშემატკივარი არავინაა. მებატონე იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება მეტი აშრომოს ყმები, რათა მეტი შემოსავალი მიიღოს; სასამართლოს, პოლიციის და სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის სხვა მოხელეებიც საკუთარი ჯიბის ინტერესებით მოქმედებენ; ისინი არათუ გლეხობას, არამედ მებატონეებსაც არ ინდობენ.

გავიხსენოთ სოლომონ მეჯღანუაშვილის მიერ აღწერილი დილა გურჯაანში, მოვიგონოთ სოფლის გზაზე სირბილით მიმავალი გლეხ-

კაცი, რომელიც დაკარგულ კამეჩებს ეძებს და წყევლის თავის გაჩენის დღეს, მოვიგონოთ ასევე გაუბედურებული ქერივი დედაკაცი, რომლისთვისაც ძროხა მოუპარავთ და „გულამოსკვნილი სტირის მდუღარის ცრემლით“, მოვიგონოთ მეჯღანუაშვილისა და მისი ძმა-კაცების „ხაფანგში“ მოხვედრილი ვარიების გამყიდველი გლეხი; რომელიც წყევლის ახალ დროს, როცა შაურიანი ქალამანი ათ შაურადაც ვერ უყიდნია, გავიხსენოთ რარიგად ავიწროებენ მას ჩარჩები და ჩვენ გვექნება ნათელი წარმოდგენა, თუ რა მდგომარეობაში უხდებოდა ცხოვრება გლეხობას „რაინდიძეთა და მეჯღანუაშვილთა ეპოქაში“.

რაც მებატონეს გადაურჩება, გლეხისაგან იგი ვაჭარს ან ჩინოვნიკ-მოხელეს მიაქვს, მისი ჩაგვრა გაორკეცებული და გასამმაგებულია. თვითონ სოლომონი ამბობს, ჩემი ვალი რომ არ ჰქონოდა, ისეთი გლეხი არ იყო ქართლშიო. ხოლო კარგად ვიცით, თუ როგორ ინაზღაურებდა გაცემულ „სესხს“ მოხერხებული ჩარჩი.

სოლომონისა და მისი ამქრების უსინდისო შევაჭრებით ჭკუააბნეული გლეხი, რომელიც მაინც მოატყუეს, ისე გამწარებული გაუდგა გზას, რომ თვითონ სოლომონი დასძენს: „საწყალი გლეხ-კაცი დაღონებული და თავდაკიდებული წავიდაო“.

ცხადია, გლეხის სისაწყლესა და დაღონებას საზღვარი არ შეიძლება ჰქონოდა იმ დროს, როცა იგი, ნივთის მსგავსად, ყიდვა-გაყიდვის საგანი იყო.

რაინდიძეთა საქმიანობისა და მოღვაწეობის მეხოტბე მწერალს სინამდვილის ჯიუტმა ფაქტებმა ათქმევინა, რომ ლუარსაბიც ეწევა ყმათა ყიდვას (მაშასადამე, გაყიდვასაც).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი თავს არიდებს ყმა-გლეხობის ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს, რომანში მაინც იხატება უსამართლობითა და ძარცვა-გლეჯით გაწამებული ბატონყმური სოფლის სახე, მოჩანან გატანჯულ გლეხთა სახეები. მკითხველი ადვილად ამჩნევს: როდის ლაპარაკობს სოლომონი მართლაც საკუთარი თვალით ნახულსა და უშუალოდ განცდილზე და როდის აიძულებს მას მწერალი იქადაგოს მისი შეხედულებები.

ასე გვეხატება ჩვენ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ იდეური შინაარსი, რომლის ცალკეული მხარე მწერალმა გაამდიდრა და გააღრმავა რომანში—„მორჩილი“.

ლ. არდაზიანმა 1863 წელს გამოაქვეყნა თავისი მეორე რომანი „მორჩილი“[1], რომელიც მეტად საყურადღებო მოვლენა იყო იმ პერიოდის ლიტერატურისათვის. სამწუხაროდ, მწერლის პირველი რომანით („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“) გატაცებულმა სალიტერატურო კრიტიკამ უყურადღებოდ დატოვა „მორჩილი“ და არ მოუცია მისი იდეური და მხატვრული ღირსების შეფასება.

„მორჩილისადმი“ ასეთი დამოკიდებულება თითქმის დაკანონდა. ლიტერატურის ისტორიკოსთა უმეტესობა ლ. არდაზიანის შემოქმედების შესწავლისას კმაყოფილდება მხოლოდ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილით“ და არაფერს ამბობს „მორჩილის“ შესახებ. ამ რომანისადმი ასეთი დამოკიდებულება გაუმართლებელია და შედეგია თვით „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ არასაფუძვლიანი შესწავლისა.

„მორჩილის“ თემად მწერალს აღებული აქვს თავადაზნაურთა ყოფა-ცხოვრება და თითქმის სრულიად უვლის გვერდს ცხოვრების ბურჟუაზიული განვითარების ასახვას. ეს გარემოება დაკავშირებულია მწერლის მსოფლმხედველობრივ თავისებურებასთან, რომლის შესახებ ჩვენ მივუთითეთ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ განხილვისას.

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ ლ. არდაზიანმა მაღალი წოდება ვერ წარმოადგინა იმ სისოლით, რა სისრულითაც მან სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელი დაგვიხატა. თავადაზნაურთა კლასის დახასიათებისას, მწერალი აცდა სინამდვილის მოვლენების ასახვის რეალისტურ პრინციპებს. ალექსანდრე რაინდიძის სახით მან არათუ ვერ შექმნა თავადის, მემამულის ტიპიური სახე, არამედ თავისი ფანტაზიით შექმნილი პერსონაჟი ვერც კი დაახლოვა ასეთ ტიპთან.

„მორჩილში“ ავტორი შეეცადა გამოესწორებინა ეს ხარვეზი და თავადაზნაურობას გვიხატავს ყოველდღიურ „საქმიანობაში“, ოჯახურ ცხოვრებაში, რის ფონზეც მკითხველს ექმნება უფრო სწორი და სრული წარმოდგენა ამ კლასის წარმომადგენელთა გონებრივი გამოფიტვისა და ზნეობრივი გადაგვარების შესახებ, ვინემ ეს შეიძლებოდა ჰქონებოდა მხოლოდ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ წაკითხვის შემდეგ.

[1] ჟურნალი „ცისკარი“, 1863 წ., № 3, 4, 5, 6.

„მორჩილი“ აშკარას ხდის ბატონყმური დამოკიდებულების სიასაძაგლესა და დრომოჭმულობას, პროტესტის გრძნობით განაწყობს მკითხველს ამ საშინელი ურთიერთობისადმი. ესაა რომანის მთავარი ღირსებაც.

ცხადია, „მორჩილი“ არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვილაპარაკოთ ლ. არდაზიანის მსოფლმხედველობაში მომხდარი მეტად საგრძნობი გარდატეხის შესახებ. მაგრამ ცხოვრების სინამდვილის საყოველთაოდ ცნობილმა ფაქტებმა და პერსონაჟთა მოქმედებაში ჩვენების გზამ, მწერალი აიუძულა თვალი გაესწორებინა სინამდვილისათვის და, ნაცელად ოცნებაში იდეალად წარმოდგენილი რაინდიძეებისა, დაენახა ნამდვილად არსებული თეიმურაზები, გორჯასპები, ლიფსიმეები და მსგავსნი მათნი. თუმცა არც ამჯერად გამორიცხავს მწერალი კეთილი მებატონეების არსებობას და ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური დამოკიდებულების შესაძლებლობას. იგი ძალას ატანს გონებას და თვალებს ხუჭავს, რათა კვლავ მოძებნოს რაინდიძის მსგავსი ალექსანდრანი და მიხაკონი.

რომანში გამოყვანილი პერსონაჟები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთნი—რომელნიც აღებულნი არიან უშუალოდ ცხოვრების სინამდვილიდან და აშკარად მოწმობენ ბატონყმური ურთიერთობის ბოროტებას, თავადაზნაურთა ზნეობრივ და გონებრივ გადაგვარებას; მეორენი—რომელნიც მწერლის მცდარი და მეტად ტენდენციური შეხედულების საფუძველზე არიან ნაძალადევად გამოგონილნი.

შეიძლება ითქვას, რომ რეალისტურ ფერებში ყველაზე მეტად თეიმურაზი და მისი ოჯახია დახატული. ესაა იმდროინდელი მებატონის ოჯახის ცოცხალი და დამაჯერებელი სურათი. თეიმურაზი ტიპიური სახეა „განათლებული“ და „დაწინაურებული“ თავადისა.

თეიმურაზს საზოგადოებაში თავი მოაქვს განათლებულ და შეძლებულ თავადად, მაგრამ სინამდვილეში სხვაა იგი. ამ თავმომწონე ფრანტს, რომელიც სასამართლოში მოკალათებულა და ჩინით ამაყობს, გიმნაზიაც არ აქვს დამთავრებული. მან თავისი „ცოდნა“ და გონებრივი ავლა-დიდება ბარბარესთან ლაპარაკში გამოამჟღავნა.

ბარბარემ ირონიულად ჰკითხა თეიმურაზს, მისთვის მეტად არახელსაყრელ მომენტში:

—სად გაიზარდეთ, ანუ სწორედ, რომელ სასწავლებელში ბრძანდებოდით?

— გიმნაზიაში.

— დაასრულეთ კურსი?

— დიაღ.

— მგონია მეოთხიდან თუ მესამიდან გამოსულხართ?..

— დიაღ მართალია... არევით თქვა და ველარ დაასრულა თეიმურაზმა.—მაგრამ რა საჭიროა კურსის დასრულება. წიგნებში ყველა სწერია, წიგნს წავიკითხავ და ყოველივე ვიცი. სკოლაში მხოლოდ დრო იკარგება. თუ ჩემით არ მესწავლა, დღეს ამ ჩინებს, ორდენებს და ადგილსა, რომელიც მიჰირავს სამსახურში, არა შემთხვევით არ ვიქონიებდი.

— ეგ უფრო დიდი ნიჭია,—უპასუხა ირონიით ბარბარემ... ლიტერატურა გეყვარებათ?!

— ღმერთმა დასწყევლოს, რის მაქნისია! სრულიად არ მიყვარს. ასე გასინჯეთ გაზეთსაც არა ვკითხულობ"—მიუგო თეიმურაზმა.

თეიმურაზის გონებრივ „სიმდიდრესა" და მის „განათლებაზე" მშვენივრად მიუთითებს მისივე სიტყვები, რომლებიც მას ხატავენ უვიც და ამპარტავან ადამიანად. თავისი უვიცობა და გონების სიბნელე მას არც კი ესარცხვება. მართალია, თუ მოახერხა, ყოველთვის ცდილობს თავი გააასაღოს მცოდნე და განსწავლულ ადამიანად. მაგრამ ასეთი ქცევა ხშირად უხერხულობაშიც აგდებს თეიმურაზს. ასე დაემართა ალექსანდრასთან, როცა თავმომწონე ფრანტი ფრანგულად მიესალმა ქალს იმ იმედით, რომ ალექსანდრას ფრანგული არ ეცოდინებოდა, მაგრამ მოსტყუვდა და იძულებული გახდა სწრაფად რუსულ ლაპარაკზე გადასულიყო.

ჩვენი „ნადვორნი სოვეტნიკი", როგორც ჩანს, სამსახურშიც „აბრუნდებს" აკეთებს, დამნაშავესა და მართალს არ არჩევს. ამას მოწმობს ის უსიამოვნო გრძნობა, რაც თეიმურაზში ლიფსიმეს ცრუ და მაამებელმა სიტყვებმა გამოიწვია. ენაგაწვრთნილი ლიფსიმე თეიმურაზს „ასიამოვნებს": „ღმერთი ხომ... სამართლიან მოსამართლეს მიანიჭებს სიმართლის გვირგვინსა! აი შვილო თქვენი ჯილდო!" „ეს სიტყვა ეკალივით მოხვდა თეიმურაზის გულსა",— დასძენს ავტორი, რითაც გვაგრძნობინებს, თუ რა სამართლიანი მოსამართლეც ბრძანდება მისი გმირი.

კიდევ უფრო სავალალოა თეიმურაზის ზნეობრივ-მორალური მხარე, მისი სულიერი სამყარო.

„თეიმურაზი იყო კაცი გარყვნილი და გულ-გაგრილებული". ამიტომ იყო, რომ თუმცა ასაკი მიუდიოდა, მაგრამ ცოლს არ ირთავდა. თუ ვინმე მოეწონებოდა, აუცილებლად ხელთ უნდა ეგდო. მას თავის მოჯამაგირისათვის ნაბოძანები ჰქონდა: „ვინც ლამაზია, ან მოტყუებით მიუყვანოს" ან მოტაცებით. მოჯამაგირე გოჩუნაც ამაყობს იმით, რომ მარტო მას თვრამეტი ცამეტ-თვრამეტი წლის ლამაზი ქალი მიუყვანია ბატონისათვის, მათგან თერთმეტი მოტაცებით; „რავდენი თვითონ მოუტყუებია ეგ აღარ ვიცი",— დასძენს გოჩუნა.

ადამიანურ სახესა და ქცევას მოკლებული გოჩუნა დაგეშილია „ლამაზებზე სანადიროდ“; იმის გამო, რომ ბატონის სახრეებს აცდეს, მზადაა ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინოს. ბოროტი და გარყვნილი ბატონის ხელში გოჩუნაც გადაგვარებულა, მასში ადამიანური აღარაფერი იპოვება.

ორმოცი წლის თეიმურაზს ცოლის შერთვა გადაუწყვეტია, მაგრამ არა იმიტომ, რომ უკუაგდოს გარყვნილი ცხოვრება, არამედ იმიტომ, რომ მემკვიდრე გაუჩნდეს. იგი საგანგებოდ ეძებს ისეთ ქალს, რომელიც იქნება მდიდარი, მზითვიანი და ამასთანავე ქმრის დიდი მორჩილი, რადგან გადაწყვეტილი აქვს ცოლი სოფელში ამყოფოს, „რომ თვითონ ქალაქში ჩვეულებრივ გულის სიამოვნებას მიეცეს“.

თეიმურაზმა სასურველ საცოლედ მშვენიერი ალექსანდრა სცნო და ყოველგვარ ხერხს მიმართა, მიზნისათვის რომ მიეღწია. ცხადია, როგორც მწერალი ამბობს, „ალექსანდრა სრულიად არ უყვარდა თეიმურაზსა და ვერც შეიყვარებდა იმის გარყვნილი და გაცვეთილი გული“, მაგრამ ალექსანდრაში იგი ამჩნევდა მორჩილების ჭარბ გრძნობას, რაშიც იგი თავისი მოქმედების განგრძობის გარანტიას ხედავდა. თვითონ თეიმურაზიც აღიარებს გორჯასპთან, რომ „მე ასე ვარ აგებული, ცოლი არ მინდა, არც მეყვარება, მაგრამ მინდა შევირთო სხვადასხვა მიზეზის გამო, რომლებიც მე ვიცი“.

თეიმურაზი მოტყუვდა. ალექსანდრასთან საუბარში დარწმუნდა, რომ იგი არცთუ ისე მორჩილი მეუღლე იქნებოდა, მაგრამ უკან დახევის უფლებას „თავმოყვარეობა“ აღარ აძლევს. მოუთმენლად მოელის ჯვარისწერას, შუამავალ ლიფსიმეს სულ ხელს უკოცნის და „თაედაჰერილად“ იქცევა, სურვილი რომ შეისრულოს, მაგრამ მაინც მარცხდება. მისი უზნეობა და ცუდი საქციელი გამომჟღავნდა.

ალექსანდრას შერთვის საქმეში თეიმურაზს წინ გადაეღობება მისი და—თეკლეც, რომელმაც წერილით შეატყობინა სარძლოს თავისი ძმის მხეცობისა და ავკაცობის შესახებ. დის ასეთი მოქმედება თეიმურაზმა დაიხსახურა უხეში და არაადამიანური ქცევით ოჯახში. იგი მუდამ მოჯამაგირეების ცემაში და ყმა-გლეხობის აკლებაში იყო.

გორჯასპი, რომელმაც ალექსანდრას ბიძაშვილი—ესტატე საგანგებოდ მიიყვანა თეიმურაზის ბინაში, რათა დაერწმუნებინა მის უმსგავსო საქციელში, მას მიუთითებს ოთახის ერთ-ერთ კუთხეზე და ეუბნება: „არ გიჩვენო იმისი მათრახები, რომლითაც

სცემენ მხოლოდ დიდ დამნაშეეთა?—აგერ კუთხეში აწყვია. შეხედე!.. მხოლოდ ბიჭებს არ ეკუთვნიან ეგენი, ქალებსაც წილი უძევსო!"

როგორც ვხედავთ, ამ „განათლებული" თავადისათვის მოჯამაგირეებისა და სხვა ხელქვეითთა გაროზგვა ჩვეულებრივი მოვლენაა. მისი სახლ-კარიდან მუდამჟამ წივილ-კივილი ისმის.

გარყვნილი ცხოვრების მიმდევარ თეიმურაზს არც ეკონომიკური მდგომარეობა აქვს სახარბიელო. ალექსანდრას შერთვის მიზნით მან შეიძინა და მორთო სახლი, მაგრამ ამისათვის მან დიდი ვალი აიღო. იმედოვნებდა, რომ ვალს მზითევით გაისტუმრებდა, მაგრამ აქაც მოტყუვდა.

მადაგახსნილი მებატონის ყმები დიდ გაჭირვებას განიცდიან, ვერ აუდიან გადასახადებს. თეიმურაზმა ანჯერადაც „შეაწერა საყმოს საქორწილო ფული ორასი თუმანი. ყმებმაც, რომელთაც სიღარიბით ნატისუსალი ასდიოდათ, ვალი აიღეს და მიართვეს შეწერილი ფული".

ასეთი სურათების ჩვენებით მკითხველი, ცხადია, რწმუნდება, რომ ბატონყმური ურთიერთობის ეპოქაში ადამიანთა დიდი უმრავლესობა როზგის ქვეშ გმინავს, ყმათა შრომით მეჰატონეები მდიდრდებიან, ხოლო თვით ყმები უკიდურეს სიღარიბესა და შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთ ვითარებაში კი ზედმეტია ლაპარაკი ყმებისადმი მებატონის მამობრივ დამოკიდებულებაზე და ყმების ბატონისადმი ერთგულებაზე.

რომანში აღწერილი სურათებით ვრწმუნდებით, რომ ურთიერთობა გამწვავებულია არა მარტო მებატონესა და ყმას შორის, არამედ თვით მებატონეთა შორისაც. თავადაზნაურობაში გავრცელებულია ურთიერთშორის მტრობა, შურიანობა და წაგლეჯა.

თეიმურაზს სხვადასხვა ხრიკებით მიტაცებული აქვს მამულები, რომელსაც სამართლიანად ედავებიან. მისმა ასეთმა მოქმედებამ აიძულა ბარბარეც. რომ შური ეძია თეიმურაზზე და ალექსანდრასთან ემხილებინა მისი ქცევა და ხასიათი.

მართალია, თეიმურაზმა ბოლოს და ბოლოს ბარბარეს მისცა ბარათი მოურავზე გადასაცემად, რათა დაებრუნებინა მისთვის მამული, მაგრამ ამჯერადაც თავისი ბოროტი ხასიათით ხელმძღვანელობდა; თუ ფულს გადაუხდიდა, მაშინ ბარბარე შვილებს სასწავლებელში გააგზავნიდა. „ბარათს განგებ გაძლევ, რომ შვილები ვერ გაზარდოო",—ეუბნება თეიმურაზი ბარბარეს. მას სასაცილოდაც არ ყოფნის ბარბარეს შვილების სწავლა: „მაშ ჩემმა გოჩუნამ

რომ იყოლიოს შვილები, ისინიც უნდა გავამეცნიეროთო?“—ირონიულად მიმართავს თეიმურაზი ბარბარეს.

თვით მაღალ წოდებაში, ერთმანეთის მისამართით გაბატონებულია თქმა: „ღარიბი“ და „მდიდარი“. თეიმურაზი იმ აზრისაა, რომ ღარიბი, თუნდაც იგი თავადი იყოს, ვერ უნდა შედიოდეს მდიდართა წრეში; არ უნდა ჰქონდეს უფლება თავისზე უფრო მდიდართან სჯა-ბაასისა. მან სილა გააწნა და ბზრიალასაით დაატრიალა მოსამსამსახურე ბიჭი, რომელმაც ბარბარეს მოსელა მოახსენა მას. „მე შენ არ გიბრძანე, არავინ მიიღო მეთქი, თუ არ ჩემი ტოლი“,—შეჰყვირა ბიჭს თეიმურაზმა და გარეთ გააგდო.

მწერალი თეიმურაზს არც ამ შეხედულებაში თანაუგრძნობს. მისი თქმით, გარკვეული მიჯნა არსებობს წოდებებს შორის, და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ თვით წოდების შიგნით გარჩევა უნდა იყოს არა ქონების, არამედ პატიოსნებისა და ზრდილობის მიხედვით. თავის ამ შეხედულების გამოხატვას მწერალი ბარბარეს ანდობს.

— ჩემის აზრით,—მიმართავს თეიმურაზი ბარბარეს,—კაცი თუ ქალი არ უნდა გავიდეს იმ საზოგადოების წრიდან, რომელსაც ეკუთვნის.

— ჩემის აზრითაც,—მიუგო ბარბარემ შეურაცხყოფილობით,—მხოლოდ უგუნური და უბრდელი თავის საზოგადოების წრიდან არ უნდა გადავიდეს უკეთეს საზოგადოების წრეში. დანაშთენთ აქვთ უფლება გადასელისა.

— თქვენ სცდებით. ყველას არ აქვს უფლება გადასელისა.

— მე არა ვცდები.—ნამდვილ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ.

— მაგალითად,—უთხრა თეიმურაზმა,—გლეხი და თავადი ერთ საზოგადოებას არ ეკუთვნიან,—გლეხს თავისი წრე აქვს შემოვლებული, თავადს თავისი.

— ეგ იმიტომ, რომ არ არიან ერთის წოდებისანი,—მიუგო ბარბარემ დამცირებულის ხმით, მაგრამ ეგ მაგალითი სრულიად არ მოდის ჩვენ საგანთან. მე მოგახსენებთ, ერთის წოდებისანი ერთი მეორეს არ უნდა თაკილობდეს,

— როგორ?—შეჰყვირა ფრანტმა.—გლახას რა ადგილი აქვს მდიდართან!

ასეთი ურთიერთ დამოკიდებულებაა მიზეზი, რომ მიხაკოს სჯერა ალექსანდრას მშობლები „არ იკადრებენ იმას, რადგანაც იყო ღარიბი“. ადამიანის ღირსება მაღალ წრეში ფასდება არა პირადი ღირსებით, არამედ ყმისა და მამულის სიმრავლით. ასეთ შეხედულებას კი, მწერლის გაგებით, შეუძლია დიდი გაუგებრობა გამოიწვიოს. ყმის და მამულის პატრონნიც ხშირად მეტად მძიმე მდგომარეობაში არიან, როგორც, მაგალითად, თვით თეიმურაზი.

თეიმურაზი, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არაა. ეს, პირველ ყოვლისა, იქიდან ჩანს, რომ იგი კარგადა გრძნობს თავს, მას

არავინ სჯის თავის „საგმირო საქმეებისათვის“ და ფიქრობს მო-მავალშიც ასევე გააგრძელოს ცხოვრება. ამასთან, რომანში ავტორი გვაცნობს სხვა წარმომადგენლებსაც იმ „საზოგადოებისას“, რომელსაც თეიმურაზი ეკუთვნის. მხედველობაში გვყავს გორჯასპი,— თეიმურაზის ხშირი სტუმარი, მისი ხელისშემწყობი და დამხმარე.

გორჯასპი მეტად საინტერესო პერსონაჟია. მისი სახით მწერალი ქმნის გაღარიბების გზაზე დამდგარი თავადის სახეს, რომელსაც არა მარტო თავმოყვარეობა დაუკარგავს, არამედ ბოროტებითა და შურითაა აღვსილი ყველას მიმართ. მისი ნატვრაა, რომ ყველა იტანჯებოდეს, ყველას საქმე უფუჭდებოდეს, რათა თავისზე უკეთესი არავინ ეგულებოდეს. მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის ზიზღს იწვევს მკითხველში.

გორჯასპი გაღარიბებული მებატონეა. მთელი დღეობით გარეთ დაწანწალებს ბოროტი და ბნელი საქმეების შესასრულებლად, რათა პურ-მარილი და გასამრჯელო დაიმსახუროს. ასეთი „საქმოსანი“, რა თქმა უნდა, თეიმურაზსაც ადგება ცხოვრებაში. საკმარისია ას მანეთიანი გაუგზავნოს თეიმურაზმა, რომ მანაც აუსრულოს წადილი, მოჰგვაროს შესახელებული ლაჰაზი ქალი.

გორჯასპის „ერთგულებისა“ და ხასიათის მცნობი თეიმურაზი ავალებს მას სასწრაფოდ მოახდინოს მიხაკოს ჯვარისწერა თეკლეზე (თეიმურაზის და), რათა გზა გაეხსნას ალექსანდრასთან. გორჯასპიც შეუდგა ბოროტი გეგმების შემუშავებას, თუმცა სინდისის ქეჯნასაც გრძნობს.

— „დასწყევლა ღმერთმა ჩემი ეშმაკი!

— თქვა გორჯასპიმ.—სხვის უბედურება მე რად მიხარიან! მიხაკოს არა დაუშავებია რა ჩემთვის, ვიცნობ, მიცნობს, ძლიერ კეთილშობილი კაცია, მრავალჯერ უსიამოვნებია ჩემთვის, მიზეზები არა მაქვს ბოროტი შევამთხკიო, მაგრამ მიხარიან, რომ ბოროტ თეიმურაზს უნდა შევეწიო ბოროტ საქმეში. საკვირველია, შემიძლია ავაცდინო ამ კარგ ყმაწვილ კაცს უბედურება და კი ვერ ავაცდენ... სული მებრძვის ვყო ცუდი... მშურს, მწყინს, მეთაკილება თუ სხვებს ჩემზე მეტი ღირსება აქვს. ბედნიერი სხვა რად არის; მე რა ვარ! რატომ მე ყველაზე მომეხებული არა ვარ, სიმდიდრით, კაეობით, ჭკუით? რახან არა ვარ, მეც გამოჯავრებული ყველასათვის ცუდ. მოვინდომებ, ყველას ჭკუას დავიწუნებ, ყველას კაცობას დავამცრობ. ყვლაზე ცუდს ვიტყვი, არავის კეთილს არ დავაყრი... თეიმურაზი?—ოო, იმაზედაც უნდა ვიფიქრო!...

გორჯასპიმ მართლაც იფიქრა თეიმურაზის გასამწარებლად. იგი მთელი მონდომებით იბრძოდა ხელი შეეშალა თეიმურაზისათვის ალექსანდრას შერთვაში. ამ შემთხვევაშიც მას კეთილშობილება კი-

არ ამოქმედებდა, არამედ ის ბოროტი და შურიანი გული, რომლის მთელი საიდუმლო თვითონ გადმოგვიშალა.

გორჯასპის სახის შექმნით ბწერალმა მკაცრი დარტყმა აგემა მაღალი წოდების „ზნეობრივ კეთილშობილებას“.

მეტად ცოცხალი სახეა ლიფსიმეც. მაკრინე ტუჩმოხეულიშვილთან ერთად („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანეაშვილი“), ლიფსიმეს სახით ლ. არდაზიანმა შექმნა დამახასიათებელი სახე „კნეინისა“, რომელიც არავის არ უყვარს, მაგრამ ყველასათვის საჭირო გამხდარა.

ლიფსიმეს არ აქვს საამაყო წარსული. მის ახალგაზრდობას არავინ არ იგონებს კეთილად, მაგრამ მისთვის კარი მაინც ღიაა, იგი ხელდასაკრავი ქალი გაბდარა. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერს იკადრებს, ტყუილის თქმა და ცბიერი ბაასი სხვაზე მეტად ეხერხება; იმიტომ, რომ ასეთი ტყუილის მთქმელისა და ცბიერი დედაკაცის დახმარებას ბევრი „კეთილშობილი“ საჭიროებს.

თეიმურაზი, გორჯასპი და ლიფსიმე სინამდვილიდან აღებული სახეებია, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და სრულ და მართებულ წარმოდგენას გვიქმნიან ბატონყმური საქართველოს „წარჩინებულ“ ადამიანებზე, რომელთა ხელში იყო ბედი ყმობის უღელში შებმული ათასობით ადამიანისა.

თეიმურაზი და გორჯასპი სისხლითა და სულით ნათესავნი არიან დათიკოების (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“) და ავსებენ გალერეას იმ პერსონაჟებისას, რომლებზე დაკვირვებითაც მკითხველს საშუალება ეძლეოდა უფრო ღრმად ჩაეხედა ბატონყმური ცხოვრების შავბნელ ქვესკნელში და სათანადო დასკვნები გაეკეთებინა.

ესაა „მორჩილის“ მთავარი ღირსება და მისი ავტორის ერთერთი მიღწევაც.

ამგვარად, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბატონყმური ურთიერთობა საქართველოში თავის „კანონიერ“ არსებობას განაგრძობდა, ლ. არდაზიანმა ამხილა მებატონეთა ზნეობრივი გადაგვარება და გონებრივი შეზღუდულობა.

მართალია, ლ. არდაზიან-მოაზროვნეს არ სურს მაღალი წოდებისადმი გამოტანილ საერთო განაჩენად მიიჩნიოს ის, რაც მან თეიმურაზებს, გორჯასპებსა და ლიფსიმეებს დამსახურებულად მიუზღო, მაგრამ რომანის ობიექტური აზრი მაინც მწერლის სურვილის წინააღმდეგ მეტყველებს.

ლ. არდაზიანი ცდილობს თავადაზნაურთა ზნედაცემულ წარმომადგენლებს დაუპირისპიროს მაღალი კეთილშობილებისა და საღი აზროვნების მქონე ადამიანები, რომლებიც ამავე წოდებიდან გამოსულან; სურს გვიჩვენოს, რომ თეიმურაზების, გორჯასპებისა და ლიფსიმეების გვერდით არიან ალექსანდრანი და მიხაკონი.

ალექსანდრა და მიხაკო მწერალს წარმოდგენილი ჰყავს იდეალურ ადამიანებად. მაგრამ იგი თავს ვერ აღწევს ყალბ სანტიმენტალიზმსა და უკიდურეს სქემატიზმს ამ გმირთა დახატვისას.

მართალია, მიხაკოს სახელი მოუხვეჭია ბრძოლებში და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს, უკანასკნელად პოლკოვნიკის ჩინი და მეოთხე ხარისხის წმ. გიორგის ჯვარიც დაუმსახურებია, მაგრამ მისი სახით ნწერალი ვერ ქმნის ვერც თავადისა და ვერც სამხედრო მოსამსახურის სახეს.

ნაწარმოებიდან ჩანს, რომ მიხაკო, როგორც მემამულე, განადგურებულია. მას თუ მის წინაპრებს, ყმისა და მამულისაგან „გაუნთავისუფლებია" თავი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მიმართულებით მათ „პრიკაზი" ან მეჯღანუაშვილი „დაეხმარათ". ამის გამო, მიხაკო, ჩანს, არ დაბნეულა და არც ცუდ გზას დადგომია, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ იგი ვერაა მტკიცე ნებისყოფის ადამიანი. მახაკო წუხს იმაზე, რომ „ალექსანდრა და იმისი დედამამა არ იკადრებდნენ იმას, რადგანაც იყო ღარიბი". და რაც მთავარია, „ამ მიზეზის გამო არ ხდიდა თავის თავს ბედნიერად და ნატრობდა, რომ მოეკლათ რმში".

როგორც ვხედავთ, მიხაკო, მწერლის სურვილის მიუხედავად, უხერხემლო არისტოკრატად რჩება. მას არ შესწევს უნარი დაბრკოლებებთან საბრძოლველად. პირველი „განსაცდელისთანავე" სიკვდილს შეჩერებია მხსნელად; პოეტობას ნატრობს, რომ აღწეროს ალექსანდრას მშვენიერება, მაგრამ ვერ ბედავს გაუმჟღავნოს მას სიყვარული, რომელიც ბოლოს „განგებისა" და ალექსანდრას ძმის—რევაზის წყალობით წარმატებით მთავრდება.

მწერლის შეხედულება, რომ ადამიანის ღირსების საზომი მხოლოდ განათლება და ხნეობრივი სიწმინდეა, არ გამართლდა. მიხაკო კეთილი და მორალურად უნაკლოა; ეტყობა, რუსულ და ფრანგულ წიგნებსაც ხშირად კითხულობს, მაგრამ არ შეიძლება მასზე დავამყაროთრაიმე იმედი მაღალი წოდების შერყეული მდგომარეობის გამოსწორების საქმეში. პირიქით, იგი იმის მაჩვენებელია, რომ ასეთი იმედისათვის საფუძველი არ არსებობს.

იგივე შეიძლება ითქვას ალექსანდრას შესახებაც. ალექსანდრა, მწერლის გაგებით, უნაკლო და მისაბაძი ახალგაზრდა ქალბატონია. იგი ზნეობრივად სპეტაკი, კარგი ზრდილობის მქონე და კეთილი ადამიანია, არც განათლება და ხალხისადმი პატივისცემის გრძნობა აკლია. მაგრამ ალექსანდრას სახით ჩვენს თვალწინ ცოცხლდება მეტად სუსტი აგებულების ფერმკრთალი არისტოკრატი ქალი, რომლის მთელ „ღირსებას“ ის შეადგენს, რომ მშობლების უაღრესად მორჩილია და ესმის პატიოსნების ფასი.

არც მიხაკოსა და არც ალექსანდრას არ ძალუძს შესცვალონ ის შეხედულება, რომელიც მკითხველში მებატონეთა შესახებ გვექმნება თეიმურაზისა და გორჯასპის გაცნობით.

ერთი წუთითაც რომ არ შევიტანოთ ეჭვი მიხაკოსა და ალექსანდრას არსებობაში, განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ შეეძლოთ რაიმე მნიშვნელოვანი როლის შესრულება იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში? რა თქმა უნდა, არა.

თავისი მცდარი შეხედულების სააგიტაციოდ, მწერალი მიხაკოსა და ალექსანდრას ერთი წუთით არ აცილებს მათ მოსამსახურეებს—როსტომსა და მარიკოს, რომლებიც მთელი არსებით არიან შეყვარებულნი თავიანთ კეთილ ბატონებზე, ფიქრობენ და ცდილობენ მათი ბედნიერებისათვის.

ერთმანეთის სიყვარულით იწვიან არა მარტო მიხაკო და ალექსანდრა, არამედ როსტომი და მარიკოც. ამ უკანასკნელთ წინ არაფერი ეღობებათ შეისრულონ გულის წადილი, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებენ ქორწინებისაგან, რადგან სურთ პირველად თავიანთი ბატონები ნახონ გაბედნიერებულნი.

ამგვარად, ლ. არდაზიანი არა მარტო მებატონეებს უპირისპირებს ერთმანეთს, არამედ მათ მოსამსახურეებსაც. კეთილი და განათლებული მებატონის მოსამსახურე ზრდილობიანი, ერთგული და წესიერია, ხოლო უხეში და ცუდი მორალური თვისებების მქონე მებატონის მსახური—ბოროტი და ზნედაცემული.

იმ დროს, როცა მარიკას ალექსანდრასაგან პატიოსნებისა და ზრდილობის დაცვა აქვს შთაგონებული, გოჩუნას თეიმურაზისაგან საწინააღმდეგო თვისებები შეუძენია.

ზღარბივით მობუზული გოჩუნა, რომელიც თავის ზნედაცემული ბატონისათვის ლამაზ ქალებს იტაცებს, ვეღარ გრძნობს, რა ბოროტებას სჩადის. მას დაკარგული აქვს თავმოყვარეობა და ყოველი ადამიანური ღირსება. თუმცა მას სურვილი გაღვიძებია მა-

რიკო ცოლად შეირთოს, მაგრამ გადაწყვეტილი აქვს ჯერ ბატონს მიუყვანოს. „ჯერ იმას, მერე მე. სიკვდილამდინ“,—ეუბნება გოჩუნა მარიკოს.

ცხადია, გოჩუნა ბევრ რამეში ჰგავს გიტოს, მაგრამ შორსაა გაბროსაგან (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“).

სულ სხვაა მარიკო, რომელიც თავის საქმროსაც არ აძლევს კოცნის უფლებას. მას თავის ქალბატონისაგან ბევრი რამ კარგი შეუძენია.

მაგრამ მაინც როგორ ეხატება მწერალს სანიმუშო ქალბატონი, ალექსანდრას სახით? ამის შესახებ თვით ალექსანდრას ათქმევინებს ბარბარესთან საუბარში:

> —როგორც მოგეხსენებათ დედას ხასიათი, ან ჩვეულება, განაგებს სახლში. საჭიროა ყველგან დახედვა, თორემ მოსამსახურეები არას გააკეთებენ ან გააკეთებენ ცუდად, უწმინდურად და ჩხუბით. დედასთან არავის შეუძლიან თავის გასაკეთებელი საქმე სხვას მიუგდოს ინადით. ნათქვამია: „ერთმანეთისა ინადითა, სახლი აივსო ნ.გვით.ო“. მეც ასე შეჩვეულ-რდა სახლში გამგეობა, რიგის მიცემა, ჩემ თვალწინ ყველასი გაკეთება, დაწმენდა და მომხადება, რომ გული აღარ მწვეს საქმეზე...
>
> —ღვთის წყალობა გაქვთ, ვინც გინდა დამძახოს,—სთქვა ალექსანდრამ გულის სიამოვნებით,—რასაც ხელი და გონება მიმიწვდება, მევე გავიკეთებ. ტანისამოსის გაჩირქიანებას ვერიდები, თორემ საკმელსაც მოვხარშავ...

დიდი ძალდატანების მიუხედავად, მწერალმა ალექსანდრასაგან უკეთესი „მშრომელი“ ვერ მიიღო. იგი დიდ საქმედ თვლის მოსამსახურეებს ადევნოს თვალი, „სახლში გამგეობა“ და „რიგის მიცემა“ იკისროს. „საკმლის მოხარშვაზეც“ კი უარს ამბობს, ტანსაცმლის გაჭუჭყიანებას ერიდება.

ცხადია, ალექსანდრა არ ფიქრობს ისეთი საქმის გაკეთებას, რომელიც ხელს ან ტანსაცმელს გაუჭუჭყიანებს. მაშასადამე, არ ფიქრობს თუნდაც ოდნავად შეუმსუბუქოს ყმებსა და მოსამსახურეებს მძიმე შრომა. პირიქით, ყურადღების გაძლიერების საშუალებით მას სურს გაზარდოს ყმის შრომის ნაყოფიერება.

ალექსანდრასა და მისი ოჯახის დახასიათების საშუალებით, ლ. არდაზიანი „მორჩილში“ შეეცადა ბატონყმობის შესახებ გამოეთქვა იგივე შეხედულება, რაც მან „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილში“ გაატარა რაინდიძეთა ოჯახის დახატვით.

საგულისხმოა, რომ მწერალს უსიტყვო მორჩილების გზიდან არ გადაჰყავს ყმები და მოჯამაგირენი ისეთი უხეში და უზნეო მე-

ბატონისაც კი, როგორიცაა თეიმურაზი. ასეთ მებატონეთა ყმებსაც იგი მოთმინებასა და მორჩილებას ურჩევს. ამ მხრივ სასუურადღებოა რომანის პირველი ნაწილის მეოთხე თავი („თეიმურაზი"). გოჩუნას სასტიკად გაუჯავრდა თეიმურაზი, ვინაიდან მას ალექსანდრას მიხაკოსთან დამოკიდებულების გაგება აინტერესებდა, ხოლო გოჩუნა მარიკოს შესახებ ელაპარაკებოდა, მაგრამ გოჩუნამ შიში და მოკრძალება გამოამჟღავნა, რითაც გულქვა ბატონს ასიამოვნა. მწერალი საგანგებოდ გახაზავს: „...შიში და მოკრძალება მსახურის, დიაღ, იამა ბატონსა, რომელსაც თითქმის, ამის გამო, გაეკვირვა აღშფოთებაო".

მწერალს მიზნად აქვს არა ბატონყმობის დრომოჭმულობისა და მისი მოსპობის აუცილებლობის ჩვენება, არამედ ამ ურთიერთობის კვლავ ძალაში დატოვება, რისთვისაც მას საჭიროდ და საკმარისად მიაჩნია მებატონეთა ზნეობრივი ხბარის გამოსწორება, ყმისა და მამულის უშუალო ხელმძღვანელობა, ყმის შრომისადმი უფრო ფხიზელი კონტროლი.

მწერლის ასეთი სურვილის მიუხედავად, ნაწარმოები მკითხველზე სულ სხვა შთაბეჭდილებას ტოვებს და სხვაგვარ შეხედულებას უქმნის ბატონყმური ინსტიტუტის შესახებ. რომანში გამომჟღავნებულია როგორც ცალკეულ მებატონეთა, ასევე მთელი ბატონყმური სისტემის გადაგვარება და გახრწნა; ნაწარმოების ობიექტური აზრი მიმართულია ამ დრომოჭმული და ველური ურთიერთობის წინააღმდეგ.

როგორც „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში", ასევე „მორჩილში" მწერალმა გვერდი აუარა ყმა-გლეხობის ცხოვრების, მათი ყოველდღიური საქმიანობისა და განცდა-ფიქრების კონკრეტულ სახეებში ჩვენებას.

მიუხედავად ამისა, მთელი ნაწარმოების მანძილზე იგრძნობა ის მძიმე და აუტანელი მდგომარეობა, რომელსაც მშრომელი ხალხი, ყმა-გლეხობა განიცდის. თავი რომ დავანებოთ მეტად დუხჭირ მდგომარეობას თეიმურაზის მსგავს მებატონეთა ყმებისას, რომელთაც, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიღარიბით ნატისუსალი ასდიოდათ", უნდა ვიფიქროთ, რომ უკეთეს დღეში არ იყვნენ არც ალექსანდრას მამის—კონსტანტინეს ყმა-გლეხებიც. ქალიშვილის დასაქორწინებლად „პრიკაზიდან" გამოტანილი ათას ორასი თუმნის გადახდას, ცხადია, კონსტანტინე ყმების საშუალებით ფიქრობს და არა სხვა გზით.

ლ. არდაზიანს არ შეიძლებოდა არ შეემჩნია, რომ გლეხობა

ზნეობრივად გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე თავადაზნაურობა. მართალია, ამ გარემოების გახაზვა მის მიზანს არ შეადგენდა, მაგრამ შეუძლებელი იყო მაინც არ გამოემჟღავნებინა. ამ მხრივ საყურადღებოა თეიმურაზის დედის—ეკატერინეს მოახლის, მოხუცი გლეხი ქალის—ვარსკვლავისას საუბარი თეკლესთან ლიფსიმეს ქცევისა და „საქმიანობის“ შესახებ. „შენმა გაზდამ თეკლე,—მიმართავს ვარსკვლავისა თეკლეს,—გლეხი ვარ, მაგრამ მაგის ქცევას არ ვიკადრებ, სათაკილოდ მიმაჩნიაო“.

„მორჩილიდან“ გამომდინარე იდეური აზრი იძლევა იმის საფუძველს, რომ დავასკვნათ: ლ. არდაზიანმა, „მორჩილის“ სახით, მკითხველს მისცა ბატონყმური სინამდვილის ამსახველი გაბზარული სარკე, მაგრამ მაინც სარკე, რომელშიც აშკარად გამოჩნდა, ერთი მხრივ, შეუზღუდველი უფლებებით და უზრუნველი ცხოვრებით გათავხედებული, ზნეობრივად გადაგვარებული, ფუქსავატი და პარაზიტად ქცეული მაღალი წოდება, ხოლო მეორე მხრივ—უუფლებო, შეუსვენებელი შრომითა და ბატონყმური უღლისაგან განაწამები ყმა-გლეხობა.

რომანში აღწერილი ცხოვრების სინამდვილე მკითხველში იწვევს პროტესტს ბოროტებისა და ჩამორჩენილობის საფუძვლის—ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ.

მაგრამ ხხოლოდ ამით არ ამოიწურება „მორჩილის“ მნიშვნელობა და მასში დასმული საკითხები. მწერალი ეხება სხვა დიდი მნიშვნელობის მოვლენებსაც და გამოთქვამს თავის შეხედულებებს. მათგან, პირველ ყოვლისა, საინტერესოა ოჯახისა და ოჯახის შექმნის საკითხი.

* * *

ლ. არდაზიანის შეხედულებით, ოჯახში დაცული უნდა იყოს უფროს-უმცროსობის პრინციპი. შვილი ბშობლების მორჩილი და მათი სურვილის ამსრულებელი უნდა იყოს; შვილს არ შეჰფერის წინ აღუდგეს მშობლების გადაწყვეტილებას, ეჭიროს თავი მათ თანასწორად.

მაგრამ ასეთ დამოკიდებულებას უფროსთა და უმცროსთ შორის კარგი შედეგი მოაქვს მხოლოდ იქ, სადაც მშობლები თავის ღირსების სიმაღლეზე დგანან.

ლ. არდაზიანი იზიარებს ქართულ ანდაზაში გამოთქმულ შეხედულებას: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“.

ოჯახისა და ოჯახური ურთიერთობის შესახებ თავისი შეხედუ-

ლებების საილუსტრაციოდ, მწერალი ერთმანეთს უპირისპირებს თეიმურაზისა და ალექსანდრას ოჯახებს.

თეიმურაზის ოჯახში მუდამდღე უსიამოვნება და ურთიერთშორის განუწყვეტელი დავაა. ერთმანეთთან საერთო ვერ გამოუნახავთ დაძმას და დედა-ქალიშვილს. თეკლეს დასანახად ეჯავრება თეიმურაზი, ამასთან უკმაყოფილოა დედის ქცევითა და უყურადღებობით.

ეკატერინეს, თავის მხრივ, არ მოწონს, რომ თეკლე მას მორჩილად არ ექცევა. მაგრამ ამის მიზეზს თვითონ თეკლე განუმარტავს დედას:—„მშობლიურად, გულმტკივნეულად, სიყვარულით მამექეცით, მეც სრულის მორჩილებით, სიყვარულით და პატივისცემით მოგექცევით, თორემ ქვევრს რასაც ჩასძახი, იმას ამოგძახებს. რაც მასწავლეთ, ის ვიცი“.

თეკლე დედას უჩივის, რომ მის სწავლასა და აღზრდაზე არავის უზრუნია. „მანამ კარგა მოვიზრდებოდი არც დედამ, არც მამამ არ იცოდით—ვიყავ თუ არა სახლში. დედა თავის თავის არშიყობას უნდებოდა, კეკელაობდა, დილიდამ შუაღამემდინ გართული იყოო“,—ამბობს თეკლე.

თეკლეს ამ სამართლიანი საყვედურისათვის მწერალს ადრევე აქვს ნიადაგი მომზადებული. ეკატერინეს გარეგნული სილამაზის დახასიათებისას იგი შენიშნავს, რომ „ეტყობოდა თვალებზე, რომ სიყმაწვილეში მოარშიყე უნდა ყოფილიყოო“.

ამგვარად, მწერლის შეფასებით, ეკატერინე ვერაა ზნეობრივად სრულყოფილი; მას სათანადოდ არ უზრუნია შვილების აღზრდისთვისაც, რამაც თავისი ცუდი შედეგი გამოიღო.

ლ. არდაზიანს სურს გვიჩვენოს, რომ „თუ ნაყოფი არ ვარგა, ეტყობა, თვითონაც ხე არ ვარგებულა“.

სულ სხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს ალექსანდრასა და მის შვილებს შორის. ალექსანდრა შვილების მორჩილი და მათი სიტყვის პატივისმცემელია. იგი მაშინაც არ აღუდგება წინ შვილებს, როცა დარწმუნებულია, რომ მათი გადაწყვეტილება მისთვის მეტად მძიმე და საზიანოა. ასეთი მორჩილება ალექსანდრაში გამომუშავებულია შვილების მზრუნველობისა და გულთბილი დამოკიდებულების წყალობით.

ალექსანდრა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოუდგენლად მიაჩნია თეიმურაზის ცოლად გაყოლა და მისი სახელის გაგონებაც კი ზიზღს იწვევს მასში, უარის თქმას მაინც ვერ უბედავს შვილებს, რომლებსაც სურთ მიათხოვონ იგი თეიმურაზს.

მშობლებისადმი მისი მორჩილება იმ ზომამდე მისულა, რომ ამბობს: „დიაღ, ვერც წინაუდგები დედმამასა! ვერც თეიმურაზს შევირთავ! სიკვდილი მიხსნის ორივესაგანო!“

მწერალს მოწონს ალექსანდრას მორჩილება მშობლებისადმი, მაგრამ არ თანაუგრძნობს თვით მშობლების მოქმედებას, რამაც აიძულა „უმანკო ფრინველი“ სიკვდილზე ეოცნება.

ლ. არდაზიანის შეხედულებით, ალექსანდრას მშობლები შეცდნენ. კერძოდ, სწორად არ მოიქცა მარიამი, როცა თავისი ქალის შეუტყობინებლად გადაწყვიტა მისი ბედი. მწერალი მოხდენილად ესხმის თავს იმ დროს გაბატონებულ ჩვეულებას: ქალის გათხოვების საკითხს მხოლოდ მშობლები რომ წყვეტდნენ.

მარიამი რჩევისათვის ეკითხება კონსტანტინეს: მან მოძებნოს სასიძო, თუ ალექსანდრას მიანდოს „თვითონ აირჩიოს საქმრო,— რომელიც ჩვეულება ჯერ საქართველოში არ შემოსულა“.

კონსტანტინე კიდევაც ამაყობს იმით, რომ საქართველოში ქალის გათხოვება მშობლების საშუალებით ხდება: „ჩვენ ვხედავთ მრავალ მაგალითს ევროპაში და სხვაგან,—მიმართავს კონსტანტინე მარიამს,—ვინც გაგიჟებული სიყვარულით ერთმანეთს ირთვენ, იმათ უფრო კეთილი ბოლო არა აქვთო“. მისი აზრით, ქართველებს სიყვარული „წუნარწუნარათ ელეიძებათ... თანდათანობით უცხოველდებათ“, ამიტომ „ჩვენი ჩვეულება... სჯობია ახალ მოგონილ ჩვეულებასო“.

მწერლის შეხედულებას გამოხატავს მარიამი, რომელიც არ ეთანხმება კონსტანტინეს მოსაზრებას.

— მაგას ნუ ბრძანებ, შენი ჭირიმე,—უპასუხა მარიამმა დამშვიდებით.—მე ვერ დაგეთანხმები სრულიად. ჩვენშიც და სხვაგანაც მრავალნი არიან კარგნი და მრავალნი ცუდნი. კარგი კარგს თუ შეხვდა, რასაკვირველია, ბედნიერი იქნებიან. მაგრამ ხშირად მოხდება, რომ ცუდი კარგს შეეყრება, მაშინ კარგი ცუდისაგან იტანჯება. ცუდი კარგს რომ ასე ხშირად არ შეხვდეს, მე ჩემის აზრით ვამჯობინებ: ქალს არ არის ჯერი მიეცეს სრული უფლება, მარტო თვითონ აირჩიოს საქმრო, ამიტომ რომ ვაქაციის ცბიერობით მალე მოტყუვდება, რადგან სუსტია და გამოუცდელი. მეორეს მხრით, ქალიც ბრალია, თუ აურჩევენ სხვანი განესჯელად, წინ დაუხედავად... ამიტომაც საჭიროა: ქალმა რომ აირჩიოს საქმრო, მშობლებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა არჩევაში... რადგანაც ისინი უფრო გულგრილად და დაგულისხმებით გასინჯავენ სასიძოსა, ვინამც სიყვარულით აფეთქილი ქალი...

მწერლის შეხედულებით, თავისი საქმრო ქალმა თვითონ უნდა შეარჩიოს. მაგრამ თუ ქალი სრულწლოვანი არაა, მაშინ საქმროს შერჩევაში მშობლებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

მარიამი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დაფიქრებულად მსჯელობს, თავისი ქალის ბედს მეტად აჩქარებულად და მისგან დაუკითხავად წყვეტს. ასეთი შეცდომა მან დაუშვა იმის გამო, რომ „იგი იყო თვითსჯული, და რასაც განიზრახავდა, ან იტყოდა, ვეღარავინ-ღა გადაათქმევინებდა, მანამ არ დაინახავდა თავის შეცდომასა, ამასთან უყვარდა უფლება ქმარზე და შვილებზე".

ლ. არდაზიანი იცავს მიჯნურობის რუსთველურ გაგებას, „შორით კვდომისა და შორით დაგვის" პრინციპს. მისი შეხედულებით, მიჯნურობასთან საერთო არაფერი აქვს „მტლაშა-მტლუშს". ხოლო ასეთი შეცდომისაგან თავის დაზღვევაში, მწერლის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-განათლებასა და აღზრდას.

მარიკო დიდად უმადლის თავის ქალბატონს, რომ მისცა შესაფერი აღზრდა, რაც მას საშუალებას აძლევს დაიცვას წესი და პატიოსნება. ალექსანდრამ „გამინათლა გონება სწავლით,—ამბობს მარიკო,—სწავლა მაჩვენებს ღონისძიებას, რომლითაც შენიძლიან ავიცდინო უბედურება, რომელიც წარმოდგება მოუთმენლობისაგან...

...ჯვარისწერამდინ ჩემ ტუჩებს არ გაერყვნი მტლაშა-მტლუშით, როგორც ჩადიან ტუტრუცუნა ცრუ-განათლებულებიო".

მწერალი აცხელს ცივილიზაციის საფარქვეშ ზნეობრივ გადაგვარებამდე მისულთ და უწოდებს მათ „ცრუ-განათლებულო"; ასეთ „განათლებულთ" ნამდვილ განათლებასთან არაფერი აკავშირებთ. ის ვინც ნამდვილად განათლებული და ნასწავლია, იგი ზნეობრივად და მორალურადაც მაღალ დონეზეა,—ასეთია მწერლის გაგება.

ლ. არდაზიანი ერთმანეთს არ უპირისპირებს გონებასა და გრძნობას, მაგრამ მოვლენათა გაგებისა და გათვალისწინების საქმეში მაინც გონების პრიორიტეტს აღიარებს. მისი შეხედულებით, „საქმე ჰკუაა ...ჰკუით კეთდება ყოველი კარგი საქმე. საცა ჰკუაა, ბედნიერებაც იქ არის. გული რა არის, ნამეტნავად ქალის სუსტი გული! მართალია, ხანდახან გული წინად იგრძნობს მომავალსა, კარგსა და ავსა, მაგრამ ხშირად კი შეაცდენს კაცსა".

ამიტომ, ადამიანის სილამაზე და ღირსება, მისი გაგებით, უნდა შეფასდეს არა გარეგნული სილამაზით, არა სიმდიდრით, არამედ გონებრივი და გრძნობიერი სრულყოფით. „ამ დროში ფასდება სილამაზე ჰკუისა და გულის და არა სახისაო",—ათქმევინებს მწერალი თავის ერთ-ერთ გმირს.

მაგრამ საკმარისი არაა ადამიანს ჰქონდეს მოსაწონი ჰკუა და

განათლება; შეცდომა რომ არ დაუშვას და უფრო სწორად განსჯვრიტოს, ამისათვის საჭიროა ბას გამოცდილებაც ჰქონდეს. ალექსანდრას პირით, მწერალი ამბობს: „მე მგონია კაცი ისე სწავლით არა, როგორადაც საკუთარი გამოცდილებით საქმეს უფრო უკეთესად გააკეთებსო“.

მიუხედავად ყოველივე თქმულისა, ლ. არდაზიანი თავის შეხედულებაში გარკვეულ ადგილს უთმობს ბედისწერას, „განგების ძალას“, რაც ხშირად მეტად ნაძალადევ ფორმაშია მოცემული. მარიამი, მისი შეცდომის გამოსწორებას ღმერთის „კურთხეულ განგებას“ უმადლის. თვითონ ალექსანდრასაც ბედისწერისა სჯერა. იგი მარიკოს არწმუნებს, რომ „თუ როსტომი შენი ბედია, უთუოდ დაგიბრუნდება მშვიდობით და, თუ არ არის შენი ბედი, რაღა გაეწყობა. ღვთის განგებას უნდა დამორჩილდეო“. თავის მხრივ, მამას ეუბნება, რომ ქმარი „არა მსურს, მაგრამ თუ ღმერთი მამივლენს, ვისურვებ და შევირთამო“.

მწერლის შეხედულებით, ქალი უფრო შურისმძიებელია, ვინემ მამაკაცი, ვინაიდან ქალს განვითარებული აქვს გრძნობა და სათუთი გული, რომელიც მალე იმჩნევს წყლულს. „საშიშია გულისწყრომა ქალისა. უსამართლოდ დაჩაგრული და ნაწყენი ქალი უფრო დიდ ვნებას შეამთხვევს კაცსა, ვიდრე ორასი მტერი ვაჟკაცი... ქალს აქვს ჩვილი გული, გრძნობა ნაზი. ამიტომ მცირედი წყენა ქალის გულსა ძლიერ დააწყლულებს. წყლულება დაჰბადებს შეუწყნარებელ მრისხანებასა და შურისძიებასა, და ეს მრისხანება და შურისძიება არ გაივლის, სანამ ქალი კმაყოფილს არა ჰყოფს წყენასა“, —ამბობს თვითონ მწერალი.

ლ. არდაზიანის გაგებით, ნამდვილი და ძლიერი გრძნობის გადმოცემა სიტყვის საშუალებით ძნელია. ასეთი მომადლებული ნიჭით მხოლოდ პოეტები, მხატვრები და ხელოვნების სხვა დარგის ოსტატები არიან დაჯილდოებულნი.

მიხაკომ დიდი მონდომებითა და სისათუთით აღწერა ალექსანდრას სილამაზის ცალკეული მხარეები, მაგრამ, როცა მოინდომა ყოველივე ეს მთლიანობაში მოეცა და თანაც ლექსის სახით, დარწმუნდა, რომ განზრახვა მის შესაძლებლობას აღემატებოდა.

ასეთივე ბედი ეწვია ალექსანდრასაც, როცა მან მიხაკოს სურათის დახატვა განიზრახა.

ლ. არდაზიანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მწერლობა და ხელოვნება მოითხოვს გარკვეულ ნიჭს, რომელიც მხოლოდ

სწავლითა და დაინტერესებით არ იქმნება. მაგრამ ადამიანებს საკუთარი გრძნობა-განცდების გამოსამჟღავნებლად აქვთ სიტყვაზე უფრო მახვილი საშუალება; ესაა—სახის ის ანაბეჭდი, ის ქცევა და მოქმედება, რომელიც მეტად გასაგებად და ფაქიზად ავლენს ადამიანის გრძნობათა ღელვას. ამიტომაც, ნამდვილი და ძლიერი სიყვარულით შეპყრობილი გული უსიტყვოდაც კარგად მეტყველებს.

ამას ადასტურებს ალექსანდრას უხმო აღსარებაც: „ჩემი სურვილია არავინ გაიგოს: თითქმის თვით მიხაკომაც, რომ იგი მიყვარს... მაგრამ მიხაკო კი მიმიხედა ამ აზრს, სწორედ ისე როგორც მე მივხვდი იმის აზრს. ორიეეს გული ერთის აზრით, ერთის გრძნობით მოძრაობს. ეს ის დიდი სიტყვაა, რომელსაც ვნატრობდი, რომელიც მე მიხაკოსაგან გავიგონე და მიხაკომ ჩემგან გაიგონა. მე იმას მოვტაცე გული. იმან მე მომტაცა... ნუ თუ ენით გამოთქმული სიტყვა ამაზე კიდევ უძლიერესი იქნება?—არა მგონია“... დაასკვნის ალექსანდრა. რომელიც ამ შემთხვევაში, მწერლის შეხედულებას გადმოგვცემს.

მაგრამ ადვილი როდი არის გრძნობის გამოუთქმელად ჩაკეტვა გულში. გრძნობა გამოვლენასა და გაზიარებას მოითხოვს მისდამი, ვისაც იგი ეკუთვნის. „შორით კვდომა, შორით დაგვა“ გარკვეულ ნებისყოფას ითხოვს. გულის დამორჩილება ხშირად უძნელდება გონებას. ამას გრძნობს ჩვენი გმირიც, რომელიც მთელი სიწრფელით აღიარებს: „გული არ ემორჩილება გონებას და თხოულობს თავისას. საცოდავი გული, იქეჯნება, იტანჯება, რომ ხორციელად არ აკრავს მას მიხაკოს გული!... არა, უნდა დავემორჩილნეთ გარემოებას. ამ შემთხვევაში გულს არ უნდა ავყვეთ, გონების რჩევაზე უნდა დავდგეთ... რა ექნა გული ასე რად მიცემს!“...

ალექსანდრა იმ რწმენამდე მიდის, რომ ციე გონებას არ ძალუძს მხურვალე გულის დამორჩილება, მაგრამ ამ დროს მას მწერალი წამოეშველება და „საიდუმლო ლოცვაზე“ დააყენებს. ხოლო „ლოცვაში ქალი გაძლიერდა, ნუგეშით აივსო, აღელვებული გული დაუმშვიდდა, გონება გაუნათლდა, მწუხარებას აღარ გრძნობდა, გრძნობდა მხოლოდ გამოუთქმელ სიტკბოებასო“,—„გვარწმუნებს“ მწერალი, რომელიც კლავ ავლენს თავისი მსოფლმხედველობის სუსტ მხარეს.

ალექსანდრა, რომელიც უმეტესად მწერლის იდეებს გამოხატავს, არის „პატიოსნების და თავის ღირსების შემგნებელი“. იგი გაცილებით უკეთ აზროვნებს და უფრო მეტს გრძნობს, ვინემ

მისი მშობლები, რომლებიც, რაც უნდა იყოს, მაინც ძველი თაობის წარმომადგენლები არიან და უძნელდებათ ალღო აუღონ ახალი ოჯახის ბუნებას.

ალექსანდრას სწამს და სურს სხვაც დაარწმუნოს, რომ „ქალი არ არის დაბადებული, როგორც საშუალება, დასაკმაყოფილებლად ვაჟის გულისთქმისა და რომ ქალი და ვაჟი ღირსებით და პატივით თანასწორნი არიან, და მაშასადამე, ქალმა არ უნდა დაამციროს თავისი თავი იქამდის, რომ ვაჟს საშუალებად მიაჩნდეს იგი“...

მშობლებისადმი უკიდურესი მორჩილების მომხრე ალექსანდრა ქმრისაგან მოითხოვს თანასწორობას. სხვაგვარ შემთხვევაში, სრულიად სამართლიანად, მას წარმოუდგენლად ეჩვენება ნამდვილი ოჯახის შექმნა და სიყვარული ცოლ-ქმარს შორის. ალექსანდრას თქმით, „ქმარი უნდა დაემორჩილოს ცოლსა, როგორც ცოლი ქმარსა, იმიტომ რომ თანასწორნი არიან. თუ ეს ასე არ იქნება... მაშინ უთანხმოება და უბედურება დაიბადება მათ შორის“.

ალექსანდრას შეხედულებით, ოჯახური ბედნიერების წყარო მხოლოდ სიყვარულია. ქალსა და ვაჟს ჯერ კიდევ ქორწინებამდე უნდა ჰქონდეთ ერთმანეთისადმი სიყვარული და ურთიერთ გაგება. ამიტომაა, რომ იგი მთელი გულისწყრომით მიმართავს ლიფსიმეს: „სხვისი მოწონებული ვაჟი თუ ქალი, არა მგონია მოეწონოს და იამოს იმასაც, ვისთვისაც თავიანთ გულში ამზადებენ იმ ვაჟსა თუ ქალსაო“.

იგი უარყოფს ძველ წესებს, რომლებიც მშობლებსა და მაჭანკლებს მეტად შეუფერებელ უფლებებსა და შესაძლებლობას აძლევდათ.

ლიფსიმეს, რომელიც ამბობს „დაილოცოს ძველი დრო. მაშინ ქალს ვინ კითხავდაო“, ალექსანდრა უპასუხებს: „უწინ... პაწაწებს ათხოვებდნენ, და მაშასადამე, ვერც დაეკითხებოდნენ. ახლა სხვა დრო გახლავს, მგონია ჩემოდენა ქალმა უნდა იცოდეს ვისაც აძლევენო“.

ოჯახური ურთიერთობის საკითხებზე საუბრისას, ალექსანდრა ზოგჯერ ძალიან შორს ჰვრეტს და არ ერიდება ფილოსოფიური ხასიათის ნაჯღელობასაც კი. იგი ცდილობს ლოგიკურად დაასაბუთოს, თუ რატომ არის ზოგიერთი ადამიანი ცუდი და საძაგელი, რა აძლევს მშვენიერებას ადამიანთა სულიერ სამყაროს და სხვა.

თეიმურაზთან საუბარში ალექსანდრა ამბობს:—„მე ქვეყანაზე არ მძაგს რა, გარდა ერთისა: მე მძაგს ყოველივე ცუდი, საძაგელი, და რადგანაც ცუდი იპოება მხოლოდ რამდენიმე ადამიანში, ამიტომ მძაგს ეს ადამიანები. კაცის გარეთ ცუდი არა არის რა. ყოველივე მშვენიერია. მშვენიერება არის სული ჩემი სულისაო“.

ლ. არდაზიანი, როგორც ვხედავთ, მთლიანად იზიარებს ნ. ბარათაშვილის მიერ მოხდენილად ნათქვამ სიტყვებს „მშვენიერება თვით მშვენიერ სულში მდგომარებსო“. ამასთან, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ცუდი მხოლოდ ადამიანშია და არა ადამიანს გარეთ; ამიტომ ადამიანთა სწორი ზნეობრივ-მორალური აღზრდა საუკეთესო იარაღია ყოველგვარი ცუდისა და საძაგლის მოსასპობადო.

საერთოდ, ლ. არდაზიანი მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევს ადამიანის ზნეობრივ აღზრდას, მის მორალურ სრულყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გაგებით, ადამიანი არც საკუთარ თავს გამოადგება, არც ოჯახს, არც საზოგადოებას.

რომანში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ნამდვილი ადამიანი დაჯილდოებული უნდა იყოს მეგობრობის გრძნობით და გარკვეულ მსხვერპლს უნდა სწირავდეს მეგობრობას.

ბარბარესთან საუბარში ბწერალი მარიამს ათქმევინებს: „...მეგობრობაც... მოითხოვს თავის მსხვერპლსა—სიყვარულსა. როგორათაც ქმარშვილს ვერ ეუღალატებთ, აგრეთვე მეგობრობას ვერ ეუღალატებთ. ქმარშვილი თავისას მოგვთხოვს, მეგობარი—თავისას... თქვენი ნება თქვენ აღარ გეკუთვნის; ეკუთვნის ჯერ ქმარშვილსა, მერე მეგობარსაო“...

ამგვარად, „მორჩილში“ მწერალი ეხება მთელ რიგ ისეთ საკითხებს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და აძლევს მკითხველს გარკვეულ რჩევა-დარიგებას მათ შესახებ. ამ მხრივ „მორჩილი“ დიდაქტიკური შინაარსის ნაწარმოებთ გვაგონებს. ავტორი ცდილობს არ გაუშვას შემთხვევა, რომ თავისი შეხედულება სხვადასხვა საკითხზე, ამა თუ იმ ფორმით, არ მიაწოდოს მკითხველს.

საყოფაცხოვრებო საკითხებზე მსჯელობისას იგი ნახულობს საშუალებას მოაგონოს მკითხველს, თუ „რა ჯოჯოხეთია ომი! რა საშიშარია, რა გამმუსრავია ომი!“. იგი მსჯელობს აგრეთვე შრომისა და შრომის სარგებლიანობის შესახებ.

* * *

ლ. არდაზიანი, ისევე როგორც საერთოდ ჟურნალი „ცისკარი“ 60-იან წლებში, გარკვეულ დაინტერესებას იჩენს პოლიტიკური ეკონომიის საკითხებისადმი. მისი ასეთი მისწრაფება გამომჟღავნდა არა მარტო ორიგინალური მხატვრული თხზულებებით, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიკური შინაარსის თხზულების თარგმნითაც.

ლ. არდაზიანმა თარგმნა და „ცისკრის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა პოლემარის ნაწარმოები—„პოლიტიკური ეკონომიის ნაწილი. ყოველივე მოიპოვება შრომითა“[1]. თარგმანის გამოქვეყნება ჟურნალში არ დასრულებულა. მისი ბეჭდვა შეწყვეტილ იქნა გაურკვეველი მიზეზის გამო, მაგრამ გამოქვეყნებული ნაწილი მაინც გვეხმარება წარმოდგენა ვიქონიოთ ლ. არდაზიანის ეკონომიკურ შეხედულებებზე.

პოლემარი ღარიბ გლეხს — ჟორეს ათქმევინებს, რომ ნივთს „სხვა არა რა ფასი არა სძევს, გარდა იმისი, რომელსაც მისცემს მას შრომა“ და თუ „ნივთს აქვს მხოლოდ ის სარგებლობა, რომელსაც მისცემს მას შრომა, რასაკვირველია, ყოველის სიმართლით უნდა ვსთქვათ, რომ თვით ნივთიც უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინცა სდებს მას ფასსაო“.

მაგრამ ფაბრიკის მფლობელ შარლის პირით ავტორი ანვითარებს იმ შეხედულებასაც, რომ „1. კაცმა უნდა იშრომოს, 2. შრომით კაცი მოიპოვებს ნივთსა, რომლის საშუალებით დააკმაყოფილებს თავის საჭიროებათა, 3. გაცვლა შრომისა გაავრცელებს კაცის კეთილმდგომარეობასა და დააფუძნებს საზოგადოებასა, 4. ამ გაცვლაში ყოველი კაცი არის თავისუფალი, ე. ი. არ არის დამონებული სხვისაგან, და მასთანვე კი ერთი მხარეცა და მეორეცა არიან მტკიცედ შეკავშირებულნიო“.

მაგრამ შარლის შეხედულებები და საქმიანობა არ ეთანხმება არა მარტო გლეხ-ჟორჟის სურვილებს, არამედ ვაჭარ რობინოს ინტერესებსაც. რობინო, როგორც მევახშე-ვაჭარი, უკმაყოფილოა ფაბრიკის მეპატრონის გაძლიერებით, რადგან ეშინია მისი კონკურენციის.

პოლემარის აღნიშნული თხზულება, როგორც პროფ. პ. გუგუშვილი შენიშნავს, „აშკარად ატარებს წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის მოძღვრების ხასიათს“[2], ამიტომ მის თარგმნასა და გამოქვეყნებას გასული საუკუნის 60-იან წლებში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა; ხელს უწყობდა საზოგადოებრივი აზრის დაინტერესებას პოლიტიკური ეკონომიის საკითხებით.

ლ. არდაზიანის მთარგმნელობითი მოღვაწეობა მხოლოდ დასახელებული თხზულების თარგმნით არ ამოიწურება. მას უთარგმნია ალ. დიუმას „გრაფ მონტე-კრისტო“[3] და აბბატ გიოტეს წიგნი,

---

[1] ჟურნალი „ცისკარი“, 1863 წ., № 6, 7, 8.

[2] პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა, 1941 წ., გვ. 275.

[3] იხ. ლიტ. მუზეუმის ხელნაწერი—№6052.

მიმართული ერნესტ რენანის „იოსე ქრისტეს ცხოვრების“ წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის გამო ზ. ჭიჭინაძე შენიშნავს: „...ერთი ვრცელი ხელნაწერი არსებობს იმის თარგმნისა,—რენანის თხზულება „ქრისტეს ცხოვრების“ პასუხათ, რომელიც ეკუთვნის ერთს ლათინელ მოძღვარს, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთდა და რომელსაც დღეს სახელად მიხაილი ეწოდება[1]. ამ მოძღვარმა დარვინის მოძღვრების საპასუხოდაც ბევრი წერა, ქრისტიანობის მოძღვრების დედა-აზრების მხრით. მგონი ამ თარგმანს ბეჭდვა არ ელირსოს ჩვენში. რენანის თხზულება კი მაცხოვრის შესახებ ერთ საუკეთესო, უტყუარ თხზულებათ ითვლება. უწყიან, რომ მასზე თვით ლავრენტი არდაზიანიც დარწმუნდა და ამიტომაც არ დაბეჭდაო“[2].

არ ვიცით რა მიზეზით, მაგრამ აღნიშნული წიგნი, მიმართული რენანის[3] თხზულების წინააღმდეგ, მართლაც არ დაბეჭდილა.

6

ლ. არდაზიანის რომანები საინტერესო არის თავიანთი მხატვრული ფორმითაც.

იმ საგრძნობმა გარდატეხამ, რომელიც ცხოვრების სინამდვილის ზეგავლენის შედეგად მოხდა ლ. არდაზიანის მსოფლხედველობაში, მწერალი მიიყვანა ისეთი ჟანრისა და მხატვრული საშუალებების მომარჯვებამდე, რომელიც მეტ შესაძლებლობას აძლევდა მას საზოგადოებრივი ცხოვრების რეალისტური ასახვისათვის.

---

[1] ჟურნალ „თეატრში“ კი ვკითხულობთ: „...ლ. არდაზიანს ...რუსული ენიდამ ქართულს ენაზე გადმოუთარგმნია გამოჩენილის ერნესტ რენანის თხზულების პასუხი. ეს პასუხი დაწერილია დეკანოსის ვლადიმერისაგან. კარგა ვრცელი წიგნია... რუსულს ენაზე თბილისშიც იყიდება და ღირს 2 მ. 50 კ.“ („თეატრი“, 1886 წ., № 21).

[2] ზ. ჭიჭინაძე. ლავრენტი პეტრეს-ძე არდაზიანი (იხ. „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ 1911 წლის გამოცემა).

[3] ერნესტ რენანი (1823—1892)—რელიგიის ბურჟუაზიული ისტორიკოსი, სოციოლოგი და ფილოსოფოსი. სახელი გაითქვა თხზულებებით: „იოსე ქრისტეს ცხოვრება“, „წმინდა პავლე“ და ხუთტომიანი „ისრაელი ხალხის ისტორიით“.

ე. რენანმა თავის დროზე საკმაო მკითხველი იპოვნა. ამას მოწმობს თუნდაც ლევ ტოლსტოის წერილი ნ. ნ. სტრახოვისადმი, 1878 წლის აპრილში. ტოლსტოი სტრახოვს სწერს: „...Стал читать евангелие и Ренана—„Жизнь Иисуса“, всю прочел, и все время читал и удивлялся на вас. Могу объяснить ваше пристрастие к Ренану только тем, что вы были очень молоды, когда читали его“ (Л. Н. Толстой. Пол. собр. соч., под ред. П. И. Бирюкова, 1913 г., т. XXI, стр. 257).

ლ. არდაზიანმა თავისი მხატვრული მიზნის მისაღწევად პროზა, კერძოდ სოციალური რომანი აირჩია. ამით მან კარგი მხატვრული ალღო გამოავლინა.

როგორც აღნიშნული გვაქვს, პროზაული ჟანრი ამ დროისათვის ჩვენი მწერლობის ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა. რაც შეეხება რეალისტურ პროზას—მის ღირსებას იცავდა მხოლოდ დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, რომელიც ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილზე“.

ლ. არდაზიანს წილად ხვდა პირველი სოციალური რომანების ავტორობა. ეს საყურადღებო მოვლენაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალური რომანის ტრადიციას ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი, არამედ იმითაც, რომ ცხოვრების სინამდვილის რეალისტური ასახვისათვის უკვე მომარჯვებულ იქნა ყველაზე უფრო შესაფერი ჟანრი, რომელიც მწერალს მეტ საშუალებას აძლევდა სრულად და დამაჯერებლად წარმოეჩინა გარემო სინამდვილე. ცოცხალი ადამიანები.

მართალია, „მორჩილში“ მწერალი ყურადღებას ამახვილებს წმინდა საყოფაცხოვრებო საკითხებზეც, რის გამო მკვლევარნი მას ყოფაცხოვრებით რომანადაც მიიჩნევენ, მაგრამ საკმარისია დავაკვირდეთ, თუ რა ასპექტში და რა მიზნითაა დაყენებული ეს საკითხები, რომ ნათელი გახდეს მწერლის მთავარი მიზანი—წარმოადგინოს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური გარემო.

ადარებს რა ერთმანეთს პიესასა და რომანს, მ. გორკი შენიშნავს: „Пьеса требует, чтобы каждая действующая в ней единица характеризовалась и словом, и делом самосильно, без подсказываний со стороны автора. В романе, в повести люди, изображаемые автором, действуют при его помощи, он все время с ними, он подсказывает читателю, как нужно их понимать, объясняет ему тайные мысли, скрытые мотивы действий изображаемых фигур, оттеняет их настроения описаниями природы, обстановки и вообще все время держит их на ниточках своих целей, свободно и часто—незаметно для читателя—очень ловко, но произвольно управляет их действиями, словами, делами, взаимоотношениями, всячески заботясь о том, чтобы сделать фигуры романа наиболее художественно ясными и убедительными“ [1].

[1] М. Горький. О литературе, 1935 г., стр. 144—145.

მ. გორკის ამ შეხედულების ჭეშმარიტება ცხადი ხდება გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის დრამატურგიის შესწავლის შემდეგ ლ. არდაზიანის შემოქმედების გარჩევისასაც.

ლ. არდაზიანი ცდილობს ყოველი გმირი მისი მორჩილი იყოს და სწორად გადმოსცემდეს იმ აზრს, რომლის მოწოდებაც მიზნად აქვს მას. მიუხედავად ამისა, მისი გმირები უფრო მეტად მაინც სინამდვილის, საკუთარი თავის ერთგულნი რჩებიან, ვიდრე მწერლისა. მწერალიც იძულებული ხდება წაიდეს დათმობაზე თავისი „ჯიუტი“ გმირების სასარგებლოდ. იგი გრძნობს, რომ მისი გმირები ხშირად მისი სურვილების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, მაგრამ არ შეუძლია ხელი შეუშალოს მათ, ვინაიდან მათი მოქმედება ბუნებრივი და სინამდვილის გამომხატველია.

ასეთი მოვლენა, რა თქმა უნდა, აიხსნება არა მწერლის მხატვრული შესაძლებლობის შეზღუდულობით, არამედ მწერლის მსოფლმხედველობაზე ფაქტად ქცეული სინამდვილის გამარჯვებით. იძლევა რა ლ. ტოლსტოის მსოფლმხედველობისა და მისი მხატვრული შემოქმედების თავისებურებათა ღრმა, მეცნიერულ ანალიზს, ვ. ლენინი შენიშნავს: „სოფლური რუსეთის ყველა „ძველ ბურჯთა“ მძაფრმა მსხვრევამ გაამახვილა მისი ყურადღება, გააღრმავა მისი ინტერესი იმისადმი, რაც მის გარშემო ხდებოდა, გამოიწვია მთელი მისი მსოფლმხედველობის გარდატეხაო“[1].

თვით ლ. ნ. ტოლსტოის არა ერთგზის აღუნიშნავს, რომ მისი გმირები ხშირად მისი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებენ. ნ. სტრახოვთან მიწერილ ერთ-ერთ წერილში ლ. ტოლსტოი წერს: „...Если близорукие критики думают, что я хотел описывать только то, что мне нравится... то они ошибаются. Во всем, почти во всем, что я писал, мною руководила потребность собрания мыслей, сцепленных между собой для выражения себя; но каждая мысль, выраженная словами особо, теряет свой смысл, страшно понижается, когда берется одна и без того сцепления, в котором она находится. Самое же сцепление составлено не мыслью (я думаю), а чем-то другим, и выразить основу этого сцепления непосредственно словами нельзя, а можно только посредственно словами, описывая образы, действия, положения... Одна из очевиднейших доказательств это было для меня самоубийство Вронского, которое нам понравилось. Этого никогда со мной так ясно не быва-

[1] „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ., გვ. 131.

ло. Глава о том, как Вронский принял свою роль после свидания с мужем, была у меня давно написана. Я стал поправлять и совершенно для меня неожиданно, но несомненно, Вронский стал стреляться. Теперь же для дальнейшаго оказывается, что это было органически необходимо" [1].

6. აპოსტოლოვს მოჰყავს ამ მხრივ მეტად საინტერესო დიალოგი ლ. ტოლსტოისთან:

> —Говорят, что вы очень жестоко поступили с Анной Карениной, заставив ее умереть под вагоном, что не могла же она всю жизнь сидеть с „этой кислятиной" Алексеем Александровичем.
>
> Толстой улыбнулся.
>
> — Это мнение,—сказал он,—напоминает мне случай, бывший с Пушкиным. Однажды он сказал кому-то из своих приятелей: „Представь, какую штуку удрала со мной Татьяна? Она—замуж вышла. Этого я никак не ожидал от нее". То же самое я могу сказать про Анну Каренину. Вообще герои и героини мои делают иногда такие штуки, каких я не желал бы: они делают то, что должны делать в действительной жизни и как бывает в действительной жизни, а не то, что мне хочется" [2].

ამგვარად, მწერალი შეუგნებლად კი არ იძლევა ისეთ სურათებს, რომლებიც მისი კლასობრივი სიმპათიების წინააღმდეგ ლაპარაკობს, არამედ შეგნებულად, ვინაიდან სინამდვილე არ აძლევს საშუალებას მოიქცეს სხვაგვარად. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც მწერალი სუბიექტურად მაინც კლასობრივ პოზიციებზე რჩება.

ლ. არდაზიანის გმირები ზოგჯერ მაინც იძულებული არიან იქადაგონ მათთვის შეუფერებელი შეხედულებები, ჩააყენონ საკუთარი თავი არაბუნებრივ მდგომარეობაში. ეს გარემოება აშკარად იგრძნობა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში", როცა კინტუა სოლომონი სიბრძნისა და მაღალი წოდების წარმომადგენელთა ზნეობრივი უპირატესობის შესახებ ლაპარაკობს. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ადვილად ხედავს, რომ მწერალი მეტად თვითნებურად ალაპარაკებს გმირს, ღალატობს სინამდვილეს.

ლ. არდაზიანის მხატვრული თხრობისათვის დამახასიათებელია პუბლიცისტური მსჯელობა და ლირიკული გადახვევები. მას ხშირად ეჭვი იპყრობს სხვაგვარად არ გაიგონ მისი გმირის მოქმედება თუ ნათქვამი, ამიტომ თვითონ იძლევა მის ახსნასა და შეფასებას, იძულებულია თქვას: „მაშასადამე", „ესე იგი", „ამგვარად" და სხვა.

[1] Полн. собр. соч. Л. Н. Толстого, под ред. П. И. Бирюкова. т. XXI. стр. 325.

[2] Н. Апостолов. Живой Толстой, 1928 г., стр. 229.

„მორჩილში“ ადვილად ვგრძნობთ მწერლის უშუალო ჩარევას, ვინაიდან თხრობა მესამე პირის საშუალებით ხდება, მაგრამ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ მწერალი „არ ჩანს“, თვით სოლომონ მეჯღანუაშვილი მოგვითხრობს თავის თავგადასავალს. ამიტომ, სოლომონს უხდება არა მარტო თავგადასავლის, არამედ მწერლის ცალკეული შეხედულებების გადმოცემაც. ესაა მიზეზი, რომ მისი მსჯელობა ზოგჯერ ბუნებრიობასა და დამაჯერებლობასაა მოკლებული.

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ მწერალს უძნელდება გადაუხვიოს „მოქმედების ერთიანობას“, ვინაიდან სოლომონს მიზნად აქვს თავისი თავგადასავალი გვიამბოს მხოლოდ, ისიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ესაა იმის მიზეზიც, რომ, გარდა სოლომონისა, რომანის ყველა პერსონაჟი შედარებით სქემატურადაა დახატული, ყოველი მათგანი მთავარი გმირის სახის გამოკვეთის სამსახურშია.

მწერლის განსაკუთრებულ მიზანს შეადგენდა ალექსანდრე რაინდიძის სრულად წარმოდგენა, რაც სოლომონის შესაძლებლობას აღემატება, ამიტომაც მან სიტყვა თვით რაინდიძეს მისცა და უხვად და გაბედულად ალაპარაკა პირად წერილში.

სამაგიეროდ ავტორს უძნელდება სიტყვა „წაართვას“ სოლომონს მაშინ, როცა იგი თავისი თავგადასავლის გადმოცემას ახდენს. ესაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ რომანში აღწერილი მოვლენები, ძირითადად, სწორად ასახავენ სინამდვილეს და ავტორი იცავს რეალიზმის პრინციპებს.

კომპოზიციურად „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მარტივია, მაგრამ კომპონენტები მასში მტკიცედაა შეკავშირებული. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ რომანი წარმოადგენს მთავარი გმირის თავგადასავლის თხრობას თანმიმდევრობის დაცვით; ნაწარმოები, თავისთავად, განთავისუფლებულია ისეთი მოვლენებისაგან, რომლებთანაც საქმე არ ჰქონია სოლომონს და რომლის უშუალო მოწმეც იგი არ ყოფილა.

ლ. არდაზიანის მხატვრული ნიჭის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ მან თავიდან აიცდინა გმირის სოციალური გარემოდან მოწყვეტის შესაძლებლობა, რასაც ადგილი აქვს ხოლმე ასეთი ტიპის რომანებში. მიუხედავად იმისა, რომ სოლომონი თავგადასავლის თხრობით იზღუდება, ჩვენს წინაშე მთელი სისრულით იშლება ის სოციალური გარემო, რომელშიც ცხოვრება და მოქმედება უხდებოდა გმირს. კიდევ მეტი, მწერლის მთავარი მიზანიც ამ უკანასკნელის ჩვენებაა, რასაც წარმატებით აღწევს.

სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე „მორჩილში“, რომელიც თავისი მხატვრული აღნაგობით გარკვეულად განსხვავდება „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისაგან“.

„მორჩილში“ ავტორს ან უშუალოდ გმირებს ვუსმენთ. ამასთან, ხშირად საქმე გვაქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სურათებთან, ჩართულ ეპიზოდებთან.

„მორჩილი“ კომპოზიციურად უფრო რთული შედგენილობისაა, ვიდრე „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, მაგრამ აქლია კომპონენტთა ურთიერთშეკავშირების შესაფერი ტექნიკა. რომანის ზოგიერთი თავი დამოუკიდებელ ნაწილად წარმოგვიდგება, რაც აფერხებს კონფლიქტის დაძაბულ სვლას კულმინაციური წერტილისაკენ. ამასთან, კონფლიქტის დაძაბვას ანელებს თვით ხასიათი ამ კონფლიქტისა. კონფლიქტი აღმოცენებულია არა უშუალოდ სოციალურ ნიადაგზე ან სხვა მნიშვნელოვან ფაქტორზე, არამედ გაუგებრობაზე, მოტყუებასა თუ შეცდომაზე. მართალია, ყოველივე ამის უკან სოციალური შინაარსის მოვლენები იმალებიან, მაგრამ მწერალი არ ცდილობს მის წინ წამოწევას და სიმძიმის ცენტრი შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მომენტებზე გადააქვს.

საერთოდ, ლ. არდაზიანის რომანებში კულმინაციური და ფინალური წერტილები მეტად ახლოსაა ერთმანეთთან. კონფლიქტის დასასრულიც თითქოს უმტკივნეულოა; ავტორი ერიდება კვანძის გახსნის შედეგით დაზარალებული გმირის თავგადასავლის ჩვენებას; მისი ბედის გათვალისწინებას თვით მკითხველის ფანტაზიას ანდობს, თუმცა საკმაოდ მომზადებული აქვს ნიადაგი იმისათვის, რომ ეს „ფანტაზია“ განსაზღვრული იყოს. ამის გამოა, რომ კულმინაციურ წერტილსა და კვანძის გახსნას დასასრულიც მოულოდნელად მოსდევს. მკითხველი თავისთავად დარწმუნებულია, რომ თამარი („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“) ვეღარ წამოდგება სასიკვდილო საავარძლიდან, ხოლო ალექსანდრა და მარიკო („მორჩილი“) თავის სურვილს აისრულებენ.

მწერალი ტრაგიკულ ფინალს იყენებს მხოლოდ მაშინ, როცა კონფლიქტს საფუძვლად უდევს მწვავე სოციალური ფაქტორი („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“), ხოლო უმტკივნეულოდ ამთავრებს გმირთა შორის არსებულ კონფლიქტს მაშინ, როცა ეს უკანასკნელი მოკლებულია ასეთ საფუძველს („მორჩილი“).

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ მწერალი, პირველ ყოვლისა, იყენებს ექსპოზიციას, ხოლო შემდეგ ზუსტად იცავს სიუჟეტის ელემენტთა თანმიმდევრობას. „მორჩილში“ კი ექსპოზიცია თითქმის არაა გამოკვეთილი. მწერალი თანდათანობით

გვაცნობს იმ გარემოსა და მოვლენებს, რომელიც ექსპოზიციაში უნდა მოეცა. იგი კმაყოფილდება იმით, რომ დასაწყისში მიუთითებს: მოთხრობილ ამბავს 1854 წელს ჰქონდა ადგილი. ამასთან, მკითხველის დაინტერესების მიზნით, იგი მიმართავს ფაბულის ნაწილების გარკვეულ გადაჯგუფებას და ჩართული ეპიზოდების მომარჯვებას.

ლ. არდაზიანი ახდენს ნაწარმოების დაყოფას ნაწილებად და თავებად. კერძოდ, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ შედგება ორი ნაწილისაგან, რაც, თავის მხრივ, ოც თავადაა დაყოფილი; „მორჩილი“ ოთხი ნაწილისაგან შედგება და ოცდაცხრა თავადაა დაყოფილი. მაგრამ, განსხვავებით „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისა“, „მორჩილში“ ყოველ თავს თავისი სათაური აქვს. ამ მხრივ იგი ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივს“ გვაგონებს. სათაურებიც მოფიქრებითაა შერჩეული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ავტორი გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს თავების დასათაურებას. სათაურები, ჩვეულებრივ, წინასწარ მიგვითითებენ ვისზეა ლაპარაკი ან რა იდეაა მასში გატარებული.

ლ. არდაზიანი ცდილობს წინ წამოსწიოს ნაწარმოების იდეა. ამიტომ, დიდი ყურადღებით ექცევა ყოველი ცალკეული ეპიზოდის მხატვრულ დამუშავებას, ერიდება ყოველგვარ ორაზროვნად ნათქვამს, თითქმის სრულიად არ აძლევს რომანში ადგილს ისეთი ეპიზოდებისა და მოვლენების აღწერა-დახასიათებას, რომელსაც პირდაპირი კავშირი არ აქვს მთავარ იდეასთან. მაგრამ მწერალს კარგად აქვს გათვალისწინებული ისიც, რომ სიტყვას და მოქმედებას მაშინ აქვს ცხოველმყოფელობა და ზემოქმედების უნარი, როცა მკითხველისათვის გასაგებია პერსონაჟთა ბუნება და ხასიათი; როცა გმირები ისე მახლობელნი და ნაცნობნი ხდებიან, რომ ჩვენს წარმოდგენაში მკვეთრადაა გამოკვეთილი მათი სულიერი და ფიზიკური თვისებები. ასეთი გმირები გარკვეულ ავტორიტეტებად ხდებიან და მკითხველიც ამის მიხედვით აფასებს მათ სიტყვასა და მოქმედებას: შემთხვევითია იგი ამა თუ იმ გმირისათვის თუ არსებითი, დამახასიათებელი.

ლ. არდაზიანი ცდილობს პერსონაჟები ტიპებამდე აამაღლოს. ასეთი ცდა კი ხშირად მწერლის გამარჯვებით მთავრდება. შეტ-ნაკლები სრულყოფილობით მწერალმა ტიპები შექმნა სოლომონ მეჯღანუაშვილის, კერპაძის, მაკრინე ტუჩმოხეულიშვილის („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“), ლიფსიმეს, გოჩუნას („მორჩილი“) და სხვათა სახით.

ტიპების შექმნა კი ნიშნავს იმას, რომ მწერალმა შეძლო ცხოვრების სინამდვილის არსებითი ნიშნების განზოგადოება, ადამიანთა მთელი ჯგუფისათვის დამახასიათებელი თვისებების მოცემა კონკრეტულ პიროვნებაში. ტიპი ერთსა და იმავე დროს, ზოგადიც არის და კონკრეტულიც, ე. ი. ტიპში ინდივიდუალიზირებულია ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფისათვის დამახასიათებელი თვისებები.

მ. გორკის სამართლიანი თქმით, „ტიპის გარეშე—არ არის ხელოვნება". ხოლო ტიპის შექმნა გარკვეულადაა დაკავშირებული სინამდვილის რეალისტურ ასახვასთან, ცხოვრების ყოველდღიური მოვლენების გულისხმიერ შესწავლასთან, ხანგრძლივ დაკვირვებასა და განზოგადოების უნართან. „მწერალი,—აღნიშნავს მ. გორკი,—ერთი ნაცნობი მედუქნის, მოხელის, მუშის აღწერით მოგვცემს ერთი კაცის ხეირიან ან უხეირო ფოტოგრაფიულ სურათს, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ფოტოსურათი, მოკლებული სოციალურ-აღმზრდელობით მნიშვნელობას და იგი თითქმის არაფერს არ მოგვცემს იმისათვის, რომ გავაღრმავოთ ჩვენი ცოდნა ადამიანისა და ცხოვრების შესახებ. მაგრამ თუ მწერალი შეძლებს აიღოს თითოეული ოცდახუთი, ორმოცდაათი და ასეული მედუქნისაგან, მოხელისაგან, მუშისაგან უფრო მეტად დამახასიათებელი კლასობრივი თვისებანი, ჩვეულებანი, გემოვნება, მიმიკა, სარწმუნოება, მეტყველება და სხვა, შეკრიბოს და შეაერთოს იგი ერთ მედუქნეში, მოხელეში, მუშაში—ამ ხერხით ნაწერალი შექმნის „ტიპს", ეს იქნება ხელოვნება".

მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ტიპიური არ გულისხმობს მხოლოდ მას, რაც მრავლდაა და რასაც ხშირად ვხდებით. როგორც გ. მალენკოვი გვასწავლის: „ტიპიურია არა მარტო ის, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, არამედ ის, რაც ყველაზე მეტი სისრულით და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს. მარქსისტულ-ლენინური გაგებით ტიპიური სრულიადაც არ ნიშნავს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს. ტიპიურობა შეესაბამება მოცემული სოციალურ-ისტორიული მოვლენის არსს, და მხოლოდ იმას როდი წარმოადგენს, რაც ყველაზე გავრცელებულია, ხშირად მეორდება, ჩვეულებრივია" [1].

ლ. არდაზიანის რომანების პერსონაჟები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ერთნი—რომელნიც რეალისტურ სახეებს ქმნიან, მეორენი—რომანტიკულს. პირველს ეკუთვნიან: სოლომონ მეჯღანუაშვი-

[1] გ. მალენკოვი. საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, 1952 წ., გვ. 89.

ლი, მაკრინე ტუჩმოხეულიშვილი, ტერტერა ტერ-აკოფა, კერპაძე („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"), თეიმურაზი, ლიფსიმე, გორჯასპი, გოჩუნა, ეკატერინე („მორჩილი"), მეორეს—დარეჯან, ლუარსაბ და ალექსანდრე რაინდიძეები („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"), ალექსანდრა, მარიკო და სხვა („მორჩილი").

ცხადია, ტიპის ძებნა რომანტიკულ სახეთა შორის ზედმეტია. რომანტიკული სახე—გულისხმობს „სასურველს", ხოლო სასურველი შეიძლება იყოს გმირი, მაგრამ ვერ იქნება ტიპი.

ლ. არდაზიანმა პერსონაჟთა ამაღლება ტიპამდე შეძლო მხოლოდ რეალისტური სახეების შექმნისას. ტიპის შექმნა საერთოდ რეალიზმის ძირითადი პრინციპების დაცვასა და განხორციელებას გულისხმობს. ეჭვს გარეშეა, რომ მწერალი რეალიზმის პოზიციებზე შემთხვევით არ დამდგარა, ამაში მას ცხოვრების სინამდვილის ღრმა შესწავლა და გამოცდილება დაეხმარა. მის ბევრ პერსონაჟს ჰყავს პროტოტიპი, რომელსაც მწერალი კარგად იცნობს.

მეტად საინტერესოა მწერლის მეუღლის—ეკატერინე ლოლაძის გადმოცემა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის" დაწერის სამაბზე, რომელსაც მისი ძმისშვილი მიხეილ ლოლაძე ასე აღადგენს: „სოლომონ ისაკიჩი ჩვენი მეზობელი იაქუხჩია იყო, ერთი დევივით კაცი, მოუსვენარი ქორვაჭარი, ღარიბი და ღატაკი. რვა ბავშვი ჰყავდა. ხან სუფს უგზავნიდით, ხან პურებს. ბავშვების გამონაცვალიც სააღდგომოდ ბევრჯერ გამიგზავნია. ერთხელ იაქუხჩია მოვიდა ჩემ ლავრენტისთან. ოთახში ჩაიკეტნენ. რაღაც წერილი დააწერინა ნიჟეგოროდის იარმუკაზე გასაგზავნად, ვიღაც სივცევის სახელზედ. ორი თვე გავიდა. იაქუხჩია ისევ შემოვიდა ჩვენსა, დამიტოვა ოთხი თუმანი, ლავრენტის გადაეცი დიდის მადლობითაო. მოვიდა ლავრენტი სასამართლოდან, ნახა ფული და მითხრა: კეკე, თუ ხათრი გაქვს, ეგ ფული წაიღე, ჩაიყვანე იაქუხჩიას ბავშვები ქარავასლაში, ფეხსაცმელები შეუძინე და ჩააცვი. ერთი თუმანიც მის დედაკაცს მიეცი, იქნება ერთი კაბა ჩაიცვასო. მეც ასე მოვიქეცი.

საღამოთი ისევ მოირბინა იაქუხჩიამ, გაჯავრებული იყო. სახეზე ხელს იფარებდა, რაღაცასი რცხვენოდა. სთხოვა ლავრენტის გამომყეო და ის განათლებულიც გაჰყვა. წაუყვანია იაქუხიას ლავრენტი და უჩვენებია ერთი თონე პირამდი ვერცხლით სავსე და ორი ერბოს ქილა, ოქროთი სავსე.

ის დღე იყო და იაქუხჩია გამდიდრდა, დიდ საქმეებს მოჰკიდა ხელი. შეიძინა ქალაქში სახლები და მიწები. ვაჭრებს მისი ძლიერ ეშინოდათ.

ამის შემდეგ ლავრენტი კარგა ხანს წერდა და „ცისკარში" დაიბეჭდა კიდევაც „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". მთელი ქალაქი ამ მოთხრობაზე ალაპარაკდა.

ყველაზე უფრო მას ეს მოთხრობა უყვარდა, მით უმეტეს, რომ ძან მტრები გაუჩინა, განსაკუთრებით სოხობაში: „ასე გაუნათლებელ ხალხად რად გამოგვიყვანაო“ [1].

სოლომონ მეჯღანუაშვილი არ წარმოადგენს გამონაკლისს; ბევრი სხვა პერსონაჟიც უშუალოდ ცხოვრების სინამდვილიდან აქვს აღებული. როცა მაკრინე ტუჩმოხეულიშვილის ვინაობის გადმოცემას იწყებს, ბწერალი პირდაპირ მიუთითებს, რომ „მაკრინე ღღესაც სუფევსო“. ზოგიერთი პერსონაჟის გვარის ნაცვლად ბშირად N-ს წერს, რადგან, როგორც ჩანს, სახელი პირდაპირ აქვს მითითებული.

ლ. არდაზიანი ერიდება გმირის დახასიათებას მხოლოდ სიტყვის საშუალებით და მიმართავს მის ჩვენებას უშუალოდ მოქმედებაში [2]. მაგრამ ამ მეთოდის დაცვა მას ყოველთვის არ შეუძლია. კერძოდ, იგი მას ვერ იცავს მაშინ, როცა რომანტიკულ სახეებთან აქვს საქმე, როცა „სასუ~ველ“ პერსონაჟებს ხატავს და არა ნამდვილად არსებულს.

ლ. არდაზიანი, როგორც წესი, ზუსტად მიუთითებს ხოლმე პერსონაჟთა გარეგნობაზე, ასაკზე, წოდებრივ ღირსებაზე, ხასიათზე და სხვა. პერსონაჟის ბუნებაში მკითხველის ჩასაწვდომად იგი მიმართავს აგრეთვე მეტყველი გვარების შექმნას (მეჯღანუაშვილი, ტუჩმოხეულიშვილი, რაინდიძე და სხვ.). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მორჩილში“ პერსონაჟები ჩვენ გვეცნობიან მხოლოდ სახელებით და არა გვარებით.

ლ. არდაზიანი, პერსონაჟის ახლო გაცნობისა და გაგების მიზნით, დაწვრილებით აღწერს ხოლმე იმ კარ-მიდამოსა და საცხოვრებელ ბინას, სადაც მის გმირს უხდება ცხოვრება. იგი მხედველობიდან არ უშვებს უბრალო ნივთსაც, რომელიც მისი პატრონის გემოვნებასა თუ საქმიანობაზე ლაპარაკობს. როგორც ვიცით, ეს ხერხი უფრო ოსტატურად შემდეგში ილია ჭავჭავაძემ გამოიყენა.

თავის რომანებში მწერალი იშვიათად მიმართავს პეიზაჟების აღწერას, მაგრამ ამჟღავნებს გარკვეულ ოსტატობას ამ მხრივაც. იგი ბუნების მშვენიერების დიდი თაყვანისმცემელია; მისი შეხედულებით, მშვენიერება უფრო მაღლა დგას ბუნებაში, ვინემ ხელოვნებაში. ეს აზრი მკვეთრადაა გატარებული ალექსანდრე რაინდიძის წერილშიც.

---

[1] ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 6090/4.

[2] ამ გარემოებამ მისცა საბაბი ნიჰიერ რეჟისორს ვ. ტაბლიაშვილს, რომ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ დრამად გადაეკეთებინა და წარმატებით დაედგა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახ. თეატრში.

დ. ჭონქაძესთან ერთად, ლ. არდაზიანმა საფუძველი ჩაუყარა რეალისტურ პროზას, ამასთან შესაფერი სამწერლო ენისა და მხატვრული ხერხების შემუშავებასაც შეეცადა.

ლ. არდაზიანის სამწერლო ენა გარკვეულად განსხვავდება იმ დროს გაბატონებული სამწერლო ენისაგან.

პროზაული მწერლობის ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, ლ. არდაზიანი სამწერლო ენის განუვითარებლობაში, არქაული გრამატიკული ფორმების ბატონობაში ხედავდა. იგი მკაცრად მოითხოვდა სამწერლო ენის დაახლოებას სასაუბრო ენასთან, მის გამდიდრებას ხალხური ლექსიკითა და ფორმებით.

ლ. არდაზიანის რომანები თავისუფალია არქაული ფორმებისაგან. მისი გმირები მეტყველებენ სასაუბრო ენით. სამწუხაროდ, მწერალი ზოგჯერ თავს ვერ აღწევს ბარბარიზმებს,—რუსული სიტყვების ხმარებას (სტოლი, პლანი, ეტაჟიანი, კრესლო და სხვ.), მაგრამ ასეთი შემთხვევები მეტად მცირეა.

ლ. არდაზიანის სამწერლო ენა ხალხურ, სასაუბრო ენას არა მარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული ფორმების მიხედვით ემყარება, არამედ სურათოვნებაც ხალხური აქვს. იგი ხშირად და მოხდენილად იყენებს ხალხურ თქმებს, ანდაზებს და სხვა. მხატვრული სახეების შესაქმნელად მიმართავს ქართველ კლასიკოსთა აფორიზმებსა და ნაკვესებსაც.

ყოველივე ამის გამო, ლ. არდაზიანის სამწერლო ენა ბუნებრივი, ადვილად გასაგები და გულში ჩამწვდომია. მისთვის დამახასიათებელია ლაკონურობა და ზომიერი იუმორი. იგი საგანგებოდაც კი მიუთითებს, რომ „მახვილ-გონებიანი ხუმრობა სასიამოვნოა, თუ ითქმის განვითარებულის გემოვნებითო“. შეიძლება ითქვას, რომ მწერალი პრაქტიკულად ახორციელებს თავის ამ შეხედულებას.

ლ. არდაზიანის სამწერლო ენის ღირსება შეუნიშნავი არ დარჩენია მკითხველ საზოგადოებას და თვით ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს, რომელმაც იგი პროზის განყოფილების ხელმძღვანელად მიიწვია ჟურნალში.

ლ. არდაზიანი სამწერლო ენის შემუშავების მხრივაც ახლობელი წინამორბედია ქართველი მესამოციანელებისა, რომელთა სახელთანაა დაკავშირებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის საბოლოო ჩამოყალიბება და დამკვიდრება.

III. ლ. არდაზიანის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ნარკვევები

ლ. არდაზიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა არ ამოიწურება ორიგინალური და თარგმნილი მხატვრული თხზულებებით. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს ჟურნალ „ცისკარში“ პუბლიცისტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის დამკვიდრებისა და გაშლის საქმეში.

მეტად ცხოველი კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია თავის დროზე ლ. არდაზიანის სტატიებმა: „Беглый обзор 12 книжек журнала „Заря“. С января по декабрь 1858 г. ნ. ბერძენოვისა“ [1], „პასუხი უ. ბერძენოვის პასუხისგებაზე“ [2], „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“ [3], „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“ [4].

დასახელებულ სტატიებს გარდა, ლ. არდაზიანს ეკუთვნის საინტერესო წერილი—„ახალი მნათობნი“ [5] და მეტად მნიშვნელოვანი ნარკვევი ქართულ ლექსში მახვილის ადგილის შესახებ („პროსოდია“) [6], რომლებიც გამოუქვეყნებელი დარჩა ავტორს და რომლებისთვისაც შესაფერი ყურადღება არ მიუქცევიათ ლიტერატურის ისტორიკოსებსაც.

ყველა მათ შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლ. არდაზიანის ლიტერატურული შეხედულებების გასათვალისწინებლად, რაც დაგვეხმარება მწერლის შემოქმედების გაგებასა და მისი ადგილის შეფასებაში.

---

[1] ჟურნალი „ცისკარი“, 1859 წ., № 9.
[2] ჟურნალი „ცისკარი“, 1859 წ., № 11.
[3] ჟურნალი „ცისკარი“, 1862 წ., № 7.
[4] ჟურნალი „ცისკარი“, 1863 წ., № 6.
[5] ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი—6051.
[6] იქვე, ხელნაწერი—6975.

ჩვენთვის, პირველ ყოვლისა, საინტერესოა, რა შეხედულებისაა ლ. არდაზიანი ხელოვნებისა და ლიტერატურის ზოგად საკითხებზე და რამდენად საფუძვლიანად მსჯელობს იგი ქართული ლიტერატურის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

თავისი ძირითადი შეხედულებები ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ ლ. არდაზიანს გამოთქმული აქვს ჩვენ მიერ დასახელებულ გამოუქვეყნებელ ნარკვევში („პროსოდია") და სტატიაში „Беглый обзор 12 книжек журнала „Заря". С января по декабрь 1858 г. ნ. ბერძენოვისა".

ენისა და სტილის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნარკვევი ქართულ ლექსში მახვილის ადგილის შესახებ („პროსოდია"), რომელსაც სრულად არ მოუღწევია ჩვენამდე, დაწერილი უნდა იყოს 1859 წლამდე, ე. ი. მანამ, სანამ ლ. არდაზიანის ენა, როგორც თვითონაც აღიარებს, თავისუფალი არ იყო ძველ მწიგნობრული, საეკლესიო ენის გავლენისაგან. ამგვარად, ეს ნარკვევი მისი კალმის ერთ-ერთი პირველი ნაყოფთაგანია.

თავისი ნარკვევის დასაწყისში, რომელსაც გამოჰყოფს სათაურით „მაგიერ წინასიტყვაობისა", ლ. არდაზიანი წერს: „აქამდე არ გვაქვნდა პროსოდია, ანუ, სწორეთ ვსთქვათ, არ მიგვიღიეს ჩვენ, ქართველთა, პროსოდია, რომელსაც ყოველადვე უმყოფიეს და მყოფობს ქართულსა ენასთანა, და ჩვენ ჯერეც არა გვრწამს მისი ყოფა. რა არს პროსოდია?—პროსოდია, მართლ-კითხვა, ასწავებს ლექსთ კანონიერად გამოღებასო".

ლ. არდაზიანის შეხედულებით ქართულ ენაში არსებობს მახვილი, რომლის გათვალისწინებაზე ბევრადაა დამოკიდებული მართებული მეტყველება და, განსაკუთრებით, ლექსის მხატვრულ-ემოციური წარმოთქმა. მას თავისი მოსაზრების საილუსტრაციოდ მოჰყავს კონკრეტული მაგალითები საერთოდ ქართული ენიდან და კერძოდ „ვეფხისტყაოსნიდან". ადგენს „საზოგადო კანონს" და „კერძო კანონს" ქართულ ლექსში ერთმარცვლოვან, ორმარცვლოვან და ა. შ. სიტყვებში მახვილის დასმისას, რაც მეტად საინტერესოა პოეტიკის თვალსაზრისით.

წინასიტყვაობას მოსდევს თავი—„პოეზია", რომელშიც იხილავს საკითხებს: „განსაზღვრა პოეზიისა", „საგანი პოეზიისა", „საჭიროება პოეზიისა", „წყარო პოეზიისა", „განყოფა პოეზიისა".

ლ. არდაზიანის განსაზღვრით, „პოეზია არს მშვენიერ საგრძნობითით ფორმაში, ანუ ზომიერი ლექსით ცხოველად და საამოვნოდ, გამოხატვა ჰეშმარიტებისა ქვეშე სხვადასხვა მშვენიერთა სახეთა".

ამგვარად, ლ. არდაზიანს პოეზიის მთავარ დანიშნულებად მიაჩნია ჭეშმარიტების გამოხატვა, ხოლო მის სპეციფიკურ თავისებურებად—აზრის გადმოცემა სახეების საშუალებით.

მაგრამ როგორ წარმოუდგება მას საგანი პოეზიისა?

„პოეზიის საგანს,—ამბობს ლ. არდაზიანი,—შეადგენენ იდეალურნი წარმოებანი წარჩინებულისა ბუნებისა, მესტიხე, ანუ მგალობელი (პოეტი) მიემკვეთრის მისდა, რათა გამოხატოს ყოველსა აქვს იმ სოფელსა უკეთესი, უუსრულესი, უმშვენიერესი, უწარჩინებულესი. მაგრამ სოფელი სრულად ვერ ჰყოფს ყმა-ყოფილ მოლექსესა, რომელიცა ამისათვის შეიწევნს იდეალურ სოფელსაცა საშუალობით იდეალურ სოფლისა მოლექსე რაიმე საგანსა მგე სოფლისასა პირველ დაჰყოფს ნაწილ-ნაწილ, მოაშორებს უსრულობათა, განაკეთილშობილებს, შემდგომ ნაწილთა მათ განაწყობს წესიერად, მისცემს თანხმობასა, შეაერთებს, სრულყოფს, განამშვენიერებს. ესრეთ, მოლექსე წარმოგვიდგენს გამშვენიერებულს საგანსა იდეისამებრ მშვენიერობისაო".

როგორც ვხედავთ, პოეზიის საგნად ლ. არდაზიანს მიაჩნია ჭეშმარიტება, სინამდვილე, კერძოდ ის, რაც „უმშვენიერესი, უწარჩინებულესია". არსებულის, ნამდვილის სრულყოფილად და გამშვენიერებულად წარმოდგენისა და გამოხატვისათვის მწერალმა უნდა მოიშველიოს „იდეალური სოფელი". ე. ი. ნამდვილი შეესებულ უნდა იქნას სასურველით. ის, რაც ცუდი და უმსგავსოა ამა თუ იმ საგანსა და მოვლენაში, უნდა მოაცილოს მწერალმა მას, როცა მის გამოხატვას მიმართავს.

ლ. არდაზიანი ფიქრობს, რომ იდეალურის ჩვენებით პოეზია მეტ გავლენას მოახდენს ადამიანის მორალურ-ზნეობრივ მხარეზე, ვინემ სინამდვილის შეუფერავად აღწერა, — ცუდისა და კარგის, სამარცხვინოსა და მისაბაძის ერთი და იმავე სისრულით წარმოდგენა.

ლ. არდაზიანის შეხედულებით, პოეზიის ვალია „ცხოველად გამოხატული მშვენიერებით" „განაღვიძოს, განსხნას და აღზარდოს ჩვენ შორის მოცემული გრძნობა მშვენიერებისა. განავითარებს რა ესრეთ ჩვენსა გრძნობასა, პოეზია მასთანვე გაგვაცნობს ჭეშმარიტებასა და შეგვაყვარებს კეთილ-მოქმედებასა. რათა გაგვაცნოს ჭეშმარიტება, შეგვაყვაროს კეთილ-მოქმედება და მოგვაძულოს ბოროტმოქმედება, პოეზია სიტკბოებით და საამოვნოდ გამოგვიხატავს იდეალურსა სიმშვენიერებასა ჭეშმარიტებისასა და კეთილ-მოქმედებისასა და სისაძაგლესა მავნებლისა ბოროტისასა".

ლ. არდაზიანის თქმით, ადამიანში თავიდანვეა მოცემული მშვენიერების გრძნობა, რომელსაც ესაჭიროება განვითარება და სრულყოფა. ხოლო ამ მიზანს არა მარტო ემსახურება პოეზია და საერთოდ ხელოვნება, არამედ ამისათვისაა იგი მოწოდებული საერთოდ.

ნ. ბერძენიშვილის საპასუხო წერილში, მსჯელობს რა ადამიანის ბუნებისა და რაობის შესახებ, ლ. არდაზიანი მიუთითებს, რომ ადამიანის „სული შემკობილია: გონებით, გულით, განსჯით, გრძნობით, გამოხატულობით, სახსოვრით და სხვ. ყოველივე ეს ეძლევა კაცს მზათ. მაგრამ... ამ სულის ძალათა უნდა გაღვიძება, გაძლიერება, გონებას—განათლება და გულს—გავითარება სწავლითაო".

ხოლო იმისათვის, რომ ეს შეძლოს ადამიანმა, ლ. არდაზიანის თქმით, მისთვის საჭირო და აუცილებელია „ცოდნა, სარწმუნოება და ხელოვნება". „გონებას სწყურიან და ესაჭიროება ცოდნა, სარწმუნოება და ხელოვნება, რომელნიცა მოიპოვებიან სწავლით და საკუთარის განსჯით... კაცმაღა გრძნობათ დასატკბობად, დასარბილებლად და გონების დასამტკიცებლად საჭიროდ დაინახა და დასდვა თავისათვის სჯულად გაემშვენიერებინა ლაპარაკი წარმოთქმაში და წერილში. აქედან წარმოსდგა განმშვენიერებული სიტყვიერება ანუ ლიტერატურაო"[1] — ამბობს იგი.

როგორც ვხედავთ, ლ. არდაზიანი ლიტერატურასა და ხელოვნებას აფასებს უტილიტარული თვალსაზრისით, მაგრამ მისი უტილიტარიზმი შეზღუდულია. ხელოვნების დანიშნულებას ის ხედავს არა უშუალოდ საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურში, არამედ ადამიანის მორალურ-ზნეობრივ აღზრდაში. ხოლო ადამიანის მორალური აღზრდისათვის მას საჭიროდ არ მიაჩნია, რომ ლიტერატურამ **საგანგებოდ** გამოამზეუროს ცხოვრების ავი და ცუდი, პიროვნების უღირსი და შეუფერებელი მოქმედება. ბოროტების სისაძაგლე შეიძლება ადამიანმა თავისთავად იგრძნოს, თუ მას ექნება მაღალი განათლება და კარგი ზნეობრივი აღზრდაო,—ფიქრობს მწერალი.

ასეთი შეხედულებების გამართლების ცდას გარკვეულად ვგრძნობთ ჩვენ მის რომანებშიც, თუმცა, როგორც არაერთგზის მივუთითეთ, საბოლოო ანგარიშით, ცხოვრების სინამდვილე იმარჯვებს ხოლმე მწერლის მცდარ შეხედულებებზე.

თავის ნარკვევში („პროსოდია") ლ. არდაზიანი წერს: „პოეზია განამხიარულებს მწუხარესა, დაატკბობს მწარესა ცხოვრებასა კაცისასა; პოეზიისა მიერ კაცი სცნობს ჰეშმარიტებასა, სარგებ-

[1] „ცისკარი", 1859 წ., № 9.

ლობასა და სიკეთესა კეთილ-მოქმედებისასა და მაენებლობასა ბოროტისასა... არ არის ერი, რომელსაც არა ჰქონდეს საკუთარი პოეზია".

ამგვარად, ლ. არდაზიანი ლიტერატურისა და ხელოვნების გაგების საკითხში არა ერთხელ გამოთქვამს სწორ შეხედულებას, მაგრამ ვერ იძლევა იმ ღრმა და მეცნიერულ გაგებას, რომელსაც შემდეგში ი. ჭავჭავაძე დაამკვიდრებს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულების შესახებ.

ამის ერთ-ერთი მიზეზია ისიც, რომ ლ. არდაზიანს არა აქვს ბოლომდე სწორი შეხედულება ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის შესახებ.

„წყარო პოეზიისა,—წერს ლ. არდაზიანი,—არს ბუნება, აღვსილი ყოვლითა სიმშვენიერებითა, სიკეთითა, სრული, უმეტნაკლი, შერთული საკურველი გარმონიითა, ანუ სწორეთ, თვით ბუნება არს ერთი დიდი და საკვირველი პოეზია. პოეზია ასე განაღვიძებს კაცსა შექმნად, მზგავსად მისსა, პოეზიისა. მაგრამ ბუნება ვერ შესძრავდა კაცს, თუ გული მისი არ იყოს მგრძნობელი. გული, განღვიძებული რაიმე საგნითა, მყისვე შესძრავს გონებასა, რომელსაცა წარმოუდგება იდეა ამ საგანზე, გამოხატულობაღა მოკაზმავს იდეასა მას შვენიერათ".

ლ. არდაზიანი პოეზიის წყაროდ აცხადებს ბუნებას, რომელიც არის მშვენიერი და ჰარმონიული; ბუნება თვითაა პოეზია, რომელიც მოქმედებს ადამიანის გრძნობაზე, ხოლო აღძრული გრძნობა, თავის მხრივ, აიძულებს გონებას გამოიმუშავოს იდეა გამაღიზიანებელ საგანზე; პოეტური შთაგონება კი, ამ იდეას შემოსავს ხატვრული ფერებით.

მაგრამ ლ. არდაზიანს ავიწყდება, რომ ჰარმონიული და მშვენიერი ბუნება არ შეიძლება იყოს ძირითადი წყარო პოეზიისა; რომ პოეზიის მთავარი დანიშნულება არის არა ბუნების სილამაზის ხოტბა, არამედ მიუღებელი სინამდვილის წინააღმდეგ და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა, ცოცხალი ადამიანების ჩვენება.

ლ. არდაზიანის შეხედულებები სამართლიანობის, სიკეთის, იდეის და ხელოვნების არსის შესახებ ზოგჯერ გვაგონებენ პლატონის იდეალისტურ ეთიკას. მასაც, პლატონის მსგავსად, სიკეთის იდეა მიაჩნია უმაღლეს შემეცნებად.

ლ. არდაზიანი სამართლიანად მოითხოვს, რომ პოეტი უნდა იყოს ჰეშმარიტების მოყვარული, მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული და მაღალი მორალური ღირსებებით შემკული.

„მოლექსე,—ამბობს ლ. არდაზიანი,—ვითა შემქმნელი პოეზიისა,

არს მსახური ჭეშმარიტებისა და კეთილმოქმედებისა. ამისათვის იგი ჯერ არს იყოს განათლებული გონებითა... რათა მან ჭეშმარიტება და კეთილმოქმედება არ წარმოგვიდგინოს შეცდომით... გარყვნილი გული დააჩხაკუნებს გარყვნილებითა ლირასა მოლექსისასა. სწავლათაგან (наукu) მოლექსე მიიღებს საგანსა თავის წარმოებათათვის, და არ ძალუძს არ წარმოადგინოს იგი თვისის ბუნებითის სახით. რავდენ პოეზია მდიდარ არს კაცის უწყებობითა, ოდენ იგი იქმნება მშვენიერ და საამოვნო".

როგორც ვხედავთ, ლ. არდაზიანი მეტად სამართლიანად მოითხოვს მწერლისაგან მაღალ განათლებასა და მეცნიერული ცოდნით შეიარაღებას. მეციერება, მისი შეხედულებით, მწერალს ეხმარება გამოსახატი საგნის შერჩევასა და მის სწორად წარმოდგენაში: ღრმა მეცნიერული ცოდნა მწერალს აძლევს საშუალებას ყოველი საგანი და მოვლენა წარმოადგინოს „ბუნებითის სახითო"; პოეზიას მშვენიერს და სასიამოვნოს ხდის ის ცოდნა, რომელიც შეუძლია მკითხველმა მიიღოს მისგანო.

ლ. არდაზიანს კარგად ესმის, რომ პოეტური ნიჭი ყველას არ გააჩნია და პოეტად მხოლოდ სწავლით ვერავინ გახდება. მაგრამ სწამს ისიც, რომ პოეტისათვის ქეშმარიტი ცოდნის მიღებაა საჭირო.

არა მარტო აღნიშნულ ნარკვევში, არამედ ყველა თავის სტატიაში ლ. არდაზიანი გვევლინება, როგორც მხურვალე მომწოდებელი სწავლისაკენ. იგი ადამიანის გონებას ადარებს ტალახში ჩაფლულ ალმასს, რომლის მშვენიერება მაშინ გამოჩნდება, როდესაც იგი გაიწმინდება და გაითლება. მაგრამ „ალმასი გაითლება მხოლოდ ალმასითვე. ერთის კუთხის გათლა მოითხოვს მრავალს ხანს და დიდს შრომას. მზგავსადვე ამისა, კაცის დაბნელებულს გონებას ეპირვება სიბნელისაგან გამოყვანა, განათლება და განვითარება სწავლით; სწავლა მოითხოვს დროსა და შრომასაო" [1], — დასძენს მწერალი.

ჩვენ საკმარისად შევჩერდით ლ. არდაზიანის გამოუქვეყნებელი ნარკვევის გარშემო, რომელშიც მწერალს მოცემული აქვს თავისი ზოგადი შეხედულებები ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე. მაგრამ არაფერი გვითქვამს პოეტიკის კონკრეტულ საკითხებზე გამოთქმული მისი შეხედულებების შესახებ, ვინაიდან იგი სცილდება ჩვენი ინტერესის საგანს.

---

[1] „ცისკარი", 1859 წ., № 9.

ლ. არდაზიანი ფხიზლად ადევნებდა თვალს ლიტერატურულ ცხოვრებას; იგი დარწმუნებული იყო ქართული მწერლობის უკეთეს მომავალში და უშუალო მონაწილეობას იღებდა მის წინსვლაში.

როდესაც ნ. ბერძენიშვილმა ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის ნომრები გაარჩია რუსულ გაზეთ „კავკაზში“[1], ლ. არდაზიანმა საჭიროდ ჩასთვალა თავისი შეხედულება გამოეთქვა როგორც ამ წერილის გარშემო, ასევე ქართული ლიტერატურის საერთო მდგომარეობის შესახებ. ამ მიზნით მან „ცისკარში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული.

ლ. არდაზიანი, პირველ ყოვლისა, ნ. ბერძენიშვილს საყვედურობს წერილის რუსულ ენაზე გამოქვეყნებას; ამასთან, კრიტიკის უსაფუძვლობას. მისი თქმით, კრიტიკოსი „თუ ხედავს რასმე წარუმატებლობასა, უნდა უჩვენოს მიზეზებიცა უკან დარჩენისა“. ასეთ მიზეზებზე კი ნ. ბერძენოვი, მისი თქმით, არ ჩერდებოდა, ჯერდებოდა ხელაღებით დაწუნებას.

„ცისკარს“, ლ. არდაზიანის შეხედულებით, ბევრი სუსტი მხარე აქვს და ჯერ კიდევ არაა იმ სიმაღლეზე, რომელზეც დგანან სხვა ენებზე გამომავალი ჟურნალები, „მაგრამ ეხლა ვერ მოვთხოვთ ორის წლის „ცისკარს“ იმ სამაგალითო სრულებასა, როგორსაც ითხოვს უ. ბერძენოვი“. ამიტომ, ნ. ბერძენიშვილის კრიტიკა, მისი თქმით, არის „სასტიკი, უსაფუძვლო, უადგილო, უდროო“.

ლ. არდაზიანი არ ეთანხმება ნ. ბერძენიშვილს იმაში, რომ ქართული დამწერლობის ისტორია იწყება ვითომ „იმ ჟამიდან, როდესაც გადაითარგმნა საღმთო წერილი“. იგი აყენებს მეტად საფუძვლიან ჰიპოთეზს ქართული დამწერლობის დასაწყისის შესახებ, რომელიც მეცნიერულმა კვლევამ შემდეგში კიდევ უფრო შესაძლებლად მიიჩნია. მისი აზრით, ქართველებს დამწერლობა ჰქონდათ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მართალია, ამბობს იგი, არა გვაქვს „დასამტკიცებელი სახსოვრები“, მაგრამ ეს კიდევ ეშმარიტი, რომ თუ საქართველოს არ ჰქონებოდა განვითარებული ლიტერატურა, ვერცაღა ასე მშვენიერის, დაწმენდილის, ნასწავლის ენით გადმოიღებდნენ საღმთო წერილსა ქართულ ენაზეო“. ამასთან, იგი საგულისხმოდ მიიჩნევს ძველ ბერძენ ისტორიკოსთა ცნობებს, „რომ ქართველებს ჰქონია ბერძნებთან მიწერ-მოწერა და წასვლა-მოსვლა“. მისი თქმით, „არ არის საკვირველი, რომ იმ დროის თხზულება არც ერთი არ დაგვრჩა“...

---

[1] „Кавказ“, 1858 г., № 41, 43, 49, 50.

ლ. არდაზიანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველო უდამ თავდასხმის ობიექტი იყო, რის გამო არათუ უძველესი, არამედ კლასიკური ეპოქის ძეგლებიც ბევრი დაიკარგაო.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, მისი თქმით, დამყარდა მშვიდობა, მაგრამ მაინც კიდევ საკმარისად არ გამოჩენილან ისეთი მოღვაწენი, რომელთაც ეკისრათ „აღდგენა ქართულის ლიტერატურისა“. მაგრამ იგი მაინც კმაყოფილია, რომ სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდნენ „მრავალნი თვით-მდგომარე მჰაზვრელნიცა და მთარგმნელებიცა“. მათ შორის, თანამედროვეთაგან უპირატესობას აძლევს: გრ. ორბელიანს, გ. ერისთავს, დ. მაჩაბელს, ბაქარ ქართლელს (დ. ყიფიანს), კოლხიდელს (გ. დადიანს) და ეკ. ერისთავს.

პოლემიკაში ჩაბმული ლ. არდაზიანი არც იმას მალავს, რომ თვითონაც ემზადებოდა ასპარეზზე გამოსასვლელად. „დაგვაცადეთ,— მიმართავს იგი ნ. ბერძენიშვილს,—თვითონ ჩვენ გვაქვს გულში გამოხატული ქართულის ლიტერატურის გამშვენიერებაო“. ეს გაბედული თქმა იმის მაჩვენებელია, რომ მაშინ უკვე დაწერილი იყო ან იწერებოდა „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“, რომლის ავტორს, ცხადია, უფლება ჰქონდა პირველი პირით ელაპარაკნა. იგი დარწმუნებულია იმაში, რომ თუ „ცისკარმა“ შეინარჩუნა არსებობა, მწერლობა სწრაფად წავა წინ. „ოღონდ კი „ცისკრის“ რედაქციამ მიიღოს ღონე, შემწეობა, მაშინ ნახავთ, რომ ორი და სამი კარგნი მწერალნი მოგეგვრიან ორსა და სამსა სხვა კარგთა მწერალთა, ესენიც თავის მხრით სხვებს დაჰბადევენ... და მაშინ კეთილად წავა საქმეო“. თავის მხრივ რჩევას აძლევს „ცისკრის“ რედაქტორს მოიშველიოს ერთი ან ორი ამხანაგი, რათა მძიმე მოვალეობას უკეთესად გაართვას თავი.

ლ. არდაზიანი კრიტიკოსისაგან მოითხოვს ობიექტურ დამოკიდებულებას კრიტიკის საგნისადმი. მას არ აკმაყოფილებს ის კრიტიკა, რომელიც მხოლოდ ნაკლოვანებებზე აქცენტირებს ყურადღებას და მის მიზეზებს კი არ არკვევს. მიღწევების ჩვენებასაც მოითხოვს კრიტიკოსისაგან: „1858 წლის „ცისკარში“,—ამბობს იგი,— სხვა სამაგალითო ლექსებსაც ვჰპოვებთ, მაგ. „ჩემს დას (ეფემიას)“, „მწირი“ და სხვ. უ. ბერძენოვი მოვალე იყო ყოველი ნიშიერი წარმოება გაერჩია და დაეფასა, რომ გაზ. „კავკაზის“ წამკითხველთა ცხადათ დაენახათ, რომ ჩვენცა გვყვანან პუშკინები, ლერმონტოვები“...

ლ. არდაზიანი ნ. ბერძენიშვილს ეთანხმება იმაში, რომ „ცისკრის“ ფურცლებს იჭერს უხეირო ლექსები იმ დროს, როცა პროზაული თხზულებები მეტად იშვიათად იბეჭდება. „მაგრამ,— წერს ლ. არდაზიანი,—უ. ბერძენოვი სრულებით არას ამბობს პროზაი-

კულ მწერალთ სიცოტავის მიზეზზე: არას ამბობს ქართული პროზის საცოდავ ხვედრზე; არ განსაზღვრავს, რომელ განვითარების ხარისხზე დგას პროზა, და რამდენად წინ წასწია 1858 წლის პროზამ ლიტერატურაო".

ლ. არდაზიანი არ კმაყოფილდება იმით, რომ გამოამჟღავნოს ნ. ბერძენიშვილის სტატიის სუსტი მხარეები, თვითონ სვამს საჭირო კითხვებს და, შეიძლება ითქვას, სამართლიანადაც პასუხობს. იგი გაბედულად აყენებს მეტად მნიშვნელოვან საკითხს: „მართლაცდა რა არის ეს დაუთელელი ჯარი უნიჭო მოლექსეებისა? რათ გვინდა, რა სარგებლობას გვაძლევენ იმათი ტლანქი და უაზრო ლექსები?... რათ არის იშვიათი ჩვენში პროზაიკული მწერალი?

ქართული პოეზია უფრო განვითარებულია, მინამ პროზა. ლექსებს სწერენ მსუბუქად, მარტივად, ცხოვლად; ყოველი სიტყვა ხტის. თამაშობს. პროზაღა ჩვენი არის მძიმე, მოუდრეკელი, ბნელი, უძლური, სიცოცხლე მოკლებული, ცივი, მაშინ როდესაც ქართული ენა მერხევი და საამოა. მხოლოდ ერთ ზეიმას[1] ვხედავთ კარგა დაწერილსა. რა მიზეზია, რომ არ გვივარგა პროზა?"

როგორც ვხედავთ, ლ. არდაზიანი აყენებს იმდროინდელი ქართული მწერლობისათვის მეტად აქტუალურ საკითხს, რომლის სწორ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროზაული ჟანრის განვითარებისათვის. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ლ. არდაზიანმა პირველად აღიმაღლა ხმა „უნიჭო მოლექსეთა" ჯარის წინააღმდეგ, უსარგებლოდ მიიჩნია მათი „ტლანქი და უაზრო ლექსები". მეტად ირონიულად ამბობს იგი მათი მისამართით: „გვსურს გვასიამოვნონ ბულბულეპრ სტვენით მხოლოთ იმ მომშტვენოთა, ნაზი ყურები რომ აქვთო".

„ცისკრის" უნიჭო მოლექსეთა წინააღმდეგ ლ. არდაზიანის გალაშრების დროულობა და სამართლიანობა კიდევ უფრო აშკარა გახდა, როცა ი. ჭავჭავაძემ თავისი კრიტიკული სტატიები გამოაქვეყნა.

პროზაული ჟანრის ჩამორჩენის მთავარ მიზეზს ლ. არდაზიანი ქართულ სამწერლო ენაში გაბატონებულ ძველ მწიგნობრულ ფორმებში ხედავს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ორ გვარი ფორმა გვაქვს ენისა: სალმთო წერილისა და საერო (სახალხო)". სალმთო წერილის

---

[1] ჟანლისის მოთხრობა, თარგმნილი დ. ყიფიანის მიერ. დაიბეჭდა 1858 წელს „ცისკრის" მეცხრე ნომერში.

ფორმას იგი არ მიიჩნევს ქართული ენის ძირეულ ფორმად იმის გამო, რომ საღმთო წერილი ბერძნული ენიდან ითარგმნა სიტყვა-სიტყვით, რის გამო „უნებლიეთ შემოგვეპარა... ფორმაცა ბერძნულის ენისაო". მისი სამართლიანი შენიშვნით, პირველი ქართველი მწერლები პროზაიკოსები იყვნენ და ამასთანავე სასულიერო მწერლობის წარმომადგენლები, რის გამო მათ „საღმთო წერილის ფორმა" გამოიყენეს და დაამკვიდრეს, რომლის შეცვლა აღარავინ იფიქრა, „ამიტომ ეს ფორმა დარჩა ჩვენამდინ უცვლელი პროზაშიო"[1].

„ფორმა საერო ენისა,—ამბობს ლ. არდაზიანი,—სრულებით არ მიემგვანება საღმთო წერილის ფორმასა. საეროს ენით ლაპარაკობდა ხალხი, სწერდნენ მოლექსენი და სხვა მწერალნი, მეფენი, მსაჯულნი". მაგრამ განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად. ფიქრობს ლ. არდაზიანი, საერო სწავლა-განათლება მოისპო და „შეგვრჩნენ მხოლოთ მიმალულნი მონასტრებში საღმთო სწავლა და სულიერ მამათ წერილები", რამაც ხელი შეუშალა თავი დაეღწია პროზას საღმთო წერილის ენობრივი ფორმებისგანო.

პოეტები, მისი შეხედულებით, არ მოწყვეტილან საერო ენის ფორმათა გამოყენებას და სწორედ „ეს არის მიზეზი რომ ჩვენი პოეზია უფრო განვითარებულია მინამ პროზაო".

ლ. არდაზიანს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ არც პოეზია იყო ამ დროისათვის თავისუფალი ძველ მწიგნობრული ფორმებისაგან, მაგრამ არქაიზმების სიმძიმეს ასუსტებდა ლექსის მუსიკალური დინება, ძლიერი რიტმი და რითმა.

როგორადაც არ უნდა შევაფასოთ ლ. არდაზიანის შეხედულებები პროზის ჩამორჩენის მიზეზების შესახებ, ეჭვს არ იწვევს ის, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოთხოვნას სამწერლო ენის სასაუბრო, ხალხურ ენასთან დაახლოებისა და ძველ მწიგნობრული ფორმებისაგან განთავისუფლების შესახებ, მით უმეტეს, რომ ეს მოთხოვნა პრინციპულ სიმაღლეზეა აყვანილი და პროზაული ჟანრის განვითარების აუცილებელ პირობად არის გამოცხადებული, თანაც განმტკიცებული კონკრეტული მაგალითებით.

„ეხლანდელი ყმაწვილი კაცები,—წერს ლ. არდაზიანი,—ორ წყალ შუა არიან. იმათ არ იციან, რომლის ენით სწერონ: საღმთო წიგნურის ფორმით, თუ შექმნან პროზა საერო ენაზე. ჰგრძნობენ საღმთო წიგნურის ენის სიმძიმესა და ურიგობასა, და ამასთანავე შიშობენ წერასა საეროს ენის ფორმით. ამიტომაცა აგრე რიგათ

---

[1] ამ შემთხვევაში ლ. არდაზიანი მხედველობიდან უშვებს სულხან ორბელიანის დიდ დამსახურებას.

არვინ სწერს პროზით; და ვინცა რა დასწერა სულ სხვადასხვა ენით: მაგ. „ზვიმა“ დაწერილია ეხლანდელ წმინდა ქართულის (საერო) ენით. „უსარგებლო ცხოვრება...“ (თ. დ. ციციშვილისა)—საღმთო წიგნურის ენით, „ჰამლეტს“[1] ორივე ამ ენებში წილი უძევს.

გამშვენიერებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზე. საღმთო წიგნურის ფორმაზე კი, გინდ ორ ათასს წელიწადს ყოველდღე გამოიცემოდეს ორი ათასი წიგნი მაინც კიდევ პროზა იოტის ოდენ ვერ წავა წინ! იმიტომ რომ, როგორც ვთქვით, იმისი ფორმები სრულებით არ მიუდგება ეხლანდელს ჩვენ ენის ფორმებსა. საჭიროა რომ პროზაცა, პოეზიაცა იწერებოდნენ ერთის ენით. მაშინ დაწინაურდება ლიტერატურაო“.

საყურადღებოა, რომ ამ დიდი ამოცანის შესრულებაში ლ. არდაზიანი მთავარი როლის შესრულებას კრიტიკას ავალებს. „ეს ცვლილება,—წერს იგი,—შეუძლიან მოახდინოს მხოლოდ კრიტიკას. ანიტომ კრიტიკა მოვალეა პროზა დააყენოს ერთ გზაზე. ესე იგი ჩაუდგას იმას საერო ენა და იმისივე შეწყობით ეს ენა განავითაროსო“.

ლ. არდაზიანი კარგად ითვალისწინებს იმ ურთიერთკავშირს, რაც სამწერლო და სასაუბრო ენებს შორის არსებობს. იგი საჭიროდ თვლის, პირველ ყოვლისა, სამწერლო ენა დაუახლოვდეს ხალხურ ენას, რათა შემდეგ მისი საშუალებით თვით ეს უკანასკნელიც განვითარდეს.

ლ. არდაზიანის ამ მეტად საყურადღებო სტატიამ კამათი გამოიწვია. ნ. ბერძენიშვილმა „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი—„პასუხისგება ლ. არდაზიანის კრიტიკაზედა“[2], რომელშიც იგი თავს იმართლებდა, თანაც ცდილობდა სუსტი ადგილები მოეძებნა ლ. არდაზიანის წერილშიც.

ლ. არდაზიანმა იგრძნო, რომ ნ. ბერძენიშვილის პასუხი არ იყო ობიექტური და გამოაქვეყნა საპასუხო წერილი — „პასუხი უ. ბერძენოვის პასუხისგებაზედ“[3], რომელშიც ნ. ბერძენიშვილის წერილს ფუყე სტატიას უწოდებს: „ფუყე სტატია კრიტიკა არ არისო“.

„ცისკრის“ მომდევნო ნომერში კვლავ დაიბეჭდა ნ. ბერძენი-

---

[1] ლ. არდაზიანს მხედველობაში აქვს „ჰამლეტის“ პროზაული თარგმანი, რომელიც მას ეკუთვნის.

[2] „ცისკარი“, 1859 წ., № 10.

[3] „ცისკარი“, 1859 წ., № 11.

შეილის საპასუხო წერილი—„უ. „ცისკრის" რედაქტორს"[1], მაგრამ კამათი გაცილდა ლიტერატურულ პაექრობას და პიროვნული ხასიათი მიიღო.

უფრო საყურადღებოა ბ. ჯორჯაძის გამოხმაურება. ლ. არდაზიანის სტატიაზე სანამ ბ. ჯორჯაძის წერილი „გარკვევა"[2] დაიბეჭდებოდა, „ცისკრის" რედაქციამ გამოაქვეყნა რედაქტორის მიმართვა—„ბრწყინვალეო კნეინა ბარბარე ჯორჯაძისავ", რომელშიც ვკითხულობთ: „საყვარელი მამული ჩვენი მდიდარია ნიჭით, მხოლოდ გვაკლია სამწუხაროდ ჩვენდა გაბედვა. ნუ ერიდებით გარკვევას, რომელიცა შემოვიტანეთ ჩვენს ჟურნალში (კრიტიკას),—ყველრებას, როგორც უწოდებთ თქვენ... მოგეხსენებათ, რომ გარკვევა (კრიტიკა) არის პატიენ ლიტერატურის ხნულისათვისო",[3] და პირდებოდა წერილის დაბეჭდვას მომდევნო ნომერში.

ასეთი მიმართვა იმით იყო გამოწვეული, რომ ბ. ჯორჯაძის სტატიაში ისმოდა დიდი გულისწყრომა, რის გამო რედაქტორი იძულებული გახდა საქმე ისე მოეწყო, რომ არ ეწყენინებინა თავისი თანამშრომლებისათვის: არც ლ. არდაზიანისათვის და არც ბ. ჯორჯაძისათვის.

რა აღელვებდა ბ. ჯორჯაძეს?

ბ. ჯორჯაძე აუღელვებია ლ. არდაზიანის მსჯელობას სამწერლო ენის შესახებ. იგი თავგამოდებით იბრძვის სალმთო წერილის შესწავლისა და მისი ენობრივი ფორმების დაცვისათვის.

ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა, რადგან, როგორც ვიცით, ამავე საკითხების გარშემო ბ. ჯორჯაძე შემდეგში გაცხარებულ კამათს აწარმოებდა ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგაც.

ლ. არდაზიანს აქტიური მონაწილეობა არ მიუღია „მამათა და შვილთა" ბრძოლაში, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ მას თავისი შეხედულება არ გამოემჟღავნებინოს ამ ბრძოლის მიმართ.

1862 წლის მაისში, ლ. არდაზიანს გამოსაქვეყნებლად გაუმზადებია სტატია „ახალნი მნათობნი"[4], რომელიც შემდეგ აღარ დაბეჭდილა.

ლ. არდაზიანს აღნიშნულ სტატიაში მიზნად აქვს გაარკვიოს, თუ რამდენად სამართლიანადაა ჩაბრუხაძე შეფასებული როგორც „შვილთა", ასევე „მამათა" ბანაკის წარმომადგენელთა წერილებში.

---

[1] „ცისკარი", 1859 წ., № 12.
[2] „ცისკარი", 1860 წ., № 1.
[3] „ცისკარი", 1859 წ., № 12.
[4] ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი—6051.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძემ თავის ცნობილ სტატიაში „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“[1], გაილაშქრა ჩახრუხაძის გადაპარბებული შეფასების წინააღმდეგ და დაიწუნა მისი ლექსის მხატვრული მუსიკალობაც. ეს გარემოება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს „მამებმა“, კერძოდ ექვთიმე წერეთელმა, რომელიც შეეცადა სხვებისათვის გადაეპარბებია ილია ჭავჭავაძის კრიტიკაში.

ლ. არდაზიანის შეხედულებით, ი. ჭავჭავაძის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან გაილაშქრა ჩახრუხაძის წინააღმდეგ იმ დროს, როცა იგი აღარავის ახსოვს. საჭირო არ იყო უკვე დავიწყებული ჩახრუხაძის მოგონებაო, ე. ი. ილიას საყვედურობს არა იმის გამო, რომ ჩახრუხაძის ავტორიტეტი დაამცირა, არამედ იმიტომ, რომ რა საჭირო იყო ბრძოლა ჩახრუხაძის ავტორიტეტის წინააღმდეგ მაშინ, როცა ეს მას უკვე აღარ აქვსო. მაგრამ ლ. არდაზიანი კიდევ უფრო გაოცებულია ჩიხრუხაძის დამცველებით.

„ჭავჭავაძემ,—წერს ლ. არდაზიანი,—ერთის შებერვით სრულიად ჩააქრო ჩახრუხაძის დიდება, რომელიც ი. ჭავჭავაძის ფიქრით ვითომც კიდევ ბჟუტავდა ჩვენში. წინააღმდეგ ამისა გამოჩნდნენ კაცნი, რომელთაც აუნთეს მას დიდება ერთისავე დიდებით, და დასამტკიცებლად მისა, რომ არა სცდებოდნენ, მიატანეს დიდ ანტონსა, რომელიც ახირებულად აქებს ჩახრუხაძესა...

უცებ,—ვინ მოიფიქრებდა! წინააღმდეგ თავად ილია ჭავჭავაძისა, ვინმე ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ეფთვიმე... გამოესარჩლა არა თუ ჩახრუხაძესა, სხვათაც მრავალთა და შეაზავა... მძაღე დომხალი, რომ იმის ჭამით ყელი ამოგვეხანძლა. რას გავაწყობდით! ჩვენ მოვითმინეთ და მოვინელეთ დომხალი, მაგრამ... პეტერბურგელ თერგდალეულებმა ვერ მოითმინეს და დაუშინეს გორისელ წერეთელს ქვა და ყოველთა მათ, ვისაც კი უ. გორისელი ზედ გადაეფაფრა, მათ შორის ჩახრუხაძესაცა. ვთქვათ, ყველა სამართლიანათ ქვით დაკრიბეს, მაგრამ ჩახრუხაძეს რას ემართლებიან!“

როგრც ვხედავთ, ლ. არდაზიანს სჯერა, რომ ჩახრუხაძე არც თუ დიდი ქების ღირსია. ამიტომაა, რომ ანტონის მიერ ჩახრუხაძის ქებას ახირებულს უწოდებს, მაგრამ მაინც შეტკივა მისთვის გული. იგი სამართლიანად არის დაეჭვებული, რომ თუ თავის

[1] „ცისკარი“ 1861 წ., № 4.

დროს მას გარკვეული როლი არ შეუსრულებია და არ ყოფილა თავისებური ხმის პოეტი, მაშინ მის სახელთან რატომ არის დაკავშირებული სხვადასხვა სალექსო ზომებიო (ჩახრუხაული, ჩახრუხაული შერეული, მრჩობლედი, ჩახრუხაული ძაგნაკორული და სხვ.).

„მეტყვიან,—ამბობს იგი,—არ ვარგა არც მისი ლექსთწყობილება, არც თამარის ქება. ეხლა, დიაღ, არ ვარგანან, მართალია: მაგრამ ესეც მიბძანეთ, თავის დროსაც არ ვარგოდნენ? ვხედავთ. ჩახრუხაძეს ჰყვარებია ბნელის სიტყვებით გამოთქმა აზრისა: ეს წუნია, მართალია, მაგრამ ეხლაა, ჩვენს დროს, წუნი“.

ლ. არდაზიანი, რა თქმა უნდა, სწორად მსჯელობს და იცავს ისტორიულ ფაქტორს ჩახრუხაძის შეფასებისას. მაგრამ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგი არათუ ესარჩლება „მამებს“. არამედ მკაცრ წყრომასაც გამოუთქვამს ექვთიმე წერეთლისადმი, რომელიც „ზედ გადაეფაფრა“ „მამათა“ ბანაკის წარმომადგენლებს. იგი „მძაღე დომხალს“ უწოდებს მის სტატიას და გულის ტკივილს არ გრძნობს პეტერბურგელი თერგდალეულების მიერ „მამათა“ ბანაკის წარმომადგენელთა „ქვით დაკრების“ გამო. „მამათა“ სასარგებლოდ ერთ სიტყვასაც არ ამბობს და მათ ჩაჭოლვას უსამართლობად არ თვლის.

მართალია, ლ. არდაზიანი ანტონ კათალიკოსს პატივისცემით იხსენიებს და ამკობს ეპითეტით „დიდი“, მაგრამ საგანგებოდ შენიშნავს: „ანტონს უწოდეს დიდი; ჯერ ისტორიას და კრიტიკას არ გამოუჩენიათ, თუ რა აზრით იწოდება ის დიდადო“. ლ. არდაზიანის ეს შეხედულება სამართლიანია. ანტონი მართლაც დიდია. მაგრამ არა თავის გრამატიკული კატეგორიებითა და არქაიზმის დაცვის ქადაგებით. ამიტომ, მას გამორკვეულად არ მიაჩნია ანტონის სიდიდე და არ ეთანხმება მათ, ვინც ანტონს დიდად აფასებდა მისი რეაქციული პოზიციებიდან.

აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გამოიწვია ლ. არდაზიანის სტატიამ—„მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“[1], რომელიც წარმოადგენს სცენების სახით დაწერილ პუბლიცისტურ ნარკვევს. პუბლიცისტური სტატიების ასეთ ფორმას შემდეგშიც ხშირად მიმართავდნენ (ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, რ. ერისთავი, ა. ფურცელაძე და სხვ.), მაგრამ ლ. არდაზიანამდე არავის გამოუყენებია. იგი თავისი ფორმით განსხვავდება მოლაყბის წერილებისგანაც.

ლ. არდაზიანმა ამ პუბლიცისტური ნარკვევით შეძლო შეექმნა ტიპიური სახეები ურცხვაძის, ახმახის, ველიკოუმოვის, ოსტრო-

[1] „ცისკარი“, 1862 წ., № 7.

უმოვისა და სხვათა სახით. ყოველი მათგანის დახატვისას მწერალს მხედველობაში ჰყავს შესაფერი პროტოტიპი.

ლ. არდაზიანი თავს ესხმის იმ ცრუ მეცნიერთ, რომლებიც ტროტუარებზე უსაქმოდ დაეხეტებიან და ჭორით ავსებენ ქალაქს, დასცინიან საქმიან და წესიერ ადამიანებს.

ახალი ამბები,—ამბობს მწერალი,—„გამოიჩეკებიან ტფილისის ტროტუარზე; გამომჩეკნიც გახლავან ისინი, ვინც უფრო ხშირათ ბუდარობენ მუნ, ესე იგი: ცრუ მეცნიერები, სულელ მეცნიერები, გამოუსვლელნი და იმათი ტაკიმასხარები; ეს ხალხი სტკეპნის და სცვეთავს ტროტუარსა, ყურებს გაგიჭედს ყოველგვარ სიცრუითა, ყოველგვარ მკვეხარობითა, განკიცხვითა, სხვაზედ დაცინვითა, თუმცა თვითონ არიან სასაცილო და ამას ვერა ხედავენ"; „მაგრამ ტროტუარზედ ნახავთ ჭკვიან და დარბაისელ ხალხსაცა, კარგა განვითარებულსა: ამათგან მრავალს ნამდვილს ახალ ანბავს შეიტყობთ, მრავალს ისწავლითო".

მწერალს გამოყვანილი ჰყავს ნასწავლი ფრანტი, რომელიც გაჯავრებულია უსაქმურ და მკვეხარა ადამიანებზე, რომლებიც ჭორის გავრცელების მეტს არაფერს აკეთებენ. ფრანტს გადაუწყვეტია მათი მხილება. ამიტომ, იგი თხოვს ქალაქელ ბიჭს—სოსიკოს მასთან ერთად გაიაროს ქალაქში და გაჰკენწლოს ვაი-განათლებულნი. ფრანტი მიმართავს სოსიკოს: „ბევრზე გულმოსული ვარ, მინდა დავანახვო ან თვითონ რანი ბრძანდებიან და ან ხალხს როგორ მიაჩნიათ ისინი. დროა, პედანტებს, ცრუ მსწავლულებს, ცრუ განათლებულებს პირბადე ავხადო. ვითამ ვის ატყუებენ! ჩვენ გვინდა ნამდვილი განათლებულებიო".

ფრანტის პირით, ცხადია, მწერალი ლაპარაკობს და თავისი ნარკვევის მიზანდასახულებასაც გვაცნობს. მაგრამ სანამ ცალკეული სცენების აღწერას შეუდგებოდა, მან შესავალში ხაზი გაუსვა მთელ რიგ მოვლენებს, რითაც ნიადაგი მოამზადა უფრო სწორად გაეგო მკითხველს ცალკეულ სცენაში აღწერილი სურათი.

ლ. არდაზიანი მკითხველის ყურადღებას აპყრობს იმ გარემოებას, რომ ცხოვრების ახალმა ეტიკეტმა, გაზრდილმა ეკონომიკურმა მოთხოვნებმა და შესაფერი შესაძლებლობის უქონლობამ ცუდი გავლენა მოახდინა მაღალი წრის საზოგადოებაზე, პირველ ყოვლისა, ქალთა წრეზე.

ჭორებით, მოდებით და მდიდრული წვეულებებით გატაცებული ქალები, რომელთა უშინაარსო ცხოვრება ჯერ კიდევ გ. ერისთავმა წარმოადგინა, კვლავ მსჯელობის საგნად გახადა ლ. არდაზიანმა.

ლ. არდაზიანის თქმით, გავხდებოდით მოწმე საცოდაობისა, თუ ისე დაღამდებოდა, რომ ქალს ახალი ამბავი არაფერი შეეტყო. „თქვენ ნახავთ ქალს მოწყენილს, რომელიც დრტვინავს ყმაწვილ კაცებზედ ამიტომ, რომ არცერთმა იმათგანმა ახალის ამბებით არ ასიამოვნაო". ჩვენ უნებლიედ გვახსენდება ნ. ბარათაშვილის პირადი წერილი, რომელშიც ქალების ჰორებით გატაცებას უჩივის. ჩანს, ეს სენი კიდევ უფრო გავრცელებულა შემდეგში. ქალთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელ ამბებს თხზავენ ის პირნი, რომელთა გაწკეპლა გადაუწყვეტია ნასწავლ ფრანტს ქალაქელ ბიჭთან ერთად.

ქალების გატაცებას ჰორებით და ჰორების მთხზველთა სიმრავლეს ლ. არდაზიანი მიაწერს ჟურნალ-გაზეთების უქონლობას. იგი არ ეკუთვნის იმ ვაი-პატრიოტთა ბანაკს, რომელთა წარმომადგენლები თავგამოდებით იბრძოდნენ, რათა „ცისკარს" კონკურენტი არ გაჩენოდა.

ლ. არდაზიანი, მიუთითებს რა ჟურნალ-გაზეთების სარგებლიანობასა და საჭიროებაზე, სიხარულით ლაპარაკობს ი. ჭავჭავაძის გადაწყვეტილებაზე.—გამოსცეს ახალი ჟურნალი. ნარკვევში გამოყვანილი ერთ-ერთი ქალი ასე მიმართავს მეორეს: „უ. უ. ჭავჭავაძე და კერესელიძე ცდილობენ კარგი ჟურნალები გამოსცენ... ორნივე უნდა შევიმაგროთ, თორემ თუ ერთ-ერთი იმათგანი დაეცა,—დაეცემა უთუოდ ჩვენი მიზეზით, მაშინ ქართული ლიტერატურა წარმატებას ვეღარ ჰპოებსო".

ლ. არდაზიანი უყურადღებოდ არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ მოდებით გატაცებული ქალები თავიანთ ქმრებს აუბედურებენ ვაჭართა სასარგებლოდ. იგი ულოცავს ვაჭრებს გამარჯვებას: „გაიხარეთ ვაჭრებო! სურვილი თქვენი აღგისრულდათ.... ქალებმა კი არა, თქვენ უნდა ილხინოთ, ილხინეთ და იმღერეთ:

ქალო, ხაბარდიანო
შენ ნუ გიხარიანო,
შენი ქმრის ნაწოვ-ნადაგი
გადმოვიდა ჩემ ჯიბეში".

ნასწავლი ფრანტი და ქალაქელი ბიჭი ტროტუარის პირველ სკამზე ნახავენ „ცრუ სწავლულებს", რომლებიც ქართულად ლაპარაკს არ კადრულობენ, მაგრამ რუსულ ენასაც უხეშად ამხინჯებენ.

პირველ და მეორე სკამს შორის ისინი ხვდებიან ურთიერთშორის მოსაუბრე ურცხვაძესა და დარბაისლოვს.

ურცხვაძის სახით მწერალი გვიჩვენებს ტრაბახა და ცინიკ-

ადამიანს, რომელიც დასცინის განათლებულ ახალგაზრდებს და სძულს მშრომელი ხალხი. ურცხვაძის თქმით, პეტერბურგში სწავლამიღებული ახალგაზრდობის განათლება წვერის მოშვებით ამოიწურება. მას უპირისპირდება დარბაისლოვი, რომელიც ურცხვაძეს ამხილებს უცოდინარობაში. „მე და შენ ძველი ცნებისანი ვართ, რუტინისტები, ყმაწვილკაცები ახლანდელის დროის ცნებისანი არიან. კიდევ გეტყვი, წვერი მოდაა, და არა მგონია იმათ სწავლა იმოდენა არ მიეღოთ, რამდენიც ნიჩი აქვთ, ამას კი გეტყვი, რომ ჩვენზე ნაკლები სწავლა მათ არ ეკნებათო.“—მიმართავს დარბაისლოვი ურცხვაძეს.

ურცხვაძე დარბაისლოვს „არწმუნებს“, რომ იგი განათლებული და პატივსაცემი პიროვნებაა, რომ მას მიწერ-მოწერა აქვს ევროპელ მეცნიერებთან, რომელთაც ჩამოთვლის კიდევაც. მაგრამ დარბაისლოვი ამჯერადაც ამხილებს ტრაბახში. გერმანიის ახლანდელ მეცნიერებს ყველას ვიცნობ, ეუბნება მას დარბაისლოვი, მაგრამ „იმათ შორის არ ჰსჩანან შენგან მოხსენებული მეცნიერებიო“.

გაჯავრებული ურცხვაძე, რომელიც ვეღარ იტანს ამ დროს ქალაქელი ბიჭის გამოლაპარაკებას, ურცხვად ამბობს: „ჰეშმარიტად საზიზღარნი არიან გლეხები, რომელთაც იოტისოდენი ჭკუა არა აქვსთ. წადი იმუშავე, ტალახი ზილე და პური ისე ჰამეო“.

ამ ცრუ მეცნიერს ქალაქელი ბიჭი მოაგონებს, რომ „ერთი ჰეშმარიტების ნატეხთაგანი არის ის, რომ მეცნიერმა უნდა შეიბრალოს, შეიყვაროს გლეხი კაცი, ასწავლოს მას, და არ დატუქსოს, არ გალანძღოს და არ შეურაცხჰყოს. როგორც, მაგალითად. თქვენ ეხლა ინებეთო“.

ურცხვაძის სახით მწერალს გამოჰყავს კონსერვატორთა, „მამების“ წარმომადგენელი, რომელიც უსაფუძვლოდ დასცინის „შვილებს“, თუმცა თვითონ არის დასაცინი. ქალაქელი ბიჭის პირით მწერალი მას დამსახურებულად მიუზღავს.

დარბაისლოვი ძველი თაობის პროგრესული ფრთის წარმომადგენელია. მას შეგნებული აქვს ახალგაზრდების უპირატესობა, სჯერა მათი განათლების და სწამს მათი მომავალი.

ურცხვაძე მარტო როდია. ამ მკვეხარა უვიცს გვერდს უმშვენებენ „სტუმრად“ მოსული გონებაგამოფიტული ჩინოვნიკები, რომლებიც ბედის საძიებლად შორი კუთხიდან მოსულან, მაგრამ შარავანდედით მაინც ვერ შემოსილან. ასეთებია პაფნუტი პახომიჩ ელეიკოუმოვი და აპოლონ ტარასოვიჩ ოსტროუმოვი—„სამსახურში დაბერებულები და სამსახურიდან გამოსულები“. ისინი ერთმანეთს „არწმუნებენ“, რომ კულტურა შემოიტანეს აზიაში და გაანათ-

ლეს ადგილობრივი მცხოვრებნი, განსაკუთრებით ქალები, რომლებიც სიტყვას ისე არ იტყვიან „რომ რუსული არ შეჩხირონ; აღარც სცხვენიანთ, აღარც მორიდება აქვთ; სწორედ როგორც ჩვენი ქალები ისე იქცევიანო“.

შემდეგ სცენაში მწერალს გამოჰყავს მთვრალი ქალი აკსინია, რომელსაც თავისი თავი განათლებული ჰგონია და ქედმაღლურად გაიძახის „მალჩი, პოდლაია აზია“, ამით ავტორი გასაგებს ხდის, თუ როგორი კულტურის შემოტანაზე ლაპარაკობს ველიკოუმოვი და ოსტროუმოვი, თუ როგორი ქცევის ქალებისათვის მიუბაძავს ზოგიერთ ქართველ ქალსაც, რომლებიც მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც კი თაკილობენ

თავიანთ „დამსახურებაზე“ ლაპარაკით გატაცებულ ბიუროკრატ მოხელეებს ქალაქელი ბიჭი ირონიულად ეუბნება: „სხვათა მაზიარებელი მოკვდა უზიარებელიო“.

თუ რა კულტურა შემოიტანეს ველიკოუმოვებმა და ოსტროუმოვებმა ნამდვილად ეს ადვილად შეიძლება გაითვალისწინოს მკითხველმა, როცა მომდევნო სცენაში იგი მოისმენს საუბარს სამსახურში მყოფ მოხელესა და მის კლიენტს შორის. აბრუნდების მოყვარული მოხელე იძულებულია დათანხმდეს კლიენტს გადაწყვიტოს საქმე მის სასარგებლოდ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის პირბადის ჩამოხდა და ნამდვილი სახით გამოჩენა. კლიენტი მოხელეს აგებინებს, რომ მის გარდა ყველა საჭირო მოხელე მოყიდული ჰყავს. ამით მწერალი ნათელს ხდის, რომ ეს მოხელე გამონაკლისი არაა, ერთ-ერთი მრავალთაგანია მხოლოდ.

ურცხვაძის ორეულია ახმახიც, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პატივსაცემ პიროვნებად მოეჩვენოს საზოგადოებას. მცოდნე ადამიანის სახელი რომ მოიხვეჭოს, ამისათვის უცხო კულტურისადმი სიყვარულს ამჟღავნებს, ხოლო ეროვნულს—ამცირებს. მისი თქმით, „ქართული ლიტერატურა ვის ეკადრება, განა არის კი სადმე!“ იგი პრეტენზიას აცხადებს მწერლობაზე, მაგრამ უჩივის მოუცლელობას, დიდ ხალხთაგან „შეწუხებას“. ახმახი განსახიერება არის იმ ადამიანებისა, რომელთა გაკეთებული და დაწერილი არავის უნახავს, მაგრამ მაინც თავი მოაქვთ შემოქმედად. „ჯერ არა დამიწერია,—ამბობს ახმახი,—გულში კი მაქვს დაწერო. ოცი ათასი იდეა ირევა, როგორც ჭიანჭველა, ჩემ თავში, ერთი ერთმანეთზე უკეთესი, და დაწყეველოს ღმერთმა, არ ვიცი რომელ ერთს წავავლო ხელი. ამასთან მოუცლელობა ხელს მიკრავს... რაღა დრო დამრჩება შრომისათვის: მისი მაღალ...ე...,მისი...ი...,მისი ბრწ...დ...,

მისი მაღალ...ზ...,მისი მაღალშობილება უ...,მისი და სხვანი გამიწყრებიან... თუ ან დილით, ან საღამოს ვიზიტი არ გაუკეთე და სადილათ არ ვეწვიეო...“

სინამდვილეში, ახმახის სამოქმედო სარბიელი მხოლოდ ტროტუარია, მისი მეგობრებია „მარად ტროტუარზე მყოფნი“, თუმცა ისინიც ველარ იტანენ მის ტრაბახსა და ლაყბობას. მართალია, ახმახი სამსახურში ითვლება, ნაგრამ იმის წყალობით, რომ თითქოს დიდი კაცები ეძახიან და მათთან მიდის, ‘ახერხებს სამუშაო სხვას მიუტოვოს და თვითონ ტროტუარზე იპორაოს. ტარაბორევსკი სამართლიანად საყვედურობს მას: „ყოველდღე ათ საათზე დილით სამსახურითგან იკარგები და შენს საქმეს ჩვენ ვაკეთებთო“.

ქალაქელი ბიჭი არც ახმახს დატოვებს გაუკენწლავს და თანაც მიუმღერებს: „მორიელო შხამიანო,

სიბოროტის საჭურველო!
ჰკბენ ყველასა, ყველას შხამავ,
ბოლოს კი კუდს გაგისრესავ...“

მომდევნო სცენაში მწერალს გამოჰყავს ვაჟი, რომელსაც ქალთან „სიყვარულში“ გამოტყდომა ხელობად გაუხდია. ამჯერადაც მას არავითარი სიყვარული არ აქვს ქალისადმი, მაგრამ ფიცით ენა არ ეღლება, თავსაც ისე იჭერს თითქოს საბედისწერო მდგომარეობაში იყოს. გულუბრყვილო ქალიც მეტად ნაჩქარევ თანაგრძნობას ამჟღავნებს.

ამიტომაა, რომ ქალაქელი ბიჭი ნიშანდობლივად შესძახებს: „არიქა ძერამ მოიტაცა გვრიტი! უშველეთ, უშველეთ, გააგდებინეთო!“...

უკანასკნელ სცენაში მწერალი ერთმანეთთან აკამათებს „ჭეშმარიტების ნატეხების“ ორ მაძებარს და მათ ტაკიმასხარას. ისინი ერთმანეთს ეკამათებიან, თუ რატომა აქვს ვირს დიდი ყურები. ერთი მათგანი „ამტკიცებს“, რომ „ბუნება შემცდარა ვირის აშენებაში“, ვინაიდან „მათემატიკის კანონებით ყოველი სხეული ისე უნდა იყოს აგებული, რომ ყოველი ასო პროპორციულად ეთანასწორებოდეს... უნდა იყოს სრული სიმეტრია“.

მოწინააღმდეგე „ამტკიცებს“, რომ არაა დარღვეული პროპორცია ვირის აგებულებაში. მართალია, ვირს ყურები დიდი აქვს, მაგრამ იგი პროპორციულია მისსავე თავის.

მაგრამ ფეხები?—კვლავ წამოიჭრება საკითხი.

იგი, ვინც ვირის აგებულებაში შეცდომას ხედავს, „ამტკიცებს,“ რომ აშკარად ჩანს ვირს რომ ფეხები პატარა აქვსო. მაგრამ „აშკარად

მოჩენა" სარწმუნო არგუმენტად არ მიაჩნია მოწინააღმდეგეს, ვინაიდან მისი შეხედულებით თვალი აცდუნებს ადამიანს. მისი თქმით, „უმთავრესი საფუძველი მეცნიერებისა არის, რომ საგანი იმ სახით არ უნდა დავინახოთ, როგორც გვეჩვენება. ამიტომ რომ ჩვენი გრძნობები სრული არ არიანო".

მოწინააღმდეგე საკმარისად არ მიიჩნევს ასეთ საბუთს დაეჭვებისათვის. მისი თქმით, „ლოგიკურის კანონით ერთ საგანზე, ერთ და იგივე დროს, ორი წინააღმდეგი ერთი მეორის სჯა შეუძლებელია: ან უნდა სთქვა ჰო, ან არა".

როგორც ეხედავთ, ლ. არდაზიანი მკაცრად ამეღავნებს იდეალისტური და სოფისტური მსჯელობის მოყვარულ „ფილოსოფოსებს", რომლებიც მოკლებულნი არიან უნარს აწარმოონ ჰეშმარიტად ლოგიკური მსჯელობა. „ჰეშმარიტების" ეს მაძიებელნი ურცხვაძეთა და ახმახების ხორცთაგანია. რაღაც წაუკითხავთ, რაღაც გაუგონიათ, მაგრამ სრულად და ღრმად არაფერი იციან.

ქალაქელი ბიჭი ირონიულად მიმართავს „ჰეშმარიტების" მაძიებელ „ფილოსოფოსებს": ღმერთმა ვირი იმიტომ გააჩინა ასეთი სახით, რომ უმეცარმა ადამიანმა მასში თავისი სახე იპოვოსო. მისი შეხედულებით, არსებობენ „მიუწდომელი საგნები" და „ვინც ამ მიუწდომელ საგნების გამოკვლევას გამოუდგება, ის უსაშინელესი უმეცარია".

ვინაიდან ქალაქელი ბიჭის პირით მწერალი ლაპარაკობს, მის მიერ გამოთქმულ ამ შეხედულებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ლ. არდაზიანის ფილოსოფიური შეხედულების გასათვალისწინებლადაც.

ამგვარად, ლ. არდაზიანმა თავის პუბლიცისტურ ნარკვევში სამარცხვინო ბოძზე გააკრა მავნე, უსაქმო და მკვეხარა დილეტანტები; მკითხველთა საზოგადოებას უჩვენა მათი ნამდვილი ცოდნა და განათლება. ამასთან, ყურადღება გაამახვილა სოციალური მნიშვნელობის საჭირბოროტო კითხვებზე; მიუთითა იმ მავნე შედეგებზე, რაც საზოგადოებისათვის მოღებითა და დროსტარებით გატაცებას მოჰქონდა. აგრძნობინა მაღალ არისტოკრატიას, თუ როგორ უხვს ხდიდნენ ვაჭართა წისქვილზე მიმავალ წყალს თავიანთი ფუქსავატური ცხოვრებით. ამავე დროს ქართველი ინტელიგენციის წინაშე აყენებს საკითხს მეტი შემოქმედებითი მუშაობისა და პატრიოტული საქმეებით გატაცების საჭიროების შესახებ. მან ხმამაღლა განაცხადა, რომ „ჩვენ გვინდა ნამდვილი განათლებულებიო".

ლ. არდაზიანი ელოდება და წინასწარ ხოტბას ასხამს ისეთ განათლებულთ, რომლებსაც შეუძლიათ ამოავსონ დიდი ხარვეზი, რაც, მისი თქმით, იმაში მდგომარეობს, რომ „საქართველო დაშთა გარე ევროპის განათლებისა“ [1].

ლ. არდაზიანს, მართალია, აღნიშნული აქვს, რომ ტროტუარზე „ნახავთ ჰკვიან და დარბაისელ ხალხსაცა, კარგა განვითარებულსაო“, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უჩვენებია. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო აზრთა სხვადასხვაობა შექმნილიყო „შვილთა“ ბანაკშიც „მოგზაურობის“ ავტორის შესახებ. აკაკი წერეთელი საგანგებოდ ატყობინებდა კირილე ლორთქიფანიძეს, რომ „ბულვარზედ მოგზაურობა დაბეჭდვამდის ჩემ ხელში იყო, მაგრამ იქ ჩვენზედ არაფერია. ვიზედაც არის ვიცი ყოველი პირი, მაგრამ გამოსარჩლება არ გვარგებს, ღირსნი არიან... თორემ ჩვენზედ როგორ გაბედავენ რამეს დაწერას, ეს სტატია არდაზიანის არის, იმან დასწერა. კი დაეწერათ ჩვენზედაც პასუხი ვიღაცეებს, მაგრამ იქვე ეთქვათ, მოგდომიათ ტყავის გაძრობა და ეგ არისო და შიშით უკანვე წაეღოთო“ [2].

კ. ლორთქიფანიძე, როგორც ჩანს, ვერ დაარწმუნა აკაკის განმარტებამ და გამოაქვეყნა საპასუხო წერილი „ბიძია თონიკეს სტატიის გამო“ [3], რომელშიც იგი ბიძია თონიკეს (ლ. არდაზიანის ფსევდონიმია) ბრალად სდებს ახალი თაობის („შვილების“) აუგად ხსენებას.

„საქართველოს მოამბეში“ კ. ლორთქიფანიძის სტატიის დაბეჭდვა გვაფიქრებინებს, რომ ლ. არდაზიანის „მოგზაურობაზე“ დაახლოებით ასეთივე შეხედულებისა იყო ილია ჭავჭავაძეც. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უფლებას არ მისცემდა კ. ლორთქიფანიძეს „შვილების“ სახელით ელაპარაკნა.

ლ. არდაზიანი იძულებული გახდა პასუხი გაეცა „თერგდალეულისათვის“ (კ. ლორთქიფანიძის ფსევდონიმია), მაგრამ არა თავისი, არამედ როგორც მესამე პირის სახელით. ამჯერად, ალექსი ელბაკიძის ფსევდონიმით, მან დაბეჭდა სტატია „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“ [4].

ალექსი ელბაკიძე (ლ. არდაზიანი) თერგდალეულს (კ. ლორთქიფანიძეს) საყვედურობს ტენდენციურობას. მისი თქმით, სამმა

---

[1] „ცისკარი“, 1859 წ., № 9.

[2] გ. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული, პროფ. ს. ხუნდაძის რედაქციით, ტ. I, გვ. 359.

[3] „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4,

[4] „ცისკარი“, 1863 წ., № 6.

თერგდალეულმა „სამართლიანად დასაჯეს უ. წერეთელი“, მაგრამ ზომას გადაცდა ერთი მათგანი (ბეჭდველობაში ჰყავს კ. ლორთქიფანიძე), რომელიც, მისი თქმით, „პირივით ჩაბოეკიდა ექ. წერეთელსა და შემდეგ „ცისკრის“ ნომრებშიც „დააყოლა კიდევ ქვა“. ახლა ეს თერგდალეული ბიძია თონიკეს გადაკიდებია და ცილს წამებს, თითქოს ილია ჭავჭავაძეს დასცინოდეს. თერგდალეულის ასეთ შეხედულებას ლ. არდაზიანი „უმზგავს აზრს“ უწოდებს.

„უ. თერგდალეული,—წერს ალექსი ელბაკიძე,—სრულიად ვერ მიმხვდარა ბიძია თონიკეს აზრსა, რომელიც იმან გამოხატა თავის მოგზაურობაში „ტფილისის ტროტუარზე“; ამიტომაც შეუგნებლად და შეუსაბამოთ იხსენიებს ავტორსაც...

უ. თერგდალეული ფიქრობს... ვითამ ბიძია თონიკე დასცინოდეს უ. ჭავჭავაძესა. ასე შეიძლება იფიქროს მხოლოდ თერგდალეულმა. მიზეზი რომ არა ჰქონდა, საიდამ დაბადა ეს უმსგავსი აზრი, მიკვირს ჰეშმარიტად! არა, ნუ იფიქრებთ, უ. თერგდალეულო, რომ უ. ბიძია თონიკე უ. ჭავჭავაძეს არ იცნობდეს თქვენზედ უკეთესად...

როგორ ვერა ხედავთ, რომ უ. ბიძია თონიკე თქვენკენ არის და თქვენ კი—ეშმაკებისაკენო“.

დასახელებულ წერილში ლ. არდაზიანმა გარკვეულად გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება „მამათა და შვილთა“ ბრძოლასთან. იგი „შვილების“ მხარეზეა, მაგრამ შედარებით ზომიერ პოზიციებზე დგას და ყველაზე მეტად ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს აფასებს.

როგორც ვნახეთ, ლ. არდაზიანმა ფსევდონიმებად გამოიყენა „ბიძია თონიკე“ და „ალექსი ელბაკიძე“. სხვა ფსევდონიმი ლ. არდაზიანს არ გამოუყენებია, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს ლ. არდაზიანს ეკუთვნოდეს აგრეთვე გ. ბარათოვის სახელით „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილებიც.

პროფ. ს. ხუნდაძე გ. წერეთლის „თხზულებათა სრული კრებულის“ პირველი ტომის შენიშვნებში წერს: „მისი (ლ. არდაზიანის.—დ. გ.) ფსევდონიმი იყო: ბიძია თონიკე, გ. ბარათაშვილი, ალექსი ელბაკიძე“[1].

აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით გ. ბარათოვი ლ. არდაზიანის ფსევდონიმად მიიჩნიეს სხვებმაც (პ. გუგუშვილი, გ. ქიქოძე, გ. აბზიანიძე და სხვ.) და თითქმის გაბატონდა ასეთი შეხედულება.

---

[1] გ. წერეთელი. თხზულებანი, 1931 წ., ტ. I, გვ. 428.

რა მასალას ეყრდნობოდა პროფ. ს. ხუნდაძე, როცა თ. გ. ბარათოვი ლ. არდაზიანის ფსევდონიმად გამოაცხადა? მას მითითებული არ აქვს წყარო, მაგრამ, ჩანს, იმეორებს აკაკი წერეთლის ცნობას. აკაკი წერეთელი თავის მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“, როცა „ცისკრის“ თანამშრომლებს ახასიათებს, ამბობს: „კრიტიკული სტატიები მისი (ლ. არდაზიანის.—დ. გ.) გ. ბარათაშვილის სახელით გამოდიოდაო“.

არის თუ არა საიმედო ა. წერეთლის ეს ცნობა? რა თქმა უნდა, არა. ა. წერეთლის „ჩემ თავგადასავალში“ სხვა მსგავსი შეცდომებიცაა. მემუარების ავტორები, ეყრდნობიან რა ზეპირ მახსოვრობას, ხშირად, არა ზუსტად გადმოსცემენ ხოლმე ამა თუ იმ ფაქტს. მსგავსი შემთხვევა ვიცით ი. ჭავჭავაძის შესახებაც, როცა გრ. ყიფშიძემ, ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარმა, „საქ. მოამბეში“ სპირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული გ. ყიფიანის სტატია—„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“—ი. ჭავჭავაძისად გამოაცხადა, რამაც შემდეგში შეკდომაში შეიყვანა ი. ჭავჭავაძის მკვლევარნი და გამომცემლები.

ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე ამჯერადაც. გ. ბარათოვი „ცისკრის“ ერთ-ერთი მოღვაწეთაგანი იყო და მას არავითარი კავშირი არ აქვს ლ. არდაზიანის სახელთან.

საიდან მტკიცდება ეს?

1. ლ. არდაზიანის ბიოგრაფიებში და მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ნეკროლოგებში, რომლებშიც ჩამოთვლილია მისი ნაწერები და აღნიშნულია ფსევდონიმებიც, არაფერია ნათქვამი გ. ბარათოვისა და მისი სახელით ცნობილი ნაწერების შესახებ.

2. 1861 წლის „ცისკრის“ მეხუთე ნომერში დაბეჭდილი გ. ბარათოვის სტატია—„წერილი რედაქტორთან“—ასე იწყება: „არ ვიცი რა მიზეზია, რომ ჩამაცივდით დავწერო რამე ცისკრისათვის. ნუ თუ გსურთ ჩემზედაც ალაზღანდაროთ ზოგიერთნი მჭერმეტყველნი და შეამკობინოთ ჩემი თავი როგორათაც საბრალო კაზლოვი?

რვა წელიწადი ერთად ვხეხეთ გიმნაზიის სკამები და ჩვენი ცოდნა ქართულს ენაში სახელს აღარ გასცილდა; მაშასადამე, ძალიან ცოდვილი გახლდები ქართულს მწერლობაში. ეს იყო მიზეზი, რომ აქამომდე ვერ აღვასრულე თქვენი თხოვნაო“.

შეიძლებოდა თუ არა ლ. არდაზიანს „ცისკრის“ რედაქტორი ი. კერესელიძისათვის მიემართა: „რვა წელიწადი ერთად ვხეხეთ

გიმნაზიის სკამებიო“? რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ლ. არდაზიანს გიმნაზიაში არ უსწავლია, მეორეც იმიტომ, რომ არდაზიანი კერესელიძეზე გაცილებით უფროსი იყო და ერთად ვერ ისწავლიდნენ. ამასთან, ლ. არდაზიანისათვის ქართული ენის უცოდინარობაზე ლაპარაკი შეუფერებელიც იყო.

3. სრულიად განსხვავებულია როგორც სტილით, ისე შეხედულებებით, კერძოდ „შვილებთან“ დამოკიდებულების საკითხში, თ. გ. ბარათოვის სახელით ცნობილი სტატია „წერილი რედაქტორთან“ და ლ. არდაზიანის წერილები, რომლებშიც ახალ თაობასთან დამოკიდებულების საკითხს ეხება.

გ. ბარათოვი ანტონ კათალიკოსის გრამატიკული პოზიციებიდან ებრძვის ი. ჭავჭავაძეს და ყოველმხრივ ძველის დამცველია, რაც ეწინააღმდეგება ლ. არდაზიანის შეხედულებებს. ლ. არდაზიანი როგორც ენის საკითხში, ასევე ყველა სხვა საკითხში, უფრო „შვილების“ მხარეზე იყო, ვინემ „მამების“ დამცველი. მან, როგორც ვნახეთ, აშკარად განაცხადა თავისი პოზიციის შესახებ.

ამასთან, შეუძლებელია ფსევდონიმისათვის ვისმე მიეწეროს „თავადი...“ და ძით უმეტეს ლ. არდაზიანს.

4. „ცისკრის“ ხელისმომწერთა სიებში, რომელიც თითქმის ყოველწლიურად ქვეყნდებოდა, თ. გ. ბარათოვი ცალკეა დასახელებული და ლ. არდაზიანი ცალკე. მაგალითად, „ცისკრის“ 1858 წლის ხელისმომწერთა სიაში თ. გიორგი ბარათოვი ორმოცდამეთოთხმეტეა, ხოლო ლ. არდაზიანი—სამოცდამეოთხე.

აქედან აშკარაა, რომ გ. ბარათოვი ნამდვილად არსებული პიროვნებაა და „ცისკრის“ ხელის მომწერიც. სხვაგვარად წარმოუდგენელია: შეუძლებელია ლ. არდაზიანმა თავის გვარზეც გამოიწეროს ჟურნალი და ფსევდონიმზეც.

5. გ. ბარათოვი, „ცისკრის“ უბრალო ხელისმომწერი რომ არ არის, არამედ საკმაოდ ცნობილი მოღვაწეცაა, ეს ჩანს ჟურნალის რედაქტორის—ი. კერესელიძის „განცხადებიდან“, რომელიც 1862 წლის ოქტომბრის ნომერშია მოთავსებული.

განცხადებაში ვკითხულობთ: „მომავალს წელიწადს ჟურნალი განიყოფება ექვს ნაწილად: ...პირველს ნაწილში იქნება ყოველი მწერლობა, რაც კი რამ შეეხება საღმრთო საგანსა. ამ ნაწილის მმართველი იქნება თვით რედაქტორი—ი. კერესელიძე; მეორეს ნაწილში იქნება უცხო ქვეყნის, ანუ საკუთარი ჩვენი ქართული სიტყვიერება, რომლის მმართველი იქნება ლავრ. არდაზიანი; მესამეში—წვრილი ღირსად მიღებული ლექსები. ამ

ნაწილის მმართველი (იქნება) თ. გ. ორბელიანი. მეოთხეში—ჰსწავლა და ხელოვნება, რომელშიაც შემოვიტანთ ისტორიულს. სამეცნიეროს, საფილოლოგიოს და სხვ., რომლის მმართველი იქნება დიმ. ბაქრაძე; მეხუთეში—იქნება საქართველოს ანბავი რამ, გარკვევა ახლად გამოცემული წიგნებისა, გინა თხზულებისა, და მეექვსედ სხვადასხვა ანბავი, ამის მმართველი იქნება ნიკ. ბერძენოვი. ამათ გარდა, პატივსაცემთ „ცისკრის“ თანამშრომელთ, რომელთაც აღგვითქვეს, თუმცა იცნობენ მკითხველნი, მაგრამ მაინც რედაქცია საჭიროდ რაცხს განიმეოროს ამათი სახელები: თ. გ. ბარათოვი, დ. ბერიევი, გაბრიელ ეპისკოპოზი. ვ. დიდებულიძე... და ჩვენ მკითხველთადმი უწყებული ფსევდონიმები: მოლაყბე, თორმეტი მებუკენი და სხვ.“

ამ განცხადებით უდავო ხდება, რომ ლ. არდაზიანი სხვაა და გ. ბარათოვი სხვა. ისიც ცხადია, რომ გ. ბარათოვი კუთვნებია „პატივსაცემთ“ „ცისკრის“ თანამშრომელთა“ რიცხვს და თავის დროზე „იცნობდნენ მკითხველნი“.

გ. ბარათოვს, გარდა დასახელებული სტატიისა, ეკუთვნის რუსულიდან ნათარგმნი მოთხრობა—„მღვიმე სასაფლაოს იქით“, რომელიც დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1853 წელს „ცისკრის“ მეოთხე ნომერში, ხელისმოწერით: „თ. გიორგი ბარათოვი“[1].

უკანასკნელად დოც. ა. გაჩეჩილაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ 1829 წლის „ტფილისის უწყებანის“ მესამე ნომერში „მოთავსებული წერილი რუსთაველზე სათაურით—„რაიმე რუსთაველისათვის“, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით „ლ. ა.—დ ლ. არდაზიანს უნდა ეკუთვნოდესო[2].

„ტფილისის უწყებანში“ მოთავსებულ აღნიშნულ წერილს რედაქციის მიერ გაკეთებული აქვს შენიშვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ წერილი დაწერილია „რუსულსა ენასა ზედა ერთისა ახალგაზრდა კაცის მიერ, რომელიც ჯერეთ ჰსდგას ზღურბელსა ზედა სწავლისა და ქვეყნისა. მას ზედა იყო მოქმედება მასწავლებლისა, და განვახალისე მე, რათა ჰსთარგმნოს მუხლი ესე ბუნებითსა ენასაცა ზედა მისსა, რომელიც გარემოეზღუდე გამოსაძიებელთა ცხედველობათაგან საზოგადოობისათაო“.

---

[1] ყოველივე ეს ჩვენ მიერ დადგენილი იყო ჯერ კიდევ 1946 წელს (იხ. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ., № 21), მაგრამ ზოგიერთმა მკვლევარმა მაინც ძველი შეხედულება გაიმეორა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ამიტომ საჭიროდ ვცანით კვლავ დავბრუნებოდით ამ საკითხს.

[2] „ლიტერატურული ძიებანი“, 1950 წ., ტ. VI, გვ. 155.

ამ შენიშვნის საფუძველზე დოც. ა. გაჩეჩილაძე დაასკვნის, რომ „აღნიშნული წერილი დაუწერია მოწაფეს, მასწავლებლის დახმარებით, თანაც მასწავლებელს წერილის ავტორი, როგორც ჯერ კიდევ გამოუცდელი, კვლევა-ძიებაში შეუზღუდავს. ეს მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი უნდა იყოს... როგორც ჩანს, ლ. არდაზიანი სამწერლო ასპარეზზე ს. დოდაშვილის ხელმძღვანელობით გამოსულაო".

სანამ ამ შეხედულების შესახებ ჩვენს აზრს გამოვთქვამდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ინიციალი „ლ. ა.—დ" ა. აბრამიშვილმა ს. დოდაშვილად ამოიკითხა[1], რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სამართლიანად უარყოფს მას ა. გაჩეჩილაძეც.

მაგრამ თვით ა. გაჩეჩილაძე უმართებულო დასკვნას აკეთებს რედაქციის მიერ მეტად გასაგებად გაკეთებული შენიშვნიდან. რედაქციის შენიშვნაში, რომელიც უშუალოდ რედაქტორის—ს. დოდაშვილის მიერაა გაკეთებული (ეს აშკარად ჩანს პირველ პირში თხრობით: „განვახალისე მე"), ნათქვამია, რომ იგი დაწერა მოწაფემ რუსულ ენაზე, მასწავლებლის დახმარებით („მას ზედა იყო მოქმედება მასწავლებლისა"), ხოლო რედაქტორმა (ე. ი. ს. დოდაშვილმა) შთააგონა იგი ეთარგმნა ქართულ ენაზეც („და განვახალისე მე, რათა სთარგმნოს მუხლი ესე ბუნებითსა ენასაცა ზედა").

ამგვარად, მასწავლებელი, რომლის გარკვეული დახმარებითაც რუსულ ენაზე დაწერა მოწაფემ წერილი, სხვაა და რედაქტორი, რომელსაც მისთვის წერილის ქართულ ენაზე თარგმნა გადაუწყვეტინებია—სხვა. სხვა რომ არა იყოს-რა ს. დოდაშვილი სასულიერო სასწავლებელში არ ყოფილა მასწავლებლად.

ამასთან, მასწავლებელს კი არ შეუზღუდავს წერილის ავტორი კვლევა-ძიებაში, არამედ რედაქტორს შეუზღუდავს იგი, რათა წერილი ქართულ თარგმანში შეემოკლებია („გარემოზღუდე გამოსაძიებელთა მხედველობათაგან საზოგადოებისათაო"). ჩანს, რუსულ ენაზე წერილი უფრო ვრცელი იყო.

შეიძლება თუ არა წერილის ავტორი ლ. არდაზიანი იყოს? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. 1829 წელს ლ. არდაზიანი თბილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და მის შესახებ რედაქტორს არ შეიძლება ეთქვა: წერილის ავტორი „ახალ-

---

[1] „ბიბლიოგრაფიის მოამბე", № 4—5,

გაზრდა კაცი... ჰსდგას ზღურბელსა ზედა სწავლისა და ქვეყნისაო", ე. ი. სწავლის კურსს ამთავრებს, უკანასკნელ კლასშიო.

თავისთავადაც შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ 14 წლის ლ. არდაზიანს „ვეფხისტყაოსნის" შესახებ რუსულ ენაზე ისეთი წერილი დაეწეროს, რომ ს. დოდაშვილი საგანგებოდ დაინტერესებულიყო ეთარგმნინებინა იგი და „ტფილისის უწყებანში" გამოექვეყნებია.

ასე წარმოგვიდგება ჩვენ ლ. არდაზიანის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა, რომლის შესწავლა გვეხმარება უფრო სწორად განვსაზღვროთ მწერლის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

IV. ლ. არდაზიანის ადგილი ძართული ლიტერატურის ისტორიაში

ლ. არდაზიანი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის სახელთან დაკავშირებულია რეალიზმის პრინციპების დამკვიდრება პროზაულ ჟანრში. იგი პირველი სოციალური რომანებისა და მეტად საინტერესო პუბლიცისტური და კრიტიკული წერილებისა და ნარკვევების ავტორია.

მისი ყოველი მხატვრული ნაწარმოები თუ პუბლიცისტური სტატია უშუალო გავლენას ახდენდა მწერლობასა და საზოგადოებრივ აზრზე, იწვევდა ცხოველ პაექრობას და იმსახურებდა მკითხველთა მოწონებას.

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ გამოქვეყნებამ დამსახურებული ავტორიტეტი და საყოველთაო პატივისცემა მოუპოვა მწერალს. მკითხველთა შთაბეჭდილებებით კმაყოფილმა „ცისკრის“ რედაქციამ მადლობის წერილიც კი მოათავსა „ჟურნალში“, რომელშიც ნათქვამია: „წარსულის თვის ნომრებში დაბეჭდილი იყო ნამდვილი ქართული რომანი, შეთხზული ჩვენის თანამედროვე მწერლის ლავრენტი არდაზიანისაგან. რედაქციაში მოგვდის ამ საგანზედ სხვადასხვა პირთაგან წიგნები, სადაც ისმის ხმა ქებისა და მადლობისა. რედაქცია ამ სამადლობელო აზრს დაამატებს თავის აზრს და განუცხადებს უფალს არდაზიანს უგულითადეს მადლობას ამგვარ შრომისათვის და ჩვენს ლიტერატურაზედ ღვაწლის დადებისათვის.—კვალად იმედოვნებს, რომ თავის ძვირფასს შრომას არ მოაკლებს რედაქციას უფ. არდაზიანიო“[1].

„ცისკრის“ მკითხველები არ ცდებოდნენ. „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მართლაც ახალი და საყურადღებო მოვლენა იყო ქართულ მწერლობაში. მართალია, „ცისკარში“ მანამდეც ქვეყნდებოდა გ. რჩეულიშვილის საინტერესო რომანები, რომლებმაც თავისი

[1] „ცისკარი“, 1861 წ., № 4.

როლი შეასრულეს ქართული პროზის რესტავრაციის საქმეში, მაგრამ ლ. არდაზიანის რეალისტური პროზა პრინციპულად განსხვავდება გ. რჩეულიშვილის რომანტიკული პროზისაგან.

ლ. არდაზიანმა თავისი მხატვრული ხედვა მიაპყრო თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ და საინტერესო მოვლენებს; მიზნად დაისახა ეჩვენებინა ცოცხალი ადამიანები თავისი ყოველდღიური ცხოვრებით. მისი რომანები მკითხველთ ისტორიული წარსულისაკენ კი არ უბიძგებდა, არამედ ნაცნობ მოვლენებსა და ნაცნობ ადამიანებზე მოუთხრობდა.

სრულიად მართებულად შენიშნავს გ. თუმანიშვილი, რომ „Как Г. Эристов был отцом грузинской комедии, так Лавр. Ардазиани можно назвать отцом грузинского реалистического романа..." [1]

ქართულ ლიტერატურაში გ. ერისთავის მიერ საფუძველჩაყრილი კრიტიკული რეალიზმი ლ. არდაზიანმა განავრცო და განამტკიცა პროზაულ ჟანრში.

მიუღებელი სინამდვილის, ჩამორჩენილი და ბოროტებით აღსავსე ცხოვრების კრიტიკა ლ. არდაზიანის რომანებში არცთუ ისე შესამჩნევადაა წინ წასული გ. ერისთავთან და ზ. ანტონოვთან შედარებით, მაგრამ სინამდვილის ცალკეული მოვლენები უფრო ღრმად და სრულად არის მასში წარმოდგენილი. კერძოდ, პრივილეგიური წოდების — თავადაზნაურობის მცონარობა, გონებაგამოფიტულობა და უპერსპექტივობა გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის დრამატურგიაში არა ნაკლებ არის ნაჩვენები, ვინემ ლ. არდაზიანის რომანებში. ლ. არდაზიანს ბოლომდე არ ჰქონდა შეგნებული ვაჭართა კლასის ისტორიული როლი, მისი თავადაზნაურობასთან დამოკიდებულების ხასიათი და შედეგები. მას ბურჟუაზიის მსხვერპლად არ ემეტებოდა ფეოდალთა კლასი, ცდილობდა მათ მორიგებასა და შეგუებას.

შესაფერი სისრულით ვერ წარმოადგინა მწერალმა გლეხთა ცხოვრების სურათებიც. ჩვენ ვგრძნობთ მათ მძიმე მდგომარეობას, მაგრამ გარკვევით ვერ ვხედავთ მათ განაწამებ სახეებს, რომლებიც მეტად ეპიზოდურად გამოჩნდებიან ხოლმე.

მაგრამ ლ. არდაზიანმა სრულად და დამაჯერებლად წარმოადგინა ჩარჩ-ვაჭართა ცხოვრების გზა, რითაც ავტორისეული იდეა დაჩრდილა ნაწარმოების ობიექტურმა აზრმა. ჩვენ წინ გა-

---

[1] Г. М. Туманов. Характеристики и воспоминания, 1913 г., I, стр. 174.

დაიშალა ცხოვრების სინამდვილის უტყუარი სურათები და გამომჟღავნდა მწერლის მცდარი შეხედულებაც.

ლ. არდაზიანის რომანები სარკეა როგორც ცხოვრების სინამდვილისა, ასევე ავტორის მცდარი შეხედულებებისაც. რომელიც ბურუსად ეკვრის პირველს, მაგრამ მაინც ვერ აბნელებს მის ბუნებრივ სახეს.

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ წარმატება განაპირობა არა რაინდიძეთა რომანტიკულმა სახეებმა, არამედ ჩარჩ-ვაჭრის.— კინტუა სოლომონის მეტად ბუნებრივმა დახასიათებამ.

ამიტომ იყო, რომ ლიტერატურული კრიტიკაც, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“, სწორედ სოლომონის სახის შექმნით იყო აღფრთოვანებული.

ცნობილი ლიტერატურათმცოდნე პ. უმიკაშვილი, მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ნეკროლოგში, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ „ისეთი ნამდვილი ცხოვრების სურათებია, თითქოს ფოტოგრაფიული სურათები იყოსო“. ხოლო ნიჭიერი კრიტიკოსი სტ. ჭრელაშვილი, რომანის გამოქვეყნების ოცი წლის შემდეგ, დაბეჯითებით აცხადებდა: „რომ მოკლეთა ვთქვათ, მეჯღანუაშვილი გახლავთ ყველაფერში მოწინავე პირი ჩვენი ცხოვრებისა, ნამდვილი იდეალი მთელი ხალხისა“, „ჩვენ არ შეგვფერის დღეს ოცნება მაღალ გმირებზე, როდესაც გვერდში ამოგვჩრიან ათასობით მეჯღანუაშვილები, „წიპლიონკები“, ჭოსა დალაქები და სხვა ამისთანა განათლებული პირნი. ჩვენ დღეს ჩვენი ვაგლახი გვაქვს. ამიტომ დიდის პატივით ვიხსენებთ არდაზიანის სახელს, რომ მან ასე გმირულათ და სინდისიერათ აიღო ერთი კუთხე ჩვენი ცხოვრებისა, აღწერა იგი მთელი მისი უხეი ნაკლულევანებით და წერილმანებით, დააკვირდა ჩვენი ცხოვრების დაღრეჯილ მიმდინარეობას და აღწერა უკვდავი სახე სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისა. აი, ჩვენი ცხოვრების ნამდვილი ყვავილი“, „ჩვენს მწიგნობრობას ამაზე („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.—დ. გ.) უკეთესი არა აბადიარაო“[1].

სტ. ჭრელაშვილი მართალი იყო. ლ. არდაზიანმა კარგად დახატა იმდროინდელი ცხოვრების „ნამდვილი ყვავილი“. ამაშია ლ. არდაზიანის რეალიზმის გამარჯვებაც.

შემთხვევითი როდი იყო, რომ გაზეთ „დროების“ კრიტიკოსი

---

[1] სტ. ჭრელაშვილი. ჩვენი ცხოვრების ყვავილი. ჟურნალი „იმედი“. 1881 წ., № 11.

წერდა: „არდაზიანის რომანი ნიჭიერებით შეედრება „კაცია ადამიანს“ და „გლახის ნაამბობს“. ამ რომანის შემთხზველმა იგივე ადამიანის გულის ცოდნა გამოიჩინა, როგორც „კაცია ადამიანის“ ავტორმაო“ [1].

თავის მეორე რომანში („მორჩილი“) მწერალი შეეცადა გამოესწორებინა სუსტი მხარე პირველი რომანისა. მან აღარ დაინდო თეიმურაზები და გორჯასპები, საჯაროდ აძხილა მათი ზნეობრივი გახრწნილება, უმოქმედობა და არაადამიანური ცხოვრება, ამით მან გამოამჟღავნა ბატონყმური სისტემის ბოროტება და დრომოჭმულება. მაგრამ მან ვერ შეძლო ბოლომდე პრინციპული ყოფილიყო ბატონყმური ურთიერთობის კრიტიკაში, თავადაზნაურთა გადაგვარების მხილებაში. მან კვლავ დაუშვა არსებობა ისეთი ქალაბატონებისა, როგორიცაა ალექსანდრა, თუმცა არც მისი სახის დაკვირვებული შესწავლა მეტყველებს მწერლის პოლიტიკური სიმპათიის სასარგებლოდ.

ლ. არდაზიანი თავის რომანებში გაკვრით, მაგრამ მაინც შთაბეჭდილების მომხდენად, შეეხო ბიუროკრატ მოხელეთა უმსგავს საქციელს, მიუთითა უსამართლობაზე აგებულ მათი „საქმიანობის“ რაობაზე. ამ გარებოებამ მისცა საფუძველი გ. თუმანიშვილს, რომ ეთქვა: „მეჯღანუაშვილის“ კითხვის დროს ჩვენ დავრწმუნდით, რომ იმის ავტორს შეეძლო დაეწერა ახალი მოთხრობა, სადაც გამოყვანილი ყოფილიყო მშვენიერად ჩვენი ჩინოვნიკობაო“.

ლ. არდაზიანის რეალიზმის სიძლიერესა და ავტორის მხატვრულ ოსტატობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მან შექმნა ტიპიური სახეები. ტიპის შექმნა კი რეალიზმის პრინციპების მოხდენილი მომარჯვების შედეგია.

ლ. არდაზიანმა თავისი რომანებით პირველად მოხაზა მხატვრული ჩარჩო სოციალური რომანისა; მისცა ჩვენს მწერლობას მაგალითი სოციალური შინაარსის მქონე რომანის სიუჟეტური განვითარებისა და კომპოზიციური გამართულობისა.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ისიც, რომ ლ. არდაზიანის ფილოსოფიურ შეხედულებებს საფუძვლად უდევს ეთიკურ-სოციალური მოძღვრება. იგი ქადაგებს ინდივიდუალურ სათნოებას (მორჩილებას, მეგობრობას, თანაგრძნობას და სხვ.). მისი შეხედულებით, ბედნიერი არ შეიძლება იყოს ის, ვინც უსამართლობას ჩადის, სამართლიანობა განსაზღვრავს ადამიანის სულიერ სიმშვიდეს; უსა-

[1] გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 215.

მართლოდ დასჯილი ნაკლებ უბედურია, ვინემ უსამართლობის ჩამდენი. ამიტომაა, რომ მან შურისძიება არ აპატია ისეთ კეთილ ადამიანსაც, როგორიც სოლომონი იყო უკანასკნელად. სოლომონი საქვეყნოდ აცხადებს, რომ უფრო მეტად დაიტანჯა სარქისბეგაშვილის ტანჯვით, ვინემ თვით სარქისბეგაშვილი. ამ „ცოდვამ" საბოლოოდ მოუღო ბოლო მის ბედნიერებას. უსამართლობის ჩადენის მსხვერპლი გახდა თვითმურაზის ბედნიერებაც.

მაგრამ სამართლიანობის იდეის ქადაგება ლ. არდაზიანს ხელს არ უშლიდა ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური დამოკიდებულების შესაძლებლობაც დაეშვა.

ლიტერატურის მთავარ დანიშნულებასაც ლ. არდაზიანი ადამიანთა მორალურ-ზნეობრივი აღზრდის ფუნქციაში ხედავს. ხოლო იმ გარემოებამ, რომ მისი ინტერესები, ძირითადად, ეთიკურ-სოციალური ხასიათისაა, გარკვეულად განსაზღვრა მისი შემოქმედების ბუნებაც. ეს თავისებურება შედარებით ცხადად გამოვლინდა „მორჩილში".

თავისი მხატვრული შემოქმედება ლ. არდაზიანმა შეავსო და გაამდიდრა პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებით. ამ უკანასკნელ სფეროშიც ლ. არდაზიანი, უმთავრესად. მხატვარია („მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე").

პუბლიცისტურ და კრიტიკულ ნაწერებში ლ. არდაზიანმა თავი გამოავლინა, როგორც ფილოსოფიურად განათლებულმა, ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგადი საკითხების მცოდნემ და პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწემ.

მან პირველმა მიაქცია ყურადღება ქართული პროზაული ჟანრის ჩამორჩენას და მის მიზეზებს; მწერლობის წინაშე დააყენა საკითხი საწერლო ენის არქაული ფორმებისაგან განთავისუფლებისა და ხალხურ ენასთან დაახლოების შესახებ. ამასთან, სწორად შეაფასა ის როლი, რაც ამ ამოცანის შესრულებაში შეეძლო ეთამაშა ლიტერატურულ კრიტიკას. ამით მან ამ ჩამორჩენილ უბანსაც (კრიტიკას) საბრძოლო ამოცანა დაუსახა და საზოგადოებრივ აზრს აგრძნობინა მისი განვითარების აუცილებლობა.

ლ. არდაზიანი მთელი თავისი მოღვაწეობით გვევლინება აქტიურ მონაწილედ იმ ლიტერატურული ტრადიციებს დამკვიდრებაში, რომელმაც განაპირობა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებით შეიარაღებული ქართველი მესამოციანელების სამოღვაწეო ასპარეზზე გაბედული გამოსვლა და ძლევამოსილი გამარჯვება.

დანიელ ჭონქაძე

I. ცხოვრების გზა

გასული საუკუნის 50-იანი წლების მოწინავე მწერალთა პლეადიდან, რომელიც ვალმოხდილი შეეგება სახელოვან სამოციანელებს, სიმპათიურად გამოიყურება დანიელ ჭონქაძის ოპტიმისტური სახე.

დანიელ ჭონქაძის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე მეტეორის გამოჩენას ჰგავდა. მისმა „სურამის ციხემ" ადვილად დასანახი გახადა სოციალური უკუღმართობით დანისლული სამყარო. იმედგაღვივებულმა მკითხველმა თვალი მიაპყრო ბოროტებით აღსავსე სინამდვილეს და მისი კრიტიკული შეფასება დაიწყო; უსამართლობის მოყვარულნი შეშინდნენ და მიმალვა ამჯობინეს. მაგრამ ეს მახვათობელი შუქურა მეტად უდროოდ მოწყდა კაბადონს, თითქოს იმიტომ, რომ თავისზე ძლიერი მნათობისათვის დაეთმო ადგილი.

დ. ჭონქაძის მიერ გაბედულად დაწყებული საქმე დიდმა „თერგდალეულებმა" დააგვირგვინეს, ხოლო მათ ნიჭიერ წინამორბედს, ხანმოკლე მოღვაწეობის მიუხედავად, მშობლიური ლიტერატურის ისტორიამ გული გაუხსნა და სამუდამოდ შეიფარა.

დ. ჭონქაძემ თავისი სახელი უკვდავი გახადა მოთხრობა „სურამის ციხით". მხოლოდ ამ ერთადერთი ნაწარმოების დამთავრება და გამოქვეყნება მოასწრო მწერალმა.

მძიმე და ხანმოკლე იყო დ. ჭონქაძის ცხოვრება, რომელიც ოცდაათი წლის ფარგლებს ვერ გასცდა.

დ. ჭონქაძე დაიბადა 1830 წელს, დუშეთის რაიონში, სოფელ ყვავილში. თავის წარმოშობით დანიელი გლეხთა წოდებას ეკუთვნოდა. მისი მამა—გიორგი ღარიბი მღვდელი იყო. მაგრამ დანიელმა

არ ისურვა შეკედლებოდა „ღვთის მოსაყთა“ წოდებას. 1856 წლის იანვარში, თავისი თხოვნის საფუძველზე, სინოდის დადგენილებით იგი ამორიცხულ იქნა სასულიერო წოდებიდან.

სასულიერო სემინარიის მასწავლებლისა და სინოდალური კანტორის თანამშრომლის ასეთი ნაბიჯი ამ წოდებისადმი დიდი სიძულვილით აიხსნება. ეს სიძულვილი მთელი გაბედულებით გამოხატა მან „სურამის ციხეშიც“, სადაც „სულიერი მამები“ გამომეღავნებულნი არიან, როგორც ყმით მოვაჭრენი და ფეოდალთა ჯაშუშები.

დანიელის მამა, გიორგი, 40-იან წლებში მისიონერად ყოფილა ოსეთის სასულიერო კომისიაში. მას დიდი ენერგია დაუხარჯავს ქრისტიანობის გასავრცელებლად ოსთა შორის. სამაგიეროდ, როგორც ქრისტიანობის თავდადებულ მქადაგებელს, მაჰმადიან ოსთა სიძულვილი დაუმსახურებია. ამის შედეგი იყო, რომ 1845 წელს გიორგის თავს დაესხნენ ოსები და სიცოცხლეს გამოასალმეს.

მწერლის დედა — მელანია საკმაოდ განათლებული და ქმარშვილის დიდი მოყვარული ქალი ყოფილა; შვილების აღზრდას (დანიელს ჰყავდა დებიც) უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდა.

1838 წელს, გიორგის თავისი ოჯახი ვლადიკავკაზში (ამჟამად ძაუ-ჯიყაუ) წაუყვანია, ვინაიდან მაშინ იქ უხდებოდა მუშაობა. დანიელსაც ზედმიწევნით შეუსწავლია ოსური ენა, რომლის ცოდნა შემდეგში კარგად გამოიყენა.

1839 წელს დანიელი შევიდა ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1845 წელს დაამთავრა. მაგრამ ბავშვი მაინც არ ივიწყებდა მშობლიურ ენას: ქართული წერა-კითხვა დანიელს ჯერ კიდევ სამშობლო სოფელში ჰქონდა შესწავლილი, დედის ხელმძღვანელობით.

სასულიერო სასწავლებელში ყოფნისას დ. ჭონქაძე ითვლებოდა ერთ-ერთ სანიმუშო მოწაფედ, რომელიც არ იზღუდებოდა ოფიციალური სახელმძღვანელოებით და კითხულობდა ყველაფერს, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა.

ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებლის დამთავრებისთანავე დანიელი თბილისში გადმოდის და შედის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1851 წელს დაასრულა.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, „სემინარიაში სწავლის დროს, იგი თურმე მხურვალედ კითხულობდა იმ დროის საუკეთესო რუსულ წიგნებს... მის ახლო მცნობთა სიტყვით, დანიელ ჭონქაძეს დიდათ ჰყვარებია გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ კითხვა; კითხულობდა აგრეთვე

ბელინსკის ნაწერებსაც, რაც მაშინ სემინარიის სამკითხველოშია(ც) მოიპოვებოდა“ [1].

სემინარიაში სწავლის დროს, დ. ჭონქაძე კვლავ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. მისთვის ამჯერად მისაწვდომი იყო მეტად მდიდარი ლიტერატურა, რომელსაც სემინარიაში არ ასწავლიდნენ. მაგრამ კერძო პირები მაინც ავრცელებდნენ.

სემინარიის დამთავრების შემდეგ დ. ჭონქაძე დაუნიშნავთ სტავროპოლის სემინარიაში, ოსური ენის მასწავლებლად. სტავროპოლში დანიელს 1855 წლის აპრილამდე დაუყვია.

სამშობლო კუთხიდან მოცილებული დანიელი და მისი ოჯახი (დედა და უმცროსი და—ეკატერინე), ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ, ეკონომიურ ხელმოკლეობას განიცდიდა. ამას მოწმობს დანიელის უფროსი დის მიერ დედისა და და-ძმისადმი მიწერილი წერილიც, რომელშიც ვკითხულობთ: „...საცოდაობა აღარ მასვენებს და მიწვამს გულს და ნაწლავს, როდესაც წარმომიდგება საცოდაობა და უცხო ქვეყანაში მწუხარება თქვენი...ნეტავი ღმერთმა მაღირსოს დანიელისა და ეკატერინეს ბედნიერება...გეთაყვა, შენი სულის ჰირიმე ძმაო დანიელ, წიგნი მომწერე შენი თითების ჰირიმე და ეკატერინეს უთხარი წიგნი მომწეროს. დანიელ, რატომ ეგრე მძიმეთ იქცევი და ეკატერინეს არ უპატრონებ. შენ კაი კაც მიეც და ფულისა მე ვიცი. თითონაც (თავის მეუღლეზე ამბობს.—დ. გ.) მოგახსენებს, თუ მშვიდობით ვარო, გიორგობამდინ ეკატერინეს ოც თუმანს გაუგზავნიო...დანიელ, შენთვის კარგ ქამარს ვატან მოსიას...და ჩოხასაც გიყიდი კარგსაო“ [2].

სტავროპოლში ყოფნისას დანიელი დაქორწინებულა (ანნა თევდორეს ასულ ფეოდოროვაზე) და მალე (1855 წ. აპრილი) თბილისში გადმოსულა საბოლოოდ.

თბილისში იგი მსახურობდა სასულიერო სემინარიაში, ოსური ენის მასწავლებლად და თავისი ხასიათის წყალობით სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ნაცნობ-მეგობართა შორის.

დ. ჭონქაძეს, რომელიც ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს გატაცებული ყოფილა ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და სხვა რუს რევოლუციონერთა ნაწერებით, შეუდგენია თავისი წრე, სადაც სხვებსაც აცნობდა მათ იდეებს.

მწერლის ერთ-ერთი ბიოგრაფი წერს: „როცა დანიელი სტავროპოლიდან გადმოიყვანეს და ის ტფილისში დასახლდა, მან შე-

[1] ზ. ჭიჭინაძე. დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებიდან 50 წელი, გაზეთი „ახალი აზრი“, 1910 წ., № 4.

[2] საქ. სსრ. სახ. მუზეუმი, ხელნაწერი Hd—5751.

ადგინა ახალგაზრდათა წრე, რომელიც იკრიბებოდა დანიშნულ დროს. ამ კრების დროს ეს ახალგაზრდები რუსეთის გამოჩენილ მწერლების შესანიშნავ ნაწერებს კითხულობდნენ და იმათი გარჩევის და კრიტიკის დროს არკვევდნენ და მსჯელობდნენ თანამედროვე საჭირბოროტო საკითხებზე, განსაკუთრებით ბატონყმობაზე. ჩვენ არ ვიცით ვისგან შედგებოდა ეს წრე, ვიცით მხოლოდ, რომ დანიელის გარდა მაშინდელ ჩვენ მოღვაწეთაგან მხოლოდ ლ. არდაზიანი ღებულობდა მონაწილეობას. ბ-ნ იოს. ინდუაშვილმა, რომელმაც ჩვენ დ. ჭონქაძის ცხოვრება გვიამბო და რომელიც ზევით მოხსენებულ წრეში ღებულობდა მონაწილეობას, თავის საუბარი ასე დაამთავრა: „ჰე! ბევრი ბრწყინვალე იმედები და განზრახვა გვქონდაო“ [1].

თბილისში ცხოვრებით დანიელი კმაყოფილი იყო, მაგრამ თავს დაატყდა მეტად მძიმე უბედურება: მალე გარდაეცვალა საყვარელი მეუღლე, რომელიც ძეობის მსხვერპლი შეიქმნა.

ცოლის გარდაცვალებას ძალიან ცუდად უმოქმედნია დანიელზე, მაგრამ წიგნების კითხვით შეუმსუბუქებია მწუხარება. თანაც, მთელი ფიქრები ერთადერთი შვილის—გიორგის აღზრდაზე გადაუტანია. გიორგის დედის მაგივრობას უწევდა მამიდა ეკატერინეც.

სემინარიიდან მიღებული ხელფასი (წელიწადში 200 მანეთი), ვერ აკმაყოფილებდა დანიელის აუცილებელ მოთხოვნილებებს, ამიტომ იძულებული იყო კერძო სამუშაოებიც აეღო. „აქ მას უშველა ოსური ენის ცოდნამ. სასულიერო მთავრობას იმ დროს ძლიერ ესაჭიროებოდა ოსური ენის მცოდნე _და დ. ჭონქაძე ამ მხრით ყველაზე უფრო გამოსადეგი იყო. დანიელს ჩქარა მისცეს ადგილი სინოდალურ კანტორაში, ჯერ კერძოთ და 1859 წლიდან კი ჩარიცხულ იქნა შტატში, როგორც მაგიდის უფროსი. აქ მეტად სწყალობდა მას სინოდალური კანტორის პროკურორი ტიურინი, რომელმაც მიანდო დანიელს, სხვათა შორის, საეკლესიო წიგნების თარგმნა ოსურ ენაზე. ტიურინის წინადადებით, დ. ჭონქაძემ გადათარგმნა ოსურ ენაზე რამდენიმე საეკლესიო წიგნი, სხვათა შორის, კურთხევანი, რისთვისაც მან ჯილდოდ მიიღო 350 მანეთი“ [2].

ერთი მხრივ, მწუხარებამ მეუღლის უდროოდ გარდაცვალების გამო და ფიქრმა შვილის აღზრდაზე, ხოლო მეორე მხრივ, განუწყვეტელმა შრომამ — დანიელის ჯანმრთელობა გატეხა.

---

[1] ფ. მახარაძე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 1932 წ., გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 14.

ამ ხანებში მან ხელი მოჰკიდა მეცნიერულ მუშაობასაც. საიმპერატორო აკადემიამ მას მიანდო რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო კარგად დაწყებული საქმე ვერ დაასრულა.

ცოლისძმისადმი მიწერილ წერილში, რომელიც დაწერილია უკვე ლოგინად ჩავარდნილი მწერლის მიერ, ვკითხულობთ: „В позапрошлом году Императорская Академия Наук поручила мне составить Осетинский словарь и я принялся за этот труд со всею энергиею, свойственною молодому человеку, желающему составить себе карьеру, но не успел составить на три буквы словарь, как со мною случилось кровохаркание“...

როგორც თვითონ აღნიშნავს, დანიელს ოსურ ენაზე უთარგმნია ვასილ დიდის წირვა, ხალხური ანდაზები, თქმულებები და ზღაპრები. ამასთან, დაუწერია ნაშრომი კურთათინის ოსების შესახებ. ჰქონებია აგრეთვე სხვა ძველი ხელნაწერებიც, რომლებიც შემდეგ ანდერძით შვილს დაუტოვა.

ტუბერკულოზით დაავადებულ დანიელს უკანასკნელ დროს სისხლის ძლიერი ღებინება დააწყებინა. მას თითონ არ ცოდნია რით იყო ავად, რის გამო სისხლის ღებინების დროს საშველად მოხმობილ დალაქისათვის ნება დაურთავს სისხლი გამოეღო დამატებით, რასაც კინაღამ თან გადაყოლია, მაგრამ დიდხანს მაინც აღარ უცოცხლია.

ტუბერკულოზით დაავადებულმა დანიელმა უარი განუცხადა მეცნიერებათა აკადემიას ლექსიკონზე მუშაობის გაგრძელებაზე. სამაგიეროდ ამ ხანებში მას დაუწერია თავისი ერთადერთი მოთხრობა „სურამის ციხე“, რომელმაც დიდი უსიამოვნება მიაყენა მწერალს სიცოცხლეში, მაგრამ სამუდამოდ უკვდავყო მისი სახელი.

„სურამის ციხე“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“; პირველი ნაწილი—1859 წელს, მეთორმეტე ნომერში, ხოლო მეორე ნაწილი—1860 წელს, პირველ ნომერში.

„სურამის ციხის“ დაწერის შესახებ დ. ჭონქაძე ცოლისძმას ატყობინებდა: „...Я взялся за грузинскую литературу (у нас здесь издается на грузинском языке журнал и молодежь всеми силами поддерживает его. Национальное чувство пробуждается) и написал одну повесть под заглавием „Сурамский замок“. Повесть была очень благосклонно принята публикою, кроме некоторых невежд помещиков, которых я задел крестьянским вопросом. Поощренный таким успехом я

принялся за новый труд, но бог не дал мне докончить его".

როგორც ვხედავთ, „სურამის ციხე" სიამოვნებით მიუღია მკითხველს, მაგრამ გაჯავრებულა ზოგიერთი მემამულე, რომელსაც თავისი თავი უცვნია მოთხრობაში. წარმატებით აღფრთოვანებული ავადმყოფი მწერალი ახალი ნაწარმოების დაწერას შედგომია, მაგრამ ველარ დაუსრულებია. დაუმთავრებელი მოთხრობა დაკარგულა, ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. მოთხრობის სათაური ყოფილა — „ვისი ბრალია". სავარაუდებელია, რომ დანიელი ამ შემთხვევაში განიცდიდა გერცენის რომანის („Кто виноват?") ერთგვარ გავლენას.

ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს „ცისკრის" რედაქტორის—ი. კერესელიძის ნათქვამს: „სურამის ციხეს"...ძლიერ კითხულობდნენ ხალხში; როცა მოთხრობა დაიბეჭდა, მოკლე ხანში ისე გაიყიდა („ცისკარი".—დ. გ.), რომ პოვნაც აღარ შეიძლებოდა. ეს გარემოება, ანუ ხალხისაგან ისე მალე შეყვარება და კითხვა თვით დანიელ ჭონქაძესაც გაეგო და ამ გარემოებით ნასიამოვნები იყო და სხვა ასეთი მოთხრობების წერასაც აპირებდაო" [1].

ცხადია, მოსალოდნელი იყო, რომ „სურამის ციხის" ავტორს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და მაღალმხატვრული ნაწარმოები დაეწერა, მაგრამ შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში ჯანმრთელობამ უღალატა.

ჩვენ გვაკვირვებს მხნეობა და ოპტიმიზმი ფილტვებდაცრეცილი მწერლისა, რომელიც სიკვდილს სავარძელზე ელოდებოდა, მაგრამ ვულს მაინც არ იტეხდა და საკუთარ თავს უკანასკნელ ენერგიას სტაცებდა, რათა სუსტ სხეულში აბობოქრებული შემოქმედებითი ცეცხლი ამაოდ არ ჩაქრალიყო.

„სურამის ციხის" გამოქვეყნების რვა თვით ადრე, 1859 წლის 6 აპრილს, დ. ჭონქაძეს დაუწერია ანდერძი, რომლის წაკითხვა დღესაც განსაკუთრებულად გვაღელვებს.

— „შეპყრობილი ისეთი ავადმყოფობით,—წერს სნეული მწერალი,—რომლის მორჩენაც არ შეიძლება, და დღითი დღე სიკვდილის მომლოდინე, მტკიცე შეგნებით ვწერ ანდერძს: 1. ჩემი ნების ამსრულებელნი იქნებიან ჩემი და ეკატერინე პავლიევისა და სიძე—მღვდელი გრიგოლი; 2. მეურვე ჩემი ობოლის იყოს ჩემი სიძე გრიგოლ პავლიევი და მზრუნველობა დაივალოს ჩემმა დამ ეკატერინემ, რომელიც დაბადებიდანვე დედის მაგივრობას უწევდა...

მამული, რომლის მეურვე იქნება ჩემი სიძე, მდებარეობს დუშეთის მაზრაში, სოფ. ყვავილში. ეს მამული შედგება სახნავი მი-

[1] ზ. ჭიჭინაძე. დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებიდან 50 წელი, გაზეთი „ახალი აზრი", 1910 წ., № 4.

წისაგან და ბაღისაგან არაგვის პირში, რაც კარგად იცის ჩემმა დამ; 3. მე დამასაფლავეთ გაუზვიადებლად, უბრალოდ, თუ ტფილისში გარდავიცვლები—ცოლის გვერდით, თუ სოფელში—დედის გვერდით; 4. ჩემი შვილის მეურვეს შეუძლია გაყიდოს ყველა ჩემი ნივთები მთავრობის ჩაურევლად, ფული მოიხმაროს—ნაწილი ჩემს დასაფლავებაზე, ნაწილი ჩემი შვილის აღზრდაზე; 5. არ გაიყიდოს მხოლოდ ჩემი ძველი ხელთნაწერები, შენახული იქნეს შვილისათვის; 6. ვთხოვ ყველა ჩემ ნათესავებს ანუგეშონ საწყალი ჩემი და. ის გაუფრთხილდეს თავს მისი და ჩემი ბავშვის გულისთვის...რა გულდამშვიდებით მოვკვდები, რომ ვიცოდე, რომ ის გულგრილად გადაიტანს ჩემს სიკვდილს...

7. ჩემი ლოცვა-კურთხევა ყველა ჩემ ნათესავებს და ვთხოვ მაპატიონ, თუ ვისმე ვაწყენინე რამე. ამას ვთხოვ ჩემ მეგობრებსაც ნიკოლოზ ბერძენოვს, ალექსი პეტროვს და იოსებ ინდოევს, აგრეთვე ყველა ჩემს თანამოსამსახურეს...არავისთვის ცუდი არ მინდოდა, პირიქით ყველას პატივს ვსცემდი. 8. ვთხოვ იოსებ ივანეს-ძე ინდოევს მისწეროს ტიურინს და, თუ ეს უკანასკნელი მოინდომებს, გაუგზავნონ ჩემი ნაშრომები ლექსიკონისათვის—როგორც რვეულები, ისე ბარათები, ვასილი დიდის წირვის თარგმანი, ანდაზები და თქმულებები, აგრეთვე ზღაპრები ოსურ ენაზე [1] და ჩემი შენიშვნები კურთათინის ოსების შესახებ... მეტი არაფერი მაქვს დასაწერი. ერთადერთი ჩემი თხოვნაა ყველასთან: ანუგეშეთ ჩემი და, გეცოდებოდეთ ჩემი ობოლი..." [2]

ამ ანდერძის აქ მოყვანა საჭიროდ დავინახეთ იმიტომ, რომ იგი მხოლოდ მშრალი ანდერძი არაა, მასში რიგი ბიოგრაფიული მასალაა, თანაც მწერლის ადამიანური ბუნების სარკეა.

ასეთ განცდებში იყო მწერალი „სურამის ციხეს" რომ წერდა და აქვეყნებდა. თავისი დაბეჭდილი მოთხრობა მან ლოგინში წაიკითხა; კითხვაც ძლივს შეეძლო: „ხელები მიკანკალებს სისუსტისაგან. ოჰ, რა სუსტად ვარ, რომ იცოდეთო!"—სწერდა ცოლისძმას, ამ ხა-

[1] დ. ჭონქაძის ნაშუშევარი რუსულ-ოსური ლექსიკონისათვის დაცულია საქ. სახ. მუზეუმში (S—1041), ხოლო ხალხური შემოქმედების ტექსტები დაიბეჭდა („Осетинские тексты, собр. Д. Чонкадзе и В. Цороевым. Записки АН. т. XIV, 1868 г.".

[2] 1860 წლის ხეთ მარტს, ანდერძს დამატებული აქვს ასეთი მუხლი: „მერვე მუხლს ამ ანდერძისას ვაუქმებ ზოგიერთი გარემოებების გამო. ამის მაგივრად—შენიშვნები კურთათინის ოსების შესახებ გადაეცეს ბერძენოვს, რომელიც, თუ საჭიროდ დაინახავს, დაბეჭდოს სადმე ჟურნალში, დაალაგოს, როგორც უნდა; ღალაგება აკლია იქ. თორემ ფაქტები ბევრია..."

ანდერძი დართული აქვს „სურამის ციხის" 1932 წლის გამოცემას, რომელიც გამოსულია პროფ. მ. ხანდუკელის რედაქციით.

ნებში დანიელი, თანაც მეორე მოთხრობის დამთავრებაზე ფიქრობდა!

დანიელ ჩონქაძე გარდაიცვალა 1860 წლის 16 ივნისს.

ქ. თბილისში, კიროვის სახელობის პარკში გამვლელის ყურადღებას იქცევს ორად-ორი საფლავი, რომლებიც შემოსილია ყვავილნარით. ერთი მათგანის ქვაზე გარკვევითაა წარწერილი:

„დანიელ ჩონქაძე
1830—1860
„სურამის ციხის“ ავტორი“.

მეორე საფლავი დანიელის უდროოდ დაღუპული მეუღლისაა. ისინი დასაფლავებულნი იყვნენ ვერის ძველ სასაფლაოზე, საიდანაც აღარ გადაუსვენებიათ და დარჩნენ გამწვანებულ პარკში. უსამართლობის წინააღმდეგ გაბედული მებრძოლის საფლავს ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობა მადლიერების გრძნობით ათვალიერებს.

აღსანიშნავია, რომ დ. ჩონქაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნეკროლოგიც ვერ გამოაქვეყნა „ცისკარმა“, რომელიც მისი მოთხრობის წყალობით ხელიდან-ხელში გადადიოდა.

რა ექნა მადლიერ რედაქტორს და კიდევ უფრო მადლიერ მკითხველს! „სურამის ციხით“ გამწარებულ ბობოლებს არ სურდათ ეგლოვათ სიმართლის მთქმელი მწერალი.

ზ. ჭიჭინაძე წერს: „ივ. კერესელიძემ სთქვა: ჩემთვის დანიელის სიკვდილი, მეხის დაცემა იყო. მე იმედი მქონდა, რომ მისი მოთხრობებით „ცისკარს“ ხალხში გავავრცელებდიო“. მისივე გადმოცემით, ი. კერესელიძე დ. ჩონქაძის კუბოს დამხობია და ისე ხმამაღლა დაუწყია ტირილი, რომ „ზოგს იქ მყოფს დანიელ ჩონქაძის ნათესავი ჰგონებიათ. გამწარებულს ლექსიც მიუძღვნია“...

აი, ი. კერესელიძის ეს ლექსი:

— „ყმაწვილო კაცო, მშვიდობით! მაგრამ გვითხარი რა არის,
რომ აგრე ადრე დაგეტოვე, შენს მშობელ მამულს ესალმი?
ვინ რა შეგცოდა ისეთი, ან ვინ გაკადრა შენ წუენა,
რომ პირი გამომეტყველი არღა გიქმნიეს ჩვენკენა!
ხარის კვნესის ხმა მომესმის, გულსა მომჰვალავს ვით სენი,
გვაწუხებს ის, რომ გვშორდები, საგულებელი ძმად ჩვენი.
რათა და რისთვის შამოგეწყერ, რა დაგიშავეთ ისეთი,
რომ ხმას არა გვცემ, მოვსულვართ ერთობრივ შენნი მოძმენი.
სიმართლეზედან გიყვარდა ხშირად სჯა, ძმაო, მხურვალედ,
ახლა გჰვრეტ, წევხარ დუმილით, თითქოს შექმნილხარ მწუხარედ,
ყურს დაგვიგდებდი, როდესაც გეტყოდით რასმე მართალსა,
აწ ხმას გცემ, მიხვალ, არ მისმენ თითქოს რომ შორით სავალსა,
გუშინ გლეხ-კაცსა ჰგარავდი, ვლიდი მათ საქმეს ახალსა,
დღეს ყურს არა თუ ათხოვებ,—აღარც კი აძლევ სალამსა“.

ი. კერესელიძემ მოახერხა მხოლოდ უბრალო განცხადების („რედაქციისაგან") გამოქვეყნება, რომელშიც ეკითხულობთ: „ცისკრის" რედაქციამ თავის სამწუხაროდ დაჰკარგა ერთი თავის თანამშრომელთაგანი, რომელიცა მოჰსცემდა ჩვენს ლიტერატურას დიდს იმედს თავისის მწერლობით: 16 ივნისს ამ წლისას, გარდაიცვალა ოცდაათის წლის ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი დანიელ ჭონქაძე. ვისაც დაკვირვებით წაუკითხავს ამ განსვენებულის თხზულება „სურამის ციხე", ის უეჭველია უკეთ დააფასებს რედაქციის დანაკარგსა. ბევრი კარგი კეთილის განზრახვა ჰქონდა, მაგრამ ყოველივე ჩაუშალა უდროოთ სიკვდილმა. არ არის ეჭვი, რომ დარჩებოდა დანიელ ჭონქაძეს რამდენიმე თხზულება, რომლისთვისაც ვთხოვთ იმასთან დაახლოებულ მეგობართაგან გადმოჰსცენ რედაქციაში დასაბეჭდავათ და ამასთანავე აცნობონ განსვენებულის ცხოვრების აღწერა, რომელთაც დიდათ დაგვავალებენო"[1].

მიუხედავად ასეთი თხოვნისა, „ცისკარში" არც დანიელის ცხოვრების აღწერა დაბეჭდილა და არც მისი ხელნაწერები აღმოჩენილა. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, გაანადგურეს ტუბერკულოზის შიშით.

დ. ჭონქაძის გარდაცვალების სამი წლის თავზე, 1863 წლის ივნისში, „ცისკარში" დაიბეჭდა ა. წერეთლის ლექსი „მოგონება", რომელიც მიძღვნილია მწერლის ხსოვნისადმი, ადრესატის გვარისა და სახელის მითითების გარეშე.

ა. წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევს დ. ჭონქაძეს, როგორც ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლსა და მშრომელი გლეხობის ინტერესთა დამცველს.

აკაკი თავის ლექსში ამბობს:

— ჰაი წარმომიდგა თვალწინ ჰაბუკი...
გაჭირვებისგან რომ ცრემლსა ღვრიდა,
მაგრამ მტკიცე და პატიოსანი,
უფროსების წინ თავს არა ჰხრიდა.

პირმოთნეობით, ის დაჩაგრული,
არავის სთხოვდა თვის წარმატებას
და, სიმართლისთვის თავგანწირული,
აღიარებდა ჭეშმარიტებას.

უშლიდა მოძმეთ სულით მდაბლობას.
ჰგმობდა მათ შორის ის უპირობას,

[1] „ცისკარი", 1860 წ., № 7.

მაგრამ ეტყოდენ რაგვარ მადლობას?
ემუქრებოდენ ტყავის გაძრობას!

„გამოახილეთ, ამბობდა, თვალი.
შეიტყვეთ გლეხიც თქვენი ძმა არის!"
და რას ისმენდა ნაცვლად საწყალი?
— „ჩუ, თორემ ცხვირში წაგსკდება ძმარი!"

დაჩაგრულს გლეხებს ეფერებოდა,
დიდკაცებს ჰგმობდა პირუთნეველად,
მისთვის მას ყველა ემტერებოდა...
ყველას მიაჩნდა საზიზღარ გველად!

„შიმშილ-წყურვილით გახდა ის ავად,
მისი დაცემა ყველამ იხარა;
მოკვდა საბრალო გაუკითხავად
და საუკუნოდ მიწამ დაჰფარა,

ოჰ, უგნურებავ! ოჰ, საძაგლობა!
ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი;
მას მოიგონებს შთამომაელობა
და მას უგალობს აწ წმინდა ქნარი".

კიდევ უფრო ადრე დ. ჭონქაძის ღვაწლი და მისი „სურამის ციხის" მნიშვნელობა საფუძვლიანად შეაფასა ანტონ ფურცელაძემ. მას შემდეგ დაედება საფუძველი მის შესწავლას, მაგრამ მწერლის სრული დაფასება მხოლოდ ჩვენს ეპოქაში მოხდა.

II. „ხურამის ციხე“ და მისი ადგილი ძართული ლიტერატურის ისტორიაში

1

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს, როცა „ყირიმის ომმა გამოააშკარავა ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება“ (ლენინი), პროგრესულად მოაზროვნე რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა განსაკუთრებულად გააძლიერეს ბრძოლა ბატონყმური სისტემის მოსპობისათვის.

რევოლუციური სიტუაციის მომწიფების გამო შეშინებული ალექსანდრე მეორე იძულებული გახდა ეფიქრა ბატონყმობის გაუქმებაზე ზევიდან.

არალეგალურ და ლეგალურ რუსულ რევოლუციურ პრესაში აშკარად გაისმა ხმა ჩაგრულთა მგზნებარე დამცველებისა. ჟურნალები: „კოლოკოლი“ და „სოვრემენიკი“ შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ჩამორჩენილობის, ბოროტებისა და უსამართლობის მთავარი წყაროს—ბატონყმობის წინააღმდეგ. ოფიციალურ წრეებშიც კი დაიწყო მსჯელობა ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ მათ აფიქრებდათ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გაეტარებინათ საგლეხო რეფორმა, მემამულეთა ინტერესები რომ არ შელახულიყო.

ქართველი თავადაზნაურობისათვის აშკარა გახდა, რომ საგლეხო რეფორმების მოქმედების არე მხოლოდ რუსეთის ტერიტორიით ვერ შემოიფარგლებოდა. ისინი განსაკუთრებით დააფიქრა იმპერატორის სიტყვებმა: „უკეთესია გავანთავისუფლოთ ზ[illegible]კიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხობდნენო“. 1858 წლის „ცისკრის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა შინაარსი ალექსანდრე მეორის სიტყვისა, რომელიც მას მოსკოვის კეთილშობილთა წინაშე წარმოუთქვამს 1858 წლის 3 აგვისტოს.

თავადაზნაურული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეეცდნენ ბატონყმობა საქართველოში პატრონყმობად წარმოედგინათ და მისი გაიგივება რუსულ ბატონყმობასთან შეცდომად გამოაცხადეს.

მოღვაწეთა ეს ჯგუფი ამით ვარაუდობდა ჩაეკლა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ტენდენცია ქართველ გლეხობასა და მათი ინტერესების დამცველ მოწინავე მოაზროვნეთა შორის.

ბატონყმური ურთიერთობისა და თავადაზნაურთა ინტერესების ოფიციალური დაცვა, პირველმა, ალ. ორბელიანმა იკისრა.

1859 წლის „ცისკრის“ მეთერთმეტე ნომერში დაიბეჭდა ალ. ორბელიანის წერილი — „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“, რომელშიც ავტორი „ამტკიცებდა“, რომ „საქართველოში მებატონეთ ყმობა მონად... არ ითქმის. მართალია, სიტყვა ყმობა არის, მაგრამ საქმე მონებას არ აცხადებს.

უწინდელ დროში, გარეშე კაცი იმას ეძებდა: მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოო, ამისათვის რომ მებატონე თავის ყმასა შვილისავით ყურს უგდებდა და შვილის მზგავსად გული სტკიოდა ყმისათვის“. „როდესაც მებატონე და გლეხი ერთად იქნებოდნენ, გლეხი მებატონის პატივისცემაში იყო, ვითარცა მამისა და მებატონე სიყვარულს აჩვენებდა გლეხსა, ვითარცა საკუთარსა შვილსა. ასე და ამგვარად იყვნენ ერთი ერთმანეთში გაერთიანებულნი მებატონენი გლეხებთან, წრფელის გულითო“.

ასეთი „მამაშვილური“ დამოკიდებულება ძველად, ალ. ორბელიანის შეხედულებით, განმტკიცებული იყო საღმთო წესებისა და ქრისტიანული მოძღვრების წმინდად დაცვის წყალობით. იგი ეწევა აგიტაციას რელიგიის დაცვის მიზნით, რაც საბოლოო ანგარიშით ბატონყმური სისტემის დაცვასა და შენარჩუნებას ემსახურებოდა.

ალ. ორბელიანი მარტო არ იყო. როგორც ბატონყმობის გაუქმებისათვის უშუალო მზადების პერიოდში გამოირკვა, ალ. ორბელიანის შეხედულებებს იზიარებდა ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწეც, მათ შორის ცნობილი პოეტი გრ. ორბელიანიც.

ძველი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც აშკარა კონსერვატორებად გვევლინებიან სოციალურ საკითხებში, ილაშქრებდნენ არა ბატონყმური სისტემის, არამედ მხოლოდ ცალკეულ მებატონეთა „შეუფერებელი“ საქციელის წინააღმდეგ. მათ არ შეეძლოთ დაეფარათ ის აშკარა ფაქტები, რომლებიც მებატონეთა თავგასულებაზე მეტყველებდნენ, მაგრამ ამ გარემოებაში ხედავდნენ არა

ბატონყმური ურთიერთობის კანონზომიერ შედეგებს, არამედ ძველი პრინციპებისაგან გადახვევას.

ამ მცდარ და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე შეხედულებას პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა დაუპირისპირეს ჭეშმარიტი აზრი ბატონყმური სისტემის უვარგისობის, დრომოჭმულობის, უსამართლობისა და ბოროტების შესახებ. მათი სამართლიანი თქმით, ყოველგვარი ბოროტების წყარო ბატონყმური ურთიერთობის საფუძველში უნდა ვეძიოთ. მათ აშკარა გახადეს, რომ ბატონყმობა მკაცრად გამორიცხავს ბატონსა და ყმას შორის მამაშვილურ დამოკიდებულებას.

პირველი მოღვაწე და მწერალი, რომელმაც საჯაროდ და გაბედულად სთქვა ყოველივე ეს, იყო დანიელ ჭონქაძე, რომლის „სურამის ციხე“ წარმოადგენს აშკარა და მკაცრ პროტესტს ბატონყმური სინამდვილის წინააღმდეგ.

დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ იყო მოფიქრებული პასუხი ალ. ორბელიანის იმ მცდარ შეხედულებებზე, რომელიც „ცისკრის“ წინა ნომრის ფურცლებზე იყო გამოთქმული.

ცხადია, მაშინ როცა უსამართლობის წინააღმდეგ გადაკვრით მოლაპარაკე მოლაყბეც (მ. თუმანიშვილი) უდროოდ ჩააჩუმეს და „ცისკრის“ ფურცლებიდან გააძევეს, დ. ჭონქაძეს საგანგებო ხერხისათვის უნდა მიემართნა, რათა მის „სურამის ციხეს“ საბეჭდი მანქანა ეხილა.

ეჭვს გარეშეა, რომ „სურამის ციხის“ ცენზურაში გაპარების საქმეში გარკვეული როლი მიუძღვის ჟურნალის რედაქტორს ი. კერესელიძეს, რომლის გული მწერალმა იმითაც მოიგო, რომ ერთი სტროფი მისი ლექსიდან ეპიგრაფად წარუმძღვარა მოთხრობის პირველ თავს, მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ იქნებოდა, თუ მოთხრობა მეტად თავისებურ მხატვრულ ასპექტში არ ყოფილიყო გააზრებული.

დ. ჭონქაძემ თავის მოთხრობისათვის გამოიყენა ლეგენდა სურამის ციხის შესახებ. მსგავსი ლეგენდები როგორც ქართულ, ასევე სხვა ენებზეც არსებობენ, რომლებიც დაკავშირებულია ციხეებისა და ეკლესიების აშენების ისტორიებთან.

ლეგენდის წყალობით, მოთხრობაში აღწერილი ამბავი მწერალმა ისტორიულ წარსულში „გადაიტანა“. ამ გარემოების გამო ზოგიერთი კრიტიკოსი კიდევაც საყვედურობს დ. ჭონქაძეს. მათი აზრით, „სურამის ციხის“ იდეური მნიშვნელობა გაიზრდებოდა, თუ რომ მოთხრობაში აშკარად ყოფილიყო ნათქვამი, რომ აღწერილი მოქმედება თანამედროვე ცხოვრებას ეხებოდა.

პირველ ყოვლისა, „სურამის ციხე“ რომ მწერლის თანამედროვე უკულმართი ცხოვრების წინააღმდეგ იყო მიმართული, ეს მკითხველისათვის არასოდეს არ გამხდარა საეჭვო. თვით მათაც, რომლებიც უშუალოდ იყვნენ გამოყვანილნი ნაწარმოებში არ დაუმალავთ ეს გარემოება. მაშასადამე, მოთხრობის ფაბულის თავისებურ გააზრებას არ შეულახავს მისი იდეური შინაარსი. ამასთან, ასეთი გზა კარგი საშუალება იყო ცენზურის თვალის ასახვევადაც.

მაგრამ თავი რომ დავანებოთ ყოველივე ამას, ჭეშმარიტება მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მოქმედების წარსულში გადატანას მწერლისათვის ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. ეს არა თუ ანელებს, არამედ აძლიერებს იმ იდეურ აზრს, რომლის გამოხატვა მიზნად ჰქონდა ავტორს.

როგორც ვიცით, კონსერვატორული ბანაკის წარმომადგენლები, ბატონყმური სისტემის დაცვის მიზნით, ისტორიულ წარსულს იმარჯვებდნენ. მათი თქმით, ძველად ბატონყმობა მებატონისა და ყმის მამაშვილურ ურთიერთობას გულისხმობდა.

დ. ჭონქაძის მოთხრობის ძირითადი მიზანია ამ მცდარი შეხედულებების განადგურება და ნამდვილი ვითარების ჩვენება. ამიტომ, ბუნებრივია, მწერალმა თავისი შახვილი ფორმალურად მიმართა იმ ეპოქის ბატონყმური ცხოვრების სინამდვილის წინააღმდეგ, როცა, კონსერვატორთა შეხედულებით, მამაშვილური დამოკიდებულება სუფევდა. ამით უფრო აშკარა გახადა, რომ ბატონყმობა ყოველთვის უმცირესობის მიერ უმრავლესობის ჩაგვრას და ყმათა ნივთებთან გათანასწორებას ნიშნავდა; რომ ბატონყმობა საქართველოს სინამდვილეშიც ისეთივე ბოროტება იყო, როგორც სხვაგან.

ქართველ მებატონეებს ოფიციალური კანონმდებლობა (რამაც ვახტანგ მეექვსის კანონებშიც ჰპოვა გამოხატულება) უფლებას აძლევდა ყმებისათვის ისე ეცქირათ, როგორც საკუთარი ნივთებისთვის, რომლის გაყიდვისა და გასაჩუქრების უფლებაც მათ ჰქონდათ. კანონით იყო დადასტურებული, რომ „ყმის ყველა ბატონისა არისო“. უფრო მეტიც, მებატონე პასუხს არ აგებდა, თუ იგი ყმას სიცოცხლეს გამოასალმებდა ან ფიზიკურად დაამახინჯებდა.

დ. ჭონქაძემ კონკრეტული ფაქტებით გვიჩვენა, თუ როგორი სიბეჯითით სრულდებოდა ეს საშინელი კანონები, რომლებიც მებატონეებს განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებდა ყმებზე.

2

„სურამის ციხის“ გმირები ბატონყმური საქართველოს ღვიძლი შვილები არიან. მოთხრობაში დახატულ მებატონეთა, თუ ყმების

სახეები არც ერთ ზედმეტ ხაზს არ შეიცავენ. ყველა მათგანი ცხოვრების სინამდვილიდანაა აღებული, ხშირად მეტად კონკრეტიზირებულადაც.

„სურამის ციხეში“ აღწერილი სურათები ერთმანეთს ავსებენ. ზოგჯერ მეტად შორეული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ამბები და მოვლენებია მოცემული, მაგრამ მაინც უშუალოდ უკავშირდებიან ერთმანეთს. და ეს იმიტომ, რომ სინამდვილეში თითქმის განსხვავება არ არსებობს მებატონეთა თავგასულ მოქმედებაში, ისევე როგორც ყმათა აუტანელ ცხოვრებაში.

დურმიშხანი იმერელია, ნოდარი (ოსმან-აღა) კი—ქართლელი, მაგრამ ორივენი ერთი საშინელი ბედის თანაზიარნი არიან. გაძნელდება განსხვავება ვიპოვოთ აგრეთვე იმერელ თავადს—წერეთელსა და ქართლელ თავადს — მუხრან ბატონს შორის. ბატონყმურმა სინამდვილემ თითქმის ყველა მათგანში წაშალა ინდივიდუალური თვისებები. ნაცვლად ცალკეული ადამიანებისა, რომლებიც ყურადღებას უნდა იპყრობდნენ თავიანთი ნიჭითა და უნარით, ჩვენ ვხედავთ მებატონეებსა და ყმებს; უფლებათა და უუფლებობის უკიდურესობას უმსგავსობამდე მიუყვანია ადამიანთა ცხოვრება.

დურმიშხანი განუსჯელ ბედს მუხრან-ბატონის სასახლეში მოუხვედრებია. აქ იტანჯება და აქ იტანს იგი ყოველგვარ შეურაცხყოფას.

როგორ მოხვდა დურმიშხანი მუხრან-ბატონის სასახლეში?

დურმიშხანი იმერელი თავადის — წერეთლის ვაჟის უკანონო შვილია. ახალგაზრდა თავადს შეუცდენია მოსამსახურე გოგო, რომელსაც შემდეგ დურმიშხანი შეძენია. დედა მაინც ბედნიერი იყო იმით, რომ ვაჟს ზრდიდა. ბატონს გაუბედურებული გოგოს ასეთი ბედნიერებაც შეშურდა და გადაწყვიტა კიდევ უფრო უბედური გაეხადა იგი. წერეთელმა დურმიშხანი სტუმრად ჩასულ მუხრან-ბატონს აჩუქა. ამით მან ერთმანეთს მოსწყვიტა დედა-შვილი და ორივეს გაუორკეცა თავიანთი მწარე ბედი. თავადმა წერეთელმა ასეთი მოქმედებით დასაჯა „დურმიშხანის დედა იმისათვის, რომ მან გაბედა აშიკობა ბატონის შვილთან“, მაგრამ განა ცხადი არაა, რომ ამ საწყალ გოგოს არავინ არაფერს ჰკითხავს? რომ იგი თავადის შვილს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა? იქნებ თავის ვაჟს აგრძნობინა დანაშაული ბატონმა? მაგრამ „ახალგაზრდა ბატონმა სულ არ იწუხა შვილის დაკარგვა და იმავე დღეს, როდესაც მამაიმისმა სხვას აჩუქა იმისი შვილი, ის წავიდა სანადიროთ მიმინოთი და ძრიელ მხიარულად ნადირობდაო“.

ასეთი საქციელი გასაგებს ხდის, თუ როგორი მებატონეც ეზრდებოდათ წერეთლიანთ ყმებს.

დურმიშხანის დედამ კი მწარედ განიცადა შვილის მოცილება. „საწყალი დედა ჩემი,—უამბობს დურმიშხანი ვარდოს,—რანაირად იკლამდა თავს უნდა გენახა გულოჯან, მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს. მე ტუტუცს მიკვირდა ის ბრუხარება, რა ვიცოდი, რო ის იყო უკანასკნელი ჩემი ნახვა დედისა“. ერთი წლის თავზე, დურმიშხანის დედა ჭლექისაგან გამოესალმა სიცოცხლეს, ხოლო დურმიშხანი შემდეგშიც დიდხანს იტანდა ყმის მწარე ბედს.

დურმიშხანმა მუხრან-ბატონთა ოჯახში გადაიტანა „შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინება და სხვა ბევრი ამისთანა“. მას ადამიანადაც არავინ თვლიდა, უყურებდნენ როგორც დაცინევისა და გართობის საგანს, ხშირად გულისჯავრის ამოყრის ობიექტიც ხდებოდა, მაგრამ მისი შემბრალე არავინ იყო.

> ვინც რასმე დააშავებდა,—ამბობს დურმიშხანი,—ყველა ჩემი ბრალი იყო: ვინ რა მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გატეხა? იმერელმა. ვის დასცინიან? იმერლის ბიჭს. ვისა სცემენ გაჯავრებულს გელზე? იმერლის ბიჭს. ვის გაბოჯავრებლად სთქონ იმერლების დასაცინი ანდაზები? იმერლის ბიჭისა... ბევრჯერ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯერ მიტირნია მწარე ცრემლითა. მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშის მცემელი? არავინ.

დურმიშხანი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა გამონაკლისი. თავისი გაჩენის დღეს წყევლიდა ათასობით დურმიშხანის ბედში მყოფნი, მაგრამ ხსნა არსაით იყო.

დურმიშხანს მართლაც რომ ძველ დროს ეცხოვრა, მისი ცხოვრება სხვაგვარად უნდა წარმართულიყო. უფრო სწორად, იგი მაშინ სიამოვნებით მიიღებდა ვარდოს წინადადებას: დაიწყებდა ნაზირობას და ცოლს ქალბატონის მსახურად ამყოფებდა. მაგრამ დურმიშხანს უკვე შეცნობილი აქვს სავაჭრო კაპიტალის ძლევამოსილება.

მას გადაწყვეტილი აქვს როგორმე თავი დააღწიოს ბატონყმურ ურთიერთობას. ხანგრძლივმა და საკუთარმა გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ყმის ბედნიერება შეუძლებელია. მან ისიც იცის, რომ ბევრს არაფერს ნიშნავს ყმობიდან იურიდიული განთავისუფლება. ასეთი „თავისუფალი“ გლეხი კვლავ მემამულის ყმად იქცევა, როცა საკუთარი არაფერი ექნება.

ვარდოსთან საუბრის დროს დურმიშხანს ეტყობა, რომ ბევრ რაიმეს გულში მალავს, ერიდება მომავალ ბედნიერებაზე ლაპარაკს. და ეს იმიტომ, რომ ეს ბედნიერება არცთუ ისე მოახლოებულად ეჩვენება. ყველგან და ყოველთვის მას გულქვა ბატონების არსებობა აწუხებს. მომავლისადმი იმედიანი თვალით შემყურე ვარდოს, რომელიც შვილებზე ოცნებობს, დურმიშხანი კითხვას უსვამს—„წარ-

მოვიდგინოთ, რომ ერთხელ მოვიდა ვინმე ჩვენ ბატონთან და სთხოვა ჩვენი შვილი, რა იქნება მაშინ?"

ეს კითხვა არცთუ ისე უსაფუძვლო იყო, რომ არ დაეფიქრებინა ვარდო, ამიტომ იგი შეკრთა. მკითხველისათვის გასაგები ხდება, თუ რა მამაშვილური დამოკიდებულება არსებობს იმ ქვეყანაში, სადაც ქალ-ვაჟი ოჯახის შექმნას გაურბიან იმის შიშით, რომ შვილს მოსტაცებენ და გაუყიდიან.

დურმიშხანი ვარდოს უზიარებს იმ ეშმარიტებას, რომელიც მას ცხოვრებამ შთააგონა: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლებაო".

ვარდომ მოახერხა ეშოვნა დურმიშხანისათვის „განთავისუფლების წიგნი". იგი დარწმუნებულია, რომ ახლა აღარაფერი დააბრკოლებთ ჯვარი დაიწეროს, მაგრამ დურმიშხანი არ ჩქარობს: „დროება ითხოვს მოთმინებას, მემრე ჩვენი ბედნიერება უფრო საფუძვლიანი იქნებაო".

დურმიშხანი „განთაკისუფლების წიგნში" არ ხედავს მთელ ბედნიერებას და ვარდოს მოაგონებს, რომ „სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რო სხვის თავდაუკვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება განთავისუფლება არ არისო".

ეს შეშმარიტება, რომელიც მწერალმა დურმიშხანის პირით თქვა, მშრომელი გლეხობისა და მათი ინტერესების დამცველ მოღვაწეთა მკაცრი გაფრთხილება იყო, რათა არ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ იურიდიული თავისუფლებით და ებრძოლათ ნამდვილი განთავისუფლებისათვის.

დ. ჭონქაძე გარკვეულად მოითხოვს გლეხთა განთავისუფლებას ბატონყმობის უღლიდან, მათთვის მიწების გადაცემას.

დურმიშხანი, ამჯერად, გამოსავალს მხოლოდ ვაჭრობის გზით გამდიდრებაში ხედავს. „წავალ ვიშოვნი ფულს, გავმდიდრდები და ისე მოვალ შენთანო",—ეუბნება იგი ვარდოს.

შეიძლება ითქვას, რომ დურმიშხანი არ ცდებოდა. მის მდგომარეობაში მყოფს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მიღწევა მხოლოდ ვაჭრობის გზით შეეძლო. თბილისში მცხოვრებ დურმიშხანს, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, იცნობდა მეჯღანუაშვილებს, საფუძველი ჰქონდა ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად. მაგრამ დურმიშხანს კრიტიკა საყვედურობს ვარდოსთან დამოკიდებულების საკითხში. მართლაც, დურმიშხანს ვარდო არ ჰყვარებია, თუმცა პირდებოდა შერთვას. მას აინტერესებდა „განთავისუფლების წიგნი", რომლის შოვნა მხოლოდ ვარდუას შეეძლო. მაგრამ განა შეიძლება იმის თქმა, რომ დურმიშხანი ვარდუას არ შეირთავდა, თუ რომ ჰქონე-

ბოდა იგი, რისთვისაც იბრძვის? რა თქმა უნდა, არა. მაშასადამე, ვარდუასთან დამნაშავეა არა მარტო დურმიშხანი, არამედ ის ცხოვრებაც, რომლის კანონიერი შვილიც დურმიშხანი იყო.

დურმიშხანს მუხრან-ბატონთან ნაზირად ყოფნა უხდებოდა იმ დროს, როცა ფეოდალური მეურნეობა ირღვეოდა და სამოქმედო სარბიელზე ფულიანი ბატონი იმაგრებდა ფეხს; როცა გუშინდელი არაფრისმქონე დღეს ანგარიშგასაწევი და პატივსაცემი ხდებოდა. ცხადია, დურმიშხანებს, რომლებიც გაჩენის დღეს წყეველიდნენ მემამულესთან, უკეთესი მომავლის იდეალი მხოლოდ ბურჟუაზიულ ცხოვრებაში უნდა დაენახათ. ხოლო ვაჭრობის გზით მიმავალი ადამიანისათვის სანტიმენტალიზმი შეუფერებელია, მისთვის ყველაზე ძვირფასი და სათაყვანებელი ფული უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში იგი ვერ მიაღწევს მიზანს. ესაა მიზეზი, რომ ვარდოზე უფრო დურმიშხანს ფული უყვარს. მან იცის, რომ მხოლოდ ფულის წყალობით შეიძლება გახდეს ბედნიერი; ვარდოს შერთვით კი ვინ იცის, იქნებ უფრო უბედურიც გახდეს, შვილი შეეძინოს და მებატონემ გაუყიდოს. აი, რა მიზეზები აქვს დურმიშხანს დაივიწყოს რაინდული კეთილშობილება და „სიყვარული“ გზად და ხიდად გამოიყენოს.

სულ სხვაა ნოდარი, რომელიც ცხოვრებას დურმიშხანზე ნაკლებ არ დაუსჯია, მაგრამ მის ადამიანურ ბუნებაში ცვლილება მაინც ვერ მოუხდენია.

ნოდარი გლეხის შვილია. მისი მამა—ზალიკა თავის სოფელში ჰკუა საკითხავი გლეხი იყო, „თითონ მხნე, მყოლელი ყევარი ხარკამეჩისა და რამდენიმე მწველელი ძროხისა; ეგრეთვე მქონებელი სამი დღის ვენახისა... ირიცხებოდა თავ კაცად... სოფელში და არა დავა, ანუ სხვა რამე შესახები სოფლისა არ გადაწყდებოდა... მეზობლებში, რომ არ დაჰკითხოდენ ზალიკას“. მაგრამ, როგორც ნოდარი ამბობს, მამამისი „საუბედუროთ, ბატონის ყმა“ იყო. ამიტომ, ყოველდღე მოსალოდნელი იყო ბატონისაგან მისი გაუბედურება.

ბატონმა მალე იპოვა ხელსაყრელი დრო, რომ ზალიკას კარმიდამო გაენადგურებია. ზალიკა ურემმა გაუსკდიტა, ხოლო ამის შემდეგ მის ოჯახში „ყოველიე გადაბრუნდა გულაღმა“.

> —ბატონმა,—ამბობს ნოდარი,—ჯერ წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც, რო აღარ შეგვეძლო მოვლა, მგმრე თითო-თითოთ ხარკამეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედა-ჩემს რო გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა ჩემი, უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს ღმერთო, რა გვარათ არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა.

— იტირებს, იტირებს და დაჩუმდებაო!—აი ახრი რომელთამე ბატონთა; იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულვილი, იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ არა გვქონდეს გული, არ გვქონდეს სული.

ცხადია, ეს სიტყვები ბატონყმურ საქართველოში ყურმბარის სიძლიერით უნდა გამსკდარიყო. ამ მკაცრი ბრალდების უარყოფა მებატონეებს არ შეეძლოთ. არც მწერალი კმაყოფილდება სიტყვიერი ბრალდებით; ყველგან და ყოველთვის კონკრეტული მხატვრული სახეებით, მოვლენების შეუფერავი აღწერით წარმოადგენს ბატონყმურ სინამდვილეს.

დ. ჭონქაძე დამაჯერებლად ხატავს ნოდარის ბატონის გულქვაობას. მასზე ოდნავადაც არ მოქმედებს ქვრივ-ობლების ხვეწნა-მუდარა და განუზომელი მწუხარება. მან ამ დროს კიდევაც გაიცინა, და გაიცინა „იმიტომ რომ ერთმა წევარმა რაღაც სასაცილო ქნა". ამიტომაა, რომ თავისი ბატონის არაადამიანური საქციელი ნოდარს არასოდეს არ ავიწყდება. „ო! რა საზარელი იყო ის სიცილი დედიჩემის მწუხარებასთან!—ამბობს იგი,—მე დარწმუნებული ვარ, რო, მაშინ არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი. იმისთანა დროს მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცინება".

ქალბატონმა ნოდარი და მისი და ჰირის მრისამსახურედ განაწესა, ხოლო მათი დედა—პურის მცხობლად; ასე გაატარეს მათ ხუთი წელი და თითქოს შეეჩვივნენ ჯოჯოხეთურ ცხოვრებას, მაგრამ ბატონმა არ აკმარა მათ ასეთი ტანჯვაც. მან ნოდარი და მისი და მიყიდა ერთ ქახელ მღვდელს, რომელიც მასთან სტუმრად იყო.

—ბატონმა,—ამბობს ნოდარი,—დაიბარა დედა-ჩემი და უბძანა, რომ მოვემზადებინეთ მე და ჩემი და იმ მღვდლის გასაყოლათ.

— რათა, შენი ჰირიმე?

— რათა? გავყიდე და იმიტომო.

ასეთი იყო პასუხი ბატონისა, რომელიც განსაკუთრებულს, ცხადია, არაფერს გრძნობდა, როცა ყმათა გაყიდვაზე ლაპარაკობდა.

— შემდგომ რამდენიმე წუთისა,—განაგრძობს ნოდარი,—დედა-ჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს. ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბძანა ბიჭებს, რო გაეგდოთ ის კარში.

სხვა გზა არ იყო, უნდა გაპარულიყვნენ. დედა-შვილნი ღამით გაუდგენ გზას თბილისისაკენ; მდევრებმა ვერ მიაგნეს მათ კვალს. რამდენიმე წლის განმავლობაში სახელებშეცვლილნი ცხოვრობდნენ თბილისში და თავი სომხებად ჰქონდათ გამოცხადებული.

ნოდარის დედამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და ეკლესიაში წავიდა ზიარების მისაღებად. მან აღსარებაში ყველაფერი უამბო

მღვდელს. „იმავე დღეს,—იგონებს ნოდარი,—როცა სთქო აღსარება, ვიღაც კაცები დაგვესხნენ, შეგვიკრეს ხელები და წაგვიგდეს წინო".

ნოდარის თავგადასავალი არა მარტო მებატონეთა თავგასულობას ამჟღავნებს, არამედ „სულიერ მამათა", — ეკლესიის მსახურთა ნამდვილ სახესაც ავლენს. ისინი თანამონაწილენი არიან იმ შავბნელი საქმეებისა, რომელსაც მებატონენები ჩადიან. ეკლესია ბატონყმურ სინამდვილეში მებატონეთა ინტერესების სამსახურშია. მათი ყბადაღებული აღსარების მიღება ჯაშუშურ მიზნებს ემსახურება. ამის მაჩვენებელია ნოდარისა და მისი დედის თავგადასავალიც.

სასულიერო პირები, თავის მხრივ, საეკლესიო ფეოდალები არიან. ღვთის მოსავთა სახელით შენილბულნი, ისინი არ ერიდებიან ყმით ვაჭრობაშიც მიიღონ მონაწილეობა. ნოდარი და მისი და ჯახელმა მღვდელმა იყიდა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენა არაა.

მღვდლის ჯაშუშური საქმიანობის წყალობით, ნოდარი და დედამისი ბატონთან დააბრუნეს. ბატონიც გულმოდგინეთ შეუდგა მათ დასჯას: ჯერ გუთანში შეაბა, მაგრამ ეს სასჯელი მსუბუქად ეჩვენა, რადგან „გუთანში ხარები დადიოდნენ ძრიელ ნელა"; მეორე დღეს კევრში შეაბა, თვითონ კი კევრზე დაჯდა და ჯოხით ერეკებოდა. ათი შემოვლის შემდეგ ნოდარის დედა დაეცა და ბატონის სახრის ქვეშ დალია სული. ნოდარი ავად გახდა „შავი საოფლით", მაგრამ მაინც გადარჩა. გავიდა სამი წელი და ნოდარს ბატონი „შეურიგდა".

ნოდარს სიცილს გვრის იმის მოგონება, რომ ბატონი მასში ერთგულებას ეძებდა. „და რა უნდა მოგახსენო,—ეუბნება ნოდარი დურმიშხანს,—ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებულიც იყო, რომ მე ვიყავ იმისი ერთგული: ხა! ხა! ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, როელსაც დედა მოუკლა უღელში... საკვირველნი არიან, შენმა გაზდამ, ეგ ხალხნიო!"

მებატონეთა ასეთი თავგასულობა იმის შედეგი იყო, რომ ყმებში ისინი არ ხედავდნენ ნამდვილ ადამიანებს.

გავიდა დრო და ნოდარმა სთხოვა ბატონს ნება დაერთო ქალბატონის გოგოზე ჯვარი დაეწერა.

— დიახ!—გააჯავრა ბატონმა ნოდარი,—დიახ, თითქო არ იყვნენ სხვა გოგოები, რო შინაური არ მოძებნო?

— რა ვქნა, შენი პირიმე, ეს მომეწონა და.

— რაო? მოგეწონ? მომეწონ, თითქო ბ-ტონისშვილი იყოს! სხვა კი არა მოგეწონებარა, მაშა გიცხონდა?!

ნოდარის ლაპარაკი ბატონთან გახდა მისიეე უბედურების წყაროდ. ბატონი დაინტერესდა ნოდარის მიერ მოწონებული ნატოთი და ცდილობდა ხელში ჩაეგდო უმწეო გოგო. ხელის შემშლელი რომ არ ჰყოლოდა, მან ნოდარს წერილი გაატანა ქალაქში ერთ თავრს ნათესავთან, რომელსაც თურმე სთხოვდა, რომ სამი კვირა თავისთან გაეჩერებინა იგი.

ქალაქიდან დაბრუნებულმა ნოდარმა გზაშიეე შეიტყო, რომ ნატოს თავი დაეხრჩო. მასაც ბევრი აღარ უფიქრია, ხანჯლით მოკლა ბატონი და ერთმანეთს დააკლა ქალბატონი და მისი ვაჟი; ხოლო თავს გაქცევით უშველა. მართალია, მდევრები მას დაეწივნენ, მაგრამ არათუ დაიჭირეს, არამედ დარიგებაც მისცეს, რომ ახალციხისაკენ გაქცეულიყო.

> საღამოზე, — გვი-მბობს ნოდარი,— დამეწივნა მდევარი და, რასაკვირველია, არა თუ იმათგანმა დამიჭირა ვინმე, ან მოინდომა მოკვლა, არამედ თვითონვე მასწავლეს, რომ გადავარდნილვიყავ ახალციხისაკენ. მე მართლა დავიჯერე იმათი დარიგება და მესამე დღეს მივედი ახალციხეს. აქ მაშინვე გამოვცხადდი მუფტისთან და მოვახსენე სურვილი მათი სჯულის მიღებისა. მეორე დღეს დიდის ანბით მივიღე თათრობა, ვგმე ჭრისტე. აქ ყველა ოსმალოს დიდკაცებმა დამაჯილდოვეს, მირჩიეს სტამბოლში წასვლა და იანიჩარში გამწესებაო.

„სურამის ციხე“ მრავალმხრივ საყურადღებო მოთხრობაა. იგი არის პირველი ნაწარმოები, სადაც ლაპარაკია არა მარტო ბატონყმობის ბოროტებასა და მებატონეთა თავგასულობაზე, არამედ ყმის მიერ მებატონის ოჯახის ამოწყვეტაზეც. ეს არ იყო უბრალო მოვლენა. მასში ისმის არა მარტო გაფრთხილება, არამედ მოწოდებაც. ისიც აშკარაა, რომ ნოდარის მაგალითს მალე სხვებიც მიბაძავენ. ხალხი ნოდარს არათუ სჯის, არამედ უფრთხილდება კიდეც; მდევრებმა მას გზა ასწავლეს და რჩევა მისცეს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხალხში ბატონყმობის საწინააღმდეგო პროტესტი ბობოქრობს და გაზრდილია შეგნება იმისა, რომ თავიანთ მოძმეთა ინტერესები დაიცვან.

ნოდარის თავგადასავლის შტრიხებს თავისებურად ენათესავება ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღიც“. ზაქრომ მოკლა გულქვა ბატონი და კაკოსაკენ გაქუსლა; მეურმემ, რომელმაც ზაქროს გადაწყვეტილება შეიტყო, ხარს შურით შოლტი გაუტყლაშუნა. ამით ილიამ გვაგრძნობინა, ერთი მხრივ, ის უკმაყოფილება, რომელიც ხალხში იყო ფეხგადგმული, ხოლო მეორე მხრივ — ის თანაგრძნობა, რომლითაც სარგებლობდნენ ბატონის სისხლით ხელგასვრილნი. ასეთივე ფაქტთან გვაქვს საქმე „სურამის ციხეშიც“, რომელიც ჯერ კიდევ 1859 წელს გამოქვეყნდა.

დურმიშხანისა და ნოდარის ურთიერთობა თავიანთ ბატონებთან და მათი მძიმე თავგადასავალი სწორად წარმოგვიდგენს ბატონყმური დამოკიდებულების ხასიათს ფეოდალურ საქართველოში.

დ. ჭონქაძემ მთელი დამაჯერებლობით გამოამეღავნა, თუ რა მამაშვილური ურთიერთობაც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის, თუ როგორ „ზრუნავდა“ მებატონე თავიანთ ყმებზე და როგორ „უყვარდათ“ ყმებსაც თავიანთი მებატონეები. „სურამის ციხე“ ბატონყმური სისტემის მკაცრ და სამართლიან კრიტიკას წარმოადგენს. მან აშკარა გახადა უსაფუძვლობა რეაქციონურ-კონსერვატორული ბანაკის წარმომადგენელთა „თეორიებისა“ საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის უცოდველობის შესახებ.

ბედის საძიებლად მიმავალი დურმიშხანი, რომელსაც „განთავისუფლების წიგნი“ უბეში ედო, ბწკრალმა ძეგვის მიმართულებით დააყენა გზას. პურის ყანის ბიბინჰა, ათუღელა გუთანმა „თავის მოუშორებელი ოროლათი“ და ბულბულის გულსჩამწვდენმა სტვენამ დურმიშხანს ფიქრები აუშალა. მას, პირველ ყოვლისა, გულისვარდი და მასთან გატარებული მცირე დრო მოაგონდა. „მართლა და რა კარგი იქნებოდა,— ფიქრობდა დურმიშხანი,— რო მყვანდეს ერთი ყევარი ხარ-კამეჩი, ერთი ოციოდ დღის მიწა, და ჩემი... ჩემი გულის ვარდი. მაგრამ ეს ფიქრი შეცვალა სხვა მძიმე ფიქრმა, იმან, რო ყოველ იმას, რისაც მოპოებას ფიქრობდა დურმიშხანი, უნდოდა ფული, რომელიც არ ჰქონდა იმას“.

ფიქრებითა და მოგზაურობით დაღლილმა დურმიშხანმა წყაროსთან შეისვენა და პურის ჰამას შეუდგა. „ეს იყო პირველი პურის ჰამა დურმიშხანისა ისეთი, რომელიც არ იყო ბატონის ნასუფრალი, და, უნდა გენახათ, რა გემრიელი იყო ის პური!“

დასასვენებლად ნაბადზე წამოწოლილმა დურმიშხანმა შეამჩნია წყაროსთან მისული სამი ოსმალო, რომლებმაც მას სალამი მისცეს. ერთი მათგანი დურმიშხანს გამოელაპარაკა და მისი თავგადასავალი შეიტყო. თავის მხრივ, „ოსმალომაც“ თავისი ისტორია უამბო და გამოირკვა, რომ იგი ოსმალო კი არა, არამედ ჩვენთვის უკვე ნაცნობი ნოდარი იყო, ახლა უკვე ოსმან-აღას სახელით ცნობილი, რომელსაც ასისთაობა მიუღია და დიდძალი სიმდიდრეც შეუძენია.

ასე გაეცვნენ ერთმანეთს დურმიშხანი და ოსმან-აღა. ოსმან-აღას შეებრალა დურმიშხანი და გადასწყვიტა დახმარება აღმოეჩინა მისთვის. მან დურმიშხანი თავისთან დაიყენა მოჯამაგირედ.

დურმიშხანმაც ფულის შოვნის უნარი გამოიჩინა და ორი წლის განმავლობაში ას თუმნამდე იშოვნა.

ოსმან აღამ ამით არ ამოწურა დურმიშხანზე ზრუნვა. მან დურმიშხანს ჯვარი დასწერა თავის ნათლულზე სურამში და ზედსიძედ შეიყვანა; თანაც თავისი ქონების ნახევარი მისცა. დურმიშხანის საქმე ისე მიდიოდა, როგორც მას სურდა: ის გახდა დიდი სიმდიდრის პატრონი და მამა ვაჟისა, რომელსაც ზურაბი დაარქვა. ნათლიად აირჩია თავადი ქაიხოსრო აბაშიძე, რომელმაც ბავშვს „დაანათლა ერთი კომლი კაცი“.

დურმიშხანი, მართალია, დაცოლშვილიანდა, მაგრამ მისი გული ოჯახურ გარემოში ვერ ეტეოდა. მას მეტი სიმდიდრე და მოგება აინტერესებდა.

„ჴა აი, დურმიშხანი დგას ეკლესიაში ღვთის ტაძრის წინ და აძლევს პირობას თავის მეუღლეს სიკვდილამდე სიყვარულისას, მაგრამ უყვარდა იმას თავისი დანიშნული?“—სვამს კითხვას მწერალი და თვითონვე პასუხობს: „არა, იმას არ უყვარდა არც ეხლანდელი თავისი დანიშნული, არც გულის ვარდი და არც ოსმან-აღა, ღირსი სიყვარულისა იმა კეთილთათვის რომელიც უყო იმან დურმიშხანს... იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა, რათ უნდა იმას სიყვარული, როდესაც იმას აუსრულდება თავისი ოცნება, როდესაც ის იქნება მდიდარი, პატივცემული და დამოუკიდებელი. რა ფასითა ყიდულობდა ამ სიკეთეთა, იმას არა ჰქონდა საჭიროება გამოკითხვისა. და აი სიმდიდრისათვის მამაკაცი ჰყიდის თავს, როგორც ერთი კურტიზანკათაგანი“.

ასე ახასიათებს დურმიშხანს მწერალი და ამ დახასიათებას იგი მთელი თავისი მოქმედებით იმსახურებს. ფულის სიყვარულმა და ვაჭრობით გატაცებამ დურმიშხანში ჩაჰკლა ადამიანური ჰუმანიზმი, ჩაუნერგა მას ხალხისადმი გულგრილი დამოკიდებულების გრძნობა. მან მხოლოდ ფულის სიყვარული იცის, ფულის შოვნისათვის იბრძვის, ხოლო მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდება, არავის არ ინდობს.

მუხრან-ბატონის სასახლეში ყველასაგან სასაცილოდ აგდებული დურმიშხან წამალაძე ახლა გლეხკაცებს აღარ კადრულობს ნათლიად. თავის ცოლს, რომელსაც სურდა ბავშვი თავიანთი მახლობელი გოგიასათვის მოენათლინებინა, დურმიშხანი ირონიულად მიმართავს: „გოგია კი არა, მოგია არ გინდა! უთხარი, რო თავადიშვილს უნდა მოვანათვლინო-თქო“, „ერთხელ რო დიდმა თავადმა დაგიძახოს შენ ნათლიდედა, ერთხელ რო იმისმა ცოლმა გამოგარჩიოს შენ სხვა დედაკაცებში და მოგიკითხოს, აბა მითხარი რად ღირს, ჰა? შემდეგ გაიზდება შენი შვილი, ვინ იცის მაშინ როგორ უპატრონოსო“.

დურმიშხანი ყველაფერს ანგარიშიანი თვალით უცქერის. ცხადია, მას არც თავადაზნაურები უყვარს, მაგრამ ფიქრობს, რომ თავადი ყმას დაანათლავს, ხოლო შემდეგ თავის ნათლულს პატრონობასაც გაუწევს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ვაჭართა კლასს, რომლის წარმომადგენლადაც დურმიშხანი გვევლინება, ჯერ კიდევ მთლიანად არ აქვს შეგნებული თავისი სიძლიერე და კვლავ ლოიალური დამოკიდებულება აქვს პრივილეგიურ წოდებასთან. ამ მხრივ დურმიშხანი არაფრით განსხვავდება მიკირტუმ გასპარიჩისა („გაყრა“) და სოლომონ მეჯღანუაშვილისაგან („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“).

ოსმან-აღას წყალობით, დურმიშხანი საკმაო შეძლების მქონე ვაჭარი გახდა. მას ფართოდა აქვს ვაჭრობა გაშლილი, მისი შეკვეთილი საქონელი გემებით მოდის. მან მიაღწია იმას, რისთვისაც იბრძოდა. მაგრამ სიმდიდრისათვის ბრძოლაში ყველაფერი დაიკარგა. პირველ ყოვლისა, მან ვარდო დაიკარგა. შვილის მონათვლის შემდეგ დურმიშხანმა ვარდოს ქალბატონთან გაგზავნა ერთადერთი წერილი, რომლითაც თავის თავგადასავალს ატყობინებდა, ვარდოს კი — გათხოვებას ურჩევდა. მართალია, დურმიშხანს ზოგჯერ წამოცდება ხოლმე ვარდოსადმი სიბრალულის გამომხატველი სიტყვები, მაგრამ ეს სიბრალული სინდისის ქენჯნამდე მაინც არ მაღლდება, მის გულში ადგილს ვერ პოულობს სიყვარულის გრძნობა.

თვით ოსმან-აღაც, რომელმაც იგი მდიდარი ვაჭარი გახადა და მიზანს მიაღწევინა, დაიკარგა დურმიშხანმა. ოდნავი თანაგრძნობაც არ გაუწია მან თავის უანგარო კეთილისმყოფელს.

სულ სხვაა ოსმან-აღა. ოსმან-აღა მდიდარი ვაჭარია, მაგრამ მას არასოდეს არ უნატრია ვაჭარი ყოფილიყო და სიმდიდრე ეშოვნა. ვაჭრობამდე იგი შემთხვევით და იძულებით მივიდა. მასში კვლავ სპეტაკი გლეხის გული ძგერს.

ოსმან-აღა ხანჯლით გაუსწორდა დედისა და თავისი საყვარელი ნატოს გამაუბედურებელს, მაგრამ შურისძიებაში ზომას გადასცდა. მან მოკლა ბატონის პატარა უდანაშაულო ვაჟიც, რომლის მოგონება მოსვენებას არ აძლევს მას. კიდევ მეტად იტანჯება იმის გამო, რომ სარწმუნოება გამოუცვლია და ნაცვლად ქრისტიანი ნოდარისა, მაჰმადიანი ოსმან-აღა გამხდარა.

ოსმან-აღას ამის შემდეგ სიმდიდრის შოვნა კი არ აინტერესებდა, არამედ „ცოდვის“ მონანიება, მაგრამ ვერ მოახერხა.

— მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უმეტესად გადადგომა ქრისტიანობისა,—ამბობს იგი,—არ მაძლევდნენ მე მოსვენებას და არც ეხლა

მასვენებენ მხიარულებაში, ძილში, ომში, ან თუ საცა გინდა ყველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნება სალმობით:

— მე რა დაგიშავე, რათ მომკალ?

რამდენჯერ მე ვეძიე ომში სიკვდილი, რამდენჯერ გიჟივით გადავარდი გახშირებულ ომში, რომ ჩქარა გავსწორებულიყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია არ მპოულობდა მე, და სიკვდილის მაგიერ გამივარდა მამაცობის და გულადობის ხმა და იმან მაშოვნინა ასისთავობა. მაგრამ ამის შემდეგაც არ დამიმშვიდდა ჩემი სვინდისი, შე?დეგ იმ ფიქრით რო გავიქარვო ეს აზრები, დავიწყე ვაჭრობა. ვაჭრობაში მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სვინდისი არ დამშვიდდაო.

როგორც ვხედავთ, ოსმან-აღასათვის ვაჭრობა მიზანი კი არ იყო, არამედ საშუალება—ფიქრების გასაქარვებლად. ამიტომაც, ვაჭრობას მის სულში სიძუნწე და ორპირობა არ გაუმეფებია. იგი კვლავ დარჩა იმ კეთილ ნოდარად, რომელიც ერთ დროს უზრუნველად დასძახოდა ოროველას.

ოსმან-აღა სინანულით იგონებს თავის ახალგაზრდობას და არაფრად თვლის სიმდიდრესა და ასისთაობას. „წავიდა ის დრო, — დრო უმანკოებისა, ჟამი წმინდისა სინდისისა და ის ყმაწვილი, რომელსაც გუთნის-დედა უბრძანებდა ხოლმე ოროველას მღერას. და ამხანაგები შურით ისმენდნენ იმის სიმღერას, არის ოსმალოს იანიჩარის ასისთავი, მქონებელი დიდის სიმდიდრისა, მაგრამ გასვრილი ქრისტიანეს სისხლში. ახ, სიხარულით დავანებებდი თავს ყოველსავე ეხლანდელს სიკეთეს ჩემსა, რო შეიძლებოდეს მობრუნება უწინდელი ჩემი დროსი, იმ დროსი, როდესაც ვიყავი ხოლმე დღის მეხრე, და ვიღებდი ერთ ალოსო“, — ამბობს გულწრფელი ოსმან-აღა.

მხოლოდ ისეთ ვაჭარს, როგორიც ოსმან-აღაა, შეეძლო ქონების ნახევარი დაეთმო შემთხვევით გაცნობილი ადამიანისათვის. მაგრამ ოსმან-აღა მოსტყუუდა, არც აქ გაუმართლა ბედმა. ქონება მისცა ისეთ ადამიანს, რომელიც მას ოდნავ არ დაეხმარა, რათა თავი ეხსნა ოსმალო მოლების ტანჯვისაგან. კიდევ მეტი, მისი დამარხვის ნებაც არ გამოუთხოვნია და „საწყალი ოსმან-აღას გვამი ეგდო რამდენიმე ხანი სტამბოლის ქუჩებში, სანამ შეწუხებულთა იმის სუნითა არ მოიგონეს გადაგდება იმისი ზღვაში“.

ხოლო იმ დროს, როცა ოსმან-აღას გვამს ზღვაში აგდებდნენ, დურმიშხანი „იდგა ბოსფორის პირზე და ელოდა გემს ყირიმიდგან საქუდე კალმუხის ტყავებით, დაკვეთილს ოსმან-აღიდგან და იმისგან გადაცემულს დურმიშხანზე“.

სრულიად ანტიპოდური არიან რაინდული ბუნების ოსმან-აღა და გულცივი დურმიშხანი, რომელიც ყოველთვის საკუთარ ბედნიერებაზე ფიქრობს.

ასეთი აშკარა განსხვავება ამ ორ გმირს შორის, რომლებიც თითქოს ახლოს არიან ერთმანეთთან თავიანთი თავგადასავლით, აიხსნება მათი სხვადასხვაგვარი აღზრდითა და განსხვავებული გარემოთი. ოსმან-აღამ ბავშვობა და ჭაბუკობა სოფელში გაატარა. მას განუცდია მშობლებისა და მეგობრების სიყვარული, უგემნია შედარებით ტკბილი ცხოვრება, იცის ნამდვილი სიყვარულის ფასიც. ამიტომაა, რომ თავის იდეალს მაინც სოფლურ ცხოვრებაში ხედავს, ყოველი კარგი მოგონება სოფელთან აკავშირებს.

სხვაგვარი იყო დურმიშხანის ცხოვრება. ახალგაზრდა ბატონის უკანონო შვილი, რომელსაც დედის მეტი მზრუნველი და თანამგრძნობი არავინ ჰყოლია, მალე მოსწყვიტეს თავის მშობელს და იმერეთიდან თბილისში ამოჰყო თავი. თბილისში, მუხრან-ბატონის სახლში მას ცემისა და დაცინვის მეტი არაფერი გამოუცდია, ცხოვრებაში არასოდეს არ გაუხარნია, ბედნიერი დღე მისთვის არ ყოფილა. ამასთან, თბილისში მას საშუალება ჰქონდა დაენახა, რომ ზოგჯერ არაფრის ქნონე ადამიანები, ვაჭრობის წყალობით, მდიდარი მოქალაქენი ხდებოდნენ. მის განაწამებ პიროვნებაში მთელი სიძლიერით გაიდგა ფესვები ფულისადმი სიყვარულმა. მან ყველაფერზე უარისთქვა და ყველა დაივიწყა იმისათვის, რომ ფული ეშოვნა. იგი დარჩა თავისი მიზნის ბოლომდე ერთგული.

დურმიშხანმა მიზანს მიაღწია, მაგრამ მასში კვლავ ახალი ინტერესი იჩენს თავს. ესაა ერთადერთი ვაჟის მომავალზე ფიქრი და ზრუნვა. იგი სულ იმაზე ოცნებობს, რომ ზურაბი სახელოვანი ადამიანი გახდეს, ყველაზე კარგი ვაჟკაცი. და თუ ბედმა მისი ვაჟი კათალიკოსიც გახადა, „ი! მაშინ კი დურმიშხანი აღარ დაუკრამდა თავს არც ერთ თავადს".

მაგრამ აქ მოულოდნელად უღალატა ბედმა დურმიშხანს. ზურაბი გახდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი; იგი ცოცხლად დაატანეს სურამის ციხის კედლებში. ამ ამბავმა ზურაბის უბედური დედა ჰკუიდან გადაიყვანა, ხოლო დურმიშხანი უეცრად მოახუცა. დურმიშხანი ალბათ მზად იყო თავი მოეკლა, მაგრამ უნდოდა შეეტყო, ვინ იყო მიზეზი ზურაბის ციხის კედელში დატანებისა და სამაგიერო მიეზღო მისთვის.

დურმიშხანმა შეიტყო, რომ მთელი ამ უბედურების მიზეზი იყო ავლაბრელი მკითხავი ვარდუა და მანაც თბილისისაკენ გასწია. დურმიშხანმა ადვილად მიაგნო ვარდუას სახლს, ვინაიდან მისი სახელი შორს გავარდნილიყო. დურმიშხანმა ვარდუას სთხოვა მარტოდ მოლაპარაკებოდა; მკითხავმაც გაუშვა ხალხი და მოემზადა

მოესმინა დურმიშხანისათვის. ვარდომ მხოლოდ მაშინ იცნო დურმიშხანი, როცა მისგან კითხვა მიიღო: მან უმკითხავა თუ არა ვეზირს მისი შვილის ციხეში დატანება. ვარდომ ჩუმად მოამზადა ხანჯალი, თანაც დურმიშხანს მიახვედრა ვინც იყო თვითონ. „რამდენიმე საათს უკან მოსამსახურეთ ეპოვნათ ისინი მკვდარნი. მიწოლილნი ტახტზე, როგორც ორი საყვარელი მოხვეულნი ერთმანეთსა. ეტყობოდა, რო არც ერთი მათგანი არ ცდილიყო სიკვდილისაგან დაცვას".

ასე დასრულდა სიცოცხლე იმ ადამიანებისა, რომლებსაც მტკვრის ნაპირზე თავიანთ მომავალზე ოცნებაში არა ერთხელ დასთენებიათ. მკითხველი არცთუ იშე მძიმედ განიცდის მათ სიკვდილს, მაგრამ თვალთაგან ვერ იცილებს ციხის კედელში უდანაშაულოდ დატანებულ ზურაბს, რომლის ჩაკირვას ოსტატები უჭვარიან, ხოლო გამწარებული დედა გულსაკლავად შესძახის — „შვილო ზურაბ, სადამდინ?"

რათ ჭირდებოდა მწერალს ასეთი მძიმე სურათის შექმნა?

ზურაბის უსამართლო დასჯით მწერალმა, ცხადია, დასაჯა გულციცვი დურმიშხანი, რომელიც ტყუილად ფიქრობდა, რომ ვარდომ იგი დაიეიწყა და, ქმარ-შვილში გართულს, აღარ აგონდებოდა. დურმიშხანის დასჯა ორი გზით შეიძლებოდა: ან უნდა გაეკოტრებინა ის ვაჭრობაში და კვლავ არაფრის მქონე გაეხადა, ან სწორედ მისი შვილი უნდა დაესაჯა. ვარდოს ახსოვდა, რომ დურმიშხანს თავის დროზე ყველაზე მეტად ის აშინებდა, რომ ბატონს მისთვის შვილი არ წაერთმია. მან, მართალია, შეძლო, რომ ბატონის აღარ შინებოდა, მაგრამ ეს, თურმე, ყველაფერს როდი ნიშნავდა. დურმიშხანი თავის მიზნისაკენ სწორი გზით არ წავიდა. მრავალ ტანჯვას გამოვლილმა, სხვისი ტანჯვა არ გაიზიარა, ამიტომაც ცხოვრებამ იგი ასე სასტიკად დასაჯა. მაგრამ ზურაბის არაადამიანურ სიკვდილს მხოლოდ დურმიშხანი არ დაუსჯია. მან კიდევ მეტი სიმკაცრით დასაჯა შურისძიებაში საზღვარს გადასული მკითხავი ვარდუა.

დურმიშხანის ეგოისტურ მოქმედებას ვარდუამ კვლავ ეგოიზმით უპასუხა და დედობრივი გრძნობისაგან განიარაღებული აღმოჩნდა. მან ამით დაკარგა მანამ დამსახურებული სიმპათია და დურმიშხანების ბანაკში აღმოჩნდა.

ზურაბის განუკითხავი დასჯით მწერალმა, ამავე დროს, ხაზი გაუსვა იმ მავნე გავლენას, რაც. ცრუმორწმუნეობას ჰქონდა ხალხზე. არც ვეზირი და არც სხვა დიდებულნი არ დაეჭვებულან ვარდოს რჩევის გამო. მათ უსიტყვოდ აღასრულეს მკითხავის სიტყვა და უმიზნოდ დაღუპეს ახალგაზრდა ზურაბი.

„სურამის ციხეში“ გამოაშკარავებულია ცრუმორწმუნეობის სიყალბე და სისაძაგლე, ნაჩვენებია მისი სისხლხორცეული კავშირი რელიგიასთან.

დ. ჭონქაძემ თავის მოთხრობით აშკარა გახადა, რომ საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს მხოლოდ მშრომელი ხალხი, გლეხობა წარმოადგენდა. მას არ დაუშურნია თავისი მხატვრული შესაძლებლობა, რათა მთელი დამაჯერებლობით აესახა ბატონყმური ცხოვრება და სამარცხვინო ბოძზე გაეკრა მუქთახორა მებატონეები.

3

„სურამის ციხეში“ აღწერელი ამბავი მწერალმა არა მარტო ქრონოლოგიურად გადაიტანა ისტორიულ წარსულში, არამედ თხრობის ფორმაც ისეთი გამოძებნა, რომ გარეგნულად ლეგენდის სახე მისცა.

მოთხრობა იწყება იმის აღწერით, თუ თბილისელი ახალგაზრდები, რომლებიც შეწუხებულნი იყვნენ ზაფხულის საშინელი სიცხით, როგორ ატარებდნენ საღამოებს ქალაქგარეთ. ამ ახალგაზრდებს შორის თვით ჩვენი მწერალიც ყოფილა. მათი დროსტარება, უმთავრესად, იმით ამოიწურებოდა, რომ „მორიგე პირს უნდა ეთქო ერთი მოთხრობა ანუ ანდაზა, ანუ რაც უნდა რა ჩვენი საქართველოს ცხოვრებითგან“.

წილის ყრის შემდეგ თხრობას იწყებს ნიკო, რომელიც ჰყვება დურმიშხანისა და ვარდოს თავგადასავალს. შემდეგში ახალგაზრდები, რიგის მიხედვით, აგრძელებენ დაწყებული ამბის თხრობას და ასე, ამ წესით მთავრდება მოთხრობა.

დ. ჭონქაძეს თხრობის ასეთი ხერხი, ცხადია, ცენზურის თვალის ასახვევად დასჭირდა. ამავე მიზნით სინამდვილის მამხილებელ სურათებს მან დაუკავშირა გავრცელებული ლეგენდა ციხის კედლებში დედისერთა ვაჟის დატანების შესახებ. მართალია, ამ ლეგენდით მან ისარგებლა მოთხრობის მთავარი სიუჟეტური ხაზის მოხდენილი დასრულებისათვის და რიგი შეხედულებების გადმოსაცემად, მაგრამ ნაწარმოების მთავარ იდეასთან მას სინამდვილეში არავითარი კავშირი არ აქვს.

ძნელია იმის თქმა, თუ როგორი გავლენა მოახდინა თხრობის ასეთმა ხერხმა და ლეგენდის გამოყენებამ ნაწარმოების შინაარსსა და ფორმაზე, მაგრამ უდავოა, რომ მწერალმა წარმატებით შეძლო ნაწარმოების იდეური აზრი მთელი ცხოველმყოფელობით მიეწოდებინა მკითხველისათვის და უშუალო ზემოქმედება მოეხდინა მის მსოფლმხედველობაზე. ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ ფაბულარულ-

სიუჟეტური კომპონენტების თავისებური დალაგებაც ხელს უწყობს მკითხველში თანდათან იზრდებოდეს ინტერესი მოთხრობაში გადმოცემული ამბისადმი.

დ. ჭონქაძე მოსაწონ ოსტატობას იჩენს მთავარი და პარალელური სიუჟეტური ხაზების განვითარებაშიც. მან მოთხრობაში შეიტანა, ერთი შეხედვით, მთავარ ფაბულასთან დამოუკიდებელი ეპიზოდი ოსმან-აღას თავგადასავლის სახით. მაგრამ ვის შეუძლია სადავოდ გახადოს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ეპიზოდის წყალობით მიაღწია მწერალმა თავის ძირითად მიზანს, მოთხრობის მთავარი იდეის დამაჯერებლად განვითარებას. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება ამ იდეურად მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდის შემოტანის მნიშვნელობა. მისი საშუალებით მწერალს შესაძლებლობა მიეცა ნაწარმოების კვანძის შექმნაში მონაწილე პერსონაჟთა ხასიათები მეტი გარკვეულობით ეჩვენებინა.

დ. ჭონქაძე არ ერიდება „მოქმედების ერთიანობის“ პრინციპის დარღვევას, როცა ამას ნაწარმოების მხატვრული ინტერესები ითხოვს. იგი ოსტატურად ახერხებს კვანძის გასკვნას და კიდევ უფრო მოხდენილად — ამ კვანძის გახსნას. აღარაფერს ვამბობთ ფინალური სცენის შესახებ, რომელიც ისეთი ემოციური ზემოქმედებისაა, რომ თითქმის ჩრდილავს წინათ მიღებული შთაბეჭდილებების სიმძიმეს. და ეს იმიტომ, რომ მწერალს ეხერხება ტრაგიკული სცენების გააზრება და მისი ოსტატური გადმოცემა, რასაც საგანგებოდ მიმართა მოთხრობის ფინალში.

დ. ჭონქაძე პერსონაჟთა პორტრეტებსაც ხატავს და მათი სულიერი სამყაროს თავისებურებასაც გვიჩვენებს, მაგრამ შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ იგი ნაკლებადაა დაინტერესებული გმირთა ხასიათების გამოკვეთით, მათი ტიპიურ სახეებამდე ამაღლებით. ბევრი მათგანი ბოლომდე გამოცანად რჩება მკითხველისათვის. სამაგიეროდ, იგი მთელი სისრულითა და დამაჯერებლობით ხატავს იმ ეპოქას, იმ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელშიც მოქმედება უხდება მის გმირებს. შეიძლება ითქვას, რომ გმირთა ხასიათები კი არ გვიხსნის ეპოქის თავისებურებას, არამედ — პირიქით. ცხადია, ასეთი დაპირისპირების უკიდურესი გაგება შეცდომა იქნება, მაგრამ გარკვეულად შეინიშნება მწერლის დაინტერესება უფრო მეტად ამბით, ვინემ გმირით.

„სურამის ციხის“ მთავარი მხატვრული ღირსება მოთხრობილის ემოციურ და დამაჯერებელ გადმოცემაში მდგომარეობს. ხოლო ყოველივე ამას მწერალი აღწევს სინამდვილის რეალისტური აღწერის წყალობით.

დ. ჭონქაძე გამომგონებლობას იჩენს არა აღწერილი მოვლენების შექმნაში, არამედ ამ მოვლენათა ურთიერთდაკავშირებასა და მისი იმ კუთხით წარმოდგენაში, რომლიდანაც მეტი გარკვეულობით შეინიშნება მთელი მისი ბუნება.

როცა „სურამის ციხე“ გამოქვეყნდა, ბევრმა მებატონემ მასში საკუთარი თავი იცნო. ისინი შეეცადნენ შური ეძიათ და ფიზიკურად გასწორებოდნენ მწერალს, მაგრამ საჯაროდ პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავეს. „ცისკრის“ „კრიტიკოსები“, რომლებიც გრ. რჩეულიშვილსაც კი მაღალი წოდების წარმომადგენელთა არასასურველად წარმოდგენას უსაყვედურებდნენ, ერთობლივ დუნდნენ. მათ აშინებდათ ხმის ამოღება, ვინაიდან იცოდნენ მოთხრობაში აღწერილი ამბები და მასში გამოყვანილი პერსონაჟები აღებული იყო ცხოვრების სინამდვილიდან, რის გამო მწერალს შეეძლო კიდევ უფრო გაეშიშვლებინა ყველა მათგანი.

სამაგიეროდ, ჟურნალმა „ცისკარმა“ და მისმა რედაქტორმა გარკვეული შეევიწროება განიცადა; იმუქრებოდნენ: ჟურნალზე ხელს არ მოვაწერთო. ისინი გააკვირვა სიმართლის ასეთ მამხილებელ ფორმაში თქმამ „ცისკრის“ ფურცლებიდან.

დ. ჭონქაძის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ 1863 წელს, ალ. ორბელიანს გადაუწყვეტია მოესპო მკითხველში ის შთაბეჭდილება, რომელიც „სურამის ციხემ“ დატოვა. ამ მიზნით მას, პირველ ყოვლისა, აინტერესებს „დაამტკიცოს“, რომ მოთხრობილ ამბავს არ ჰქონია ადგილი სინამდვილეში. მას დაუწერია საკმაოდ დიდი სტატია, სათაურით „დართულს დართული“[1], რომლის გამოქვეყნებაზე შემდეგ ხელი აუღია. ჩანს, ქერელი ბექას (ანტონ ფურცელაძე) მიერ „სურამის ციხის“ საპართლიანი შეფასების[2] შემდეგ გაუძნელდა დაუსაბუთებელი სტატიის გამოქვეყნება.

მაგრამ საყურადღებოა, რომ ალ. ორბელიანი, რომელიც ფიქრობს თავისი სტატიით „სურამის ციხეს“ ავნებს, კიდევ უფრო აშკარას ხდის დ. ჭონქაძის მხატვრული მეთოდის ჭეშმარიტად რეალისტურ ხასიათს.

ალ. ორბელიანის გულისწყრომა უმთავრესად მით იყო გამოწვეული, რომ „სურამის ციხის“ ავტორს პირდაპირ დასახელებული ჰყოლია ის მებატონეები, რომელთაც შეეხებოდა აღწერილი ამბავი.

დ. ჭონქაძემ,—წერს ალ. ორბელიანი,—„რომ თავისი თხზულება გამოსცა, თვალ-ყურის დევნება დაუწყეთ, ვინ რას იტყოდა?...

---

[1] საქ. სსრ სახ. ისტ. მუზეუმი, ხელნაწერი S-1641.

[2] „ცისკარი“, 1863 წ., № 1.

არავის არაფერი უთქვამს, გარდა ორისა, ამისათვის რომ პირდაპირ იმათზე იყო მიმართული ის თხზულება და იმათი სახელიც გამოყვანილი. ამისთანა თხზულებაში, ასე პირდაპირ დაწერა ამ პირებზე, არა გაზდილობას იტყვიან. ევროპაში ხომ, ის განათლებულები სისხლსაც შეასხამენ ერთმანეთს"...

დიახ, „სურამის ციხის" ავტორს ალ. ორბელიანმა „უზრდელი" უწოდა იმის გამო, რომ მას პირდაპირ მიუთითებია იმ მებატონეებზე, რომლებიც მხედველობაში ჰყოლია; მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა „ზრდილობიანი" ბრძანდებოდნენ ის მებატონეები, რომლებსაც მოთხრობა უშუალოდ ეხება? ვინ იცის, ალ. ორბელიანს იქნებ საკუთარი თავიც აწუხებდა!. როგორც ზ. ჭიჭინაძის მიერ შეგროვილი ბატონყმობის მასალებიდან ჩანს, არც ის ყოფილა დაზღვეული ყმათა გაყიდვა-გასაჩუქრებისაგან.

ალ. ორბელიანის აზრით, „რომანისა და მოთხრობის მიმართულება" იმაში მდგომარეობს, რომ მოვლენა გადმოსცეს „გაფრთხილებით და დაფარულად სახელების გამოყვანით, რომ განგაში არ მოხდეს ხალხში. ვიზედაც არის უწყინად იგრძნოს, დაიჯეროს და გასწორდეს კიდეც თვისში".

ალ. ორბელიანი წუხს, რომ ჭონქაძეს გაუკიცხავს ის მებატონეები, რომლებიც, თურმე, სხვებზე უკეთესებია; მაგრამ მისი მსჯელობა ჰგავს „თავის დაცვას" იმ დამნაშავისას, რომელიც კიდევ მეტში ტყდება, ვინემ მას აბრალიან.

„საქართველოში, — წერს იგი, — თუ ითქმის კარგი მებატონე გლეხებისა, ის იყო, ვინც გაკიცხა ჭონქაძემ. გლეხებისათვის ჩავარდა ვალში, საკმაოდ ვერ იმსახურებდათ მეტის სიბრალულის გამო გლეხებისა... უნდა გენახათ ის გვამი, თავადი გ. (სახელი) თავის გლეხებში, როგორი ბედნიერი იყო?..

... ახლა მიბრძანეთ, ის დურმიშხანი ვინ არის, მე არ გამიგონია იმისი სახელი და არც ყოფილა იმათ სახლში, რომელიცა ყველას ვიცნობდი იმათ კერძოობასა, დიდსა და პატარას. დაგარწმუნებთ, რომ დურმიშხანი არავინ ყოლია იმას და არც მომხდარა მაგვარი რამ ანბავი იმათ სახლში, თორემ მე მეცოდინებოდა... თუ მოახლის ამბავსაც გაიგონებთ, გეტყვით! ორი მოახლე ჰყავდა იმის მეუღლესა მ... ერთი თავისუფალი — თ... და მეორე საკუთარი — ბ... თავისუფალი თ... გავიდა და ქმარი შეირთო. საკუთარმაც მოინდომა გათხოვება და გათხოვდა. სხვა ამბავი არა ყოფილარა...

... კევრში შებმა და კალოში სირბილი დედაშვილისა, მართალია თუ არა? მე ნამდვილად ვიცი გაგონილს ჭორზედ არის აშენებული ის თხზულება ჭონქაძისა. ამისათვის რომ ვინც და რომელმანცა

გააკეთა ის ჰორი და სახალხოთ გამოიტანა, მრცხვენიან, თორემ იმ მეშურნის სახელს გამოვაცხადებდი, ყველა ვიცი წვრილად.

ის საკვირველი ოსმან-აღა?.. რაო რაებია, ის იმდენი მიკერ-მოკერა, წაყვან-წამოყვანა, გაქცევ-გამოქცევა, მითათრებ-მოთათრება... იყო მართალია, ერთი საშინელი საცოდაობა, საცოდაობა საიდუმლო შურის სიმსხვერპლე, მაგრამ არა ისე, როგორც აღწერს ჭონქაძე — ცოტად თუ მიემსგავსება იმას...

მართალია, ახლანდელის ჩვენის ზოგიერთის მებატონეებისაგან ბევრჯერ მომხდარა თავისი ყმების ძირიანათ აკლება და ჯარიმების წართმევა, მაგრამ ეს ამგვარი საქმეები სრულებით არ მომხდარა. ნამე ჯრაედ იმ პირებისაგან, ვიზედაც ამბობს ჭონქაძეო".

როგორც ვხედავთ, ალ. ორბელიანი ვერ უარყოფს, რომ „სურამის ციხეში" აღწერილი ამბებს ადგილი არ ჰქონდეს, მაგრამ იცავს თავის ნაცნობ მებატონე გ.-ს, რომელიც მიზანში ჰყოლებია მწერხლს. ცხადია, ალ. ორბელიანს რომ რეალისტური მეთოდის რაიმე სცოდნოდა, ის დროს არ დაკარგავდა ასეთი მსჯელობისათვის, მაგრამ რეაქციული რომანტიზმის წარმომადგენლისათვის ყოველივე ეს გაუგებარი იყო. სამაგიეროდ, თავისი წერილით მან ბევრი რამ გასაგები გახადა დ. ჭონქაძის სასარგებლოდ.

დ. ჭონქაძის მოთხრობის გმირებს პროტოტიპები ჰყავს, ყველა მათგანი უშუალოდ სინამდვილიდან ჰყავს აღებული მწერალს.

დ. ჭონქაძის მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელია ლაკონურობა, გვერდის აცლა ყოველივე მისგან, რაც ხელს არ უწყობს მთავარი იდეის გამოკვეთას. მას ემარჯვება სხარტი და ცოცხალი დიალოგების გამართვაც.

სამწერლო ენის საკითხში დ. ჭონქაძე უპირისპირდება არქაისტებს. იგი წერს ხალხური, სასაუბრო ენით. მაგრამ მისი ენის ნაკლი ამ უკანასკნელის პირდაპირ გადმოტანაში მდგომარეობს. მართალია, დ. ჭონქაძემ უკუაგდო მძიმე, არქაული ფორმები, მაგრამ მოექცა დიალექტის ტყვეობაში. „სურამის ციხე" დაწერილია ქართლური დიალექტის დუშეთურ კილოზე. მწერალმა მართებულად უარჰყო ძველი მწიგნობრული ენა, მაგრამ თვითონაც ვერ შეძლო სწორედ გადაეწყვიტა ახალი სამწერლო ენის შექმნის საკითხი.

4

დ. ჭონქაძის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში დღემდე არაა ზუსტად განსაზღვრული.

„სურამის ციხის" მნიშვნელობისა და მისი მხატვრული ღირსების შეფასების ცდა ხშირად ზომიერებას სცილდება.

მწერლის თანამედროვე რეაქციული კრიტიკა შეეცადა „უყურადღებოდ“ დაეტოვებინა „სურამის ციხის“ მკაცრი მამხილებელი ხასიათი და მისი ავტორის დემოკრატიულ-რევოლუციური მიმართულება. იგი მიზნად ისახავდა გზა გადაეღობა „სურამის ციხის“ ზემოქმედებისათვის ხალხის მასებზე, რის გამო თავგამოდებით „ამტკიცებდა“, რომ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს არა ტიპიური მოვლენები, არამედ უაღრესად შემთხვევითი ხასიათის ფაქტები, რომლებიც თითქოს დამახასიათებელი არ იყო ბატონყმური ურთიერთობისათვის საქართველოში.

„სურამის ციხის“ იდეური შინაარსისა და მისი ავტორის ესთეტიკური პრინციპების ასეთი არაობიექტური შეფასება, ცხადია, დიდხანს ვერ დარჩებოდა საფუძვლიანი კრიტიკის გარეშე. დ. ჭონქაძე მალე თავის უფლებებში აღადგინეს პროგრესულად მოაზროვნე მესამოციანელებმა, პირველ ყოვლისა კი „თერგდალეულებმა“.

„სურამის ციხის“ მნიშვნელობის შეფასებისათვის ბრძოლამ გამოაშკარავა და ერთმანეთს დაუპირისპირა სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე ბანაკი. ერთი ჯგუფი იმდროინდელი მოღვაწეებისა მხარში ედგა ალ. ორბელიანს და იზიარებდა მის წერილში („უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“) გამოთქმულ მოსაზრებას ბატონყმური ურთიერთობის შესახებ, ხოლო მეორე ჯგუფი, რომლის წარმომადგენელთა შეხედულებებს აშკარად გამოხატავდა დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, მკაცრად უპირისპირდებოდა ბატონყმობის დამცველებს. ისინი ერთმანეთთან აწარმოებდნენ ფარულ თუ აშკარა ბრძოლას მწვავე სოციალური საკითხების გარშემო.

მეტად საყურადღებოა „ცისკრის“ რედაქტორის — ი. კერესელიძის სიტყვები, რომლებიც მას ზ. ჭიჭინაძისათვის უთქვამს:

> როცა მე მისი წერილი (ალ. ორბელიანის „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“.—დ. გ.) დავბეჭდე „ცისკარში“, მაშინათვე გაჩნდნენ ისეთი მოლაპარაკენი, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ იმის ახრების და სულ სხვას ლაპარაკობდენ; ერთი ამათგანი იყო დანიელ ჭონქაძეც, რომელმაც „სურამის ციხე“ დასწერა. ვინც ალ. ორბელიანის წერილის მოთანხმენი იყვნენ, ისინი „სურამის ციხეს“ ეწინააღმდეგებოდნენ; ერთი მეორის შესახებ მაშინ ზოგიერთებმა წერილებიც დასწერეს, მაგრამ მე ვერა ვბეჭდავდი „ცისკარში“, წყენას ვერიდებოდიო [1].

„ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულმა წერილებმა ნათელი გახადეს, რომ დ. ჭონქაძე მარტო არ იყო, მის

[1] ზ. ჭიჭიბაძე. დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებიდან 50 წელი, გაზეთი „ახალი ახრი“, 1910 წ., № 4.

შეხედულებებსა და მიმართულებას დამცველნი და გამგრძელებელნი ჰყავდა.

ჯერ კიდევ თაობათა შორის მკაცრი ბრძოლის პერიოდში, როცა „შვილები“ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ „ცისკარს“ და მასში გამოქვეყნებულ მხატვრულ პროდუქციას, „თერგდალეულმა“ (კ. ლორთქიფანიძემ) მაღალი შეფასება მისცა დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“.

„ცისკარში“ გამოქვეყნებულ კარგ თხზულებათა შორის კ. ლორთქიფანიძე, პირველ ყოვლისა, დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“ ასახელებს[1]; მაგრამ მას საშუალება არ ჰქონდა სრულად ეჩვენებინა მოთხრობის მთელი ღირსება. ამ ამოცანის შესრულება თავს იდვა ქერელმა ბექამ (ანტ. ფურცელაძემ), რომელმაც ვრცელი სტატია უძღვნა „სურამის ციხის“ გარჩევას.

ანტ. ფურცელაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დ. ჭონქაძე წინ წაეიდა მის თანამედროვე მწერლებთან შედარებით და შექმნა ჭეშმარიტად რეალისტური თხზულება, რომელმაც შიშის ზარი დასცა ბატონყმური ცხოვრების დამცველთ.

> .. უცებ გამოდგა ასპარეზზე დ. ჭონქაძე თავის „სურამის ციხით“. ეს თხზულება,—წერს ანტ. ფურცელაძე,—რა საკვირველია, სიხარულით იყო მიღებული რედაქტორისაგან და მაშინვე, თუმცა მოკრძალებით და შიმით, დაიბეჭდა. ამ თხზულებამ დაჰსცა საშინელი ელდა და მოსწყვიტა წელი დავარდნილს ხალხსა და ძველი ახრების პატრონებსა. ბატონები „ოსმან-აღისა“ დარჩნენ პირღიანი. ჯერ დიდს ხანს ვერ მოეგენ ცნობასა და ბოლოს, როდესაც მოიპოვეს გრძნობა, დახედეს, გადაიღეს, გადმოიღეს ეს თხზულება და როგორც სარკეში, ისე დაინახეს თავისი თავი. „სწორედ ჩვენა ვართ!“ ჰსთქვეს ყველამ ერთის ხმით, მაგრამ საკვეყნოთ კი არა სტყდებოდნენ, როგორც შეჰხამს დამნაშავეს, და იძახდნენ: საშინელი ცილი შეჰვწამა, ჩვენ ამის მომქმედნი არა ვართო. დაწუწყეს... ლანძღვა და გინება უბედურს ავტორსა და ემუქრებოდნენ, პირველსავე შეხვედრაზე, ერთი რამეს ატეხასა...
>
> „სურამის ციხემ“... დასცა ხარი და აუშალა ტანში ჟრუანტელი სიძველისა და სიცრუის მჭადაგებლებსა, აუმღვრია სისხლი და აასია ესენი დაწინაურებული ახრების პატრონებზე...
>
> განათლებულმა სახოგადოებამ, რა საკვირველია, შენიშნა თხზულება: ახალგაზრდა მოსწავლეთა თითქმის ჭაიხეპირესო[2].

ანტ. ფურცელაძემ სწორად გაიგო „სურამის ციხის“ იდეური შინაარსი და მისი მნიშვნელობა ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან „სურამის ციხე“ დაუპირისპირა „ცისკრის“

---

[1] „თერგდალეული“ (კ. ლორთქიფანიძე). ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ, „ცისკარი“, 1862 წ., № 9.

[2] ქერელი ბექა (ა. ფურცელაძე). „სურამის ციხე“, „ცისკარი“, 1863 წ., № 1.

ფურცლებზე გაბატონებულ რომანტიკულ პროზას და, სრულიად მართებულად, შეუდარებლად მაღლა დააყენა უკანასკნელთან შედარებით.

ანტ. ფურცელაძემ მთელი სისასტიკით ამხილა რეაქციული კრიტიკის თვალთმაქცობაც, რომლის მიზანი იყო „სურამის ციხის“ იდეური აზრის გაბიაბურება. „სურამის ციხემ“, — წერს იგი, — ვერ შეიძინა ის დიდება და არ შეიმოსა იმ ღირსების გვირგვინითა, როგორც „თამარ ბატონიშვილი“[1], როდესაც „სურამის ციხე“ ისე მაღლა სდგას ამ თხზულებაზედ თავის საგნითა და იდეით, როგორც იალბუზი კვერნაკზეო“.

თავის მხრივ, ანტ. ფურცელაძე „სურამის ციხის“ ავტორს საყვედურობს უყურადღებობას გმირთა ინდივიდუალური ხასიათების გამოკვეთისადმი, სისუსტეს ბუნების სურათების მხატვრულ აღწერაში და სამწერლო ენის გადატვირთვას რუსიციზმებით.

მიუხედავად იმისა, რომ ანტ. ფურცელაძემ შეძლო შედარებით სრული და მართებული შეფასება მიეცა „სურამის ციხისათვის“, მის ამ სტატიას „თერგდალეულები“ მაინც არ შეხვდნენ მოწონებით. ეს გარემოება აშკარად იგრძნობა გ. წერეთლის წერილში „ცისკარს რა აკაკანებდა?“, რომელიც ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა.

გ. წერეთელი აღნიშნულ წერილში ამბობს: „ცისკარს“ „სურამის ციხის“ აზრი სრულებითაც არ გაუგია, ამიტომ რომ როდესაც თერგდალეულმა (მხედველობაში აქვს კ. ლორთქიფანიძის სტატია. — დ. გ.) გაიხსენა იმაზედ, როგორც ერთ კარგ თხზულებათაგანზედ... მხოლოდ მის შემდგომ გამოვიდა მასზედ ფურცელაძის რეცენზია და მერე როგორი! განა ამას რეცენზია ერქმის?..“

ცხადია, გ. წერეთელი ანტ. ფურცელაძის სტატიას სწუნობს, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ მაღალი შეფასებით ანტ. ფურცელაძეს „ცისკრის“ დამსახურების ჩვენებაც სურდა. ხოლო ამ უკანასკნელის მიმართ „თერგდალეულები“ სხვა შეხედულებისა იყვნენ.

გ. წერეთელს დაუსაბუთებლად მიაჩნია აგრეთვე ანტ. ფურცელაძის შეხედულება „სურამის ციხის“ გმირთა ინდივიდუალური ხასიათების სისუსტის შესახებ.

იწუნებს რა „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა მხატვრულ ღირსებას, გ. წერეთელი საგანგებოდ შენიშნავს: „სად გვიჩ-

---

[1] გრ. ჩუღუაშვილის მოთხრობა, რომელიც დაიბეჭდა „ცისკარში“ 1852 წელს (№ 5, 6, 7, 8).

ვენა მან („ცისკარმა".—დ. გ.) ის ორი ხასიათი ქალისა და ვაჟისა, რომლებიც ასე ღრმად და საკვირველად არიან გამოხატული „სურამის ციხეში?" სად განიკვლია მან ის მიზეზები და გარემოება, რომელმაც შექმნა ეს ხასიათები, ამისთანა ბოლოს ღირსნი, როგორც ამ რომანშია ნაჩვენები?

სრულებით ამგვარ რამეს 1857 წლიდან რომ დავიწყოთ და ამ თვის ნომრამდინ გადავშალოთ სულ ფურცელ-ფურცლად, მაინც ვერაფერს მასში ვერ ეპოვებთო".

როგორც ვხედავთ, დ. ჭონქაძისა და მისი „სურამის ციხის" პირველი ჭეშმარიტი შემფასებელნი და პატივისმცემელნი იყვნენ: ა. წერეთელი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და ანტ. ფურცელაძე. დ. ჭონქაძეში ისინი ხედავდნენ თავიანთ მახლობელ წინამორბედს, რომელმაც სწორად გაიგო საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობის ობიექტური მიზეზები და მოხდენილად გამოააშკარავა ბატონყმური სისტემის მთელი ბოროტება.

მიუხედავად ამისა, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ფეხი მოიკიდა დ. ჭონქაძისა და „თერგდალეულთა" ურთიერთდაპირისპირების ცდამ. ყველაზე მძიმე შეცდომა ამ მიმართულებით ფ. მახარაძემ დაუშვა.

ფ. მახარაძემ, ჯერ 1904 წელს, ხოლო შემდეგ 1929 წელს, ცალკე წიგნად გამოსცა საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო", რომელშიც ბევრ საყურადღებო საკითხს მიაქცია ყურადღება და ახალი მასალები შემატა დ. ჭონქაძის შესწავლის საქმეს; მაგრამ ყოველივე ეს ავტორმა თავის მცდარ კონცეფციას ანაცვალა.

იჩენდა რა არა ობიექტურ დამოკიდებულებას კლასიკური მემკვიდრეობისადმი, ფ. მახარაძემ ყველა ჩვენი კლასიკოსი მწერალი, დაწყებული რუსთაველით და გათავებული ილიათი და აკაკით, „მიწასთან გაასწორა". თავის შეხედულებების „დასასაბუთებლად" მას საკმარისად მიაჩნდა მიეთითებინა მხოლოდ მწერლის სოციალურ წარმოშობაზე. იგი ვერ იყენებდა მარქსისტულ-ლენინურ პრინციპს კლასიკური მემკვიდრეობის შეფასების საქმეში, რის გამო ხშირად კურიოზულ დასკვნებამდე მიდიოდა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს დასახელებულ წიგნში დაშვებული, დღეისათვის ყველასათვის ცნობილი, შეცდომების კრიტიკა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. ჭონქაძის როლის გამოჩენის მიზნით, ფ. მახარაძე სრულიად მცდარ გზას დაადგა. იმისათვის, რომ დ. ჭონქაძე ყველაზე მოწინავე მწერლად და მოაზროვნედ გამოეცხადებინა, იგი შეეცადა უარეყო ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამო-

აზრე მწერალთა დამსახურება. იყო რა დაინტერესებული ამ უკანასკნელი გარემოებით, მან „თერგდალეულებს“ ცილიც კი დასწამა და ბრალად დასდო დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ სდევნა. მესამოცე წლების მოღვაწეებს, მისი თქმით, „პირიქით ეჯავრებოდათ დ. ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“. და ეს მაშინ, როცა დ. ჭონქაძის პირველი ღირსეული დამფასებელნი, როგორც ვნახეთ, სწორედ მესამოციანელები იყვნენ.

ფ. მახარაძეს არ სურდა დაენახა ის მჭიდრო იდეური კავშირი, რომელიც არსებობს „სურამის ციხისა“ და „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანის“ ავტორებს შორის.

დ. ჭონქაძის მნიშვნელობის საჩვენებლად ფ. მახარაძეს ისიც კი „დასჭირდა“ ეთქვა, რომ „მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მწერლობა ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით ჩვენში სრულებით არ არსებობდაო“ [1].

ასეთი მცდარი მეთოდოლოგიური „პრინციპების“ გამოყენებით ფ. მახარაძემ არათუ რაიმე შემატა დ. ჭონქაძის სახელს, არამედ სინამდვილეში დიდი ზიანი მიაყენა მას. დ. ჭონქაძე მან მოსწყვიტა ქართული ლიტერატურის განვითარების კანონზომიერ პროცესს, რამაც საბოლოოდ აიძულა ის დაესვა კითხვა: „იქონია თუ არა რაიმე გავლენა ქართულ მწერლობაზე დ. ჭონქაძემ?“ მან ასე უპასუხა: „სამწუხაროთ, უნდა აღვიაროთ, რომ თითქმის სრულიად არავითარიო“ [2].

როგორც ვხედავთ, მცდარმა კონცეფციამ და მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობისათვის შეუფერებელმა მეთოდოლოგიამ ფ. მახარაძე იქამდე მიიყვანა, რომ დ. ჭონქაძე გამოაცხადა უწინაპროდ და უმემკვიდროდ ქართულ ლიტერატურაში.

სამწუხაროდ, დ. ჭონქაძისა და „თერგდალეულთა“ ურთიერთობის გარკვევის საქმეში ზომიერებას ღალატობს პ. ინგოროყვაც, რომელიც არ იზიარებს ფ. მახარაძის მცდარ შეხედულებას, მაგრამ თვითონაც აჰარბებს მეორე მიმართულებით. მისი თქმით, ი. ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაკო“, რომელიც 1858—1859 წლებშია დაწერილი, „ბატონყმობის ინსტიტუტი ისევე მძაფრად, და კიდევ მეტის რადიკალურის შეურიგებლობით არის გაკიცხული, ვიდრე „სურამის ციხეშიო“ [3].

---

[1] ფ. მახარაძე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 1929 წ., გვ. 57.

[2] იქვე, გვ. 135.

[3] ი. ჭავჭავაძე თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 693 (რედაქტორის კომენტარი).

როგორც დ. ჭონქაძის როლის გასათვალისწინებლად საჭირო არაა ი. ჭავჭავაძის „დამცირება“, ასევე ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობის ჩვენება სრულიად არ საჭიროებს დ. ჭონქაძის დამსახურების უგულველყოფას.

დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ იყო კანონზომიერი მოვლენა იმ პერიოდის ქართული ლიტერატურისათვის. მასში მოცემულია ის მკაცრი პროტესტი, რომელიც მომწიფდა მებატონეთაგან განაწამები გლეხობისა და მის დამცველ პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის მსოფლგაგებაში ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ გასული საუკუნის 50-იან წლებში.

დ. ჭონქაძის მთავარი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან პირველმა ესროლა ძლიერი ყუმბარა უსამართლობითა და ბოროტებით მოცულ სამყაროს, რომელსაც ბატონყმური ურთიერთობა ეწოდებოდა.

დ. ჭონქაძემ საკმარისად არ მიიჩნია ეჩვენებინა მხოლოდ მებატონეთა გონების შეზღუდულობა, მათი ფუქსავატობა, შურიანობა და ყმათა აკლების ცალკეული შემთხვევები, რაც ჯერ კიდევ გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის კომედიებში აისახა. მის მიზანს შეადგენდა არა ცალკეულ მებატონეთა ბედოვლათობისა და ბოროტმოქმედების ჩვენება, არამედ დანგრევა და საბოლოოდ მოსპობა იმ საზიზღარი „ბუდისა“, რომელშიც იჩეკებოდნენ თაობები გულქვა და ზნედაცემული მებატონეებისა.

დ. ჭონქაძემ მთელი გაბედულებით გაილაშქრა ბატონყმური ინსტიტუტის წინააღმდეგ და ყველასათვის გასაგონათ თქვა: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლებაო“. ეს იყო ახალი და მართალი სიტყვა, რომელიც ასეთი პირდაპირობითა და დამაჯერებლობით დ. ჭონქაძემდე არავის უთქვამს და არავის დაუსაბუთებია.

დ. ჭონქაძე ჩვენი ლიტერატურის სინამდვილეში იყო კრიტიკული რეალიზმის ჭეშმარიტ პრინციპებზე მდგარი ა. რადიშჩევი. მას მიზანში ჰქონდა ამოღებული არა მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული ბოროტების შედეგები, არამედ, უმთავრესად, ამ ბოროტების წყარო და მიზეზები. მან მთელი სიღრმითა და დამაჯერებლობით გვიჩვენა ძირები იმ სოციალური ბოროტებისა, რომლის შესახებ ასე აშკარად და მოურიდებლად ჯერ კიდევ ვერ ეთქვა მის თანამედროვე რეალისტ მწერლებს (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი).

დ. ჭონქაძემ თავისი „სურამის ციხით“ საამაყო ტრადიციები შემატა ახალგაზრდა ქართულ კრიტიკულ რეალიზმს და ამით კი-

დევ ბეტად ვალობდილი მიიყვანა იგი სახელოვან მესამოციანელთა ეპოქამდე.

ეს გარემოება საფუძველს აძლევდა პროფ. ალ. ხახანაშვილს, რომ ეთქვა: „Одно небольшое произведение связано с именем Д. Чонкадзе. Однако, имя это дорого каждому грузину, а произведение его открыло новую эру в истории художественного творчества“ [1].

დ. ჭონქაძემ, როგორც „რაზნოჩინელმა“ მწერალმა, უფრო ადვილად შეამჩნია ბატონყმური ცხოვრების ბოროტება და ჩამორჩენილობა, ვიდემ სხვა მისმა თანამედროვე მოღვაწეებმა. და არა მარტო შეამჩნია, არამედ მკაცრად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. „სურამის ციხეში“ კლასობრივი ბრძოლის სული ტრიალებს და არსებული სინამდვილისადმი შეურიგებელი მოაზროვნის მისწრაფებები ისახებიან.

დ. ჭონქაძე დაუპირისპირდა „მაღალი ფრაზებით“ მოლაპარაკე „კნიაზ ლიბერალებს“, რომელთაც თითქოს „დიდი გულმოდგინებით სურდათ ყმების განთავისუფლება“.

დ. ჭონქაძემ, როგორც ნამდვილმა რეალისტმა მწერალმა, ყურადღება გაამახვილა მხოლოდ იმ მოვლენებზე, რომლებიც უფრო სრულად და სწორად გამოხატავდნენ ბატონყმური სისტემის უმსგავსოებას. მისთვის, როგორც რეალისტისათვის, ტიპიურია მხოლოდ ის მოვლენები, რომლებიც მეტი სიზუსტით გამოხატავენ არსებული სინამდვილის არსს.

დ. ჭონქაძის გაბედული ხმა მთელი სიძლიერით გაისმა ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე. მისი „სურამის ციხე“ დიდი იმედების მოციქულად იცნო უსამართლობით დაჩაგრულმა ხალხმა. ამიტომ იყო, რომ „სურამის ციხის“ წყალობით „ცისკრის“ ნომრებს ისეთ სოფლებში კითხულობდნენ და ეძებდნენ, სადაც მანამდის დაბეჭდილი წიგნი არც კი წაეკითხათ“ (ი. კერესელიძე)[2].

დ. ჭონქაძემ თავისი „სურამის ციხე“ ხალხის, ყმა გლეხობის აუტანელი ცხოვრებისა და გამეფებული სოციალური ბოროტების მიზეზების ჩვენებასა და ასახვას უძღვნა. ამით მან საიმედო ნაბიჯი გადადგა იმ მიმართულებით, საითაც შემდეგ „თერგდალეულები“ მიდიან.

იძლევა რა 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზრის დახასიათებას, პროფ. ს. ხუნდაძე წერს:

---

[1] А. С. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности, т. IV, 1906 г., стр. 96.

[2] ზ. ჭიჭინაძე. „დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებიდან 50 წელი. გაზეთი „ახალი ახრი“, 1910 წ., № 4.

— ახალთაობის ინტელიგენციამ ენერგიულად გაილაშქრა დაბაკმებული წყობილების, ბატონყმური ურთიერთობისა და სკოლასტიურ-რელიგიური ახროვნების წინააღმდეგ და ქართულ ლიტერატურაში რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები შემოიტანა. პირველი მერცხალი ამ ახალი ახროვნებისა იყო ქართველი „რაზნოჩინელი" დ. ჭონქაძე, რომელმაც აუცილებლად განიცადა რუსეთის 60-იანი წლების რადიკალური მიმდინარეობის ცხოველმყოფელი გავლენა და რომელმაც პირველმა მიიტანა მაგარი იერიში ქართულ ლიტერატურაში ბატონყმური უღლის წინააღმდეგ. შემდეგი თაობა, რომელმაც განაგრძო დ. ჭონქაძის გატკეპნილი გზა, იყო „თერგდალეულთა" თაობა, რომელმაც ფართე ლიტერატურული ხასიათის ბრძოლა გაიჩაღა ძველი, თავდაზნაურული ახროვნების წინააღმდეგო...[1]

ჩვენი შეხედულებით, პროფ. ს. ხუნდაძის ეს სიტყვები მართებულად აფასებს იმ დამსახურებას, რომელიც დ. ჭონქაძის სახელთანაა დაკავშირებული. იგი ასევე სწორად ასახავს იმ ურთიერთობას, რომელიც დ. ჭონქაძესა და „თერგდალეულთა" შორის არსებობს, თუმცა ამ უკანასკნელი საკითხის გადაწყვეტაში ერთგვარ გადაჭარბებას ვერც პროფ. ს. ხუნდაძე აღწევს თავს.

დ. ჭონქაძეს, რა თქმა უნდა, არ გაუტკეპნია ის გზა, რომელიც შემდეგ „თერგდალეულებმა" გააგრძელეს, მაგრამ პირველი და საიმედო ნაბიჯი ამ მიმართულებით მაინც მან გადადგა. ეს არ იყო მცირე მნიშვნელობის მოვლენა და აქაა დ. ჭონქაძის დიდი დამსახურებაც, რაც მას „თერგდალეულთა" ღირსეულ და მახლობელ წინამორბედად ხდის ქართულ ლიტერატურაში.

ამგვარად, კრიტიკული რეალიზმის პირველი პერიოდი ჩვენს ლიტერატურაში წარმოდგენილი არის გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ლ. არდაზიანისა და დ. ჭონქაძის შემოქმედებით. ხოლო მათგან დ. ჭონქაძე ყველაზე უფრო ახლოსაა „თერგდალეულთა" ესთეტიკასთან.

ამიტომაცაა, რომ დ. ჭონქაძემ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ქართველ ხალხში, ხოლო მისი „სურამის ციხე" ერთ-ერთ უპოპულარეს ნაწარმოებად იქცა[2].

---

[1] ს. ხუნდაძე. ნ. გ. ჩერნიშევსკი, 1929 წ., გვ. 169.

[2] „სურამის ციხე" დრამად გადააკეთა დ. მესხმა (საქ. ც. ი. ა., ფ. 480, საქმე 546), ხოლო საბავშვო მოთხრობად—გ. წულტუბოელმა (იოსელიანმა), იხ. ჟურნალი „ჯეჯილი", 1900 წ., № 9.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ

	გვ.
წინასიტყვაობის მაგიერ	3
I. საქართველო მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში	5 — 50
ა. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა . .	6
ბ. კულტურულ-ლიტერატურული გარემო	16
II. გიორგი ერისთავი.	51 — 240
1. ცხოვრების გზა	51
2. გ. ერისთავის პოეზია ✝.	92
3. გ. ერისთავის დრამატურგია. ✝	118
4. გ. ერისთავი და ქართული თეატრი	196
5. გ. ერისთავი—ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი	224
6. გ. ერისთავის ადგილი ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში. ✝.	232
III. ზურაბ ანტონოვი.	241 — 321
1. ცხოვრების გზა	241
2. ზ. ანტონოვის დრამატურგია	258
3. ზ. ანტონოვის ადგილი ქართული დრამატურგიისა და კრიტიკული რეალიზმის ისტორიაში	316
IV. ლავრენტი არდაზიანი	322 — 445
1. ცხოვრების გზა	324
2. ლ. არდაზიანის მხატვრული შემოქმედება.	334
3. ლ. არდაზიანის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ნარკვევები . ✝	414
4. ლ. არდაზიანის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში	441
V. დანიელ ჭონქაძე ✝	446 —485
1. ცხოვრების გზა	446
2. „სურამის ციხე“ და მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში	456

ДАВИД ГАМЕЗАРДАШВИЛИ

ОЧЕРКИ

по истории грузинского реализма

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР, Тбилиси—1953 г.
Зак. тип. № 437. Тираж 8000.

*

მხატვარი ვ. მესხი
ტექრედაქტორი ან. ღვინიაშვილი
კორექტორი ნ. კლდიაშვილი

*

გადაეცა წარმოებას 8/X—52 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I—53 წ. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 30,5. ტირაჟი 8.000. შეკვ. № 437. უე 01247.

ფასი 12 მან. 90 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ. № 1.